საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ილია გორგაძე, ნოდარ გურგენიძე

ილია ჭავჭავაძე

ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე

ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა
1837—1907

თბილისი
„მეცნიერება"
1987

წიგნი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახავს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტებს, მოვლენებს, პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებს.

მატიანე მთელი სისრულით აღრიცხავს მწერლის ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების გამოქვეყნებას მათი დაწერის თარიღებისა და წყაროს ჩვენებით, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ გაძოსვლებს, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებსა და მოგზაურობათა ქრონიკებს, პირად მიმოწერას, რომლებსაც რაიმე მნიშვნელობა გააჩნიათ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად. ამასთან წიგნი მკითხველს გააცნობს მნიშვნელოვან ლიტერატურულ გამოხმაურებებს მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წიგნს დაერთვის საძიებლები.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ს ო ლ ო მ ო ნ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ჯ ა გ ო დ ნ ი შ ვ ი ლ ი და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ლ ო რ ი ა

ბ 4406000000 / M 607 (06)—87 210—87

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1987.

«ყველაფრის თხრობა შეუძლებელია, რადგან მაშინ თითოეული დღისადმი უნდა მიგვეძღვნა არა ნაკლებ ერთი ტომისა...»

გი დე მოპასანი

1837 წლის ოქტომბრის ბოლო — 1907 წლის აგვისტოს ბოლო. ცხოვრების ხანგრძლივი გზა განვლო ილია ჭავჭავაძემ. სულ ორი თვეც და სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა, ის ავადმოსაგონარი წიწამურის ტრაგედია რომ არ მომხდარიყო. ვამბობთ, ტრაგედია რომ არ მომხდარიყო, რადგან ეს იყო ტრაგედია ერისა და არა პიროვნებისა, რამეთუ ილია იყო სახე მე-19 საუკუნის ქართველი ერისა.

ილია შარავანდედია ქართველი ერისა, დიდი ადამიანია და „როცა დიდი ადამიანის ცხოვრებას ვეცნობით, ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს და ეს სავსებით ბუნებრივი გრძნობაა. გვინდა ვიცოდეთ, ეს დიდი ადამიანი როგორი იყო ბავშვობაში, სიჭაბუკე როგორ გაატარა, მოწიფულობამ რა თვისებები შესძინა, ცხოვრების ბოლო წლებს როგორ შეხვდა და ა. შ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაც ასე დიდი ინტერესის შემცველია. ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ფაქტს შეუძლია მნიშვნელოვანი რამ გვითხრას“ (გ. ჯიბლაძე. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და პოეზია. ნაწ. 1. 1983, გვ. 73).

ილია ჭავჭავაძის წიაპაძებარე „ქრონიკა“ ფაქტებზე ანაკინძი წიგნია, რომელშიც შეკრებილი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახულია ამ დიდი ადამიანის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტები, თარიღები, პირადი ცხოვრების ამბები.

წიგნი სისრულით წარუდგენს მკითხველს ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერების გამოქვეყნების თარიღებს წყაროების ჩვენებით, ხოლო შეძლებისდაგვარად მათი დაწერის დროსაც. „ქრონიკა“ აღრიცხავს ილიას ყველა გამოცემას მის სიცოცხლეში, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ გამოსვლებს, მოგზაურობათა ქრონიკებს, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებს, საქმიან და პირად მიმოწერას, რომლებსაც რაიმე ღირებულება აქვთ მწერლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად. ამასთან წიგნში მითითებულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოხმაუ-

რება ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ, პოლემიკა ილიასთან, როგორც ბანკირთან, პუბლიცისტთან და ა. შ.

წიგნში მითითებული ლიტერატურული, საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ფაქტი და მოვლენა შეძლებისდაგვარად გამყარებულია ილიასავე შემოქმედების მოხმობით, მწერლის თანამედროვეთა მოგონებებით, დოკუმენტებით.

„ქრონიკის“ შედგენისას გამოყენებულია ბეჭდური მასალები — მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და თანამედროვე გამოკვლევები და წერილები ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

„ქრონიკის“ ავტორები ამოცანად ისახავდნენ, რაც შეიძლება სრულად წარმოედგინათ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, აღერიცხათ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტები, თუმცა ითვალისწინებდნენ რა იმ გარემოებასაც, რომ ასეთი აღრიცხვა მოითხოვდა ათეულობით ნაბეჭდ თაბახს, შემოიზღუდენ „უფრო მნიშვნელოვანით“.

ეს გამოცემა, როგორც პირველი ნაბიჯი, არ იქნება უნაკლო. ავტორები კმაყოფილებით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნას, რომელიც კი გამოთქმული იქნება წინამდებარე ნაშრომის მიმართ.

„ქრონიკის“ მოხმარების გაადვილების მიზნით წიგნს დართული აქვს საძიებლები.

დასასრულ, დიდი მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ ყველა, ვინც საქმიანი შენიშვნებით და წინადადებებით დაგვეხმარნენ ამ წიგნზე მუშაობისას.

ბიოგრაფიული ქრონიკა

1837

ოქტომბრის 27[1] — დაბადება ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა, კახეთში, სოფელ ყვარელში, ყოფილი ოფიცრის გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძისა და მარიამ ქრისტეფორეს ასულ ბებურიშვილ-ჭავჭავაძის ოჯახში.

„დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს სოფელ ყვარელში... მამაჩემი რამდენამდე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი“ (თსკ[2], ტ. IX, გვ. 307).

„მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილების დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის ი. ჭ. შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო“ (ელისაბედ საგინაშვილი — ლიტერატურული მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 555).

1838—1847

ბავშვობის წლები სოფელ ყვარელში

„...ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი... ვხედავთ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა... მომესმის ჰკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედა-ჩემისა, მამი-ჩემისა...“ (თსკ, ტ. II, გვ. 242—243).

---

1 საეკლესიო ჩანაწერებით ილიას დაბადება აღნუსხულია 1837 წ. 20 იანვარს (საისტ. მოამბე, ტ. 3. 1947, გვ. 162).

2 თსკ — თხზულებათა სრული კრებული. 6 ტომად. 1950—1961. შემდგომში ყველგან მითითებულია შემოკლებით — თსკ.

„ქართული წერა-კითხვა [ილიამ]... პირველად ოჯახშივე შეიძინა. იქვე ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი „ვეფხვის ტყაოსანი“ შოთა რუსთველისა... თვითონაც [ილიას] ბევრჯელ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში ქალები რომ [ჯერ დედა, ხოლო დედის გარდაცვალების შემდეგ მამიდა] ასწავლიდნენ „ვეფხვის ტყაოსანს“ (ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაჩვენ დიდა დვაფასებდით“ (თსკ. ტ. IX, გვ. 307).

„დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა... საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით“ (თსკ. ტ. IX, გვ. 307).

„ჩემის დის ნინასაგან გამიგონია, რომ ილია ბავშვობიდანვე თავისს ტოლებში სრულებით თურმე ირჩეოდა მშვიდი, წყნარი, და-ძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ, ბავშვები, ვთამაშობდითო, იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მონაწილეობასა თამაშობაშიო“ (ელისაბედ საგინაშვილი — ლიტ. მემკვიდრეობა. წგ. 1. 1935, გვ. 554).

„მეტის მეტი ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს... ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგრე რიგად არ უყვარდა...“ (ს. ლოლაძე — ლიტ. მემკვიდრეობა. წგ. 1. 1935, გვ. 557).

1841

იანვრის 15 — გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს საქართველო-იმერეთის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს თავისი ვაჟიშვილების — კონსტანტინესა და ილიას თავადის წოდებაში დამტკიცების თაობაზე (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 161).

1844

დეკემბრის 12 — დაბადება ილიას უმცროსი ძმის — თეიმურაზის.

1845

ილია შეჰყავთ ყვარლის მთავარდიაკონ ნიკოლოზ ივანეს ძე სეფაშვილის შინაურ სკოლაში.

„სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან — ქართული წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა, ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბლველი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად...

მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს არ ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს“ (თსკ, ტ. IX, გვ. 307—308).

1846

იანვრის 15 — გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს, მისცეს სიღარიბის მოწმობა. მოწმობა, როგორც მიმართვაშია აღნიშნული, ესაჭიროება დასტურად იმისა, რომ მას საკუთარი სახსრებით არ შეუძლია შვილებს—კონსტანტინეს, ილიას, ელისაბედს მისცეს შესაფერისი აღზრდა-განათლება (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 162).

იანვრის 16 — გრიგოლ ჭავჭავაძე თავადაზნაურთა წინამძღოლისაგან იღებს სიღარიბის მოწმობას, სადაც აღნიშნულია, რომ მას საკუთარი კმაყოფით არ შეუძლია მცირეწლოვან შვილს — ილიას მისცეს შესაფერისი აღზრდა[3] (იქვე, გვ. 163).

1847

ილია ავადმყოფობს ციებით. მკურნალობენ სოფლური წამლებით, მაგრამ უკეთესობა არ ემჩნევა.

შემოდგომაზე მამას სამკურნალოდ მიჰყავს თბილისში. ილიას ნაამბობს ი. მეუნარგია ასე გადმოგვცემს:

---

[3] კონსტანტინეზე და ელისაბედზე მოწმობაში არაფერია ნათქვამი, თუმცა ხსოვნაში გრიგოლი სამივე შვილს ახსენიებს.

„...ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმი დამასიებს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვიღაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბრიდან. კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიცოდე, დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევინა. წამისვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და, მართლა, მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო...“ (ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. ტ. 2. 1944, გვ. 182).

წლის მიწურულს ილია მამას მიჰყავს თბილისში, სასწავლებელში შესაყვანად.

„მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მამამ ქალაქში წამიყვანა და მიმცა რაევსკისა და ჰაკკეს პანსიონში. ეს პანსიონი ტფილისის მაშინდელ ყველა კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო“ (თსკ, ტ. IX, გვ. 308).

1848—1851

მოსწავლეობის წლები ჰაკკეს პანსიონში

„პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკკე. ჰაკკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი... ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას“ (იქვე, გვ. 308—309).

1848

მაისის 5 — გარდაიცვალა ილიას დედა — მარიამი სახადით, 30 წლისა.

„თუ სხვადასხვა დოკუმენტებში დედა ჩემს ხან მაგდანათ და ხან კი მარიამათ იხსენებენ, ეგ იმითი აიხსნება, რომ დედაჩემი ტომით სომეხი იყო, მაშინ მაგდანს ეძახოდნენ, მერმე რომ ვათხოვდა, მართლმადიდებლობა მიიღო და მარიამი დაარქვეს. დედაჩემი, რამდენადაც მახსოვს, სახადით გარდაიცვალა, მახსოვს, ჩვენ, ბავშვები ყველანი დაგვაშორეს, როდესაც იგი ავად იყო“ (ე. საგინაშვილი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1. 1935, გვ. 555—556).

დედის გარდაცვალების შემდეგ ილიასა და მისი და-ძმების დედობრივი მზრუნველობა თავს იდო მამიდა მაკრინემ.

„დედა რომ გარდაიცვალა, დავრჩით ობოლნი, მცირეწლოვანნი მამიჩემის და კნეინა მაკრინე ივანე არაგვის ერისთავისა დარჩა ქვრი-

ვად; შვილი არა ჰყვანდა, მამისჩემის თხოვნით გადმოსახლდა თავისს სამშობლოში თავის ძმა გრიგოლთან, მიიღო დედობრივი მზრუნველობა ობლებზედ“ (ე. საგინაშვილი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 554—555).

„მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჯან, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის“. (თსკ, ტ. X, გვ. 21).

დედის გარდაცვალებამ ილია უდიდეს მწუხარებაში ჩააგდო და ბერად შედგომაზე ფიქრი შეეპარა.

„ერთ დროს (ყმაწვილობაშიო) — უამბობს ილია ნ. ნათიძეს — დავაპირე ბერად შედგომაო, ძრიელ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო, მაგრამ როცა გარიბალდმა დაიწყო თვისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო“ (ნ. ნათიძე — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 573).

ზაფხულს — არდადეგებს ილია ყვარელსა და კარდანახში ატარებს. წერს ლექსს — „რწყილები“.

„როგორც მახსოვს, ილია პატარაობიდანვე ლექსებსა სწერდა. მახსოვს ასეთი შემთხვევა. ილია იქნებოდა ესე 11 წლისა, ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით [ორივენი გემნაზიელები]. კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე ვუცქეროდით გახურებულ მამითადს. საღამოთი შინისკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვიწექით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთს დიდს კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რ წ ყ ი ლ ე ბ ი“ (47—48 წწ.). საუბედუროთ ეს ლექსი არ შენახულა, და არც ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს მარტო რომ ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა, და ლექსმა ბევრი გვაცინა“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1. 1935, გვ. 563).

1851

თებერვლის 11 — ილიას უფროსმა დამ ნინომ იქორწინა თავად ნიკოლოზ აბხაზთან.

„წელსა ჩყნა [1851] თებერვლის 11 დღესა ასულმა ჩემმა ნინუცამ იქორწინა თ. ნიკოლოზ აბხაზედ“ (ი. ბალახაშვილი. ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა. 1937, გვ. 29).

1852—1850

მოსწავლეობის წლები თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში

„გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდათ ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს სამს საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1. 1935, გვ. 563).

1852

ილია შედის თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

„... პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი; მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინით კი ისევ პანსიონში ვიყავი“ (თსკ, ტ. IX, გვ. 308).

სასწავლო საგნებში წარუმატებლობის გამო ილიას ტოვებენ მეოთხე კლასში.

ილიას სასწავლო ნიშნები: (ი. ბალახაშვილი. ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა. 1837, გვ. 29).

საგნები:	შუალა თვიური:	გამოცდისა:	შუალა წლიური:
საღვთო სჯული	3	4	4
რუსული სიტყვიერება	2	2	2
ქართული ენა	3	5	4
თურქული ენა	2	3	3
მათემატიკა	2	2	2
გეოგრაფია	3	3	3
ისტორია	3	2	3

„... თბილისის გიმნაზიის მე-4 კლასში დაუტოვებიათ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც რუსულ ენაში და მათემატიკაში აქვს ნიშანი „2“

(ტ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. (XIX საუკუნე) 1951, გვ. 56).

ზაფხული — არდადეგებს ილია ატარებს სოფელ ყვარელში. დისშვილის — გიგო აბხაზის დაბადებით აღფრთოვანებული თხუთმეტი წლის ილია თავის უფროს დას — ნინოს უგზავნის ლექსად დაწერილ წერილს:

„ჩემს საყვარელს და სასურველ ნინას,
წიგნსა მიუწერ თუ ყურს მისცემს სმენას...
ჩემი ნალექსი სიტყვები გულისთვის მეტად ლბილია,
მისთვის ვასრულებ ამ წიგნსა ხელიც მაქვს დაღალულია
დავშთები შენივე ძმაჲ მე ჭავჭავაძე ილია".

(ი. ბალახაშვილი. ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა. 1937, გვ. 32).

დეკემბრის 10 — გარდაიცვალა ილიას მამა გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე, 41 წლისა.

დეკემბრის 13 — ილიას მამა გრიგოლი, „სოფელ ყვარლის მებატონე", დაკრძალეს ყვარლის სასაფლაოზე მისი მეუღლის მარიამის გვერდით.

„მამის ჩემის სიკვდილის შემდეგ ყოველივე ოჯახის მზრუნველობა, გამგებლობა გადავიდა მამიდა მაკრინეზედ... იმ დღიდამ 87 წლამდის, ჩვენს ზრუნვაში გა[ა]ტარა თავისს სიცოცხლის დღენი" (ე. საგინაშვილი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 555).

დეკემბრის 31 — მამიდა მაკრინე ჭავჭავაძის თხოვნით თელავის მაზრის უფროსი ანდრონიკაშვილი შუამდგომლობს თბილისის სამხედრო გუბერნატორთან გრიგოლ ჭავჭავაძის ობლების ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სწავლებას (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 167).

1853

თებერვლის 19 — თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი თავის მხრივ შუამდგომლობს ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსთან გრიგოლ ჭავჭავაძის ობლების ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სწავლებას. (იქვე, გვ. 167).

თებერვლის 25 — ამიერ-კავკასიის სამოქალაქო მმართველობა იხილავს თბილისის სამხედრო გუბერნატორის შუამდგომლობას გრიგოლ ჭავჭავაძის ობლების ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სწავლების შესახებ, უარს აცხადებს თხოვნა-შუამდგომლობის აღ-

სრულებაზე. იმ მიზეზით რომ არ არის სრულად წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები... (იქვე, გვ. 169).

მეხუთე კლასში ილიას აფასებენ ნიშნებით:

ნიჭი ანუ გულისყური	4
ბეჯითობა	3
ყოფაქცევა	4 1/2

საგნები:	შუალა თვიური	გამოცდისა	შუალა წლიური.
საღვთო სჯული	2	4	3
რუსული ენა	5	5	5
ქართული ენა	5	4	5
ფრანგული ენა	4	4	4
ლათინური ენა	3	2	3
ალგებრა	4	2	3
გეოგრაფია	2	2	2
ისტორია	4	4	4

(ი. ბალახაშვილი. ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა. 1937, გვ. 35).

ზაფხულის არდადეგებს ილია ატარებს მშობლიურ ყვარელში.

1854

ივლისის 3 — ლეკებთან შეტაკების დროს მოკლეს ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე, 22 წლისა.

კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ ჭავჭავაძიანთ ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოდის. ილიაც გიმნაზიიდან მათთან გადადის საცხოვრებლად.

„ერთს წელიწადს ზამთარში, ვცხოვრობდით ქალაქში. ილია გემნაზიაში სწავლობდა, იმ ზამთარს ჩვენთან ცხოვრობდა, თავისთვის საკუთარი ოთახი ჰქონდა. მეორე დღეს შევედით, ვნახეთ, კრაოტი ჩასტეხია, ისევ ისე წევს. ჩვენ დავეკითხეთ, რატომ არ შეგვატყობინე, ან მოსამსახურეს არ შეატყობინე გაესწორებინა? იქამდინ თავაზიანად [მოგვექცა]. რათ შემეწუხებინეთ, დაო, როდესაც ასე მწოლარესაც ტკბილად მეძინაო?“ (ე. საგინაშვილი — ლიტ. მემკვიდრეობა. წგ. 1, 1935, გვ. 555).

აპრილის ბოლო — ამთავრებს თბილისის გიმნაზიის მერვე კლასს.

„გავათავე მერვე კლასი, მხოლოდ საბოლოო ეგზამენი აღარ დავიჭირე...“ (თსკ, ტ. IX, გვ. 30).

ზაფხული — თარგმნის ლექსს „ჩიტი“ და გამოსაქვეყნებლად უგზავნის ჟურნალ „ცისკარს“ (ცენზურის ნებართვა დაბეჭდვაზე დათარიღებულია 12 სექტემბრით).

1857—1861

სტუდენტობის წლები პეტერბურგის უნივერსიტეტში

ილია ხელმძღვანელობს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეს.

„ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოზედ“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 564).

„ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ...“ (ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები. ტ. 1, 1931, გვ. 95).

ილია გატაცებულია ძველი ქართული მწერლობით, რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურით. ბევრს კითხულობს პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურასაც.

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა. მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა დღე-ღამეში ხშირად 18—20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია...“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 563—564).

სტუდენტობის წლებში ილია ეწაფება რუსულ ლიტერატურას, რუს რევოლუციონერ-დემოკრატების ნაწერებს.

„რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს... რასაკვირველია, ამ ზედმოქმედე-

ბამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა...“ (თსკ, ტ. I. გვ. XLIX—L).

1857

იანვარი — ჟურნალი „ცისკრის“ № 1-ში ქვეყნდება ილიას მიერ თარგმნილი ლექსი „ჩიტი“. ამ თარგმანით იწყება ილიას გამოსვლა საზოგადოების წინაშე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით.

მარტი-აპრილი (?) — წერილს უგზავნის თავის უფროს დას ნინო ჭავჭავაძე-აბხაზს კარდანახში. ატყობინებს პეტერბურგში სწავლის გაგრძელების განზრახვას.

„... ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ, შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებები[თა]“ (თსკ, ტ. X, გვ. 7).

აპრილის 15 — სოფელ კარდანახში, დასთან სტუმრად ყოფნის დროს, წერს ლექსს — „ყვარლის მთებს“.

ივნისი — ილია პირველად მოიხსენიება ბეჭდვით სიტყვაში, საერთოდ, და, კერძოდ, როგორც მწერალი. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე სხვა მწერლებთან ერთად მადლობას უცხადებს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს ლექსისათვის „ჩიტი“.

„როგორც უწყიან პატივცემულთა ჩვენი ქართულის სალიტერატურო ჟურნალის „ცისკრის“ მკითხველთა, ჟურნალის გამოცემა დავიწყეთ პირველის იანვრითგან ამა 1857 წელსა, მაშასადამე ექვსი თვეა, რაც გამოდის ეს ჟურნალი... ამ დროების განვლაში რედაქციას მიუღია სხვა და სხუა პირთაგან ოცდა თხუთმეტ ლექსებამდე, ხოლო მოთხრობა ცხრამდენ, თხზულებათაგან ზოგნი ერთნი ღირსეულ იქმნენ და დაიბეჭდნენ ჩვენს ჟურნალში.

ლექსებთაგან დავბეჭდეთ იმ გვარნი, რომელნიცა ღირს არიან სახსოვრისა, თავიანთის შვენიერის აზრისა გამო...

ჰსჩანს, რომ თავის დროზედ შეწევნითა მღთისათა, ჩვენი ჟურნალი იქმნება წარმატებაში, და ამის მიზეზნი იქნებიან ვინა? რასაკვირველია ზემოხსენებულნი პირნი.

მაშასადამე, რედაქცია მოვალეთ რაცხს განუცხადოს უუგულითადესი მადლობა... თანამედროვეთა ჩვენთა მწერალთა: ს. ალექსიევ-მეს-

ხიევს, დ. ბაქრაძეს, სფრ. დოდაევს, თ. რ. ერისთავს, დ. მგალობელოვს, თ. დ. მაჩაბელს, თ. ბ. ჩ. გ. კოლხიდელს, თ. ვ. ორბელიანს, თ. ალ. ორბელიანს, გ. რჩეულოვს, ალ. სავანელს, თ. ალ. ჩიქოვანს და თ. ილ. ჭავჭავაძეს.

გარნა ვთხოვთ არ დაგვაგდებდნენ და კვალად გამოგვიგზავნიდენ თავიანთა შშენიერთა თხზულებათა... (ივ. კერესელიძე. მკითხველთადმი — ცისკარი, 1857, № 6, გვ. 74—76).

ილია გატაცებულია ყვარლელი თავადის სოლომონ ჭავჭავაძის ასულ ელისაბედით. მიუხედავად ამისა ილიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სწავლის გაგრძელება და ემზადება პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად. ამ შემთხვევით სარგებლობს ილიას მამიდა მაკრინე და პირობას დებს სოლომონ ჭავჭავაძესთან, რომ სოლომონი „გაუგზავნის ილიას თვეში ოთხს თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, ხოლო სამაგიეროდ, ილია რომ დაბრუნდება, უნდა შეირთოს მისი შვილი. ეს უილიოდ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილა“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 566).

ზაფხულის დასაწყისი — ილია ეთხოვება სამშობლოს, თავისიანებს და საქართველოს სამხედრო გზის გავლით მიემგზავრება პეტერბურგს, უნივერსიტეტში შესასვლელად.

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დაივიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული
თქვენთან, ჰე, მთებო ბუნებითა შეუღლებული:“.

ივლისის შუა რიცხვები — მრავალდღიანი მგზაურობის შემდეგ ილია ჩადის პეტერბურგში, სადაც ბინდება ამაღლების პროსპექტზე № 122-ში, ვაჭრის ცოლის კოლჩინას ბინაში.

ივლისის 20 — ილიას განცხადება შეაქვს სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის ემილ ლენცის სახელზე.

«Желая для окончательного своего образования выслушать полный курс наук в С. Петербургском Университете по Юридическому факультету, по разряду Камеральных наук, покорнейше прошу, Ваше Превосходительство, о принятии в число своекоштных студентом, по выдержании мною установленного для поступления в университет экзамена» (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 558).

აგვისტო-სექტემბერი — აბარებს უნივერსიტეტში ჩასარიცხად დაწესებულ გამოცდებს.

აგვისტოს 23 — ილია თარგმნის გოეთეს ლექსს „ბედა მქადაგებელს“[4].

სექტემბრის 28 — პეტერბურგის სამოსწავლო დარგის მზრუნველის მოვალეობის შემსრულებლის წინადადებით ილია ჩარიცხული იქნა თავისუფლად მოსიარულე სტუდენტად კამერალურ განყოფილებაზე, რის შესახებაც უნივერსიტეტის საბჭოს ეცნობა 15 ოქტომბერს. (ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 558).

ნოემბრის 1 — ლექციების მოსასმენად ილიას უნივერსიტეტში შეაქვს სწავლის გადასახადი 25 მანეთი.

დეკემბრის 16 — წერს ლექსს „სანთელი“.

დეკემბრის 27 — წერს ლექსს „ხმა სამარიდამ“ (პირველი რედაქცია).

1858

იანვრის 15 — თხოვნა შეაქვს უნივერსიტეტში სწავლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ და ამასთან ადგენს სიღარიბის მოწმობას, გაცემულს თელავის მაზრის მიერ.

იანვრის 16 — სწავლა-განათლების მზრუნველი აკმაყოფილებს ილიას თხოვნას მისი სწავლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლებული იქმნეს სტუდენტი ილია ჭავჭავაძე ლექციების მოსმენისათვის დაწესებულ საფასურის გადახდისაგან (ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 560).

თებერვლის 9 — თარგმნის ვ. სკოტის ლექსს „რა ტკბილ არს ოდეს...“

თებერვლის 13 — თარგმნის ფ. შილერის ლექსს „ცრემლთა შინა ნუგეში“.

თებერვლის 23 — თარგმნის ჯ. ბაირონის ლექსს — სტიროდეთ“.

---

4 ი. კენჭოშვილის აზრით „ბედა მქადაგებელი“ („Бэда проповедник“) ეკუთვნის იაკობ პოლონსკის (ლიტ. გაზეთი, 1961, 7 აპრ.). „ბედა მქადაგებლის“ თარგმნის თარიღად ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წ. № 1-ში, რომელშიც იგი პირველად გამოქვეყნდა, აღნიშნულია 1858 წ. 25 აგვისტო.

თებერვალი — მარტი (?) — პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის გაბრიელ სულხანიშვილს. უწონებს „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სტატიებს.

„ამას წინეთ, მგონი, შენი სტატიები იყო ცისკარში და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო...“ (თსკ, ტ. X, გვ. 18).

„...ეგ წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში, თუ მარტში არის მოწერილი 1858 წლისას“ (გ. სულხანოვი — საქ. მოამბე, 1863, № 7, გვ. 105).

მარტის 7 — წერს ლექსებს „გაზაფხული“ (ვიშ გაზაფხული) და „ჩიტი“ (ვგალობ და ვგალობ).

მაისი — მეორე კურსზე გადასაყვანი გამოცდებიდან აბარებს მხოლოდ ძველ ისტორიას და რუსეთის ისტორიას.

«Не кончил испытания» камеральных наук I курса: князь Илья Чавчавадзе» (ლიტ. მემკვიდრეობა. წგ. 1, 1935, გვ. 560).

ივნისის 4 — პეტერბურგში წერს ლექსებს „გუთნის-დედა“ (პირველი რედაქცია) და „სიმღერას“.

ივნისი — აგვისტო — პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთან ერთად ზაფხულის არდადეგებს ატარებს ცარსკოე სელოს მახლობელ სოფელ ტიარლევოში.

ამ პერიოდში ახალგაზრდა ილია ეცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფულ კრებულებს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში, ცარსკოე სელოში (პ. ინგოროყვა. ილია ჭავჭავაძე. 1962, გვ. 59—70).

„მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა უმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“ (კ. აბხაზი. — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 564).

ბარათაშვილის ლექსების გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებს თვით ილია ასე გადმოსცემს:

„როს წავიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნიოს შავი ღრუბლები,

ისე იდარა, ჩემ მწუხარ შუბლმა.
. . . . . .
. . . . . .
როს წავიკითხე მისი ლექსები,
ამოვიკვნესე დაობლებულმა".

ივნისის 20 — წერს ლექსს „მეც შავ თვალებს".

ივნისის 23 — წერს ლექსს „გიყვარდეს".

ივნისის 27 — თარგმნის პუშკინის ლექსებს „ჰეშმარიტება" და „ანგელოზი".

ივლისი — წერილს ღებულობს ნათესავ ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისაგან.

ივლისის 13 (?) (აგვისტოს 13?) — საპასუხო წერილს უგზავნის ნენე ანდრონიკაშვილს.

„არ ვიცი, როგორ გამოვსთქვა ჩემი სიამოვნება თქვენი წიგნით გაღვიძებული?... გმადლობ, საყვარელო დაო, რომ ერთის წლის განშორებამ არ დაგავიწყათ თქვენი, როგორც მწერთ, პატარა ძამია, რომლისც გულშია ღრმათაა შორიდამ თქვენდამო პატივისცემა და ნათესავური სიყვარული" (თსკ, ტ. X, გვ. 12—13).

ივლისის 15 — წერს ლექსს „სიზმარი".

ივლისის 17 — წერს ლექსს „ლოცვა" (მამაო ჩვენო).

ივლისის 23 — წერს ლექსს „უცხოეთში". ამავე დღეს თარგმნის პუშკინის „წინასწარმეტყველს".

აგვისტოს 1 — წერს ლექსებს „ლოთის რჩევა", „როდემდის", „პავლოვსკის პარკი".

აგვისტოს მეორე ნახევარი — ილია ტიარლევოდან ბრუნდება პეტერბურგში და დამატებით აბარებს გამოცდებს მეორე კურსზე გადასასვლელად. ამჯერად ილია აბარებს შემდეგ დისციპლინებს:

სახელმწიფო სამართალი — 4, რუსეთის კანონმდებლობა — 4, ღვთისმეტყველება — 5, ზოოლოგია — 3, ფსიქოლოგია — 5. (ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 561).

აგვისტოს 25 — სამოსწავლო მზრუნველის გადაწყვეტილებით ილია პირველი კურსიდან გადაჰყავთ მეორე კურსზე.

აგვისტოს ბოლო — გამოცდების ჩაბარების შემდეგ ბრუნდება ტიარლევოში.

აგვისტოს 28 — წერს ლექსს „ლოცვა“ (ოდეს დემონი...).

ოქტომბრის 26 — წერს ლექსებს „ვიხილე სატრფო“ და „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“.

პეტერბურგში ჩასვლის პირველსავე წელს ეცნობა და უახლოვდება გენერალ ჩაიკოვსკის ასულს სოფიოს. ლექსი „ვიხილე სატრფო“ სოფიო ჩაიკოვსკაიასთან შეხვედრით არის შთაგონებული. შემდეგშიც ილია არაერთ ლექსს უძღვნის ჩაიკოვსკის ასულს.

„პეტერბურგში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის... ქალით. ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ“ (კ. აბხაზი.—ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 565).

ნოემბრის 5 — წერს ლექსს „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში...“.

ნოემბრის 19 — წერს ლექსს „დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან...“.

დეკემბრის 15 — წერს ლექსს „ქართვლის დედას“. ამავე დღეს ილია წერს პირველ ვარიანტს ლექსისას „მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით“, სათაურით — „ს...ს“ [სოფიო ჩაიკოვსკაიას?].

დეკემბრის 22 — თარგმნის ჰაინეს ლექსს „როცა შეეყურებ...“.

დეკემბრის 26 — წერს ლექსს „ბევრი ვიტანჯე...“.

დეკემბრის 30 — წერს ლექსს „ს...ს“ [სოფიო ჩაიკოვსკაიას?]

„მას აქეთ, რაც შენ მე შემიყვარდი
აღარ შორდება ჩემს გულსა ურვა...“

დეკემბრის 31 — წერს ლექსს „რისთვის მიყვარხარ?“.

*

* *

ამ წელს ილია წერს აგრეთვე ლექსებს „მითხარით რისთვის“ და „ჩემი თარიარალი“. ეს უკანასკნელი მიმართულია მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ვრცელდება ხელნაწერის სახით.

თარგმნის ჰაინეს ლექსს „ლოყით მომეპყარ...“.

მუშაობს პოემა „აჩრდილის“ პირველ რედაქციაზე, აგრძელებს მუშაობას წინა წელს დაწყებულ პროზაულ ნაწარმოებზე „ცხოვრების გამონაცადი“, წერს მოთხრობა „კოლას“ და იწყებს მუშაობას მოთხრობაზე „კაკო“, რომლებიც წარმოადგენენ ესკიზებს შემდგომში ილიას სამი ნაწარმოებისა: „კაცია ადამიანისა“, „გლახის ნაამბობისა“ და პოემა „კაკო ყაჩაღისა“.

იანვარი — ჟურნალი „ცისკარი“ (№ 1) აქვეყნებს გოეთეს ლექსის „ბედა მჭადაგებლის“ ილიასეულ თარგმანს.

იანვრის 11 — წერს ლექსს „ხმა გულისა“.

იანვრის 18 — წერს ლექსს „მითხარ მიყვარხარ...“ და თარგმნის რიუკერტის ლექსს „ჩრდილნი მაღალ მთებისა“.

იანვრის 19 — წერს ლექსებს „გავსწორდეთ, ბედო“, ჰაინეს მიბაძვით „მეცა მჭონია კარგი მამული“.

იანვრის 26 — ამთავრებს პოემა „აჩრდილის“ პირველ ვარიანტს (საბოლოო რედაქცია იხ. 1872 წ.).

თებერვალი — ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში ქვეყნდება შილერის ლექსის „ცრემლთა შინა ნუგეშის“ ილიასეული თარგმანი.

სოფიო ჩაიკოვსკაიას ტრფობა არ ნელდება. ილია ხშირად დადის მის ოჯახში. მოხიბლულია მისით და დანაპირების ასასრულებლად თავის დას ნინოს წერილს წერს კარდანახიდან[5].

„... ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ჭამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი, შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე ნინო, საადგომოთ გამომიგზავნე: ვიცი რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებს.

იანვრის ცისკარში ჩემი ლექსია დაბეჭდილი[6], წაიკითხე თუ არა. აი გინდოდა ჩემი ლექსი გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურებოდა, არც მაგას დავაბეჭდინებდი, იმიტომ, რომა ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“ (თსკ, ტ. X, გვ. 9).

თებერვლის 19 — წერს ლექსს „ვაი, მას ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“ (ბოლო რედაქცია იხ. 1860 წ.), არსებობს ამ ლექსის ვარიანტი „ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია“.

---

5 ეს წერილი ადრესატს გაეგზავნა ერთი თვის დაგვიანებით, 18 მარტს.

6 ილია აქ გულისხმობს „ბედა მჭადაგებელს“ და არა „ჩიტს“, როგორც ეს მითითებულია ილიას თხზულებათა სრული კრებულის მეათე ტომის შენიშვნებში. ლექსი „ჩიტი“ დაიბეჭდა „ცისკრის“ 1857 წ. პირველ ნომერში და ცხადია ორი წლის წინათ დაბეჭდილ ლექსზე ილია არ მიუთითებდა.

მარტი — ჟურნალ „ცისკრის“ მესამე ნომერში ქვეყნდება ილიას ლექსი „მეც შავ თვალებს“.

მარტის 7 — უცნობი ავტორის მიბაძვით წერს ერთსტროფიან ლექსს „სიხარული“.

მარტის 16 — ამთავრებს ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ თარგმნას.

მარტის 18 — წერილს, რომელიც დაწერა 18 თებერვალს, ერთი თვის დაგვიანებით უგზავნის ადრესატს — ნინო ჭავჭავაძე-აბხაზს მინაწერით.

„ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და ეხლა ვიპოვნე ქაღალდებში, აქ დამრჩენია თურმე და ეხლა გიგზავნი. ნუ დამცინებ ჩემ დაუდევნელობაზედ...“ (თსკ, ტ. X, გვ. 9). .

მარტის 27 — წერს ლექსს „ციურნი ხმები“.

აპრილის 6 — წერს ლექსს „ნანა ქართვლისა“ („ნანას“ პირველი ვარიანტი).

აპრილის 13 — წერს ლექსს „ქართვლის ნანა ქართვლს აკვანზე“ („ნანას“ მეორე ვარიანტი) და „ნანას“ საბოლოო რედაქციას.

აპრილის ბოლო-მაისი — ავად არის ჭლექის ნიშნებით, აქვს სისხლღებინება. მკურნალობს ექიმი ნიკოლოზ არენდი. მკურნალობა შედეგს იძლევა, ავადმყოფობა უკან იხევს, მაგრამ საბოლოო განკურნებისათვის ექიმს საჭიროდ მიაჩნია სამხრეთული მშრალი კლიმატით მკურნალობა.

«Дано Студенту И. С. Петербургского университета к-зю Илье Чавчавадзе в том, что он был пользован мною от кровохарканья, в продолжение мая месяца 1859 года и что, хотя болезнь и уступила принятым медицинским мерам, но для окончательного излечения болезни необходимо пользоваться в продолжении лета благоприятным южным климатом» (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 561).

ივნისის 4 — წერს ლექსს „ელეგია“.

ივნისის 22 — უნივერსიტეტის ინსპექტორის სახელზე ილიას შეაქვს თხოვნა ავადმყოფობის გამო გამოცდების გადადების შესახებ.

„მთელი მაისის თვეში, და განსაკუთრებით კი მის უკანასკნელ რიცხვებში ვიმყოფებოდი ავად, მე არ მჭონდა შესაძლებლობა გამოვცხადებულიყავი 28 მაისს სასოფლო მეურნეობის გამოცდაზე. გაუ-

წყებთ რა აღნიშნულს და გირდგენთ რა საექიმო მოწმობას უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ეს გარემოება მხედველობაში როგორც საპატიო მიზეზი“ (იქვე, გვ. 560—561).

ივნისის 22-ის შემდეგ — უნივერსიტეტის კამერალური განყოფილების გადაწყვეტილებით ილიას გადაეევადა გამოცდები ზოგიერთ დისციპლინაში.

ივნისის ბოლო — პეტერბურგიდან მოემგზავრება სამკურნალოდ საქართველოში.

ზაფხული — შემოდგომის დასაწყისი — იმყოფება თბილისსა და ყვარელში.

ივლისის 26 — თარგმნის რიუკერტის ლექსს „კართა თანა“. ამ დროს იგი თბილისშია.

ზაფხული (?) — ილიას თაოსნობით თბილისის გიმნაზიის შენობაში იმართება ცოცხალი სურათები ძველი აღთქმიდან და „მეფე ლირიდან“. ლირის როლს ასრულებს ილია.

„... გიმნაზიის... დარბაზში სცენა მოაწყო. ტფილისის წარჩინებული ოჯახების და თავადის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა ამ სურათებში, რომელიც კარგის ესტეტიკურის გემოვნებით, ხელოვნებით და აზრიანად იყო შედგენილი. ტფილისის საზოგადოება ინტერესით მოაწყდა და დიდის კმაყოფილებით დარჩა. ვინ იფიქრებდა, რომ ქართულის თეატრის განახლების მიზეზი უნდა გამხდარიყო ისევ ეს დარბაზი, რომელშიაც პირველი ქართული წარმოდგენა ჰნახა საზოგადოებამ...“ (პ. უმიკაშვილი — ივერია, 1899, № 210).

სექტემბერი — ჟურნალი „ცისკარი (№ 9) აქვეყნებს ბაირონის ლექსს „სტიროდეთ“ ილიასეულ თარგმანს.

სექტემბრის ბოლო — ილია სტუმრად მიდის სოფელ კარდანახში, პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულ კოხტა აბხაზთან.

„ერთხელ ილია... მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხამ ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამ[ს]: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე

დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 565).

სექტემბრის 27 (?) — კოხტა აბხაზთან ერთად ილია მიდის ალავერდში, ხატობაზე დასასწრებლად. გზაში ილია კოხტა აბხაზს უამბობს სოლომონ ჭავჭავაძის ვალების მოცილების შესახებ.

„... ერთ დღეს ალავერდში მივდიოდით ხატობაში და აი, აქ გზაში, ილიამ სიხარულით მითხრა: „კოხტა მომილოცე, გავათავეთ. სოლომონმა აი ამტენი ფული გამომიგზავნა პეტერბურღში. ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე, სულ მთლად დაუბრუნე მეთქი. ახლა თავისუფალი ვარ“. მეტად ნასიამოვნები იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 566).

ოქტომბერი — პირველად ქვეყნდება ილიას ნაწარმოები „არაგვი“, ნაწყვეტი პოემა „აჩრდილიდან“ (ცისკარი, № 10).

ოქტომბრის 3 — თბილისშია და წერს ლექსს „მტკვრის პირას“.

ოქტომბრის შუა რიცხვები — ბრუნდება პეტერბურგში და აბარებს გადავადებულ გამოცდებს.

საპოლოო შეფასებით დისციპლინებში: მიწათმოქმედება — 4, ფსიქოლოგია — 4, სამოქალაქო სამართალი — 5, ბოტანიკა — 4, ქართული ენა — 5, ღვთისმეტყველება — 5. ილია გადაყვანილი იქნა მესამე კურსზე. (ი. ბალახაშვილი. ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა. 1937. გვ. 77).

ნოემბერი — ქვეყნდება ლექსი „ელეგია“ (ცისკარი, № 11).

ნოემბრის 30—წერს ლექსს „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი?“.

დეკემბერი — ჟურნალ „ცისკრის“ № 12-ში იბეჭდება რიუკერტის ლექსის „კარებთან“ ილიასეული თარგმანი (თსკ-ში სათაურით — „კართა თანა“).

დეკემბრის 26 — წერს ლექსს „დაკარგული ედემი“.

*
* *

ამ წელს წერს აგრეთვე ლექსებს „ალაზანს“ და „სიზმარი“ (ძმაო სურვილით...)[7].

---

7 პ. ინგოროყვას აზრით „ალაზანს“ დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 6—13 აპრილს, ხოლო „სიზმარი“ 4 ივნისს — 30 ნოემბერს შორის. (იხ. თსკ, ტ. 1, 33 431)

ამთავრებს ჩანახატს „კაკო“. მუშაობს „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ პირველ ვარიანტებზე.

1860

აპრილის ბოლო (?) — გარდაიცვალა ილიას ძმა თეიმურაზი, პეტერბურგის კადეტთა კორპუსის მსმენელი, 15 წლისა. ძმის სიკვდილი ღრმა მწუხარებაში აგდებს ილიას. ჯანმრთელობა კვლავ შერყეული აქვს.

მაისის 14 — წერილს უგზავნის მამიდა. მაკრინეს, რომლითაც განმეორებით ატყობინებს თეიმურაზის გარდაცვალებას.

„თქვენი წიგნი მომივიდა ფულით და როგორც სჩანს მაშინ არა გცოდნიათ ჩემი უბედურობა. მამიდაჯან! რა დაუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლათ გვიწამლავს დღეებს ამთვენ ტანჯვით. ჩემი პატარა თემურა სადღა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?! ვეღარ გნახავთ ის საწყალი და უბედური: ნეტავი თავის ქვეყანაში. გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო. ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა. რაზედ გამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი.

მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილა, თუ ღმერთმა ბოლო არ მამიღო კულავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული“ (თსკ. ტ. X, გვ. 19-20).

იმავე დღეებში ილიამ ლექსითაც („ძმის სიკვდილზედ“) გამოხატა თემურის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა:

„ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე!..
მე დავრჩი მარტო, უბედური, შენად მახვრალი...“.

ივნისის 19 — წერს ლექსს „მძინარე ქალი“. ამავე დღეს წერს ლექსს „მწუხარების“ პირველ ვარიანტს.

ზაფხული — ზაფხულის არდადეგებს ატარებს სოფელ პავლოვსკში.

ივლისის 11 — საბოლოო რედაქციას უკეთებს ლექსს „მწუხარება“.

ივლისის 12 — წერს ლექსს „მუშა“ (არსებობს ამ ლექსის პირველი ვარიანტი).

ივლისის 14 — წერს ლექს „ქართველის დედა"-ს პირველ ვარიანტს (არსებობს ამ ლექსის სამი ვარიანტი. ბოლო რედაქცია იხ. 1871 წ.).

ივლისის 16 (?) — ლექსს უძღვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს („ალექსანდრე ჭავჭავაძე"). (არსებობს ამ ლექსის პირველი ვარიანტი).

ივლისის 19 — მუშაობს ლექსს „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ"[8] და ქმნის ლექსის პირველ ვარიანტს, რომელიც წარმოადგენს მოგონებას იმ შთაბეჭდილებებისა, რაც გამოიწვია ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებულების პირველმა გაცნობამ. ეს უკანასკნელი კი მოხდა 1858 წელს.

„როს წავიკითხე მისი ლექსები
ვერარა ვთქვი რა განცვიფრებულმა..."

ლექსის საბოლოო ვარიანტი („ვაი დავკარგეთ!... ულმრთო იყო შენი სიკვდილი...), რომელსაც ილია წერს ამავე წლის აგვისტოს თვეში (?), სრულიად განსხვავებულია პირველი ვარიანტისაგან.

ივლისის 21 — ლექსს „ს... ჩ... სას" (სატრფოვ ხშირად ლაღი ფიქრი...) უძღვნის სოფიო ჩაიკოვსკაიას.

ივლისის 22 — წერს ლექსს „ჩ...სას" [ჩაიკოვსკაიას] (უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...).

ივლისის 23 — წერს ლექსს „პოეტი".

ივლისის 29 — წერს ლექსს „მესმის, მესმის სანატრელი".

აგვისტო — წერს ლექსს „ჩემო მკვლელო".

აგვისტოს 4 — თარგმნის ლერმონტოვის ლექსებს „წინასწარმეტყველი", „სიზმარი" და „ციცაბო კლდე".

აგვისტოს 18 — წერს ლექსს „ქართველი სტუდენტების სიმღერა" (მეორე ვარიანტი. ამ ლექსის პირველი ვარიანტიც იმავე 1860 წელს უნდა ეკუთვნოდეს. არსებობს ლექსის მესამე ვარიანტი და საბოლოო რედაქცია, რომლებიც ავტოგრაფებში 1860 წლით არის დათარიღებული).

---

8 ამ ლექსის შექმნაზე ორი განსხვავებული აზრი არსებობს: ერთნი (მკვლევართა უმრავლესობა) მიიჩნევენ, რომ ლექსი შექმნილია ილიას მიერ ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებულების გაცნობისთანავე, რომელიც მათი აზრით მოხდა 1860 წ. ივლისში, ხოლო მეორე (პ. ინგოროყვა) მიიჩნევს, რომ ლექსი დაიწერა (როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული) ავტოგრაფული კრებულების (1858 წ.) გაცნობის ორი წლის შემდეგ.

სექტემბერი — ქვეყნდება ლექსები „ერთხელ მეც, ძმანო, შეც შყვარებია...“ და „მწუხარება“ (ცისკარი, 1860, № 9).

სექტემბრის 12 — წერს ლექსს სახელწოდებით „მეფანტურე“, რომელიც წარმოადგენს პოემა „დიმიტრი თავდადებულის“ პირვანდელ ესკიზს.

ოქტომბრის 6 — წერს ლექსს „ზოგიერთებს“.

ნოემბერი — ჟურნალი „ცისკარი“ (№ 11) ბეჭდავს ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ ილიასეულ თარგმანს.

ნოემბრის 5 — წერს ლექსებს „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში...“ და „იანიჩარი“ (ამ ლექსის პირველი ვარიანტი ილიამ დაწერა „კანეოელის“ სახელწოდებით).

ამავე დღეს ამთავრებს კრიტიკულ წერილს — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“[9]. ამ წერილით ილია პირველი აყენებს საკითხს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის შესახებ.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას...“.

დეკემბრის 11 — ამთავრებს პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“.

დეკემბრის 25 — წერს ლექსს „დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა...“.

*
* *

ამ წელს წერს აგრეთვე ლექსებს „უსულდგმულო ცხოვრება...“, „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო...“, ნაწყვეტს დრამატული პოემიდან „ირაკლი“; თარგმნის ნაწყვეტებს ლერმონტოვის „დემონიდან“, ბაირონის „კაენიდან“ და „მანფრედიდან“.

1861

იანვარი — ქვეყნდება ლექსი „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო...“ და პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსების „წინასწარმეტყველის“ ილიასეული თარგმანები (ცისკარი, № 1).

---

9 ი. კოზლოვის „შეშლილის“ რევაზ ერისთავისეული თარგმანი დაიბეჭდა ჟურ. „ცისკრის“ 1860 წ. ოქტომბრის ნომერში.

იანვრის 28 — წერს ლექსს „გაზაფხული“ (ტყემ მოისხა ფოთოლი). არსებობს ამ ლექსის პირველი ვარიანტი.

თებერვალი (?) — მარტი (?) — კრიტიკულ სტატიას „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა (ზუმბერიძის ხელმოწერით) და რამდენიმე თავის ლექსს პირად წერილთან ერთად უგზავნის თავის მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს თბილისში, ჟურნალ „ცისკარში“ გამოსაქვეყნებლად.

„აი ამ სტატიასა გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშკა[რაო არა]ვისთან, ხელაღებით არავისთან; იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს სხვის მხრით დააჭერე ისინი, რო მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი...

ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს. ერთი წიგნი მოიწერე ჩემი აჩრდილი და ჰაჯი-აბრეკი რა ყოფაში არიან“ (თსკ, ტ. X, გვ. 23—24).

აპრილი — ჟურნალ „ცისკარში“ (№ 4) ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ქვეყნდება კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის „თარგმანზედა“ და ლექსები „გაზაფხული“ (ტყეს ესხმება ფოთოლი), „გახსოვს ტურფავ...“ (სათაურით „ალბომში“) და „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე“.

აპრილის ბოლო — ამთავრებს პეტერბურგის მეოთხე კურსის მოსმენას, გამოცდების ნაწილს აბარებს და სამშობლოსაკენ მოემგზავრება.

„ოთხი წელიწადი იყო,. რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა. ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჰაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ

ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“ (თსკ. ტ. II, გვ. 10—11).

მაისი — ილიას კრიტიკული სტატიის — „ორიოდე სიტყვა...“ სა-პასუხოდ ჟურნალ „ცისკრის“ № 5-ში ქვეყნდება პოეტი ქალის ბარბა-რე ჯორჯაძის, რევაზ ერისთავის და გ. ბარათაშვილის წერილები.

მაისის დასაწყისი — ილია პეტერბურგიდან თბილისში ბრუნდება.

მაისის 14 — პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული წერს „პა-სუხს“ ჟურნალ „ცისკრის“ მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ბ. ჯორჯა-ძის, რევაზ ერისთავის და გ. ბარათაშვილის წერილებზე.

ივნისი — „ცისკარი“ (№ 6) აქვეყნებს ილიას წერილს სათაურით „პასუხი, უძღვნი თ. ალ. ვახტანგისძე ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიასა“.

„ცისკრის“ ამავე ნომერში იბეჭდება გ. ბარათოვის „წერილი რე-დაქტორთან“, რომელშიც გაკრიტიკებულია ილიას ლექსები და სარ-დიონ ალექსეევ-მესხიევის „უსტარი ანტიკრიტიკული“, მიმართული ილიას სტატიის „ორიოდე სიტყვას...“ წინააღმდეგ.

ზაფხული — ისვენებს მშობლიურ ყვარელში.

ივლისი-აგვისტო (?) — წერს სტატიას — „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“.

„თ. ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია „უფ. მესხიევის“ ანტი-კრიტიკულ უსტარის „პასუხად“, რომლისაც დაბეჭდვა ვერ მოვახერ-ხეთ ამ ნუმერში, — შემდეგ წიგნში უეჭველად დაიბეჭდება“ (ცისკა-რი, 1861, № 10, გვ. 178). ილიას ეს წერილი „ცისკრის“ არც შემდეგ ნომრებში დაბეჭდილა (პირველად დაიბეჭდა თხზულებათა სრული კრებულის მესამე ტომში).

აგვისტოს 6 — წერს ლექსს „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სი-ყვარული“.

სექტემბერი — ილიას „პასუხის“ გამო ქვეყნდება ბარბარე ჯორ-ჯაძის „პასუხს პასუხი“ (ცისკარი, 1861, № 9, გვ. 87—106).

ილია ხელს იღებს ჟურნალ „ცისკარში“ თანამშრომლობაზე.

სექტემბრის დასაწყისი (?) — საქართველოდან მიემგზავრება პე-ტერბურგში და აბარებს გადავადებულ გამოცდებს. ამ პერიოდს ემ-თხვევა ახალი საუნივერსიტეტო რეფორმის გატარება და რეფორმით გამოწვეული სტუდენტთა მღელვარება.

სექტემბრის 24 — სტუდენტთა მღელვარების გამო უნივერსიტე-ტში წყდება ლექციების კითხვა.

სექტემბრის 25-ოქტომბრის 11 — ტარდება სტუდენტთა დემონსტრაციები და შეკრებები.

ოქტომბრის 12 — ჯარის ნაწილები აპატიმრებენ შეკრების მონაწილე სტუდენტებს. ქართველ სტუდენტთაგან აპატიმრებენ კირილე ლორთქიფანიძეს, ბესარიონ ღოღობერიძეს, გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს და სხვებს.

ოქტომბრის 15 — სტუდენტთა არეულობის გამო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უნივერსიტეტიდან ითხოვს არეულობის ყველა მონაწილეს. ილია, როგორც საუნივერსიტეტო ახალი რეფორმის მოწინააღმდეგე, თავს ანებებს უნივერსიტეტს და სამშობლოსაკენ მიემგზავრება.

„1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით“ (თსკ, ტ. IX, გვ. 309).

„.... მეც და ილიაც იძულებულნი ვიყავით უნივერსიტეტიდან მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყავით. ეს მოხდა აგრეთწოდებულ „მატრიკულების“ წყალობით, რომელიც შემოღებულ იქმნა პეტერბურღის გენ.-ღუბერნ. იგნატიევის წყალობით და მეცადინეობით. ჩვენ თითქმის ყველა სტუდენტმა ამის შესახებ პროტესტი გამოვაცხადეთ, და მართალია არც მე, არც ილია სტუდენტების კრებას არ დავსწრებივართ (მე ვერ მივუსწარი კრებას, როდესაც მივედით, კრებისთვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა), მაგრამ მაინც გამოგვიცხადეს, რომ ვინც მატრიკულებს არ დაემორჩილება, პეტერბურღიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა წავიდეს თავის სამშობლოშიო. ჩვენც წამოვედით“ (კ. აბხაზი — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 564).

„თავადი ი. გ. ჭავჭავაძე... იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის კამერალური განყოფილების იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო“ (ცრებული „Государственный Совет 1906—1907 гг.“ გვ. 199).

ილიას სახელზე გაცემულ მოწმობაში აღნიშნულია: „წარმომდგენი ამისა თავადი ილია ჭავჭავაძე, 1857 წლის 21 ივლისს ჩაირიცხა რა სტუდენტად ს. პეტერბურგის საიმპ. უნივერსიტეტში, ძალიან კარგი ყოფაქცევით, მოისმინა მეცნიერებანი იურიდიულ ფაკულტეტზე, კამერალურ მეცნიერებათა განხრით; 1861 წლის 12 ოქტომბერს კი, მისი თხოვნის შესაბამისად, დათხოვნილია უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან; ამის გამო არ შეუძლია ისარგებლოს უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვთ სტუდენტებს, რომელთაც მეცნიერებათა მთელი კურ-

სი დაამთავრეს; სამოქალაქო სამსახურში შესვლის შემთხვევაში უფლება აქვს, ჩაითვალოს მეორე თანრიგის ჩინოვნიკად".

მოწმობა გაიცა უნივერსიტეტის რექტორ ე. ლენცის ხელმოწერით 1863 წ. 4 ნოემბერს, ილიას თხოვნის შესაბამისად.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ილია თავის გარშემო იკრებს ახალგაზრდობას, რომელიც შემდგომში „პირველი დასის" სახელწოდებით ხდება ცნობილი.

„ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის გათავისუფლების წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც თ. ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკაროში" და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებათ იყვნენ თ. ილ. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ღუმინიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაცკი. მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხაილ ჩიქვაიძე, ილ. წინამძღვრიშვილი და ვ. თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, საცა კითხულობდენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალ დაწერილი ლექსების და „გლახის ნაამბობის" თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრეს გარეშე არა-ჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში" (გ. წერეთელი — კვალი, 1897, № 46, გვ. 815).

ოქტომბერი — წერს ლექსს „ჩემო კალამო, ჩემო კარგო...".

*
* *

ამ წელს თარგმნის ანდრე შენიეს ლექსს „ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა...".

წერს „მგზავრის წერილების" პირველ ვარიანტს.

„მაგრამ დღის სინათლე მან ბევრად გვიან იხილა. ეროვნული რადიკალიზმი იმდენად მკვეთრად არის გამოვლინებული ამ ნაწარმოებში, ყოველგვარი „დიპლომატური" საფარველის გარეშე, რომ ცენზურას სამოციან წლებში აუკრძალავს მისი დაბეჭდვა. უფრო გვიან, 1871 წელს, თუმცა მოხერხდა ამ ნაწარმოების გამოქვეყნება, მაგრამ შემოკლებით. მხოლოდ 1892 წელს, ე. ი. 31 წლის შემდეგ ამ ნაწარმოების დაწერიდან, შესაძლო გახდა სრულად გამოქვეყნება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლისა" (პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე. 1962, გვ. 118).

ამ წელს ილია ცდილობს ახალთაობის წარმომადგენლებთან ერთად დააარსოს ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება

ხალხში ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელება, მაგრამ საზოგადოების დაარსების ნებართვას ვერ ღებულობს (ა. იოვიძე — საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 148).

1862

ილია ღებულობს გადაწყვეტილებას ახალი თაობის ჟურნალის დაარსების შესახებ. იგი დაკავებულია ჟურნალის დაარსების საორგანიზაციო საქმიანობით (აღსანიშნავია, რომ ილიას ამ წელს არცერთი მხატვრული ნაწარმოები არ შეუქმნია და არ გამოუქვეყნებია, თუ არ ჩავთვლით „გლახის ნაამბობის“ ბოლო რედაქციაზე მუშაობას).

თებერვალი — ადგენს ახალი ჟურნალის პროგრამას და თხოვნას უდგენს საცენზურო კომიტეტსა და მეფისნაცვალს კავკასიაში ჟურნალის გამოცემის ნებართვისათვის.

თებერვლის 28 — ილია ჭავჭავაძის თხოვნას ჟურნალის გამოცემის ნებართვის შესახებ, ჟურნალის პროგრამისა და საცენზურო კომიტეტის თანხმობის ზედდართვით, კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ორბელიანი საბოლოო დასკვნისათვის წარუდგენს კავკასიის კომიტეტს.

«Отношение и. д. наместника Кавказского, ген. адъют. Орбелиани, к члену Кавказского Комитета, управляющему делами онаго, от 28-го февраля 1862 года, № 113.

Кн. Илья Чавчавадзе обратился с просьбою о дозволении ему издавать новый журнал на Грузинском языке под заглавием: «Грузинский Вестник».

Кавказский Цензурный Комитет, разсмотрев и одобрив представленную кн. Чавчавадзе программу этого журнала, испрашивает разрешения на издание онаго» (Акты собранные Кавказскою Археографическою комиссиею. т. 12, с. 238).

თითქმის მთელი წლის მანძილზე გრძელდება წინა წელს ატეხილი პოლემიკა ძველსა და ახალ თაობას შორის ილიას კრიტიკული სტატიის „ორიოდე სიტყვას...“ გარშემო.

„ცისკრის“ № 2-ში ქვეყნდება ეფთვიმე წერეთლის კრიტიკული წერილი ილიას წინააღმდეგ.

პაექრობაში ებმებიან ილიას თანამოაზრენიც. ქვეყნდება წერილები ეფთვიმე წერეთლის წერილის საწინააღმდეგოდ: კირილე ლორთქიფანიძის (თერგდალეულის ხელმოწერით) და სამსონ აბაშიძის (თერგდალეულის ხელმოწერით) „ცისკრის“ № 4-ში; აკაკი წერეთლის (მესამე თერგდალეულის ხელმოწერით) „ცისკრის“ № 6-ში.

„ცისკრის“ № 8-ში იბეჭდება თომა მაჭავარიანის „პასუხი მეორე თერგდალეულის [სამსონ აბაშიძის] პასუხისა“.

„ცისკრის“ № 9-ში კირილე ლორთქიფანიძე (თერგდალეულის ხელმოწერით) ბეჭდავს წერილს „ცისკარზედ“ და ახალს ჟურნალის სარგებლობაზედ“. ამავე ნომერში ივ. კერესელიძე (მოლაყბის ხელმოწერით) აქვეყნებს სალაყბოს ფურცელს თერგდალეულის საპასუხოდ.

ოქტომბერი — ჟურნალ „ცისკრის“ № 10-ში და გაზეთ „კავკაზის“ დამატებაში (№ 83) ილია აქვეყნებს თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბის „პროგრამას“.

„ამ ჟურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომი ნაწილები:

1. **წმინდა სალიტერატურო:** ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნამდვილები და ნათარგმნი.

2. **ისტორიული:** საზოგადო ისტორია, განსაკუთრებით ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.

3. **საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია:** აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმდენად, რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

4. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:** აქ განირჩევიან უცხო ენებზე დაწერილი თხზულებები და ქართული წიგნები.

5. **სხვადასხვა ანბავი.**

6. **დამატება:** ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებაები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.

ამ პროგრამას ამჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ... ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ... ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა...

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ღოღობერიძემ, სხვადასხვა ამბებისა უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიურ ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თვე და თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ. 160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზე მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზედ, თ. ივანე მუხრანსკის სახლებში № 26.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“.

ილია ემზადება ჟურნალის გამოცემისათვის, თავის გარშემო იკრებს ჟურნალის თანამშრომლებს, რედაქციის მუშაკებს. ხელშეკრულებას აფორმებს სტამბის მეპატრონეებთან — მელქუმიანთან და ენფიაჯიანცთან.

საზოგადოებაც მოუთმენლად ელის ახალი თაობის ახალ ჟურნალს. ყველგან ილიას ჟურნალზე ლაპარაკობენ, ცდილობენ მის გავრცელებას.

„... ბაბალე მწერდა გუშინ წიგნსა, კახეთში ხმა დააგდეს, ჭავჭავაძემ ისეთი რამ უნდა გამოსცეს, ჯერ არც ენახოს ქვეყანას... ილია მამაცაშვილი და გ. ღოღობერიძე ქუთაისში ძლიერ ცდილობენ ჭავჭავაძისათვის... ისეთი ხმა დაუგდეს ჭავჭავაძის პარტიამ იმათ მომავალ ჟურნალს, რომ ჩვენი ჟურნალი სულ გაჰყინა...“ (ივ. კერესელიძე — ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 542).

ოქტომბერი-ნოემბერი (?) — ილია ჩოლოყაშვილების ოჯახში (?) ეცნობა ქალთა ინსტიტუტის მსმენელს, 19 წლის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილს (შემდგომში ილიას მეუღლეს).

წლის ბოლო — თავისი ჟურნალის პირველი ნომრისათვის წერს ფილოსოფიურ-პუბლიცისტურ წერილს „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის განახლებისა და, ამასთან, ჟურნალისა და ახალთაობის სამოქმედო პროგრამას.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ჩვენი „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება, თავის სრულის წარმოებითა. სრულის ვითარებითა... ჩვენ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა...“ (თსკ, ტ. I. გვ. LXXXI).

*
* *

ამ წელს ილია მუშაობს კრიტიკულ წერილზე „ცისკარი 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“, რომელშიც მიმოიხილავს ჟურნალ „ცისკრის“ ექვსი წლის მასალას (წერილი ილიას სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა).

„... ის ცდილობს გამოაჩინოს შეუბრალებლად რაც ცუდია — ცუდად, რაც კარგია — კარგად. პირფერობა და ურცხვი, უალაგო ქება გლახის და მათხოვრის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა“ (თსკ, ტ. III, გვ. 456).

1863

იანვარი-თებერვალი — ილია მთლიანად დაკავებულია „საქართველოს მოამბით“. ჟურნალისათვის ამზადებს საკუთარ ნაწარმოებებს, რე-

დაქციას უკეთებს პირველი ნომრის მასალებს, დღედაღამ სტამბაშია და მეთვალყურეობს ბეჭდვას, კორექტურას, კინძვას. მაინც ახერხებს ფარული მიმოწერა და შეხვედრები ჰქონდეს გამიჯნურებულ ოლღა გურამიშვილთან.

„... გეფიცები, მთელი დღე შენით ვსულდგმულობ. სტამბაშიც-კი, ამ მოსაწყენ სტამბაში გამუდმებით თვალწინ მიტრიალებ“ (თსკ, ტ. X, გვ. 186).

იანვრის 12 — საცენზურო კომიტეტისაგან იღებს ნებართვას „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის დაბეჭდვაზე.

იანვრის 16 — ილია პირველ წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს, თხოვს აცნობოს შეხვედრის ადგილი.

იანვრის 20 — ილია და ოლღა ტაძარში წირვაზე ხვდებიან ერთმანეთს.

იანვრის 29 — ოლღა გურამიშვილისაგან ღებულობს წერილს. ილიას თხოვს მივიდეს მასთან ოთხ საათზე. ილიაც დაუყოვნებლივ პასუხს აძლევს.

„... თუმცა მე დიდად მოხარული ვარ და ვეცდები კიდეც მოვიდე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ შემიშლის ხელს გითხრა, რომ ამ შეხვედრის გამო შეიძლება მთელი ჩვენი საქმე ხიფათში ჩავარდეს... გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ-მეთქი; უნდა მივიდე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი არაფრით არ თანხმდება გაუშვას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩიჩინები, — ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება“ (იქვე, გვ. 181—182).

თებერვლის დასაწყისი — მთელ დღეებს სტამბაში ატარებს. ცდილობს ისედაც დაგვიანებულ ნომერს კიდევ არ დაგვიანდეს, რაიმემ არ შეაფერხოს.

„გუშინ დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე სტამბაში ვეგდე. ისეთ სულელურ სამუშაოს გადავყევი, რომ შინ დაღლილი დავბრუნდი... მოსვლისთანავე, არ მისადილია, ისე მივეგდე მკვდარივით...“ (იქვე, გვ. 184).

თებერვლის 10 — ილია მონაწილეობს საოჯახო მასკარადში.

„მასკარადზე, ჩემო მეგობარო, ისე მოწყენილი ვიყავ, ირგვლივ ისე სულელურად გამოიყურებოდა ყველაფერი და ისეთი მტვერი იდგა, ვერც კი წარმოიდგენ...“

თებერვლის პირველი დეკადა — ილია ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის მოლოდინშია.

„ჟურნალი ამ დღეებში გამოვა. მე შენგან მოვითხოვ, უბრალოდ მოვითხოვ, დაწვრილებით კრიტიკას".

„... გაინტერესებდა ჩემი ჟურნალის წარმატების ამბავი. ჩემი ჟურნალი არც ისე სულელური იქნება, თუ კი ღრმად პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც წაკითხვის ღირსია. გამოცემისათვის სახსრები საკმარისია — 5290 მანეთი. თუ ჩვენ (მე და ჩემი ამხანაგები) კეთილსინდისიერად ვიშრომებთ, მაშინ მომავალ წელს ხელმოწერა შეიძლება გაიზარდოს 10.000 მანეთამდე". (თსკ, ტ. X, გვ. 184—185).

თებერვლის შუა რიცხვები — დღე-დღეზე ელის ჟურნალის გამოსვლას.

„იქნება ჩემი ჟურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმედია, რომ თორმეტ საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე" (თსკ, ტ. X, გვ. 189).

თებერვლის 18 — მთავრდება „საქართველოს მოამბის" პირველი ნომრის კინძვა. ილია ოლღას უგზავნის ჟურნალის პირველ ნომერს. ჟურნალი მზადდება გასავრცელებლად.

„გიგზავნი ჟურნალს, ყურადღებით წაიკითხე..." (თსკ, ტ. X, გვ. 198).

თებერვლის 24 — ილიას მონაწილეობით ელენე ჩოლოყაშვილის სახლში დანიშნულია ლიტერატურული საღამო.

„... ელენესთან გამართავენ ლიტერატურულ საღამოს, სადაც ყმაწვილები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს-თქო.

სთხოვე, შენც წაგიყვანოს. ამ კვირას მე და ჩემი ამხანაგები ნამდვილად შევიკრიბებით მასთან, და მე —შენი პატარა რედაქტორი — რაღაც-რაღაცეებს წავიკითხავ" (იქვე, გვ. 198).

თებერვლის ბოლო — ვრცელდება „საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი. ხელისმომწერლებმა, რომელთა რიცხვი 500-მდეა, დაგვიანებით მიიღეს ახალი ჟურნალის პირველი ნომერი, რის გამოც რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს.

„ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ პირველმა ნომერმა ასე დაიგვიანა. ჩვენი ბრალი არ არის ეგა. უფ. ენფიანჯიანცმა, რომელსაც ჩვენ წერილით შევეკარით, რომ სტამბა უნდა მზათა ჰქონოდა პირველს ნოემბრამდე, ვერ აგვისრულა პირობა. ნოემბრის მაგიერ, თორმეტს იანვარს მოუვიდა პეტერბურგიდამ ასო და მეორე დღესვე დავიწყეთ ბეჭდვა; ასე ავჩქარდით, რომ შიგა და შიგ კორრექტურის შეცდომებიც გამოგვერია..." (რედაქციისაგან — „საქართველოს მოამბე", 1863, № 1, გვ. 153).

ილია ჭავჭავაძის ამ ახალი ჟურნალით იწყება ახალი ხანა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

„1863 ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... და როცა, მეორეს მხრით ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა — ესე იგი ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობას, ესე იგი ძველს წესს და სჯულ შუა?... რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავალის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიფარა „ცისკარში“ და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში... ყველა უგრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაება ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი. — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავი სიტყვით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეცრებას და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის...“ (ნ. სკანდელი [ნ. ნიკოლაძე] — კრებული, 1872, № 10—12, გვ. 151—154).

„პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას... „საქართველოს მოამბემ“ დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სანტიმეტალურათ შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულს ბედს და შემდეგ ესვე გრძნობა გადიტანა სამშობლოზედაც“ (გ. წერეთელი — კვალი, 1897, № 46, გვ. 815).

«Это было время всеобщаго оживленія. Это было время большихъ надеждъ... Произведеніями Ил. Чавчавадзе зачитывалось тогда все грузинское общество. Молодежь обожала его. Онъ научилъ любить грузинскую литературу...» (Г. Тумановъ— Закавказье, 1907, 9 сентября, с. 2, № 184).

„საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში ილია ბეჭდავს თავის ნაწარმოებებს: „ჩემო კალამო...“ და „მუშა“ (ასტრონიმით სამი ვარსკვლავი***), სტატიას „საქართველოს მოამბეზედ“ (ასტრონიმით ოთხი ვარსკვლავი****), მოთხრობას „გლახის ნაამბობი“ (პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებული მოთხრობისა) მ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით.

თავისი ნაწარმოებების გარდა ჟურნალის პირველ ნომერში ილია ბეჭდავს ნ. ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“, ნ. დობროლიუბოვის თხზულებას „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქა-

დაგება"[10], ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას"[11], ვ. თულაშვილის „შინაურ მიმოხილვას".

თებერვლის 28 — საცენზურო კომიტეტისაგან ილია იღებს ნებართვას „საქართველოს მოამბის" მეორე ნომრის დაბეჭდვაზე.

მარტი — ილიასა და ოლღა გურამიშვილის ფარული შეხვედრები და მიმოწერა კვლავ გრძელდება. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ილიას გადაწყვეტილება — ქორწინება რაც შეიძლება მალე მოხდეს — მტკიცეა.

„... აპრილში გაბდები ჩემი, რადაც არ უნდა დამიჯდეს" (თსკ, ტ. X, გვ. 210).

მარტის 9 — ოლღა ნახულობს ავადმყოფ ილიას.

„შენ რომ არ შემოფრენილიყავ ჩემთან, გუშინდელი დღე მკვდარი იქნებოდა..." (თსკ, ტ. X, გვ. 218).

მარტის მეორე ნახევარი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „საქართველოს მოამბის" მეორე ნომერი.

ჟურნალის ამ ნომერში ილია ბეჭდავს თავის ლექსს — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" (ასტრონიმით*** სამი ვარსკვლავი), გ. ერისთავის კომედიას „შეშლილი", გრ. ორბელიანის „ლოთურ მუხამბაზს", ნ. ბარათაშვილის „მადლი შენს გამჩენს", მიტჩელის „ზეციურ მნათობებს", ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას" და ვიქტორ ჰიუგოს რომანს „საბრალონი".

მარტის 26—28 — ილია ავადმყოფობს.

„იმდენად დავსუსტდი, რომ იძულებული ვიქნები ისევ ჩავწვე ლოგინში" (იქვე, გვ. 232).

მარტის 29 — ილია და ოლღა ერთმანეთს ხვდებიან საეკლესიო ცერემონიალზე.

მარტის ბოლო — ჟურნალ „ცისკრის" მარტის ნომერში ქვეყნდება ანტონ ფურცელაძის (ქერელი ბექას) მიმოხილვა — „ქართული ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე". 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები".

მიმოხილვაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „გლახის ნაამბობისა" და „მუშას" გარჩევას. რეცენზიაში გამოთქმულია ეჭვი იმაზე, ეყოფათ თუ არა ენერგია თავკაცებს ჟურნალის გაძღოლისა.

---

10 ზოგიერთი მკვლევრის აზრით (ალ. კალანდაძე, აკ. კენჭოშვილი) ნ. დობროლიუბოვის თხზულების თარგმანი ეკუთვნის ილიას.

11 ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის" თარგმანი რუსულიდან და კომენტარები ალ. კალანდაძის მტკიცებით ილიას ეკუთვნის.

„... იქვი არ არის, რომ ეს ჟურნალი არის გამოცემული კეთილის განზრახვით, ჩვენ მაინც იქვი არა გვაქვს ამაზედა, მაგრამ ეს კი არ ვიცით: მიჰყვებათ ამ სურვილთან ამის მოთავეებს ენერგიაცა თუ არა. ჯერ ეს უმთავრესი საჭიროება ოთხს გამოცხადებულს რედაქტორებში, ერთის მეტმა არავინ გამოაჩინა“.

მარტი — აპრილი (?) — საბოლოო რედაქციას უკეთებს მოთხრობა „კაცია-ადამიანს“.

აპრილის პირველი ნახევარი — გრძელდება ფარული მიმოწერა ილიასა და ოლღას შორის.

აპრილის 21 — ილია ჯვარს იწერს სამების ეკლესიაში ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე.

„სასიძო თ. ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე, მართლმადიდებელ სარწმუნოების მჭონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებითა, 25 წლისა.

სასძლო თ. თადეოზ გურამოვის ქალი ოლღა მართლმადიდებელ სარწმუნოების მჭონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებითა, 20 წლისა“.

ოლღა გურამიშვილი „... აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველის-მომქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანის ქმრისა და მაღმერთებელი მისის ნიჭისა“ (გრ. ყიფშიძე — ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 1. 1914, გვ. XXX—XXXI).

მაისი — თითქმის ერთიმეორის მიყოლებით გამოდის „საქართველოს მოამბის“ მესამე, მეოთხე, მეხუთე ნომრები.

„საქართველოს მოამბის“ მესამე ნომერში ილია აქვეყნებს თავის ლექსებს: „უსულდგმულო ცხოვრება“, „ციურნი ხმები“, „იანიჩარი“ (პირველი ორი დაიბეჭდა ასტრონიმ სამი ვარსკვლავით, ხოლო მესამე ხელმოუწერლად).

ჟურნალის მეოთხე ნომერში ილია მ. ჯიმშერიძის ხელმოწერით იწყებს „კაცია ადამიანის“ ბეჭდვას. აქვე ხელმოუწერლად იბეჭდება ილიას ლექსები: „მძინარე ქალი“, „პოეტი“ და ილიას მიერ თარგმნილი ლერმონტოვის ლექსი „სიზმარი“.

ამავე ნომერში ილია ადგილს უთმობს თერგდალეულის [კ. ლორთქიფანიძე] წერილს — „ბიძია თონიკეს ხტატიის გამო“. წერილი მიმართულია ჟურნალ „ცისკრისა“ და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ და წარმოადგენს იმ კამათის გაგრძელებას, რომელიც დაიწყო 1861 წელს ილიას სტატიით „ორიოდე სიტყვა...“.

მეხუთე ნომერში ილია აგრძელებს „კაცია ადამიანის“ ბეჭდვას. (აქ და შემდგომ ნომრებში სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით გა-

მოქვეყნებული „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ მკვლევარ ალ. კალანდაძის აზრით ილიას ეკუთვნის).

ამავე ნომერში ილია ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ წერილი მიმართულია ძველი თაობის წინააღმდეგ.

ივნისი-ივლისი — „ცისკარი“ (№ 6, 7) იღებს „საქართველოს მოამბის“ (№ 4, 5) გამოწვევას და თავის ფურცლებზე აქვეყნებს ლავრენტი არდაზიანისა (ალექსი ელბაკიძის) და ანტონ ფურცელაძის (თავხედის, ქერელი ბექას) პოლემიკურ წერილებს, რომლებიც მიმართულია „საქართველოს მოამბისა“ და თვით ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

ივლისი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „საქართველოს მოამბის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება „კაცია ადამიანის“ დასასრული, ლექსები: „გუთნის დედა“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, „ლოცვა“.

ივლისი-აგვისტო — წერს პამფლეტს სახელწოდებით „სხარტულა. რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“.

აგვისტოს ბოლო — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „საქართველოს მოამბის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ასტრონიმებით ქვეყნდება ნაწყვეტი აჩრდილიდან — „ლოცვა აჩრდილისა“, ლექსი „გ. აბხ...“ და (გ. ჩ. ხელმოწერით) პამფლეტი „სხარტულა“.

სექტემბრის ბოლო — გამოდის ჟურნალის მერვე ნომერი, რომელშიც ილია აქვეყნებს „აჩრდილის“ ოცდამეოთხე თავს. ამავე ნომერში გამოქვეყნებულია თარგმანები „მცარცველობის ფიზიოლოგია“ ბასტიას წიგნიდან და „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თაობაზედ ვიქტორ ჰიუგოს წიგნი“, რომელიც ხელმოწერილია კრიპტონიმებით ბ. ვ. (ალ. კალანდაძის მტკიცებით ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს).

ოქტომბრის ბოლო — ნოემბრის დასაწყისი — ხელისმომწერლებს ურიგდებათ — „საქართველოს მოამბის“ მეცხრე და მეათე ნომრები (ცენზ. ნებართვა 19 ოქტ.).

მეცხრე ნომერში ილია (ასტრონიმით სამი ვარსკვლავი) ბეჭდავს ლექსებს „სიხარული“, „მტკვრის პირას“ და ანდრე შენიეს ლექსის „ზღვათა მფლობელის...“ თარგმანს.

ამავე ნომერში კრიპტონიმით ბ. ვ. ქვეყნდება წერილი „კირაკოზი განძაკეცი, მწერალი XIII საუკუნისა“. მაქსიმე ღაღანიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ (№ 9, 10) მკვლევარ ალ. კალანდაძის აზრით ილიასეულია.

„საქართველოს მოამბის“ მეათე ნომერში ილია ბეჭდავს ნაწყვეტს პოემიდან „კაკო ყაჩაღი“ სათაურით „ერთი მოთხრობის დასაწყისი“.

ამავე ნომერში კრიპტონიმით ბ. ვ. ქვეყნდება პრუდონის სტატიის „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპის“ თარგმანი.

ნოემბრის 4 — პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველობა ილიას, მისივე მოთხოვნით, უგზავნის უნივერსიტეტში სწავლის მოწმობას, მეტრიკის ასლს, თავადობის მოწმობას და თხოვენ მიღების დადასტურებას (ლიტ. მემკვიდრეობა, წგ. 1, 1935, გვ. 362).

დეკემბრის 8 — გაზეთ „კავკაზის“ № 96-ში ქვეყნდება ლექსის „მუშას“ რუსული თარგმანი (მთარგმნელი — В. Г -зон).

დეკემბრის ბოლო — გამოდის „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე (ნოემბრის) ნომერი, რომელშიც დასტამბულია ილიას ლექსი „ხმა სამარიდამ“ და ბ. ვ. კრიპტონიმით ბასტიას სტატიის „ორნაირი სწავლა“ თარგმანი.

ნომერი იხსნება ილიას წერილით — „რედაქციისაგან“ (ხელმოწერა: რედაქტორი ილია ჭავჭავაძე), რომელიც მკითხველს აცნობს რედაქციის მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზებსა და სიძნელეებს, ამასთან საუბრობს ჟურნალის გამოცემის მომავალი წლის პროგრამისა და ხელმოწერის გამოცხადების შესახებ.

„წარსულმა დრომა მრავალ ჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თითონ ვჰსთხოვდით ჩვენს ჟურნალსა, რასაც მისგან მოველოდით, — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ჰსძლიოს რედაქციამა და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია... როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა, — ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით — თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლოც მოეღოს“ (საქართველოს მოამბე, 1863, № 11, გვ. 1).

1864

იანვარი — გამოდის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ბოლო, მეთორმეტე ნომერი.

— განაგრძობს მასალების შეგროვებას ჟურნალის ახალი ნომრისათვის.

— ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში ქვეყნდება ალ. ორბელიანის წერილი „მოთმინებისაგან გამოსვლა“, რომელიც გამოწვეუ-

ლია „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის წარმოებულ პოლემიკით.

აქვე იბეჭდება წერილი „ჩვენი ნაცარქექიები“ (მყვირალა ქართლელის ხელმოწერით), რომლის ავტორი ილიას ეკამათება ქართული ენის საკითხებზე.

თებერვალი — ილიასათვის უკვე ნათელი ხდება, რომ „საქართველოს მოამბის“ გამოცემის გაგრძელება შეუძლებელია.

მარტის 12 — გაზეთ „კავკაზში“ (№ 20) ქვეყნდება ილიას განცხადება „საქართველოს მოამბის“ დახურვის შესახებ.

„ზოგიერთის მიზეზისა გამო „საქართველოს მოამბე“ დრომდე ვერ გამოვა“.

„ახლანდელ ჩვენ ღარიბ ლიტერატურაში არა თუ ჟურნალის გამოცემა, ორი დაბეჭდილი თაბახის გამოსვლაც შესანიშნავია... ისეთი ჟურნალის დაცემა, როგორიც იყო „საქართველოს მოამბე“, რასაკვირველია, ბევრს ჩამოაყრევინებდა ფრთებს და აფიქრებინებდა, რომ ჩვენში ჟურნალები ჯერჯერობით ვერ იხეირებენო. საქმეზედ კარგათ უნდა მოიფიქროს „მნათობის“ რედაქციამ, — იმან, მგონია, უნდა იცოდეს —რომელი მიზეზებისა გამო მოკვდა ისე მალე „საქართველოს მოამბე“. იმიტომ, რომ იმას მოაკლდა თანამშრომლები. ჟურნალი უკანასკნელ დროს გათხელდა, სტატიები შემსუბუქდნენ; ამის გამო მეორე წელიწადს რომ ეცოცხლა, რასაკვირველია ხელის მომწერნი მოაკლდებოდნენ: მესამეს, შეიძლება ოციც აღარ ეყოლებოდა და შემდეგ დაიწყებდა ჰაპან-წყვეტით ფორთხვას. ამ ძაღლურ ცხოვრებას „საქართველოს მოამბემ“ ისევ ის ამჯობინა, რომ ერთბაშად მოესპო თავის თავის არსებობა“ (გ. წერეთელი — დროება, 1869, № 19).

აპრილი — ეცნობა და კრიტიკულ შენიშვნებს უკეთებს თბილისის გუბერნიაში საგლეხო რეფორმის დებულების პროექტს.

აპრილის 10 — ნიშნავენ იმერეთში საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გუბერნატორთან.

„1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონ-ყმობისაგან წარმომდგარი“ (თსკ, ტ. IX, გვ. 309).

მაისის 6 — ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარადგენს „კრიტიკულ შენიშვნებს თბილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზე დამკვიდრებული გლეხების მიწათმოწყობის ადგილობ-

რივი დებულების წინასწარი პროექტის მუხლებზე". თავის „კრიტიკულ შენიშვნებს..." გარკვეული მიზეზების გამო ილია წარადგენს ნიკოლოზ ჭავჭავაძის ხელმოწერით.

„... ამიერიდან საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ იმ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტის ავტორი, რომელსაც სახელად ჰქვია „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე" და რომელიც ანონიმურად იყო წარდგენილი 1864 წ. 6 მაისს ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში, არის ქართველი ხალხის დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი რევოლუციონერი-დემოკრატი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე" (პ. რატიანი, რჩეული ნაწერები. ტ. 3, 1985, გვ. 107).

მაისის შუა რიცხვები — სამსახურებრივი მოვალეობის აღსასრულებლად თბილისიდან მიემგზავრება ქუთაისში.

მაისის 17-18 (?) — ჩადის ქუთაისში.

მაისის 22 — ილია ქუთაისიდან წერილს უგზავნის მეუღლეს. ატყობინებს, რომ მისმა ჩასვლამ თავადაზნაურთა შორის აღშფოთება გამოიწვია.

„... ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამლუპავებიო, ჩვენი ყმების წამრთმეველებიო". ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და, იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდამ ვარ მოსული. მაგრამ არა უშავ-რა, იქნება მოვრიგდეთ როგორმე" (თსკ, ტ. X, გვ. 239).

ივნისის 6-7 (?) — ქუთაისიდან თბილისში მოემგზავრება, მეუღლის ქუთაისში წასაყვანად.

„ამ წიგნს კი გწერ და არ ვიცი, ეს წიგნი უფრო ადრე მოვა შენთან, თუ მე. მე სულ მზად ვარ და ველი, რომ როგორმე ცხენები ვიშოვო და წამოვიდე. (იქვე, გვ. 244).

ივნისის 20-21 (?) — მეუღლესთან ერთად ჩადის ქუთაისში. ბინავდებიან გიორგი ღოღობერიძის ბინაში.

„ღმერთმა უშველოს ღოღობერიძის ძმას, ამან თავისი სახლები გვათხოვა, ვინემ ვიშოვიდეთ" (იქვე, გვ. 244).

ივლისი-ოქტომბერი — სამსახურებრივი საქმეების გამო ილია მოგზაურობს ქუთაისის მაზრის სოფლებში.

„ოლიკო! ნიკოლაი სიმონიჩს[12] უთხარი, დაბეჭდილი ვედომოსტები გამომიგზავნ[ოს]. ახარე, რომ რაცა მჭონდა, სულ გამითავდა და

---

12 აბაშიძეს.

ორი წილი მთელის საჯავახოს უჩასტკისა გავათავე. ხუთი სოფელიღა დამრჩა, იმას ამ ოთხ-ხუთს დღეში გავათავებ და ჩამოვალ მანდ... საპრაფერანსოდ“ (თსკ, ტ. X, გვ. 246—247).

აგვისტო — წერილს ღებულობს კირილე ლორთქიფანიძისაგან პეტერბურგიდან. ადრესატი ატყობინებს თავის განზრახვას, გამოსცეს ქართული პოეტური ნაწარმოებების კრებული, ამისათვის თხოვს სასწრაფოდ გაუგზავნოს ლექსები.

აგვისტოს 24 — საპასუხო წერილს უგზავნის პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძეს, უწონებს კრებულის გამოცემის განზრახვას და პირდება თხოვნის აღსრულებას.

„რაც გითხოვნია, მათთა შორის, რაც უპირატესია, აღგისრულებ, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს ოცდა ცხრას ამ თვეს მოგართმევ. ძალიანა ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნება ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კი ძველი იმისთანა ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ: არც ერთს ლექს[ს] ჩემი სახელი არ მიაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა, თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არის-თქო... ფულისას იწერები. ნეტაი, ჩემო ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს, და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადვე ვარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე — ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ...“ (თსკ, ტ. X, გვ. 25—26).

აგვისტოს ბოლო (29 ?) — პეტერბურგში, კირილე ლორთქიფანიძეს წერილთან ერთად უგზავნის თავის ლექსებს.

„... ლექსებს, თუ ივარგებს, ოცდა ცხრას ამ თვეს მოგართმევ (იქვე, გვ. 25).

„აი რის გამოგზავნა ეხლა შევიძელი. „ქართვლის დედას“ არ გიგზავნი, მიტომ რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე, იმიტომ რომ შიგდაშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამი-

კრძალეს. დასაწყისი მაგრსი რაოდენიც „საქართველოს მოამბეშია“, თუ გნებავს, დაბეჭდე“ (იქვე, გვ. 26—27).

ნოემბრის დასაწყისი — ქუთაისიდან თბილისში მოემგზავრება კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს გამოძახებით.

თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებასთან დაკავშირებით ილია სამუშაოდ გადმოჰყავთ აღმოსავლეთ საქართველოში. გადმოყვანა ისე სასწრაფოდ ხდება, რომ ილია ვეღარ ახერხებს ქუთაისში ჩასვლას და იქიდან მეუღლის წამოყვანას.

„მე აღარ გამომიშვეს და ძალიანაც ვწუხვარ, რომ მანდ არავის არ გამოვეთხოვე, და მეორე, შენ უჩემოდ უნდა წამოხვიდე...“ (თსკ, ტ. X, გვ. 245).

ნოემბრის 8 — ინიშნება მომრიგებელ შუამავლად თბილისის მაზრაში. პირველ ხანებში მისი სამუშაო უბნებია გარეკახეთი და მცხეთის უბანი (?).

„იმავე [1864] წლის ნოემბერში... მე დანიშნული ვიქმენ მომრიგებელ შუაკაცად დუშეთს. მომრიგებელ შუაკაცად დავყავ იქ 1863 წლამდე“ (თსკ, ტ. IX, გვ. 309).

ნოემბერ-დეკემბერი — პეტერბურგში გამოდის კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით (ცენზურის ნებართვა 31 ოქტ.). „ჩონგურში“ ქვეყნდება ილიას შემდეგი ლექსები: პოეტი. — ქართვლის დედას. — ხმა სამარიდამ. — ელეგია — გაზაფხული. — გუთნის დედა. — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული“. — „ჩემო კალამო...“ — მუშა. — ნანა. — იანიჩარი. — ნაწყვეტი „აჩრდილიდან“ (თავი V) და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (დასაწყისი).

*
* *

თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე, იხილავენ გლეხთა განთავისუფლების საკითხს, სადაც ილია თავგამოდებით იცავს გლეხების განთავისუფლებას მიწების მიცემით.

„... დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, და ხმა მაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან... მეო-

რე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ. ლეიტ. ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოთ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი — მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“ (ქრ. მამაცაშვილი — ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, 1907, გვ. 67).

1865

ილია დუშეთშია და ასრულებს მომრიგებელი შუამავლის მოვალეობას.

გლეხთა რეფორმის გატარებით გამოწვეული მდგომარეობის მოგვარება თავად-აზნაურობასა და გლეხებს შორის, გლეხებისათვის სანადელო მიწების მიზომვა, მემამულეთა და გლეხთა ნაკვეთების გამიჯვნა-დაზუსტება. გარიგების სიგელების შედგენა და სხვა მისთანანი შეადგენდა მომრიგებელი შუამავლის მოვალეობას, რომელსაც ილია შეუდგა დღიდან ამ თანამდებობაზე დანიშვნისა.

კანცელარიის მწერალთან ერთად ილია მთელი წლის განმავლობაში მოგზაურობს დუშეთის მაზრის სოფლებში, აწარმოებს მიწების აზომვა-გამიჯვნებს, გლეხებს ურიგებს სანადელო მიწებს.

„როდესაც ილია ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს შებატონეებიდან სანადელო მიწებს ურიგებდა, მაშინ ათ საჟნიანი თოკი გვეჭირა ხელში და ილია გლეხებს მხარდამხარ მოგვდევდაო... ჩვენთან ერთად, იყვნენ თავადები, აზნაურები, მათი ქალბატონები და მღვდელებიც კი. თავად-აზნაურობა ყოველ ბიჯზე ილიას აყალმაყალს უტეხდა“ (ტ. პაპიაშვილი — ლიტერატურული მატიანე, წვ. 1—2, 1940, გვ. 175).

სოფლად სამსახურებრივი მოვალეობის პარალელურად ილია გლეხებისაგან ისმენს და იწერს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

ივლისი — ჟურნალი „ცისკარი“ (1865, № 4) აქვეყნებს ვინმე ღვიმელის[13] წერილს „ჩუმნი დროების მწერლებს“, რომელშიც ავტორი სხვა საკითხებთან ერთად ეხება დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ „ქართულ ქრესტომატიას“ და უსაყვედურებს შემდგენელს, რომ მან ქრესტომატიაში არ შეიტანა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები და აღნიშნავს, რომ ...„ეს ორი ჩუმნი მწერლები ისე ამაღლე-

---

13 ღვიმელი — ა. კალანდაძის გამოკვლევის მიხედვით „ღვიმელი“ ალექსანდრე ჭაბარელის ფსევდონიმია.

ბულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ ნიჭით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან...

სექტემბერი — „ცისკარი“ (№ 9) აქვეყნებს აკაკი წერეთლის წერილს „რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, რომელშიც ახალგაზრდა ილია დაყენებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით.

„ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორეთ ერთ ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქუსთ ჩუენის ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყარები არიან, ერთს გაუწყვეტლის ჯაჭვით გადაბმულები ერთის მეორეზედ; ერთის უმეორისოდ გაგება ძნელია“.

ნოემბერი — ქვეყნდება დიმიტრი ჯანაშვილის წერილი „მახე“ („ცისკარი, № 11), რომელიც მიმართულია „ცისკრის“ № 7-ში გამოქვეყნებული ღვიმელის წერილის — „ჩუენი დროების მწერლების“ წინააღმდეგ. წერილის ავტორი ეკამათება ღვიმელს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებაში.

1866

თებერვალი-მარტი — გაზეთ „დროების“ პირველი ნომრისათვის წერს პუბლიცისტურ სტატიას „ზოგიერთი რამ“ (წერილის პირველ ესკიზზე ილია მუშაობდა ჯერ კიდევ 1862 წელს).

„... მაგრამ წერილი ვერ დაიბეჭდა. ავტორის ეროვნული რადიკალიზმი, რომელიც ჩქეფს ამ წერილის თვითეული სტრიქონიდან, იყო იმისი მიზეზი, რომ წერილი ცენზურას აუკრძალავს“ (პ. ინგოროყვა. ილია ჭავჭავაძე. 1962, გვ. 149).

ილიას შემდეგშიც, 70-იან წლებშიც უცდია მისი გამოქვეყნება, მაგრამ ვერც მაშინ მოხერხდა მისი დაბეჭდვა. კირ. ლორთქიფანიძეს სწერს:

„რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს, მაცნობე, ჰბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმოთ“ (თსკ, ტ. X, გვ. 30).

ივლისის 29 — ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძეს მინდობილობას აძლევს ყვარელისა და ახმეტის (თიანეთის მაზრა) მამულების სიგელების შედგენაზე (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 174).

ოქტომბრის 23 — ილიას დავალებითა და მინდობილობით ზაალ ჭავჭავაძე ადგენს ილიას კუთვნილი ყვარლის მამულების სიგელს. (იქვე, გვ. 174).

ნოემბრის 5—6 — დგება გარიგების სიგელი ილიას კუთვნილ ახმეტის მამულზე.

ნოემბრის 8 — თბილისის გუბერნიაში გლეხთა რეფორმის წარმატებით გატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის კავკასიის დიდი მთავრის წარდგინებით ილიას აჯილდოებენ ორი ათასი მანეთით, ვერცხლით (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 275; ლიტ. მემკვიდრეობა. ტ. 1, 1935, გვ. 571).

1867

თებერვლის 10 — თბილისის გუბერნიაში გლეხთა რეფორმის გატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ილიას აჯილდოებენ წარჩინების ნიშნით. (იქვე).

აპრილის 21 — წელთა ნამსახურობისათვის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლის ბრძანებით ილიას ანიჭებენ რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო სამსახურის ყველაზე დაბალი რანგის — კოლეგიის რეგისტრატორის ჩინს.

«Приказом, отданным по управлению наместника кавказского от 21 апреля 1867 года за № 12, произведен за выслугу лет в коллежские регистраторы со старшинством с 10 апреля 1865 года» (საისტ. მოამბე, ტ. 3. 1947, გვ. 275).

მაისის 6 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე ილიას ირჩევენ (თელავის მაზრიდან) თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების შემდგენელი კომიტეტის შემადგენლობაში.

ივნისის 17 — სამსახურებრივი საქმეების აღსასრულებლად კანცელარიის მწერალთან ერთად დუშეთიდან მიემგზავრება ყაზბეგს. ბინათარის ნიკოლოზ ყაზბეგთან.

„... მე დღეს 17 ივნისს მივდივარ დუშეთიდამ მთაში, იქ დავრჩები, თუ მშვიდობაა, ერთი კვირა, მერე ერთი კვირაც აქ დუშეთის ახლო-მახლო სოფლებში მომიგვიანდება და მერე მოვალ საგურამოს“ (თსკ, ტ. X, გვ. 247).

ივნისის 27 — ყაზბეგიდან წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში, ატყობინებს შეგვიანების მიზეზს.

„... ამ მამაძაღლ მწერალის გადამკიდე ძალიან მიგვიანდება მთაში ასე, რომ არც კი ვიცი როდის მოვასწრობ წამოსვლას, მე იმედი მაქვს ივლისის პირველ რიცხვებში მაინც მოვიდე...“ (იქვე, გვ. 248).

აგვისტო — ქვეყნდება „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“ (დროება, 1867, № 33).

ამავე წელს გაკეთდა მისი ცალკე ამონაბეჭდი გაზეთ „დროებიდან“.

ოქტომბერი (?) — აწარმოებს აღწერებს დუშეთის მაზრის მთიან სოფლებში.

„... მე მთებში ვარ და წარმოიდგინე, აქ საშინელი სიცივეებია... საქმეები ძალზედ კარგად მიდის. დღეში ასამდე აღვწერე. იმედი მაქვს ეს უბანი 8 ან 10 დღეში სრულიად მოვათავო. გამომიგზავნე თბილი პალტო, ჩაი, სანთლები, მელანი...“ (თსკ, ტ. X, გვ. 248—249).

1868

თებერვლის 1 — კავკასიაში მეფისნაცვლის სამმართველოს ბრძანებით ილია დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ.

„ამ წელს [1868] შემოიღეს სასამართლოს რეფორმა კავკასიაში და მე მომანდეს ასრულება მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობისა დუშეთსავე. მომრიგებელ მოსამართლედ ვიყავ 1874 წლამდე“. (თსკ, ტ. IX, გვ. 309).

მაისი — აკაკი წერეთელი ჟურნალ „ცისკრის“ № 5-ში დაბეჭდილ წერილში „პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“ მიმოიხილავს ილიას „კაცია-ადამიანს“.

ოქტომბერი — გამოდის იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რომელშიც დაიბეჭდა ილიას ლექსები: „გაზაფხული“ (ტყემ მოისხა ფოთოლი), „მძინარე ყმაწვილს“, „არაგვი“ (ნაწყვეტი „აჩრდილიდან“), დასაწყისი პოემისა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და ლექსი „ჩიტი“ (თარგმანი).

დეკემბრის 17-18 (?) — წერილს ღებულობს კირილე ლორთქიფანიძისაგან, პეტერბურგიდან. თხოვს „კაცია-ადამიანის“ დაბეჭდვის ნებართვას და მის გამოქვეყნებას არა ფსევდონიმით მ. ჯიმშერიძე, არამედ ნამდვილი სახელით.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა „ამხანაგობამ“, რომელიც ჩამოყალიბებული იყო კირილე ლორთქიფანიძის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით, განიზრახა ილიას „კაცია-ადამიანის“ ცალკე წიგნად გამოცემა. წიგნის გამოსაცემი თანხის ნაწილი (371 მან. 70 კაპ.) წინასწარ გაიღო „ამხანაგობის“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, იმ დროს კალუგის გუბერნიაში მცხოვრებმა თავადმა მიხეილ ზაქარიას ძე ჭავჭავაძემ.

დეკემბრის 19 — საპასუხო წერილს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს დუშეთიდან პეტერბურგში. ნებას რთავს გამოსცეს მოთხრობა „კაცია-ადამიანი“.

„... მოგეწერა, რომ „კაცია ადამიანის“ დაბეჭდვა მოვიწადინეთო და ნების დართვა მთხოვე. მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად. წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკეთ არ დამიწერია. მართალია, როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამეჯღაბნა, მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას [აჩნდა] ჩემდაუნებურად. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს“ (თსკ, ტ. X, გვ. 27).

დეკემბრის ბოლო — გაზეთი „დროება“ (№ 51) აქვეყნებს ცნობას, რომ პეტერბურგში ცალკე წიგნად იბეჭდება „კაცია-ადამიანი“.

1869

მარტი-აპრილი — პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში იბეჭდება ილიას „კაცია ადამიანი“ (ცენზურის ნებართვა 1869 წ. 12 მარტი)[14].

„... ჯერ მარტო „კაცია ადამიანი“ იბეჭდება... ორ კვირაზედ ცოტა მეტია, რაც დავიწყეთ ბეჭდვა და აქამდის ოთხი თაბახის დაბეჭდა მოვასწარით... სულ ამდენი დაიხარჯება — 361,70. შენ რომ ფული დასტოვე, ის რომ გამოვრიცხოთ 240. მაშ, „კაცია ადამიანისათვის“ გეჭირია კიდევ 121,70“ (მასალები XIX ს. 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან, 1981, გვ. 140—141).

„პეტერბურგში იბეჭდება და ამ აპრილის ბოლოს საქართველოსაკენ გამოიგზავნება „კაცია ადამიანი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა (მ. ჯიმშერიძისა) — დროება, 1869, №№ 17, 18, 19).

---

14 პეტერბურგში დაბეჭდილ „კაცია ადამიანის“ თავფურცელზე გამომცემლად მითითებულია მხოლოდ მიხეილ ბეთანიშვილი. არც წინასიტყვაობაშია მოხსენებული სტუდენტთა ამხანაგობა და მიხეილ ზაქარიას ძე ჭავჭავაძე, რომლის ხარჯითაც დაიბეჭდა აღნიშნული წიგნი. მიხ. ბეთანიშვილის ასეთ თვითნებობას სამართლიანი გულისწყრომა გამოუწვევია. „თუ „კაცია ადამიანის“ გამოცემაზედ მე თანახმა შევიქენ, იმისათვის, რომ იმედი მქონდა წინასიტყვაობაში გამოცხადებული იქნებოდა საზოგადოების არსებობა, იმისი აზრი და სურვილი“-ო — გულნატკენი წერდა მიხ. ჭავჭავაძე კირ. ლორთქიფანიძეს (მასალები XIX ს. 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან. 1981, გვ. 41—42).

მოგვიანებით, 1870 წ. მარტის თვეში მ. ბეთანიშვილი წერილობით (დროება, № 10) აღიარებს, რომ „კაცია ადამიანი“ გამოსცა არა პირადად მან, არამედ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ამხანაგობამ.

„ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია მ. ზ. ჭავჭავაძე, რომლის ხარჯითაც დაიბეჭდა ეს წიგნი“ (ალ. ცაგარელი — დროება, 1870, № 2).

ივნისის შუა რიცხვები — „კაცია ადამიანის“ პეტერბურგში დაბეჭდვის გამო გაზეთი „გოლოსი“ (№ 150, გვ. 2) პატარა რეცენზიას (...Рецензия... на рассказ Н. Г. Чавчавадзе „Настоящий человек“ (Кацня адамиани)).

ივნისის 19 — გაზეთი „დროება“ (№ 25) ეხმაურება გაზეთ „გოლოსში“ მოთხრობა „კაცია ადამიანზე“ გამოქვეყნებულ რეცენზიას.

„აი რას სწერენ ამ მოთხრობაზე გაზეთში „Голос“: ეს მოთხრობა პირველად დაბეჭდილი იყო 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“, რომელსაც სცემდა მოთხრობის ავტორი და ძალიან მოეწონათ ქართველ მკითხველებს. იმაში აწერილია სატირიკულად (დაცინვით), მაგრამ იშვიათის სიმართლით, ძველი ქართველი მებატონეების ცხოვრება, თუმც ზოგი სცენები სინამდვილეს არ ეთანხმება, მაგრამ საზოგადოთ ეს მოთხრობა იშვიათი მოვლინებაა ქართულ ლიტერატურაში. ი. ჭავჭავაძეს, როგორც პოეტსა და მწერალს, უჭირავს პირველი ალაგი ახალ ქართულ ლიტერატურაში; იმიდან იწყება ახალი ეპოქა ლიტერატურისა; იმან პირველმა შემოიტანა პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მოქალაქობის ელემენტი. ჭავჭავაძემდი ქართული პოეზია მარტო „მაისის ვარდებს“ და „მთვარიან ღამეებს“ შემღერდა“. — თუმც ჩვენ ძალიან ვაფასებთ უ. ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობას ქართულს ლიტერატურაში, მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ უკანასკნელს „Голос“-სის სიტყვებს, არ შეგვიძლია არ მიუთითოთ აქ უ. ნ. ბარათაშვილზე, გ. ერისთავზე და სხვ., რომლებიც მარტო „მაისის ვარდსა“ და „მთვარიან ღამეს“ არ დამღეროდნენ“ (დროება, 1869, № 25).

ივნისის ბოლო — ახლად დაბეჭდილი „კაცია ადამიანის“ მიღება პეტერბურგიდან.

„ახალად დაბეჭდილი პეტერბურღში თ. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი“ მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში...“ (დროება, 1969, № 31 და ა. შ.).

სექტემბრის 18 — ადგენს ოქმს გლეხ გიო წულიაშვილის საქმეზე მომჩივან იოსებ კლიმიაშვილის საჩივრის გამო, იმავე დღეს არჩევს მის საქმეს და გამოაქვს განაჩენი (საისტ. მოამბე, წგ. 3, 1947, გვ. 187).

*
* *

ქვეყნდება ილიას ლექსი „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში...“ სახელწოდებით „ალბომში“ — წიგნში: „სასიმღერო ლექსები“.

იანვარი — თებერვალი — გაზეთი „დროება“ (№№ 2, 3, 4, 6, 7) ხელმოუწერლად ბეჭდავს ალ. ცაგარელის ვრცელ წერილს „ჩვენი უპედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში. კაცია ადამიანი. მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“. გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან. პეტერბურგი, 1869 წ.

როგორც წერილის ქვესათაურიდან ჩანს, ალ. ცაგარელი უმთავრესად ილიას „კაცია ადამიანს“ უნდა შეხებოდა, მაგრამ ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ილიას სხვა ნაწარმოებებსაც და ამასთან ეხება ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის, გ. ერისთავის, მ. გურიელის და გ. რჩეულიშვილის შემოქმედებასაც.

„დროების“ № 2 და შემდგომ ნომრებში ქვეყნდება განცხადება იმის შესახებ, რომ მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში და ჭუთათხის გუბერნიის ტიპოგრაფიაში „ისყიდება „კაცია ადამიანი“ თხზ. თ. ი. ჭავჭავაძისა...“

მარტის 12 — გაზეთ „დროების“ № 10-ში იბეჭდება „შენიშვნა უფ. მ. ბეთანიშვილისა „კაცია ადამიანის“ გამოცემაზედ“. წერილში ბეთანიშვილი აღიარებს, რომ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ გამომცემელია არა პირადად ის, როგორც ეს აღნიშნულია წიგნზე, არამედ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ამხანაგობა.

ნოემბრის 10 — ილია როგორც მომრიგებელი მოსამართლე არჩევს და გამოაქვს განაჩენი დროებით ვალდებული გლეხის გოგილა ეკალაძის აზნაურ ალექსიშვილებზე საჩივრის გამო (საისტ. მოამბე, წგ. 3, 1947, გვ. 188).

ნოემბრის 23 — თბილისში, კერძო ბინაზე, იმართება ქართული წარმოდგენა, სადაც დადგეს ილიას — გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები.

„... „სცენების“ ნახვა კი პირველი იყო და, მართალი გითხრათ, მე არ მეგონა თუ წარმოსადგენათ ივარგებდენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისათვის არ არიან დაწერილნი, მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოთ, მე მოვტყუვდი: თითქმის ყველა პიესებზე მომატებული ყურადღება იმას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მარტო ის კი არ იყო, რომ ამ „სცენებს“ პირველათ ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლათ ყოველი სიტყვა მომქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამჭრიახე თვალით არის შენიშნული და ხელოვნური

ქალმით დაწერილი. აი, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ „სცენები“ ასე მოეწონა საზოგადოებას“ (დროება, 1870, 29 ნოემბ. № 47).

დეკემბერი — ჟურნალი „მნათობი“ (№ 2) ბეჭდავს ილიას „სიმღერას“ (დედამ რომ შვილი გაზარდოს).

1871

იანვარი — ჟურნალ „კრებულის“ № 1-ში ქვეყნდება ილიას ლექსები: „სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი...“ და „მესმის, მესმის სანატრელი...“.

მუშაობს „მგზავრის წერილების“ საბოლოო რედაქციაზე.

თებერვალი — „კრებულის“ № 2-ში იბეჭდება ილიას ლექსები: „ჩ... სას“ (უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...) და „ახ, სად არიან სიჭაბუკევ...“.

„კრებულის“ ამავე ნომერში ქვეყნდება „მგზავრის წერილების“ პირველი ოთხი თავი.

თებერვლის ბოლო — ჟურნალ „კრებულის“ პირველი და მეორე წიგნების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში, რომელიც იბეჭდება „დროების“ №№ 8 და 10-ში, ნიკ. დიმიტრიძე [ნიკ. ყიფიანი] მკითხველს აცნობს „მგზავრის წერილების“ გამოქვეყნებული თავების შინაარსს.

მარტის 17-18 — ამთავრებს მუშაობას პოემაზე „ქართვლის დედა“. პოემის ბოლო ვარიანტში ილიას შეაქვს ჰიმნი თავისუფლებაზე („თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი...“ და ჯარისკაცის სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ...“).

მარტის 19 — ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად ახლად გადაკეთებულ „ქართვლის დედას“ წერილთან ერთად ილია დუშეთიდან თბილისში უგზავნის თავის მეგობარ პეტრე ნაკაშიძეს.

„პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“, თუ მოგეწონოს მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად“ (თსკ. ტ. X, გვ. 32).

მარტის 22 — სტუმრად არის სტეფანწმინდაში, დიმიტრი ყაზბეგის ოჯახში. იწერს ხალხურ ლექსებს. უბის წიგნაკში იწერს მოხეური კილოკავის ნიმუშებს „საჭირბოროტოია შეკაზმულ ცხენ, დაილოც შიშვალ ცხენ, ფეხგადაწვდიდი და გადაჯდიდი“ და სხვას.

მარტის ბოლო — ხევიდან ბრუნდება დუშეთს და მომრიგებელი მოსამართლის კანცელარიაში სამუშაოდ მიჰყავს ქალაქს გარიდებული სიყრმის მეგობარი დიმიტრი ყაზბეგი.

აპრილი — „კრებულის“ მესამე ნომერში ქვეყნდება ილიას პოემა „ქართველის დედა“ — სათაურით „დედა და შვილი. დრამატიული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდამ ოსმალებთან ომის წინ. უძღვნა თ. პეტრე ნაკაშიძეს“.

„კრებულის“ ამ ნომერში იბეჭდება აგრეთვე ლექსი „ჩემო მკვლელო...“ და ჰაინეს ლექსის „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა...“ ილიასეული თარგმანი.

მაისი — „კრებულის“ მეოთხე ნომერში ქვეყნდება ილიას ლექსები: „ბევრი ვიტანჯე...“ და „მეცა მქონია კარგი მამული“ (მიბაძვა ჰაინესი).

ილიას სწყინს პარიზის კომუნარების დამარცხება. „მეწყინა ძალიან ფრანცუზების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობა“ (თსკ, ტ. X, გვ. 257).

მაისის 29 — ილია ეხმაურება პარიზის კომუნარების დამარცხებას — წერს ლექსს „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. «Не только в грузинской, но и в русской поэзии того времени не найдется другого стихотворения, прославляющего с такой силой и ясностью мысли борцов Парижской Коммуны 1871 года» (В. Гольцев. Грузинские писатели девятнадцатого века. М., 1948, с. 57).

აგვისტოს 24 — წერს ლექსს „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“.

აგვისტოს 29 — წერს ლექსს „ბედნიერი ერი“.

აგვისტოს ბოლო-სექტემბრის დასაწყისი — თავადაზნაურთა საგანგებო ყრილობაზე, რომელიც მიეძღვნა იმპერატორის თბილისში სტუმრობის სამზადისს, ილიას ირჩევენ იმპერატორისათვის მისართმევი ადრესის შემდგენ კომისიაში.

კომისიაში არჩეულთაგან უმრავლესობა მომხრეა იმპერატორს ეთხოვოს უნივერსიტეტის დაარსება, მაგრამ თავადაზნაურთა მარშლის რევაზ ანდრონიკაშვილისა და სხვათა წინადადებით, რომლებიც მომხრე არიან სამხედრო სასწავლებლის დაარსებისა, განმეორებით ირჩევენ კომისიას. ილია შეჰყავთ ახლად არჩეულ კომისიაშიც, მაგრამ ის არ მონაწილეობს ადრესის შედგენაში.

«...После сторонники университета выбрали комиссию из следующих: Тарханова, Чавчавадзе (литератора), Дмитрия

Джорджадзе и папаши [Мих. Туманишвили] второй раз.» (საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. 1965, გვ. 103).

ოქტომბერი — „კრებულის“ მეხუთე (მაისის) ნომერში იბეჭდება „მგზავრის წერილების“ დასასრული (V—VIII თავები) და ლექსი „ბედნიერი ერი“ (სათაურით „ბედნიერი ხალხი“). ავრეთვე ალ. ჭავჭავაძის ოთხი ლექსი, რომელსაც ერთვის ილიას შენიშვნები.

ოქტომბრის ბოლო — ქვეყნდება რეცენზია „კრებულის“ მეხუთე წიგნზე, რომელშიც მოთავსებულია „მგზავრის წერილების“ დასასრული.

„პირველი ადგილი „კრებულის“ მეხუთე წიგნში, უეჭველია, ***-ის „მგზავრის წერილებს“ ეკუთვნის... რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ რვა პატარა თაბახში, რამდენ პოეტურ ნიჭსა და ჭკუას გვიჩვენებს ის ავტორი!“.

ნოემბრის ბოლო — ღებულობს ვახტანგ თულაშვილის წერილს თბილისიდან. თბილისში იწვევენ დეკემბერში განზრახულ სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

„ამას წინათ ვახტანგ თულაევის წიგნი მამივიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია... გთხოვ, რომ დაწვრილებით მომწერო: 1) ვინ არიან მკითხველნი; 2) შენც ურევიხარ, თუ არა; 3) შინაური მოწყობილობა ექნება იმ საღამოს თუ საგარეო...“ (თსკ, ტ. X, გვ. 33-34).

დეკემბრის 7 — წერს პამფლეტს საპილწოდებით „გამოცანები“, რომლითაც ამხელს ძველი თაობის წარმომადგენლებს.

„გამოცანები“ შეიცავს ცხრა ლექს-გამოცანას, რომლებშიც ილიას გამოჰყავს იმდროის ცნობილი პირები: თავადაზნაურობის მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, სენატორი გიორგი მუხრანსკი, ყოფილი გენერალი ივანე მუხრანსკი, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი დიმიტრი ჯორჯაძე, თბილისის გუბერნიის მმართველობის წევრი იასე ჭავჭავაძე, „მამათა“ ბანკის თანამგრძნობი ბესარიონ ღოღობერიძე, პოეტი და გენერალი გრიგოლ ორბელიანი და თავის თავი — ილია ჭავჭავაძე.

ამავე დღეს (?) წერს „კიდევ გამოცანებს“, რომელიც შეიცავს შვიდ გამოცანას. მათში ილიას გამოჰყავს თერგის ოლქის უფროსი მიხეილ ლორის-მელიქოვი, დაღესტნის ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქ-შვილი, გენერალ-ადიუტანტი იოსებ თარხნიშვილი, პოეტი მიხეილ თუმანიშვილი, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი და გამოცანების ავტორი ილია ჭავჭავაძე. („გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ ილიას სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა).

„გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, როგორც აკაკი წერეთელი ჭადმოგვცემს, იმპერატორის საქართველოში სტუმრობას გამოუწვევია.

იმპერატორისათვის „...ხალხს უნდა მიერთმია ადრესი და გაეცხადებია სათხოვარიც თუ რამ ექნებოდა. — აირჩიეს კომისიის ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოღობერიძე და ნ. ნიკოლაძე, ოთხიც ძველიდან: გ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი). ახალ-თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ რადგანაც ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდნენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალთაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგანც იმათ ბესარიონ ღოღობერიძეც მიუდგა გადაასხვაფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უმნიშვნელო საგანი ითხოვეს და ასე მიართვეს ხელმწიფეს. ამან გამოიწვია უსიამოვნება ძველის და ახალთაობის შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტაღუღად ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდიაო“ (აკ. წერეთელი. ჩემი ნაწერები. ტ. 2. 1913, გვ. 96—98).

დეკემბრის 11 — „გამოცანებს“ და „კიდევ გამოცანებს“ წერილთან ერთად დუშეთიდან ფბილისს უგზავნის დავით ერისთავს და თხოვს შათს საიდუმლოდ გავრცელებას საზოგადოებაში.

„დათიკო! გიგზავნი გამოცანეებს. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, შგონია მიხვდე, ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ — არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა — არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეიწახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, — ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი“ ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი, შენ იცი, როგორ უპატრონებ“ (თსკ, ტ. X, გვ. 33).

დეკემბრის მეორე ნახევარი — ილიას „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ ხელნაწერის სახით სწრაფად ვრცელდება ხალხში. ს. მესხი სწერს კ. ლორთქიფანიძეს:

„... თფილისში ჰყვავის... ლიტერატურა, ორი ისეთი ხელთნაწერი პანფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შეს-

ძრა. ერთი „გამოცანები“, რომელშიაც აწერილი არიან (ანუ უკეთ ვსთქვათ, გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად): გრ. ორბელიანი, გ. და კ. მუხრანსკები, იასე ანდრონიკოვი, პლატონ იოსელიანი, ბეს. ლოლობერიძე, რევაზ ანდრონიკოვი და დიმ. ჯორჯაძე“ (ს. ხუნდაძე. მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, გვ. 83).

*
* *

ახალთაობის წარმომადგენლები დუშეთში ადიან ილიასთან, თხოვენ დაბრუნდეს თბილისში და სათავეში ჩაუდგეს ქართულ მწერლობას.

„ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რო ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე — დუშეთში ავიღეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871-1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი“ (ნ. ნიკოლაძე. — განთიადი, 1915, № 8, გვ. 21).

1872

იანვარი — „გამოცანების“ და „კიდევ გამოცანების“ გამო გრიგოლ ორბელიანი წერს და ხელნაწერის სახით ავრცელებს ლექსს „პასუხი შვილთა“.

იანვრის მეორე ნახევარი — იბეჭდება ნაწყვეტი „მენახირის ნაამბობი“ პოემიდან „კაკო“.

„სტამბიდამ გამოვიდა და ისყიდება პატარა სახალხო წიგნი არსენას ლექსი... და მენახირის ნაამბობი პოემიდან „კაკო“ (დროება, 1872, 25 იანვარი, № 3, გვ. 4).

იანვრის 28 — გრიგოლ ორბელიანის ლექსის „პასუხი შვილთა“ საპასუხოდ ილია წერს და საზოგადოებაში ავრცელებს პამფლეტს „პასუხის პასუხი“ (ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა).

„რომ იცოდე, რა პამფლეტები გამოდის აქ, შენც გაგონილი და წაკითხული გექნება ის „გამოცანა“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა. ახლა გამოვიდა მოხუცებულების „პასუხი“ ამ გამოცანაზე, სადაც შენც და სხვებიც საზოგადოთ მწერლები და იმერლები ვართ საშინლად კინტურად გალანძღული. თითქმის იმავე დროს გამოვიდა ამ „პასუხის პასუხი“. მშვენიერი რამ არის, მაგრამ კაცმა არ იცის — ვისია თუ არ

არის მანდ, მომწერე, გადაგიწერ და გამოგიგზავნი. ამას ქუთაისშიაც ექნება ინტერესი“ (კ. მესხი, აკ. წერეთელს. წგ-ში: ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები. 1951, გვ. 17).

თებერვლის 5 — თარგმნის ტომას მურის ლექსს „ირლანდიისადმი“.

მარტის პირველი ნახევარი — ჟურნალ „კრებულის“ № 7-ში ქვეყნდება ილიასეული თარგმანი ტომას მურის ლექსისა „ირლანდიისადმი“ და ილიას მიერ სოფ. კარდანახში ჩაწერილი ხალხური ლექსი „ქალმა სთქვა სიზმარი ვნახე...“.

ჟურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება ნ. დიმიტრიძის [ნ. ყიფიანის] წერილი „იანიჩარი. ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა“, რომელსაც წამძღვარებული აქვს თვით ილიას ლექსი „იანიჩარი“.

ივნისის დასაწყისი (?) — წერილს ღებულობს პეტრე უმიკაშვილისაგან, რომელიც „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად თხოვს რომელიმე მისი ნაწარმოების გაგზავნას.

ივნისის 19—20 (?) — საპასუხო წერილს უგზავნის პეტრე უმიკაშვილს.

„ახალის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი მე გათავებული, ანუ უკეთ ვჰსთქვა, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ღირსი იყოს. ... ზარმაცობით არ მამდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შაღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ — ეგ მოსვენება და შაღავათი ჩემთვის სიზმარია, თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება“ (თსკ. ტ. X, გვ. 36).

ივლისი — მუშაობს პოემა „აჩრდილის“ საბოლოო რედაქციაზე.

„მე არაფერს არა ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ გაქირ ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი...“ (თსკ, ტ. X, გვ. 34).

ჟურნალი „მნათობი“ (№ 6—7) ბეჭდავს აკაკი წერეთლის წერილს „ვინ სტყუვის? (ჩვენი ახლანდელი და ახალი თაობა“), რომელიც ეხება ილია ჭავჭავაძის „გამოცანებს“.

ივლისის შუა რიცხვები (?) — დავით ერისთავისაგან იღებს წერილს და „გამოცანების" მისეულ რუსულ თარგმანს.

ივლისის 17-20 (?) — საპასუხო წერილს უგზავნის დავით ერისთავს ოძისში. ატყობინებს „გამოცანების" თარგმანის მიღებას. წერილთან ერთად უგზავნის „გამოცანების" თავის თარგმანის ნიმუშს.

„შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე. ზოგიერთი ხანა ძალიან კარგად არის ნათარგმნი... მე შევიტყე, რომ პასუხი, [გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა"], პასუხის პასუხი და სხვანი გადაგიღია. თუ გიყვარდე გამომიგზავნე, ან გადმოდი და თან წამომიღე. მე ოცდაორის ივლისიდამ ოცდაექვსამდე შინ ვიქნები... ერთი გადმოდი, ლაზათიანი მასლაათი გავწიოთ. უკაცურობამ ლამის მამიდნოს, მართალია ლესსინგი: მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო. თუ არ ცხოვრების მორევში, საგანს სად იპ[ოვ]ნი წერისათვის. აბა ჩემი ნათარგმნიცა ნახე, ჭაშნიკად გიგზავნი" (თსკ, ტ. X, გვ. 34-35).

აგვისტოს 29 — წერს სატირულ ლექსს „რჩევა".

ლექსის დაწერის საბაბი გამხდარა სენატორ გიორგი მუხრან-ბატონის წიგნი „О существе... крупных единиц", რომელშიც ავტორი ამტკიცებს დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციის აუცილებლობას.

აგვისტოს 30 — საპასუხო წერილთან ერთად „კრებულში" გამოსაქვეყნებლად პეტრე უმიკაშვილს თბილისში უგზავნის პოემა „აჩრდილის" დასაწყისს და ლექსს „რჩევას" გაზეთ „დროებაში" დასაბეჭდად. აქვე გამოსთქვამს აზრს მწერალთა შეუკავშირებლობისა და გაფანტულობის შესახებ.

„შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხსა გწერ. ჩემი აზრი ეს არის: კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არ გვყავს; **იქნებ მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ეს ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ".** [ხაზგასმა ჩვენია].

მომავლის ნომრისათვის ჩემი აჩრდილი დაბეჭდეთ პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.

მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე, აი ჩემი პასუხი: Лишь право сильного раб свято почитает. მაგ. ბროშურის პასუხად აი რა დავწე-

რე და გთხოვ დროებაში დააბეჭდინო. ჩემს გვარს ნუ მიაწერ“ (თსკ, ტ. X, გვ. 37—38).

სექტემბერი — ჟურნალ „კრებულში“ № 8—9-ში ქვეყნდება პოემა „აჩრდილის“ რამდენიმე თავი.

ჟურნალის ამავე ნომერში იბეჭდება მ. პეტრიძის [პ. უმიკაშვილის] წერილი „შეერთებული შრომა ჩვენი ლიტერატურისათვის“, რომელშიც ქართული ლიტერატურის საერთო მიმოხილვასთან ერთად ავტორი ეხება ილიას გამოსვლას ლიტერატურულ ასპარეზზე და მის დამსახურებას „საქართველოს მოამბის“ გამოცემით.

სექტემბრის 8 — გაზეთი „დროება“ (№ 35) ხელმოუწერლად აქვეყნებს ილიას ლექსს „რჩევა“.

სექტემბრის 15 — წერს ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“.

ნოემბრის დასაწყისი — ღებულობს დავით ერისთავის წერილს (1 ნოემბრის თარიღით) სოფელ ოძისიდან.

„რადგანაც ფინანსიის (?) მეტყველებაში ცოტა სუსტად გახლავარ, ამიტომ მინდოდა შენთან მოლაპარაკება, რადგან მაზრის მარშალმა მიმიწვია ტფილისს იმ კრებაზედ, რომელმაც უნდა წინასწარი ბჭობა იქონიოს ბანკის დაარსების შესახებ. მე ქალაქს მივდივარ, მოგელი შენც 14-მდე“. (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. 1. 1914, გვ. LI).

ნოემბრის პირველი დეკადა — საპასუხო წერილს უგზავნის დავით ერისთავს ოძისში. ილია უარს ეუბნება თბილისში ჩასვლასა და თავადაზნაურთა კრებაში მონაწილეობაზე (?).

ნოემბრის 14-მდე — წერილს ღებულობს დავით ერისთავისაგან, განმეორებით იმავე საკითხზე.

„... შენმა წერილმა ძალიან შემაწუხა. წარმოიდგინე, ამდენმა შენმა შრომამ ნუ თუ უნაყოფოდ უნდა ჩაიაროს? რას ამბობ, კაცო, ხომ დავიღუპეთ?! კომიტეტში მიწვეულნი ვართ და რას ვიტყვით, რომ არა ვიცით-რა. თუ შენ არ ჩამოხვედი არც მე წავალ. თუ-კი მეთაური არავინ გვეყოლება, რას გავარიგებთ?!... ერთის სიტყვით, უშენობა ამ მოძრაობის დროს არ შეიძლება. თუ შენ არ წამოხვალ, შენი „რეჩი“ მაინც გამოგვიგზავნე წასაკითხავად. უარარაობას წაკითხვა ემჯობინება“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. 1. 1914, გვ. LI—LII).

ნოემბრის 25 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც იხილავს საადგილმამულო ბანკის წესდების შედგენის საკითხს. კრებაზე ილია წარმოთქვამს ვრცელ სიტყვას.

«...в один вечер, выступил Илья Чавчавадзе и целые три часа говорил... раскритиковал старую комиссию и устав... потом доказывал, что все мы должны думать об общем благе и потому нужно учредить такой банк, который бы приносил пользу всем. Как поэт, таки убедил всех. Выбрали новую комиссию и его главным. И таким образом, покончили все споры» (საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. 1965, გვ. 97).

„სიტყვა იყო ვეებერთელა, ბრაზიანი, მომწამლავი, მახვილი სარკაზმით აღსავსე... კომისიის წევრებიდან კრებაზე არ იყო თავ. გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, დანარჩენი წევრები თავ. ჭავჭავაძის სიტყვის დროს ერთიმეორის მიყოლებით გარბოდნენ კრებიდან...“ (ა. ფურცელაძე — ზაკავკაზსკაია რეჩ, 1912, № 138).

ნოემბრის 27, 29 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების სხდომებში. კრება ხმის უმეტესობით ღებულობს გადაწყვეტილებას — დაარსდეს საადგილმამულო ბანკი ილიას პროექტის მიხედვით. ილიას ირჩევენ ბანკის ახალი წესდების პროექტის შემმუშავებელ კომისიაში.

„აქ მეტი არ იქნება ვსთქვა, რომ ამერეთის თავად-აზნაურობამ ნაწილი გლეხთა განთავისუფლებისათვის ნაბოძები ფულისა გადასდო ისეთი ბანკის დასაარსებლად, რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა ქვეყნის საჭიროებისათვის წესიერ კრედიტის დასამყარებლად, უფრო კი ისეთის ბანკისა, რომლის მოგება მოჰხმარდებოდა განსაკუთრებით თავად-აზნაურების შვილთა აღზრდა-განათლებას.

ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რა გვარი საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთო, თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენად“ (თსკ, ტ. IX, გვ. 309—310).

ნოემბრის ბოლო-დეკემბრის დასაწყისი — საგუბერნიო კრების გაგრძელების გამო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი რევაზ ანდრონიკაშვილი ორჯერ მიმართავს თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს თხოვნით — გაუგრძელოს შვებულება ილია ჭავჭავაძეს. თხოვნას ორივეჯერ აკმაყოფილებენ.

დეკემბერი — ჟურნალი „მნათობი“ (№ 10—12) აქვეყნებს ანტონ ფურცელაძის წერილს „საწყალი კუდაბზიკა! („კრებულ-დროება“ და იმათი ყვინჩილაობა), რომელიც მიმართულია „დროებისა“ და „კრებულის“ თანამშრომლების, მათ შორის ილიას წინააღმდეგ.

დეკემბრის 1 — გაზეთი „დროება“ (№ 47) აქვეყნებს თავადაზნაურთა კრებაზე ილიას მიერ წარმოთქმულ სიტყვას საადგილმამულო ბანკის დაარსების საკითხზე.

დეკემბრის 5 — თავადაზნაურობის საგანგებო კრება იხილავს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შედგენილ ბანკის წესდების ახალ პროექტს და ერთხმად იწონებს მას.

„... გუშინ, დეკემბრის ხუთს, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ გადასწყვიტა საქმე... თითქმის ერთხმით მიიღო ისეთი ბანკის წესდებულების პროექტი, რომელსაც „საადგილ-მამულო“ (поземельный) ბანკს ეძახიან“ (დროება, 1872, № 48).

დეკემბრის 7 — თავადაზნაურობის კრება საადგილმამულო ბანკის წესდების შემმუშავებელ კომიტეტს აკისრებს ზედამხედველი კომიტეტის ფუნქციებს, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ბანკის დაარსება.

ზედამხედველი კომიტეტის რიგებიდან ილიას ირჩევენ ბანკის მმართველად და მასვე ანდობენ ბანკის დირექტორების არჩევას.

„ჩვენ გავიგონეთ, რომ თფილისის სააზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ბანკის მმართველად თ. ილია ჭავჭავაძე ამოურჩევია, რომელიც ამის გამო, როგორც ისმის, სამსახურს სტოვებს. ამასთანავე ამბობენ, რომ დირექტორების ამორჩევა კომიტეტს თვითონ ბანკის მმართველისათვის მიუნდვია და იმას უკვე ამოურჩევია: უფ. დიმიტრი ყაზიბეგი და დავით ყიფიანი. სამნივე ესენი ამ მოკლე ხანში პეტერბურღში აპირებენ წასვლას ერთის მხრით იმისთვის, რომ ბანკის პროექტის დამტკიცება დააჩქარონ და მეორეთ იმისთვისაც, რომ ბანკის საქმე პრაქტიკულათ შეისწავლონ... ჩვენ სრულს თანაგრძნობას განვაცხადებთ ამ ამორჩევაზე. პირ-უთვნელად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავა[ძე]სოდენი თითქმის არავის არ უშრომია ამ უკანასკნელ დროს თფილისის სააზნაურო ბანკისათვის და იმდენი მონაწილეობა ამ ბანკის წესდებულების შედგენისათვის არავის მიუღია. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მომავალი ბანკის მმართველი კარგათ და სინდისიანათ წაიყვანს ამ საქმეს, რომელიც როგორც სჩანს, იმას — ზედმიწევნით შეუსწავლია...“ (დროება, 1873, 9 იანვ. № 1, გვ. 2).

დეკემბრის 8 — ბრუნდება თბილისიდან დუშეთში.

დეკემბრის 9 — ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად კირილე ლორთქიფანიძეს უგზავნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხ წერილს მაიკო ორბელიანისადმი, რომლებიც ილიას წამოუღია თავისი სიძის ალექსანდრე საგინაშვილის ოჯახიდან. ნ. ბარათაშვილის წერილებს წაუმძღვარა სარედაქციო შენიშვნები.

„... გიგზავნი ბარათაშვილის წერილებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ... გთხოვ მაგ წერილებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო:

„ეს ოთხი წერილი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. კისაც ესმის — რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, — იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მავა წერილების პატივცემულს გარდმომცემელსა“.

ამ გვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: Мир управляется слабостями людскими (თსკ, ტ. X. გვ. 27-28).

ამავე დღეს მუშაობას იწყებს „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებაზე.

„დღეს მივყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენ არ ვწამს, დასრულდება. გლახის ნაამბობის კორექტურა უკანასკნელი მე უნდა გავშინჯო“ (იქვე. გვ. 28).

1873

იანვრის დასაწყისი — იმყოფება თბილისში. მეუღლეს სტუმრად ამგზავრებს ბაქოში, ქვისლის — დიმიტრი სტაროსელსკის ოჯახში.

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 1-ში ქვეყნდება დ. ერისთავის ფელეტონი „სიზმარი ახალი წლის წინადღით“ (მარტინ ზადეკაშვილის ხელმოწერით). ფელეტონში სხვებთან ერთად გამოყვანილია ილიაც.

«Я хочу тебе назвать лиц, которые там выставлены, тогда легче можно будет понять всё. Дело касается тех дворянских собраний для решения вопроса о банке, о которых я уже тебе писала. Гамбетта это Илья Чавчавадзе, прокурор Гранперэ — Нико Чавчавадзе, председатель окружного суда» (საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. 1965, გვ. 98).

იანვრის 8 — თბილისიდან ბრუნდება დუშეთში და მუშაობას აგრძელებს „გლახის ნაამბობზე“.

„მე რვას შინ მოვედი და გლახის ნაამბობი თითქმის შევასრულე. მგონია, ურიგო არ გამოვა. ეხლა დანარჩენსა ვწერ...“ (თსკ, ტ. X, გვ. 258).

იანვრის შუა რიცხვები (?) — წერილს ღებულობს ნიკო ნიკოლაძისაგან თბილისიდან.

იანვრის 18 —საპასუხო წერილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს. წერილში უმთავრესად საუბარია „გლახის ნაამბობზე“.

„... ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ გლახის ნაამბობის კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტო უკანასკნელი კორექტურა გამომგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორე დღეს უკანვე დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს“ (თსკ. ტ. X, გვ. 43).

იანვრის 29-მდე — ამთავრებს „გლახის ნაამბობს“, რის შესახებაც წერილით ატყობინებს კირილე ლორთქიფანიძეს.

„გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც, მგონი კარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, ღმერთმა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!“ (თსკ, ტ. X, გვ. 29).

იანვრის 29 — წერილთან ერთად კირილე ლორთქიფანიძეს „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად უგზავნის გლეხურ სიმღერებს.

„გიგზავნი გლეხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. გამოიზოგე. სხვა ლექსებს ვეღარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია“ (იქვე, გვ. 29).

იანვრის ბოლო — მკითხველი საზოგადოება ღებულობს ჟურნალ „კრებულის“ 1872 წლის № 10—12 (ცენზ. ნებართვა 20 იან.), რომელშიც ქვეყნდება „აჩრდილის“ 1—3 თავი.

იანვრის ბოლო-თებერვლის დასაწყისი — ფულს აგროვებს შიმშილობისაგან შევიწროებულ ჭიზიყელების სასარგებლოდ, თვით ილიას 10 მანეთი შეაქვს.

„ჭიზიყელების ფულის დარიგებაზედ ვერასფერს საბუთიანს ვერ მოგწერ. მე მგონია, რომ ერთს ვისმეს იქაურს სანდო კაცს გაუგზავნო ფული, რომ იმან დაურიგოს, და ვისაც რას მიჰსცემს, ბარათი ჩამოართვას მამასახლისის ბეჭედით დამტკიცებული; ეგ ბარათები რედაქციას გამოუგზავნოს და რედაქციამ კიდევ ფულის მიმღებთა სია დაბეჭდოს საზოგადოების საცნობელად“ (თსკ, ტ. X, გვ. 42).

„დროების“ რედაქციას შიმშილობისაგან შევიწროებული ქიზიყელების შესაწევნელად დუშეთიდამ სამი თუმანი და ნახევარი მოუვიდა...“ (დროება, 1873, 2 მარტი, № 9, გვ. 2).

თებერვლის 1 — წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. ატყობინებს „გლახის ნაამბობის“ დასრულებას.

თებერვლის პირველი დეკადა — ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად კირილე ლორთქიფანიძეს უგზავნის „გლახის ნაამბობს“, ლექსებს: „ვიხილე სატრფო...“, „ჩემო მკვლელო...“ „ს-ს, მაშინ დავსტკბები...“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „დამქროლა ქარმან...“ ამასთან თხოვს აცნობოს მისი აზრი „გლახის ნაამბობზე“ და შეატყობინოს ბეჭდავენ თუ არა სტატიას „ზოგიერთი რამ“.

„... გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს. ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირ-მოუფერებელი აზრი მაცნობე... რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს მაცნობე, ჰბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმო“ (თსკ, ტ. X, გვ. 29-30).

წერილს ღებულობს სერგეი მესხისაგან, რომელიც თხოვს რჩევას ალაზნის სარწყავი არხის გ. ანდრონიკაშვილისეულ პროექტზე და სხვ.

„მესხს უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო“ (თსკ, ტ. X, გვ. 30).

თებერვლის 8 — წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. ატყობინებს, რომ უკვე გადაწყვიტა სამსახურიდან განთავისუფლება.

„ჩვენი ბანკის საქმე, ამბობენ, ცდილობენ, რომ წაახდინონო. საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ მე ბანკის საქმეს აღარ უნდა მოვუცადო და რაც შეიძლება მალე დავახწიო თავი სამსახურსა და მოვშორდე სუდის ნაწილის სიდამპლესა და სიმყრალესა. იქნება ამ თვის ბოლოს „ატსტავკა“ მივცე და შენს წამოსაყვანად წამოვიდე“ (თსკ, ტ. X, გვ. 262).

თებერვლის მეორე დეკადის დასაწყისი(?) — საპასუხო წერილს უგზავნის სერგეი მესხს.

„მივიღე შენი წიგნი გ. ანდრონიკაშვილის პროექტითურთ. კაცო! აქ რა არის გასარჩევი, რომ გავარჩიო. უსტავი ჯერ დაწერილი არ არის და ამ საქმეში სხვა რა არის გასარჩევი ჩვენგან...

მწერ, ჩამოდიო, სალიტერატურო საღამო გავმართოთო. მეც ძალიან მინდა, მაგარმ ოფიციალურად გამოცხადება ქალაქში არ შეშიძლიან, რადგანაც არ დამითხოვენ. ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. ეს ოხერი, ვერ დავაღწიე თავი ამ უგემურს სამსახურსა. მალე კი მოვუღებ ბოლოს“ (თსკ, ტ. X, გვ. 41—42).

თებერვლის მეორე ნახევარი — დუშეთიდან თბილისში ჩადის და იქ რამდენიმე დღე რჩება ბანკის საქმეების გასარკვევად. მონაწილეობს აგრეთვე ლიტერატორთა შეხვედრაში.

„მესხს უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო. მე თუ თავი როგორმე დავაღწიე, იქნება ჩვიდმეტს ამ თვეს ჩამოვიდე ქალაქში...“ (თსკ. ტ. X, გვ. 30).

„მე გუშინ წინ ქალაქიდამ მოვედი და აი რა ახალი ამბები შევიტყე: 1) ჩემი რუსეთში წასვლა, მგონია, აპრილის ადრე ვერა ხერხდება და ვერც ჩემი „ატსტავკა“.

„ეხლახან ქალაქში ვიყავ, ბანკის თაობაზედ დავებარებინეთ...“ (ი. ჭავჭავაძე, წერილები მეუღლისადმი. თსკ, ტ. X. გვ. 264—265).

«Здесь недавно был съезд грузинских литераторов. Говорят, Ил. Чавчавадзе хочет написать критическую статью, в которой проведёт параллель между Гамлетом и Тарцелом из «Барсовой кожи» (საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. 1965, გვ. 100).

მარტის 1 — წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. ატყობინებს „გლახის ნაამბობის“ ბეჭდვის მდგომარეობას და თავისი ნაწერების გამოცემის განზრახვას.

„ჩემი გლახის ნაამბობი სრულად იბეჭდება და როცა დაიბეჭდება, გამოგიგზავნი. ვინც ხელნაწერი წაიკითხა, მოიწონა. ამასთანაც გაცნობებ, რომ ქალაქში მესტამბე მელიქოვმა მითხრა, რომ შენი თხზულებანი სრულად უნდა დავბეჭდოო იმ პირობით, რომ ნახევარი მოგება ჩემი უნდა იყოს. ჩემი თხზულებანი სულ სამი ტომი გამოვა ანგარიშით. ჯერ გადაწყვეტილად ნება არ მიმიცია, იმიტომ რომ ჩემის თხზულებების დაბეჭდვის ნება ამას წინათ ნიკოლაძემ მთხოვა და მითხრა, რომ მეტად მდიდრად უნდა გამოვცეო და ნურავის მიჰსცემ დასაბეჭდათაო. ეხლა ნიკოლაძე ისევ პარიჟში წავიდა და ის რომ მოვა, მაშინ გადავწყვეტთ ამ საქმის ვითარებას.

ჩვენი ბანკის საქმე ამ ორს-სამს კვირაზედ უნდა გათავდეს აქ „გლავნი უპრავლენიაში“. დიდი იმედია, რომ არ მიჰსცემენ არაფერს დაბრკოლებას“ (თსკ, ტ. X, გვ. 268).

მარტის 14 — საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტი იგზავნება პეტერბურგში. ამ ამბით გახარებული ილია მეუღლეს ბაქოში სწერს: „...მიხარებია შენთვის: ჩვენი ბანკის პროექტი აქ მიიღეს და 14-ს მარტს პეტერბურგში გაგზავნეს დასამტკიცებლად. ეხლა კი, მგონი, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოუხდეს“ (იქვე, გვ. 276).

ამავე დღეს წერილს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს და თხოვს წიგნების გაგზავნას ბიბლიოთეკიდან.

„თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი უსათუოდ გამომიგზავნე: «Философия и наука. Очерки из современных Европейских писателей. Издание Вольфа...» ესეც გამომიგზავნე თუ ივანოვს აქვს: Всеобщее землеописание (география)... "(იქვე, გვ. 30).

მარტის 16 — წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. ატყობინებს სამსახურიდან განთავისუფლების განზრახვას.

„... თუმცა შენის მიზეზით ძალიან მეძნელება სამსახურიდამ გამოსვლა, მაინცა დ მაინც უნდა გამოვიდე. აპრილში ვაპირობ ქალალდის მიცემას, თუ უეცარმა რამ მიზეზმა არ დამაბრკოლა კიდევ. ერთი ფიქრი მაწუხებს, ვაი თუ ამ ვაინაჩრობის ცხოვრებიდამ სიღარიბეში ჩავცვივდეთ, და შენ, ანუ მე, ეგ ვერ ავიტანოთ. ეს ფიქრი რომ არა მწყალამდეს, დღესვე ამ ოხერს სამსახურს თავს დავანებებდი" (იქვე, გვ. 272).

აპრილის დასაწყისი — წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში. ატყობინებს თბილისში წასვლის განზრახვას.

„... ხვალზევით ქალაქს მივდივარ, იქ შევიტყობ, როდის მომცემენ „ატსტავკას..." (იქვე, გვ. 276).

აპრილის 5-10 — ბანკის საქმეებზე იმყოფება თბილისში. თხოვნა შეაქვს საოლქო სასამართლოში სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

„მე ქალაქში ჩავედი 5-ს აპრილს და ათს აპრილს უკანვე დავბრუნდი...".

„ქალაქს ვიყავ, „ატსტავკა" მივე, რომელიც აქამომდე „ოკრუჟნოი სუდს" არ გაუსინჯავს..." (თსკ, ტ. X, გვ. 278, 281).

აპრილის ბოლო — გამოდის ჟურნალ „კრებულის" 1873 წ. პირველი ნომერი (ცენზ. ნებართვა 26 აპრ.), რომელშიც ქვეყნდება „გლახის ნაამბობი" (I-IV თავები), „აჩრდილის" გაგრძელება (IV—VIII თავები), ილიას მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები და ილიას მიერ თავისი დის ელისაბედისა და სიძის ალექსანდრე საგინაშვილის ოჯახში მიკვლეული ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი წერილი მაიკო ორბელიანისადმი. ნ. ბარათაშვილის წერილებს წინასიტყვაობის სახით წამძღვარებული აქვს ილიასეული შენიშვნები.

აპრილი-მაისი — ილია მოუთმენლად ელოდება სამსახურიდან განთავისუფლების ნებართვას.

„მე ყოველდღე მოველი „ატსტავკას“ და არ მამდის. არ ვიცი რა მიზეზია. ეხლახან შევიტყე, რომ ჩემს მაგიერ ალექსანდრე სავანელსა ნიშნენო“.

„დუშეთში პირველის მაისიდამ სულ სადილებს გვიმართვენ, სადაზანდრებიც დაიბარეს ქალაქიდამ და ვიდრე მე წამოვალ... აქ ეყოლებათ“.

„მე „ატსტავკა“ არ გამამსვლია და არ ვიცი როდის გამომივა. „უატტავკოდ“ ჩემი აქედამ წამოსვლა შეუძლებელია თუ ამ მაისის ოცამდინ „ატსტავკა“ არ მომივიდა, უნდა ავადმყოფობის ქაღალდი მივცე“ (თსკ, ტ. X, გვ. 280, 282, 283).

მაისის 14 — საოლქო სასამართლოს ბრძანებით ილიას ათავისუფლებენ დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობისაგან (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947. გვ. 275).

მაისის 17 — წერილს უგზავნის მეუღლეს ბაქოში (ბოლო წერილი დუშეთიდან მეუღლისადმი გაგზავნილი). აცნობებს, რომ განთავისუფლების ნებართვა ჯერ არ მიუღია. როგორც კი მიიღებს ბაქოზე გავლით რუსეთს მიემგზავრება.

„რა წამსაც „ატსტავკა“ მამივა და საქმეებს ჩავაბარებ, მაშინვე წამოვალ. სამი დღე, ანუ ორი, ქალაქს დავრჩები, ერთი კვირა კახეთში მომიგვიანდება, და მას შემდეგ შენკენ წამოვალ... დიმიტრი ყაზიბეგი ზის ქალაქში, მე მელის... მე და ეგ ერთად მივდივართ ბაქოზედ და მაინდამ ერთად წავალთ რუსეთს. რუსეთში ორი-სამი თვე დავრჩებით, მეტი არა. იქიდამ კიდევ ბაქოს მოვალ, რომ წამოგიყვანო“ (თსკ, ტ. X, გვ. 286).

მაისის 18—20 (?) — ღებულობს სახელმწიფო სამსახურიდან (მოსამართლეობიდან) განთავისუფლების ნებართვას. ილია ელოდება მის შემცვლელ მოსამართლის მოსვლას.

„... ყოველ დღე ველი ჩემს მოადგილეს და ყოველ დღე ვაპირებდი და კიდევაც ვაპირებ ქალაქში ჩამოსვლასა... აი ან დღეს ან ხვალ ჩემი მოადგილე მოვა და წამოვალ“ (თსკ, ტ. X, გვ. 63).

მაისის 23 (?) — ილია მის შემცვლელ მოსამართლეს — ალექსანდრე სავანელს აბარებს სასამართლო საქმეებს.

მაისის 24 — დუშეთის საზოგადოება გამოსათხოვარ სადილს უმართავს ილიას. სადილზე ვრცელ სიტყვას წარმოთქვამს პლატონ იოსელიანი. ილია 8 წლის სამსახურებრივი მოღვაწეობის შემდეგ საბოლოოდ ემშვიდობება დუშეთის საზოგადოებას.

ივნისი — პეტერბურგში გამგზავრებამდე ილია ჩადის ყვარელში და იქ იწყებს სახლ-კარის საამშენებლო სამუშაოების ორგანიზებას.

„.. შენი ჰირიმე, ოლიკო, ყვარელში რო გახვიდე, ყველაფერი კარგად გასინჯე. მე რომ წამოვედი, ისე დავაწყეთ მე და პოდრიაჩიკმა, რომ აგური, კირი, კრამიტი ერთად უნდა დაგვეწვა: ხე-ტყე სახლისა, კარი და ფანჯარა მოტანილი უნდა იყოს... თუმცა კუტრები ვართ, მაგრამ თუ სახლი როგორმე მოვიხერხეთ, როგორც იქნება თავს დავირჩენთ და ვიცხოვრებთ, თუ ქალაქში არა, სოფელში მაინცა. ხომ იცი, რომ ჩემი ნატვრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ. შენი ჰირიმე, ოლიკო, შენებურად დატრიალდი და გაისარჯე, რომ სახლის აშენებას დაბრკოლება რამ არ მიეცეს“ (თსკ, ტ. X, გვ. 331).

ივნისის მეორე ნახევარი (?) — საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტის დასამტკიცებლად და საბანკო საქმის გასაცნობად ილია დიმიტრი უაზბეგთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში.

„ჩვენ გავიგეთ, რომ უფ. ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი უაზიბეგი, რომელთაგან პირველი აქაური სათავადაზნაურო ბანკის მმართველად არის ამორჩეული და მეორე დირექტორად, ამ დღეებში პეტერბურღში მიდიან“ (დროება, 1873, 1 ივნ. № 21, გვ. 2).

ივნისის ბოლო-ივლისის დასაწყისი — ილია ჩადის მოსკოვში და ბინავდება მისამართზე: Большой бронный переулок, номера Андреева № 43.

მოსკოვში ჩასვლისთანავე ილია იწყებს ბანკის საქმეების მოგვარებას.

ივლისის დასაწყისი — გამოდის და მკითხველს ურიგდება ჟურნალ „კრებულის“ № 2 (ცენზ. ნებართვა 26 ივნ.), რომელშიც დაბეჭდილია „გლახის ნაამბობის VI—VIII თავები და „აჩრდილის“ XI-XVI თავები.

ივლისის 12 — მოსკოვიდან მიემგზავრება პეტერბურგში. ამავე დღეს ბაქოში წერილს უგზავნის მეუღლეს.

„მე დღეს ოთხს საათზედ პეტერბურღში მივდივარ... რადგანაც ამბობენ, რომ ჩვენი ბანკის საქმე ძალიან ცუდად არისო, მინისტრს უთქვამს, რომ პროექტს არ დავამტკიცებინებო, რადგანაც ფული ცოტა ჰქონიათო“ (თსკ, ტ. X, გვ. 287—288).

ივლისის 28 — პეტერბურგიდან ბრუნდება მოსკოვს. ილია სასოწარკვეთილია, რომ ბანკის წესდების დამტკიცება და საბანკო საქმიანობის შესწავლა ყოვნდება, მაგრამ ძალღონეს არ ზოგავს, რომ რაიმე გამოვიდეს.

„შენმა გარდამ, ასეთს ვაივაგლახში ვარ, რომ მეტი არ იქნება... ჩვენ არა ბანკში არ გვიშვებენ, რომ რამე შევისწავლოთ. საშინელ

გაჭირვებაში ვართ. ქალაქში მივსწერე ეს ჩვენი გაჭირვებული გარემოება და არ ვიცი რა პასუხი მოგვივა...“

აგვისტოს 3 — „მე ოცდაექვს[ს] პეტერბურგიდამ მოვედი. ყოველ ცისმარე დღე ჩვენს ბანკის საქმეზედ დავრბივარ და ვერა გავხდით რა. არც ერთს ბანკში არ გვიშვებენ, რომ შევისწავლოთ რამე. მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავს, ამის გამო ბევრი დრო გვეკარგება და იქნება დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევისწავლეთ რა და ისე ხელცარიელები მოვედით ქალაქს, ხომ იცი რამდენს ცილს დაგვწამებენ. აი, ბატონო, იტყვიან, ჩაჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო, და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა, რომ ჩემზედ ესენი ჰსთქვან: რაც უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩომა მომინდეს, დავრჩები აქა, რომ შევისწავლო რამე და როგორმე ბანკების კარი გავაღო“ (თსკ, ტ. X, გვ. 289, 293—294).

„საქმის წინ წაგდებისათვის, მე აღარავის მოვუცადე. ავ-ღე თავი და პირდაპირ მოსკოვის ბანკის უპრავლიაუშჩთან... შევეხეტე. ვუამბე ყოველივე ჩემი ნაღველი შესაფერის წინასიტყვაობითა, ვეცადე, რომ მისი კაცობრიული გული ამეძრა ჩვენდა საკეთილდღეოდ, მაგრამ ცერცვი კედელს. ვერაფერი ვერ მოვიბირე, ასეთი ბრიყვი რამ ყოფილა. გადაწყვეტილად უარი მითხრა, ვერასგზით ნებას ვერ მოგცემთ, რომ ჩვენი წესი შეისწავლოო. მომეკვეთნა ფრთენი და ლაღადვყავ უდაბნოსა შინა. ცუდად არის ჩვენი საქმე“. (თსკ, ტ. X, გვ. 49).

ივლისის ბოლო — გამოდის ჟურნალ „კრებულის“ № 3 (ცენზ. ნებართვა 7 ივლ.), რომელშიც ქვეყნდება „გლახის ნაამბობის“ დასასრული (IX-XII თავები) და ილიას მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები.

აგვისტოს დასაწყისი — წერილს უგზავნის მოსკოვიდან უფროსს და ნინოს კარდანახში, ატყობინებს თავის მდგომარეობას და თხოვს მიაშველოს ფული.

„მე ეს თვენახევარია, რაც მოსკოვში ვარ და ის საქმე, რაზედაც მე აქ წამოვეთრიე, როგორღაც ხელთ არ მოდის, თუმცა ჩვენი ბანკი მტკიცდება. შენ იცი, რომ მე, სხვათა შორის, იმისთვინა ვარ აქ გამოგზავნილი, რომ ბანკის საქმე აქაურს ბანკებში დაწვრილებით შევისწავლო. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვებს და გზას არ გვაძლევენ, თუმცა კი ჯერ სრული იმედი არ დამკარგვია...

ერთი, შენი პირიმე, შემატყობინე: შეიძლება რაიმე იმედი ვიქონიო ჩემის მამულის შემოსავალზედ, თუ არა? თუ როგორმე ერთს ოციოდე თუმანს მამიხერხებთ, სწორედ შიმშილისაგან დამიხსნით.

ჩქნებ როგორმე და რაიმე შემოსავლიდამ გამიყიდოთ და ფული მომაშვ[illegible]ლოთ...“ (თსკ, ტ. X, გვ. 10).

აგვისტოს 18 — საპასუხო წერილს უგზავნის თავის დას ლიზას მოსკოვიდან თბილისში. ითხოვს გირავნობის ბილეთის გამოხსნას და ხელახლა დაგირავებას.

„... გუშინ წინ მივიღე შენი წიგნი და ალექსანდრესი... ეხლა აი რასა გთხოვ, ჩემო ლიზო! მანდაურს „გოსუდარსტვენნი ბანკის ატდელენიაში“ ორი ბილეთი გვაქვს დაგირავებული. თერთმეტ ღვინობისთვეს ვადა გადის. თუ მანამდე არ დავიხსენით, დაგვეკარგება და ათიოდ თუმანს ვიზარალებო. რომ ეს ასე არ მოხდეს, უნდა ეგ ბილეთები მინამდინ დავიხსნათ და იქავ ჩემს სახელზედ დავაგირავოთ იმავ დღეს...“ (თსკ, ტ. X, გვ. 64-65).

აგვისტოს ბოლო — დიდი ვაივაგლახით ახერხებს მოსკოვის საკრედიტო ბანკში საბანკო საქმის შესწავლის ნებართვის მიღებას. ამის შესახებ წერილით ატყობინებს მეუღლეს.

„ძლივს გავირიგე ბანკში შესვლა. ორშაბათიდამ დავიწყებ ბანკში სიარულსა. იქით კვირას მოგწერ, რამდენი ხანი მომინდება ბანკის წესის შესწავლისათვის. რაკი შევისწავლი, მე აქ საქმე აღარა მექნება რა და წამოვალ. თუ ქალაქიდამ „ნაბლიუდატელნი კამიტეტი“ მომწერს, რომ მანდ ნუღარ დარჩებიო...“ (იქვე, გვ. 299).

აგვისტოს 27-სექტემბრის 6 — მოსკოვის ბანკში სწავლობს საბანკო საქმიანობას. ამის შესახებ წერილით ატყობინებს მეუღლეს.

„მე ეხლა ძლივს შევდგი ფეხი ბანკში და რაც საჭიროა ვსწავლობ. დილიდამ ათ საათიდამ ოთხ საათამდე ბანკში ვარ ხოლმე. ორი ნაწილის საქმის დაწყობა შევისწავლე, ორი კიდევ დამრჩა. იმ კვირას სულ ღვთით გავათავებ. თუ 15-ს სექტემბრამდინ რევაზისაგან ანდრონიკოვისაგან აქ დარჩენის ბრძანება არ მომივა (იმიტომ რომ სხვა და სხვა ბანკირებთან სალაპარაკო ბევრია), მაშინ ოცს სექტემბერს მაინდკენ წამოვალ. თუ მომივიდა ყი, მაშინ ჯამაგირსაც დამინიშნავენ და უნდა დავრჩე იმ დრომდი, ვიდრე უსტავი დამტკიცდება და ბანკირებთან საქმეს გავათავებ. აი ჩემის აქ ყოფნის თავი და ბოლო ეს არის“ (იქვე, გვ. 300).

სექტემბრის დასაწყისი — გამოდის ჟურნალ „კრებულის“ № 5—6 (ცენზ. ნებართვა 29 აგვ.), რომელშიც ქვეყნდება „აჩრდილის“ მე-17 თავი, ლექსი „პარიჟი“ (თხზ. სრულ კრებულში ტ. 1. სათაურით: „1871 წელი 23 მაისი“) და ილიას მიერ შეკრებილი გლეხური სიმღერები.

ჟურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება ნ. ნიკოლაძის (ნ. სკანდელის) ვრცელი წერილი „გლახის ნაამბობზე“.

სექტემბრის 7 — საბანკო საქმიანობის შესასწავლად მიემგზავრება მოსკოვიდან პეტერბურგს, სადაც ბინავდება ქარავნის ქუჩის № 18 სახლში, ვინმე მალცევის ბინა № 7-ში.

ბანკის წესდების დამტკიცება უსაშველოდ ჭიანურდება. ილიას ზოგჯერ უიმედობა იპყრობს, მაგრამ თავს არ ანებებს დაწყებულ საქმეს და ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს იგი.

„... ნუ იწუხებ და მომეცი შენის კაი დედაკაცობით იმოდენა დრო, რომ ჩემი კისრად აღებული საქმე შევასრულო პირნათლად და პატიოსნად... თუ უფულობამ შეგაწუხოს, რაც მოახერხო გაყიდე, ცხენი იქნება თუ ტარანტასი. სხვა გზა არ არის. მეც აქ ვალში ჩავვარდები, მგონია, იმიტომ რომ, რაც ფული მჭონდა, ამ თვის ბოლოს სრულიად გამომელევა; იქნებ ოკტომბრის ნახევრამდინ რა ვიმყოფინო. თუმცა ჩვენმა რევაზმა [ანდრონიკაშვილმა], ოცდაათი თუმანი კიდევ შემომაძლია, მაგრამ სხვადასხვა საძაგლობის გამო, რომელიც ზედ დაეტანებინა, მე ფულზედ უარი უთხარი და ლაზათიანადაც გამოგილანძღე რევაზიცა და სხვა მისი დამჭაშებიცა... (იქვე, გვ. 310).

„შენ ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მაპრკოლებენ ჩვენი „ნაბლიუდატელნი კომიტეტი" და იმის უხეირო მოთავენი... ყიფიანი და ყაზბეგი ხომ ჯერ, მკათათვეში ერთი, და მეორე აგვისტოში, გაიქცნენ, აქედამა და დამაგდეს მე მარტო. ამას გარდა, შური და მტრობაც გამოჩნდა „ნაბლიუდატელნი კომიტეტში" ჩემს წინააღმდეგ. ეს ყველაფერი აქ შევიტყე, მაგრამ არავისი არ მეშინიან" (იქვე, გვ. 314—315).

პეტერბურგის უნივერსიტეტში შეხვედრები აქვს პროფესორ დავით ჩუბინაშვილთან.

„აქ პეტერბურგში მე დავდივარ ჩვენ ძველ პროფესორთან ჩუბინოვთან..." (იქვე, გვ. 307).

სექტემბრის 7-ის შემდეგ(?) — პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ ეცნობა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტ ვანო მაჩაბელს, რომელთანაც ერთად იწყებს შექსპირის „მეფე ლირის" თარგმნას ქართულ ენაზე.

„აქაური ამბავი რა მოგწერო: მე უსაქმობის გამო ანგლიურის ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვჰსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქს თხზულების წაკითხვა შემეძლოს" (ი. ჭავჭავაძე. წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 326).

სექტემბრის 11 — ალექსანდრე ცაგარელი ილიას უძღვნის თავის წიგნს (О грамматической литературе грузинского яз. Критический очерк. СПб.,1873) წარწერით: თ. ილიკო ჭავჭავაძეს ნიშნად ხსოვნისა ავტორისაგან. სპბ. 1873. 11—IX".

სექტემბრის ბოლო — ჟურნალ „კრებულის“ № 7-ში ქვეყნდება გლეხური სიმღერა ი. ჭავჭავაძისაგან შეკრებილი.

ოქტომბერი — ცალკე წიგნად გამოდის რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან შეკრებილი „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ (ცენზ. ნებართვა 8 სექტ.).

ოქტომბრის დასაწყისი — ჟურნალ „კრებულის“ № 8-ში ქვეყნდება ილ. ჭავჭავაძისაგან შეკრებილი გლეხური სიმღერა.

ოქტომბრის 1 — ილიას სადილს უმართავენ ქართველი კანვოელები.

„წარსულს ორშაბათს კანვოელებმა დამპატიჟეს, ქართული სადილი გამიკეთეს, მშვენიერის სიმღერით, თარით და ჭიანურით შემაქცევს...“ (იქვე. გვ. 313).

ოქტომბრის 15 — საპასუხო წერილს უგზავნის თავის დას ლიზას პეტერბურგიდან თბილისში. ილია დიდ მადლობას უთვლის ფულის გაგზავნისათვის.

.... შენი წიგნი და ოცი თუმანი ფული მომივიდა და სწორედ გითხრა სულის მოსწრებაზედ მომივიდა ერთიცა და მეორეც. დიდი მადლობელი ვარ, დიდი და დიდი!.. მარტო ამას ვწუხვარ, რომ შენ შეგაწუხეს და ხუთი თუმანი შენ დაგაყრევინეს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მაგ ხუთს თუმანს დაგიბრუნებ. ძმებმა ანგარიში ქმნეს და მაინცა ძმურად დარჩნენო, ნათქვამია“ (თსკ. ტ. X, გვ. 60).

ოქტომბრის 23 — ბანკის წესდების დაუმტკიცებლობით შეწუხებული ილია მეუღლეს უგზავნის წერილს:

„ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმეო უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. აბა ქრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრს ბანკსა!..

ამას წინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე შინ მეთქი, რისთვის ვიტანჯები და ვწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნებმა კიდევ გული მომცეს და ვჰსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამრჩეს: ეგ ბრძოლის ველიდამ გაქცევა იქნება და სირცხვილი მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მიწასთან გამასწორებენ მეთქი...“ (იქვე. გვ. 317).

ნოემბერი — ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ქვეყნდება ლექსები: „ჩიტი“, „გაზაფხული“, „არაგვი“ (აჩრდილიდან), „მძინარე ყმაწვილს“ და ნაწყვეტი პოემა „კაკო ყაჩაღიდან“.

ნოემბრის ბოლო-დეკემბრის დასაწყისი(?) — ილია ივანე მაჩაბელთან ერთად ამთავრებს „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების თარგმანს და ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად თბილისში უგზავნის პეტრე უმიკაშვილს.

დეკემბრის 6 — პეტერბურგიდან თბილისში ილია წერილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს და სთხოვს არ აღასრულოს გაცხარების დროს მიღებული გადაწყვეტილება სამშობლოდან წასვლის შესახებ.

„... წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დაჰსწერე ის... ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფთხი? მე იმოდენად შენს პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს...“ (თსკ, ტ. X, გვ. 46).

დეკემბრის 15 — პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის დას ლიზას. უსაყვედურებს წიგნის მიუწერლობას. ატყობინებს თავის ამბებს.

დეკემბრის 15-16(?) — პეტერბურგის ქართველთა წრეში კითხულობს „მეფე ლირს“. თარგმანმა დიდი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია მსმენელთა შორის.

„იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავ, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინად თითონ მოვიდა და მთხოვა შექსპირის ტრაგედია, [მეფე] ლირი, რომელიც ქართულად ანგლიურიდამ გადავთარგმნეთ, წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხად“... (თსკ, ტ. X, გვ. 332).

დეკემბრის 15-31 — ბანკის საქმეებისაგან თავისუფალ დროს აგრძელებს მუშაობს „მეფე ლირის“ თარგმანზე.

1874

იანვრის 1 — ვანო მაჩაბელთან ერთად ამთავრებს შექსპირის „მეფე ლირის“ მეორე მოქმედების, თარგმნას.

„აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი [ილია გულისხმობს „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების თარგმანს]. მომწერე, როგორც მოვეწონა შენ და სხვებსაც. მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს. სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულად გავათავეთ თარგმანი. მე ძალიან მომწონს და სხვისა არ ვიცი. აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთ როგორი თარგმანია“ (თსკ, ტ. X, გვ. 342).

პ. უმიკაშვილს სწერს:

„ჩვენი ნათარგმნი ლირი აქამომდე მიღებული გექმნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დაჰსტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთ ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაცებულს თვალს მიანდონ.

ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწეროო ამ ადრესით. Студенту СПб университета Ивану Георгиевичу Мачабели, с передачею Илье Чавчавадзе.

თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება“ (თსკ, ტ. X, გვ. 38-39).

იანვრის პირველი ნახევარი — ჟურნალ „კრებულის“ 1873 წ. № 10-ში (ცენზ. ნებართვა 1 იანვ.) ქვეყნდება შექსპირის „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების ილიასა და ვანო მაჩაბლისეული თარგმანი.

„კრებულის“ ამავე ნომერში ქვეყნდება ილიას მიერ შეკრებილი ჭლეხური სიმღერები.

„უფ. ილ. ჭავჭავაძეს და ივ. მაჩაბელს გაუთავებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაიბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთს მშვენივრად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძენს“ (დროება, 1874, 8 მარტი, № 414, გვ. 2).

იანვრის 31 — თბილისის საზამთრო თეატრში წარმოადგინეს ილიას „სცენები მომრიგებელ შუამდგომელთან“ (დროება, 1874, № 409, გვ. 2).

თებერვალ-მარტი — ილია ჯერ კიდევ პეტერბურგშია გაუთავებელი დაპირებებისა და ბანკის წესდების დამტკიცების მოლოდინით შეწუხებული. ამას ემატება საყვედურები მისი დაგვიანების გამო მეუღლისა და ნათესავებისაგან.

„შენი წიგნი, ოცდასამს თებერვლიდამ დაწერილი, გუშინ მომივიდა და არ იყო რომ ცოტად გული არ მატკინა. მწერდი, რომ „შენ გაზილა უფრო გახსოვსო, ვიდრე მეო“. ამ სიტყვებმა დიდად შემაწუხა უიმისოდაც შეწუხებული. ვიცი შენის კეთილის გულისაგან, რომ ეგ სიტყვები სახუმარად მომწერე, მაგრამ უნდა გაგიტყდე, რომ მაგგვარი სიტყვები სახუმაროდაც არ ვარგა. არ ვიცი საიდამ მოგსვლია ფიქრად მაგგვარების მოწერა. ამ უნათესავო და უმზეო ქვეყანაში ყოფნა

არ მეყოფის ჯავრად, რომ მაინდამაც ეკლებით არ ვიჩხვლიტებოდე!...

რა ვქნა, რა მიზეზი მოგეცით, რომ შენცა და შენი დაც ესე უგულოდ მამცირებთ და მსტაცებთ ყოველს კაცობრიულს ფიქრსა და გრძნობასა. რა ექმენი იმისთანა? ათი თვე დავრჩი რუსეთში? ნუთუ გგონიათ, რომ ქეიფისათვის დავრჩი!... ეგ იყო, რომ მწერდი, არ დაანებო თავიო მაგ ბანკის საქმესო, ეგ იყო რომ გულს მიმაგრებდი და მახალისებდი!..“ (ი. ჭავჭავაძე, წერილები მეუღლისადმი. ტ. X, გვ. 346-347, 349).

აპრილის დასაწყისი (?) — პეტერბურგსა და მოსკოვში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ილია საქართველოში მოემგზავრება.

„ჩვენი ბანკის საქმე ძალიან კაზრად მიდის, ეჭვი არ არის, რომ დაამტკიცებენ... მე ეხლა საჭირო აღარა ვარ, უჩემოდაც გარიგდება. მე წამოვალ პეტერბურგიდამ ან დიდს შაბათს, ან არა და ორს აპრილს უსათუოდ და გადაწყვეტილად“ (იქვე, გვ. 350).

აპრილის 18 — პეტერბურგიდან ქუთაისში გზად გამოვლის დროს ლიტერატურულ საღამოზე კითხულობს „მგზავრის წერილებს“ და „მეფე ლირის“ თარგმანს.

„ქუთაისზედ გამოვიელი, ოთხიოდ დღე იქ დავრჩები, საქმეები შაქვს“ (იქვე, გვ. 350).

„ქუთაისში, გამოვლაზედ, წავიკითხე [მეფე ლირი], ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი ვასილ მაჩაბლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 56).

„ქუთაისიდგან იწერებიან, რომ იქ ამ თვის თვრამეტს შინაური ლიტერატურული საღამო ყოფილა. ამ საღამოზედ ორმოც კაცამდე შეკრებილან. კითხვა დაუწყიათ საღამოს ცხრა საათზედ. წაუკითხავსთ: ილ. ჭავჭავაძეს — მგზავრის წერილები, მერმე ეტ. ბებურიშვილს — სცენები ხალხის ცხოვრებიდან, ბოლოს „მეფე ლირი“ — მთარგმნელს ილ. ჭავჭავაძეს. მსმენელები ძალიან კმაყოფილი დარჩენილან საზოგადოდ მთელი საღამოთი, განსაკუთრებით მოსწონებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი“ (დროება, 1874, 26 აპრ., № 420, გვ. 2).

აპრილის 20-22 (?) — რუსეთში ათი თვის ყოფნის შემდეგ ბრუნდება თბილისში.

აპრილის ბოლო-მაისი — იმყოფება მშობლიურ სოფელში.

მაისის 28 — თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცება (წესდება ძალაში შედის ივნისიდან).

ივნისის 15 — საჯაროდ კითხულობს „მეფე ლირის“ თარგმანს. ამავე დღეს წერილს უგზავნის პეტერბურგში ვასილ მაჩაბელს.

„ვანოს გულითადს მოკითხვას მოვახსენებ. ვანოს უთხარ, რომ ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდად. ყველას მოჰსწონს, აკაკი წერეთლის გარდა. დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ ლირსა" (თსკ, ტ. X, გვ. 56).

„ჩვენც დავესწარით თფილისში „მეფე ლირის" კითხვაზედ და მართალი უნდა ვსთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ და არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენიერად გადმოიღებოდა ქართულს ენაზედ". (დროება, 1874, 26 აპრ. №420, გვ. 2). კ. ბებუთოვი ნ. ნიკოლაძეს ამის შესახებ წერს:

«На днях, был здесь Илья и читал у меня свой перевод Лира. Слушателей было человек 30. Перевод кончен и находят прелестным. Может быть зимою поставим на сцену» (ილია ჭავჭავაძე. საუბილეო კრებული. 1957. გვ. 127).

ივნისის ბოლოდან-აგვისტოს ბოლომდე — ილია ყვარელში იმყოფება და სახლისა და კარმიდამოს მოწყობა-მშენებლობას ეწევა (15 ივნისს გაგზავნილ წერილში ვასილ მაჩაბელს აცნობებს მისამართს — თელავი, თავად მიხეილ პეტრეს ძე ანდრონიკოვი. გადასაცემად ი. ჭავჭავაძეს).

ივლისის 12 — გაზეთი „დროება" (№ 431) აქვეყნებს ხელმოუწერელ ლექსს „სამუქაფოდ" გრ. ორბელიანის, ილიას, აკაკის და სხვათა შესახებ.

აგვისტოს ბოლო — ილია ყვარლიდან თბილისში ჩამოდის.

სექტემბრის 1 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაში, რომელსაც აცნობს საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცებისა და ზედამხედველი კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ამავე სხდომაზე ირჩევენ ზედამხედველი კომიტეტის ახალ შემადგენლობას.

„გუშინ ამორჩევა იყო „ნაბლიუდატელნი კომიტეტისა" და ხვალ ზევით ჩვენი ამორჩევა იქნება, გათავდება ეს ამბები თუ არა, ჩვენ წამოვალთ" (ი. ჭავჭავაძე. წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 350).

კრებაზე ილიას წინადადება შეაქვს საადგილმამულო ბანკს მმართველობის ხარჯების შემცირების შესახებ.

„ილ. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ ეს თვრამეტი ათასი მანეთი თუთხმეტ ათასზედ უნდა დავიყვანოთო, რადგანაც პირველ წლებში ბანკისთვის გასაჭირი იქნებაო. უ. ჭავჭავაძე სიხოვდა ამ ფულის გამოკლებას ბანკის გამგებელს და სხვა ბანკში მოხელე პირებს ჯამაგირისაგან. მაგალითებრ: ეხლა ბანკის გამგებელს აქვს დანიშნული, ... სამასი თუმანი და დირექტორებს ორასი, მაშინ როდესაც შესაძლებე-

ლია რომ ბანკის გამგებელი დავაჯეროთ ორას ორმოც თუმანზედ. სრულიად საკმაოა, რომ მას ორმოცი თუმნით მეტი დაუნიშნოთ დირექტორებზედ, რადგანაც მისი შრომა ბევრით არ განსხვავდება დირექტორების შრომისაგანაო. კრებამ კმაყოფილებით მიიღო უ. ჰავჰავაძის წინადადება და ბანკის გასავალი, თვრამეტი ათასი მანეთისაგან ჩამოიყვანეს თუთხმეტზედ“ (დროება, 1874, 6 სექტ. № 439, გვ. 1).

სექტემბრის 5 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საგანგებო კრებაზე ილიას ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ. არჩევნებში მონაწილეობს 150 წევრი, აქედან ილიას ხმას აძლევს 138, წინააღმდეგია — 12.

„კენჭის ყრა იყო, მე ამომირჩიეს „პრედსედატელად“, სანდრო ერისთავი და სანდრო ჩოლოყაშვილი დირექტორებად“ (ი. ჰავჰავაძე, წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 351).

სექტემბრის 19-24 (?) — ილია თიანეთში იმყოფება. აქ ესწრება მამულების გაყოფას.

„... 19-ს ამ თვეს მოვრჩები ყველაფერს და წამოვალ თიანეთს. ოცდა ერთს თიანეთში მამულების გაყოფა იქმნება და იქ უნდა უსათუოდ დავესწრა, იქიდამ ოთხ-ხუთს დღეს უკან ყვარელს წამოვალ“ (იქვე. გვ. 351).

სექტემბრის ბოლო — ბრუნდება ყვარელში.

ოქტომბრის 11 — გაზეთ „დროების“ № 444-ში ბეჭდავს წერილს „რამდენიმე სიტყვა ნიკოლოზ ბერძენოვზე“.

ოქტომბრის 28 — ბანკის საგირავნო ფურცლების დამზადების დასაჩქარებლად და ბანკირებთან მათი გასაღების საკითხებზე ილია ბანკის ერთ-ერთ დირექტორ სანდრო ჩოლოყაშვილთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგს (დროება, 1874, 1 ნოემბ. № 447, გვ. 1).

„მე შაბათს მივდივარ ზღვითა და ღეთის მადლით მალე დავბრუნდები“ (ი. ჰავჰავაძე, წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 353).

ოქტომბრის 31 — „ტიფლისკი ვესტნიკი“ № 111 აქვეყნებს ნ. ნიკოლაძის წერილს („Письма с того света“) თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსებისა და ამ საქმეში ილიას როლის შესახებ.

ნოემბრის 7 — ჩადის მოსკოვში. წერილს უგზავნის მეუღლეს ყვარელში.

„... აი დღეს მოვედი მოსკოვში... მე ზღვით წამოვედი, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ზღვამ დამტანჯა. სამი დღე და ღამე ასეთი ღელვა და ფორთქვნა იყო ზღვისა, რომ ვერ წარმოიდგენ. მე მეორე დღეს სამშინლად მაწყინა...“ (იქვე, გვ. 353).

ნოემბრის 10-15 (?) — ბანკის საქმეებზე პოლტავაში იმყოფება. აქ ეცნობა ქართველთა ახალშენს.

„.. მე ვიდრე პეტერბურგში მოვიდოდი, პოლტავაში დამიბარეს ბანკირთან მოსალაპარაკებლად და იქ ექვსი დღე ვიყავი, ვერა გავარიგე-რა. პოლტავის გუბერნიაში ბევრი ქართველები არიან, უწინდელი გადმოსახლებული და ძალიან მდიდრები, ბარათოვებიც არიან, ორბელიანებიც, მუსხელოვებიც და თითქმის ყველა გვარის კაცი, ჰავჰავაძიანთ გარდა. როგორ ეტყობათ, რომ ჰავჰავაძიანთ უწინაც თავისი ქვეყანა ჰყვარებიათ, რომ თავი არ დაუნებებიათ“ (იქვე, გვ. 325).

ნოემბრის მეორე ნახევარი — პეტერბურგშია და აქ აწარმოებს ფინანსურ გარიგებებს ბანკირებთან.

„... ესეც პეტერბურღში მოვედი და სწორედ გითხრა დიდს წვალებაში ვარ.

დილიდამ საღამომდე.. დავრბივარ და ჯერ კი არავითარი საქმე არ გამირიგებია. ბევრი ბანკირები მელაპარაკებიან ჩვენის ბანკის ზაკლადნოი ლისტებზედ, მაგრამ ჯერ ყურს ვიყრუებ იქნება მეტი ფასით ავაღებინო და მეტად გავყიდო მეთქი“ (იქვე, გვ. 323).

დეკემბრის 22 — დეპეშით აცნობებს გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს რ. ანდრონიკაშვილს პეტერბურგის ბანკთან შეთანხმების მიღწევის შესახებ.

„შეთანხმება მოხდა, ორშაბათს გააფორმებენ, შემდეგ გამოვემგზავრები კრება შეიძლება მოიწვიოთ 28 იანვარს“.

„ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გამგებელს, რომელიც ამჟამად ქალაქშია, ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლების გასაღებაზე ერთს პეტერბურღის საიმედო ბანკთან პირობა შეუკრავს; ამ ბანკს სახელად ჰქვიან „რუსეთის ბანკი გარეშე ქვეყნებთან ვაჭრობისა“ (დროება 1875, 15 იანვ., № 7, გვ. 2).

1875

იანვრის 1 — გაზეთი „დროების“ რედაქცია (№ 1) მკითხველებს აცნობებს („რედაქციისაგან“), რომ ილია ჭავჭავაძე გაზეთს შეპირდა თავისი ახალი ნაწარმოებების გადმოცემას.

გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობა საადგილმამულო ბანკის 10 ან 15 იანვრისათვის გახსნისა და ილიას პეტერბურგიდან მოლოდინის შესახებ.

„ამ დროსთვის მოელიან აგრეთვე პეტერბურღიდამ ამ ბანკის მმართველის თ. ი. ჭავჭავაძის დაბრუნებას, რომელსაც როგორც ისმის, ქარგათ გაურიგებია საქმე შესახებ გირაოს ფურცლების გასაღებისა“ (დროება, 1875, 1 იანვ. № 1, გვ. 2).

იანვრის მეორე ნახევარი — ბრუნდება პეტერბურგიდან თბილისში...

იანვრის 28-თებერვლის 3 — აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა კრების საქმიანობაში (ბანკის წესდების სხვადასხვა საკითხთა განხილვა, შემფასებელი კომისიის არჩევა, ბანკის საქმეში დიდი ღვაწლის გამო დიმიტრი ყიფიანისათვის მადლობის გამოცხადება და სხვ.).

თებერვლის 3 — ბანკის დამფუძნებელთა კრების სხდომაზე გამოდის საპროგრამო სიტყვით, რომელშიც აყალიბებს საბანკო საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებს.

თებერვლის 5 — გაზეთი „დროება“ (№ 16) აქვეყნებს ილიას სიტყვას წარმოთქმულს ბანკის კრებაზე 3 თებერვალს, და ბანკის საქმიანობის ანგარიშს.

თებერვლის 26 — წერილს უგზავნის მეუღლესა და ცოლისდა ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისას ბაქოში.

მარტის 15 — წერილს უგზავნის პეტერბურგში ვასილ მაჩაბელს, ატყობინებს საადგილმამულო ბანკის მდგომარეობას და „მეფე ლირის“ ცალკე წიგნად გამოცემისა და წარმოდგენის გამართვის განზრახვის შესახებ.

„ჩვენი ბანკი კუსავით მიღოღავს ჯერ ჯერობით; მეფე ლირს ცალკე წიგნად ვაბეჭდინებ. დაბეჭდის შემდეგ უნდა საზოგადოდ წავიკითხოთ ... ყველამ თავისი როლი. ამბობენ, დავით ყიფიანის... და თავისთავად ემზადებაო კორდელიის როლისათვის და საოცრად თურმე არდგენს... მე ჯერ არ მინახავს და ამბობენ, ქვეყანას განაცვიფრებსო. შენ უყურე, თუ მართლა საქართველომ შესძლო ნამდვილი კორდელიის წარმოდგენა, მაშინ როდესაც კრიტიკოსები ამბობენ, ჯერ მაგისათვის აქტრისა არ დაბადებულაო!...“ (თსკ, ტ. X, გვ. 58).

მარტის 17 — წერილით ულოცავს ცოლისდა ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკის მეოთხე ვაჟის დაბადებას. ატყობინებს ივანე მუხრანსკისთან მომხდარ უთანხმოების ამბებს (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 191).

— წერილს უგზავნის მეუღლეს, იმ ხანად ბაქოში დასთან სტუმრად მყოფს.

„ოლიკოს წიგნიდამ ჰსცნობდით ჩემი და ივანე მუხრანსკის დატაკებასა“. (იქვე, გვ. 191).

აპრილის 4 — მონაწილეობს „ერთი კეთილი საქმის შესაწევრად“ გამართულ სალიტერატურო-მუსიკალურ საღამოში.

საღამოში ილიასთან ერთად მონაწილეობდენ: დიმ. ყიფიანი, აკაკი, რაფ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი, დავ. ერისთავი, გ. ჩიქოვანი.

საღამოზე ილია კითხულობს ნაწყვეტებს „კაცია ადამიანიდან“, „მგზავრის წერილებიდან“, ნ. ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“. გრ. ორბელიანის „ონიკოვის დარდებს“, დიმ. უაზბეგის „მავნე სულებს“.

„4-ს აპრილს იყო ქართულს თეატრში სალიტერატურო და სამუსიკო საღამო — ასე ეწერა აფიშაში. ძალიან ცუდად გამოჩნდნენ რ. ე. და დ. უ. რაღაც ღმერთი გაუწყრათ. სულ ვერ წაიკითხეს. და ძალიან კარგად იყვნენ დ.ე.გლ. ი. ჭ. და ა. წ.“ (გრ. ორბელიანი, წერილი ი. მესხიშვილისადმი — დროება, 1883, № 176).

„.... ნამდვილი დამამშვენებელნი და გამაცხოველებელნი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავის „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპყრობილეში“ წაიკითხა და ი. ჭავჭავაძემ თავის „კაცია, ადამიანის“ ერთი ალაგი და თ. გრ. ორბელიანის „დ. ო-ვის დარდები“ (დროება, 1875, 9 აპრ. № 42, გვ. 1).

საღამოს მონაწილეებმა შემოსავალი, 254 მანეთი, მომავალი ქართული სცენის სასარგებლოდ გადასდვეს.

აპრილის 14-მდე — წერილს ღებულობს კირილე ლორთქიფანიძისაგან, უთანხმებს ლიტერატურული საღამოს თარიღს.

„რადგანაც პარასკევს მუზიკალურ საზოგადოებაში კონცერტია და კრუუოკში „საყმაწვილო ბალი“, ამიტომ ჩვენი საღამო შაბათს უნდა მოხდეს უთუოდ, თორემ ხალხი ცოტა იქნება... ეხლა შემომითვალე გადავდვა შაბათს და სხვა ახალი აფიშა დავაბეჭდინო (გაფუჭდება მარტო 200 თუ 300 ფურცელი ქაღალდი) თუ არა. ამას გარდა, რაც დღეს მანდ წიგნები დავტოვე, გამომიგზავნე და წესდებაც აღებმიმცემი ამხანაგობისა“ (მასალები XIX ს. 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან. 1981, გვ. 133).

აპრილის 14 — საპასუხო წერილს უგზავნის კირ. ლორთქიფანიძეს ლიტერატურული საღამოს თარიღის შესახებ.

„ჩემის ფიქრით რომ გადიდოს საშაბათოდ კარგი იქნება, მაგრამ ცუდი არ იქნება რომ სხვებსაც დაეკითხო.მე „ქაროლის ბედსა“ (1-ლი კარი) ვკითხულობ, მხოლოდ „გამოსალმების“ მაგიერ „იარალისადმი“-ს წავიკითხავ“. (თსკ, ტ. X, გვ. 31).

აპრილის 22 — მონაწილეობს ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოში (საღამოს პროგრამა იგივეა, რაც 4 აპრილს იყო). საღამოს მონაწილენი: დიმ. ყიფიანი, ილია, აკაკი, პ. უმიკაშვილი...

„წუხანდელი სალიტერატურო და მუზიკალური საღამო ერთი იმ საღამოთაგანი იყო, რომლიდამაც მაყურებელი ნამდვილის სიამოვნებით და კმაყოფილებით ბრუნდება ხოლმე სახლში“ (დროება, 1875, 23 აპრ. № 45, გვ. 2).

მაისის მეორე ნახევარი — წერს კრიტიკულ წერილს. „168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом“, რომელსაც აქვეყნებს გაზეთი „კავკაზი“ (№№ 55, 56, 57-ში).

ივნისის 29 — გაზეთ „დროებაში“ (1875, № 73) ქვეყნდება სოლომონ დოდაშვილის წერილი, რომელიც გადასცა ილიამ.

ივლისის 4 — თხოვნა შეაქვს თბილისის საოლქო სასამართლოში ნაფიც ვექილად ჩარიცხვის შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 193).

ივლისის 16 — თბილისის საოლქო სასამართლოს გამოაქვს დადგენილება ილიას ნაფიც ვექილად მ-ღების შესახებ (იქვე, გვ. 193—194).

— გაზეთი „დროება“ (№ 80) ილიასა და სხვების ხელმოწერით აქვეყნებს „თფილისის საადგილ-მამულო ბანკის ბალანსს 1875 წ. 1 ივლისისათვის“.

ივლისის 30 — გაზეთ „დროებაში“ (№ 85) ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ ილია წერს ახალ მოთხრობას, რომელიც დასაბეჭდად მზად იქნება ოქტომბრის თვეში.

სექტემბრის 17 — გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 97-ის მოწინავეში, რომელიც შეეხება კერძო შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებას, ილია მოხსენებულია ამ საზოგადოების წევრად.

ოქტომბრის ბოლო — ილიასა და სერგეი მესხის თაოსნობით თბილისში ყალიბდება ქართული წიგნების გამომცემელთა ამხანაგობა.

„... აქ შესდგა „საზოგადოება წიგნების გამომცემელთა“, რასაკვირველია ქართული წიგნების. ამ საზოგადოებაში ან ამხანაგობაში, ამ ჟამათ ათი კაცი ვართ მოთავენი, კომიტეტი: ილ. ჭავჭავაძე, ბეს. ღოღობერიძე, ბეს. ჯაფარიძე, იასსე ჭავჭავაძე, დიმ. ბაქრაძე (საჭირო იყო როგორც ცენზორი და როგორც არხეოლოგი), გ. თუმანოვი, პეტრე უმიკაშვილი, რაფ. ერისთავი და მე. განზრახვა ჩვენი ის არის, რომ ქართველი ძველი და ახალი საუკეთესო მწერალთ თხზულებები გამოვსცეთ, აგრეთვე ისტორიული და სახელმძღვანელო წიგნები. ფულები ჯერჯერობით 500 მანეთამდი ხელში გვაქვს, ოთხ ამდენს კიდევ მოველით თუ ხელის მოწერითა და თუ სხვა გარეშე შემოსავლით. ამ ჟამად

ჩვენ ნიკ. ბარათაშვილის ლექსებს ვბეჭდავთ... ყველანი ძალიან მხურვალეთ ეკიდებიან ჯერ-ჯერობით ამ საქმეს და შემდეგაც თუ ასე გასწია, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს წიგნების გამოცემის საქმე ჩვენში კარგს გზაზე დადგება და კარგათ წავა". (ს. მესხი. წერილები. 1950. გვ. 202—203).

დეკემბრის 2 — მონაწილეობს გაზეთ „დროების" რედაქციაში მოწყობილ კრებაში; კრების მიზანს შეადგენს „დროებისათვის" მატერიალური საშუალებების გამოძებნა.

„გუშინ აქ ჩემთან რედაქციაში კრება გვქონდა ამ საგანზე მოსალაპარაკებლად. იყვნენ: ილ. ჭავჭავაძე, ბეს. ღოღობერიძე, პ. ნაკაშიძე, კირ. ლორთქიფანიძე, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩხოტუა, სტეფანე და მე. გადასწყვიტეს, რომ თუ გაზეთს რაიმე მატერიალური საშუალება არ გაუჩინეთ, ისე როგორც რიგია იმის წაყვანა შეუძლებელი არისო. ამნაირი საშუალება ჯერ-ჯერობით სტამბა მონახეს: ილიამ სთქვა, რომ 7000 მანეთს მე მოვაგროვებ სტამბის გასამართავათო და ვეცადნოთ, რომ ამ სტამბის შემოსავალმა მუქთად გამოსცეს გაზეთიო... ამას გარდა ილ. ჭავჭავაძემ торжественно დაგვპირდა, რომ რედაქციაში მონაწილეობას მივიღებო, კვირაში ერთ სტატიას მოგცემთო" (იქვე, გვ. 203—204).

დეკემბრის ბოლო — პირდება სერგეი მესხს, რომ მონაწილეობას მიიღებს ლიტერატურულ საღამოში, ქუთაისში.

*
* *

ამ წელს ილიას გარდაეცვალა სიმამრი თადეოზ გერამიშვილი.

1876

იანვრის 29 — ილია მონაწილეობს კავკასიის მუსიკალური საზოგადობის დარბაზში გამართულ ლიტერატურულ საღამოში.

„გასულ ხუთშაბათს... გავიგონეთ მუდამ საამო სასმენელი სცენების კითხვა უფ. აკაკი წერეთლისა, ლექსების კითხვა ილია ჭავჭავაძისა... (დროება, 1876, 1 თებ., № 12, გვ. 1).

თებერვლის 18— ქვეყნდება ცნობა („ტიფლისკი ვესტნიკ" № 36, „დროება" № 17) აკაკი წერეთლის განზრახვის შესახებ 1 მაისიდან გაზეთის „გზა" გამოცემის შესახებ (ილია ჭავჭავაძის მუღმივი თანამშრომლობით).

თებერვლის 22 — გაზეთი „დროება" (№ 19) ილიასა და სხვების ხელმოწერით აქვეყნებს „თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მა-

მულო ბანკის ბალანსს 1876 წლის პირველ იანვრისათვის“ (იგივე რუსულ ენაზე იბეჭდება „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 38-ში).

მარტის 1 — გაზეთ „დროების“ დაარსების ათ წლისთავთან დაკავშირებით ილია, სერგი მესხთან, აკაკი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ხელს აწერს გაზეთ „დროების“ რედაქციის ახალ პირობას.

„ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენის გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტიდამ 1876 „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებითს მონაწილეობას ქვემოხსენებულნი პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას: ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), აკაკი წერეთელი, და ილია ჭავჭავაძე...“ (ს. მესხი — დროება, 1876, 3 მარტი, № 23, გვ. 1).

მარტის 2 — ილია განცხადებით გამოდის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა იმხანად გავრცელებულ საქონლის გატაცებისა და მისი აღმოფხვრის საკითხებს.

მარტის 2—3 — ილია და სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი დავით ავალიშვილი აწარმოებენ გაზეთ „დროების“ არსებობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო სადილის მონაწილეობის მსურველთა ჩაწერას.

„ხვალ, ხუთშაბათს, 4 მარტს შესრულდება სწორეთ ათი წელიწადი მას აქეთ, რაც გამოვიდა პირველი ნომერი ჩვენი გაზეთის „დროებისა“.

რამდენთამე პირთა, რომელნიც ქართული ლიტერატურის წარმატებას თანაუგრძნობენ, ითავ[ე]ს ამ დღის დღესასწაულობა.

ხსენებულ პირთა მონდობილობით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ დღეს ნაშუადღევის 3 საათზე მონ-პლეზირის ბაღში იქნება ხელის-მოწერით გამართული სადილი, რომელშიაც ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს.

ხელის-მოწერა შეიძლება თ. ილ. ჭავჭავაძესთან და თ. დ ავალიშვილთან, თფილისის საადგილ-მამულო ბანკში, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. თითოეულ პირს სადილისათვის 5 მანეთი შეაქვს“ (ს. მესხი — დროება, 1876, 3 მარტი, № 23, გვ. 1).

მარტის 4 — გაზეთ „დროების“ ათი წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო სადილზე ილია წარმოთქვამს სიტყვას.

მარტის 7 — „დროება“ (№ 24) აქვეყნებს ილიას სიტყვას, რომელიც წარმოთქვა „დროების“ სადღესასწაულო სადილზე.

— საპროტესტო წერილს „Письмо к редактору“ უგზავნის „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორს იმის გამო, რომ გაზეთის ადგილობრივ

ქრონიკაში რეპორტიორის მიერ შეთხზული აზრი („ტიფლისკი ვესტნიკის“ № 50-ში) დაბეჭდილია ილიას სახელით.

«...В местной хронике, напечатанной в № 50 «Тифлисскаго вестника», изложен краткий отчет о сельскохозяйственной беседе по поводу скотокрадства и мере к пресечению его. Репортер вашей газеты в этом отчете извратил смысл заявления, сделаннаго мною во время упомянутой беседы. Не желая вовсе, чтобы читатели нашей газеты приписали мне то, что так любезно сочинено Вашим репортером от моего имени...»

ილიას წერილი საქონლის გატაცების მავნე მოვლენის შესახებ იბეჭდება — „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 53-ში.

მარტის 10-12 (?) — წერილს ღებულობს პეტერბურგიდან ალ. ცაგარელისაგან (5 მარტის თარიღით); ადრესატი მადლობას უთვლის ქართველი ხელმოკლე სტუდენტებისათვის ფულის გაგზავნისათვის.

„... დიდ მადლობას გიძღვნიან მეც და სტუდენტებიც გარჯისათვის და ფულის გამოგზავნისათვის; მივიღე შენგან 100 მან. და გარდავეცი თავის დროზედ სტუდენტებს ოცდახუთ-ხუთი მანეთი (50 მან.), რომელიც შეიტანეს უნივერსიტეტში ლექციების სასმენლად, რომელთ ბარათებს ფულის მიღებაზედ გიგზავნი. მეორე ნახევარსაც ეხლა მიიღებენ და იმათ ბარათებსაც გამოგიგზავნი. მაისის გასულს ერთი იმათგანი მიიღებს სტიპენდიას, მაგრამ მანამ უჭირს, რომ მანდეთგან ვინმე შეუწიოს ამ ცოტა ხანში, ძალიან პატრიოტულ საქმეს იქმს...“ (კ. კინწურაშვილი. ალექსანდრე ცაგარელი, 1974, გვ. 189).

მარტის 14 — გაზეთი „დროება“ (№ 27) აქვეყნებს ილიას პუბლიცისტურ წერილს „ზოგიერთი რამ“.

მარტის 26 — საადგილმამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის ილ. ჭავჭავაძისა და სხვათა ხელმოწერით გაზეთ „კავკაზში“ (№ 36) ქვეყნდება: „Доклад правления Тифлисского Дворянского земельного банка о действиях его в течении первого отчетного года“.

აპრილის 21 — გაზეთი „დროება“ (№ 39) აქვეყნებს ილიას წერილს — „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“ [კორექტურული შეცდომების გასწორება იხ. № 41-ში]. (თსკ-ში ტ. VII).

მაისის 10 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ 103) ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის წერილს „Практика земельного кредита“, რომელ-

შიც უმთავრესად გაკრიტიკებულია თბილისის საადგილმამულო ბანკი და მისი საქმიანობა.

მაისის 12 — გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 103-ში გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის სტატიის გამო თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობა (ილიასა და ბანკის დირექტორების ა. ჩოლოყაშვილისა და დ. ავალიშვილის ხელმოწერით) წერილს აგზავნის „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციაში, რომლითაც გაზეთის რედაქტორს ბებუთოვს და ნიკო ნიკოლაძეს იწვევენ სამედიატორო სასამართლოში.

ბანკის გამგეობის წერილი „М. Г. в № 103 Тифлисского вестника...“ ქვეყნდება 13 მაისს გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 105-ში.

გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთის რედაქტორი ბებუთოვი და ნიკო ნიკოლაძე იღებენ გამოწვევას იმ პირობით, თუ პოლემიკა იწარმოებს პრესის საშუალებით.

მაისის 15 — გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ 106) აქვეყნებს ი. ჭავჭავაძის, ა. ჩოლოყაშვილის, დ. ავალიშვილის ხელმოწერით ბანკის გამგეობის წერილს „М. г., в вашем ответе на наш вызов...“.

ბანკის გამგეობა უარს აცხადებს ნ. ნიკოლაძესთან პოლემიკაზე: „Мы в свое время печатно и на своем месте словесно разъясним дело, но отнюдь не вступим в полемику с автором „Практики““.

მაისის პირველი ნახევარი — საბანკო საკითხებში უთანხმოებათა გამო ილია ტოვებს „დროების“ რედაქციას.

„ქუთაისისა და თფილისის ბანკის თაობაზე, ჩვენ, ესე იგი მე, ნიკოლაძეს და აკაკის ერთის მხრით და ილ. ჭავჭავაძეს და საზოგადოდ ღოღობერიძეებს, მეორე მხრით ცოტაოდენი კინკლაობა მოკვივიდა. ქუთაისში დაიწყო საქმე. ჩვენ ერთის მხრით ვიყავით, ცალკე პარტიას შევადგენდით და ღოღობერიძეები მეორეს. ბანკის ამორჩევის შემდეგ, როგორც გეცოდინება „დროებაში“ ჩემი „მეკენჭის“ ანგარიში იყო დაბეჭდილი, რომელმაც რასაკვირველია, ღოღობერიძეები გულზე გახეთქა, მოთმინებიდამ გამოიყვანა და გააბრაზა. შემდეგ ნიკოლაძემ თბილისის ბანკის გამგეობის წინააღმდეგ გამოილაშქრა „თბილისის მოამბეში“. აქ ილია ჭავჭავაძე გაჯავრდა. ეს ორი გამოჯავრებული მხარეები შეკავშირდნენ ერთად...“ (ს. მესხი. წერილები. 1950, გვ. 217).

მაისის 16 — გაზეთი „დროება“ (№ 47) ებეჭდავს ნიკო ნიკოლაძის საპასუხო წერილს „მრუდე გამოსარჩლება (პასუხი უფ. ილია ჭავჭავაძეს)“.

მაისის 16-19 — ილია მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების საქმიანობაში. მას ხმის უმრავლესობით ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ.

მაისის 27, 28 — „ტიფლისკი ვესტნიკი“ №№ 115, 116 ბეჭდავს ვრცელ წერილს „К чему и зачем (Ответ автору Практики земельного кредита)“. წერილი, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით „Один из членов правления Тифлисского дворянского земельного банка“, ეკუთვნის ილიას.

მაისის 30-31, ივნისის 1-2 — ილიას წერილის („К чему и зачем“) გამო „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ 118-121) აქვეყნებს მოწინავეების სახით „ Отповедь правлению Тифлисского земельного банка“.

ივნისის 4 — ბანკის საკითხის გარშემო ნიკოლაძესა და ილიას შორის წარმოებულ პოლემიკის გამო აკაკი წერეთელი „დროების“ № 55-ში აქვეყნებს წერილს „უდროვო ბრძოლა“.

ივნისის 6 — აკაკი წერეთლის ფელეტონის („უდროვო ბრძოლა“) საპასუხოდ ნ. ნიკოლაძე „დროების“ № 56-ში ბეჭდავს წერილს „განა „საჭირო“ უდროოა?“.

ივნისის 9, 11 — „დროება“ (№ 57, 58) აქვეყნებს ნ. ნიკოლაძის წერილს „პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა“, რომელიც მიმართულია ილია ჭავჭავაძისა და ბ. ღოღობერიძის წინააღმდეგ, მათ მიერ გაზეთის გამოცემის განზრახვის გამო.

ივნისის 18 — თხოვნა შეაქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტში 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის შესახებ.

თხოვნას თან ერთვის გაზეთის პროგრამა:

1. მოწინავე სტატიები; 2. რუსეთის ცხოვრება; 3. ადგილობრივი ცხოვრება; 4. უცხოეთის ცხოვრება; 5. კორესპონდენციების განყოფილება (ადგილობრივი და საზღვარგარეთული); 6. სამეცნიერო განყოფილება: სტატიები მეცნიერების ყოველი დარგიდან; 7. ბელეტრისტიკა: მოთხრობები, ლექსები და სხვა; 8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 9. ფელეტონები; 10. სასამართლო ქრონიკა; 11. ნარევი; 12. საგაზეთო ცნობები; 13. კერძო განცხადებების განყოფილება; 14. საცნობარო განყოფილება.

ივნისის 19 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი ილია ჭავჭავაძეს შუამდგომლობს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართველობის წინაშე გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვისათვის.

ივნისის 25 — გაზეთ „დროებაში“ (№ 64) სერგეი მესხი ბეჭდავს წერილს „ახალი ქართული გაზეთი“, რომელშიც გამოთქვამს ეჭვს, რომ „ივერიის“ დაარსება გამოწვეულია კერძო ინტერესებით.

„... ჩვენს გაზეთს ახალი მოძმე ებადება. კეთილი იყოს იმის ჩასახვა ილ. ჭავჭავაძისა და ბეს. ღოღობერიძის აზრში. კეთილი იყო იმის დაბადება! ... კეთილი იყოს თუ ის იქნება მიუდგომელი, მოუსყიდველი და პატიოსანი.

მაგრამ, რა ვქნა? ეჭვი ვერ მოგვიშორებია თავიდამ. ის გარემოება, რომელმანც ღაბადა ეს ახალი გაზეთი, რომელმანც უფ. ბეს. ღოღობერიძე და ილ. ჭავჭავაძე „აიძულა“, რომ ქართული გაზეთის გამოცემისთვის ხელი მოეკიდნათ, ის გარემოება სულ სხვას გვიჩურჩულებს ყურებში...

... ბეს. ღოღობერიძემ და ი. ჭავჭავაძემ მხოლოთ მაშინ გაივლეს გულში ახალი გაზეთის გამოცემა, როდესაც ძველმა, ე. ი. „დროებამ“ იმათ წინააღმდეგ სიტყვის თქმა გაბედა“.

ივლისის 28 — ილია მონაწილეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის მებრძოლ ქრისტიანთა სასარგებლოდ გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოში (დროება, 1876, 8 აგვ., № 83, გვ. 2).

აგვისტოს 11 — ილიასა და სხვების ხელმოწერით „დროების“ № 84-ში ქვეყნდება „თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის ბალანსი 1876 წლის პირველის ივლისისათვის“ (დასასრული დაიბეჭდა „დროების“ № 87-ში).

სექტემბერი — ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: გაზაფხული. — გუთნის დედა. — მძინარე ყმაწვილს. — სიმღერა ამხანაგებისა (დედამ რომ შვილი გაზარდოს). — სიყვარული მამულისადმი (მას აქეთ რაკი შენდამი ვსცან...). — ქართვლის დედას. — ჩიტი. — ნაწყვეტები: აჩრდილიდან, კაკო ყაჩაღიდან, გლახის ნაამბობიდან, კაცია ადამიანიდან, მგზავრის წერილებიდან — წგ-ში: ბუნების კარი, მე-3 გამოცემა.

სექტემბრის 17 — კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობა ნებას რთავს ილია ჭავჭავაძეს 1877 წლის 1 იანვრიდან გამოსცეს გაზეთი „ივერია“ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 195).

„ჩვენ გავიგონეთ, რომ კავკასიის უმაღლესს მთავრობას ნებართვა მიუცია ახალი ქართული გაზეთის გამოცემაზე. გაზეთს ერქმევა სახელად „ივერია“, იმის რედაქტორად გამოცხადებული იქნება თავადი ი. გ. ჭავჭავაძე. გამოვა მომავალი წლის 1 იანვრიდამ, კვირაში ერთხელ“ (დროება, 1876, № 99).

ოქტომბერი-ნოემბერი (?) — მარი ბროსე ფრანგულ ენაზე თარგმნის „კაცია ადამიანს“.

„ჩვენ გვითხრეს, რომ ს.-პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიის წევრი უფ. ბროსსე, რომელიც ასეთი მცოდნეა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, ამჟამად თ. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ

მოთხრობას „კაცია, ადამიანს“ სთარგმნის ფრანცუზულს ენაზედ და აბეჭდინებსო“ (დროება, 1876, 26 ნოემბ., № 128. გვ. 1).

ნოემბერ-დეკემბერი — ილია დიდ მუშაობას ეწევა ახალი გაზეთის ორგანიზაციულ-ტექნიკური საქმეების მოსაგვარებლად, თანამშრომელთა შემოსაკრებად. ილია თხოვნით მიმართავს მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, იდეურ მომხრეებს ითანამშრომლონ გაზეთში. ქმნის „ივერიის“ თანამშრომელთა ბირთვს პ. უმიკაშვილის, ი. ჭყონიას, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, შ. გულისაშვილის და სხვათა სახით.

დეკემბრის 28 — ცენზურა ნებას რთავს ილიასა და ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილ მეფე ლირის გამოცემაზე.

1877

თებერვალი — ცალკე წიგნად გამოდის „მეფე ლირი. ტრაგედია ვილლიამ შექსპირისა, ინგლისურიდამ გადმოღებული ივ. მაჩაბლის და ილ. ჭავჭავაძის მიერ“. წიგნი გამოსცა ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ სერიით „ქართული მწერლობა“. დაიბეჭდა ე. ხელაძის სტამბაში.

„თებერვალში დაიბეჭდა ცალკე წიგნათ...“ (ივერია, 1877, № 1, გვ. 15).

„ისყიდება... წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში... მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა... ჭუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, გორს, ფარნაოზ ნათიევისას, ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას“ (ივერია, 1877, № 2 და ა. შ.).

თებერვლის მეორე ნახევარი — მუშაობს ნარკვევზე „ცხოვრება და კანონი“.

თებერვლის ბოლო — „ივერიის“ პირველი ნომრისათვის წერს „წინასიტყვაობას“ და სტატიას „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა-საკვირველია“.

მარტი (?) — ილია წერილს ღებულობს იმხანად თურქეთში მყოფ რუსეთის ვიცე კონსულის ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთლისგან. აქვე მოგვყავს ეს წერილი მთლიანად, რომელიც თბილისში საიდუმლოდ ჩამოაქვს ვიცე კონსულის მეუღლეს მარინა უსპენსკაიას.

„დიდად პატივცემულო ბატონო, თავადო ილია!

ყოვლისშემძლე ღმერთს შევევედრები თქვენს ჯანმრთელობას და ბედნიერად ყოფნას, ნუ გაგაკვირვებთ ჩემი, შორეულ სტამბოლში მყოფი ქართველის წერილი. მისი დაწერა გამოწვეულია მეტად მნი-

შვნელოვანი საქმით. აქ, სტამბოლში შევიტყვე, რომ გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა დიდი საქმე გააკეთა, როცა კავკასია ტელეფონით პეტერბურგს დაუკავშირა. ეს კავშირი მალე დაგვჭირდება, თუ წინააღმდეგ იმ ქვეყნისა, სადაც ახლა ვიცე კონსულად ვარ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა სამხედრო ჩარევაზე წავა. ამ ჩარევაში ჩვენ ბათუმი, ყარსი და არზრუმი უნდა გავჭვრიტოთ. აბა, დანარჩენი თქვენ იცით. ველარავის ვენდევი და ბარათის თბილისში ჩამოტანა ჩემს მეუღლეს დავავალე. ვიცი, დარიალით გადმოსვლა გაუჭირდება, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერა ვპოვე. ფრიად საიდუმლოდ. თქვენი სიკეთის მავედრებელი თავადი ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი“ (დ. ნაცვალაძე. ბრძენკაცის საზრუნავი. 1978, გვ. 8—9).

მარტის 3 — გამოსვლას იწყებს საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“. გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე. იბეჭდება თბილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში, 16 გვერდზე, ზომა 30×22 სმ. ღირებულება 10 თეთრი 6 მან. ცალკეული ნომერი 15 კაპ. რედაქცია მოთავსებულია მთაწმინდის ქუჩაზე.

„ივერიის“ პირველი ნომერი გამოდის ილიას წინასიტყვაობით. ამავე ნომერში ხელმოუწერლად ქვეყნდება პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევის „ცხოვრება და კანონის“ პირველი წერილი და სტატია „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.

მარტის 6 — გაზეთ „დროების“ № 26-ში ნ. ნიკოლაძე აქვეყნებს რეცენზიას სათაურით — „ივერიის“ პირველი ნომერი“. ნ. ნიკოლაძე იწუნებს როგორც გაზეთის ენას, ასევე მის შინაარსს. ერთადერთი, რასაც მოწონებით ხვდება რეცენზენტი, ეს არის „ივერიაში“ დაბეჭდილი ნარკვევი „ცხოვრება და კანონი“..

„როცა ეს სტატია დაბოლოვდება, ჩვენ უეჭველად გავაცნობთ მკითხველებს მის შინაარსს. ეხლა კი ორს რასმე ვისურვებთ: პირველათ იმას, რომ ეს სტატია ისე კარგათ დაბოლოვდეს, როგორც დაწყებულია, და მეორეთ, რომ ამისთანა ხეირიანი სტატიები ხშირად იბეჭდებოდენ „ივერიაში“.

მარტის 10 — გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად ქვეყნდება ილიას „ცხოვრება და კანონის“ მეორე წერილი და სტატია „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე“ გამო.

ამავე დღეს ილია წერილთან ერთად „ივერიის“ ნომრებს უგზავნის პეტერბურგში ვასილ მაჩაბელს. ატყობინებს „მეფე ლირის“ გამოცემას, თხოვს აცნობოს ვანო მაჩაბლის მისამართი, აგრეთვე ითხოვს გაზეთისათვის მასალების მიწოდებას ვანო მაჩაბლისაგან, დავით ჩუბინაშვილისა და ალექსანდრე ცაგარლისაგან.

„ვანოს წიგნების ქებას იწერები... რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგცემს. მიჰსწერე შენად და ჩემად, მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი — ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე, და არამცთუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს...

ჩვენი ღვთით იესეს ძე ჩუბინოვი ნახე. გაზეთი მოვართვი, როგორც ჩვენს უხუცესს მწიგნობარსა. ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, ლაზისტანზედ, რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს, მე თვითონ ვჰსთარგმნი და ისე დავბეჭდავ. შენი ჭირიმე, ამ წიგნის მიღებისვე უმალ მიდი და ჩემ მაგიერ ჰსთხოვე, მალე გამომიგზავნოს. დაპირებულიც არის. ჩვენი ალექსანდრე ცაგარელიც შეაფუცხუნე — გვიშველოს რამე. ეცადე... მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინო. მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი და შენმა გულშემატკივრობამ, ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებასაც მიაქცევ.

... მიყიდე ისეთი ქაღალდი, როგორც „Неделя“-ს ქაღალდია“ (თსკ. ტ. X, გვ. 59-60).

მარტის 12 — თბილისის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი აქვეყნებს ბანკის წლიურ ანგარიშს.

„... ზედამხედველს კომიტეტს გაუსინჯავს წლის ანგარიში ტფილისის თავადაზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, უცვნია მისი სიმართლე და დაუმტკიცებია“ (ივერია, 1877, 14 აპრ., № 7, გვ. 4).

მარტის 17 — „ივერიის“ № 3-ში ქვეყნდება „ცხოვრება და კანონის“ მესამე წერილი. ამავე ნომერში ილია აქვეყნებს ალ. ჭავჭავაძის ლექსებს: „ეს სოფელი სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!... და „ეჰა ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე“.

მარტის 23 — გაზეთი „დროება“ (№ 33) ილიასა და სხვების ხელმოწერით აქვეყნებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის ბალანსს 1877 წლის 1 იანვრისათვის [გამოქვეყნდა აგრეთვე „ივერიის“ № 8-ში, იგივე რუსულად დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ (№ 44)].

მარტის 24 — „ივერიის“ № 4-ში აქვეყნებს „ცხოვრება და კანონის“ მეოთხე წერილს, „ჩვენის ქალაქის ჯან-მრთელობის საქმე“ [მოწინავე] და ლექსს „კ. ბ. მ-სას“ (ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩემგანს“).

აპრილის 2 — „ივერიის“ № 5-ში ბეჭდავს თარგმანს „ამბავათ გაგონილნი“.

აპრილის 7 — „ივერიის“ № 6-ში აქვეყნებს „ცხოვრება და კანონის“ დასასრულს და თავისეულ თარგმანს ალფონს დოდეს მოთხრობისა „უკანასკნელი გასაკვეთი. ნაამბობი პატარა ელზასელისა“. ამავე ნომერში ბეჭდავს გრ. ორბელიანის (ქსნისხეველის ხელმოწერით) ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკკლესიაში“.

აპრილის 15 — „ივერიის“ № 7-ში აქვეყნებს წერილს „კიდევ აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ“. ამავე ნომერში ბეჭდავს გრ. ორბელიანის (ქსნისხეველის ხელმოწერით) „მუშა ბოქულაძეს“.

აპრილის მეორე ნახევარი (?) — მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტის განხილვაში.

„წესდების პირველი რედაქცია შეიმუშავეს დ. ყიფიანმა და ნ. ცხვედაძემ, რომლის განსახილველად მოხდა კრება ილ. ჭავჭავაძის სახლში. კრებას, გარდა ზემო დასახელებულის პირებისა, დაესწრნენ ი. ჭავჭავაძე და ბეს. ღოღობერიძე. კრებამ დაადგინა, რომ შესწორებულიყო ზოგიერთი მუხლი წესდებისა და ამისათვის აირჩია კომისია: ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და ბეს. ღოღობერიძე“ (ცნობის ფურცელი, 1904, 31 მარტი, № 2452, გვ. 2—3).

აპრილის 21 — „ივერიის“ № 8-ში ილია აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი“ („ასტყდა ომი“...) ამავე ნომერში ილიასა და სხვების ხელმოწერით ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა 1877 წლის 1 იანვრისათვის“.

აპრილის 25, 26 — მონაწილეობს თბილისის საადგილმამულო ბანკის კრებაში, რომელიც იხილავს 1876 წლის მოქმედების ანგარიშს და ბანკის წესდების ცვლილების პროექტს (კავკაზ, 1877, № 98).

აპრილის 28 — „ივერიის“ № 9-ში ბეჭდავს წერილს — „ოსმალოს საქართველო“.

მაისის 5 — „ივერიის“ № 10-ში ილია აქვეყნებს კრიტიკულ წერილს — „ვიცინოთ, თუ ვიტიროთ“, რომელიც გამოწვეულია გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის დამახინჯებული მეთოდით სწავლების გამო (საპასუხო წერილი მასწავლებელ ფ. ნათიევისა ქვეყნდება „დროების“ № 59-ში).

მაისის 14 — კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წლიურ კრებაზე ილიას ირჩევენ ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

„ამომირჩიეს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რამდენსამე ხანს მეჭირა ეს თანამდებობა“ (თსკ, ტ. IX, გვ. 312).

მაისის მეორე ნახევარი — ილიას ირჩევენ ახლად დაარსებულ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წევრად.

„ზოგიერთთა გულმტკივნეულთა პირთა მეცადინეობით ტფილისში შეჰსდგა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს მზრუნველობა ღარიბთა ყრმათა აღზრდისათვის. ამ საზოგადოებას ამოურჩევია შემდეგნი პირნი ამა მეტად კეთილის საქმის წარმოებისათვის: თ. გიორგი რომანისძე ერისთავი, კონსტანტინე ქრისტეფორესძე მამაცაშვილი, თ. ირაკლი კონსტანტინესძე ბაგრატიონ მუხრანსკი, თ. ალექსანდრე ზაალისძე ჩოლოყაშვილი, თ. დავით ივანესძე ავალიშვილი, თ. დავით გიორგისძე ერისთავი, თ. ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე და დიმიტრი ზაქარიასძე ბაქრაძე“ (ივერია, 1877, № 12, გვ. 3).

მაისის 19 — „ივერიის“ № 12-ში ილია აქვეყნებს მეთაურ წერილს — „საქართველოს მატიანე“ (თსკ, ტ. VIII — სათაურით „ჩვენი გლეხობა და ტყეებით სარგებლობის საქმე“).

ივნისის 2 — „ივერიის“ № 14-ში ილია იწყებს დავით ჩუბინაშვილის წერილის — „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ — ბეჭდვას. წერილის გაგრძელება და დასასრული დაიბეჭდა „ივერიის“ № 15, 16, 17-ში, — ჩვენი ვარაუდით წერილის თარგმანი ილიას ეკუთვნის.

„ჩვენი დავით იესეს ძე ჩუბინოვი ნახე... ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს, მე თვითონ ვჰსთარგმნი და ისე დავბეჭდავ...“ (ი. ჭავჭავაძე. წერილი ვასილ მაჩაბლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 59).

ივნისის 16 — „ივერიის“ № 16-ში ილია ბეჭდავს წერილებს: „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“, „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს „დროების“ № 59-ში დაბეჭდილი ფ. ნათიევის წერილის პასუხს.

ივნისის 22 — გაზეთ „კავკაზის“ № 147-ში ი. ჭავჭავაძის... ხელმოწერით ქვეყნდება თბილისის საადგილმამულო ბანკის ანგარიში 1877 წ. 1 ივლისისათვის.

ივნისის 23 — „ივერიის“ № 17-ში ილია აქვეყნებს ლექსებს: „ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა“ და „ს... ჩ...სას“ („სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი“).

სექტემბრის დასაწყისი — გამოდის კრებული „სალამური ანუ ლექსთა კრება ქართველ მწერალთა“, რომელშიც იბეჭდება ილიას ლექსები „ნანა“ და „ელეგია“.

„ამ დღეებში გამოვა ჩვენს ქალაქში...“ (დროება, 1877, № 166).

სექტემბრის 22 — „ივერიის“ № 30-ში ილია (ვაკელის ფსევდონიმით) აქვეყნებს წერილს „კუტული ქართველთ ყლაპია“[15].

ოქტომბრის 13 — „ივერიის“ № 33-ში აქვეყნებს მეთაურ წერილს — „საქართველოს მატიანე“, რომელიც ეხება სოფლის მოხელეთა არჩევნებს (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით „სოფლის მოხელეთა არჩევანი“).

ნოემბრის 10 — „ივერიის“ № 37-ში აქვეყნებს მეთაურ წერილს „საქართველოს მატიანე“, რომელშიც ეხება ახლად დაარსებულ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას (თსკ, ტ. IV-ში სათაურით „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“).

ნოემბრის 24 — „ივერიის“ № 39-ში აქვეყნებს მეთაურ წერილს „საქართველოს მატიანე“, რომელიც ეძღვნება გლეხთა მამულების გაყიდვის საკითხებს (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა“).

— გაზეთ „კავკაზი“ (№ 239) ბეჭდავს ილიას წერილს („Письмо к редактору“), რომელიც ეხება გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილს.

დეკემბერი — მუშაობს პოემაზე „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

დეკემბრის ბოლო — ირჩევენ კომისიაში, რომელსაც ევალება წერა-კითხვის საზოგადოების წესდების პროექტის გაცნობა საზოგადოების წევრებისათვის და წევრთა ხელმოწერის ორგანიზაცია.

1878

იანვრის 5 — „ივერიის“ № 1-ში (ასტრონომით ***) აქვეყნებს „მეფე დიმიტრი თავ-დადებულის“ დასაწყისს (I—XII თავები).

იანვრის პირველი ნახევარი — თარგმნის ჟურნალ „ოტეჩესტვენიე ზაპისკის“ 1877 წ. № 12-ში დაბეჭდილი უცნობი ავტორის მოთხრობას „უბინაო კაცი ნუიორკში“, რომლის დასაწყისს აქვეყნებს „ივერიის“ № 3-ში (19 იანვარს) — ხოლო დასასრულს № 4 და 5-ში (ნ. ჩიტაური — ცისკარი, 1985, № 6, გვ. 154—157).

---

15 ალ. კალანდაძის აზრით წერილი ეკუთვნის ილიას (ქართული ჟურნალისტიკის ისტორია: 1986, გვ: 279).

იანვრის 30 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტის განხილვაში, რომელიც მოეწყო გრიგოლ ორბელიანის ბინაზე. წესდების პროექტის დასამტკიცებლად მთავრობაში წარდგენას კრება ავალებს დიმ. ყიფიანს, ილ. ჭავჭავაძეს და ბეს. ღოღობერიძეს.

„გრ. ორბელიანის სახლში მოხდა დიდი კრება, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ყველანი ვისაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ „საზოგადოებაში“, როგორც წევრებს... ამავე კრებამ დაადგინა: მიენდოს დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძეს და ბეს. ღოღობერიძეს, წარუდგინონ მთავრობას წესდება დასამტკიცებლადო“ (ცნობის ფურცელი, 1904, 31 მარტი, № 2452, გვ. 3).

თებერვლის 8 — გაზეთ „კავკაზის“ № 32-ში ილიას ხელმოწერით ქვეყნდება თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსი 1878 წ. 1 იანვრისათვის. იგივე გაზ. „ობზორის“ № 40, 41, 56-ში.

თებერვლის 9 — „ივერიის“ № 6-ში ქვეყნდება სერბი მწერლის ჯურა იაკშიჩის მოთხრობის „შვილი მოხუცებულის გამზისა“ ილიასეული თარგმანი. ქართული თარგმანი შესრულებულია ჟურნალ „პჩელას“ 1877 წ. № 3-ში დაბეჭდილი რუსული თარგმანიდან. მოთხრობის ბეჭდვა გაგრძელდა „ივერიის“ № 7—10-ში. (ნ. ჩიტაური — ცისკარი, 1985, № 6, გვ. 157).

თებერვლის 19 — გაზეთი „ობზორი“ (№ 48) ბეჭდავს ნ. ნიკოლაძის ხელმოუწერელ ფელეტონს („Воскресные беседы... Иверия в полемике.—Действительно-ли равнодушен к полемике кн. И. Г. Чавчавадзе. Приглашение“), რომელიც წარმოადგენს იმ კამათის გაგრძელებას, რაც დაიწყო 1876 წელს.

მარტის 2 — ილიას ხელმოწერით ქვეყნდება („ობზორი“ № 58) თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსი 1878 წ. 1 თებერვლისათვის.

მარტის 5, 13, 17 — „ობზორი“ (№ 61, 69, 73) ილიას ხელმოწერით აქვეყნებს საადგილმამულო ბანკის ბალანსს 1878 წ. 1 მარტისათვის.

მარტის შუა რიცხვები (?) — წერილს ღებულობს ალ. ცაგარელისაგან (8 მარტის თარიღით). ადრესანტი ითხოვს გაუგზავნოს ბესარიონ ნიჟარაძისაგან დატოვებული სვანური ტექსტები.

„... ეხლა ჩემთანა ზის სვანი ბესარიონ ნიჟარაძე, სემინარიის მოწაფე, და სვანურს ენას ვარჩევთ, მაგრამ, საუბედუროთ ცოტა გვაქვს ტექსტები, — ამან მითხრა, რომ შენთვის გადმოუცია ოთხი თუ ხუთი

ლექსი სვანური და გთხოვ რაც შეიძლება ჩქარა გამომიგზავნო... გრამატიკულათ გავარჩევთ და ლექსებს ისევ დაგიბრუნებ... ილია, ერთი უნდა გვეფიქრა რამე, რომ ამ ბესარიონ ნიჟარაძეს უნივერსიტეტში წასვლა უნდა და ჩვენმა საზოგადოებამ სამუალება რომ მისცეს ასე ათიოდ თვეს, და მერე იმედია მიიღონ სახელმწიფო ხარჯზედ“ (კ. კინწურაშვილი. ალექსანდრე ცაგარელი. 1974, გვ. 192).

მარტის 30 — „ივერიის“ № 13-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი“ (ქალაქის ჰიგიენური პირობები).

აპრილის 7 — გაზეთი „ობზორი“ (№ 94) ილიას ხელმოწერით აქვეყნებს თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსს 1878 წ. 1 აპრილისათვის.

აპრილის 14 — გაზეთ „ობზორში“ (№ 100) ხელმოუწერლად ქვეყნდება ნ. ნიკოლაძის სტატია „Ученые эксплоататоры общества“, რომელშიც გაკრიტიკებულია ილიასა და ბეს. ღოღობერიძის „ბანკო პოლიტიკა. ნ. ნიკოლაძე ანალოგიური ხასიათის წერილს ასევე ხელმოუწერლად აქვეყნებს „ობზორის“ № 108-ში.

აპრილის 25 — მონაწილეობს თბილისის საადგილმამულო ბანკის კრებაში, რომელზეც განიხილავენ ბანკის 1877 წლის ანგარიშს.

განმარტებები ბანკის მოხსენებების გამო ილიასა და ბანკის წევრთა ხელმოწერით ქვეყნდება გაზ. „ობზორის“ № 110-ში („М. Г. из прошлых докладов...“).

აპრილის 26 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელზეც განიხილავენ ბაქო-თბილისის რკინიგზის კახეთში გაყვანის საკითხს. კრება ილიას ირჩევს კომისიაში, რომელსაც ევალება საჭირო საბუთების მომზადება მთავრობასთან შუამდგომლობისათვის (ივერია, 1878, № 17; დროება, 1878, № 81).

აპრილის 27 — „ივერიის“ № 16-ში ილია ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 26 აპრილი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით — „სოფლის უფროსის არჩევანი“).

მაისის 6 — ილიას ხელმოწერით ქვეყნდება თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსი 1878 წ. 1 მაისისათვის (ობზორი“, № 120).

მაისის 11 — „ივერიის“ № 18-ში აქვეყნებს მოწინავეს — „საქართველოს მატიანე“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით — „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“).

ივნისის დასაწყისი — გამოდის ი. გოგებაშვილის დედაენა, სადაც გამოქვეყნებულია ილიას ლექსი „გაზაფხული“.

ივნისის 20 — დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ბესარიონ ღოღობერიძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენენ კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის (ილიას ქვისლს).

„გირდგენთ რა ამასთანავე კავკასიისა და ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებ 123 პირის მიერ ხელმოწერილ წესდების პროექტს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, პატივი გვაქვს უმორჩილესად გთხოვოთ გვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს ამ წესდების სათანადოდ დასამტკიცებლად“ (ი. ბოცვაძე. წერილები, 1956, გვ. 74).

ივნისის 25 — გაზეთი „კავკაზი“ (№ 167) ილიას ხელმოწერით აქვეყნებს თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსს 1878 წ. 1 ივნისისათვის. იგივე ქვეყნდება აგრეთვე „ობზორის“ № 169-ში.

ივლისის 6 — „ივერიის“ № 26-ში აქვეყნებს ლექსებს „ვნახევი სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა“ და „მაშინ დავჰსტკბები სრულის სამოთხით“.

ივლისის 27 — „ობზორი“ (№ 198) ილიას ხელმოწერით აქვეყნებს თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსს 1878 წ. 1. ივლისისათვის.

აგვისტოს დასაწყისი — გამოდის ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ლექსთა კრებული — „საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს“, რომელშიც დაბეჭდილია ილიას ლექსები: „გაზაფხული“, „მტკვრის პირას“ და „წუხილი“.

აგვისტოს 10 — იწყებს მის მიერვე თარგმნილ გეორგ ებერსის ისტორიული რომანის — „რამეთუ კაცი ვარ“ გამოქვეყნებას (ივერია, 1878, № 31: რომანის ბეჭდვა გაგრძელდა შემდეგ ნომრებში: 32, 34, 38-43, 45-47, — 30 ნოემბრამდე).

ოქტომბრის მეორე ნახევარი — თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლობას 1879 წლიდან გაზეთ „ივერიის“ ჟურნალად გადაკეთების ნებართვისათვის.

ოქტომბრის 24 — კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლობა გენერალ-ლეიტენანტ დ. სტაროსელსკის ხელმოწერით წერილობით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს 1879 წლიდან ილია ჭავჭავაძისათვის გაზეთ „ივერიის“ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთების ნებართვის მიცემის შესახებ.

ოქტომბრის ბოლო-დეკემბრის დასაწყისი — ილია ყვარელში იმყოფება. აქ იგი სამეურნეო საქმეებით არის დაკავებული; მონაწილეობს ყვარლის ჭავჭავაძეების საგვარეულო მამულების, აგარაკების და ტყეების გადანაწილება-გამიჯვნაში, გაყოფის ოქმების შედგენაში (საისტ. მოამბე, ტ. 25-26, 1971, გვ. 271-283).

ყვარლიდან ხშირად წერილით ეხმაურება და რჩევებს აძლევს საგურამოში მყოფ მეუღლეს (წერილები: 28 ოქტ. 9, 13, 25, 29 ნოემბერს).

„მე აქ იასესთან ვარ ჩამომხტარი და ყოველს დღეს დილის რვა საათიდამ საღამოს ექვს საათამდე ზემლემერს უკან დავდევთ. ჩვენი საქმე ჯერ გვიან გათავდება; აბა იფიქრე, ჯერ სასახლეები დაეზომათ მინამ მე მოვიდოდი, და ჩემს მოსვლის შემდეგ ვენახების ზომვას მოჰყვნენ და აქამომდე ვენახები ვერ გაგვითავებია. ჯერ მინდვრებისა და ტყის ჩუჩუნიც არ არის. აი ეხლა გწერ წიგნს და კარზედ ცხენი მიდგა, ტყეში მივდივართ გასასინჯავათ და სამშაბათს დავბრუნდებით ისევ ვენახებისაკენ.

„...სამი დღე ავად ვიყავ. ასეთი სისუსტე მქონდა, რომ ქვეშაგებში დამაწვინა. ეხლა კარგადა ვარ და გარედ მინდვრებში დავდივარ. ვერ წარმოიდგენ, რამდენი დავიდარაბა გვაქვს, ჯერ კი ჩხუბი არავის მოგვსვლია და იმედია არც მოგვივა“.

„ლევანა დაიბარე და უთხარი, რომ ბუშეკიდამ მოსული ხეხილი დარგას. ნეხვი ბლომათ ჩაატანოს მიწაში კარგად არეული, რამოდენადაც მჯდარა ხე მიწაში ერთის ვერშოკით იმაზე ქვევით დარგას. მესამეს დღეს დარგვის შემდეგ კარგად მორწყას“.

„ჩვენ აქ ტაატით დავდივართ და იმედია რომ მალე დავაბოლოვოთ საქმე. ძალიან მინდა წამოსვლა, მაგრამ რასა იქ, აქაც საჭიროა ჩემი ყოფნა“.

„ტყე გავიყავით, მე ურიგო ნაწილი არ შემხვდა. ეხლა დღეში ორმოცი კაცი მუშაა და „პროსეკებს“ აკეთებენ ტყეში. ეხლა სახნავის გაყოფაზედღა არის საქმე მიმდგარი. ამ ორიოდ დღეზედ უნდა ესეც გათავდეს. მერე ვენახების მოგროვებაზედ დამიგვიანდება კიდევ ერთი ორი დღე და წამოვალ კიდეც...“.

„მე იმედი მაქვს, რომ 10-ს დეკემბრამდე უსათუოდ გნახო...“ (თსკ, ტ. X, გვ. 356—360).

ნოემბრის 9 — „ივერიის“ № 44-ში ქვეყნდება მეთაური წერილი — „საქართველოს მატიანე“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით—„ქართული საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“.).

ამავე ნომერში გამოქვეყნებულ ალფონს დოდეს მოთხრობის „სახლი იყიდება“ და № 45-ში დაბეჭდილ „სამი ათასი ფრანკის“ თარგმა-

ნები, ალ. კალანდაძის აზრით, ილიას ეკუთვნის (ალ. კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. 1986, გვ. 292).

დეკემბრის შუა რიცხვები — ილია ყვარლიდან ბრუნდება თბილისში.

დეკემბრის 27 — ჟურნალ „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად გრიგოლ ორბელიანისაგან ღებულობს პლატონ იოსელიანის მიერ შედგენილ გიორგი მეთორმეტის ცხოვრებას.

„ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ!

სიხარულით მომირთმევია მეფე გიორგის ცხოვრება თქვენის ახლის ჟურნალისათვის...“.

***

ილიას ლექსები: „გაზაფხული“, „არაგვი“ და „ჩიტი“ (ყოველთ უწინარეს...) მ. მაჭავარიანს გადააქვს ნოტებზე, რომლებიც შევიდა წიგნში — „სამშობლო ხმები. ყმაწვილებისათვის სამღერალი სახალხო სიმღერები“.

ჰენრიხ სტრუვე უძღვნის თავის წიგნს (О виноделии, четыре беуседы читанные в Кавказ. общ-ве сельс. хоз. (С четырьмя табл. рис.) Тфл., 1878) წარწერით „Его сиятельству Илье Григорьевич князю Чавчавадзе в знак особенного уважения от автора“.

ქვეყნდება გ. თუმანიშვილის წერილი „შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალიერება“. წერილის ავტორი ეხება ილიასა და მაჩაბლის მიერ თარგმნილ „მეფე ლირის“ და აღნიშნავს:

„ამ მხრივ სწორედ თანაგრძნობის ღირსია „მეფე ლირის“ ქართულად გადმოღება... მაინცაკი ვიტყვით, რომ დიდად ეჭვში ვართ, შეიძლეს თუ არა „მეფე ლირის“ მთარგმნელებმა ამ ტრაღედიის ხასიათის გამოთქმა ქართულად“ (ალმანახი, წგ. 1, 1878).

1879

იანვარი — ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომრისათვის წერს „შინაურ მიმოხილვას“.

წერს მოთხრობას „სარჩობელაზედ“.

თებერვლის 3 — გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიას ნაწერები: პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ნარკვევი „ცხოვრება და კანონი“ (მეხუთე წერილი), „შინაური მიმოხილვა“ და გეორგ ებერსის ისტორიული რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ ილიასეული თარგმანის დასასრული.

„გუშინ 3 თებერვალს, გამოვიდა პირველი წიგნი ჟურნალის „ივერიისა“ (დროება, 1879, № 27, გვ. 2).

თებერვლის შუა რიცხვები — ქვეყნდება გ. თუმანიშვილის გამოხილვითი წერილი „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“ (ალმანახი, წგ. 2, 1879), რომელშიც ავტორი ილია ჭავჭავაძის ბოლოდროინდელ შემოქმედებას მიიჩნევს, როგორც უფერულ და ნაკლებ გავლენიანს მის წინა პერიოდის შემოქმედებასთან შედარებით. ამავე წერილში მიმოიხილავს „დიმიტრი თავდადებულს“ და ხვალებით იწუნებს მას.

„მოიგონეთ ის მწერალი, რომელიც ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ მკითხველებზე ამ ათიოდ-თხუთმეტიოდ წლის წინათ: ილ. ჭავჭავაძე. იმის მაგიერობა ამ უკანასკნელ სამიოდ-ოთხიოდ წელს არავის არ უკისრნია, ისევე პოეტი მოქმედებს ქართული ლიტერატურის ასპარეზზე, თუმც იმის მეათედი გავლენა არა აქვსო, რაც ადრე ჰქონდა.

„... ეხლანდელ ქართულ გაზეთების მიმართულების გავლენა ვერ აიცდინეს თავიდამ ვერც იმისთანა ნიჭიერმა პოეტებმა, როგორც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი“.

თებერვლის 2, 5 — გაზეთი „დროება“ (№№ 31, 34) აქვეყნებს ალ. სარაჯიშვილის (ხელმოწერა ა.) რეცენზიას „ივერიის“ პირველ ნომერში მოთავსებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე.

რეცენზენტის აზრით „ეს პირველი წიგნი ჟურნალ „ივერიისა“ ერთობ ღარიბია ლიტერატურულ ნაწილითა: ორი დაბეჭდილი მოთხრობა ორივე ნათარგმნი არიან... ყველა ეს არაფრით არ არის შესანიშნავი და ბევრს არრას უმატებს ჩვენს მწერლობას“.

ალ. სარაჯიშვილმა, რომელიც რეცენზიაში სპეციალურად ჩერდება ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულზე“, დაიწუნა პოემა და „გრ. ვოლსკის ხატოვანი თქმისა არ იყოს, „ყირაზე შეათამაშა“.

თებერვლის 14 — „დროება“ აქვეყნებს მაჭახელიძის [ალ. ჭყონია] სტატიას „ორიოდე სიტყვა უფ. გ. თუმანიშვილს“. სტატიის ავტორი არ იზიარებს გ. თუმანიშვილის შეხედულებას ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც გამოთქმული აქვს ალმანახის მეორე წიგნში დაბეჭდილ წერილში „ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“.

თებერვლის მეორე ნახევარი — დამშეულ ქობულეთელთა სასარგებლო ფონდში ილიას შეაქვს ოცი მანეთი (ივერია, 1879, № 2, გვ. 172).

თებერვლის 21 — ქვეყნდება ცნობა დამშეულ ქობულეთელთა სასარგებლოდ ლიტერატურული საღამოს გამართვისა და მასში ილიას მონაწილეობის შესახებ.

თებერვლის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიას ნაწერები: „სარჩობელაზედ“, ლექსი „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“, „ცხოვრება და კანონის“ მეხუთე წერილის დასასრული, ალფონს დოდეს მოთხრობის „ტიურკოსი კომმუნელთა შორის“ ილიასეული თარგმანი, „შინაური მიმოხილვა“. ამავე ნომერში ქვეყნდება ილიას „სხარტულა“ (ხელმოწერა: თქვენი თანამშრომელი), რომლითაც ილია აკრიტიკებს გ. თუმანიშვილსა და მის „ალმანახს“.

„გ. თუმანიშვილი!.. იცით, გესმით, რა დიდი ღვთის წყალობა მოგვევლინა, რომ თქვენგან დაწუნებულმა გ. თუმანიშვილმა ჩვენი ღარიბი ლიტერატურა იკადრა და მის მოღვაწედ გამოვიდა!.. მაგისთანა მწერალი ჯერ არ უნახავს ქართველობას. ქართველობას-მეთქი?!... ქართველობას კი არა, მთელს ევროპას... აბა, ქართული ენა გაუსინჯეთ, აი, წერა, ნამდვილი ქართული... აბა აზრები და მსჯელობა გაუსინჯეთ! აბა, „ახალი“ დაუმკვნარი აზრები იმის აზრებია...“ (თსკ, ტ. III, გვ. 347).

— „ივერიის“ ამავე ნომერში ქვეყნდება ნ. დავითაშვილის წერილი „ფიქრი და შენიშვნა. კიდევ ჩვენს მწერლობის თაობაზე. უფ. თუმანიშვილი და მისი „ალმანახი“.

წერილის ავტორი არ იზიარებს გ. თუმანიშვილის შეხედულებას ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც გამოთქმულია „ალმანახის“ მეორე წიგნში გამოქვეყნებულ წერილში „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“.

თებერვლის 28 — ილიას ხელმოწერით ქვეყნდება თბილისის საოთავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ბალანსი 1879 წ. 1 იანვრისათვის (კავკაზ, 1879, № 46).

მარტის 10, 11 — გაზეთი „დროება“ (№№ 53, 54) აქვეყნებს გრიგოლ ვოლსკის (უმწიფარიძის) წერილს „შენიშვნა უფ. ა-ის [სარაჯიშვილის] რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული“.

მარტის 15 — მონაწილეობს პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარის ბესარიონ ღოღობერიძის დაკრძალვის ცერემონიალში სოფელ გოჩა-ჯიხაიშში.

მარტის 15, 16 — ქვეყნდება გ. თუმანიშვილის საპასუხო წერილი „ორიოდე სიტყვა სტატიებზე: „ფიქრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“ (დროება, № 57, 58).

მარტის მეორე ნახევარი — „ივერიისათვის“ წერს ნეკროლოგს „ბესარიონ ლევანის ძე ღოღობერიძე“.

მონაწილეობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდების პროექტის საბოლოო შესწორება-

რედაქტირებაში (წესდების შესწორებული პროექტი დ. ყიფიანის ხელმოწერით იგზავნება 25 მარტს, დაამტკიცეს 31 მარტს, ამის შესახებ დ. ყიფიანს ეცნობა 14 აპრილს).

მარტის 27 — ქვეყნდება ალ. სარაჯიშვილის რეცენზია „ივერიის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე (დროება, 1879, № 67).

რეცენზენტი უარყოფითად აფასებს ილიას მოთხრობას „სარჩობელაზედ“.

„ჩვენ გვგონია რომ ეს მოთხრობა მხოლოდ სალიტერატურო ფორმაა, რომელშიაც მწერალს უნდოდა ფსიხოლოგიური სურათი ჩაესვა“.

რეცენზენტი ეხება აგრეთვე ლექსს „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ და აღნიშნავს, რომ „ეს ლექსი მწვავი სატირა არი ჩვენის ახლანდელი ისტორიულის ცხოვრებისა, სადაც ხუმრობაში ბევრი სამწუხარო სიმართლეა გამოთქმული“.

აპრილის დასაწყისი — გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიას ნაწერები: „ცხოვრება და კანონის“ მეექვსე წერილი, „შინაური მიმოხილვა“, ნეკროლოგი „ბესარიონ ლევანის ძე ღოღობერიძე“ და ბუვიეს რომანის „იზას“ პირველი ნაწილის ილიასეული თარგმანი.

აპრილის 18 — ილიას და დიმიტრი ყიფიანის ხელმოწეოით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი კრების ყველა წევრს ეგზავნება საზოგადოების სტამბურად ნაბეჭდი წესდება და მოსაწვევი ბარათი 1879 წ. 15 მაისს საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლად.

„... ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათა შორის თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლიარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის.... გთხოვთ მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15-ს მაისს დილის 11 საათზედ...“ (ი. ჭავჭავაძე. წერილი რაფ. ერისთავისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 85).

აპრილის 30 — მონაწილეობს თბილისის საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაში. კრება ისმენს ბანკის მმართველობის წლიურ ანგარიშს. ილიას წინადადებით კრება ღებულობს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს სათეატრო ჯგუფის 23 აპრილის თხოვნა ქართული თეატრისათვის 300 თუმნის გამოყოფის შესახებ (დროება, 1879, 1 მაისი, № 91, გვ. 1—2).

მაისი — „ივერიის“ № 4-ში ილია აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“.

მაისის 2 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებაში. კრება იხილავს სკოლის დაარსების საკითხს.

მაისის 5 — გრძელდება საადგილმამულო ბანკის კრება, რომელიც იხილავს სათავადაზნაურო სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისათვის დახმარების საკითხს. ბანკის კრებაზე ილიას ერთხმად ირჩევენ ბანკის მმართველად (კრების ანგარიში ქვეყნდება „დროების“ №№ 91, 96-ში).

„წლევანდელმა ბანკის კრებამ ამ შკოლისათვის ხმაამოუღებლად, ბანკის წმინდა შემოსავლიდამ 13.500 მანეთი შესწირა. მაგრამ, როდესაც იმაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ ამავე თავადაზნაურობას შეეწირა 11.000 მანეთი „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“... მაშინ პატივცემულ დ. ი. ყიფიანს და ილია ჭავჭავაძეს უნდა წარმოეთქვა მჭერმეტყველური, მაგარი, მგრძნობიარე სიტყვა, უნდა ბევრი ერჩიათ, ეხვეწნათ, ექადაგნათ კრებისათვის, და მხოლოდ ამის შემდეგ დაითანხმეს თავად-აზნაურობა, რომ ეს ფული შეეწირათ.

დაითანხმეს, მაგრამ ვაი ამისთანა დათანხმებას: მეორე დღესვე ჩვენი თავად-აზნაურობა დიდ საყვედურს აცხადებდა დიმიტრი ყიფიანზე და ილია ჭავჭავაძეზე, რომ იმათ ტკბილმა ლაპარაკმა „გამოგვტყუა ის ფულიო...“ (ს. მესხი. თხზულებანი. ტ. 3, 1964, გვ. 167).

მაისის დასაწყისი — ილიასა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის გულმოდგინე მუშაობით გადაწყდა ქართული თეატრალური საზოგადოების დაფუძნება. 18 მაისისათვის კრების მოსაწვევად ილიას ხელმოწერით იგზავნება წერილები, მაგრამ ზოგიერთი მოღვაწე, მათ შორის გრ. ორბელიანი, ნაადრევად მიიჩნევს თეატრის აღდგენის საქმეს.

„ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ!

დღეს ვერ გიხდები ჩვენის საზოგადოების კრებაში, თეატრისა გამო, რადგანაც ვარ მიწვეული В Экстерное заседание Общества возстановления Христянства; მაგრამ გავჰბედავ კი და გულწრფელობით შოგახსენებ, რომ მე არა ვარ თანამგრძნობი ქართულის თეატრის ამ ჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად.

მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს განსწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თავისასა? და თუ ქართულის

ენის მოყვარენი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯელ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი. — არა მგონია, რომ ჩვენი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას“ (გრ. ორბელიანი. წერილი ილია ჭავჭავაძესთან — ბახტრიონი, 1922, № 21, გვ. 2).

მაისის 10 — მონაწილეობს თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის წლიურ კრებაში (დროება, 1879, 16 მაისი, № 100, გვ. 2—3).

მაისის 15 — თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში დიმიტრი ყიფიანი ხსნის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველ სხდომას. სხდომას ესწრება 28 წევრი, მათ შორის გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე...

საზოგადოების გამგეობის წევრებად ირჩევენ დიმ. ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს (41 ხმა, 5 წინააღმდეგი), ი. გოგებაშვილს, ნ. ცხვედაძეს, ი. მაჩაბელს, ალ. სარაჯიშვილს, რ. ერისთავს; კანდიდატებად: ნ. ქანანოვს, დ. ავალიშვილს, გ. უთურგაულს.

იმავე დღეს საზოგადოების გამგეობის პირველ სხდომაზე ილიას ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწედ (თავმჯდომარედ არჩეული იქნა დიმ. ყიფიანი) (კრების ანგარიში გამოქვეყნდა „დროების“ № 101-ში).

მაისის 17 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მეორე სხდომაში. სხდომა იხილავს საზოგადოების შემოსავალ-გასავალს.

მაისის 18 — მონაწილეობს ქართული თეატრალური საზოგადოების (ამხანაგობის) დამფუძნებელ კრებაში.

„... შეადგინეს ამხანაგობა: დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავმა, ნ. ავალიშვილმა, იოს. ბაქრაძემ, ალ. სარაჯიშვილმა, ილ. ჭავჭავაძემ და განიზრახეს სამუდამო სცენის დაარსება, მათ შეაგროვეს ფული, დააარსეს დრამატიული კომიტეტი, გამოიკვლიეს ამხანაგობის წესდება...“ (ივ. გომართელი — კვალი, 1900, № 1, გვ. 12).

მაისის 29 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრებაში (21 მაისისათვის დანიშნული კრება წევრთა სიმცირის გამო არ შედგა).

ილიას წინადადებით საზოგადოების წევრებად ღებულობენ 42 პირს. ამავე დღეს ილია კრებას მოახსენებს 1879-1880 წწ. საზოგადოების საქარაუდო ხარჯთაღრიცხვას.

ივნისის 25 — გრიგოლ ორბელიანისაგან ღებულობს წერილს და ახლად დაწერილ ლექსს „ფსალმუნს“ ჟურნალ „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად.

„დავჰბერდი და შეუდეგ სულის გზასა; ვჰკითხულობ დავითნსა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვთ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს ულმობელს კრიტიკოსსა კნეინა ოლღასა; თუ მოგეწონოს ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ასე რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენად“.

„თქვენი მარადის ბედნიერების მსურველი თავადი გრიგოლ ორბელიანი“ (ლიტერატურული საქართველო, 1941, 13 ივნ., № 24).

გრიგოლ ორბელიანის პოეტური ნიჭის თაყვანისმცემელი ილია „ფსალმუნს“ უცვლელად ბეჭდავს „ივერიის“ № 5—6-ში.

ივნისის ბოლო — გამოდის ჟურნალ „ივერიის“ გაერთიანებული № 5—6, რომელშიც ქვეყნდება ილიას ნაწერები: პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „შინაური მიმოხილვა“ და რომან „იზას“ ილიასეული თარგმანის გაგრძელება.

ივლისი — ცალკე წიგნად გამოდის — გლახის ნაამბობი. მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა. გამოცემული ა. საფაროვისაგან. ტფ., ე. ხელაძის სტამბა, 1879. 6, 136 გვ. 25 კ. (ცენზურის ნებართვა 23 აპრ.).

ივლისის 4 — წერა-კითხვის საზოგადოების სახელით ილია წერილობით მიმართავს სოფ. ზნაკვის (ლანჩხუთის) სკოლის გამგეს, საზოგადოებას აცნობოს სკოლის მდგომარეობა.

ივლისის ბოლო — ამონაბეჭდის სახით ცალკე წიგნად გამოდის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“.

აგვისტოს 8 — ილიას ხელმოწერით გაზეთი „დროება“ (№ 163) აქვეყნებს თბილისის თავადაზნაურთა ბანკის ბალანსს 1879 წლის 1 ივლისისათვის. იგივე რუსულად ქვეყნდება გაზეთ „კავკაზში“ (№ 175).

აგვისტოს პირველი ნახევარი — გამოდის ჟურნალ „ივერიის“ № 7—8, რომელშიც ქვეყნდება „დედა და შვილი“ („ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან განთავისუფლდა საქართველო“). ამავე ნომერში აქვეყნებს ბუვიეს „იზას“ თარგმანის გაგრძელებას და ესპანელი მარიანო ხოსე ლარას „ვაქებ, ანუ ამასაც ხომ არ დამიშლიან“ (ისპანური სატირა ლარრასი) თავისეულ თარგმანს.

აგვისტოს 12, 14 — გაზეთი „დროება“ (№ 167, 168) ბეჭდავს პოემას „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“.

სექტემბრის 1 — ილიასა და სხვა ქართველ მოღვაწეთა თაოსნობით საფუძველი ეყრება ქართულ მუდმივ თეატრს. ამ დღეს წარმოადგინეს ბარბარე ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვპოვე“.

სექტემბრის 10 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ილია დაბეჯითებით მოითხოვს გამგეობის წევრთა მივლინებას მაზრებში ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან სასკოლო საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

ოქტომბერი — განზრახული აქვს ქართულ სცენაზე განახორციელოს შექსპირის „მეფე ლირის“ დადგმა.

— გამოდის ჟურნალ „ივერიის“ № 9—10, რომელშიც ქვეყნდება ილიას ლექსი „აღარც ნატვრა და აღარც იმედი“ და რომან „იზას“ თარგმანის გაგრძელება.

ჟურნალის ამავე ნომერში ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი ბეჭდავენ ერთობლივ განცხადებას „დროება-ივერიის“ გამოცემაზე მომავალ 1880 წელს. ანალოგიური განცხადებები იბეჭდება „დროების“ № 237-ში და ა. შ. და „კავკაზის“ № 261-ში.

სავარაუდოა, რომ ამავე ნომერში დაბეჭდილი ესპანელი ლარას სატირა „რა არის საზოგადოება და სად უნდა ვეძიოთ იგი“ ილიას ეკუთვნოდეს.

ოქტომბრის 20 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში.

ამავე დღეს ილია დიმიტრი ყიფიანს სთავაზობს „მეფე ლირში“ ითამაშოს ლირის როლი.

„თქვენ რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შემომაძლიეთ...“ (ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. თბ., 1957, გვ. 124).

ნოემბრის დასაწყისი — წერილს ღებულობს (31 ოქტ. თარიღით) დიმიტრი ყიფიანისაგან, ქვიშხეთიდან. წერს ლირის როლის შესრულების თაობაზე.

„თქვენ რომ ... ლირის როლი შემომაძლიეთ, მე მოგახსენეთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით ვიკისრებ თუ ვერა მეთქი... თუ მაინც და მაინც გნებავთ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურად, — მარტო ეს როლი.. თქვენს ნათარგმანს ამით სრულებით არა ეზიანება რა...“ (იქვე).

ნოემბრის 2 — გრიგოლ ორბელიანისაგან ღებულობს შუამდგომლობით ბარათს და საბინინის თხოვნის წერილს ფულით დახმარებისათვის.

„ჩემო მოწყალე ბატონო;

კნიაზო ილია!

მომირთმევია საბინინის წერილი, რომლითაც ითხოვს ჩვენის საზოგადოებისაგან შემწეობასა ფულით, შესასრულებლად საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა და გამოსასხნელად ლეიპციხიდამ ქართველ წმინდების (sik) სურათებისა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი შრომა და ღვაწლია მისგან მიღებული, და რა სასარგებლოა საკუთრივ ჩვენთვის ამ ისტორიის გამოცემა და გავრცელება ჩვენს ხალხში... როგორცა ინებებთ, ისე აღსრულდეს, ოღონდ კი აღსრულდეს“ (ბახტრიონი, 1922, № 21, გვ. 2).

ნოემბრის 15 — ილიას, „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს და ამავე გაზეთის გამომცემელს სტეფანე მელიქიშვილს შეაქვთ ერთობლივი თხოვნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსთან 1880 წლის 1 იანვრიდან ჟურნალ „ივერიის“ და გაზეთ „დროების“ საერთო რედაქციით გამოცემის ნებართვის შესახებ.

„...Месхи, просим признать вторым редактором журнала „Иверия“, а ...Чавчавадзе—вторым редактором газеты „Дроэба“...Журнал „Иверия“ будет выходить по прежней программе... четыре раза в год, а газета „Дроэба“ ежедневно...“ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947 გვ. 196).

„მომავალი 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შედგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის უწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამამდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება, ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი...

ამ შეერთებულის შრომისა და ღონის წყალობით, „დროება“-...ივერიის“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას მკითხველთა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებს, რადგან ამ საქმეში ჩვენთა უკეთესთა მწერალთა აღუთქვეს იმას თავისი შემწეობა და თანაგრძნობა“ (დროება, 1879, 16 ნოემბ. № 237).

ნოემბრის 22 — ქართული სათეატრო ამხანაგობა, რომლის წევრიც არის ილია, ხელახლა თხოვნას წარუდგენს თბილისის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ბანკიდან 300 თუმნის დახმარების შესახებ.

ნოემბრის 27 — კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დ. სტაროსელსკი შუამდგომლობს

ილია ჭავჭავაძესა და სერგეი მესხს საცენზურო კომიტეტთან „ივერიისა“ და „დროების“ საერთო რედაქციით გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 197).

დეკემბრის 23 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში. გამგეობა ილიას ავალებს ბათუმის სკოლის საქმეებზე მოლაპარაკების წარმოებას საჭირო პირებთან. ილიას, დ. ყიფიანსა და რაფიელ ერისთავთან ერთად გამგეობა ავალებს სახელმძღვანელოების ენობრივ კონტროლს (საისტ. მოამბე, ტ. 37-38, 1978, გვ. 28—29).

დეკემბრის 25 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დადგენილებით ილია რაფიელ ერისთავისაგან აქტით იბარებს საზოგადოების სალაროს (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ფონდის აღწერილობა. 1953, გვ. 3).

დეკემბრის 30—31 (?) — „დროების“ საახალწლო ნომრისათვის წერს წერილს — „ვისს ნათესსა ვმკით?“.

*

* *

ხელმძღვანელობს ბაშკიჩეთში ადგილობრივი მამასახლისისა და მოსამართლეების არჩევნებს.

„შარშანდელ 1879 წელსა ბაშკეჩეტში მობრძანდნენ თ. ი. ჭავჭავაძე და მიროვოი პოსრედნიკი პავლიევი; იქ დაიბარეს დიდ-გომარელები კომლზედ კაცი. სტარშინის და სუდიების აღმორჩევაზედ მოახდინეს კენჭის-ყრა; შემდეგ აღმორჩევისა თ. ჭავჭავაძემ და პავლიევმა ხალხს მისცეს მამა-შვილური დარიგება აღმორჩეულთ თანამდებობაზედ, აუხსნეს ვალდებულება; ამასთანავე გამოუცხადეს, რომ შემდეგ ფიცსაც მიგაღებინებენო და ვინძლო რომ თქვენი ფიცი უმანკო იყოსო, აგრეთვე ფიცის მნიშვნელობაც აუხსნეს“ (დროება, 1880, 20 ივლ. № 154).

1880

იანვრის 1 — გაზეთი „დროება“ № 1 აქვეყნებს ილიას და სერგეი მესხის ერთობლივ განცხადებას — „1880 წელს „დროება“ — „ივერიის“ გამოცემაზედ“ (იგივე ქვეყნდება „ივერიის“ პირველ ნომერში).

— ამავე ნომერში ქვეყნდება ილიას შინაური მიმოხილვა სათაურით — „ვისს ნათესსა ვმკით?“ და აკაკი წერეთლის საახალწლო ლექსი — „მესტვირული“, რომელშიც დახასიათებულია ილია.

„აწ ახლებზედ გადავიდეთ ვახსენოთ ჩვენი ილია.
იმისი გემო ხომ ვნახეთ ცოტა მოძველო ხილია!
ქვეყნის ერთ-გული, გულ-წრფელი, კარგი მამულის-შვილია
გულშიდა მეტად გულადი, სიტყვით კი ცოტა ფრთხილია!
მე ვფიქრობ ეს მისგან არის, რომ დარბაისლათ ზრდილია.
ცოტა უდროოთ გასუქდა და ბედით კმაყოფილია
და არას აწყენს ხან-და-ხან, რომ მას დავუფთხოთ ძილია!“

იანვრის 17—18 ? — გაზეთ „დროებისათვის“ წერს წერილს — „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, რომელიც ქვეყნდება 20 იანვარს „დროების“ № 15-ში მოწინავის სახით — „ტფილისი, 18 იანვარს“.

იანვრის 20 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში.

თებერვლის დასაწყისი — წერილს ღებულობს (3 თებერვლის თარიღით) ეგნატე ინგოროყვასაგან (ნინოშვილი), სოფ. ჩოჩხათის სკოლის მდგომარეობის შესახებ.

თებერვლის 16 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში. ილიას შეაქვს წინადადება ბათუმში სკოლის გახსნის საჭიროების შესახებ.

თებერვლის 21 — მონაწილეობს ქართული სათეატრო ამხანაგობის კრებაში, რომელიც გაიმართა დავით სარაჯიშვილის ბინაზე. კრება იხილავს დიმიტრი ყიფიანის წინადადებებს: დეკლამაციისა და დიქციის კლასების გაუქმების, გ. წერეთლის პიესისათვის „ოჯახის ასული“ ჯილდოს მიცემის და მიხეილ ბებუთოვის ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ.

კრება ხმის უმრავლესობით უარყოფს განსახილველ წინადადებებს, რაც მიზეზი ხდება დიმიტრი ყიფიანის ამხანაგობიდან გასვლისა.

თებერვლის 26 — ილია ქართული სათეატრო ამხანაგობის სხვა წევრებთან (ნიკ. ავალიშვილთან, დავ. ერისთავთან, ივ. მაჩაბელთან, დ. სარაჯიშვილთან, გ. თუმანიშვილთან, ი. ბაქრაძესთან) ერთად „დროების“ № 44-ში აქვეყნებს წერილს რედაქციისადმი („ბატონო რედაქტორო!“) იმის გამო, რომ გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ გამოეხმაურა დიმიტრი ყიფიანის გასვლას სათეატრო ამხანაგობიდან. რედაქციისადმი წერილში ილია ამხანაგობის წევრებთან ერთად მოითხოვს გაზეთმა გამოაქვეყნოს სათეატრო ამხანაგობის შემდეგი გადაწყვეტილება:

„მართალია, ბატ. დ. ი. ყიფიანმა წარმოადგინა ამხანაგობაში მისაღებად თ. მიხეილ ბებუთოვი; მართალია, წარმოდგენილება დ. ყი-

ფიანისა არ შეიწუნარა ამხანაგობამ და ისიც მართალია, რომ დ. ი. ყიფიანმა სიტყვით გამოაცხადა ამხანაგობიდამ გავდივარო. ვიდრე თვითონ პატივცემული დ. ი. ყიფიანი არ მოიწადინებს, რომ სამწუხარო გარემოება საზოგადოებისაგან გარჩეული იქმნას და ამ წადილს ბეჭდით არ გამოჰსთქვამს, იმ დრომდე ქართული სათეატრო ამხანაგობა არ მიაქცევს არავითარს ყურადღებას იმ ჭორებს, რომელსაც, იმედია, ჩვენი გაზეთები ამ საგანზედ გამართაენ. ხოლო როცა თვითონ ბატ. ყიფიანი მოიწადინებს, რომ ამ საქმის გარემოებამ საზოგადოების ყურამდე მიაღწიოს, მაშინ ამხანაგობა მოვალედ ჩასთვლის თავის თავს ყოველიფერი ჯეროვანი საბუთებით აცნობოს საზოგადოებასა თქვენის, ბატონო რედაქტორო, პატივცემულის გაზეთის შემწეობით".

თებერვლის ბოლო — გაზეთები „ობზორი" (№ 431, 432, 433, 434) და „ტიფლისკი ვესტნიკი" (№ 56, 57) აქვეყნებენ მასალებს ქართულ სათეატრო ამხანაგობასა და დრამატიულ დასს შორის მომხდარ უთანხმოებათა შესახებ. „ობზორი" (№ 432) „დროებას" თვლის არაობიექტურ გაზეთად, რომლის მიზეზადაც მიიჩნევს, რომ „დროება" არის ილია ჭავჭავაძისა და მისი პარტიის ორგანო და იარაღი.

თებერვლის 28 — გაზეთი „დროება" (№ 45) აქვეყნებს ქართველი შსახიობების — კ. მესხის, ვ. აბაშიძის, ა. ცაგარლის, კ. ყიფიანის და სხვათა განცხადებას („წერილი რედაქტორთან"), რომლებიც მოითხოვენ დასის ხელმძღვანელობა მიენდოს ახლად ამორჩეულ პირებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს.

„... იმ ჩვენგან ამორჩეულ პირებს შორის იყვნენ ორი დიდად პატივცემულნი პირნი სახელდობრ: დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი და თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე; მაგრამ ამ ბოლო დროს მომეტებულის ნაწილის ჩვენგან ამორჩეულის პირების უწესო მოქმედებამ იმდენზე მიაღწია, რომ პატივ-ცემული წევრი დ. ი. ყიფიანი იძულებული იყო გამოსულიყო წრიდან...

... ჩვენ გადავწყვიტეთ მიგვენდო ჩვენი ტრუპის გამგეობა ქვემოხსენებულთა პირთა, რომელნიც არიან: დ. ი. ყიფიანი; ლ. ა. მაღალაშვილი; თ. ი. ჭავჭავაძე; თ. მ. ბებუთოვი; თ. ა. რ. წერეთელი; ნ. ი. ნიკოლაძე; ი. ე. ფითუაშვილი; ს. ს. მესხი და რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

უმორჩილესადა ვსთხოვთ ამ ჩვენგან ამორჩეულთა პირთა, მიილონ ქართული სცენის საქმის მართვა და იმის წინამძღვრობა იმ დრომდინ, სანამდის მათგან შედგენილი ქართული დრამატული საზოგადოების წესდება არ იქნება კანონისამებრ წარდგენილი და დამტკიცებულნი მთავრობისაგან".

ქართველ მსახიობთა წერილის თარგმანს ბეჭდავს გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ 57).

თებერვლის 29 — გაზეთ „დროების“ № 46-ში ილია ბეჭდავს მეთაურს — „კიდევ „თფილისის მოამბეს“. წერილში გაკრიტიკებულია გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“, „ობზორი“ და მისი რედაქტორი ნ. ნიკოლაძე. ამ მეთაური წერილის გამო ნიკო ნიკოლაძე დუელში იწვევს ილიას. დუელი ინიშნება 1 მარტისათვის.

მარტის 1 — გაზეთი „ობზორი“ (№ 435) ხელმოუწერლად ბეჭდავს ნ. ნიკოლაძის მოწინავეს სათაურით „ბეჭდვითი მეყალბენი. თბილისი, თებერვლის 29 1880“, რომელიც მიმართულია ილიასა და მის თანამოაზრეთა — „დროება-ივერიის“ თანამშრომელთა წინააღმდეგ.

ამ დღეს დანიშნული დუელი ილიასა და ნიკო ნიკოლაძეს შორის მშვიდობიანად მთავრდება.

„... ნ. ნიკოლაძის სეკუნდანტები იყვნენ: პოეტი სიმბორსკი და დ. გურამიშვილი, ხოლო ილიასი: ი. შალიკაშვილი და ნ. ერისთავი. სიმბორსკიმ, როგორც გულ-ჩვილმა კაცმა, სცადა შერიგება მოწინააღმდეგეთა და, რაკი ვერა გააწყო-რა, ქვითინი დაიწყო... ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ გარემოებაც დაერთო, საბედნიეროდ საქმე შერიგებით გათავდა. შედგენილ იქმნა ოქმი, საცა სწერია, რომ ილია უარჰყოფს თავის წერილს „დროებაში“, ხოლო ნ. ნიკოლაძე აღარ შეეხება ილიას პირადობას „ობზორში“ (გრ. ყიფშიძე. — ი. ჭავჭავაძე. ტ. 1, 1914, გვ. XLI).

მარტის 6 — გაზეთი „დროება“ (№ 50) აქვეყნებს მოწინავეს („ტრუპპა და კომიტეტი“) ქართული დრამატიული დასის და თეატრალური კომიტეტის საქმიანობაზე, მათ შორის წარმოშობილ უთანხმოებათა მიზეზებზე.

მარტის 18 — აქვეყნებს ნარკვევს — „ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყობილიყო“ (დროება, 1880, № 60).

მარტის 23 — „დროების“ № 65-ში ბეჭდავს მეორე წერილს „ხიზნობის საქმის თაობაზედ“.

აპრილის 5 — ილიასა და სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდის საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი. აქ გრძელდება ბეჭდვა ბუვიეს რომან „იზას“ ილიასეული თარგმანისა.

„დღეს გამოვიდა ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი...“ (დროება, 1880, 5 აპრ. № 74).

აპრილის 6 — ესწრება მოსწავლეთა ლიტერატურულ საღამოს კლასიკურ გიმნაზიაში.

„გუშინ, კვირა საღამოს ჩვენ დავესწარით აქაურ კლასიკურ გიმნაზიის შაგირდების სალიტერატურო საღამოზედ და გულ-წრფელად ვამბობთ, რომ ამ საღამომ ჩინებული, სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ...

ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო გაგონება ქართულ ლექსებისა, რომელსაც სამი შაგირდი: რატიშვილი, ხუციშვილი და ბახტაძე ამბობდნენ ზეპირად. განსაკუთრებით ხუცისშვილმა წაიკითხა კარგათ „ივერიის“ № მე-4-ში დაბეჭდილი პატარა ლექსი „ვედრება პატარა გლეხისა“ და „ელეგია“ ილ. ჭავჭავაძისა. „მერანი“ და განსაკუთრებით თ. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო...“ (დროება, 1880, 8 აპრ. № 76).

აპრილის 8 — გაზეთი „ობზორი“ ბეჭდავს შენიშვნებს „დროების“ № 60 და № 65-ში დაბეჭდილ ილიას წერილებზე — „ხიზნების საქმის თაობაზე“.

აპრილის 9 — „ობზორის“ (8 აპრილის) შენიშვნების გამო ილია საპასუხო შენიშვნებს ბეჭდავს „დროების“ № 77-ში (ახალ ამბებში).

აპრილის 15 — „ობზორი“ (ნ. ნიკოლაძე) კვლავ ბეჭდავს თავის შენიშვნებს ილიას საპასუხო შენიშვნების გამო.

აპრილის 16 — „დროების“ № 83-ში ილია პასუხობს ნ. ნიკოლაძეს „ობზორში“ „ხიზნების საქმის თაობაზე“ გამოთქმულ მოსაზრებათა გამო.

აპრილის 26, 28 — გაზეთ „დროების“ № 87, 89-ში ილია აქვეყნებს მეთაურ წერილს „ხიზნების საქმის გამო“.

მაისი — ქართულ თეატრალურ დასში ილია იწვევს მსახიობ ესტატე იოსელიანს.

„შენი ჰირიმე კირილე მალე მოგვაშველე ბატონი იოსელიანი. ძალიან აქებენ“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 393).

მაისის 2 — მონაწილეობს თბილისის საადგილმამულო ბანკის კრებაში, რომელიც იხილავს ბანკის მოქმედების 1879 წლის ანგარიშს (ობზორ, 1880, № 489).

მაისის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, სადაც ქვეყნდება ილიას ლექსი — „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „იზას“ ილიასეული თარგმანის გაგრძელება.

ივნისი — ქართული დრამატიული დასი ილიას რეჟისორობით ამზადებს ახალ პიესას.

„ი. ჭავჭავაძემ ივნისში გადამახდევინა 25 მან. ვითომ უმართებულო ქცევისათვის და რეპეტიციიდამ გაქცევისათვის... ილია ჭავჭავაძეს რაღა დავუშავე? რეპეტიციაზე გიახელით დანიშნულ დროს. ვიცდიდი, სუფლიორი არსად არის; ვკითხავ ერთს, მეორეს, გეელირსება რეპეტიცია თუ არა? ყველამ მიპასუხა სუფლიორი არა გვყავსო (ნუ დაივიწყებთ უკანასკნელი რეპეტიცია იყო; გარდა ამისა ახალი პიესა, რომლის უმთავრესი როლი მე მქონდა) ვკითხე რეჟისორს (ილია ჭავჭავაძეს) სუფლიორისა. — მე რავიციო. რაღა გამექეთებინა ავდექი და წამოველი. 25 მან. შტრაფი დამაწერეს“ (ვ. აბაშიძე — დროება, 1880, 20 ივნ. № 129, გვ. 3).

— ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთა წარმოება 1879 წ. 15 მაისიდან 1880 წ. 15 მაისამდე. წელიწადი პირველი. ტფ., 1880, 11 გვ.

ივნისის 1 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას (25 მაისისათვის დანიშნული კრება მონაწილეთა სიმცირის გამო არ შედგა).

საზოგადოების პირველი წლის მუშაობის ანგარიშს კრებას ახსენებს ილია. (საზოგადოების საქმეთა წარმოება 1879 წ. 15 მაისიდან 1880 წ. 15 მაისამდე ილიას ხელმოწერით გამოქვეყნდა „დროების“ № 111, 113, 114, 118—120-ში. იგივე გამოქვეყნდა გაზეთ „ობზორის № 519, 520-ში).

ივნისის 21 — სპექტაკლის ჩაშლა მსახიობ ვასო აბაშიძის გამოუცხადებლობის გამო, როგორც პროტესტი ილიასა და სათეატრო ამხანაგობის მიმართ.

ივნისის 22 — ქართული სათეატრო ამხანაგობის დაშლა.

ივლისის 27 — თეატრალური საქმეების გამო ილია საგურამოდან საპასუხო წერილს უგზავნის თბილისში კოტე ყიფიანს. თხოვს დახმარებას ამ საქმეში.

„... მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენი თეატრალური საქმე ასე ფერხდება. ამხანაგობის წევრები დაიშალნენ და კაცი არ არის, რომ დასის საქმეზე იზრუნოს. მე თქვენი იმედი მქონდა, მაგრამ, როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ამ საჭირო ზრუნვისაგან თქვენც გინდათ განთავისუფლდეთ. ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ 15 აგვისტოსათვის მთელი დასი უნდა შეიკრიბოს. როგორ მოხერხდება ეს, არ ვიცი... მე არ ვიცნობ იმ პირთ, რომელთაც საქმის სარგებლობისათვის დასში მოვიწვევდით. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მოგვითითოთ და ამიტომ

გთხოვთ, მაცნობოთ მათი სახელები და მისამართები. მე თვითონ მივწერ მათ, იქნებ საქმე მართლაც მოგვარდეს.

თეატრალურ საქმეში თქვენი გამოცდილება ძალზე დიდად შეიწყობს ხელს. ამიტომ, თუ თქვენ რჩევა-დარიგებას არ დაიშურებთ, დიდად დამეხმარებოდით. საგურამოში 3 აგვისტომდე დავრჩები. უაღრესად მაამებდით თუ კი ინებებდით ჩამოსვლას...“ (თსკ, ტ. X, გვ. 88)

აგვისტოს დასაწყისი — წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას ილია და ი. შალიკაშვილი გადასცემენ ხელნაწერ წიგნებს „ვისრამიანს“, „ქილილა და დამანას“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სეკრეტარი, ი. მ. მეუნარგია, გვთხოვს დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი სია ქართულ ხელნაწერ წიგნთა, რომლებიც შემოუწირავთ საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის თ. თ. ი. გ. ჰავჰავაძეს და ი. ი. შალიკოვს“ („დროება“, 1880, 8 აგვ. № 166, გვ. 3).

სექტემბრის 4 — „დროების“ რედაქციის მოწვევით სიონის ტაძარში გადახდილ იქნა მარი ბროსეს პანაშვიდი. პანაშვიდს ესწრებიან ილია და ქართული მწერლობის სხვა წარმომადგენლები (დროება, 1880, № 188).

სექტემბრის ბოლო — გრ. ჩარკვიანის სტამბაში ცალკე წიგნად იბეჭდება ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“.. 1880, 38 გვ. (17 X 13) 1200 ც. 15 კ.

ნოემბრის 4 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ილიას წინადადებით ღებულობს გადაწყვეტილებას ბათუმის სკოლის მასწავლებლად ალექსანდრე ნანეიშვილის დანიშვნის შესახებ.

„ბათუმის სკოლის მასწავლებლათ დაინიშნა ბ. ალექსანდრე ნანეიშვილი, მედიკური აკადემიის სტუდენტი. ამაზე ეცნობა ბ. ნანეიშვილს ტელეგრამით“ (დროება, 1880, 7 ნოემბ. № 235, გვ. 3).

ნოემბრის 12 — ილია სერგეი მესხთან ერთად განცხადებით მიმართავს საცენზურო კომიტეტს 1881 წლიდან ჟურნალ „ივერიის“ ყოველთვიურად გადაკეთების ნებართვის მისაღებად (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 197).

ნოემბრის 24 — ილია მონაწილეობს ქართული მწერლობის მოყვარულთა პირველ ყრილობაში. ყრილობა იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციისა და გამოცემის საკითხებს. ილიასა და უმრავლესობის აზრით გადაწყდა „ვეფხისტყაოსანი“ გამოიცეს ისევე, როგორც მანამდე გამოუციათ. რედაქციის გამგედ ირჩევენ გრ. ორბელიანს, თანაშემწეთ ილიასა და რ. დ. ერისთავს.

„ორშაბათ საღამოს, 24 ნოემბერს, მოხდა პირველი ყრილობა ქართულ მწერლობის მოყვარულთა, რომელთაც აქვს განზრახვა დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ შეათანხმონ ხელთნაწერ „ვეფხვის-ტყაოსნებს“ (დროება, 1880, 27 ნოემბ., № 250).

ნოემბრის 25 — გაზეთ „დროებაში“ № 248 და მომდევნო ნომრებში ქვეყნდება განცხადება „დროება-ივერიის“ გამოცემის პირობების შესახებ 1881 წლისათვის. რედაქტორები: ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი.

ნოემბრის 30 — გაზეთ „დროების“ № 235-ში ქვეყნდება ხელმოუწერელი წერილი „წინამძღვრიშვილის სკოლა“. სავარაუდოა, რომ ეს წერილი ეკუთვნის ილიას. წერილი შეიცავს შენიშვნებსა და წინადადებებს წინამძღვრიანთკარის სკოლის პროექტის შესახებ.

დეკემბრის დასაწყისი — ცალკე წიგნად გამოდის „კაცია ადამიანი?!“ მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. თბ., საამხანაგო ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა, გრ. ჩარკვიანის სტ., 1880. 158 გვ. (17 X 13). კარგ ქაღალდზე დაიბეჭდა 300 ც. 60 კ. უბრალო ქაღალდზე — 200 ც. 40 კ.

„ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში „საამხანაგო წიგნის მაღაზიისაგან“ გამოცემული კლასსიკური მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა „კაცია, ადამიანი!“ ეს მეორე გამოცემაა „კაცია ადამიანისა“,, პირველი, როგორც მოგეხსენებათ, პეტერბურღში გამოიცა, მშვენიერი გამოცემა იყო ის, მაგრამ არც ეს მეორე გამოცემა ჩამორჩება ბევრით უკან სისუფთავით, მშვენიერ ქაღალდით და საზოგადოთ სილამაზით. ფასიც სრულებით ძვირი არ არის: კარგ, სქელ ქაღალდზე სამი აბაზი, უფრო მდარე ქაღალდზე — ორი აბაზი“ (დროება, 1880, 5 დეკ. № 257).

დეკემბრის 8 — კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი საცენზურო კომიტეტთან შუამდგომლობს ილიასა და სერგეი მესხს 1881 წლიდან „ივერიის“ ყოველთვიურად გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 198—199).

დეკემბრის 12 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში, რომელიც იხილავს ბათუმის სკოლის გამართვის საკითხს. სხდომა ადგენს სკოლის გახსნას მომავალი წლის 10 იანვრისათვის.

დეკემბრის 21 — თბილისიდან ბათუმში დეპეშას უგზავნის ბათუმის სკოლის მასწავლებელ ალექსანდრე ნანეიშვილს. თხოვს აცნობოს ბათუმის სკოლის გახსნის დრო.

„... მაცნობეთ, როდის იქნება მზად სკოლა გასახსნელად, რომ ამ დროსათვის ჩამოვიდე“ (თსკ, ტ. X, გვ. 89).

დეკემბრის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მეოთხე და 1881 წ. პირველი ნომრები. მეოთხე ნომერში დაბეჭდილია „იზას“ ილიასეული თარგმანი.

„ამ წლის „ივერიის“ მეოთხე და უკანასკნელი ნომერი და მომავალ 1881 წლის პირველი (იანვრის) ნომერი ერთად გამოვიდნენ და ქალაქის ხელის მომწერლებს ხვალ, ახალ წელიწადს დაურიგდებათ ორივე წიგნი ერთად“ (დროება, 1880, 31 დეკ. № 274).

*
* *

ჟურნალ „ფალანგაში“ № 6 ქვეყნდება კარიკატურა: „ქართული ჟურნალისტიკის ძიძა“. ცენტრში დგას ილია ძიძის ტანსაცმელში ორი ბავშვით — ს. მესხით და ივ. მაჩაბლით ხელში. ხელმოწერა: О. Ш.

1881

იანვრის 1 — გაზეთ „დროების“ № 1-ში გამოქვეყნებული აქვ. ცაგარლის საახალწლო ფელეტონი ილიას ახასიათებს:

„დაგვიმძიმდა, ძლივს-ღა იძვრის
ეს ჩვენი ახალ წლის კუნძი!..
ადე, წელში გაიმართე,
არ შეგშვენის, რომ იბღუნძი!

— „ივერიის“ პირველ ნომერში აქვეყნებს „ცხოვრება და კანონის“ მეშვიდე წერილს და „შინაური მიმოხილვის მაგიერ“.

იანვრის მეორე ნახევარი — ქართული დრამატიული ამხანაგობის პირველ სხდომაზე ილიას ირჩევენ ამ ამხანაგობის თავმჯდომარედ. თავმჯდომარის ამხანაგად აკაკი წერეთელს (დროება, 1881, 24 იანვ. № 17)

„ვიყავ აგრეთვე არჩეული ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ და ეს თანამდებობა მეჭირა 1881 წლამდე“ (თსკ, ტ. IX, გვ. 312).

იანვრის ბოლო — მუშაობს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. იანოვსკის სასკოლო პოლიტიკის მამხილებელ წერილზე — „ბატონ იანოვსკის წერილის გამო“ (კ. იანოვსკის პასუხი ს. მესხის წერილზე გამოქვეყნდა 1880 წ. ბოლოს „კავკაზში“ (№ 348), ქართულად გაზეთ „დროების“ 1881 წ. 15 იანვარს № 10).

იანვრის 31 — გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც აქვეყნებს „აჩრდილის“ პირველ ნაწილს და „შინაურ მიმოხილვას“.

„ივერიის“ მეორე (თებერვლის) წიგნი დაიბეჭდა და ხვალ 1 თებერვალს დაურიგდება. ხელისმომწერლებს...“ (დროება, 1881, 31 იანვ. № 23).

თებერვლის 6 — მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის პირველ სხდომაში. სხდომას თავმჯდომარეობს გრ. ორბელიანი. სხდომა ღებულობს ილიას წინადადებას — მოხდეს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა-შეჯერება.

„პირდაპირ კითხვას შევუდგეთ და თითონ კითხვა დაგვანახებს — რა ფასი რომელ გამოცემას ექნება“ (ილია).

თებერვლის 13 — გაზეთ „დროების“ № 33-ში აქვეყნებს ვრცელ წერილს „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“, რომელშიც მკაცრად ილაშქრებს ქართულ სკოლებში საგნების რუსულ ენაზე სწავლების წინააღმდეგ. წერილი იბეჭდება რედაქციის შენიშვნით.

„იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს“ (თსკ, ტ. IV, გვ. 288).

— საღამოს 8—11 საათზე, „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის მეორე სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობს სათავადაზნაურო ბანკის შენობის დარბაზში, ილია კითხულობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს — „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“.

„ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, საზოგადოთ კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა, ჩინებული კილო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ჟღერა ისმის, მაგრამ, თითონ კითხვაში კი, იმას ხელოვნება აკლია. რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ვპოვებ მე ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძახებს:

„მაგას ნუ ბრძანებ მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია“.

რაღათაც დედული, რაღაც გრძნობისათვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების განმეორებაში. მაგრამ რა გინდა, რომ სულ ამ ბუნებით კილოს, ამ გულის ხმას მისდევს ბატ. ილია და ყველა ადგილებს ერთ და იგივე გვარად ამბობს?!“ (ი. მეუნარგია — დროება, 1881, 17 თებ. № 36).

თებერვლის მეორე ნახევარი — ქვეყნდება ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა „ივერიის“ 1880 წ. № 4 და 1881 წ. № 1 წიგნებზე (დ. აბდუშელიშვილი. „იმედი“, 1881, № 1), რომელშიც ავტორი არჩევს „ივერიის“ ნომრებში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებს და ზედმეტად მიიჩნევს ბუვიეს „იზას“ მსგავსი ნაწარმოებების ბეჭდვას.

თებერვლის 21 — ბათუმის სკოლის გახსნის დაგვიანების გამო ილია დეპეშას უგზავნის ბათუმში ალ. ნანეიშვილს და თხოვს აცნობოს სკოლის გახსნის თარიღი.

ამავე დღეს ალ. ნანეიშვილისაგან ღებულობს საპასუხო დეპეშას.

„... თქვენი ტელეგრამა ეს-ესაა მივიღე. პასუხს ტელეგრამითვე გაძლევთ და თან წერილსაც გწერთ იმ იმედით, რომ მანდ კიდევ მოგისწრებთ. სკოლა მზად არის, 25 ან 26-ს ამ თვისას წამოდით“ (საისტ. მოამბე, ტ. 37—38, 1978, გვ. 46-47).

თებერვლის 24 — მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის მესამე სხდომაში.

თებერვლის ბოლო — გაზეთი „ფალანგა“ (№ 13) აქვეყნებს ა. შვანის კარიკატურას დიალოგით — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობს ივ. მაჩაბელი, ილია კითხულობს ტექსტს.

მარტის 1 — გამოდის „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც ილია ბეჭდავს „აჩრდილის“ დასასრულს და „შინაურ მიმოხილვას“.

მარტის 18 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში.

მარტის მეორე ნახევარი — მიემგზავრება ბათუმში სკოლის გახსნაში მონაწილეობისათვის.

„... ბათომის სკოლაც გაიმართა ამ წლის 23 მარტსა, საზოგადოებამ გაგზავნა თავმჯდომარის ამხანაგი თავ. ილია გრ. ჭავჭავაძე დასასწრებლად სკოლის გამართვაზედ“ (დროება, 1881, 16 ივნ. № 123, გვ. 3).

„დიდის ამბით, დიდის იმედებით გახსნა ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ბათუმის სკოლა. მასწავლებელი პეტერბურღიდამ დაიბარეს, სკოლის გახსნის დროს იქ დაესწრო თვითონ ამ საზოგადოების თავს-მჯდომარის ამხანაგი...“ (დროება, 1881, 30 ოქტ. № 227).

„... როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე ჩავიდა ბათუმში, მაშინ ჩვენ შევუდექით ხოჯის ამორჩევას; ამისათვის მოვიწვიეთ ბეგები, რომლებსაც ჩვენ ვთხოვეთ საუკეთესო ხოჯა ამოერჩიათ თავისი საკუთარი შეხედულებით“ (ალ. ნანეიშვილი — საისტ. მოამბე. ტ. 37—38, 1978, გვ. 49).

მარტის ბოლო — ბათუმში სკოლის გახსნისა და სკოლასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარების შემდეგ ილია ბრუნდება თბილისში.

მარტის 28—29 — გაზეთი „დროება“ (№ 66, 67) აქვეყნებს ილიას მიერ შედგენილ „წესდებულება ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა“-ს. წესდებულება გამოდის ცალკე წიგნადაც (32 გვ.), ქართულ-რუსულ ენებზე.

მარტის 31 — წერილს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს პეტერბურგში და თხოვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საჭიროებისათვის წიგნებისა და სასწავლო ნივთების შესაძენად განაახლოს მოლაპარაკება პეტერბურგის წიგნის მაღაზიასთან (საისტ მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 372, 374-375).

აპრილის 1 — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება ჟურნალ „ივერიის“ მეოთხე ნომერი.

აპრილის 23 — განცხადება შეაქვს თბილისის საოლქო სასამართლოში ნაფიცი ვექილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 198-199).

აპრილის 26 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის კრებაში. კრებას მოახსენებს ბანკის წლიური (1880 წ.) მოქმედების ანგარიშს და 1881 წლის ხარჯთაღრიცხვას (კრების ანგარიში ქვეყნდება 28 და 29 აპრილს „დროების“ № 86, 87-ში; აგრეთვე: ჟურ. „იმედის“ № 5-ში და „კავკაზის“ № 92 და 94-ში).

აპრილის 27 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების კრებაში.

მაისის 1 — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

მაისის 2 — თბილისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით ილია თავისუფლდება ნაფიცი ვექილის მოვალეობისაგან (საისტ. მოამბე, ტ. 3. 1947, გვ. 199).

მაისის შუა რიცხვები — გაზეთი „ფალანგა“ (№ 20) ბეჭდავს კარიკატურას: ფრაკში გამოწყობილი ბანკის მმართველი ილია რევოლვერით ხელში ემუქრება — ილიას, რედაქტორს ქართულ ტანსაცმელში. „Г. Редактор, вы оскорбили меня, как управляющего Тифлисским Земельным Банком; прошу назначить время и оружие...“

მაისის ბოლო —ნატო გაბუნიას საბენეფისოდ ილია მუშაობს „კაცია-ადამიანიდან“ პიესა „მაჭანკლის“ გადმოკეთებაზე.

„არწრუნის თეატრში კვირას, 31 მაისს ნ. გაბუნიას ქალის სასარგებლოდ: ქართული დრამატიული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქმნება: „მაჭანკალი“ ორ-მოქმედებიანი კომედ., ი. ჭავჭავაძის „ქაცია ადამიანისაგან“ იმისგანვე გადმოკეთებული“ (დროება, 1881, 31 მაისი, № 111, გვ. 1).

«Вот уже лет десять как он перестал писать... Когда я прочел на афише имя кн. Ил. Чавчавадзе, сердце у меня забилось, как у влюбленнаго. Новое произведеніе Чавчавадзе!... Действующія лица очерчены мастерскою рукою и говорять на чисто грузинском языке, — вот главное достоинство пьесы. Таким чисто — грузинским языком пишут только Ил. Чавчавадзе, да Рафаэль Эристов» (ფალანგა, 1881, № 22, გვ. 7).

მაისის 31 — ესწრება კომედია „მაჭანკლის“ პირველ წარმოდგენას არწრუნის თეატრში.

ივნისის დასაწყისი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც ილია ადგილს უთმობს ნ. ხუდადოვის გამოხმაურებას „უსაფუძვლო წადილი“ (ილ. ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონის“ გამო“). წერილის დასასრული დაიბეჭდა „ივერიის“ № 7-ში.

ივნისის 8 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაში. კრებას მოახსენებს საზოგადოების მუშაობის ერთი წლის ანგარიშს.

ივნისის 16, 17, 18 — ილიას ხელმოწერით („დროების“ № 123, 124, 125-ში) ქვეყნდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმეთ წარმოება 1880 წლის 15 მაისიდამ 1881 წ. 15 მაისამდე“.

ივლისის 2 — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

ივლისი-აგვისტო — ილია იმყოფება საგურამოში.

აგვისტოს დასაწყისი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდებათ „ივერიის“ მერვე ნომერი.

სექტემბრის დასაწყისი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდებათ „ივერიის“ მეცხრე ნომერი. აქ ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

სექტემბერი — ილია მასპინძლობს თბილისში მიმდინარე მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეებს დ. ჩუბინაშვილს, ილ. ოქრომჭედლიშვილს, ალ. ცაგარელს და სხვ.

„ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა. განსაკუთრებით შესანიშნავი ეს არის, რომ არც ერთს სხვა ქალაქში რუსეთში, საცა კი ამ-გვარი კრება ყოფილა, ამოდენა ხალხი არ შეყრილა კრებაზედ, როგორც აქ, ტფილისში, შეიყარა“ (თსკ, ტ. V, გვ. 113).

სექტემბრის 17 — მონაწილეობს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის, აგრეთვე ილია ოქრომჭედლიშვილისა და ალექსანდრე ცაგარელის პატივსაცემად ვერეს ბაღში გამართულ ბანკეტში.

. ბანკეტზე ილია სიტყვით მიმართავს დავით ჩუბინაშვილს (ილიას სიტყვა ჩართულია „დროების“ 19 სექტემბრის № 195-ში დაბეჭდილ წერილში — „ბანკეტი პროფესორ ჩუბინოვის პატივ-საცემად“).

საღამოს 8 საათზე სტუმრების გამოთხოვებისას ილია სიტყვით ემშვიდობება დავით ჩუბინაშვილს.

ბანკეტის მონაწილენი სვამენ ილიას და აკაკი წერეთლის სადღეგრძელოებს.

სექტემბრის 19 — ესწრება არქეოლოგთა მეხუთე ყრილობის მონაწილეების პატივსაცემად გამართულ ქართულ წარმოდგენას და ბანკეტს.

„ხვალ არხეოლოგები გვყვანდა მოწვეულნი და მეც უნდა დავსწრებოდი. ეხლა, ეს ეს არის გადაჰსწყვიტეს, რომ ორშაბათს იქნება წვეულება, და რადგანაც დიდს მზადებაში ვართ, ველარ დავანებე თავი“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი მეუღლისადმი. თსკ, X, გვ. 363).

სექტემბრის 23-25 (?) — საგურამოში მასპინძლობს დავით ჩუბინაშვილს, ალექსანდრე ცაგარელს და სხვებს.

„პარასკევს საღამოზედ ოციოდე ყმაწვილები მანდ მოდიან ჩვენთან და თან ჩუბინოვი, ცაგარელი მოჰყავთ. აბა ხომ იცი, კარგად უნდა დავუხვდეთ...“.

„ხვალ, ესე იგი, შაბათს, ანნა მუსხელოვისა მოდის საგურამოს ჩემთან ერთად. ამას გარდა, მაკოც მოდის და პროფესორი ჩუბინოვი (იქვე, გვ. 364).

სექტემბრის 27 — მონაწილეობს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის არსებობის 50 წლისთავის იუბილეში.

სექტემბრის 28 — გაზეთი „შრომა“ (№ 9) აქვეყნებს ყლურწის იუმორისტულ ფელეტონს, რომელშიც ილია რედაქტორი უჩივის ილია

ბანკის მმართველს ბანკის დარბაზში „ჟეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის სხდომის მოწვევის აკრძალვის გამო.

სექტემბრის 29 — მონაწილეობს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის არსებობის 50 წლისთავისადმი გამართულ ბანკეტში.

ოქტომბრის დასაწყისი — გამოდის და ხელისმომწერლებს უგზავნიან „ივერიის“ მეათე ნომერი.

ოქტომბრის 22 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით წერილს უგზავნის მოსკოვში ილია ოქრომჭედლიშვილს ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოსაცემად ფულადი დახმარების შესახებ.

„... ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს ილია ოქრომჭედლიშვილს შეუწირავს ექვსი ათასი მანეთი „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ იმ პირობით, რომ ამ ფულით იბეჭდებოდეს ხოლმე ძველი, ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები“ (დროება, 1881, № 16 სექტ., № 192, გვ. 1).

ნოემბრის 19 — გაზეთ „დროების“ რედაქტორები ილია და სერგეი მესხი განცხადებით მიმართავენ კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობას, ილია ჭავჭავაძის მიერ გაზეთ „დროების“ რედაქტორის უფლებების სერგეი მესხისადმი გადაცემის შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 199).

გაზეთ „დროების“ № 242-ში ილიას და გრ. ყიფშიძის ხელმოწერით ქვეყნდება განცხადება, რომლითაც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა თხოვს სკოლის მასწავლებლებს, აცნობონ სკოლის სახელმძღვანელოებით მომარაგებისა და სხვა საკითხებზე.

ნოემბრის 23 — გამოდის „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, სადაც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ და სარედაქციო განცხადება 1882 წლისათვის „ივერიის“ გამოცემისა და ხელმოწერის პირობების შესახებ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობას აცნობებს თავის თანხმობას ილია ჭავჭავაძის მიერ „დროების“ რედაქტორის უფლებათა სერგეი მესხზე გადაცემის შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 199).

ნოემბრის 25 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი უურნალ „ივერიის“ თანარედაქტორად ამტკიცებს ივ. მაჩაბელს (საისტ. მოამბე, ტ. 9, 1956, გვ. 346).

დეკემბერი — გამოდის „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი, სადაც ბეჭდავს თავისეულ „შინაური მიმოხილვას“.

იანვრის 7 — ილიას პიესის „მაჭანკალის“ წარმოდგენა ქართული დრამატიული დასის არტისტების მონაწილეობით, ნ. თომაშვილის საბენეფისოდ, არწრუნის თეატრში.

იანვრის 12 — კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლობის უფროსი საცენზურო კომიტეტს აცნობებს, რომ თანახმაა ჟურნალ „ივერიის“ თანარედაქტორად, რედაქტორ ილია ჭავჭავაძის მოთხოვნის შესაბამისად, სერგეი მესხის ნაცვლად იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი ივანე მაჩაბელი.

იანვრის 20 — ესწრება დ. ერისთავის „სამშობლოს“ პირველ წარმოდგენას არწრუნის თეატრში.

იანვრის 27 — გაზეთი „შრომა“ (№ 4) აქვეყნებს ე. ბოსლეველის [მჭედლიძის] ჟურნალ „ივერიის“ 1881 წლის № 12-ის მიმოხილვას. რეცენზენტი ჟურნალში მოთავსებულ სხვა მასალებთან ერთად ეხება ილიას „შინაურ მიმოხილვას“.

თებერვლის 4 — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ პირველი ნომერი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. ნომერში ქვეყნდება ილიასეული „საპოლიტიკო მიმოხილვა“ და, ილიასა და ივ. მაჩაბლის ხელმოწერით, განცხადება ჟურნალის გამოცემისა და ხელისმოწერის პირობების შესახებ. ასეთივე განცხადებაა მოთავსებული ჟურნალ „იმედის“ პირველ ნომერში.

თებერვლის 10, 11, 12 — ილიას და ივ. მაჩაბლის ხელისმოწერით „დროების“ № 28—30-ში ქვეყნდება განცხადება: „გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს „ივერიის“ პირველი (იანვრის) წიგნი 1882 წლისა“.

თებერვლის 18 — გაზეთ „დროების“ № 35-ში ქვეყნდება ილიასა და სხვების ხელმოწერით „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 იანვარს 1882 წელსა“.

თებერვლის 23 — წერს წერილს „კატკოვის პასუხად“ და იმავე დღეს აგზავნის „დროების“ რედაქციაში მინაწერით: „სერგეი! თუ ჯერ წავიკითხავთ ერთად და მერე დაბეჭდამ კარგს იზამ. ამაღამ შევიყარნეთ და წავიკითხოთ. მომწერე თუ თანახმა იქნები“ (მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია 1984, № 3, გვ. 34).

წერილს იმავე საღამოს კითხულობენ.

წერილი გამოწვეული იყო შემდეგით: 1882 წ. 20 იანვარს თბილისში წარმოადგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“. წარმოდგენამ უდიდესი აღტაცება გამოიწვია მაყურებელში. როდესაც სცენაზე ქართული დროშა შემოიტანეს, მაყურებელმა ფეხზე წამოდგომით ოვაცია გამართა. ამ ფაქტის გამო კატკოვის გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ 13 თებერვლის № 44-ში აქვეყნებს ცინიკურ და შეურაცხმყოფელ წერილს („Из Тифлиса 3 февраля“. С. Р-ის ხელმოწერით) „... თავი დაანებეთ ქართველებმა ბოდვას რაღაც წარსულზე, ხოლო თქვენი დროშა გირჩევთ ცირკს მიჰყიდოთ, იქ ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ თქვენ დროშას, ვიდრე თეატრშიო“ (პ. ინგოროყვა — ი. ჭავჭავაძე. თსკ, ტ. I, გვ. XIX). „მოსკოვსკი ვედომოსტის“ ამ წერილმა დიდად აღაშფოთა ილია და პასუხმაც არ დააყოვნა.

თებერვლის 24 — „დროების“ № 40-ში ქვეყნდება ილიას წერილი „კატკოვის პასუხად“.

თებერვლის 25, 26, 27 — ილია მადლობისა და თანაგრძნობის დეპეშებს ღებულობს „დროების“ № 40-ში გამოქვეყნებული წერილის („კატკოვის პასუხად“) გამო.

„დიდის სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ ჩვენის გაზეთის № 40-ში დაბეჭდილის სტატიის გამო, — „კატკოვის პასუხად“ — ავტორს ამ სტატიისას თ. ილ. გრ. ჭავჭავაძეს რამდენიმე ტელეგრამმა მოუვიდა, რომელშიაც თანაგრძნობას და მადლობას უცხადებენ ამ სტატიაში გამოთქმული აზრების გამო.

ამ გვარი თანაგრძნობა გამამხნევებელი და სულის-ჩამდგმელია არა თუ მარტო მწერლისა, არამედ თვით იმ საქმისა, რომელსაც ის თავის კალმით ემსახურება“. (დროება, 1882, 28 თებ. № 43, გვ. 2).

თებერვლის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „პოლიტიკური მიმოხილვა“.

მარტის 9 — გაზეთი „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ (№ 66) რედაქციის შენიშვნებით ბეჭდავს ილიას წერილის „კატკოვის პასუხად“ თარგმანს.

„ძმაო ილიკო! „მოსკოვის ტელეგრაფში“ წავიკითხე შენი წერილი კატკოვის დანოსზედ, წერილი მეტად მშვენიერი, ჭეშმარიტი, ენერგიული და ზომიერი... ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწია, რომ აქ, არათუ სომხები, ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცებული კმაყოფილება შენ წერილზედ“ (ი. ოქრომჭედლიშვილი — მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 1984, № 3, გვ. 36).

„გუშინ და დღეს მოსკოველ გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, თუ რა საზიზღარი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთში ბ-ნ კატკოვის და მისი კორესპონდენტის ბეზღაობას.

„მოსკოვის ტელეგრაფს“ გადაუბეჭდია ვრცლად ბ-ნი ილია ჭავჭავაძის კატკოვისადმი პასუხი, რომლის შესახებ ამბობს სხვათა შორის:

„კატკოვის გაზეთის ბეზღაობა არის ნამდვილი ბეზღაობა; კატკოვს არ აკმაყოფილებს რომელიმე საბრალო გიმნაზისტის დაბეზღება... ის ეძებს ხალხების არეულობას, განდგომას, ბუნტს; ეს არის იმისი ნამდვილი ასპარეზი... ხან რუსეთის ერთ კუთხეს მივარდება და პოლშელების განდგომის ამბავს განაახლებს, ხან სახელმწიფოის მეორე კუთხეს დაეძგერება და ქართულს და სომხურს თეატრების არსებობაში ეძებს განდგომისა და ბუნტის ნიშანს... მართალია, კატკოვის მოქმედება ხანდის-ხან უნაყოფო არ არი; ის სთესავს უკმაყოფილებას, სპობს ყოველგვარ საშუალებას, საზოგადოების დამშვიდებისას — რადგან იცის რომ თუ საზოგადოება დამშვიდდა მაშინ თითონ იმას, კატკოვს, ბოლო მოეღება და არ ექნება ის ძალა, რომლითაც ეხლა ლამის დაგვახჩოს.

მაგრამ ნახეთ, რა საზოგადო ზიზღს აღძრავს მრთელი კატკოვის უსინდისო მოქმედება; თფილისის გაზეთებმა ერთის ხმით უპასუხეს ბ-ნს კატკოვს და გამოააშკარავეს მისი საზიზღარი საქციელი“ (დროება, 1882, 16 მარტი, № 55).

მარტის პირველი ნახევარი — გამოდის ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემა, რომელშიც ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: „ჩიტი“, „სიმღერა ამხანაგებისა“ (დედამ რომ შვილი გაზარდოს), ნაწყვეტები პოემებიდან: „აჩრდილი“ (მყინვარი), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (გლეხის ნაამბობი). მოთხრობებიდან: „კაცია-ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“.

მარტის ბოლო დეკადა — წერილს იღებს (17 მარტის თარიღით) ილია ოქრომჭედლიშვილისაგან, მოსკოვიდან. ადრესატი ატყობინებს, რომ მის სახელზე გამოგზავნა 707 მანეთი, აქედან 700 მანეთი თეატრისათვის, 7 მანეთი ჟურნალ „ივერიის“ ხელმოწერისათვის.

„გრიგოლ მელვინოვზედ გამოვგზავნე ფულები. იმისი ბინა თამამშოვის ქარვასლაში არის. თუ არ დაგზარდება, იმასთან შეიარე და მიიღებ 707 მანეთს...“ (შ. გოზალიშვილი. ილია ოქრომჭედლიშვილი. 1976. გვ. 109).

მარტის 21 — გაზეთი „დროება“ (№ 60) აქვეყნებს თბილისის — თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განცხადებას ბანკის საზოგადო კრების მოწვევისა და კრების დღის წესრიგის შესახებ. კრების დღის წესრიგის ერთ-ერთი

საკითხია: „აღმორჩევა ბანკის გამგეობის თავსმჯდომარისა ახლანდელის თავსმჯდომარის თ. ჭავჭავაძის მაგიერად, რომელიც რიგით უნდა გამოვიდეს გამგეობიდამ“ (იგივე განცხადება ქვეყნდება „დროების“ №№ 67, 73, 79, 84-ში).

მარტის ბოლო (?) — გამოდის „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება მისეული „შინაური მიმოხილვა“.

— ჟურნალი „იმედი“ (№ 3) აქვეყნებს სტ. ჭრელაშვილის წერილს — „დამტვრეული ოცნებანი“, რომელშიც ნაჩვენებია ილიას უდიდესი როლი 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში და მისი იდეური ევოლუცია შემდგომ წლებში.

აპრილის 20 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ილიასა და გრ. ყიფშიძის ხელმოწერით წერილს უგზავნის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს ალ. ჰიჰინაძეს მასწავლებლის დანიშვნის თაობაზე.

„თქვენი წერილის გამო, რომელიც მოწერილია... მმართველობის სახელზე და შეეხებოდა მასწავლებლის დანიშვნას თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში. მმართველობამ ყურადღებით მოისმინა, როგორც თქვენი ქაღალდი (წერილი), ისე თქვენი სკოლის სამზრუნველოს საბჭოს შეხედულება აღნიშნულ საკითხზე და შეუდგა სჯას ამ საგნის თაობაზე...“ („ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, № 90, გვ. 3).

აპრილის 28 — მონაწილეობს თავადაზნაურთა სკოლის კომიტეტის სხდომაში.

აპრილის 29 — თავმჯდომარეობს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის კრების პირველ სხდომას. სხდომაზე ბანკის 1881 წლის მოქმედების ანგარიშს კითხულობს ილია.

მაისის 1 — გრძელდება სათავადაზნაურო ბანკის კრება. კრება იხილავს ვინმე ტატიშვილის საჩივარს ბანკის თავმჯდომარის — ილიას მიმართ. ილიას ცილს სწამებენ ბიუროკრატობაში. სხდომაზე სიტყვით გამოდის ილია და საბუთებით ფარდას ხდის ყოველგვარ მონაჭორს.

„მაგრამ ბ. ჭავჭავაძემ დაარღვია საბუთებით ყოველ-გვარი ცილის წამება, რომელსაც იმას უგონებდნენ... ბოლოს საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ საზოგადოებამ საერთოს ტაშის ცემით ერთ-ხმად აღირჩია ის მომავალი წლებისათვის ბანკის მმართველად“ (დროება, 1882, 6 მაისი, № 92, გვ. 4).

მაისის 3 — სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ამომრჩეველთა დაჟინებითი მოთხოვნით ილიას ერთხმად ირჩევან ბანკის თავმჯდომარედ. ილია ამის გამო მადლობას უხდის საზოგადოებას (კრების ანგარიშე-

ბი ქვეყნდება გაზეთ „დროების“ №№ 89, 91, 92, 93-ში. ბანკის თავმჯდომარედ ილიას უკენჭოდ არჩევას გამოეხმაურა გაზ. „კავკაზი“ № 116, 117 და „გუსლი“ №№ 19, 20).

მაისის 6 — გაზეთ „დროების“ № 93-ში (დღიური) ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს გუბერნიის მარშლის კანდიდატობაზე „ასახელებენ თ. ილ. გრ. ჭავჭავაძეს, [რომელიც უარს აცხადებს]...“

მაისის 7, 8, 9, 11 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების საქმიანობაში. კრება იხილავს სასკოლო გადასახადის საკითხს. კრებაზე ილია გამოდის სიტყვით და აყენებს წინადადებას სასკოლო გადასახადის ოდენობა განისაზღვროს თავადაზნაურთა კატეგორიებად დაყოფის მიხედვით (კრების სხდომათა დღიური ქვეყნდება „დროების“ №№ 94,95, 96, 97-ში).

მაისის შუა რიცხვები — გამოდის „ივერიის“ მეოთხე და მეხუთე (აპრილისა და მაისის) გაერთიანებული ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

ამავე ნომერში ილია ბეჭდავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ხუთ გამოუქვეყნებელ ლექსს: „ძია გრ-ს“, „ღამე ყაბახზედ“, „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ და „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“. („ივერიის“ № 4—5-ის კრიტიკული მიმოხილვა ბოსლეველისა [ე. მჭედლიძის] ქვეყნდება გაზ. „შრომის“ № 41 და 44-ში).

მაისის 29 — სკოლის კომიტეტის წევრებთან და თანამდებობის პირებთან ერთად ილია ესწრება უკანასკნელ გამოცდას თბილისის სააზნაურო სკოლაში.

„ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა:

„შაბათს, მაისის 29-ს, იყო უკანასკნელი ეგზამენი ტფილისის სააზნაურო სკოლაში. სკოლის კომიტეტის წევრთა გარდა, ამ დღეს ეგზამენს დაესწრნენ თ. ილია ჭავჭავაძე, თ. ალექსანდრე ორბელიანი, მაზრის მარშალი ლ. მაღალაშვილი, ბ-ნი ბარათაშვილი და სხვ...“.

„ეგზამენის შემდეგ მათ დახედეს ბავშვებს, როდესაც ესენი სადილს სჭამდნენ... აქ ერთ გარემოებას მიაქციეს ყურადღება ღვინის უქონლობას სუფრაზედ. — ძალიან კარგი იქმნებაო ბრძანა თ. ალ. ორბელიანმა, რომ ამ ბავშვებს ღვინო ჩვენ უგზავნოთ ხოლმე...

— აი, ბატონო, შევგროვდეთ ერთი ხუთმეტიოდ კაცი, — ბრძანა ილიამ და დავაწესოთ, რომ თვითეულმა ჩვენგანმა წელიწადში ოროლი კოკა ღვინო და თხუთმეტ-თხუთმეტი კოდი პური შესწიროს ხოლმე ამ სკოლას...“ (დროება, 1882, 2 ივნ. № 112).

ივნისის 6 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებას. კრება ისმენს საზოგადოების მოქმედების ანგარიშს 1881 წ. 15 მაისიდან 1882 წ. 15 მაისამდე. საზოგადოების თავმჯდომარედ ირჩევენ ივანე ბაგრატიონ მუხრანსკის. ილია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბათუმის სკოლის საკითხის განხილვაში (საზოგადოების კრების ვრცელი ანგარიში ქვეყნდება „დროების“ №№ 119, 120, 121, 124, 126, 127-ში).

ივნისის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

ივნისის 30 — გაზეთი „შრომა“ (№ 25) აქვეყნებს არაგველის [დ. კეზელის] წერილს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საქმეებში ილია ჭავჭავაძის ჩარევის გამო სათაურით — „ვერა ხედავთ ბატ. ილია ჭავჭავაძეს?“.

ივლისის 6 — თბილისის სასამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია „დროების“ რედაქტორის ს. მესხის, ყოფილი რედაქტორის ი. ჭავჭავაძის და კორესპონდენციის ავტორის ივ. ჭ. აბაშიძის საქმე ბ. სერჟპუტოვსკის საჩივრის გამო. საქმის განხილვა გადაიდო.

—„ გუშინ, სამშაბათს, ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნული იყო ჩვენი გაზეთის რედაქტორის ს. ს. მესხის, ადრინდელ რედაქტორის ი. ჭავჭავაძისა...“ (დროება, 1882, 7 ივლ., № 139, გვ. 1).

ივლისის 14 — გაზეთი „შრომა“ (№ 27) ბეჭდავს ბოსლეველის [ე. მჭედლიძის] წერილს „იმედი“ და მისი კრიტიკოს-პუბლიცისტები, რომელშიც ეკამათება სტ. ჭრელაშვილს და მოჰყავს „იმედის“ შეხედულება ილია ჭავჭავაძის როლის შესახებ ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ივლისის 25 — ილიას ხელმოწერით ქვეყნდება (დროება, 1882, № 153) „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა 1 ივლისს 1882 წელსა“.

აგვისტოს დასაწყისი — გამოდის „ივერიის“ მეშვიდე და მერვე (ივლისის და აგვისტოს) გაერთიანებული ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

აგვისტოს 17 — აკაკი წერეთელი მის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე თელავში წარმოთქვამს ილიას სადღეგრძელოს.

„ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი თ. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც დარწმუნებული ვარ ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნებით იგონებს და რომლის სადღეგრძე-

ლოსაც ახლა მე გიახლები, იმედი შაქვს, თქვენივე თანხმობით“ (დროება, 1882, 2 სექტ. № 183).

სექტემბრის დასაწყისი — ცალკე წიგნად გამოდის „დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა“. გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე.

შინაარსი: დედა და შვილი. — ხმა სამარიდამ. — ქართვლის დედას. — „მესმის, მესმის სანატრელი...“. — პოეტი. — „უსულდგმულო ცხოვრება...“. — გუთნის დედა. — გაზაფხული. — ბედნიერი ერი. — „ჩემო მკვლელო...“. — პარიჟი. — მტკვრის პირას. — „ჩემო ქალამო, ჩემო კარგო...“. — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან...“ — მუშა. — ლოცვა. — ჩ... სას.—კ. ბ. მ-სას—„ვიხილე სატრფო“... — თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

„დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში.

დედა და შვილი.

და

რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა“ (დროება, 1882, 3 სექტ. № 184 და ა. შ.).

სექტემბრის დასაწყისი — გამოდის „ივერიის“ მეცხრე ნომერი. ჟურნალში ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც ილია იძლევა აკაკი წერეთლის მოღვაწეობის შეფასებას და მიესალმება სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავის გამო.

„... ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოც-და-ხუთს წელიწადში ატკბობდა ქართვლის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართვლის გულს. ქართვლისა და საქართველოს სიდვარულისათვის. გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის“ (თსკ, ტ. V, გვ. 186-187)

სექტემბრის 6 — ილიასა და გრ. ყიფშიძის ხელმოწერით სასკოლო-სასწავლო პროგრამების საკითხებზე საპასუხო წერილი ეგზავნება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს ალ. ჭიჭინაძეს („ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, № 90).

სექტემბრის შუა რიცხვები — ქვეყნდება ლექსები: ნანა. — ელეგია. — ჩემო კარგო ქვეყანავ და გლეხური სიმღერები ილ. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანი — წგ-ში: სალამური ანუ ლექსთა კრება № 1, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან.

ილია ოქრომჭედლიშვილისაგან, ვენიდან ღებულობს საპასუხო წერილს (10 სექტ თარიღით.) წერილი ეხება ილუსტრაციებიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საკითხს.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციით გაბედნიერება მეტისმეტად მიამა, ასე რომ პასუხის დაბრკოლების ერთი მიზეზი ეს გახლდა: მე მინდოდა ჩემი მხრივ შევსწევნოდი ამ საქმეს და რადგანაც ვიცოდი, რომ მოსკოვის გარე ხალხის სამინისტრო არხივში იყო ერთი ძველი ეგზემპლიარი „ვეფხისტყაოსნისა“ მინიატურებით, მე ამ არხივის გაჩხრეკას შევუდეგ, რომელმაც ორი თვე მოითხოვა. თუმცა ბევრი ისტორიული მასალები ვიპოვნე... ვეფხისტყაოსნის მინიატურები კი არ ფერში გამოსადეგი არ არის...“ (შ. გოზალიშვილი. ილია ოქრომჭედლიშვილი. 1976, გვ. 88).

სექტემბრის 26 — ქართული დრამატული დასი არწრუნის თეატრში დგამს ილიას დრამატულ პოემას „დედა და შვილი“. დედას ასრულებს ნ. გაბუნია, შვილს — კ. მესხი.

„... კვირას 26 სექტემბერს ქართული დრამატიული დასისაგან იქნება წარმოდგენილი პირველად „დედა და შვილი, ეპიზოდი დავით-აღმაშენებლის დროიდგან, ერთ სურათში, ლექსად, თ. ილ. ჭავჭავაძისა“ (დროება, 1882, 24 სექტ., № 200, გვ. 1).

ოქტომბერი — ჟურნალი „იმედი“ (№ 9—10) აქვეყნებს ნ. ხუდადოვის კრიტიკულ წერილს „ივერიის“ ეკონომისტი (ივერია, 1882, № 7—8, „შინაური მიმოხილვა“).

ოქტომბრის შუა რიცხვები — გამოდის „ივერიის“ მეათე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

ოქტომბრის 28 — თბილისის სასამართლო პალატა იხილავს „დროების“ რედაქტორის ს. მესხის, ყოფილი რედაქტორის ი. ჭავჭავაძის და კორესპონდენტის ივ. ქ. აბაშიძის საქმეს სერჟპუტოვსკის სახივრის გამო. სასამართლო პალატის განაჩენით ს. მესხს აჯარიმებენ 10 თუმნით, ილიას 25 მანეთით, კორესპონდენციის ავტორ ი. აბაშიძეს გადაეწყვიტა ერთი თვით პატიმრობა. (დროება, 1882, № 224, გვ. 1).

ნოემბერი — გამოდის „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ და ილიასა და ივ. მაჩაბლის ხელმოწერით „განცხადება ჟურნალის „ივერიის“ გამოცემაზედ 1883 წელს“.

ნოემბრის 21 — მონაწილეობს ქართული მეცნიერული ტერმინების შემმუშავებელი კომისიის კრების საქმიანობაში (დროება, 1882, 25 ნოემბ., № 246, გვ. 2; შრომა, 1882, № 46).

დეკემბერი—გამოდის „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა. (ბ-ნ მეისნერის პროექტი)“.

წერილში ილია მოიხსენიებს კ. მარქსს, როგორც გამოჩენილ მეცნიერს და მოჰყავს ციტატა „კაპიტალიდან“.

დეკემბრის 19 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით წერილს უგზავნის ლევან მჭედლიშვილს ბათუმში და მადლობას უხდის ბათუმის სკოლისათვის დახმარების აღმოჩენის განზრახვისათვის.

„... მმართველობას მოუვიდა ცნობა, რომ თქვენ გსურთ შეეწიოთ, რითაც კი შესაძლებელი იქნება თქვენთვის, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლას ბათუმში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მმართველობა დიდის მადლობით მიიღებს ყოველ შემწეობას, რითაც კი თქვენ აღმოუჩენთ მის სკოლას“ (ს. ხუციშვილი. მანათობელი. 1980. გვ. 74).

დეკემბრის ბოლო — იწყებს პოემა „განდეგილის“ წერას. პოემის პირველ თავს კითხულობს ივანე მაჩაბლის ოჯახში (?).

1883

იანვარი — აგრძელებს პოემა „განდეგილის“ წერას.

„ჩვენი ნიჭიერი პოეტი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ამზადებს ახალს პოემას მთიელთ ლეგენდიდგან, რომელის წარმოებაც ხდება ყინვან წვერზედ, ყინულებით შემოზღუდულს გამოქვაბულს კლდეში, სადაც მომქმედ პირად არის გამოყვანილი წმიდა მამა და მეცხვარე ქალი“ (დროება, 1883, 9 იანვ. № 5, გვ. 2).

იანვრის 9 — გაზეთ „დროების“ № 5-ში ქვეყნდება ვ. ორბელიანის ლექსი „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ თ. ი. ჭავჭავაძის ლექსის გამო: „ჩემო კარგო ქვეყანავ; რაზედ მოგიწყენია?“.

იანვრის 12 — გაზეთ „შრომის“ № 2-ში ილიასა და ივანე მაჩაბლის ხელმოწერით ქვეყნდება განცხადება „ჟურნალ „ივერიის“ გამოცემაზედ 1883 წელსა“.

იანვრის 20 — გერმანულ ჟურნალში არ. ლაისტი აქვეყნებს ქართული ლიტერატურის მიმოხილვას სათაურით „მივიწყებული ლიტერატურა“.

იანვრის ბოლო — გამოდის „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“. აქვე დასტამბულია არტურ ლაისტის წერილის „მივიწყებული ლიტერატურის“ თარგმანი გერმანული ჟურნალიდან („ჩვენისა და უცხო ქვეყნის ლიტერატურის ჟურნალი“). იგივე წერილი იბეჭდება „დროების“ № 28-ში. არ. ლაისტის წერილში ილია დახასიათებულია როგორც პირველი პოეტი.

„პირველი ადგილი პოეტებში უჭირავს ადრევე დასახელებულს თ. ილია ჭავჭავაძეს. შესანიშნავნი მისნი თხზულებანი არიან: „დიმიტრი თავ-დადებული“ და „აჩრდილი“. მის რომანებს „კაცია ადამიანს“ და „გლახის ნაამბობს“ ყველა რომანებზედ მეტად კითხულობენ ხალხში. ამ ორს რომანს ამშვენებს იუმორიული კილო, რომელიც ძველის მცხოვრებლების ერთს თავისებათაგანს შეადგენს“ (დროება, 1883, 9, თებ. № 28, გვ. 3).

თებერვლის 6 — ამთავრებს პოემა „განდეგილს“.

თებერვლის 8 — დავით სარაჯიშვილის სახლში, ქართული მწერლობის მოყვარულთა წინაშე, კითხულობს პოემა „განდეგილს“.

„ერთს კერძო სახლში, ამ სახლის პატრონის მოწვევით, შეიყარნენ გუშინ, 8 თებერვალს, ოცამდინ თანამგრძნობნი და მოყვარულნი ქართულის მწერლობისა და აქ თ. ილ. გ. ჭავჭავაძემ წაიკითხა თავის ახალი პოემა „განდეგილი“. ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ მყოფზედ ჩვენი პოეტის ახალმა ნაწარმოებმა. სიამოვნებით დავრწმუნდით, რომ „ყაჩაღის ცხოვრებისა“ და „აჩრდილის“ ავტორს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ერთობ იშვიათად ემუსაიფება მუზას, არც ძველი ნიჭი დაჰკლებია, არც ძველი ხელოვნება და არც საზოგადოდ ლექსთა-თხზვის მოხერხება; დავრწმუნდით, რომ თ. ილ. ჭავჭავაძე ჩვენს პოეზიას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია და შემდეგშიაც უნდა მოველოდეთ ამ გვარ იმის კალმის ნაწარმოებსა...

პოემა „განდეგილი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ჩვენს პოეტიურს ლიტერატურაში, უეჭველია, საპატიო ადგილს დაიჭერს და რომელიც ავტორის სახელს რამდენიმე ახალ სხივს მიუმატებს...“ (დროება, 1883, 10 თებ. № 29).

თებერვლის 22 — ილიას ხელმოწერით „დროების“ № 39-ში ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 იანვარს 1883 წელსა“.

თებერვლის 23 — არწრუნის თეატრში ნ. გაბუნიას ბენეფისზე წარმოადგინეს ილიას „მაჭანკალი“ და „დედა და შვილი“.

თებერვლის 28 — ნიკო ნიკოლაძეს, მისი თხოვნის თანახმად, საპასუხო წერილთან ერთად პეტერბურგში უგზავნის „გლეხთა განთავისუფლების დროინდელ სცენების“ და „კაცია ადამიანის“ გამოცემებს რუსულ ჟურნალებში დასაბეჭდად.

„აქ ხეირიანი მთარგმნელი არავინ მოიძებნება. ილია ბახტაძე აქ არ არის. მგონია პეტერბურგშია. თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება, ჩვენი მწერლების ნაწერები რუსულს ჟურნალებში დაიბეჭდოს, მაგრამ ჭირი ეს არის, მთარგმნელი ვინ იქნება. კიდევ თქვენ თუ იშოვით მანდ, თორემ აქ არავინ მეგულება. აქ თხორეევსკისათვის მინდოდა მეთარგმნინებინა ერთი რამ, მაგრამ მითხრეს ბევრს ფულს მოითხოვსო და მოვერიდეთ... არ იქნება მეტი, რომ თქვენ თითონ დაგვისახელოთ, რა და რა ლექსთ-თხზულება უფრო შესაფერი იქნება დასაბეჭდად“ (თსკ, ტ. X, გვ. 47).

მარტი — გაზეთი „კავკაზი“ (№№ 60, 62) აქვეყნებს ვლ. მიქელაძის კრიტიკულ ნარკვევს ქართულ ლიტერატურაზე, რომელშიც განხილულია ილიასეული „ცხოვრება და კანონი“.

მარტის დასაწყისი—გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება პოემა „განდეგილი“ და „შინაური მიმოხილვა“.

„გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს მეორე (თებერვლის) წიგნი „ივერიისა“, 1883 წ...“ (დროება, 1883, 9 მარტი, № 50, გვ. 1).

— „დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი
და რამდენიმე ლექსი
თ. ილია ჭავჭავაძისა“ (დროება, 1883, 1 მარტი, № 43 და შემდეგ ნომრებში).

— „ცალკე წიგნად გამოდის „განდეგილი“. ლეგენდა. პოემა ილია ჭავჭავაძისა“. ე. ხელაძის სტ., 1883, 25 გვ.

მარტის 6 — გაზეთ „კავკაზში (№ 53) ი. მეუნარგია აქვეყნებს პირველ რეცენზიას „განდეგილი“ პოემა ი. ჭავჭავაძისა“.

მარტის 9—13 — გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება განცხადებები ქართული ლიტერატურული საღამოს გამართვის შესახებ, სადაც წაკითხულ იქნება ერთი სცენა „კაცია-ადამიანიდან“. (დროება, 1883, 9 მარტი, № 50, გვ. 1 და შემდეგი ნომრები).

მარტის 17— ზაქარია ჭიჭინაძე პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძეს წერილით „ატყობინებს, რომ ს. მესხის ავადმყოფობის გამო „დროება“

შეიძლება ი. ჭავჭავაძემ შეიყიდოს...“ (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. 1954, ნაწ. 1, გვ. 139; „შრომა“, 1883, № 17).

მარტის 18 — ილია მონაწილეობს ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობის სხდომის საქმიანობაში.

„ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობის სხდომა შესდგა, რომელზედაც დაესწრნენ: თავს-მჯდომარე თ. ილია ჭავჭავაძე, მმართველობის წევრნი; თ. დავით ავალოვი, ბ. ბ. ნ. ქანანოვი და კონსტანტინე ყიფიანი, რა სხდომაზედ გადასწყვიტეს შემდეგი: 1) თავმსჯდომარედ დრამატიული საზოგადოებისას აღრჩეულ იქმნა თ. დავით ივანეს-ძე ავალოვი; 2). შედგენა ახალის დრამატიულის დასისა და გამგეობა საერთოდ ქართული თეატრის საქმისა, მიიღოს მმართველობამ დრამატიული საზოგადოებისამ; 3). შედგენა დასისა და საერთოდ გამგეობა ქართული თეატრისა და ყოველ წარმოდგენებისა მიენდოს თ. ილია ჭავჭავაძეს...“ (კ. ყიფიანი — „დროება“, 1883, 20 სექტ., № 185, გვ. 3).

მარტის 20 — იმართება ლიტერატურული საღამო არწრუნის თეატრში, სადაც აჩვენებენ ცოცხალ სურათებს „ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „განდეგილიდან“.

— „დროების“ № 60-ში ქვეყნდება დავით სოსლანის [ქეზელის] „საკვირაო მასლაათი. კისრული“, რომელშიც გარჩეულია ილიას პოემა „განდეგილი“. წერილის ავტორი იწუნებს პოემას როგორც შინაარსით, ასევე ფორმით.

„პოემა „განდეგილი“ ჩემის აზრით არის ყველაზედ უსუსტესი, რაც კი ბ. ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა; უსუსტესია-მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით“.

მარტის 22 — ილიას ირჩევენ გრიგოლ ორბელიანის დამკრძალავ კომისიაში. კომისიამ წირვა დანიშნა ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვის ადგილად შეარჩია ჭაშვეთის ეკლესია. თუმცა განსვენებულის სურვილი იყო კუმისში დაკრძალვა.

მარტის 23 — „დროების“ № 62-ში ქვეყნდება სარედაქციო წერილი — „ჩვენი თეატრის მდგომარეობა“, სადაც გამოთქმულია იმედი, რომ „ეხლა როდესაც ქართული თეატრის მოთავეობას ჰკისრულობს ბ. ილ .ჭავჭავაძე, იმედი გვაქვს მართებულობას გამოსთხოვს თეატრისათვის სუბსიდიას...“.

მარტის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მესამე ნომერი.

მარტის 23—24 — გაზეთ „დროების“ №№ 62, 63-ში დრამატიული საზოგადოების გამგეობა აქვეყნებს განცხადებას, რომ მედიცი

დასის შედგენის მიზნით მსურველთა ჩაწერას აწარმოებს ილია ჭავჭავაძე.

„ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობა ამით აცხადებს რომ, შედგენა დრამატიულის დასისა და გამგეობა ტფილისში ქართულის თეატრის საქმისა მიიღო თვითონ მართველობამ, და ამისათვის მოიწვევს მათ, ვისაც ჰსურს შემოსვლა ქართულს თეატრის დასში, თავისის პირობებით მიჰმართონ ტფილისს, ან მმართველობის მიერ მინდობილ პირს, თავ. ილია გრიგოლის-ძეს ჭავჭავაძეს, ან მართველობის სეკრეტარს კონსტანტინე დიმიტრის-ძეს ყიფიანს".

იგივე განცხადება ქვეყნდება გაზეთ „შრომის" № 12, 13, 14-ში.

მარტის 26 — სიტყვას წარმოთქვამს გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე.

„შენის ქვეყნის შვილი ქართველი, რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები" (დროება, 1883, 27 მარტი, № 65, გვ. 3; „შრომა", № 13).

აპრილი — ქართული დრამატიული დასი ილიას რეჟისორობით წარმოსადგენად ამზადებს ჯიოკომეტის 5 მოქმ. დრამას „დამნაშავის ოჯახი".

აპრილის 17 — გაზეთ „დროების" № 78-ში ქვეყნდება განცხადება, რომ აპრილის 24-ს საზაფხულო თეატრში „თ-ის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წარმოდგენილი იქნება „დამნაშავის ოჯახი" დრამა 5 მოქმ. ჯიოკომეტისა".

ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობაში მომხდარი განხეთქილების გამო 24 აპრილისათვის გამოცხადებული წარმოდგენა არ შედგა.

აპრილის მეორე ნახევარი — ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობაში ხდება განხეთქილება. ილია უარს ამბობს წარმოდგენების გამართვაზე და დრამატიული საზოგადოების ხელმძღვანელობაზე.

„როგორც ყველა გაიგებდა, ჩვენი არტისტების გუნდი ორად გაიყო და ეს იმედს გვაძლევდა, რომ ორივე მხარე ახალ არტისტებს მოიზიდავდა, ყველა სიუჟეტისთვის ოროლი პირი მაინც შეგვექნებოდა.

სამწუხაროდ ერთმა მხარემ, რომელიც თავ. ილია ჭავჭავაძის თაოსნობას აცხადებდა, თავი დაანება წარმოდგენებს და მარტო მეორე დასი მართავს" (დროება, 1883, 11 მაისი, № 86, გვ. 2).

„ეხლა თვით აღნიშნულ საზოგადოების მმართველობისაგან არ უნდა ველოდებოდეთ „დრამატიული დასის“ შედგენას და წარმოდგენების გამართვას, რადგანაც ბ. ი. ჭ-ძემ უარი სთქვა მმართველობის შინდობილობაზე“ (დროება, 1883, 24 სექტ. № 189, გვ. 2).

აპრილის 24 — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ილია რჩევას აძლევს სოფელ ვეჯინის სკოლის მასწავლებელ ნ. ნათიძეს რუსული ენის სწავლების საკითხებზე.

„24 აპრილს მე გახლდით თქვენთან და გკითხეთ რჩევა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიების ხმარება შეიძლებოდა ჩვენს სასოფლო სკოლის მასწავლებლებთაგან რუსული ენის შემცირებაზე სოფლის სკოლებში“ (ტრ. ხუნდაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1960. გვ. 40).

მაისის 1, 2, 3, 4 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების საქმიანობაში.

„მე პირველად ვნახე ბ. ილ. ჭავჭავაძე საზოგადოებაში ნალაპარაკევი და მაშინვე დავრწმუნდი, რომ ის მთელ ყრილობას სძალამდა ჭკუით და მოხერხებითაც, მაგრამ ნუ გაგვიწყრება პატივცემული ილია, რომ ჩვენი აზრი პირ-და-პირ გამოვსთქვათ. ჩვენი აზრიც ეს გახლავთ, რომ ის თავის ძალით ბოროტ-მოქმედებდა და საზოგადო სიმართლეს არ ადგა. ეტყობა ბ. ჭავჭავაძეს ზედ მიწევნით შეუსწავლია ის ნაწილი ძველი იურისპრუდენციისა, რომელიც „აბრუნდი“ და „დაბრუნდის“ შეეხება. ეს ოთხი დღე ბ. ილია ჭავჭავაძე სულ კალმახივით ცურავდა და თითქოს ას ორმოც-და-ათ კაცში ერთი ისეთი მოხელავე ვერ გამოჩნდა, რომ ეს კალმახი დაეჭირა“ (დ. სოსლანი [კეზელი], საკვირაო მასლაათი. კისრული. — დროება, 1883, 8 მაისი, № 85, გვ. 3).

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების შესახებ „დროების“ № 89-ში ქვეყნდება დ. სოსლანის წერილი „თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის ყრილობა“.

მაისის 11 — გაზეთი „შრომა“ № 18 აქვეყნებს ბოსლეველის [ე. მჭედლიძის] კრიტიკულ განხილვას — „ბატ. ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდეგილი“.

მაისის 28 — „დროების“ № 99-ში ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი) ათავსებს წერილს რედაქციისადმი — „ჩვენს ლიტერატურულ კეთილწესიერებაზედ“, რომელშიც აკრიტიკებს გაზეთ „კავკაზის“ № 60 და 62-ში გამოქვეყნებულ ვლ. მიქელაძის წერილებს.

„ვლ. მიქელაძემ თავისი პოლიციური შეხედულება მწერლობაზე უფრო ცხადად გამოსთქვა ორს თავის წერილში, სადაც კრიტიკულად

არჩევდა ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ შრომას [ცხოვრება და კანონი], წერილები დაბეჭდილნი იყვნენ ოფიციალურ კავკაზში".

მაისის ბოლო —გამოდის „ივერიის" მეოთხე ნომერი, სადაც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა".

ივნისი — ჟურნალ „იზიაშჩნაია ლიტერატურას" ივნისის ნომერში ქვეყნდება ნ. ნიკოლაძის მიერ თარგმნილი „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები".

ივნისის 3 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას (25 მაისისათვის დანიშნული კრება არ შედგა მონაწილეთა სიმცირის გამო).

ივნისის 23 — „დროების" № 119-ში ქვეყნდება დ. სოსლანის [ქეზელის] „კრიტიკული შენიშვნები „ივერია" წიგნი IV". წერილში ძირითადად განხილულია ილიასეული „შინაური მიმოხილვა".

ივნისის 24 — ილია წერილობით მიმართავს თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების შესაბამისი პროგრამით სოფელ თონეთში სკოლის გახსნის ნებართვის თაობაზე.

ივლისის 20—22 — ილია საგურამოში მასპინძლობს იონა მეუნარგიას.

„გუშინ საგურამოდან დავბრუნდი. იმერელი კაცისათვის ქართლის ცხოვრებაში სუყველაფერი საინტერესოა. მე პირველად გუშინ გავიგონე ქართელი კაცის დაძახების კილო" (ი. მეუნარგია. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ. 1937. გვ. 48).

ივლისის 26 — სერგეი მესხის გარდაცვალების გამო ილია მცხეთიდან ქუთაისში სამძიმრის დეპეშას უგზავნის ნესტორ და ეკატერინე მესხებს.

„ღრმად ვწუხვარ პატიოსანი მუშაკისა და კეთილი ამხანაგის დაკარგვას, ვწუხვარ, ვერ ჩამოვედი, მანდ ყოფნით ვერ გამოვხატე მიცვალებულის ხსოვნისადმი ჩემი პატივისცემა. გვიან მივიღე ცნობა დაკრძალვის დღის და ადგილის შესახებ" (თსკ, ტ. X, გვ. 103).

„ივერიის" მხრით გვირგვინის მიტანა თითონ რედაქტორს ილ. ჭავჭავაძეს ეგულებოდა, რომელმაც, ტფილისს გარეთ ყოფნის გამო, გვიან მიიღო ცნობა დასაფლავების დროსა და ადგილის თაობაზე და ამის გამო მოსცდა" (ივერია, 1883, № 7—8, გვ. 176).

ივლისის ბოლო — გამოდის „ივერიის" მეხუთე და მეექვსე ნომრები ერთ წიგნად. მასში დაბეჭდილია ილიასეული „შინაური მიმო-

ხილვა". ჟურნალის ეს და შემდეგი ნომრები გამოდის მხოლოდ ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით.

აგვისტო — ილია საგურამოში ისვენებს.

აგვისტოს 6 — ილიას ხელმოწერით „დროების" № 154-ში ქვეყნდება „ბალანსი თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, 1 ივლისისათვის 1883 წლისა".

აგვისტოს 24 — ილია კითხულობს „ილიადას".

„საგურამოში ვიყავ ილიასთან... ილია კაკლის ქვეშ იყო წამოწოლილი და „ილიადას" კითხულობდა..." (ი. მეუნარგია. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ. 1937. გვ. 47—48).

აგვისტოს ბოლო — გამოდის „ივერიის" მეშვიდე და მერვე ნომერი ერთ წიგნად, რომელშიც ილია ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „მითამ და „ახალი რაზმის კაცი", ანუ ორი ფელეტონი". დამატებაში ილიას ხელმოწერით ქვეყნდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება 1882 წლის 15 მაისიდამ 1883 წლის 15 მაისამდე". ამ ნომრისათვის დამზადებულ ილიას „შინაურ მიმოხილვას" ცენზურა კრძალავს.

სექტემბრის 2 — „დროების" № 172-ში ქვეყნდება ჟურნალ „ივერიის" მეხუთე და მეექვსე ნომრების ნ. ხიზანაშვილის (ურბნელის) ლიტერატურული მიმოხილვა. მიმოხილვაში აღნიშნულია ნომრების სიღარიბე.

„სამწუხარო უფრო ის არის, რომ „ივერია" საუკეთესო ჟურნალია ჩვენში და რედაქტორად ჰყავს ისეთი მწერალი, რომელიც სამართლიანად ჩვენს სიამაყეს შეადგენს, დედა-ბოძია ჩვენის გონებითი მოძრაობისა".

სექტემბრის 4 — ილია ესწრება სოფელ წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნას, სადილზე წარმოთქვამს სიტყვას (სიტყვა დაიბეჭდა 8 სექტემბერს „დროების" № 177-ში. იგივე სიტყვა დაბეჭდა ჟურნალმა „მწყემსმა" № 1-ში).

„ამ თვის 4-ს აკურთხეს დუშეთის მაზრაში სოფ. წინამძღვარიანთკარს სასოფლო მეურნეობის სკოლა, რომელზედაც დაესწრნენ ღენერალ-ლეიტენანტი დ. ს. სტაროსელსკი, თ. ი. გ. ჭავჭავაძე და კიდევ ბევრნი სხვანი... ბოლოს სადილიდამ წამოდგა ბ. ი. ჭავჭავაძე, ჩადგა გლეხების შუაში და უთხრა შემდეგი: „ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები" (დროება, 1883, 8 სექტ. № 177, გვ. 1—3).

სექტემბრის 4,6 — გაზეთი „დროება“ (№№ 174, 175) აქვეყნებს ალ. კვალიაშვილის მიერ „ივერიის“ მეხუთე-მეექვსე ნომრებში დაბეჭდილი ილიასეული „შინაური მიმოხილვის“ კრიტიკულ განხილვას.

სექტემბრის 19 — გაზეთი „დროება“ (№ 185) ბეჭდავს კ. ყიფიანის განმარტებით წერილს ქართული დრამატული საზოგადოების მმართველობაში მომხდარი განხეთქილების შესახებ.

სექტემბრის 24 — ამავე საკითხზე „დროების“ № 189-ში ქვეყნდება სარედაქციო მეთაური წერილი.

სექტემბრის ბოლო — ქვეყნდება ილიას ლექსები: მძინარე ყმაწვილს; არაგვი; გუთნის დედა; ქართვლის დედას; ნაწყვეტები პოემებიდან: მეფე დიმიტრი თავდადებული; განდეგილი; რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან — წგ-ში: ხომლი, შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ.

ოქტომბერი — გამოდის „ივერიის“ მეცხრე ნომერი, მასში ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“.

ოქტომბრის 4 — თბილისის გუბერნიის დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაში შედის ილია ჭავჭავაძე, წარუდგა იმხანად თბილისში მყოფ გზათა მინისტრს თხოვნით კახეთის რკინიგზის პროექტის დამტკიცების თაობაზე.

„დღეს, 4-ს ოქტომბერს, დილის ათს საათზედ, გზათა მინისტრისა და მთავარ-მმართებლის ნება-დართვით გუბერნიის მარშალმა წარუდგინა დეპუტაცია გზათა მინისტრს რკინის გზის სტანციაში, სადაც მინისტრია ჩამომხტარი. დეპუტაციას შეადგენდნენ, გარდა გუბერნიის მარშლისა... ღენ. ლეიტენანტი თ. ნიკ. ზურაბის-ძე ჭავჭავაძე (დაღესტნის მმართველი), ივ. გივის-ძე ამილახვარი... ალექსი დიმიტრის-ძე საგინოვი, თ. ივ. კოსტ.-ძე. ორბელიანი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები: თ. იასე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი, თ. ნიკ. დიმიტრის-ძე ჭავჭავაძე, თ. იასე ნოშრევანის-ძე ჭავჭავაძე, თ. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე და მაზრის უფროსები თელავისა და თბილისისა თთ. ნიკოლ. და ერასტი ზაალის ძენი ჩოლოყაშვილები“ (დროება, 1883, 5 ოქტ. № 196, გვ. 2).

ოქტომბრის 11, 12 — გაზეთ „დროების“ № 201, 202-ში ქვეყნდება ა. ნანეიშვილის „ლიტერატურული შენიშვნები“ „ივერიის“ მეშვიდე და მერვე ნომრებზე.

ნოემბერი — გამოდის „ივერიის“ მეათე ნომერი. აქ ქვეყნდება ილიას „შინაური მიმოხილვა“ და განცხადება ჟურნალ „ივერიის“ ხელმოწერის პირობების შესახებ.

ნოემბრის 1, 9, 10 — გაზეთ „დროების“ № 218, 225, 226-ში ქვეყნდება ა. ნანეიშვილის „ლიტერატურული შენიშვნები“ „ივერიის“ მეცხრე ნომერზე.

დეკემბრის 8 — გაზეთ „დროების“ № 247-ში ქვეყნდება ა. ნანეიშვილის „ლიტერატურული შენიშვნები „ივერიის“ მეათე ნომერზე.

დეკემბრის დასაწყისი — რედაქციის სხვა წევრებთან ერთად (უმიკაშვილი, სარაჯიშვილი) ამთავრებს „ვისრამიანის“ რედაქციას.

„ვისრამიანის გასასწორებლად დანიშნულ კომისიას შეუმოწმებია ერთად რამდენიმე ხელ-ნაწერი ამ ძველის წიგნისა და დასაბეჭდავათაც მოუმზადებიათ. ბეჭდვას ამ დღეებში შეუდგებიან“ (დროება, 1883, 10 დეკ. № 249, გვ. 3).

დეკემბრის მეორე ნახევარი — გამოდის ჟურნალ „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ და ილიას მიერ ამოკრეფილნი საანდაზო ლექსები „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“, „დავითიანიდან“.

დეკემბრის 28 — გარდაცვალება ილიას უფროსი დის ნინოსი.

„თავადი ნიკოლოზ შარმაზანის ძე აბხაზი, ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა და თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე მწუხარებით აუწყებენ... რომ 28 ამ დეკემბრისას გარდაიცვალა ნინო გრიგოლის ასული აბხაზისა...“ (დროება, 1883, 29 დეკ. № 264).

„მინამ ცოცხალი იყო, არ ვიცოდი, რომ ასე ძლიერ მიყვარდა, როცა გარდაიცვალა მაშინ შევიტყე. ეხლა ვგრძნობ რა დედაკაცი, რა საყვარელი დავკარგე. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს, და რაც დღე იმას დააკლდა, ერთი ათასად შენ, ჩემო კარგო, ჩემს დას ლიზას, და უბედურის ნინოს შვილებს მიუმატოს. ცრემლი თვალებში მომიგუბდა და ვეღარ ვწერ“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 367—368).

დეკემბრის 29 — გაზეთი „დროება“ (№ 264) ბეჭდავს არტურ ლაისტის წერილს — „ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“ (წერილის თარგმანი შესრულებულია გერმანული ჟურნალიდან).

— ილიას სადგომში ანდერძს უგებენ ილიას დას — ნინოს.

დეკემბრის 30 — ილიას დის — ნინოს დაკრძალვა.

იანვრის დასაწყისი — პეტრე უმიკაშვილსა და ალექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად ილია აგრძელებს მუშაობას „ვისრამიანის“ საბოლოო რედაქციაზე.

„ვისრამიანს“ სამი კაცი ვასწორებთ, ლექსიკონსაც ვუკეთებთ შენის აზრისამებრ და ამ ორ კვირაზედ დაბეჭდვასაც შევუდგებით“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი ი. ოქრომჭედლიშვილისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 100).

გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მეთორმეტე ნომერი (ცენზ. ნებართვა 1883 წ. 26 დეკ.), მასში ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“, ილიას მიერ შეკრებილი „საანდაზო ლექსები“ (გაგრძელება) და მის მიერ თარგმნილი ი. ტურგენევის „ლექსნი პროზითა: ბაასი; ბებერი დედაკაცი; ძაღლი; მათხოვარი; გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა; სულელი; ბეღურა“.

იანვრის 5 — წერილს უგზავნის ილია ოქრომჭედლიშვილს მოსკოვში. თხოვს აცნობოს ქართული თეატრალური დასისათვის მის მიერ გამოგზავნილი თანხის განაწილების თაობაზე.

იანვრის 10-ის შემდეგ — მიემგზავრება პეტერბურგში საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად.

იანვრის 18 — ილია ჩადის პეტერბურგში.

„... მე მოვედი პეტერბურგს 18-ს იანვარს და კარგად ვარ. მოსკოვიდამ და პეტერბურგიდამ ტელეგრამები მოგწერე... აქ ძალიან ბევრი საქმეები გამომიჩნდა. წარმოიდგინე ჩვენი სიეზდი ოთხ „ოტდელენიად“ გაიყო. მე ოთხივე „ოტდელენიაში“ ჩავეწერე, რადგანაც ყველა „ოტდელენიაში“ საინტერესო საგნები იყო ჩვენის ბანკისათვის“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 365).

იანვრის 20-თებერვლის 5 — ესწრება პეტერბურგში გამართულ საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობის სხდომებს. ყრილობაზე 29 იანვრის და 3 თებერვლის სხდომებზე წარადგენს თავის მოსაზრებებს დასაგირავებელი მამულების შეფასების და ბანკების მევალეებისათვის შეღავათების დაწესების საკითხებზე.

ილიას მოსაზრებები ქვეყნდება წიგნში: „Сборник материалов и постановлений по вопросам, подлежавщим обсуждению пятого съезда представителеї учреждений русского земельного кредита. СПб., 1884. с. 165-168, 185-188“.

„სიეზდი გათავდა 5-ს თებერვალს. დღეში ორჯერ და სამჯერ „ზასედანიები“ გვქონდა ყოველ ცისამარა დღეს 20-ს იანვრიდან მოკი-

დებული 5-ს თებერვლამდე; ძალიან დავიღალე და ერთ „ზასედანიეს“ კიდევ მოვცდი, რადგანაც ავად გავხდი... იმასა ვწუხვარ, რომ სწორედ იმ „ზასედანიესათვის“ ერთი დიდი რეჩი უნდა მეთქვა და ავადმყოფობამ დამიშალა. რაც უნდა მეთქვა, მერე დავწერე და დაიბეჭდება კიდეც ამ ორ დღეში სიეზდის ჟურნალში“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი მეუღლისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 368).

საადგილმამულო კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლების შეხუთე ყრილობის მონაწილეებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს, ღებულობს ფინანსთა მინისტრი (ნოვოე ობოზრენიე, 1884, № 43).

იანვრის 22 — არწრუნის თეატრში წარმოადგინეს ილიას „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, დივერტისმენტში „განდეგილი“.

თებერვლის დასაწყისი — გამოდის „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება „საანდაზო ლექსები“ ამოკრეფილი ილიას მიერ „ვეფხისტყაოსნიდამ“, „ქილილა და დამანიდამ“, „გურამიანიდამ“, „შინაური მიმოხილვის მაგიერი. მივიხედ-მოვიხედოთ“. აქვე ქვეყნდება განცხადება „ჟურნალი „ივერია“ მომავალ 1884 წ. იანვრიდამ...“ ხელმოწერა: რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

ჟურნალ „ნობათის“ პირველ ნომერში იბეჭდება რ. ძამსაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული ილიას ლექსი „ნანა“.

თებერვლის 8, 11 — გაზეთი „დროება“ (№№ 29, 32) ბეჭდავს „ლიტერატურულ შენიშვნებს“ „ივერიის“ 1883 წ. მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში გამოქვეყნებულ მასალებზე, მათ შორის ილიას „შინაურ მიმოხილვების“ შესახებ.

თებერვლის 11 — ილია ოქრომჭედლიშვილი მოსკოვიდან უგზავნის საპასუხო წერილს.

„საყვარელო ძმაო ილიკო!... თუმცა მრცხვენიან, მაინც გამოგიცხადებ, რომ „ვისრამიანის“ დაბეჭდვას მოუთმენლობით ველი“ (შ. გოზალიშვილი. ილია ოქრომჭედლიშვილი. 1976. გვ. 93).

თებერვლის 19 — პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს „ჩემი საქმეები თითქმის სულ შევასრულე და მგონია ძალიან კარგადაც. დღეს რომ კვირაა, ერთი უკანასკნელი ქაღალდიაა ხელის მოსაწერი და ძალიან საჭირო ქაღალდიც. დღეს უნდა ხელი მოვაწეროთ... თუ ეს ქაღალდი დღეს შეგვისრულეს, მე პირველს მარტს უსათუოდ გამოვალ პეტერბურგიდან, მოსკოვში ორი დღე დავრჩები, სერებრიაკოვთან საქმე მაქვს...“ (თსკ, ტ. X, გვ. 369).

თებერვლის 29 — პეტერბურგიდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს. სწუხს დაგვიანების გამო.

„... სწორედ გითხრა, ჯავრით აღარა ვარ. ბანკის საქმე, რომელიც პირველ ხანებში კარგათ მოდიოდა, რაღაცამ შეგვიშალა და ეხლა, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცი როდის მომიხდება ამ ქვეყნიდამ წამოსვლა“ (თსკ, ტ. X, გვ. 372).

მარტის 9 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი ჟურნალ „ივერიის“ რედაქციას უგზავნის მიმართვას ჟურნალის მეორე ნომრის შეჩერების შესახებ რედაქტორის — ილია ჭავჭავაძის თბილისში დაბრუნებამდე. ამის შესახებ ილიას დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგში (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 202).

მარტის 10 — პეტერბურგიდან თბილისში დეპეშას უგზავნის კავკასიის საცენზურო კომიტეტს „ივერიის“ მეორე ნომრის გამოშვების ნებართვისათვის: „ყიფშიძეს ვავალებ გამოუშვას „ივერიის“ მეორე ნომერი“.

საცენზურო კომიტეტი მინაწერს აკეთებს ილიას დეპეშაზე: „...телеграммы недостаточно для выпуска в свет журнала“ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 203).

— წერილს უგზავნის მეუღლეს. შეწუხებულია ბანკის საქმეების მოუგვარებლობით.

„... გაჯავრებული ვარ იმაზედ, რომ ჩვენი ბანკის საქმეები ესე გამიჯანჯლდა და იმედიც არ არის ეხლა, რომ კარგად გათავდეს. აქამდის კიდევ იმედი მქონდა და ეხლა ეგეც დამეკარგა. ღმერთმა დასწყევლოს აქაურობა. მომწყინდა აქ ყოფნა, მინდა საშინლად მაინთ წამოსვლა და აბა როგორ წამოვიდე საქმის გაურიგებლად... მანდაც მალე ბანკის კრება მოხდება, ჩემი მანდ ყოფნა საჭიროა. მე კი აქ ვგდივარ უიმედოდ და ჯავრით ყელთ მობჯენილი.

მე ამ ერთს კვირას კიდევ მოვიცდი. თუ გარიგდა რამე ხომ კარგი, თუ არა და წამოვალ, თუმცა კი ძალიან შესაწუხარი იქნება, რომ მოვედი აქ და ვერა გავარიგე რა“ (თსკ, ტ. X, გვ. 373—374).

პეტერბურგში ყოფნის დროს ილია ღებულობს პეტერბურგის სტუდენტთა დეპუტაციას (მათ შორის ექ. თაყაიშვილს), რომელიც ილიასთან მოვიდა რჩევისათვის, თუ როგორ გამოეყენებინათ ლიტერატურულ-დრამატული საღამოების გამართვით დაგროვილი თანხა. ილია სტუდენტობას ურჩევს, თანხა გადასცენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

მარტის მეორე ნახევარი (?) — ორი თვის პეტერბურგში ყოფნის შემდეგ ბრუნდება თბილისში.

მარტის 26 — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მეორე ნომერი.

„თებერვლის წიგნი „ივერიისა“, რომელიც თუმცა თებერვლის გასულსავე მზად იყო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო დღევანდლამდე დაიგვიანა“ (დროება, 1884, 27 მარტი, № 68, გვ. 1).

აპრილის დასაწყისი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მესამე ნომერი.

აპრილის 5 — ქვეყნდება (ფელეტონ „ზურნაში“) „განდეგილის“ თხორჟევსკისეული თარგმანის მე-7 და მე-8 თავები (ნოვოე ობოზრენიე, 1884, № 91).

აპრილის 15 — პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ილია ჭავჭავაძეზე წესდება ფარული მეთვალყურეობა.

„პოლიციის დეპარტამენტმა 1884 წლის აპრილში (და არა ივნისში, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ) გადაწყვიტა ილიას მიმართ ფარული მეთვალყურეობა დაეწესებინა.

დეპარტამენტი 1884 წ. 15 აპრილს ამის შესახებ თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს სწერდა:

„რადგან პოლიციის დეპარტამენტს აქვს ცნობები... ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და... ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანის საეჭვო პოლიტიკურ საიმედოვნეობის შესახებ... გთხოვთ... დააწესოთ აღნიშნულ პირებზე ფარული მეთვალყურეობა და იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანი წავა თქვენი მომსახურების რაიონიდან, მათ შესახებ აცნობოთ ადგილობრივ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს“ (ა. კოჭლავაშვილი — მნათობი, 1970, № 5, გვ. 145).

აპრილის 19 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 102, ფელეტონ „ზურნაში“) აქვეყნებს „განდეგილის“ თხორჟევსკისეული თარგმანის 1—14 თავებს.

მაისის 5-6 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის მოწვეულ თავად-აზნაურთა საზოგადოების კრებაში. ილიას ირჩევენ კომისიაში, რომელსაც ევალება შეიმუშაოს სააზნაურო სკოლის მიმართულების საკითხი. (კრების ანგარიში იბეჭდება „დროების“ №№ 100, 101-ში).

მაისის 6 — გაზეთ „დროების“ № 99-ში ილია (ხელმოწერით:“ თავ-მჯდომარის მაგიერი ილია ჭავჭავაძე“) აქვეყნებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართული ბალის შემოსავლის ანგარიშს („წერილი რედაქტორთან“).

მაისის 7-10 — თავმჯდომარეობს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის კრებას, რომელიც ისმენს ბანკის მოქმედების

ანგარიშს, იხილავს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას. კრებაზე ილია წარმოთქვამს ვრცელ სიტყვას.

კრების ანგარიში და ილიას სიტყვა ქვეყნდება „დროების“ № 102, 103, 104-ში.

მაისის 12-14 (?) — მიემგზავრება კახეთში (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 123).

მაისის 13 — ქვეყნდება „განდეგილის“ თხორქევსკისეული თარგმანის მე-15-28-ე თავები (ნოვოე ობოზრენიე, 1884, № 126).

მაისის 17 — ქვეყნდება წერილი „რა არის ხიზნობა“. (იურიდიჩესკოე ობოზრენიე, 1884, № 164).

მაისის 27 — მონაწილეობს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრებაში.

— ქვეყნდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობის მოქმედების ანგარიში 1883 წ. მაისის 15-დამ 1884 წ. მაისის 15-მდე. (დროება, 1884, 31 მაისი, № 115, გვ. 1—2).

მაისის 31 — სადარბაზო ბარათს უგზავნის რ. ერისთავს და ეპატიჟება პირველ ივნისს არტურ ლაისტის საპატივცემულო სადილზე.

„პარასკევს 1-ს ივნისს სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ“ (თსკ, ტ. X, გვ. 86). ანალოგიურ წერილს უგზავნის გ. თუმანიშვილს და სხვებს.

ივნისი — გამოდის „ივერიის“ მეხუთე და მეექვსე ნომრები ერთ წიგნად. მასში ქვეყნდება ილიას მიერ ამოკრეფილი „საანდაზო ლექსები“. „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანიდან“, „გურამიანიდან“.

ამავე ნომერში ილია ათავსებს არტურ ლაისტის წერილს„ ქართული ლიტერატურა“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თვით ილიას შემოქმედების განხილვას. აქ გარჩეულია „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“.

არტურ ლაისტის წერილის განხილვას მიეძღვნა ნ. ურბნელის [ხიზანაშვილის] „ლიტერატურული ქრონიკა“ გამოქვეყნებული „დროების“ № 172, 173, 178, 179-ში).

ივნისის 1 — ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ილია რკინიგზის სადგურზე ხვდება მისივე მოწვევით საქართველოში პირველად ჩამოსულ გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს.

საპატიო სტუმართან ერთად ილია წინასწარ დაგზავნილი სადარბაზო ბარათებით სადილზე იწვევს დ. ერისთავს, გ. თუმანიშვილს, რ. ერისთავს, პ. უმიკაშვილს, ივ. მაჩაბელს, ეკ. გაბაშვილს და სხვა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

სადილზე დამსწრე საზოგადოებას ილია სიტყვა-სადღეგრძელოთი აცნობს საპატიო სტუმარს.

„დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდამ მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომაც ორ-ნაირად სასიხარულოა მისი ჩვენ შორის ყოფნა... ბ-ნი არტურ ლეისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუა-კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპის შორის... პირუთვნელი სიტყვა ბ-ნის ლეისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრებს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბ-ნი ლეისტი“ (დროება, 1884, 5 ივნ., № 119, გვ. 3).

სადილის დამთავრების შემდეგ, გვიან საღამოს, ილიას საპატიო სტუმარი სხვა სტუმრებთან ერთად მიჰყავს მტკვრის ნაპირას მდებარე „ვაზის“ ბაღში, სადაც განაგრძეს ლხინი და საუბარი ლიტერატურულ საკითხებზე. არ. ლაისტმა უთხრა ილიას: „როცა მე თქვენს ლექსს „მტკვრის პირზედ“ ნემეცურად ვსთარგმნიდი, — მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმავ მტკვრის პირზე მე თქვენთან ერთად ნადიმად ჯდომა მომიხდებოდაო...“ (იქვე, გვ. 3).

ივნისის 2 — მეგზურობს არტურ ლაისტს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, აჩვენებს რუსთაველის და თამარის სურათებს, ათვალიერებინებს საზოგადოების ხელნაწერთა ბიბლიოთეკას.

ივნისის პირველი დეკადის ბოლო — ილიას საგურამოში მიჰყავს და მასპინძლობს არტურ ლაისტს (ეკ. გაბაშვილის ცნობით საგურამოში მასთან ერთად მიწვეულნი იყვნენ: აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, დ. მიქელაძე, ალ. ჭყონია).

„ტფილისში მხოლოდ ორი კვირა დავყავი. ამის შემდეგ ვეწვიე თავ. ილია ჭავჭავაძეს მის მამულში, საგურამოში...“ (ა. ლაისტი. ივერია, 1906, № 25, გვ. 7—8).

ივნისის 7 — გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ № 142-ში გამოქვეყნებულ ნ. ამატუნის პრეტენზიულ წერილზე, რომელიც შეეხებოდა საად-

გილმამულო ბანკში ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხებს, ქვეყნდება ილიას პასუხი „Письмо в редакцию“ (ნოვოე ობოზრენიე, № 149).

ილიას საპასუხო წერილის შესახებ გაზეთი „დროება“ (9 ივნ., № 123) აქვეყნებს წერილს — „საბანკო დავიდარაბა გაზეთების ფურცლებზედ“.

ივნისის 9—10 (?) — ილია და არტურ ლაისტი გამოცდებს ესწრებიან წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში (დროება, 1884, 14 ივნ., № 127, გვ. 1).

ივნისის 12 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის მოწვეულ თავადაზნაურთა საზოგადოების არაჩვეულებრივ კრებაში, რომელიც იხილავს სათავადაზნაურო სკოლის პროგრამის შემმუშავებელი კომისიის მოხსენებას.

ივნისის 21 — თბილისის პოლიცმეისტერი ახსენებს თბილისის გუბერნატორს ილია ჭავჭავაძეზე პოლიციის მიერ ფარული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 213).

ივლისის 13 — თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი პეკარსკი წერილობით ატყობინებს თბილისის გუბერნატორს, რომ ილია ჭავჭავაძეზე, როგორც პოლიტიკურად საეჭვო პიროვნებაზე, დაწესებულია ფარული მეთვალყურეობა.

ივლისის 23 — დავით ერისთავი კისლოვოდსკიდან პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძეს... ატყობინებს, რომ ილ. ჭავჭავაძეს დიდი გეგმები აქვს არწრუნის ქარვასლის შეძენასთან დაკავშირებითო“ (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 118).

ივლისის 31 — თბილისის პოლიცმეისტერი წერილობით მოახსენებს თბილისის გუბერნატორს ი. ჭავჭავაძეზე ფარული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ და აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძე ამჟამად ოჯახთან ერთად იმყოფება საგურამოში, რაც ეცნობა დუშეთის მაზრის უფროსს მასზე ფარული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947. გვ. 213).

აგვისტოს 13 — ქვეყნდება ცნობა, რომ „ვისრამიანის“ რედაქტორებს ილიას, ალ. სარაჯიშვილს, პ. უმიკაშვილს განზრახული აქვთ გამოსცენ ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში „ამირან-დარეჯანიანი“ (დროება, 1884, 13 აგვ., № 176, გვ. 2).

— გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მე-7 და მე-8 ნომრები ერთ წიგნად, რომელშიც ქვეყნდება ილიას მიერ ამო-

კრეფილი „საანდაზო ლექსები“ და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთ-წარმოება 1883 წ. 15 მაისიდამ 1884 წ. მაისამდე“ — ხელმოწერით: „თავმჯდომარის მაგიერი თ. ი. გ. ჭავჭავაძე“.

სექტემბრის 13 — თბილისის პოლიცმეისტერი წერილობით უპატაკებს თბილისის გუბერნატორს ი. ჭავჭავაძეზე და ეგნატე იოსელიანზე ფარული მეთვალყურეობის შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 213).

სექტემბრის 27 — კერძო კრება გ. ქართველიშვილის სახლში ილიას თავმჯდომარეობით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენისა და გამოცემის საკითხებზე. ილიას არჩევა საგამომცემლო კომისიაში.

„ახლა შევიდეთ მეორე ყრილობაზედ დასასწრებლად ერთს მოჭალაქის სახლში, სადაც შედარებით შესანიშნავს საქმეზედ იქნება ლაპარაკი, სახელდობრ რუსთაველის გამოჩენილის პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ მდიდრულს გამოცემაზედ სურათებით. ერთის, თავის ქვეყნის ნამდვილის შვილის ბ. ქართველიშვილის მეოხებით აიწყო ეს საქმე და შესრულებაც მალე ეღირსება, რადგან მან ამ საგნისათვის უხვად, ათას თუმნამდე, ფული გადასდო.

ბაასი გაიმართა ფრიად პატივცემულ პოეტის თავადი ილია ჭავჭავაძის თავს-მჯდომარეობით და დიდხანს არ გასტანა. უმთავრესს მუხლებზედ მალე შეთანხმდენ და ეხლა ამ საქმის მოთავემ, ბ. ქართველიშვილმა, მიგვიწვია „მსუბუქ სამხარზედ“, რომელიც სრულს ვახშმად გადაიქცა“ (ბარონი სუტნერი — დროება, 1884, 28 დეკ., № 279, გვ. 1—2).

— პირობას დებს წიგნის გამომცემელ ვ. ჭილაძესთან თავისი თხზულებების გამოცემის თაობაზე (დროება, 1884, 29 სექტ. № 210, გვ. 2).

ოქტომბერი — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მე-9 და მე-10 ნომრები ერთ წიგნად.

ოქტომბრის 13 — გაზეთი „დროება“ (№ 221, „შინაური ქრონიკა“) აქვეყნებს ცნობას ილიას განზრახვის „ვეფხის ტყაოსანზე“ საჯარო ლექციების წაკითხვის შესახებ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ნოემბრის 30 — ესწრება თბილისში მცხოვრებ ფრანგთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო წარმოდგენას არწრუნის თეატრში.

— წარმოდგენის შემდეგ სიტყვას წარმოთქვამს საფრანგეთის კონსულის მ. მეიერის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე, „დროების“ რედაქციაში.

„დღეს ჩვენმა პატარა ლიტერატურამ, პატარა თეატრმა ამ პაწია გაზეთის პატარა რედაქციაში მიიღო დიდი მადლობა პატარა ძღვენისათვის დიდის ერის წარმომადგენელთაგან“.

ამავე ნადიმზე ილიამ სიტყვით მიმართა იონა მეუნარგიას, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელს (დროება, 1884, 2 დეკ. № 260, გვ. 2).

დეკემბრის 2 —ქვეყნდება ილიას სიტყვა წარმოთქმული „დროების“ რედაქციაში 30 ნოემბერს, საფრანგეთის კონსულის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე.

დეკემბრის შუა რიცხვები — გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მე-11 და მე-12 ნომრები ერთ წიგნად. ილიას ხელმოწერით მასში ქვეყნდება „ივერიის“ ხელმოწერის პირობები („იქვე და იმავე პირებთან... მიიღება... ხელმოწერა ჟურნალის „ივერიაზედ“...).

დეკემბრის 18—19 (?) — წერილს (15 დეკ. თარიღით) ღებულობს კირილე ლორთქიფანიძისაგან, ქუთაისიდან. აღრესანტი ატყობინებს გაზეთ „შრომის“ თანამშრომლებისა და სხვა პირთა განზრახვას — დააფუძნონ წიგნების გამომცემელი წრე, რომელიც შევა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მფარველობაში.

„... ჩვენ გვსურს მივეკედლოთ ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელს საზოგადოებას, მისი წესდებისა და გამგეობის საფარველს ქვეშ ვიშრომოთ და შეძლებისამებრ დავეხმაროთ სხვადასხვა ცოდნის გავრცელებას... რაიცა შეეხება თვითონ ჩვენგან წიგნების აღრჩევას და ჩვენის საკუთარი ხარჯით ამ წიგნების გამოცემას, ამაში კი ჩვენ გვსურს გვექმნეს სრული ავტონომია... ეჰვი არა გვაქვს, თანახმა იქნებით ამისა, მიიღებთ ჩვენს წინადადებასა და თხოვნას...“ (მასალები XIX ს. 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან. 1981. გვ. 134—135).

*
* *

ილიას ხელმოწერით გამოდის „Доклад Правления Тифлисского Дворянского Земельного Банка общему собранию о действиях банка в течении десятого отчетного 1884 года.“ 10 с.

ილია ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის ნიკოლოზის (ახლანდელი კალინინის) ქუჩაზე, დის ელისაბედ საგინაშვილის სახლში.

„ამ სახლში (ნიკოლოზის ქუჩა) გადმოვედით 1884 წ. (ილია და კნეინა ოლღა პირდაპირ საგურამოდან გადმოსახლდნენ)“ (ე. საგინაშვილი — ლიტერატურული მემკვიდრეობა. წგ. 1, 1935, გვ. 557).

— ასრულებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობას. საქმიან ქაღალდებს ხელს აწერს: „თავმჯდომარის მაგიერი ილია ჭავჭავაძე“.

1885

იანვარი — გამოდის „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება გეორგ ებერსის — ასული ფარაონისა. ისტორიული რომანი. პირველი ნაწილის ილიასეული თარგმანი[16].

იანვრის 23 — ნ. გაბუნიას საბენეფისოდ წარმოადგენენ კომედია-ფარსს „მკითხავს“ ილიას „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებულს ავქ. ცაგარლის მიერ.

თებერვალი — გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა“ და „ასული ფარაონისა“-ს გაგრძელება.

თებერვლის 23 — ილიას და სხვების ხელმოწერით იბეჭდება „ბალანსი თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა იანვრის 1-სათვის 1885 წლისა“.

მარტი — გამოდის მ. ნასიძის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათია“, სადაც ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: „გაზაფხული“, ნაწყვეტები „კაცია ადამიანიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „განდეგილიდან“.

გამოდის და ხელისმომწერლებს ურიგდება „ივერიის“ მესამე ნომერი, რომელშიც გრძელდება ბეჭდვა „ასული ფარაონისა“.

მარტის 29 — მიემგზავრება ქუთაისში, იქიდან სამეგრელოში, სოფელ გორდში ნიკო დადიანის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შემოწირული ბიბლიოთეკის (სამეგრელოს მთავარი ხელთნაწერსაცავის) ჩასაბარებლად. მგზავრობის დროს ილიას თან ახლავან: ვასილ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, იონა მეუნარგია, დავით ერისთავი ქუთაისიდან, მეგზურობენ სიმონ ღოღობერიძე და სამსონ ყიფიანი.

---

16 ალ. კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. IV, 1986, გვ. 310.

აპრილის 3 — ილია და მისი თანმხლებნი ჩადიან სოფელ გორდში და იბარებენ ქართულ ხელთნაწერებს ნიკო დადიანის ბიბლიოთეკიდან.

ას სამოცდა ცხრა (169) წიგნი-ხელნაწერი და ათი (10) დაბეჭდილი წიგნი ჩავიბარეთ ბ. თ. კონსტანტინე ნიჟარაძისაგან... 3 აპრილს 1885 წელსა სოფ. გორდში. თავმჯდომარის ამხანაგი წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე და მოწმენი — წევრნი საზოგადოებისა ვასილ მაჩაბელი და იონა მეუნარგია, საზოგადოების საქმის მწარმოებელი გრიგოლ ყიფშიძე (ტ. ხუნდაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1960, გვ. 62).

— თბილისის პოლიცმეისტერი წერილობით უპატაკებს თბილისის გუბერნატორს ილიას ქუთაისში გამგზავრების შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 214).

აპრილის 3-ის შემდეგ — ილია ეცნობა სამეგრელოს: სტუმრად არის ბანძაში — იურისტ მექი ფაღავასთან; ცაიშში — იონა მეუნარგიას ოჯახში; ათვალიერებს ზუგდიდის მთავრის სასახლეს, აქ იბარებს დადიანისეული ბიბლიოთეკის ნაწილს და საღამოს ისევ ცაიშში ბრუნდება. მეორე დღეს ცაიშიდან წამოსული ღამეს ათევს ახალსენაკში, თეიმურაზ კაკაბაძის სასტუმროში. ახალსენაკიდან მოემგზავრება თბილისში.

„... ილია წამოვიდა სამეგრელოს, მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად. ილია ისე გამხიარულდა, რომ ბანძას მექი ფაღავასას და ჩემთან ცაიშში სულ „ფარინა, ფარინა“ იმღერა და ფერხულით გული შეიჯერა.“ (ი. მეუნარგია. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ. 1937, გვ. 28).

„წერა-კითხვის საზ. მმართველობის წევრნი, რომელნიც წასულნი იყვნენ სამეგრელოში მეგრელის თავადისაგან შემოწირული ბიბლიოთეკის მისაღებად, უკვე ჩამოვიდენ თბილისში და თან ჩამოიტანეს მთელი ბიბლიოთეკა. ეს უკანასკნელი შესდგება 179 ტომისაგან, რომელთა შორის მრავალი ძვირფასი ხელ-ნაწერია სხვათა შორის მე-10 და მე-11 საუკუნისა“ (დროება, 1885 № 72, გვ. 1).

აპრილის 7 — ჟურნალი „თეატრი“ (№ 16) აქვეყნებს მხატვარ ალ. ბერიძის მიერ შესრულებულ ილიას პორტრეტს. ჟურნალში მოთავსებულ პორტრეტთან ერთად ხელისმომწერლებს ურიგდებათ სურათის ერთი ეგზემპლარი.

აპრილის 27-28 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაში. კრება ისმენს ბანკის მოქმედების ათი წლის მოკლე ანგარიშს და გამგეობის ვრცელ მოხსენებას გასული წლის მუშაობის

შესახებ. ილია მონაწილეობს მოხსენებისა და ბანკის ზარალის დაფარვის საკითხის გამო გამართულ კამათში.

მაისის 1 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრება ილიას ერთხმად, კენჭისყრის გარეშე ირჩევს ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ. (კრების ანგარიში ქვეყნდება: დროების № 91, 92, 93-ში; ნოვოე ობოზრენიეს № 465, 466-ში; კავკაზის № 116-ში).

მაისის პირველი ნახევარი — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელიც იხილავს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს (დროება, 1885, № 99).

მაისის 14 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლის დ. სუმბათაშვილის პატივსაცემად გამართულ გამოსათხოვარ ნადიმში. ილია სიტყვით მიმართავს დ. სუმბათაშვილს (ნოვოე ობოზრენიე, 1885, № 477).

მაისის 15 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე ილიას ირჩევენ საზოგადოების თავმჯომარედ. საზოგადოების გამგეობაში ირჩევენ აკ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, გ. ქართველიშვილს, გ. იოსელიანს, ა. მირიანაშვილს, ნ. ცხვედაძეს, ვ. ყიფიანს, ეკ. გაბაშვილს, ალ. ჩოლოყაშვილს, ა. ფურცელაძეს, ალ. ჭყონიას (საისტ. მოამბე. ტ. 37—38, 1978 გვ. 9).

ივნისის დასაწყისი — გამოდის „ივერიის“ მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ნომრები. ჟურნალის ამ ნომრებში დამატების სახით ქვეყნდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთწარმოება 1884 წ. 15 მაისიდამ 1885 წ. 15 მაისამდე“, რომელსაც ხელს აწერენ: თავმჯდომარე საზოგადოებისა და კრებისა ი. მუხრანსკი, თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე და სხვ.

ივნისის შუა რიცხვები — გამოდის „ივერიის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც იბეჭდება „ასული ფარაონისა“.

ივნისის 15 — თბილისის პოლიცმეისტერი უპატაკებს თბილისის გუბერნატორს ილიას თბილისიდან საგურამოში გამგზავრების შესახებ.

ივლისის 5 — ილია საგურამოდან ჩამოდის თბილისში.

ივლისის 8 — თბილისის პოლიცმეისტერი პატაკს აძლევს თბილისის გუბერნატორს ილიას საგურამოდან თბილისში ჩამოსვლის შესახებ.

აგვისტო — გამოდის „ივერიის“ მეშვიდე ნომერი (ცენზ. ნებართვა 28 ივლისი).

მასპინძლობს გერმანიიდან მეორედ ჩამოსულ არტურ ლაისტს, რომელიც ილიას საჩუქრად გადასცემს მიუნხენში გამოცემულ წიგნს „გოეთეს გალერია“ წარწერით: „ბატონ თავად ილია ჭავჭავაძეს ნიშნად პატივისცემისა. არტურ ლაისტი. თბილისი. 1885“.

ამ წელს არტურ ლაისტი იწყებს ქართველ პოეტთა ნიმუშების თარგმანს საგურამოში ილიასთან ყოფნის დროს, მისივე წინადადებითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

„ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორთავენი გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს... ილია სადეკლამაციო ტონით ლექსებს ლექსებზე მიკითხავდა... ილია ხშირად შეწყვეტდა ხოლმე თარგმნას...“ (არ. ლაისტი, საქართველოს გული. 1963, გვ. 4).

აგვისტოს 7 — ახალი ათონის ბერი ბენედიქტე (ერობაში ბარკალაია) ილიას უძღვნის ა. კალინოვსკის წიგნს (Где правда? История Афонского Иверского монастыря. СПб., 1885) წარწერით: „Его сиятельству Илье Григорьевичу Чавчавадзе. С надеждою на благосклонное внимание и милостивое содействие Вашего Сиятельства препровождает смиренный раб старец Венедикт поверенный Афонского Грузинского братства. С.-Петербург, 7 августа 1885 года“.

აგვისტოს 22 — გაზეთ „დროების“ გამომცემელი გ. ქართველიშვილი თხოვნით მიმართავს ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს და კავკასიის მთავარმმართველობას ივანე მაჩაბლის გადაყენების გამო „დროების“ რედაქტორად ილია ჭავჭავაძის დამტკიცების შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 9, 1956, გვ. 366—367).

ამავე დღეს ილიას განცხადება შეაქვს ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოში გაზეთ „დროების“ რედაქტორად მისი დამტკიცების შესახებ.

„Принимая на себя заведывание изданием газеты „Дроэба“ в звании ответственного редактора, имею честь заявить о том Главному управлению по делам печати и покорнейше просить об утверждении меня в этом звании“ (საისტ. მოამბე. ტ. 9, 1959, გვ. 367).

აგვისტოს 28 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი წერილობით აცნობებს მთავარმმართველობის კანცელარიას თავის მოსაზრებას გაზეთ „დროების“ ილია ჭავჭავაძისათვის გადაცემის არასასურველობის შესახებ.

„... Передача „Дроэба“ кн. Чавчавадзе отнюдь нежелательна по следующим соображениям. Хотя редактором издателем „Иверии“ является кн. Чавчавадзе, как известно цензуре, кн. Мачабели

принимает столь близкое участие в издании этого журнала, что тон и направление "Дроэба" и "Иверии" в общем аналогичны. Если „Иверия" не вызывала таких нареканий, как „Дроэба", то потому, что кн. Чавчавадзе не прибегал никогда к тем недостойным выходкам, которые позволяли себе „Дроэба"... Нет сомнения в том, что он не устранит кн. Мачабели от ближайшего участия в заведывании газетою "Дроэба" и предполагаемая передача, в сущности, будет совершенно фиктивна" (სისტ. მოამბე. ტ. 9, 1956, გვ. 368-369).

— წერილს უგზავნის დიმიტრი ყიფიანს მისი იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლად დამტკიცების გამო.

„მოწყალეო ბატონო, დიმიტრი ივანეს-ძე! სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოდ ჩვენთვის. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადემეტება, მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ რომ გარემოებამაც ხელი მოგიწყოთ და სურვილნი თქვენნი აღგასრულებინოთ... ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგეცესთ უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიც თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ" (თსკ, ტ. X, გვ. 105—106).

სექტემბრის 3—4 (?) — მადლობის წერილს ღებულობს დიმიტრი ყიფიანისაგან.

„უძვირფასესო თავადო ილია გრიგოლის ძევ!

ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან, და რაც თქვენგან მე გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილისათვის მადლობა ხომ სწორედ გულის სიღრმიდგან არის ამოსაღები და შემოსაწირავი.

გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა და გულდამშვიდებული მოველი ხეობიდამ გამოხმაურებას.

მაშინ იმისი იმედიც მექნება, რომ საზოგადოებას საწუხრად მაინც არ დაურჩეს ჩემი წინ წამოყენება და არც თქვენ დაგანანებინოთ აგრეთი მხურვალე მოლოცვა" (იქვე, გვ. 506).

სექტემბრის 15—17 (?) — მონაწილეობს გაზეთ „დროების" დახურვის გამო მოწყობილ კრებაში, რომელიც გაიმართა იოსებ მელიქიშვილის სახლში („დროების" უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1885 წ. 14 სექტემბერს). კრება ღებულობს გადაწყვეტილებას — ჟურნალი

„ივერია“ გადაკეთდეს ყოველდღიურ გაზეთად. ამავე კრებაზე წარმოებს საუბარი „დროების“ ვალების გადახდის თაობაზე: დგება კომიტეტი, რომელმაც უნდა გამოძებნოს „დროების“ ვალების გადახდის საშუალებები. ილია კისრულობს ამ კომიტეტის თავმჯდომარეობას.

„გაზეთის დახურვის უმალვე 50-მდე პირი შეიყარა ბ. იოს. მელიქიშვილის სადგურში, თბილისში, სოლოლაკზედ ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად. აქ დაესწრნენ თითქმის ყველანი თბილისში მყოფნი, ვინც კი ჩვენს ლიტერატურასთან დაახლოვებულია და გადასწყვიტეს ყოველ თთვიურ ჟურნალის „ივერიის“ ყოველ-დღიურ გაზეთად გარდაქმნა. აქვე ჩამოვარდა ლაპარაკი „დროების“ ვალზედ ჩემდა დაუკითხავად. ყველამ ერთხმადა სთქვა, ეგ საზოგადო ვალია და საზოგადოებამვე უნდა გადაიხადოსო... კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა თ. ილია ჭავჭავაძემ...“ (ივ. მაჩაბელი — მწყემსი, 1893, № 18, გვ. 9—10).

„... მაგრამ მაინც ჯიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული; თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს“ (თსკ, ტ. X, გვ. 108).

სექტემბრის 25 — კავკასიის საცენზურო კომიტეტში შეაქვს თხოვნა — მისცენ ცნობა იმის შესახებ, რომ მას ნება აქვს დართული ჟურნალ „ივერიის“ გამოცემისა (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 215).

ოქტომბერი — ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: ჩიტი (თარგმანი); ლოცვა; ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზედ; ნაწყვეტები „განდეგილიდან“, „აჩრდილიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „კაცია ადამიანიდან“ და „სიტყვა თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამსა სოფელს წინამძღვრიანთ კარში“ — წგ-ში: ბუნების კარი, 1885 წ. მე-5 გამოცემა.

ფრანგული გაზეთი „პარიზი“ ბეჭდავს პოემა „განდეგილის“ პროზაულ თარგმანს. თარგმანი ეკუთვნის მწერალ ქალს კანდიან-კოლონას.

„ერთს საფრანგეთის გაზეთში, სახელდობრ „Paris“-ში, 1885 წლის ოქტომბრის ერთს ნომერში დაბეჭდილია პოემა „განდეგილი“. ეს ლექსად ნაამბობი პოემა პროზად გადუღია ფრანგულად მწერალს ქალს კანდიანო-კოლონას...“ (ივერია, 1886, 11 ივნ., № 123; თეატრი, 1886, № 24).

ოქტომბრის დასაწყისი — წერილს ღებულობს დავით მესხისაგან, რომელიც ილიას ატყობინებს იმის შესახებ, რომ ქუთაისში უარს ამბობენ მიეშველნენ ივანე მაჩაბელს გაზეთ „დროების“ ვალების გადახდაში.

ოქტომბრის 3 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი, თანახმად თხოვნისა, ცნობას აძლევს ილიას, რომ მას აქვს ჟურნალ „ივერიის“ გამოცემის ნება (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 215).

ოქტომბრის 8 (?) — თხოვნას აძლევს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს და საცენზურო კომიტეტს(?) ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შესახებ.

„არზა მივეცი „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გარდაცვლაზედ. იმედს იძლევიან და არ ვიცი რით დაბოლოვდება“ (თსკ, ტ. X, გვ. 108).

— ალ. ჭყონია ნიკო ნიკოლაძეს პეტერბურგში ატყობინებს, რომ საცენზურო კომიტეტიდან წასულია ილიას თხოვნა გაზეთ „ივერიის“ გამოცემის თაობაზე და საზოგადოების სახელით თხოვს გაიგოს პასუხი (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 140).

ოქტომბრის 9 — საპასუხო წერილს უგზავნის დავით მესხს ქუთაისში. ილია გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქუთაისის საზოგადოებამ უარი თქვა „დროების“ ვალების გადახდაში მონაწილეობაზე.

„... თქვენმა წერილმა მეტად უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამხდელები ვართო გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ — ვერაფერი საბუთია. მაშ ალმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზედ დამაყენებენო?“ (თსკ, ტ. X, გვ. 107).

ნოემბრის 1 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი შუამდგომლობს ილია ჭავჭავაძეს მთავარმართებლის კანცელარიის წინაშე გაზეთ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების ნებართვის მისაცემად (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 221).

დეკემბრის 4 — ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველო მიმართვას უგზავნის კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ილია ჭავჭავაძისათვის გაზეთ „ივერიის“ ყოველდღიურად გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ (იქვე, გვ. 221).

დეკემბრის 20 — საპასუხო წერილს უგზავნის იონა მეუნარგიას პეტერბურგში. წერილს ახლებს პროგრამას ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ და თხოვს სტატიის გამოგზავნას.

„გაზეთის, „ივერიის“ გამოცემას რომ მოკიდა ხელი ილიამ, ის დიდს ფაცა-ფუცში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და — რადგანაც გაზეთში თანამშრომლობა მჭონდა აღოქმული (სხვათაშორის გაზეთში უნდა დაწყებულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორი-

ული და სამწერლო ნაკვესებ-ს ბეჭდვა, რომელზედაც ფსევდონიმად ლელო ეწერათ. თითონ სათაური „ნაკვესი“ ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა). 20 დეკ. 1885 — წელს ილია მწერდა თბილისიდამ:... შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი; 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“... 2. „აბედი“ (ი. მეუნარგია. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ. 1937, გვ. 33—34).

დეკემბრის ბოლო — გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომლებს ილია უგზავნის სტამბურად დაბეჭდილ წერილს, რომლითაც თხოვს ითანამშრომლონ გაზეთში.

წერილებს უგზავნის ალ. ყაზბეგს, სოფ. მგალობლიშვილს, ნ. ლომოურს, ეგ. იოსელიანს, დ. კარიჭაშვილს, მ. მაჩაბელს და სხვებს. წერილს თან ახლებს გაზეთის პროგრამას.

„... გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდამ 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა... თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულ გყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი“ (თსკ, ტ. X, გვ. 112—113).

დეკემბრის ბოლო რიცხვები — „ივერიის“ პირველი ნომრისათვის წერს მოწინავეს და მისალოც წერილს „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“.

დეკემბრის 30 — სადარბაზო ბარათით ეპატიჟება რაფიელ ერისთავს, თხოვს ახალ წელს ერთად შეხვდნენ.

„გთხოვთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს. ერთად მივეგებოთ ახალს წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს“ (იქვე, გვ. 86).

ანალოგიურ წერილებს უგზავნის დავით ერისთავს, აკაკი წერეთელს... „.. ახალ წლის წინა ღამეს მოგიწვიევ და პასუხად მომიტანეს — ქალაქში არ არისო“ (ი. ჭავჭავაძე, წერილი აკაკისადმი. თსკ, ტ. X, გვ. 114).

დეკემბრის 31, საღამო — „ივერიის“ რედაქციის დარბაზში ახალ წელს და გაზეთის ახალი ნომრის მოლოდინში ილია მასპინძლობს ქართველ ლიტერატორთა მეჯლისს.

„ახალი წლის ღამეს ახალი გაზეთის შესახვედრად ილიასთან ორმოცამდე კაცი შეიკრიბა, რომელთაგანაც მაგონდება: ვანო მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გიგო ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ღოღობერიძე, ასათიანი (მაშინდელი ქუთაისის ქალაქის თავი), პეტრე უმიკაშვილი და სხვ. სწორედ ღამის 12 საათზე სტამბიდან მოიტანეს დიდი ფორმატის ახალი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარი. ამ ღამეს პირველად ახალი გაზეთის სადღეგრძელო დასცალეს ღვინით სავსე ჭიქები, შემდეგ „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს და მერე კი რედაქციის რომელიღაც წევრმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა სტატიებისა და ლექსების“ (არ. ლაისტი. საქართველოს გული. 1963, გვ. 57).

„... არც ერთს საჩუქარზე არ გავცვლიდი იმ სიამოვნებას, რომელიც მარგუნა ახალმა წელმა. მე ჩემის თვალით ვნახე, თუ როგორ დიდის ხნით დადუმებულმა საბეჭდავმა მაშინამ, ხელახლად აატრიალა თავის ბორბლები და სიხარულის გრგვინვით გადმოისროლა პირველი ნომრები ახალი გაზეთისა. ვნახე ისიც, თუ როგორ შამოჰყვა ეს ჩვენი ყველა სატრფოზე უტკბესი სატრფო პაწია ახალ წელს რედაქციის დარბაზში, სადაც ამ დროს ყველა ჩვენი ლიტერატურისათვის გულ შემატკივარ ქართველთათვის მეჯლისი იყო გამართული, გავიგონე ის ტაშის კვრა, ის სიხარულის კიჟინა, რომელმაც თითქო აიტანა ზევით ერთი სახლი ახალბებუთოვის ქუჩაზე. უხუცესმა და „უუტოლუმბაშესმა“ ჩვენმა პოეტმა, რაფიელ ერისთავმა, კისრად აიღო ახლად-შობილის მონათვლა, ასხურა მას „მილით მოსაყვანი“ ყვარელის ღვინო, მოაყარა ზედ მარილი და დალოცა ექსპრომტით ნათქვამი ლექსებით. ამგვარი ლექსები ამ სამახსოვნო საღამოს ბუზებსავით დაჰფრინავდნენ სუფრაზედ...“ (ილ. ხონელი —ივერია, 1886, № 3).

*

* *

ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოიცა „Доклад Правления Тифлисского Дворянского Земельного Банка общему собранию о действиях банка в течении одинадцатого отчетного 1885 года“.

— ადგენს ხიზანთა დებულების პროექტს და (სტამბურად დაბეჭდილს) წარადგენს მთავარმართებლის საბჭოში დასამტკიცებლად.

— წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სწირავს 10 ცალ ქართლის ცხოვრებას, 2 ცალ სიტყვის კონას, 9 ხელნაწერს.

იანვრის 1 — გამოდის გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

1886 წ. გაზეთ „ივერიას“ 596 ხელისმომწერი ჰყავს, მათ შორის თბილისში 115, ქუთაისში 112, რუსეთში 32, საზღვარგარეთ 3.

„ივერიის“ რედაქცია... კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე მარცხენა კარებს შეუყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის უკანა, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი — პატარა ტანის ოთახი — სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს — პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადის სურათებით აჭრელებული ჰერი ოთახისა. ჰერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები მეფის ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა, მურილლიოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, სტოლებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას“ (ი. მეუნარგია. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ. 1937, გვ. 35—36).

„ივერიის“ პირველი ნომერი იხსნება ილიასეული მოწინავეთი — „ტფილისი, 31 დეკემბერი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: ივერიის წინასიტყვაობა. ყოველდღიური გაზეთი ივერია № 1).

ამავე ნომერში ილია (ასტრონიმით — სამი ვარსკვლავი) აქვეყნებს საახალწლო მილოცვას — „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“.

1886-1887 წლებში „ივერიაში“ ილია თითქმის ყოველდღიურად ბეჭდავს წერილს.

„თითქმის ნომერი არ გამოსულა, რომ მისი მეთაური ან სხვა რამ წერილი არ ყოფილიყოს დაბეჭდილი, და მერე როგორი წერილი! ზოგიერთი მაინც პირდაპირ სახელმძღვანელო ქრისტომატიაში დასაბეჭდი, ისე იყო ხოლმე შემუშავებული გარეგნობით და შემკული შინაარსით“ (ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 1. 1914. გვ. XLVI).

„ილიკოს ნაწერებს ვკითხულობ; ძალიან ჰკვიანათ არის დაწერილი, მაგრამ რა ვქნა, ხელოვნება აკლია, შთაბეჭდილებას ვერ იქონიებს... მკითხველზე... რაც შეეხება შინაარსს, მსჯელობას, საბუთს, ილიკოს ნაწერს ნაკლი არ მოეპოვება...“ (ნ. ნიკოლაძე, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები. ტ. 1, 1947, გვ. 194).

იანვრის 2 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი წერილობით მიმართავს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს გაზეთ „ივერიის“ პროგრამის ცენზურის ნებადაურთველად დაბეჭდვის გამო და მოითხოვს მესტამბე ექ. ხელაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 228—229).

იანვრის 5 — ილია წერილით მიმართავს აკაკი წერეთელს და თხოვს ითანამშრომლოს გაზეთ „ივერიაში“.

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უყლიდი, არ ეკარებოდი: ეგ ჩემთვის თუმცა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, — იქნება ჩემი მიმართულება არ მოჰსწონს-მეთქი... რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“. დღესაც ამ ყოფაში ვარ შენ წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი...

... უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი, მაინც და მაინც გთხოვ — დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“ (თსკ, ტ. X, გვ. 114-115).

იანვრის 5 — „ივერიის“ № 3-ში ილია აქვეყნებს დ. ერისთავის ნაკვესს (ექსპრომტები ახალი წლის ღამეს ნათქვამი „ივერიის“ რედაქციაში). ექსპრომტების ადრესატებია რაფ. ერისთავი, „ივერია“ და ილია.

„ივერიას“

ამაღამა იშვა ბავშვი
ილიამ ჰრქვა „ივერია“.
მეტად დიდი გამოვიდა
ხონელიც ვერ მოერია;

სტამბაშიაც ძლივს მოაწყეს,
ხელაძესაც აერია —
ერთის შიშით კანკალებდა
არ წაპილწოს ნომერია

მაგრამ იშვა... კვლავ ვისურვოთ
ქართველის ქონდეს მას ფერია,
იმდენ ხანსა იდღეგრძელოს,
რომ ვიძახდეთ: რა ბერია!...

ილიას

ღმერთმა ინებოს, ილია,
არ მოგერიოს ძილია
და კარგათა გაგეზარდოს
ეს მამისერთი შვილია!

იანვრის 8 — გაზეთი „ივერიის“ № 4 გამოდის ილიასეული მოწინავეთი — „ტფილისი, 7 იანვარს“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ქალი მასწავლებელი“).

იანვრის 10 — „ივერიის“ № 6-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 9 იანვარს“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: “ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“).

იანვრის 11 — „ივერიის“ № 7-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 10 იანვარს“ [ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ].

იანვრის 12 — „ივერიის“ № 8-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 11 იანვარს“ [სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საქართველოს წარმომადგენლის ტიხიევის გეგმა გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისათვის].

— ილ. ხონელის [ბახტაძის] „სახელდახელოს“, მიძღვნილი გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძისადმი.

იანვრის 15 — „ივერიის“ № 10-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 იანვარს“ [ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოთა მდგომარეობა].

იანვრის 17 — „ივერიის“ № 12-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 იანვარს“ [უცხო სიტყვების დაბოლოების შესახებ ქართულში].

ამავე დღეს გამომცემელი ვარლამ ჭილაძე ქუთაისიდან პეტერბურგში წერილით ატყობინებს ნიკო ნიკოლაძეს ილიასთან დადებულ პირობას მისი ნაწერების გამოცემის შესახებ (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 184).

იანვრის 18-19 — „ივერიის“ №№ 13-14-ში იბეჭდება ილიას მოწინავეები „ტფილისი, 18 იანვარს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: პოლიაკების განდევნა პრუსიიდამ“). დასასრულს აქვეყნებს „ივერიის“ № 24, 26-ში.

იანვრის 21-23, 25 — „ივერიის“ № 15-17, 19-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 20 იანვარს — ტფილისი, 25 იანვარს“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „შინაურ საქმეთა“ გამო“).

იანვრის 28 — „ივერიის“ № 21-ში ილია აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 27 იანვარს“ [გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ].

იანვრის ბოლო და შემდეგ — ჟურნალი „თეატრი“ № 4-ში და შემდეგ (№ 6, 7, 8 და ა. შ.) აქვეყნებს განცხადებას, რომ გრიბოედოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება „სურათები ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე... მხატვრობა ა. ბერიძისა...“.

თებერვლის 1 — „ივერიის“ № 25-ში ილია ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 31 იანვარს“ [სლავიანოფილ ივ. ს. აქსაკოვის მოძღვრების შესახებ].

— გაზეთი „თეატრი“ № 5 აქვეყნებს წერილს („მთიულის“ ხელმოწერით) „ყოველდღიური გაზეთი „ივერია“.

თებერვლის 5 — „ივერიის“ № 28-ში ილია აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 4 თებერვალი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“).

თებერვლის 13-28 — „ივერიის“ №№ 35—46-ში ილია აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 13 თებერვალს — ტფილისი, 27 თებერვალს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ევროპა 1886 წელს“).

თებერვლის 16 — მონაწილეობს ქართული დრამატული დასის წარმოდგენა „მეფე ლირში“. ილია ასრულებს კენტის როლს.

„... 1886 წლის 16 თებერვალს, როცა შექსპირის ლირი „დიდ სცენაზე“ თვით მწერლების მონაწილეობით დაიდგა, ილიას შეუსრულებია კენტის როლი, ხოლო დანარჩენი სახეები განუხორციელებიათ: ლირი — კოტეყიფიანს, ხუმარა — კოტე მესხს, კორდელია — მაკო საფაროვ-აბაშიძისას, ედგარი — ვასო აბაშიძეს, ედმუნდი — ალექსანდრე ყაზბეგს“ (გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და პოეზია.

ნაწ. 1, 1983, გვ. 110; ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. 1952).

თებერვლის 22 — გაზეთი „თეატრი“ № 8 ბეჭდავს დავით სოსლანის [კეზელის] ფელეტონს „მე თუ ჩვენ? შენ თუ თქვენ?“, რომელიც მიმართულია „ივერიისა“ და მასში დაბეჭდილი ილიასეული ფელეტონების წინააღმდეგ (დასასრული № 9-ში).

მარტის 1 — „ივერიის“ № 47-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 28 თებერვალს“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“).

მარტის 2 — „ივერიის“ № 48-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 მარტს“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“).

მარტის დასაწყისი — ილიას თაოსნობით სტამბურად იბეჭდება ცენზურის მიერ ნებადართული უწყება (შეტყობინება), რომელიც „ივერიის“ რედაქციაში 8 მარტის სხდომის მონაწილეებს აცნობებს, რომ სხდომის მონაწილეებმა უნდა განიხილონ სალიტერატურო ქართულის სადავო საკითხები. ასეთი შეტყობინება გაეგზავნა ალ. ჭყონიას, იაკობ გოგებაშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ივ. მაჩაბელს და ქართული ენის სხვა მცოდნეებს.

„მოწყალეო ბატონო იაკობ სვიმონის ძე,

გთხოვთ მობრძანდეთ მარტის 8, შაბათს საღამოს „ივერიის“ რედაქციაში განსახილველად საგრამმატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად.

რომ წინადვე ცნობილ იქმნას რა და რა საგანზედ იქმნება სჯა, თვითეულს საგანს აქავ გავუწყებთ“... (ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. 1939. გვ. 18—19; იხ. აგრეთვე; ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 120).

მარტის 4 — „ივერიის“ № 49-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 მარტს“ [გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ].

მარტის 5-6 — „ივერიის“ № 50, 51-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 5 მარტს — ტფილისი, 6 მარტს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „კახეთის რკინისგზა“).

მარტის 8 და შემდეგ (?) — „ივერიის“ რედაქციაში ილიას თაოსნობით ტარდება ქართული ენის მცოდნეთა თათბირი სალიტერატურო ქართულში სადავო საკითხების მოსაგვარებლად.

„... თქვენი ფრიად საყურადღებო წერილი არ დავბეჭდეთ, იმიტომ, — რომ მაგ საგრამატიკო საგანზედ ბევრი სხვა წერილებიც მოგვივიდა და გაზეთი ამდენს წერილებს ერთსა და იმავე საგანზედ ვერ აუვიდოდა ისე, რომ მკითხველები არ შეეწუხებინა. ჩვენ ვარჩიეთ შეგვეკრიბნა, რამოდენადაც შესაძლოა, ქართულის ენის მცოდნენი და ყველა საცილობელი საგრამმატიკო საგნები გაგვერკვია. ამას უკვე შევუდეგით კიდეც და თქვენი წერილიც ქართულის ენის მცოდნეთა კრებას თავის დროზედ წარედგინა სხვათა შორის განსახილველად. ამა კრებათა ნაღვაწი და ნაკვლევი თავის დროზედ ვფიქრობთ დავბეჭდოთ“ (ივერია, 1886, 27 მარტი, № 68, გვ. 4).

ამავე დღეს „ივერიის“ № 53-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 8 მარტს“ [გლადსტონი და ბისმარკი].

მარტის 9 — გაზეთი „თეატრი“ (№ 10) ბეჭდავს დ. სოსლანის [კეზელის] „წერილი მეგობართან“, რომელშიც მოცემულია „ივერიის“ მიმართულების კრიტიკა, იწუნებს გაზეთის ლიტერატურულ ნაწილს, განსაკუთრებით განყოფილებებს „დამაკვირდის“ და „ნაკვესს“.

მარტის 11 — „ივერიის“ № 55-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 10 მარტს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „მუშათა ყოფაცხოვრების საქმე ევროპაში“).

მარტის 12-16 — „ივერიის“ № 56, 57, 59, 60-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 11 მარტს — ტფილისი, 15 მარტს“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“).

მარტის 18 — „ივერიის“ № 61-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 მარტს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ბალკანეთის საქმეები“).

მარტის 19 — „ივერიის“ № 62-ში ბეჭდავს მოწინავეს—„ტფილისი, 18 მარტს“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“).

მარტის 25-აპრილის 6 — „ივერიის“ № 67—77-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 24 მარტს — ტფილისი, 5 აპრილს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ირლანდია და ინგლისი“).

მარტის 30 — გაზეთი „თეატრი“ (№ 12) ბეჭდავს დ. სოსლანის [კეზელის] იუმორისტულ წერილებს — „ნახე ბიჭი“ და „ქართული გაზეთის რედაქციაში. (სიზმარი)“, რომლებიც მიმართულია „ივერიისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ.

აპრილის 6, 13 — გაზეთი „თეატრი“ (№ 13, 14) აქვეყნებს „ივერიისა“ და ილიას საწინააღმდეგოდ მიმართულ სილოვან ხუნდაძის წერილს — „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“.

აპრილის 9 — „ივერიის“ № 79-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 8 აპრილს“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“).

აპრილის 10 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაადგინა სახსრების გასაძლიერებლად გამართოს სალიტერატურო და სასიმღერო საღამო. წამკითხველებად ირჩევენ: ილიას, აკაკის, რაფ. ერისთავს, გ. თუმანიშვილს, არ. ჭუთათელაძეს. ილიას ანდობენ მოჭიდავე ესებუას და გამოჩენილ მომღერალთა მოწვევას კახეთიდან.

„ივერიის“ № 80-ში ილია ლარიძის ფსევდონიმით ბეჭდავს „დამაკვირდი... ამოწვდილს ხმალსა მტრისასა...“.

აპრილის 13 — „ივერიის“ № 81-ში აქვეყნებს მოწინავეს—„ტფილისი, 13 აპრილს“ [სააღდგომო ფელეტონი].

აპრილის 16 — მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეოდ ილია პირადად და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით მისალოც დეპეშებს უგზავნის მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს, არმენოლოგ ნიკიტა ოსეფის ძე ემინს.

აპრილის 18 — „ივერიის“ № 83-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 აპრილს“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „დასავლეთის ეტიკეტი).

აპრილის 20 — „ივერიის“ № 85-ში ილია ლარიძის ფსევდონიმით ბეჭდავს — „დამაკვირდი... ხმალი იმოდენს ვერას იქმს...“.

გაზეთი „თეატრი“ (№ 14) ბეჭდავს ვინმე „მთიულის“ ხელმოწერით სატირულ ფელეტონს „კისრული“, რომელიც მიმართულია „ივერიის“, მისი რედაქტორის და გაზეთის თანამშრომლების წინააღმდეგ.

ამავე ნომერში ქვეყნდება სატირა „თეატრის „დეპეშა“ (საიქიოდან) გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს და მის თანამშრომლებს“, რომელშიც ასევე მოცემულია „ივერიის“ ენის დაცინვა.

აპრილის 25 — „ივერიის“ № 89-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 24 აპრილს“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „ახალი დასის მოლოდინში“).

აპრილის 27 — „ივერიის“ № 91-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 26 აპრილს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი“).

გაზეთი „თეატრი“ (№ 15) აქვეყნებს რ. ალისუბნელის [ჩიკვაიძის] წერილს „ჩვენ პუბლიცისტებთა მიმართ“, რომელიც მიმართუ-

ლია „ივერიის“ თანამშრომლის ი. ხონელის და ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

მაისის დასაწყისი — თავმჯდომარეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებას (კრების ანგარიში ქვეყნდება „კავკაზის“ № 125-ში).

მაისის 4 — „ივერიის“ № 97-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 2 მაისს“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ჩვენი ხალხი და განათლება“).

„ივერიის“ ამავე ნომერში ილია ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი... კეთილშობილთ მტერთა შორის...“

მაისის 6 — „ივერიის“ № 98-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 5 მაისს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ნავთის ბაჟი“).

— ილია ესწრება „რევიზორის“ საიუბილეო წარმოდგენას და დრამატული საზოგადოების მიერ მოწყობილ გოგოლის საღამოს.

„... 6 მაისს გამართა დღეობა გოგოლის სახსოვრად... ჩვენ აქ არ გვინდა შევეხოთ არც იმ საღამოს მოწყობილობას, მორთულობას, არც თვით „რევიზორის“ წარმოდგენასა“ (თსკ, ტ. III, გვ. 87).

მაისის 8 — გაზეთი „კავკაზი“ (№ 121) ბეჭდავს მოწინავეს, რომელიც გამოწვეულია ილიას წერილებით — „ხიზნების საქმე“.

მაისის 9 — „ივერიის“ № 100-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 8 მაისს“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „გოგოლის „რევიზორის“ საიუბილეოდ“).

„ივერიის“ ამავე ნომერში ილია ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი... შუბი დიდია და მძლავრი...“.

მაისის 11, 13, 14 — „ივერიის“ № 101—103-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 10 მაისს —ტფილისი, 13 მაისს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო“).

მაისის 17, 20 — „ივერიის“ № 105, 107-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 16 მაისს, ტფილისი, 19 მაისს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“).

მაისის 21 — „ივერიის“ № 108-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 მაისს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი“).

მაისის 22 — „ივერიის“ № 109-ში ადგილს უთმობს დიმიტრი ყიფიანის გამოხმაურებას („წერილი რედაქტორის მიმართ“) „ივერიის“

13 და 14 მაისის ნომრებში ილიასეულ მოწინავეებზე ტფილისის საადგილმამულო ბანკის გარშემო.

მაისის 24 — „ივერიის“ № 110-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 23 მაისს“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „ხიზნების საქმე. ნარკვევი მეორე. შესავალის მაგიერ. „კავკაზი-ს“ წერილების გამო“).

„ივერიის“ ამავე ნომერში ბეჭდავს აკაკი წერეთლის პოლემიკურ წერილს — „ბანკის გამო“.

მაისის 25, 27-29, 31 — ივნისის 1 — „ივერიის“ №№ 111—116-ში მოწინავეების სახით („ტფილისი, 24 მაისი — ტფილისი, 31 მაისი“) ბეჭდავს პოლემიკურ წერილებს ტფილისის საადგილმამულო ბანკის გარშემო (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“).

მაისის 29 — „ივერიის“ № 114-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს შეკითხვებს ბანკის საქმეების გარშემო — „ცალკე საკითხავები ბ-ნი დიმიტრი ყიფიანის წერილის გამო“.

ივნისის 1 — „ივერიის“ № 116-ში აქვეყნებს დიმ. ყიფიანის საპასუხო წერილს ბანკის საკითხებზე — „ბატონო რედაქტორო!“.

ივნისის 4, 6 — „ივერიის“ № 117, 119-ში ილია ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი... სიკეთით სძლიე შენს მტერსა... წუთისსოფელი ესეა...“.

ივნისის 7—11 — „ივერიის“ №№ 120—123-ში მოწინავეების სახით („ტფილისი, 6 ივნისს — ტფილისი, 10 ივნისს“) აგრძელებს პოლემიკური წერილების ბეჭდვას (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“).

ივნისის 12 — „ივერიის“ № 124-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 11 ივნისს“ [ევროპის სახელმწიფოთა მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა].

„ივერიის“ ამავე ნომერში გამოქვეყნდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ საქმეთ წარმოება 1885 წლის 15 მაისიდამ 1886 წლის 15 მაისამდე. გაგრძელება დაიბეჭდა „ივერიის“ № 125—128, 135, 142, 143, 146-ში.

ივნისის 21 — „ივერიის“ № 132-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 ივნისს“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“).

ივნისის 22 — „ივერიის“ № 133-ში ბეჭდავს ლუარსაბ წამებულისადმი მიძღვნილ მოწინავეს — „ტფილისი, 21 ივნისს“.

ივნისის 26 — „ივერიის“ № 136-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 25 ივნისს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“).

„ივერიის“ ამავე ნომერში ადგილს უთმობს დიმიტრი ყიფიანის პოლემიკურ წერილს („ბატონო რედაქტორო“) ბანკის გარშემო ილიას მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილების გამო.

ივნისის 27 — „ივერიის“ № 137-ში შენიშვნებით ბეჭდავს აკაკი წერეთლის წერილს — „ბ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ“.

„ივერიის“ ამავე ნომერში ილია ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი... ვაქკაცთ ცრემლს რად უძრახვენ...“.

ივნისის 28, 29 — ესწრება გამოცდებს სოფელ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

„ამ თთვის 28 და 29 ეგზამენი იყო წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში. ჩვენ დავესწარით ამ ეგზამენებსა და შეგვიძლიან თამამადა ვსთქვათ, რომ ეს სამეურნეო სკოლა ერთი საუკეთესო სკოლაა და ძალიან კარგადაც არის მოწყობილი. ყმაწვილებს დიდი წარმატება გამოუჩენიათ. ვისაც ბეჯითად უსწავლია და გადავიდა შემდეგს განყოფილებაში, ჯილდოდ მიიღო ქართული საკითხავი წიგნი. ამ სკოლაზედ ხვალ დაწვრილები[თ] მოვილაპარაკებთ“ (ივერია, 1886, 1 ივლ., № 140).

„იყო 10 საათი, ეგზამენი უკვე დაწყობილიყო.... საპატიო სტუმართ შორის იყო: უახლოესნი მემამულენი: კნ. ო. ჭავჭავაძისა, ილია ჭავჭავაძე და სვიმონ დიმიტრის-ძე სტაროსელსკი. სხვათა შორის ეგზამენებს დაესწრნენ: სამხედრო სასამართლოს მოხელე პოლკოვნიკი კრინიცკი, ივანე ეგნატეს ძე პოლტარაცკი, გაბაშვილი, წიგნების მბეჭდველი პატივცემული ზ. გრიქუროვი და კიდევ სხვანი“ (ივერია, 1886, 2 ივლ. № 141).

ივნისის 29 — „ივერიის“ № 139-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 28 ივნისს“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“).

ივლისის 1 — „ივერიის“ № 140-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 30 ივნისს“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმება“).

ივლისის 2 — „ივერიის № 141-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 1 ივლისი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „წინამძღვრიანთკარის ქართული სამეურნეო სკოლა“).

„ივერიის“ ამავე ნომერში ილია ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი... ვაჟკაცად იმას არ ვაქებ...“.

ივლისის 5, 6, 8, 9, 12, 13, 15, 17—„ივერიის “ № 144—147, 150—152, 154-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 4 ივლისი — ტფილისი, 8, 11—14, 16 ივლისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან“).

ივლისის 11 — „ივერიის“ № 149-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 10 ივლისი“ [ახალგაზრდობის სასწავლებლად საფრანგეთში გაგზავნის შესახებ].

ივლისის 16 — „ივერიის“ № 153-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 ივლისი“ [საფრანგეთის სამხედრო მინისტრის გენერალ ბულანჟეს შესახებ].

ივლისის 17 — ესწრება წმინდა მარინეს დღესასწაულს ავლაბრის სამრევლო სკოლაში (?).

„17 ივლისს ჩვენ დავესწარით წმინდა მარინის დღეობას ავლაბარში, სადაც სამრევლო სკოლაა გამართული. ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოზმა ალექსანდრემ სწირა სხვა არხიმანდრიტებთან ერთად. წირვაზე ქართველნი მგალობელნი გალობდნენ. წირვა რომ გათავდა ამ ეკკლესიის მღვდელმა მ. სოლომონ შოშიევმა, რომელსაც არა-მცირე ღვაწლი მიუძღვის სამრევლო სკოლის წინაშე, იქადაგა წმინდა მარინეზე. სხვათა შორის ქალების ზნეობაზე ილაპარაკა და ბოლოს სთქვა, რომ ამ ეკკლესიის სამრევლო სკოლას შეძლება და სახსარი ძალიან ნაკლებადა აქვსო, მრევლის ვალია დაეხმაროს თავის სკოლასაო“ (ივერია, 1886, 19 ივლ. № 156).

ივლისის 18 — „ივერიის“ № 155-ში ილია ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი... კაცად მაშინ ხარ საქები...“.

ივლისის 19 — „ივერიის“ № 156-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 18 ივლისი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“).

ივლისის 20, 22 — „ივერიის“ № 157, 158-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 19 ივლისი, ტფილისი, 21 ივლისი“. (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ომის საფრთხის წინ“).

ივლისის 22 — გაზეთ „თეატრის“ № 25-ში ქვეყნდება ალ. კვალიაშვილის „წერილი რედაქტორთან“ აკაკი წერეთლის წერილის „ბანკის გამო“ და ილიას მოწინავეების გამო ქართული საადგილმამულო ბანკის გარშემო. ალ. კვალიაშვილის წერილის დასასრული დაიბეჭდა „თეატრის“ № 26-ში.

ივლისის 24 — „ივერიის“ № 159-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 23 ივლისი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი. ძველ-ქართულ ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა აღწერის საჭიროებაზე“).

ივლისის 26 — საგურამოში მასპინძლობს ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს: ილია ოქრომჭედლიშვილს, ილია წინამძღვრიშვილს, ილია ბახტაძეს, გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ჭყონიას, გიორგი ქართველიშვილს, სოლიკო და მიხეილ მაჩაბლებს, დიმიტრი ბაქრაძეს, პეტრე უმიკაშვილს, რომლებიც თათბირობენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სტამბის შეძენის საკითხზე. თათბირის მონაწილენი აფორმებენ ოქმს:

„სტამბა ისე კარგად მოეწყოს, რომ სტამბამ თავისი თავი შეინახოს და მოგებაც იძლიოს. თანხაც რაც დაჯდება — ამგვარი სტამბა განისაზღვროს 15 ათასი მანეთით და არა უმეტესი... ამ სტამბის მოწყობისათვის ფულის შემოტანას გვპირდებიან ი. ოქრომჭედლიშვილი და გ. ქართველიშვილი“ (საისტ. მოამბე, ტ. 37—38, 1978, გვ. 71—72).

ივლისის 29 — ილიას ხელმოწერით „ივერიის“ № 163-ში ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისა 1 ივლისისათვის 1886 წელსა“.

ივლისის 31 — „ივერიის“ № 165-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 30 ივლისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა. ლითოგრაფიის ქვის მადნის აღმოჩენის გამო“.

აგვისტოს 1—„ივერიის“ № 166-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 31 ივლისი“ [„ენისლელების საქმის“ შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ არეულობასა და მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევაში].

— ამავე ნომერში ქვეყნდება დიმიტრი ყიფიანის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც მიმართულია საადგილმამულო ბანკის გარშემო ილიასეული მოწინავეების წინააღმდეგ.

აგვისტოს 3, 5, 6, 10, 12—14, 17, 19, 21 — „ივერიის“ № 168—170, 173—176, 178, 179, 181-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 2 აგვისტო — ტფილისი, 20 აგვისტო“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „ხიზნების საქმე. ნარკვევი მეორე. „კავკაზი“-ს წერილების გამო“).

აგვისტოს 9 — გაზეთი „თეატრი“ (№ 30) ბეჭდავს ილიასა და აკაკის პოლემიკის გამო ალ. კვალიაშვილის წერილს „სათავად-აზნაურო ბანკების გამო“.

აგვისტოს 14 — „ივერიის“ № 176-ში ლარიძის ფსევდონიმით ილია აქვეყნებს: „დამაკვირდი... გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ...“.

აგვისტოს 19, 22 — „ივერიის“ № 179 და 182-ში ლარიძის ფსევდონიმით აქვეყნებს: „დამაკვირდი.. მადლმა სთქვა: წუთის-სოფელში... არა არ ვუქებ ვაჟკაცსა...“.

აგვისტოს 22 — „ივერიის“ № 182-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 21 აგვისტო“ [მამულების გამიჯვნის შესახებ].

აგვისტოს 24, 28 — „ივერიის“ № 184 და 186-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 23 აგვისტო, ტფილისი, 27 აგვისტო“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“).

აგვისტოს 27 — „ივერიის“ № 185-ში ილია ადგილს უთმობს ალ. კვალიაშვილის — „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც გამოწვეულია „ივერიის“ № 184-ში დაბეჭდილი ილიასეული მოწინავით.

აგვისტოს 29 — „ივერიის“ № 187-ში ლარიძის ფსევდონიმით ილია აქვეყნებს: „დამაკვირდი... ჰკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა...“.

სექტემბრის 2-5 — „ივერიის“ №№ 188—191-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 1 სექტემბერი—ტფილისი, 4 სექტემბერი“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „ხიზნების საქმე“).

სექტემბრის 6 — „ივერიის“ № 192-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 5 სექტემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საქართველოდან და კავკასიიდან ჯარისკაცთა გაწევის გამო“).

სექტემბრის 7 — „ივერიის“ № 193-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 6 სექტემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“).

სექტემბრის 12-14 — „ივერიის“ № 196—198-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 11 სექტემბერი— ტფილისი, 13 სექტემბერი“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „ხიზნების საქმე“).

სექტემბრის 16-17 — „ივერიის“ № 199, 200-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 15 სექტემბერი — ტფილისი, 16 სექტემბერი“. (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „მაჰმადიანთა გაერთების საკითხი“).

სექტემბრის 14 — ქართულ თეატრში სეზონის გახსნა. ესწრება კომედია „ეხლანდელი სიყვარულის“ წარმოდგენას.

სექტემბრის 17 — „ივერიის“ № 200-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „ქართული თეატრი“ [სეზონის გახსნა. ვ. აბაშიძის, მაქსიმიძის, ე. ჩერქეზიშვილის თამაში].

სექტემბრის 19 — „ივერიის“ № 202-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 18 სექტემბერი“ [მეთამბაქოების შესახებ].

სექტემბრის 23-24 — „ივერიის“ № 205, 206-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 22 სექტემბერი — ტფილისი, 23 სექტემბერი“. (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“).

სექტემბრის 25, 26 — „ივერიის“ № 207, 208-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 24 სექტემბერი — ტფილისი, 25 სექტემბერი“ [ინგლისელთა აზრი თურქეთის ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობის შესახებ].

სექტემბრის 28 — აქვეყნებს პირველ ჰაშნიკს „ოთარაანთ ქვრივიდან“ — „ერთი ხანა მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“ X. (ივერია, 1886, № 209).

სექტემბრის 30 — ოქტომბრის 1 — „ივერიის“ № 210, 211-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 29 სექტემბერი — ტფილისი, 30 სექტემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“).

ოქტომბრის 3 — „ივერიის“ № 212-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 2 ოქტომბერი“ [ქართული დრამატული საზოგადოების საქმიანობის შესახებ].

ოქტომბრის 5 — ქართულ თეატრში ესწრება კომედია „ბედნიერი დღის“ წარმოდგენას.

— „ივერიის“ № 214-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 4 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „იმიგრაცია საქართველოდან“).

ოქტომბრის 7 — „ივერიის“ № 215-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „ქართული თეატრი“ [თეატრის რეპერტუარი და საზოგადოება].

ოქტომბრის 9 — „ივერიის“ № 217-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 8 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორის ივანე მაჩაბელის გასამართლება“).

ოქტომბრის 14 — „ივერიის“ № 221-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 13 ოქტომბერი“ [„კავშირი სასოციალო პოლიტიკისა“ გერმანიაში...].

ოქტომბრის 16 — „ივერიის“ № 223-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 15 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე“).

ოქტომბრის 18 — „ივერიის“ № 225-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 17 ოქტომბერი“ [ქართულ თეატრში მაყურებელთა სიმცირის მიზეზებზე].

ოქტომბრის 19 — ქართულ თეატრში ესწრება ბ. ჯორჯაძის კომედიის („რასაც ვეძებდი და რა ვპოვე“) წარმოდგენას.

ოქტომბრის 22 — „ივერიის“ № 228-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 21 ოქტომბერი“ [მეაბრეშუმეობა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში].

— ხელმოუწერელ წერილს „ქართული თეატრი“ [ბარბარე ჯორჯაძის კომედიის შინაარსი და მსახიობთა თამაში].

— ქართულ თეატრში ესწრება კომედია „ცოლი მეუღლეს“ წარმოდგენას.

ოქტომბრის 24 — „ივერიის“ № 229-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „ქართული თეატრი“ [ფლოროვის კომედიის შინაარსი, მსახიობთა თამაში].

ოქტომბრის 25 — „ივერიის“ № 230-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 24 ოქტომბერი“ [მეაბრეშუმეობის შესასწავლად საზღვარგარეთ გაგზავნილ პირთა დაბრუნება. მათ მიერ წარმოდგენილი პროექტი კავკასიაში მეაბრეშუმეობის აღორძინებისათვის].

ოქტომბრის 30 — „ივერიის“ № 234-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 29 ოქტომბერი“ [მეხილეობის უნუგეშო მდგომარეობა ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ჩვენებური ხილის მნიშვნელობა რუსეთისათვის].

ოქტომბრის 31 — „ივერიის“ № 235-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 30 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ“).

ნოემბრის 2 — არწრუნის თეატრში ესწრება გ. სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალას“ წარმოდგენას.

ნოემბრის 4 — „ივერიის“ № 238-ში ბეჭდავს მოწინავეს—„ტფილისი, 3 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ნინო ბაგრატიონი. ნეკროლოგი“).

ნოემბრის 5 — „ივერიის“ № 239-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „ქართული თეატრი“.

ნოემბრის 7—8 — „ივერიის“ № 241, 242-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 6 ნოემბერი, ტფილისი, 7 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ“).

ნოემბრის 14, 16 — „ივერიის“ № 247, 249-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 13 ნოემბერი, ტფილისი, 15 ნოემბერი“ [წერაკითხვის საზოგადოების მუშაობა და წევრთა გულგრილობა].

ნოემბრის 16 — ქართულ თეატრში ესწრება ვ. აბაშიძის დრამა „შეშლილის“ და რ. ერისთავის ვოდევილ „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ წარმოდგენას.

ნოემბრის 18, 19 — „ივერიის“ № 250, 251-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 17 ნოემბერი, ტფილისი, 18 ნოემბერი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით“: „ქართული ხალხური მუსიკა“).

ნოემბრის 19 — „ივერიის“ № 251-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ქართული თეატრი“.

ნოემბრის 23 — „ივერიის“ № 254-ში და შემდგომ ნომრებში, წლის ბოლომდე, აქვეყნებს განცხადებას „ივერიის“ 1887 წლისათვის გამოცემისა და ხელმოწერის პირობების შესახებ.

— ქართულ თეატრში ესწრება მ. საფაროვას ბენეფისს.

„კვირას... ბენეფისი იყო. ჰთამაშობდნენ „დავიდარაბას“... და ახალს ვოდევილს, „ბარაქალა მასწავლებელო“-სა, თვით მობენეფისეს მიერ თარგმნილსა და გადმოკეთებულს“ (ივერია, 1886, 27 ნოემბ. № 257).

ნოემბრის 27, 28 — „ივერიის“ № 257, 258-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 26 ნოემბერი — ტფილისი, 27 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ათონის ქართული სავანის შესახებ“).

ნოემბრის 27 — ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „ქართული თეატრი“.

ლისი, 28 ნოემბერი“ [არყისა და სპირტის გამოხდის საკითხი].

ნოემბრის 30 — ქართულ თეატრში ესწრება პ. უმიკაშვილის კომედიის „ალერსთა ბადეში“ წარმოდგენას.

დეკემბრის 4 — „ივერიის“ № 263-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „ქართული თეატრი“.

დეკემბრის 7 — ქართულ თეატრში ესწრება სარდუს პიესის — „გავიყარენით“ წარმოდგენას.

დეკემბრის 8 — „კავკაზი“ (№ 326) ილიას ხელმოწერით აქვეყნებს „ივერიის“ ხელმოწერის პირობებს 1887 წლისათვის.

დეკემბრის 10, 11 — „ივერიის“ № 267, 268-ში ბეჭდავს მოწვინავეებს — „ტფილისი, 9 დეკემბერი—ტფილისი, 10 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“).

დეკემბრის 14 — ქართულ თეატრში ესწრება დ. აწყურელის სასარგებლოდ წარმოდგენილ ა. ცაგარლის „ხანუმას“ წარმოდგენას.

დეკემბრის 16 — „ივერიის“ № 272-ში ბეჭდავს მოწვინავეს — „ტფილისი, 15 დეკემბერი“ [ხანძარი ქართულ თეატრში].

დეკემბრის 17 — „ივერიის“ № 273-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „ქართული თეატრი“.

დეკემბრის 18 — „ივერიის“ № 274-ში ბეჭდავს მოწვინავეს — „ტფილისი, 17 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბულგარეთში“).

— არწრუნის თეატრში ესწრება „ჟან-ბოდრის“ წარმოდგენას.

დეკემბრის 19 — „ივერიის“ № 275-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „ქართული თეატრი“.

დეკემბრის 20, 21 — „ივერიის“ № 276, 277-ში ბეჭდავს მოწვინავეებს — „ტფილისი, 19 დეკემბერი — ტფილისი, 20 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“).

დეკემბრის 23 — „ივერიის“ № 278-ში ბეჭდავს მოწვინავეს — „ტფილისი, 22 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“).

„ივერიის“ ამავე ნომერში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „ქართული თეატრი“.

დეკემბრის 24 — „ივერიის“ № 279-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 23 დეკემბერი“ [გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობებზე].

დეკემბრის 25 — „ივერიის“ № 280-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 24 დეკემბერი“ [საშობაო ფელეტონი].

1887

იანვრის 1 — „ივერიის“ № 1-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 31 დეკემბერი“ [საახალწლო წერილი].

იანვრის 4 — „ივერიის“ № 2-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 იანვარი“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“).

„ივერიის“ ამავე ნომერში იბეჭდება რაფ. ერისთავის ლექსი „მილოცვა ახალ-წლისა („ივერიის“ რედაქტორს) გლეხისაგან... ვაჭრისაგან“.

იანვრის 6, 8 — „ივერიის“ №№ 3,4-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 5 იანვარი“, ტფილისი, 7 იანვარი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“).

იანვრის 9, 10—„ივერიის“ №№ 5, 6-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 8 იანვარი — ტფილისი, 9 იანვარი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი“).

იანვრის 11 — „ივერიის“ № 7-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 10 იანვარი“, რომელიც მიძღვნილია იასე ანდრონიკაშვილისადმი მისი ნამსახურობის 50 წლისთავის გამო (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „იასე ანდრონიკაშვილი“).

იანვრის 17 — ილიას ხელმოწერით გაზეთ „კავკაზის“ № 15-ში ქვეყნდება განცხადება გაზეთ „ივერიის“ ხელმოწერის პირობების შესახებ 1887 წლისათვის.

იანვრის 18, 20, 21 — „ივერიის“ № 12—14-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 17 იანვარი— ტფილისი, 19 იანვარი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ნავთის საქმე კავკასიაში“).

იანვრის 28 — ქართულ თეატრში ესწრება „თამარ-ცბიერის“ წარმოდგენას.

იანვრის 31 — „ივერიის“ № 23-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს სათაურით: „ქართული თეატრი“, რომელშიც მიმოიხილავს მ. საფაროვა-აბაშიძის საბენეფისოდ გამართულ სპექტაკლ „თამარ ცბიერს“.

თებერვლის დასაწყისი — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკას გადასცემს გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის კომპლექტს.

თებერვლის 7 — „ივერიის“ № 28-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 6 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი მეცნიერებისა და მეღვინეობის საჭიროებანი“).

თებერვლის 8 — ესწრება „თამარ ცბიერის“ წარმოდგენას ქართულ თეატრში.

თებერვლის 8, 10 — „ივერიის“ № 29, 30-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 7 თებერვალი, ტფილისი, 9 თებერვალი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“).

თებერვლის 10 — „ივერიის“ № 30-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს „თამარ ცბიერის“ ქართულ სცენაზე დადგმის გამო — „თუ ვისმე ოდესმე სწყურებია თვალით ნახვა მწერლობის აპოთეოზისა...“.

თებერვლის 12, 13 — „ივერიის“ № 32, 33-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 11 თებერვალი — ტფილისი 12 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო“).

თებერვლის 15 — ესწრება „ჰამლეტის“ წარმოდგენას ქართულ თეატრში.

თებერვლის 17 — „ივერიის“ № 34-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი“).

თებერვლის 18 — „ივერიის“ № 35-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი მეცნიერებისა და მეღვინეობის საჭიროებანი“).

თებერვლის 19 — „ივერიის“ № 36-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „ქართული თეატრი“, რომელშიც მიმოიხილავს შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმას.

თებერვლის 20—22, 25 — „ივერიის“ №№ 37, 38, 39, 41-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 19 თებერვალი — ტფილისი, 24 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ღვინის ქართულად დაყენება“).

თებერვლის 23 — ესწრება იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილის 50 წლისთავის იუბილეს და მიესალმება იუბილარს.

„... შემდეგ მიულოცა დღესასწაული ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სახელითა ბანკის გამგებელმა“ (ივერია, 1887, 24 თებ. № 40, გვ. 1).

თებერვლის 26 — „ივერიის“ № 42-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 25 თებერვალი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „იასე ანდრონიკაშვილი“).

მარტის 1, 4, 5 — „ივერიის“ № 44—46-ში ადგილს უთმობს ვ. ინანაშვილის გამოხმაურებას („ბატონო რედაქტორო!“) ილიასეულ მოწინავეებზე, რომლებიც შეეხებოდა ღვინის დაყენების საკითხებს ჩვენში და საზღვარგარეთ.

მარტის 1, 4—6, 8, 10, 12, 14, 18—21 — „ივერიის“ № 44—47, 49, 50,52,54, 57—60-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 28 თებერვალი — ტფილისი, 3—5, 7, 9, 11, 13, 17—20 მარტი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ღვინის ქართულად დაყენება“).

მარტის 11 — „ივერიის“ № 51-ში ადგილს უთმობს ნ. ხუდადოვის გამოხმაურებას „... სწორედ ორი თთვეა მას აქედ...“ (წერილი რედაქციის მიმართ) თავისი წერილის — „ცხოვრება და კანონის“ გამო.

მარტის 12, 13 — „ივერიის“ № 52, 53-ის ფურცლებზე აქვეყნებს ნ. ურბნელის [ნ. ხიზანაშვილი] გამოხმაურებას („კიდევ კრიტიკის უქონლობაზედ“) ილიასეულ 8 და 10 თებერვლის მოწინავეებზე.

მარტის 15, 17 — „ივერიის“ № 55, 56-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 14 მარტი, ტფილისი, 16 მარტი“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“).

მარტის 21 — არწრუნის თეატრში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე კითხულობენ ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულს“. პოემის საუკეთესო ადგილებს წარმოადგენენ ცხოველ სურათებად, მხატვარ ბაშინჯაღიანის დადგმით.

მარტის 22 — „ივერიის“ № 61-ში იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 21 მარტი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“).

ამავე ნომერში ქვეყნდება ილიას მიერ შედგენილი — „მოკლე ბიოგრაფია იოსებ დავითაშვილისა“.

— იოსებ დავითაშვილის პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნა კალოუბნის ეკლესიაში, ილია სიტყვას ამბობს.

„ჩვენი გაზეთის რედაქტორმა იოსებ დავითაშვილის მოღვაწეობაზა და მნიშვნელობაზედ სიტყვა წაიკითხა, რომელიც დაბეჭდილია „ივერია“-ში 22 მარტსა“ (ივერია, 1887, 24 მარტი, № 62, გვ. 2).

მარტის 24, 25, 28, 29-აპრილის 1, 2, 14, 16 — „ივერიის“ № 62, 63, 65, 66, 68, 69, 71, 73-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 23, 24, 27, 28, 31 მარტი — ტფილისი, 1, 13,15 აპრილი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ღვინის ქართულად დაყენება“).

მარტის 31 — მონაწილეობს საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაში, სადაც არ ეთანხმება მომხსენებელს (დინგელშტეტს) რუკებზე და შრომებში გეოგრაფიული სახელების შემოკლების საკითხში.

აპრილის (8—10?) — ილიას გარდაეცვალა სიძე — გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე საგინაშვილი.

„შაბათს, 11 აპრილს, როცა სოფელს კოდას წაასვენეს მიცვალებული გენერალ-ლეიტენანტი საგინაშვილი...“ (ივერია, 1887, 14 აპრ. № 71).

აპრილის 17 — „ივერიის“ № 74-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 აპრილი“ [საზოგადოებისა და ზნეობის საკითხებზე].

აპრილის 18, 19, 21 — „ივერიის“ № 75—77-ში მოწინავეების სახით („ტფილისი, 17 აპრილი — ტფილისი, 20 აპრილი“) ბეჭდავს კრიტიკულ წერილებს აკაკი წერეთლის მიერ „ვეფხისტყაოსანზე“ წაკითხული ლექციების გამო (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „აკაკი წერეთელი და „ვეფხის ტყაოსანი“).

აპრილის 21 — „ივერიის“ № 77-ში ადგილს უთმობს ნ. ხუდადოვის წერილს — „პასუხზე პასუხი“. წერილის ავტორი ილიას ეკამათება თემობის საკითხებზე ბოლო დროს გამოქვეყნებული წერილების „ცხოვრება და კანონის“ გამო. წერილი ქვეყნდება ილიას შენიშვნებით.

აპრილის 24 — მონაწილეობს ქალაქის საბჭოს სხდომაში, რომელზეც განიხილავენ ავლაბრელების საქმეს.

„პარასკევს საღამოს, 24-ს აპრილსა ქალაქის საბჭოში გაირჩა ერთი ფრიად საყურადღებო საქმე“ (ივერია, 1887, 26 აპრ., № 82, გვ. 1).

აპრილის 26, 28-30 — მაისის 1-3 — „ივერიის“ № 82—88-ში აქვეყნებს მოწინავეებს: „ტფილისი, 25, 27—30 აპრილი — ტფილისი, 1, 2 მაისი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ავლაბრელების საქმე“).

აპრილის 28 — სოფელ ცაიშის სკოლის მასწავლებელი თ. აშორდია დაბეზღების წერილს აგზავნის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან, რომელშიც მიანიშნებს ილიას, აკაკის და დიმ. ყიფიანის მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ.

„სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელში იკრიბებიან თითქმის ყოველთვიურად: დიმიტრი ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები და წყვეტენ საკითხს, როგორ ააჯანყონ ხალხი 1884 წლის 11 იანვრის ცირკულიარული წერილის წინააღმდეგ“ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 229).

მაისის 3 — მისალოც წერილს და ყვავილების გვირგვინს უგზავნის ვასო აბაშიძეს სასცენო მრღვაწეობის ათი წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე. ილიას წერილს იუბილარს უკითხავს და ყვავილების გვირგვინს გადასცემს ანდრია ღულაძე.

„... დიდად ვწუხვარ, რომ პატივსადები მიზეზი შემემთხვა და ამის გამო ვერ დავესწრები თქვენის ათის წლის ქართულს სცენაზედ მოღვაწეობის დღეობასა...

მოგილოცავთ დღევანდელს დღეობასა და, მოგართმევთ რა ჩემის პატივისცემის ნიშნად ამ გვირგვინსა, გისურვებ, რომ ამ ჩვენის სამშობლოს ყვავილებმა დაჰდაფნოს ჩვენის სამშობლოს სცენის დამდაფნელი არტისტი“ (თსკ, ტ. X, გვ. 391). ილიას მისალოცი წერილი გამოქვეყნდა გაზ. „ივერიის“ 1887 წ. 5 მაისს № 89-ში.

მაისის 2-5 — მონაწილეობს სათავადაზნაურო ბანკის კრებაში. კრება ისმენს წარსული წლის მუშაობის ანგარიშს, იხილავს არწრუნისეული თეატრისა და ქარვასლის ფასადის გადაკეთების საკითხს, ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას და სხვ.

მაისის 6 — „ივერიის“ № 90-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 5 მაისი“ [სახელმწიფო კრედიტის შესახებ მეღვინეობაში].

მაისის 9 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს წერილობით აცნობებს მზრუნველის განკარგულების წინააღმდეგ მიმართული წერილების შესახებ, რომლებიც მოთავსებული იყო გაზეთ „ივერიაში“ და მოითხოვს მათ ამოკრეფას ნომრების მითითებით და თარგმნით.

მაისის შუა რიცხვები 11-20 (?) — იმყოფება ქუთაისში ბანკის საქმეებზე (?).

ი. გოგებაშვილის მიერ კირილე ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ქაღალდების გამოგზავნა დაგვიანდა იმის გამო, რომ ჩვენ სრული იმედი გვქონდა ი. ჭავჭავაძისა, რომელიც ახლა ქუთაისშია. მაგრამ გუშინდელს კრებაზედ შიში აღიძრა. ვაი თუ ჭავჭავაძემ, რომელიც სრულიად სხვა საქმეზეა წასული ქუთაისშიო, ეს საგანი დაივიწყოს და მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაგვისხლტესო. მაინც და მაინც ამათი გამოგზავნით [სენაკის სკოლაში ქართული ენის სწავლების საკითხებზე] არა დაშავდება რა.

გთხოვთ ქალალდები დაგვიბრუნოთ ერთის კვირის განმავლობაში, თუნდა ი. ჭავჭავაძის ხელითა. კარგი იქნება, ვგონებთ, რომ კოპიოები გადააწერინოთ (ეს ერთი დღის საქმეა) და დაიტოვოთ მანდაც და სამეგრელოშიაც ორიოდე ეგზემპლარი გაატანოთ“ (მასალები XIX ს. 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან. 1981, გვ. 150).

მაისის პირველი ნახევარი — ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1886 წლის მაისის 15-დამ 1 იანვრამდე 1887 წლისა“. 1887. 20 გვ.

ასევე, ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის „Доклад Правления Тифлисского дворянского земельного банка общему собранию о действиях банка в течении двенадцатого отчетного 1886 года“. Тифлис, 1886. 6 с.

მაისის 17, 19 — „ივერიის“ № 96, 97-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 16 მაისი, ტფილისი, 18 მაისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ“).

მაისის 24 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების საქმიანობაში.

მაისის 27 — მონაწილეობს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წლიურ კრებაში.

მაისის 28 — „ივერიის“ № 104-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 27 მაისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი“).

მაისის ბოლო — ცალკე წიგნად გამოსცემს დ. მაჩხანელის „ძმურ სიტყვას“, რომელსაც წერილთან ერთად უგზავნის მოსკოვში ილია ჭყრომჭედლიშვილს.

„მალე დარიგდება გასასყიდად მაღაზიებში ცალკე წიგნად დაბეჭდილი თხზულება დ. მაჩხანელისა „ძმური სიტყვა“ (ივერია, 1887, 24 მაისი, № 102, გვ. 2).

ივნისის 6, 7, 10, 11—„ივერიის“ № 112, 113, 115, 116-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 5, 6, 9 და 10 ივნისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“).

ივნისის 16—„ივერიის“ № 120-ში ბეჭდავს მოწინავეს—„ტფილისი, 15 ივნისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი“).

ივნისის 24 — გიორგი თუმანიშვილი „ივერიის“ რედაქციას უძღვნის თავის წიგნს (Кавказ. Справочная книга составленная старожилом. Вып. I. Тфл., 1887), წარწერით—„ივერიის“ რედაქციას ავტორისაგან 24 ივნ. 1887 წ.

ივნისის 24, 25 — „ივერიის“ № 127, 128-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 23 ივნისი — ტფილისი, 24 ივნისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „მეველახე გლეხთა მდგომარეობა“).

ივნისის 28 — ილია მეუღლესთან ერთად ესწრება გამოცდებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში.

„კვირას, 28 ივნისს, წინამძღვარიანთ სკოლაში დანიშნული იყო ეგზამენები... სტუმართა შორის იყვნენ: კნ. ოლ. ჭავჭავაძისა, ი. ჭავჭავაძე, თ. ა. მაყაშვილი... სადილის შემდეგ შეგირდებს საჩუქრად დაურიგეს 40 წიგნი: „ძმური სიტყვა“ დ. მაჩხანელისა“ (ივერია, 1887, 3 ივლ., № 134, გვ. 2).

ივლისის 3 — „ივერია“ № 134-ში აქვეყნებს მოწინავეს „ტფილისი, 2 ივლისი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „გაზეთ „ივერიის“ მარცხი“).

ივლისის 4 — მოგზაურობს შუა ქართლის სოფლებში.

„მე დღეს მითხრეს, ილია ჭავჭავაძემ ზემოდ გაიარაო. თუ მანდ იყოს ჩემი წერილი „ივერიის“ რედაქციას წააკითხე...“ (ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. 1938. გვ. 140).

ცალკე წიგნად გამოდის აკაკი წერეთლის პასუხი ილია ჭავჭავაძისადმი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე, სახელწოდებით — „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო“.

„ამ დღეებში ბ-ნ აკაკის ცალკე წიგნად დაუბეჭდინებია ერთი პატარა თხზულება სახელად: „რამდენიმე სიტყვა...“ (ივერია, 1887, 15 ივლ. № 144, გვ. 2).

ივლისის 6—7 (?) — წერილს ღებულობს სოფრომ მგალობლიშვილისაგან (4 ივლისის თარიღით) „ივერიის“ რედაქციასთან ლიტერატურული კავშირის გაწყვეტის შესახებ „ივერიის“ № 134-ის მეთაურ წერილში მისი ფელეტონის „რამე-რუმეს“ (ივერიის № 92) კრიტიკის გამო.

ივლისის 7 — „ივერიის“ № 137-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 6 ივლისი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით — „სახასო გლეხთა მამულების გაყიდვა“).

ივლისის 9 — საპასუხო წერილს უგზავნის სოფრომ მგალობლიშვილს, „ივერიასთან“ ლიტერატურული კავშირის გაწყვეტის გამო.

„... თქვენი წერილი მივიღე და, ... ცოტა არ იყოს მეოცა“. (ა. წ., ტ. X, გვ. 121).

„ვშრომობდი სიხარულით და ხალისით ილიასთან. მაგრამ 1887 წ. წანკლიანმა ენამ დიდი უსიამოვნობა შემახვედრა სათაყვანებელ ადამიანთან, რამაც გამოიწვია ჩემი ცხარე წერილები რედაქციასთან და ილიას ბრძნული და დალაგებული წერილი ჩემ საპასუხოდ“ (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი. 1938, გვ. 133).

ივლისის 12, 14—19, 21, 22 — „ივერიის“ № 142—150-ში აქვეყნებს მოწინავეებს—„ტფილისი, 11 ივლისი — ტფილისი, 21 ივლისი“. [კრიტიკა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი წერილებისა — „საგლეხო ბანკი“].

ივლისის 29-31 — აგვისტოს 1, 2, 8 — „ივერიის“ № 155—159, 163-ში აგრძელებს მოწინავეების ბეჭდვას საგლეხო ბანკის გარშემო —„ტფილისი, 28 ივლისი — ტფილისი, 1, 7 აგვისტო“.

ივლისი-ოქტომბერი — ილია ამზადებს და ცალკე წიგნებად ბეჭდავს წიგნებს, რომლებსაც უგზავნის ი. ოქრომჭედლიშვილს.

1. ნაკვესი ანუ მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი. დაბეჭდილი „ივერიის“ რედაქციის მიერ. ტფ., ე. ხელაძის სტ., 1887. 79 გვ. 20 კ. (ცენზ. ნებართვა 25 ივლ.).

2. „დამაკვირდი. აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმულნი. დაბეჭდილია „ივერიის“ რედ. მიერ. ტფ., ე. ხელაძის სტ., 1887, III, 215, IV, გვ. 50 კ. (ცენზ. ნებართვა 12 აგვ.).

„დაიბეჭდა და ისყიდება დამაკვირდი ანუ აფორიზმები, ძველთა და ახალთა ბრძენთა“ (ივერია, 1887, 22 ოქტ., № 220 გვ. 1 და შემდეგ ნომრებში).

3. „ფშავური ლექსები შეკრებილი დავით ხიზანაშვილის მიერ“. ტფ., „ივერიის“ რედაქციის გამოცემა. 1887. 262, გვ. 40 კ.

„მე ამ წელს დავბეჭდე ოთხი წიგნი: „ძმური სიტყვა“ [დ. მაჩხანელის], რომელიც უკვე მოგართვი, „ნაკვესები“ და „დამაკვირდი“, რომელთაც ამასთანავე გიგზავნი, და „ფშავური ლექსები“, რომელიც ამ დღეებში გამოვა და შენც მოგერთვა. არა მგონია დამიწუნო, რომ დრო და ფული ამ წიგნებისათვის გამოვიმეტე. კაი გასართობი წიგნებია ჩვენებურ მკითხველებისათვის და ძალიანაც იყიდება. წარმოიდგინე, „ძმური სიტყვა“ და „ნაკვესები“ თითქმის ორ-სამს თთვეში სულ გაიყიდა და ლამის მეორე გამოცემაც მოუნდეს. „დამაკვირდი“ კი მარ-

ტო დღეს გამოვიდა სტამბიდან და ამასაც ახლავე მუშტარი გაუჩნდა“, (თსკ. ტ. X, გვ. 95).

წიგნში „დამაკვირდი“ ილიას ლარიძის ფსევდონიმით შეაქვს თავისი 14 აფორისტული თქმა (გვ. 73–75).

აგვისტოს 8 — „ივერიის“ № 163-ში ილიას ხელმოწერით ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, 1 ივლისისათვის 1887 წლისა“.

ოქტომბერი (?) — დავით ჩუბინაშვილისაგან საჩუქრად ღებულობს მის მიერვე შედგენილ ქართულ-რუსულ ლექსიკონს.

„მომივიდა ჩუბინიშვილისაგან პირველი ნაწილი შენის წყალობით გამოცემულის ლექსიკონისა. რაც შეეხება გარეგანობას, მშვენივრად არის დაბეჭდილი და შიგნით კი მუშტრის თვალით ჯერ არ ჩამიხედნია...“ (თსკ, ტ. X, გვ. 94).

„ბ-ნ ჩუბინაშვილს ტფილისში გამოუგზავნია თავისი ახალი ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც ამ მოკლე ხანში წიგნის მაღაზიებს დაურიგდება გასაყიდად“ (ივერია, 1887, 18 ოქტ. № 217, გვ. 2).

ოქტომბრის 7 — „ივერიის“ № 207-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 6 ოქტომბერი“ [გლეხთა მამულების გამოსყიდვის წესის შესახებ].

ოქტომბრის 14 — „ივერიის“ № 213-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 13 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „ბულვარის აკადემია“).

ოქტომბრის 18, 20 — „ივერიის“ № 217, 218-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 17 ოქტომბერი, ტფილისი, 19 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ყალბი და ნამდვილი“).

ოქტომბრის 22 — საპასუხო წერილს უგზავნის მოსკოვში ილია ოქრომჭედლიშვილს. ატყობინებს ქართველთა გულნატკენობას დავით ჩუბინაშვილისაგან თავისი ბიბლიოთეკის ჩუქების დაპირების შეუსრულებლობის გამო და ამისაგან მისი იუბილის შეფერხებას, უჩივის მოუცლელობას და ამის გამო წერილების პასუხების დაგვიანებას. აცნობებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გადაწყვეტილებას გამოსცეს ძველი მწერლების ნაშრომები.

„... არ იცი, რა ვაი-ვაგლახში ვარ ამ უმადურ „ივერიის“ გამო: ტყავი გამძვრა სულითა და ხორცით, ვერ ვიცლი შენებურის მიწერ-მოწერისათვის“ (თსკ, ტ. X, გვ. 94).

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დამავალა გაცნობო, რომ იგი შეუდგა ძველის მწერლების ნაშრომების ბეჭდვისათვის წიგნების მზა-

დებას, ფული კი, როგორც მოგეხსენება, იოხტურ. ამის გამო მთხოვეს მოგწერო და გკითხო: შეეწევი, თუ არა. შენი დიდი იმედი აქვთ და შენგან მოელიან საკმაო შემწეობას. ჰსურთ დაბეჭდონ მეფე თეიმურაზი, არჩილ მეფე, კარგა მოზრდილი წიგნები გამოვა... შემდგარია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის სიმართლის აღდგენა. კომისია უკვე მუშაობს და იმედოვნებს მალე მომზადდეს დასაბეჭდად. ეხლა შენღა გელოდებიან, რას იტყვი" (იქვე, გვ. 94—95).

ოქტომბრის 28 — დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი სამძიმრის წერილს უგზავნიან დიმიტრი ყიფიანის ქვრივს ნინო იაგორის ასულ ყიფიანს. წერილს ხელს აწერენ: ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე დავით ყიფიანი, თავმჯდომარე ბანკის მართველობისა ილია ჭავჭავაძე და აგრეთვე: დავით ავალიანი, ტარიელ ჯანდიერი, ალ. ჩოლოყაშვილი, ი. მაჩაბელი (დიმიტრი ყიფიანის არქივი. 1951, გვ. 11).

— თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობა ილიას წინადადებით ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის ოჯახში, სამძიმრის გამოსაცხადებლად აგზავნის ვ. გუნიას.

ოქტომბრის 30 — თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში ილიას თაოსნობით იმართება კერძო კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის წესრიგი. დაკრძალვის ხარჯებს ბანკი გაიღებს.

ოქტომბრის 31 — ნოემბრის 4, 8 — დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო „ივერიის" №№ 227, 230, 234-ში ილია აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 30 ოქტომბერი — ტფილისი, 3, 7 ნოემბერი" (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „დიმიტრი ყიფიანი").

„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული — ყველანი ერთად და თვითოეული ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში"...

„მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდი ხასიათობა იმისდა მიუხედავად, — ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე რითაც-კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის

წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა; ამი-ტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ...

აღარ არის დიმიტრი ყიფიანი! აღარ არის ის ვისაც

„ფეხი მთებს ედგა ქვეყნად,
ტინურად გამტკიცებული“.

ნოემბრის 8 — მონაწილეობს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის პროცესიაში. პოლიციას მისი გვარი შეაქვს იმ ოციოდე პირთა სიაში, რომელნიც არ ჩამოშორდნენ პროცესიას, მიუხედავად პოლიციის მკაცრი განკარგულებისა.

ნოემბრის 13 — „ივერიის“ № 238-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 12 ნოემბერი“ [ვენახების და ჭირნახულის წახდენისა და ამის საწინააღმდეგო ზომების შესახებ].

დეკემბრის 6, 7 (?) — ამთავრებს „ოთარაანთ ქვრივს“, რომელსაც კითხულობს დავით სარაჯიშვილის სახლში ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წინაშე.

„... ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძემ ხუთ დღეში დაწერა“ (არ. ლაისტი. საქართველოს გული. 1963. გვ. 12).

„საღამოს რვა საათი იქნებოდა. სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელნი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი... და კიდევ ბევრნი სხვანი“ (ი. ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. 1939, გვ. 289).

დეკემბრის 10 — „ივერიის“ № 259-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 9 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „გაზეთ „მშაკის“ გამოხდომა“).

დეკემბრის 15 — ესწრება სათავადაზნაურო ბანკის თეატრის კურთხევას.

დეკემბრის 16 — ესწრება პირველ წარმოდგენას სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ახალ შენობაში.

დეკემბრის 19 — „ივერიის“ № 267-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 18 დეკემბერი [სამკურნალო კომისიების შესახებ].

დეკემბრის 20 — „ივერიის“ № 268-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 დეკემბერი“ (თსკ. ტ. VIII-ში სათაურით: „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“).

დეკემბრის 23 — „ივერიის“ № 270-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“).

დეკემბრის 24 — „ივერიის“ № 271-ში ქვეყნდება განცხადება — „მომავალ დღესასწაულებისათვის იყიდება ნამდვილი კახური ძველი ღვინოები თ-დის ილია გრიგორის ძე ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეთა...“.

დეკემბრის 30 — „ივერიის“ № 274-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 29 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის“).

დეკემბრის 31 — „ივერიის“ № 275-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 30 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „თვითმოქმედებისათვის“).

*
* *

ლაიპციგში გამოდის არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი წიგნი სახელწოდებით „ქართველი პოეტები“ (Georgische Dichter. Verdeutsch von Arthur Leist. Leipzig, 1887, X, 150 S.).

გვ. 57—71-ზე დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა და მისი ლექსების გერმანული თარგმანი: გაზაფხული. — მტკვრის პირას. — ელეგია. — არაგვს. — ქართველის დედას. — ვიხილე სატრფო. — გახსოვს ტურფავ. — მძინარე ქალს. — შემოღამება ალაზანზე. — ქარიშხალი.

„... ლაისტმა დიდი სამსახური გაუწია თავის გერმანიელ-თანამემამულეებს მით, რომ კარი გაუღო ქართულის პოეზიისა, რომელიც დღეს აქამომდე უცნობი იყო... ყველასათვის, ვინც-კი ჭეშმარიტი მოყვარულია ლიტერატურისა, წიგნი ლაისტისა მართლა სასიამოვნო განძი იქნება“ (ივერია, 1887, 8 აგვისტო, № 163, გვ. 2).

— მასპინძლობს ინგლისელ ოლიერ უორდროპს თბილისსა და საგურამოში.

„ამა წლის სექტემბერს ლონდონში დაიბეჭდა წიგნი, რომლის სათაურიც ჩვენ ზემოთ ამოვწერეთ [მოგზაურობა უცხო კაცისა კავკასია-

ში]. წიგნში აღწერილია მოგზაურობა ახალგაზრდა ინგლისელის ბ-ნ ოლივერ უორდროპისა, რომელიც შარშანა ყოფილა საქართველოში და დაუელია ჩვენი ქვეყანა“ (ივერია, 1888, 6 დეკ. № 257, გვ. 1).

1888

იანვრის 5, 6, 8 — „ივერიის“ № 2-4-ში აქვეყნებს მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ I—VIII თავებს.

იანვრის 9 — „ივერიის“ № 5-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 8 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „კრიტიკული აზრის უქონლობა“).

იანვრის 12, 13 — „ივერიის“ № 7, 8-ში აქვეყნებს მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ IX—XIII თავებს.

იანვრის 14 — „ივერიის“ № 9-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 13 იანვარი“.

იანვრის 17 —„ივერიის“ № 11-ში აქვეყნებს „ოთარაანთ ქვრივის“ XIV—XVI თავებს.

— „ივერიის“ ამავე ნომერში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 16 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „გაზეთი „მეურნე“).

იანვრის 19 — „ივერიის“ № 12-ში აქვეყნებს „ოთარაანთ ქვრივის“ XVII—XVIII თავებს.

— „ივერიის“ ამავე ნომერში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 18 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „სტატისტიკის საკითხებზე“).

იანვრის 20 — „ივერიის“ № 13-ში აქვეყნებს მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ XIX—XX თავებს.

— „ივერიის“ ამავე ნომერში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 19 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „არ გათეთრდება ყორანი“).

იანვრის 21 — „ივერიის“ № 14-ში აქვეყნებს „ოთარაანთ ქვრივის“ დასასრულს XXI—XXII თავებს.

იანვრის 23 — „ივერიის“ № 16-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ისევ „კავკაზის“ გამოლაშქრების გამო“).

იანვრის 24 — „ივერიის“ № 17-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 23 იანვარი“ (თსკ. ტ. IV-ში სათაურით: „დავით აღმაშენებელი.

დავით აღმაშენებელის მოსახსენებელი დღისათვის — 26 იანვრისათვის“).

თებერვალი — გამოდის დავით სოსლანის [ქეზელის] წიგნი — „კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა). ტფ., 1888. 20 გვ.

„იბეჭდება და ამ ორს დღეში გამოვა ცალკე წიგნად: კრიტიკული განხილვა („ოთარაანთ ქვრივი“, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა), თხზულება დავით სოსლანისა“ (ივერია, 1888, 12 თებ., № 32, გვ. 2).

„გამოვიდა და უკვე ისყიდება ბ-ნ დავით სოსლანის წიგნი კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა...“ (ივერია, 1888, 23 თებ., № 41).

თებერვლის 18 — „ივერიის“ № 37--ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 თებერვალი“ [შავი ზღვის სანაპიროების დასახლების შესახებ].

თებერვლის 20 — გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 1441) აქვეყნებს ილიას ლექსის — „გახსოვს ტურფავ...“ დავით ერისთავისეულ რუსულ თარგმანს.

მარტის დასაწყისი — ილია „ივერიის“ თანამშრომლის არტემ ფირალოვისაგან ღებულობს წერილს (28 თებერვლის თარიღით), რომელიც შუამდგომლობს და ამასთან გადმოსცემს რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ვასილის ძე შელგუნოვის თხოვნას, დაეხმაროს მის შვილს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შელგუნოვს, რომელიც ჩამოქვეითებულ იქნა იმპერატორის ბრძანებით რიგით ჯარისკაცად 6 წლით და, ამასთან, განიცდის რეპრესიებს.

მარტის მეორე ნახევარი — გამოდის [შიო დავითაშვილის] წიგნი — „ჩატეხილი ხიდი“. „ოთარაანთ ქვრივი“-ს ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. მკითხველის შენიშვნები. ტფ., 1888. 42 გვ.

„... დ. სოსლანს გარდა სხვა კრიტიკოსსაც დაუწერია კრიტიკული განხილვა მოთხრობისა „ოთარაანთ ქვრივი“. ავტორს თავისი გვარი და სახელი არ გამოუცხადებია და წერილისათვის მიუწერია ფსევდონიმად „ერთი მკითხველთაგანი“. ეს წერილიც ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ცალკე წიგნად“. (ივერია, 1888, 17 თებ. № 36).

საზოგადოებაში ვრცელდება აზრი თითქოს „ჩატეხილი ხიდის“ ავტორი აკაკი წერეთელი ან ანტონ ფურცელაძეა. ამის გამო შიო დავითაშვილი გამოდის განცხადებით „... იძულებული ვარ გამოვაცხადო, რომ „ჩატეხილს ხიდში“ პირველი და უკანასკნელი ასო, ყოველი სულელური აზრი და მთლად „აბდა-უბდა გადასკუპდა“ მხოლოდ მე მე-

კუთვნის და არა სამს კაცსა“ (შ. დავითაშვილი — ივერია, 1888, 14 მაისი, № 99, გვ. 3).

„ჩვენ შევატყეთ, რომ კვირას გამოვა გასასყიდად ახალი ქართული წიგნი, რომელსაც სახელად ეწოდება „ჩატეხილი ხიდი“, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (ივერია, 1888, 17 მარტი. № 57, გვ. 2).

მარტის 18 — „ივერია“ (№ 58) აქვეყნებს მიხეილ ხელთუფლიშვილის წერილს „რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“.

ხელთუფლიშვილის წერილს ილია უკეთებს მცირე შენიშვნას: „ეს „შენიშვნები“ მოგვივიდა და თან ავტორი გვწერს ცალკე წიგნში სხვათაშორის, ამას: „შეიძლება თქვენ არ გეხერხებოდეთ თავის გაზეთში ჩემი შენიშვნების იმ ალაგების დაბეჭდვა, სადაც მე ქებით მოგიხსენიებთ თქვენ, მაგრამ საჭიროა, არ დავივიწყოთ, რომ „ივერია“ ერთად ერთი (არასპეციალური) ქართული გაზეთია, და რომ იქაც არ შეიძლებოდეს თქვენზე როგორც ავის, ისე კარგის თქმაც, მაშინ ჩვენ თითქმის იძულებულნი ვიქნებოდით სრული მართალი არასოდეს არ გვეთქვა“.

„ჩვენ სწორედ იმ ადგილს მოვერიდენით, რომელსაც ავტორი ასახელებს. სხვას დანარჩენს-კი სიტყვა-სიტყვით და შეუცვლელად ვბეჭდავთ“.

მარტის 21 — გაზეთი „ივერია“ (№ 61) აქვეყნებს ცნობას გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ (№ 1465) რედაქციის განზრახვის შესახებ — გამოაქვეყნოს „ოთარაანთ ქვრივისა“ და „კაცია-ადამიანის“ რუსული თარგმანი (მთარგმნელები: თხორჟევსკი, დ. ერისთავი. ჩერნიგოვეცი).

მარტის 23 — „ივერიის“ № 62-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 მარტი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „თავად-აზნაურობის უქმობით ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა“).

მარტის 24 — „ივერიის“ № 63-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 23 მარტი“ [იონა მეუნარგიას მომავალ ლექციაზე — გრიგოლ ორბელიანის შესახებ].

მარტის ბოლო — ილია საპასუხო წერილს უგზავნის არტემ ფირალოვს, ბოდიშს იხდის პასუხის დაგვიანებისათვის და აცნობებს ნიკოლოზ ვასილის ძე შელგუნოვის შვილის მდგომარეობის მოსალოდნელი შემსუბუქების შესახებ.

„ათასი ძებნისა და მერყეობის შემდეგ, თუ ვისთვის მიმემართა და როგორ მოვქცეულიყავი, ჩემმა კეთილმა ამხანაგებმა მირჩიეს, მიმემართა ჩემი კარგი ნაცნობისათვის — გენერალ-მაიორ ქრშმიშევისათვის... ის დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ჩემს თხოვნას... ასე თუ ისე მე ყვე-

ლაფერს ვიღონებ, რომ რაღაც სარგებლობა მაინც მოვუტანო ახალგაზრდა შელგუნოვს. მე რა თქმა უნდა არ მოვეშვები ქიშმიშევს. სანამ თავის დანაპირებს არ შეასრულებს“ (თსკ, ტ. X, გვ. 127—128).

აპრილი — გამოდის ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი „ბუნების კარის“ მე-6 გამოცემა. მასში ქვეყნდება ილიას შემდეგი ნაწარმოებები: ჩიტი. — ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზედ. — სიტყვა თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელს წინამძღვრიანთკარში — ნაწყვეტები: „განდეგილიდან“, „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“, „კაცია ადამიანიდან“, „გლახის ნაამბობიდან“.

აპრილის ბოლო-მაისის დასაწყისი — სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მასპინძლობს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგს ვ. მორფილს.

„ჩამოვიდა ტფილისში ინგლისელი პროფესორი ქართული ენისა მორფილი. მაშინვე ეწვია ილიას სანახავად. მორფილი სასტუმრო „ლონდონში“ იყო ჩამომხდარი. ილია, როგორც თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა, და მე, როგორც მდივანი, წავედით მორფილის სანახავად და მივართვით საზოგადოების სახელობით ახლად გამოცემული, ძვირფასი მხატვრობიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. 1936. გვ. 140).

„გუშინ-წინ დილით გაემგზავრა ტფილისიდამ სტამბოლში და იქიდამ წავა ინგლისს პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, ფილოლოგი ვ. რ. მორფილი, მცოდნე ქართულის ენისა და ლიტერატურისა. მორფილი სულ რამდენსამე დღეს დარჩა ტფილისში, ინახულა ჩვენი რედაქცია და კანცელარია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, საცა დაათვალიერა ბიბლიოთეკა ქართულის ხელნაწერებისა და ქაროული დაბეჭდილი წიგნები. სხვათა შორის საზოგადოებამ მიართვა ბ-ნს მორფილს სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ (ივერია, 1888, 3 მაისი, № 91, გვ. 2).

„მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მაისის გასულს საქართველოს ეწვია ინგლისიდგან ცოტა ხნობით ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მორფილი...“ (ივერია, 1888, 3 ივლ. № 138).

მაისის 4—8, 11 — „ივერიის“ № 92—96-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 მაისი — ტფილისი, 10 მაისი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „პედაგოგიის საფუძვლები“).

მაისის 8 — „ივერიის“ № 95-ში იწყება ბეჭდვა სანოს [სტ. ჭრელაშვილი] წერილისა „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“. წერილის ბეჭდვა გრძელდება „ივერიის“ № 107, 108, 112, 115, 117, 122, 123-ში მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში.

მაისის 13 — „ივერიის“ № 98-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 12 მაისი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: ებრაელთა საკითხზე).

მაისის 14, 16-18 — მონაწილეობს თბილისის სათავად-აზნაურო. ბანკის წევრთა საერთო კრებაში. კრებაზე მწვავე კამათი იმართება ზედამხედველი კომიტეტის წევრს დ. ავალიშვილსა და ი. ჭავჭავაძეს შორის ბანკის მოქმედების ანგარიშის, თეატრის აშენებისა და ქარვასლის გადაკეთების ხარჯების საკითხებზე. ილია გამოდის მოხსენებით, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ 19 მაისის № 103-ში. ხმების უმრავლესობით კრებამ დაამტკიცა ორივე ანგარიში (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ №№ 102, 103-ში).

მაისის 18 — ხმების დიდი უმრავლესობით (111—9-ის წინააღმდეგ) ირჩევენ ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ (ივერია, 1888, 19 მაისი, № 103, გვ. 2).

მაისის 17, 18, 20, 21 — „ივერიის“ № 101, 102, 104, 105-ში აქვეყნებს მოწინავეებს: „ტფილისი, 16 მაისი, ტფილისი, 20 მაისი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „თერგ-დალეულნი“ და ახალი თაობა“).

მაისის 19 — „ივერიის“ № 103-ში ქვეყნდება ილიას სიტყვა ბანკის კრებაზე.

მაისის 28—29 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაში; კრება იხილავს კახეთის რკინიგზის, სათავადაზნაურო სკოლის ფულის გაწერისა და სხვა საკითხებს (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ № 111, 112-ში).

მაისის 29 — მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებაში. კრებაზე ილიას ერთხმად ირჩევენ საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ (ივერია, 1888, 1 ივნ., № 114, გვ. 2).

მაისის ბოლო — ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის — ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1887 წლის იანვრის 1-დამ 1-ლ იანვრამდე 1888 წ. ტფ., 27 გვ.

— ქვეყნდება ცნობა („ნოვოე ობოზრენიე“ № 1537) ილიას ბანკის საქმეებზე ხარკოვსა და პეტერბურგში გამგზავრების შესახებ.

„ილია რუსეთში წავიდა რაღაც სტანციაზე, რაღაც საქმისათვის, ვიღაც მოიყვანა საგურამოში და თუმცა მე და შენსავით — ცნობის-მოყვარენი ამბობენ, რომ მილიონებს ელოდა და ელის...“ (ი. მაჩაბელი — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. 1, 1947, გვ. 222).

ივნისის 18 — მონაწილეობს საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე გამართულ კავკასიის ხალხთა საკითხის გამო გამართულ კამათში (ნოვოე ობოზრენიე, 1888, № 1558).

ივნისის 20-25 (?) — მასპინძლობს მოსკოვიდან ჩამოსულ (ჩამოვიდა 20 ივნისს) პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს.

ივნისის 23 — „ივერიის“ № 130-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 ივნისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის და ქუთაისის ქართული საადგილმამულო ბანკების შეერთების საკითხებზე“).

ივნისის ბოლო — არტურ ლაისტთან ერთად სტუმრად არის ივანე მუხრანბატონთან დიღომში, მოსკოვიდან ჩამოსულ ილია ოქრომჭედლიშვილის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე.

„... მგონი, 1887 წლის ზაფხულს. თბილისში სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი. ივანე მუხრანბატონმა მის პატივსაცემად სადილი გამართა. დიღომში ილია ჰავჰავაძესთან ერთად წავედი მისი საკუთარი ეტლით (ა. ლაისტი. საქართველოს გული. 1963, გვ. 15).

ივლისის დასაწყისი (?) — ირჩევენ თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების შეერთების საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში.

„ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ამ დღეებში სჯა ჰქონია ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების შეერთების თაობაზე და საზოგადო კრების დადგენილებისამებრ აურჩევია კომისია, რომლისათვისაც დაუვალებია ხსენებულის საგნის გამოკვლევა და გამოძიება. კომისიის წევრებად არჩეულნი არიან: თავ-მჯდომარე ბანკის მმართველობისა თავ. ი. ჰავჰავაძე, თავ-მჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა თავ. ს. წერეთელი და წევრი ზედამხედველ კომიტეტისა, თავ. რ. ანდრონიკაშვილი“ (ივერია, 1888, 9 ივლ. № 143, გვ. 1).

ივლისის 8-10—„ივერიის“ № 142—144-ში აქვეყნებს მოწინავეებს: „ტფილისი, 7 ივლისი — ტფილისი, 9 ივლისი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „პედაგოგიის საფუძვლები“).

ივლისის მეორე ნახევარი (?) — წერილს ღებულობს (10 ივლისის თარიღით) ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. მორფილისაგან. წერილით მორფილი ილიას ატყობინებს თავის დიდ კმაყოფილებას და მადლობას უხდის თბილისში მიღებული გულითადი სტუმართმოყვარეობის გამო.

„მე ახლა დავბრუნდი ინგლისს და ვჩქარობ მადლობა გადაგიხადოთ თავადის ასულს და თქვენ თქვენი სიკეთისათვის ჩემი თბილისში ყოფნის დროს. არასოდეს არ დავივიწყებ თქვენს სტუმართმოყვარეობას.

მადლობას გიძღვნით აგრეთვე გაზეთ „ივერიისათვის“, რომელსაც ვღებულობ. პატივი მექნება მალე გამოგიგზავნოთ პატარა ნარკვევი, რომელიც მე დავწერე ერთ-ერთი ჩვენი ლიტერატურული გაზეთის — „აკადემიისათვის“... გაუმარჯოს თქვენს თვალწარმტაც და კეთილშობილ საქართველოს! ჩემი სალამი თავადის ასულს...“ (შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები. თბ., 1973. გვ. 52—53).

ივლისის 30 — ილიას ხელმოწერით „ივერიის“ № 159-ში ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 ივლისისათვის 1888 წლისა“.

აგვისტოს დასაწყისი — პროფესორ მორფილისაგან იღებს ინგლისურ გაზეთ „აკადემიის“ იმ ნომერს (№ 846), რომელშიც გამოქვეყნდა მორფილის ნარკვევი „ქართული ენა და მწერლობა“.

პროფესორ მორფილის ეს ნარკვევი [ს. ჭრელაშვილის] თარგმანით ქვეყნდება აგვისტოს მეორე ნახევარში „ივერიის“ № 171-ში.

აგვისტოს შუა რიცხვები — გამოდის სანდალას [ზ. ჭიჭინაძის] წიგნი — „წერილები ქართულს მწერლობაზე“. ტფ., 79 გვ. წიგნში განხილულია ბატონყმობის ასახვა ქართულ მწერლობაში, მათ შორის „გლახის ნაამბობში“.

აგვისტოს 25 — „ივერიის“ № 179-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 24 აგვისტო“ [დოქტორ ნ. გამალეის მოღვაწეობის შესახებ].

სექტემბერი — ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოდის ოლიფერ უორდროპის წიგნი The Kingdom of Georgia, რომელშიც (გვ. 150—152) მიმოხილულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა, მოყვანილია „ქართვლის დედის“ ოთხი ტაეპის თარგმანი და „აჩრდილიდან“ ნაწყვეტების პროზაული თარგმანი. წიგნში ჩართულია ოთხი პორტრეტი: ერეკლე მეორის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ილიასი და ივ. მაჩაბლის.

სექტემბრის 16 — „ივერიის“ № 193-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 სექტემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „სანდალას წიგნის გამო“).

ოქტომბერი — ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის — ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა 1888 წლის იანვრის 1-დამ ამავე წლის 1-ლ სექტემბრამდე. ტფ., 22 გვ.

ნოემბრის 3 — „ივერიის“ № 231-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 2 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „წოდებათა თანასწორობა“).

ნოემბრის 10 — „ივერიის“ № 237-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 9 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ერი და ისტორია. დიმ. ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე“).

ნოემბრის 16 — „ივერიის“ № 241-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 ნოემბერი“ [ვაჭარ მანის თვითმკვლელობა].

ნოემბრის 18 — საპასუხო წერილს უგზავნის მოსკოვში პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს, რომელსაც ატყობინებს დავით ჩუბინაშვილის იუბილისათვის საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულების შესახებ.

„... არ ვიცი, როგორ წამოვაყენო ფეხზედ ეგ ძალიან ძირ-დაცემული საქმე. ერთი რამ ვარჩიე, თუ შენც მოგეწონა: მოდი მაინდამ ერთი შენებური ცხარე წერილი მოიწერე, ასწერე ჩუბინოვის ღვაწლი და ნამუშევარი და სთქვი, რომ უმადურობა იქნება ჩვენ მიერ იუბილეი არ გადავიხადოთ-თქო. ჩვენ ამ წერილს გაზეთში დავბეჭდავთ, მერე ჩვენც მოვყვებით და ბუკსა და ნაღარას დავკრავთ... ძალიან კარგს იზამ, რომ მოიწვიო ხალხი საიუბილეოდ გაზაფხულისათვის, რასაკვირველია, თვითონ დავით ბატონიც აქ თბილისში უნდა მობრძანდეს“ (თსკ, ტ. X, გვ. 100—101).

დეკემბრის 11, 14 — „ივერიის“ № 261, 263-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 10 დეკემბერი, ტფილისი, 13 დეკემბერი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „უარმყოფელობა ჩვენში“).

დეკემბრის 13 — „ივერიის“ № 262-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 12 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „დედათა საქმე“).

დეკემბრის 15 — „ივერიის“ № 264-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 14 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „კვლავ თვითმოქმედების შესახებ“).

დეკემბრის 19 — „ივერიის“ № 267-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 18 დეკემბერი“ [ბათუმისა და თბილისის სანიტარული პირობების შესახებ].

დეკემბრის 30 — მონაწილეობს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაში. კრება იხილავს თბილისის საბაღოსნო სკოლის წლიურ ხარჯთაღრიცხვას.

*
* *

მწერალი გრი ორი მაჩტეტი უძღვნის თავის წიგნს (Силуэты. Новые повести и рассказы. М., 1888). წარწერით: «Князю Илье Чавчавадзе». «Поэту, князю Илье Чавчавадзе, на добрую память прозаик Мачтет». «И песнь твоя, как Родина твоя прелестна и грустна».

1889

იანვრის 1 — „ივერიის“ № 1-ში ქვეყნდება „საახალწლო მილოცვა“ ილიასადმი, რომელსაც ხელს აწერს რედაქტორ-გამომცემელი შერმადინი [მანსვეტაშვილი].

„ნუ უღალატებ მერანსა,
„ჩოტკი“ ძირს დადე, ილია;
ყველა ეს წავა, გაქრება,
დარჩება „განდეგილია“...

— „თეატრის“ № 1-ში ქვეყნდება გოგოჭურისა და ზაყელის [შ. ქუჩუკაშვილი] საახალწლოები ილიასადმი, „ივერიის“, სათავადაზნაურო ბანკისა და სხვებისადმი.

იანვრის 10 — მონაწილეობს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ყრილობაში. ყრილობა ისმენს ვაზის დაავადებასთან მებრძოლი კომისიის (რომლის წევრია ილია) მოხსენებას (შეურნე, 1889, № 3, გვ. 3).

იანვრის 10-12 — „ივერიის“ № 6—8-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 9 იანვარი — ტფილისი, 11 იანვარი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“) .

იანვრის 17 — „ივერიის“ № 11-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 იანვარი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „მილიტარობა ევროპაში“).

იანვრის 19 — „ივერიის“ № 13-ში „ივერიელის“ ხელმოწერით აქვეყნებს ფელეტონს — „ამბავი ყბად ასაღები და წყალ-წასაღები“.

იანვრის 22 — „ივერიის“ № 16-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 21 იანვარი“ [სიმდიდრე და უკიდურესი სიღარიბე ინგლისში].

იანვრის 28 — „ივერიის“ № 21-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 27 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „პრესა და პირადობა“).

თებერვლის 4 — „ივერიის“ № 26-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება“).

თებერვლის 5 — „ივერიის“ № 27-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 4 თებერვალი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები“).

თებერვლის 10 — „ივერიის“ № 31-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 9 თებერვალი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში“).

თებერვლის 12 — „ივერიის“ № 33-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 11 თებერვალი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“).

თებერვლის 17 — „ივერიის“ № 37-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 თებერვალი“ [მკურნალთა შორის დამოკიდებულების ამჭრული წესის შესახებ].

თებერვლის 21 — „ივერიის“ № 38-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 თებერვალი (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“).

ამავე ნომერში ილია ადგილს უთმობს მუზეუმ-საცავის წესდებას.

თებერვლის 23 — „ივერიის“ № 40-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 თებერვალი“ [გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ].

თებერვლის 25 — „ივერიის“ № 42-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 24 თებერვალი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“).

თებერვლის 26 — „ივერიის“ № 43-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 25 თებერვალი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“).

თებერვლის ბოლო (?) — „ივერიის“ რედაქცია (ჩვენი ვარაუდით ილიას დაკვეთით) ვ. ტაიროვისაგან ღებულობს ორ სტატიას მევენახე-

ობა-მეღვინეობის საკითხებზე. «Анализы некоторых Кавказских вин» [Из журнала «Сельское хозяйство и лесоводство» 1888, № 12]; «Грибные болезни виноградной лозы» [Из журнала «Сельское хозяйство», 1889, № 1]. წარწერით: «В редакцию газеты «Иверия». От автора. 22.II.89. СПб.».

მარტის 5 — ბანკის თეატრში კ. ყიფიანი კითხულობს „განდეგილს“ და დივერტისმენტში აჩვენებენ ცოცხალ სურათებს „განდეგილიდან“ (ივერია, 1889, 7 მარტი, № 49, გვ. 2).

მარტის 7 — „ივერიის“ № 49-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი 6 მარტი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ქალთა სასწავლებელი“ და თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „დედათა საქმის გამო“).

მარტის 14, 15 — „ივერიის“ № 55, 56-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 13 მარტი — ტფილისი, 14 მარტი“ [მიწათმფლობელობის საქმის მოუწესრიგებლობა ბათუმში].

მარტის 16 — „ივერიის“ № 57-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 მარტი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ და თსკ, ტ.VIII-ში „დედათა საქმის გამო“).

— „ივერიის“ ამავე ნომერში ბეჭდავს „ქართველი ქალის“ წერილს — „შენიშვნა ქალების აღზრდა-განათლების შესახებ ჩვენში“, რომელიც წარმოადგენს ილიას ამავე საკითხზე გამოქვეყნებული წერილების პასუხს.

მარტის 21 — „ივერიის“ № 61-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 21 მარტი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „მორწყვ-ს საქმე წინათ და ეხლა“).

მარტის 25 — მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ დიდ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოში, სადაც კითხულობს გიორგის სიკვდილის სცენას „ოთარაანთ ქვრივიდან“.

„საქმე თ. ი. ჭავჭავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარაანთ ქვრივიდგან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდის არ შესუსტებულა“ (სვიმონიძე [ი. გოგებაშვილი] — ივერია, 1889, 5 აპრ., № 73, გვ. 3).

მარტის ბოლო — მასპინძლობს მოსკოვიდან ჩამოსულ ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილ პროფესორს ილია ოქრომჭედლიშვილს.

აპრილის 2 — „ივერიის“ № 71-ში იწყებს წერილების სერიის — „აი ისტორიას“ ბეჭდვას, რაც გამოიწვია ჟურნალ „სეევერნი ვესტნიკის“ თებერვლისა და მარტის ნომრებში გამოქვეყნებული ივანე ჯაბადარის წერილებმა — „Письма о Грузіи“.

აპრილის 15, 16, 22, 29, 30 — „ივერიის“ № 77, 78, 83, 89, 90-ში აგრძელებს წერილების—„აი ისტორიას“ ბეჭდვას.

აპრილის ბოლო — ქართველი ხალხის სახელით დაბადების სამოცდაათ წლისთავს უღლიცავს და ალბომსა და დასურათებულ „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს გერმანელ პოეტ ფრიდრიჰ ბოდენშტეტს (ტიფლისკი ლისტოკი, 1889, № 94).

მაისი — ივანე ჯაბადარი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ № 1847, 1850 ბეჭდავს წერილს — (Открытое послание „Иверийцам“) ილიას წერილების — „აი ისტორიას“ გამო.

მაისის 5-8 — მონაწილეობს თბილისის საადგილმამულო ბანკის წლიური კრების საქმიანობაში (კრების ანგარიში ქვეყნდება „ტიფლისკი ლისტოკის“ № 103, 105, 106).

მაისის 9 — მონაწილეობს ქართველი საზოგადოების მიერ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმში.

„საზოგადოებამ დაავალა ტფილისის მაზრის მარშალს ბ-ნს ლ. ალ. მაღალაშვილს და ილია ჭავჭავაძეს, რომ მოიწვიონ ყოვლად პატივცემული კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მთელის სახლობით საზოგადოების სახელითა“ (ივერია, 1889, 11 მაისი, № 97, გვ. 1).

მაისის 23 — „ივერიის“ № 105-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „გზა და გზა და სხვათა შორის“, რაც გამოწვეულია ივ. ჯაბადარის „ნოვოე ობოზრენიეში“ (№№ 1847, 1850) გამოქვეყნებული წერილით—„Открытое послание „Иверийцам“.

მაისის 24 — „ივერიის“ № 106-ში აქვეყნებს „აი ისტორიას“ მომდევნო წერილს.

მაისის 28 — „ივერიის“ № 109-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს სატირულ ფელეტონს ნ. ნიკოლაძესა და ზოილზე [დ. კეზელზე] — „სახელდახელო. სახელდახელოს დეპეშა (ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები)“.

„ივერიის“ ამავე ნომერში ქვეყნდება სანოს [სტ. ჭრელაშვილი] წერილი — „მცირე შენიშვნა (ცხრა-თავიანი და ბაყბაყ დევი)“, რომელიც

მიმართულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ნიკოლაძისეული შეხედულებების წინააღმდეგ.

ივნისი — პეტერბურგში გამოდის ი. თხორჟევსკის მიერ თარგმნილი ქართველი პოეტების ლექსების წიგნი (Грузинские поэти в образцах. Переводы), რომელშიც ქვეყნდება ილიას „გაზაფხულის“, „განდეგილის“, „იანიჩარის“ რუსული თარგმანები.

ივნისის 7-9 — „ივერიის“ № 116-118-ში ილია აქვეყნებს „აი ისტორიას“ მომდევნო წერილებს.

ივნისის 23 — „ივერიის“ № 130-ში აქვეყნებს „აი ისტორიას“ მეთერთმეტე წერილს.

ივნისის ბოლო (?) — ილიას თაოსნობით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება პეტერბურგში ალ. ცაგარელს უგზავნის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემას ორიენტალისტთა მერვე საერთაშორისო (სტოკჰოლმისა) კონგრესის საპატიო თავმჯდომარის, შვეციისა და ნორვეგიის მეფის ოსკარისათვის მისართმევად.

ივლისის დასაწყისი — წერილს ღებულობს ალ. ცაგარელისაგან მოსკოვიდან, რომელიც ატყობინებს მეფე ოსკარისათვის მისართმევი „ვეფხისტყაოსნის“ მიღებას და დამატებით თხოვს ბობრინსკის მიერ ფრანგულად და ა. ლაისტის გერმანულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“.

„ძმაო ილია, მივიღე პეტერბურღში ვეფხისტყაოსანი — ძალიან კარგათ გაგიკეთებიათ. მარტო ზედ წარწერა ვერ გამოსულა კარგათ... ძალიან საჭირო და სასარგებლო იქნება გამომიგზავნოთ საჩქაროზედ ბორენის [ბობრინსკის] ფრანცუზულათ და ლეისტის ნემეცურად ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი, თუ გინდათ ესეც ყდით შეაკვრევინეთ... თუ სრული თარგმანი არ იშოება, ერთი ნაწილი მაინც... მოახერხეთ, რომ 5 აგვისტომდინ პეტერბურღში მომისწროს თქვენმა გამოგზავნილმა წიგნმა... ვიმეორებ, — ვეფხისტყაოსანი მშვენივრად არის გაკეთებული, ასე რომ ოსკარს და სხვებსაც მოეწონებათ“ (კ. კინწურაშვილი. ალექსანდრე ცაგარელი. 1974. გვ. 194—195).

ივლისის 29 — „ივერიის“ № 159-ში აქვეყნებს „აი ისტორიას“ ბოლო წერილს.

ივლისის ბოლო — გაზეთ „ივერიის“ რედაქცია გადადის კუკიაზე, ავჭალის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში.

ოქტომბრის 15 — „ივერიის“ № 219-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 14 ოქტომბერი“ (თსკ. ტ. VII-ში სათაურით: „ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში“).

ოქტომბრის 20 — „ივერიის“ № 222-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ფილოქსერა“).

ოქტომბრის 27, 28 — „ივერიის“ № 228, 229-ში აქვეყნებს მოწინავეებს „ტფილისი, 26 ოქტომბერი — ტფილისი, 27 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ისევ განათლების საკითხებზე“).

ნოემბრის 2—„ივერიის“ № 233-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „აშლილობა კრიტის კუნძულზე“).

ნოემბრის 3 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სახელით ილია გაზეთით (ივერია, № 234, გვ. 3) მადლობას უხდის საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ 8 ოქტომბერს ბათუმში გამართული ლატარიის მონაწილეებს.

„გამგეობა საზოგადოებისა დიდად სწუხს, რომ შეძლება არა აქვს ყველას სათითაოდ გადუხადოს მადლობა, ხოლო მოვალეობად კი ჰრაცხს გულითადი მადლობა გამოუცხადოს როგორც შემომწირველთ, ისე იმათ, ვინც პირდაპირი და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ლატარიის გამართვაში...“.

ნოემბრის 5, 7, 8 — „ივერიის“ № 236—238-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 4 ნოემბერი — ტფილისი, 7 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „Новое Обозреніе“-ს წერილის გამო“).

ნოემბრის 12 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას, რომელიც იხილავს საზოგადოების მოქმედების ანგარიშსა და მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას, წიგნების ბეჭდვის საკითხს და სხვა.

ნოემბრის 14 — „ივერიის“ № 243-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 12 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში“).

ნოემბრის 26 — „ივერიის“ № 252-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 25 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „სამართალი და ზღვევა“).

ნოემბრის 28 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კამგეობა ილიას მიმართავს არქეოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის

თანხების (25-25 მანეთის) შეგროვების თაობაზე (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ფონდის აღწერილობა. 1953. გვ. 27).

ნოემბრის 29 — იაკობ გოგებაშვილისაგან ღებულობს წერილს და ოთხ ქრონიკალურ ცნობას „ივერიისათვის“ (მათგან ორ ქრონიკას ილია აქვეყნებს 2 დეკ. № 257-ში და 31 დეკ. № 279-ში).

დეკემბერი (?) — მცხეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის ილიას თაოსნობით თანხების შეგროვება (ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი. 1977. გვ. 47).

დეკემბრის 17 — „ივერიის“ № 269-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „აზია წინათ და ეხლა“).

დეკემბრის 20 — „ივერიის“ № 271-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „დღევანდელი სპარსეთი“).

დეკემბრის 24 — „ივერიის“ № 275-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 23 დეკემბერი“ [პედაგოგიურ საკითხებზე].

დეკემბრის 29 — „ივერიის“ № 277-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 28 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ვაზის სნეულებანი“).

*
* *

ილიას ხელმოწერით წიგნებად გამოდის:

1. ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1888 წლის სექტემბრის 1-დამ 1889 წლის 1-სექტემბრამდე. 38 გვ.

2. Доклад Правленія Тифлисского дворянского Земельного Банка общему собранію о дѣйствах банка в теченіи четирнадцатого отчетного 1888 г. 6 с.

— კრებულ „ჩანგში“ ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: „ბედნიერი ხალხი“, „ბევრი ვიტანჯე...“, „ხმა სამარიდამ“, „გუთნის დედა“, „უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...“, „სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი...“, „ჩემო მკვლელო!...“, „გახსოვს, ტურფავ...“. ნაწყვეტები: „განდეგილიდამ“, „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“, „მეფე ლირიდან“.

იანვარი — ქვეყნდება ლექსი „ბაზალეთის ტბა“ (ჟურნ. „ჯეჯილი“, № 1).

იანვრის 1 — „ივერიის“ № 1-ში აქვეყნებს მოთხრობას — „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი (საახალწლო მოთხრობა)“. (თხზ. სრული კრებულის შემდგენლები მიიჩნევენ, რომ მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს 1880 წელს, როგორც ეს მითითებულია ილიას სიცოცხლეში მისი მეთვალყურეობით გამოცემულ თხზულებათა კრებულის მე-2 ტომში 1892 წ.).

გ. შარაძის ვარაუდით, რომელსაც ავტორები სავსებით იზიარებენ, „ი მოთხრობა დაიწერა 1889 წ. იგი უმთავრესად ემყარება თვით მოთხრობის შესავალს: „გარდამეცვალა ერთი დაცა [ნინო გარდაიცვალა 1883 წ. ბოლოს] დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევია...“ (მნათობი, 1982, № 11, გვ. 160—162).

— „ივერიის“ პირველ ნომერში ქვეყნდება დონ-იაგოს [ი. მანსვეტაშვილი] სახალწლო მილოცვები ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი, მათ შორის „ივერიის“ რედაქტორისადმი.

იანვრის 21 — „ივერიის“ № 16-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 იანვარი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“).

იანვრის 24, 26 — „ივერიის“ № 18, 20-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 23 იანვარი, ტფილისი, 25 იანვარი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის“).

იანვრის 29 — მოსკოვში, ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზე, ცოცხალი სურათების დადგმა „განდეგილიდან“, (ივერია, 1890, № 30, გვ. 2—4).

თებერვლის 3 — ჟურნალი „თეატრი“ (№ 6) აქვეყნებს წყალტუბელის [გ. იოსელიანის] წერილს — „ეპისტოლე წყალტუბელისა ილიას მიმართ“, რომელიც მიმართულია „ივერიისა“ და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ.

თებერვლის 13 — გვირგვინით ამკობს დიმიტრი ბაქრაძის ცხედარს; გვირგვინს ამშვენებს წარწერა: „საფლავი შენისთანა კაცისა, სალოცავია მამულისა“ (ივერია, 1890, 15 თებ., № 34, გვ. 2).

თებერვლის 13, 14 — „ივერიის“ № 32, 33-ში აქვეყნებს მოწინავეებს დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების გამო („ტფილისი, 12 თებერვალი — ტფილისი, 13 თებერვალი“).

თებერვლის 15 — მონაწილეობს დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვის ცერემონიალში.

თებერვლის 18 — „ივერიის“ № 37-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 თებერვალი“, რომელიც ეხება ქართველი სამღვდელოების მიერ სამღვთო წიგნების კარგად კითხვის მივიწყებას.

თებერვლის 21 — ილიასა და სხვათა ხელმოწერით „ივერიის“ № 39-ში ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1890 წლისა“.

თებერვლის 27 — მონაწილეობს თბილისის გუბერნატორთან მოწყობილ თათბირში, სადაც იხილავენ სოფლად პურის მაღაზიების მოწყობის საკითხს. თათბირზე ილიას ირჩევენ აღნიშნული საკითხის საორგანიზაციო კომისიაში (ივერია, 1890, 1 მარტი, № 45, გვ. 1).

მარტის 4 — „ივერიის“ № 47-ში ბეჭდავს მოწინავეს მდინარე არაგვის ადიდებით გამოწვეული მსხვერპლისა და თბილისის საბაჟოებს შესახებ („ტფილისი, 3 მარტი“).

მარტის 8 — „ივერიის“ № 50-ში აქვეყნებს მოწინავეს — ქალაქის საკრედიტო საზოგადოების შესახებ („ტფილისი, 7 მარტი“).

მარტის 11, 14 — „ივერიის“ №№ 53, 55-ში აქვეყნებს მოწინავეებს ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების — ე. წ. დივიდენდების შესახებ („ტფილისი, 10 მარტი, ტფილისი, 13 მარტი“).

მარტის 16 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ილია წერილობით აცნობებს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების წერა-კითხვის საზოგადოებაში წარდგენის წესის შესახებ (ვ. ხაბურძანია — „ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, № 90, გვ. 3).

მარტის 24 — „ივერიის“ № 64-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 23 მარტი“ (თსკ. ტ. VII-ში სათაურით: „ვენახების წამლობის შესახებ“).

— „ივერიის“ რედაქციიდან გაიტაცეს ილიას ჯიბის ოქროს საათი და რამდენიმე ფუთი ძველი ქართული გაზეთები.

«Из квартиры редактора грузинской газеты «Иверія» кн. Чавчавадзе похищены золотые часы... и несколько пудов старых грузинских газет» (ტიფლისკი ლისტოკ, 1890, № 70, გვ. 2).

მარტის 28 — „ივერიის" № 67 აქვეყნებს მოწვნავეს: „ტფილისი, 27 მარტი" [წერილი კრედიტის შესახებ].

მარტის 31 — წვეულება აქვს სახლში. წერილით ეპატიჟება პეტრე უმიკაშვილს.

„თუ გიყვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია, ამაღამ ჩემთან მოდი გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებიან, „ივერიაზე" გვექნება ლაპარაკი და მინდა რომ შენც დაესწრო და შენი რჩევა გავიგონო" (თსკ, ტ. X, გვ. 40).

აპრილის 12-18 — მიმდინარეობს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წლიური კრება. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კრების თითქმის ყველა საკითხის განხილვაში. კამათი დივიდენდების, ვენახის მავნებლებთან საბრძოლველად თანხის გაღების, დრამატიული საზოგადოებისა და გაზეთ „მეურნეს" დახმარების, ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და სხვა საკითხების გამო. სიტყვით გამოსვლა. ილიას არჩევა ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ (კრების ანგარიში ქვეყნდება „ნოვოე ობოზრენიეს" №№ 2170—2177-ში).

აპრილის 18 — კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს მიწვევით მონაწილეობს სხდომაში, რომელიც იხილავს სათავადაზნაურო ბანკის მოგების განაწილების საკითხს („ნოვოე ობოზრენიე", 1890, № 2177).

აპრილის 20 — ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ხელმოწერით „ივერიის" № 82-ში ქვეყნდება „ანგარიში 1889 წლის პირველი მაისიდან 1890 წლის აპრილამდე გამგე კომიტეტისა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". ხელმოწერა: თავმჯდომარე კომიტეტისა — ლ. მაღალოვი, წევრნი: ილია ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი, ლ. ვაჩნაძე, დ. ფალავანდიშვილი.

მაისის პირველი ნახევარი — წერილს იღებს (8 მაისის თარიღით) დავით ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგიდან. ჩუბინაშვილი ატყობინებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებისათვის თავისი გამოცემების გამოგზავნას.

„... ამას წინათ წერილით მოგართვი მესამე და უკანასკნელი გამოცემა ქართული ლექსიკონისა, არ ვიცი მიიღეთ თუ არა. თქვენი წერილით არა ჩანს... ამასთან გიგზავნით ტრანსპორტის კვიტანციას სამას ეგზემპლარს მესამე გამოცემისა, 26 ეგზემპლარს რუსულ-ქართული ლექსიკონისა და 50 ეგზემპლარს გრამატიკისას... დაურიგეთ იმ სასწავლებლებს, რომელნიც დაარსებულია წერა-კითხვის საზოგადოებისაგან" (საისტ. მოამბე. ტ. 37—38, 1978, გვ. 82).

მაისის 27 — თბილისში, თავადაზნაურთა ბანკის თეატრში ესწრება იტალიელი ერნესტო როსის მონაწილეობით „მეფე ლირის“ წარმოდგენას.

მაისის 29 — „ივერიაში“ (№ 110, ახალ ამბებში) აქვეყნებს წერილს ერნესტო როსის თბილისის სცენაზე „მეფე ლირში“ პირველი გამოსვლის გამო.

„კვირას, 27 მაისს, სახელგანთქმულმა მთელს ევროპაში არტისტმა როსიმ წარმოადგინა თავად აზნაურთა ბანკის თეატრში „მეფე ლირი“ შექსპირისა“.

ივნისი — თბილისსა და საგურამოში მასპინძლობს იტალიელ მსახიობ ერნესტო როსის.

„მასალებიდან ჩანს, რომ ილიას განსაკუთრებული პატივისცემით მიუღია ეს უცხოელი ხელოვანი, დაუპატიჟებია თბილისსა და საგურამოში და მისი სტუმრობა ფართოდ გაუშუქებია „ივერიაში“ (გ. მიხელიძე, ალ. კალანდაძე — საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები. წგ. 1, 1958, გვ. 46).

ივნისის 9 — ალექსანდრე ჭყონია „ივერიის“ რედაქციას უძღვნის თავის წიგნს — „ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე. ტფ., 1890. — წარწერით: „ივერიის“ რედაქციას. ა. ჭყონია. 9—VI—90 წ.“.

ივნისის 17 — ესწრება ერნესტო როსის გამოსათხოვარ წარმოდგენა „ჰამლეტს“.

ივნისის 18 — სიტყვით მიმართავს ერნესტო როსის მის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე (ივერია, 1890, 20 ივნ., № 129, გვ. 1).

ივნისის 25 — „ივერიის“ რედაქცია მსახიობ ერნესტო როსისაგან ღებულობს სამადლობელო დეპეშას.

„ერნესტო როსისაგან მოგვივიდა გუშინ-წინ, 25 ივნისს, ღამის 11 საათზედ, შემდეგი დეპეშა: „დაირეკა გემზედ ზარი და დადგა ჟამი სამწუხარო განშორებისა, ჟამი მეტად მძიმე, მეტად გულ-საკლავი. ენა მიდუმდება და გამოთხოვება ვეღარ მომიხერხებია. ვინ იცის, საუკუნოდ გეთხოვებით, თუ კიდევ გნახავთ ოდესმე! მაგრამ არა, ისევ ნახვამდის, ჩემო სასურველო ტფილისის საზოგადოებავ! ნახვამდის, ყველა ჩემო კარგო მეგობრებო, წარმომადგენელნო მწერლობისა და ახალგაზრდობისანო!“ (ივერია, 1890, 27 ივნ., № 135. გვ. 1).

ივლისის მეორე ნახევარი (?) — საპასუხო (?) წერილს იღებს დავით ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგიდან. ატყობინებს, რომ ვერ ჩა-

მოდის საქართველოში მისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში მონაწილეობისათვის.

„უექმოდ ვერსად წავსულვარ, რაღაც ავადმყოფობა გარდამეკიდა, თავს არ მანებებს, რომ უწინდელივით საქართველოში ჩამოვიდე...“ (კ. კინწურაშვილი. დავით ჩუბინაშვილი. 1970, გვ. 75).

ივლისის 28 — ილიასა და სხვების ხელმოწერით „ივერიის“ № 161-ში ქვეყნდება „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 მკათათვისათვის 1890 წლისა“.

ივლისის 30 — დეპეშას გზავნის ქუთაისში, დავით ჩუბინაშვილის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ნადიმზე (ივერია, 1890, 3 აგვ., № 166, გვ. 1).

აგვისტოს 4, 5, 8, 9, 10, 12 — „ივერიის“ № 167—171, 173-ში აქვეყნებს მოწინავეებს: „ტფილისი, 3 აგვისტო — ტფილისი, 11 აგვისტო“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ქუთაისის ბანკის საქმე“).

აგვისტოს 18, 19, 21 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№№ 2290, 2291, 2293) აქვეყნებს ილიას წერილების („ქუთაისის ბანკის საქმე“) რუსულ თარგმანს რედაქციის შენიშვნებით. — წერილები ქვეყნდება სათაურით: „Иверия“ о Кутайсском земельном банке“.

აგვისტოს 31 — წერილს იღებს პეტრე უმიკაშვილისაგან ქუთაისიდან. უმიკაშვილი თავისი და ალ. ნანეიშვილის სახელით ითხოვს თანხმობას დაბეჭდონ ცალკე ბროშურად ილიას წერილები ქუთაისის ბანკის შესახებ, რომლებიც „ივერიის“ მეთაურებად იბეჭდებოდა აგვისტოს ნომრებში.

— თანხმობის წერილს უგზავნის ალექსანდრე ნანეიშვილს ქუთაისში.

„... დღეს უმიკაშვილის ბარათი მომივიდა და მწერს, რომ მანდ საჭიროდ დაგინახავთ ჩემი მეთაური წერილები მანდაურ ბანკის თაობაზედ ცალკე ბროშიურად დაჰბეჭდოთ. მე თანახმა ვარ დაბეჭდვისა, თანახმა ვარ იმისაც, რომ ჩემი სახელი მოსწერდეს ამ წერილებს, მხოლოდ რედაქციის სახელით ნუ გამოსცემთ, იმიტომ რომ სასურველია მიზეზი არავის მივცეთ იმისი, ვითომც რედაქციას ცალკე ვისმე მომხრეობა უნდა. მე კიდევ ვაპირებ ზოგიერთის რასმის თქმას ყრილობის წინა დღეებში და არ ვარგა, რომ იფიქრონ ვითომცდა რედაქცია ვისთვისმე პროპაგანდობს. მე გირჩევთ, გამომცემელი არ დაასახელოთ და ისე გამოსცეთ“ (თსკ, ტ. X, გვ. 89—90).

სექტემბრის დასაწყისი — წერილს იღებს ქუთაისიდან ალექსანდრე ნანეიშვილისაგან, რომელიც ითხოვს ქუთაისის ბანკის შესახებ ილიას წერილების ცალკე ბროშურად გამოცემის ნებართვას.

სექტემბრის 5 — საპასუხო წერილს უგზავნის ქუთაისში ალექსანდრე ნანეიშვილს.

„თქვენი ბარათი ქალაქში დამხვდა. რადგანაც უმთავრესს საგანზე პასუხი უკვე მოწერილი მაქვს, ეხლა მარტო ერთი რამ მსურს დავუმატო. ჩემის მეთაურების წიგნაკს გთხოვ ზედ დააწეროთ: „ავტორის ნებართვით“ და ბოლოს ხომ ჩემს სახელსა და გვარსაც მიაწერთ. ძალიან კარგი იქნება, რომ მანდაურის ვისიმე სახელით გამოიცეს წიგნაკი. მე მგონია შემდეგისათვის ჩემს სიტყვას ძალა აღარ ექნება თუ მე შემწამებენ ცდას წიგნაკის გავრცელებისას“ (იქვე, გვ. 90).

ოქტომბრის 1 — ვალერიან გუნია უძღვნის „საქართველოს კალენდარს“ წარწერით: „თავ. ილია ჭავჭავაძეს ვალ. გუნიასაგან. 1—10. 90“.

ოქტომბრის 2 — მონაწილეობს ვახტანგ ორბელიანის დაკრძალვის ცერემონიალში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და „ივერიის“ რედაქციის სახელით გარდაცვლილის კუბოს ამკობს გვირგვინებით.

ოქტომბრის დასაწყისი — ცალკე წიგნად გამოდის — „ქუთაისის ბანკის საქმე. წერილები ილია ჭავჭავაძისა (იბეჭდება ავტორის ნებართვით“). ტფ., გამომცემელი ქუთათელი, 1890. 55 გვ. 1 შაური. — ცენზ. ნებართვა; 10 სექტ. 1890 წ. (ივერია, 1890, 16 ოქტ., № 220, გვ. 1).

არსებობს იგივე წიგნი განსხვავებული თავფურცლით: ქუთაისის ბანკის კომიტეტი და ბ-ნი ჩიკვაიძე. წერილები ილია ჭავჭავაძისა (იბეჭდება ავტორის ნებართვით). ტფ., გამომცემელი ქუთათელი. 1890. 55 გვ. 5 კ. ცენზ. ნებართვა: 18 სექტ. 1890 წ.

ოქტომბრის 14 — დავით გიორგის ძე ერისთავის გარდაცვალების გამო „ივერიის“ № 219-ში ბეჭდავს ნეკროლოგს.

ნოემბერი — ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის — „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1889 წლის სექტემბრის 1-დამ 1890 წლის 1-ლ სექტემბრამდე. 40 გვ.

ნოემბრის 2, 3 — „ივერიის“ № 233, 234-ში აქვეყნებს მოწინავეებს—„ტფილისი, 1 ნოემბერი, ტფილისი, 2 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“).

ნოემბრის 3 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებს „ივერიის“ № 233-ში დაბეჭდილ ილიას მოწინავის რუსულ თარგმანს რედაქციის შენიშვნებით. («Иверия» о «Кутаисской смуте»).

ნოემბრის 21 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას.

დეკემბრის 16 — „ივერიის“ № 268-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „ახალის დრამების გამო“.

— პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების მიერ კავკასიური სალამოს გამართვა. ამ საღამოზე ცოცხალი სურათების წარმოდგენა ილიას „განდეგილიდან“ (ივერია, 1890, 25 დეკ., № 275).

*
* *

— ვასილ ველიჩკო ილიას უძღვნის თავის წიგნს: Восточные мотивы. (Стихотворения) წარწერით: «Славному грузинскому поэту, князю Илье Григорьевичу Чавчавадзе в знак искреннего уважения от безвестного русского поэта».

ილია ჭავჭავაძის, ლ. ჯანდიერის, ი. ხატისოვისა და სხვათა ხელმოწერით გამოდის ბროშურა — Нормальные Правила об образовании общеполезного капитала каждого отдельного сельского общества. Тфл., 1890. 12 с.

1891

იანვრის 20 — ილიას „მაჭანკლის“ წარმოდგენა ა. ნებიერიძის სასარგებლოდ (ივერია, 1891, № 13, გვ. 1).

იანვრის 31 — „ივერიის“ № 24-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 30 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“).

თებერვლის 7 — „ივერია“ (№ 29) აქვეყნებს ცნობას ილიას თხზულებათა ათ ტომად გამოცემის განზრახვის შესახებ (ახალი ამბავი).

თებერვლის 8 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით, წერილს უგზავნის იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს. ატყობინებს, რომ საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 1890 წ. 21 ნოემბერს აღიარა თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად, დაადგინა გეთხოვოთ საზოგადოების საპატიო წევრობა.

— თებერვლის მეორე ნახევარი — წერილს უგზავნის მიხეილ ყიფიანს ვლადიკავკაზში ყაზბეგში სკოლის გახსნის თაობაზე.

„... როგორც თქვენი წიგნი, ისე თავად ილია ჭავჭავაძის წიგნი თითქო ერთხანად მომივიდა“ (გ. ღუდუშაური. მიხეილ ყიფიანი. 1986, გვ. 63).

თებერვლის 20 — ილიას ხელმოწერით „ივერიის“ № 40-ში ქვეყნდება — „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 იანვრისათვის 1891 წლისა“.

თებერვლის ბოლო — საპასუხო წერილს ღებულობს (15 თებერვლის თარიღით) გაბრიელ ეპისკოპოსისაგან ქუთაისიდან.

„თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ.

თ. ილია გრიგოლის ძევ!

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემგნით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემს მათგან საპატიო წევრად აღრჩევასა; ამისთვის მზადა ვარ მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა მაგა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობას. ხოლო თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვ მიიღოთ ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის“ (თსკ, ტ. X, გვ. 513—514).

მარტის 7 — „ივერიის“ № 50-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 6 მარტი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“).

მარტის 10 — მიხეილ ყიფიანის გარდაცვალების გამო აქვეყნებს მოწინავეს „ივერიის“ № 53-ში — „ტფილისი, 9 მარტი“.

მარტის 23 — „ივერიის“ № 64-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს მწერალ-პუბლიცისტის გრ. ელისეევის ბიოგრაფიას.

აპრილი — სომხური ჟურნალი „მურჯი“ ბეჭდავს „კაცია ადამიანის“ ტ. ფირუმიანისეულ სომხურ თარგმანს (ივერია, 1891, № 74).

აპრილის 27 — „ივერიის“ № 88-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს მწერალ ნიკოლოზ ვასილის ძე შელგუნოვის ბიოგრაფიას.

მაისის 1 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 2529 ნ. გულაკის სტატიაში) აქვეყნებს ილიას ლექსის „გაზაფხულის“ ა. ნავროცკისეულ თარგმანს.

მაისის 14-19 — აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის სათავადო-აზნაურო-საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაში.

მაისის 14 — კითხულობს მოხსენებას ბანკის მმართველობის მოქმედების შესახებ (შემოკლებული მოხსენება ქვეყნდება „ივერიის“ № 101-ში).

— მონაწილეობს მოხსენების გამო გამართულ კამათში (ივერია, 1891, № 102, 103).

მაისის 15-18 — გრძელდება კამათი ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის. ილიას ბრალს დებენ: 1. რატომ არ ნახა ტფილისში ჩამოსული ფინანსთა მინისტრი ოსტროვსკი; 2. მფლობელობის მოწმობისა და მედიატორების გადაწყვეტილების უგულებელყოფაში; 3. ბაქოში გამგეობის წევრთა გაგზავნის შემცირების გამო. კამათი მწვავე ხასიათს იღებს, ერთი მხრივ, ილიასა და მის მომხრეთა და, მეორე მხრივ, მაჩაბელსა და მის მომხრეთა შორის (ივერია, 1891, №№ 104, 107—109, 111, 112).

„თქვენ ბრალსა მდებთ, რომ მინისტრი არ ვნახე, არა წარუდგინე ივ. მაჩაბელის „დაკლადნოი ზაპისკა“; რომ მფლობელობის მოწმობასა და მედიატორების გადაწყვეტილებას. საკუთრების მკვიდრ საბუთად არა ვხედავ და მესამედ იმას, რომ ბაქოში ისე ხშირად აღარ დადის წევრი ჩვენის გამგეობისა, როგორც უწინ. ეს სამივე ბრალი გავსინჯოთ“ ილიას სიტყვიდან (ივერია, 1891, 18 მაისი, № 103, გვ. 2).

„... ოთხმა კაცმა ილაპარაკა, თითო ორ-ორი საათი, და ორი მიმართულება გამოირკვა. ერთი თავ. ჭავჭავაძისა და იმის მომხრეთა, მეორე — მოწინააღმდეგეთა. ამ მოწინააღმდეგეთ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ვერაფერი-კი ვერა სთქვეს-რა... საერთო ბრალდებიდგან მხოლოდ ისა სჩანს, რომ ბანკი მტკიცე საძირკველზედ სდგას თ. ი. ჭავჭავაძის საფინანსო პოლიტიკის წყალობით. დარწმუნებული ვარ, რომ მ. მაჩაბელს სჯერა, რომ ბანკი იღუპებაო, თუმცა ეს განსაცდელი საქმით კი ვერა დაუნახავს, მხოლოდ წარმოუდგენია“ (ნ. ხუდადოვი — ივერია, 1891, № 107).

„ეს ორი დღეა, ტუსაღის ფარაჯა ჩამაცვეს და ბრალდებულის ადგილას ამიჩინეს ბინა. ყველას სალაპარაკო მე გავხდენილვარ, ზოგი მაქებს, ზოგი მაძაგებს. ქებისათვის დიდად გმადლობთ და ძაგებისათვის-კი უფრო მეტად გმადლობთ. მაგრამ ჩემი მდგომარეობაც წარმოიდგინეთ. ისე გამიჭირდა საქმე, რომ გაპარვაც-კი დავაპირე, მაგრამ დავრჩი-კი, დავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ მ. ვ. მაჩაბელის საფინანსო პოლიტიკის თავი და ბოლო გამეგო ... იქნება იმისი საფინანსო პოლიტიკა ის იყოს, რომ მე მწამებს, ზარმაცი ხარ, გულ-გრილად ეკიდები საქმესაო“ (ილიას სიტყვიდან — ივერია, 1891, № 107).

მაისის 16, საღამოს 9 საათი — მონაწილეობს შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კომიტეტის

კრებაში. კრება ღებულობს ილიას წინადადებებს თავადაზნაურთა შორის ფულის გაწერის დაჩქარების, სკოლის პროექტის შემუშავების და მესამე კლასის დამატების შესახებ (ივერია, 1891, №№ 105, 111).

მაისის 19 — ბანკის კრებაზე წარმოთქვამს საბოლოო სიტყვას; კენჭს უყრიან და ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ირჩევენ 321 ხმით 58-ის წინააღმდეგ.

„მე მაინც სხვასავით სამსახურზედ უარს არ ვიტყვი, გავალ-მოვალ, პირქით, ჩემის ნებით იმ დრომდე არ გავალ ბანკიდგან, მინამ თქვენი ნდობა მაქვს და საზოგადოების სასარგებლოდაც სამსახური შემიძლიან“ (ივერია, 1891, № 114, გვ. 3).

„საზოგადოებაში ხანგრძლივი ტაშის-ცემა ასტყდა. მთელი კრება ფეხზედ წამოდგა და რამდენჯერმე სთხოვეს ორატორს, რომ უკანჩოდ დარჩით ისევ თავმჯდომარედ, ხელ-ახლად ამოგვირჩევიხართო. თ. ი. გ. პაეშავაძემ თქვა, ითხოვა, კენჭი მიყარეთო...“ (ივერია, 1891, № 114).

მაისის 20 — ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ არჩევის გამო ილია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ღებულობს მილოცვის ღეპეშებს.

მაისის 21 — გაზეთის საშუალებით ილია მადლობას უცხადებს ყველას, ვინც მიულოცა ბანკის თავმჯდომარედ არჩევა.

„მე მივიღე რამდენიმე მოლოცვის დეპეშა საქართველოს სხვა და სხვა ადგილებიდამ. რადგან მეძნელება ყველას სათითაოდ ცალკე ჩემი პასუხი მოვახსენო, ამიტომაც ვკადნიერობ და გაზეთის შემწეობით ჩემს გულითადს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც-კი მაღირსა პატივი და მომილოცა“ (ივერია, 1891, № 105, გვ. 1).

მაისის 25 — „ივერიის“ № 106-ში ქვეყნდება ილიას სიტყვა სათავადაზნაურო ბანკის კრების დახურვისას.

მაისის 27 — „ივერიის“ № 108-ში ქვეყნდება „დამაკვირდი... რომ ბედში მყოფი...“.

ივნისის დასაწყისი (?) — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილიას თხზულებათა გამოცემის უფლებას გადასცემს „ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობას“ („ნოვოე ობოზრენიე“, 1891, № 2567).

ივნისის 1 — ექიმი ს. ვაწაძე უძღვნის თავის დისერტაციას (К вопросу о влиянии солено-щелочных минеральных вод (Эссентукской № 17 и Боржомских) на отправления желудка и кислотность мочи у здоровых и больных людей. Диссертация на степень

доктора медиц. врача С. И. Вацадзе. СПб, 1891) წარწერით: „კ-ზს ილია ჭავჭავაძის'ნიშნად პატივის ცემისა ავტორისაგან. 1891. 1/VI".

ივნისის 5 — „ივერიის" № 117-ში ადგილს უთმობს ივანე მაჩაბელს („წერილი რედაქციის მიმართ"), რომელიც რედაქტორისაგან ითხოვს: „1. შეუცვლელად დაბეჭდოთ, რაც გამოვგზავნო ბანკის საქმეებისა და იქ მომხდარ ბაასის შესახებ და 2. მომცეთ ნება პასუხის მოცემისა გაზეთითვე და თქვენის უკანასკნელის სიტყვით არ შესწყვიტოთ ბაასი, თუ საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლი".

ივ. მაჩაბლის ამ წერილს — „რედაქტორის" ხელმოწერით ილია ურთავს შემდეგ შენიშვნას:

„რაც შეეხება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ანგარიშის შეცდომათა შესწორებას, თავ. მაჩაბელს სრული ნება აქვს შეასწოროს და ჩვენც დავბეჭდავთ შეუცვლელად. ხოლო თუ ჰსურს „საზოგადოდ ბანკის მთელის დავიდარაბის გამორკვევა" — ეგ სულ სხვა საგანია და ამაზე ცალკე წერილი გვიბოძოს და ჩვენც დავუბეჭდავთ შეუცვლელადვე იმ პირობით-კი, რომ ჩვენც, თუ საჭიროდ დავინახავთ, პასუხს გავცემთ და ამ საგანზე ბაასი ამით გათავდება. თორემ უკანასკნელი სიტყვა მე მომეციოთო, თუ ვინიცობაა საბაასო „საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლიო" — ეს მეტის მეტი და ყოვლად შეუწყნარებელი პირობაა.

გაზეთში მოქცეული საბაასო საგანი გამორკვეულია, თუ არა — ეგ რედაქტორის საქმეა. ამაზე „ჰოსა და არას" თქმა რედაქტორის ხელშეუხებელი უფლებაა და ნურას უკაცრაოდ, რომ ამ უფლებას მე, ვითარცა რედაქტორი, არ ჩამოვირთმევ არავის თხოვნითა. ვერა რედაქტორი ვერ მისცემს ნებას გარეშე კაცს, მაშინ შესწყვიტე ბაასი, როცა შენ დაინახავ საგანს გამორკვეულადაო".

ივნისის 7 — სამძიმრის დეპეშას უგზავნის პეტერბურგში ეკატერინე ჩუბინაშვილისას დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო.

„გულითა და სულით ვგლოვობ ღრმად-პატივსაცემის, ჩემის სახელოვანის მასწავლებლისა და ხელ-მძღვანელის დავით იესეს ძის დაკარგვასა. ინებოს ღმერთმა, რომ მოთმინებით აგეტანოთ ასეთი თქვენი მწუხარება" (დეპეშა ქვეყნდება 8 ივნისის „ივერიის" № 119-ში).

— დეპეშებს გზავნის აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და „ივერიის" რედაქციის სახელით.

— ამავე დღეს დეპეშით თხოვს პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ცაგარელს „ივერიის" რედაქციის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და პირადად ილია ჭავჭავაძის სახელით გვირგვინებით შეამკოს განსვენებული დავით ჩუბინაშვილის ცხედარი.

„ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს და დამრიგებელს დ. ი-ძეს ჩუბინაშვილს მისის მადლობელის შეგირდის თავ. ი. გრ-ძის ჭავჭავაძისაგან“ (ივერია, 1891, № 119, 125).

— საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო მოამბის დამატების (რუს. ენ. № 8, გვ. 19—20) ცნობით ილია ესწრება დ. ჩუბინაშვილის დაკრძალვას.

ივნისის 10 — სამადლობელ დეპეშას ღებულობს დავით ჩუბინაშვილის ქვრივისა და შვილისაგან მწუხარების ჟამს თანაგრძნობისათვის (ივერია, 1891, 13 ივნ. № 122, გვ. 1).

ივნისის ბოლო — გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 2579—2582) ივ. მაჩაბელი ბეჭდავს „წერილს რედაქციისადმი“, რომლითაც რედაქციას უსაყვედურებს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული თავადაზნაურობის კრების ანგარიშები სინამდვილეს არ შეეფერება. განსაკუთრებით კი ანგარიშების ის ნაწილი, რომელიც მის სიტყვას შეეხება. აქვე განიხილავს კონფლიქტს ილია ჭავჭავაძესთან.

ივლისი-აგვისტო-სექტემბერი (?) — საბანკო საქმეებს მოსაგვარებლად და სამკურნალოდ ილია პეტერბურგსა და მოსკოვში იმყოფება. მოსკოვში ილია მკურნალობს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკაში პროფესორ გრიგორ ზახარინთან და პეტერბურგში ექიმ ტრუბაჩოვთან.

„ჩემი ჯანმრთელობა სერიოზულად მოშლილი აღმოჩნდა. ზახარინმა დაასკვნა, რომ ღვიძლში დამწყებია ქვის დალექვა, მომცა რჩევა, თუ როგორ და რით ვიმკურნალო, თანაც აუცილებლად ჩასთვალა ვიმყოფებოდე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა მან ავადმყოფობის შემდგომ მსვლელობას თვალი ადევნოს; ამასთან გამაფრთხილა, რომ ჩემი ავადმყოფობა სერიოზულია და გართულებულია მეორე უფრო სერიოზული ავადმყოფობით, რომელსაც ლათინურად დიაბეტი ეწოდება. მან მირჩია მოვიწვიო ჩემი ავადმყოფობის მსვლელობის სამეთვალყურეოდ ექიმი ტრუბაჩოვი... ეს ტრუბაჩოვი, თურმე, ამომავალი მნათობია სამედიცინო მსოფლიოში. ეხლა მე ვიმყოფები აი ამ ტრუბაჩოვის მეთვალყურეობის ქვეშ... ხვალ დანიშნულია კონსილიუმი. ვნახოთ ხვალ ღმერთი რას მოგვცემს. სასტიკ დიეტაზედ მამყოფებენ; სიარულს არათუ მიშლიან, არამედ მავალდებულებენ კიდეც, როდესაც კი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა“ (თსკ, ტ. X, გვ. 134; იხ. აგრეთვე: საბჭ. მედიცინა, 1986, № 2).

ილია მუდმივ კონტაქტშია თბილისის საადგილმამულო ბანკის მმართველობასთან. მისი მოთხოვნით ივლისის ბოლოს მოწვეულ იქნა ბანკის დამფუძნებელთა და მსესხებელთა საგანგებო კრება. ბანკის ზედამხედველ კომიტეტსა და მმართველობას საქმის მიმდინარეობას

აცნობს (ივერია, 1891, №№ 147, 201; ნოვოე ობოზრენიე. 1891, № 2586. 2597).

„ილია ჭავჭავაძე ჩამოვიდა, გაკეთებული წამლობას ურგია, ზახარინს უწამლია. ახლა იმის ლექსების ბეჭდვას შეუდგებიან. გამომცემელი ამხანავობა ბეჭდავს“ (პ. უმიკაშვილი — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1, 1947, გვ. 226).

სექტემბრის 15 — საპასუხო წერილით ილია ბესარიონ ნიკარაძეს ატყობინებს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თანახმაა მისი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად დანიშვნაზე.

„ჩვენი გამგეობა თანახმა არის თქვენს აქ გადმოსვლაზე, მხოლოდ სამწუხაროდ, უნდა გამოგიცხადოთ, რომ ჯამაგირის მომატებაზედ ვერაფერს დაგპირდებით ჯერხანად მაინც“ (საისტ. მოამბე, ტ. 37—38, გვ. 328).

ოქტომბრის 17 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ილია წერილით თხოვს ალექსანდრე ხახანაშვილს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენას.

„... საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ... და გთხოვს, ინებოთ და თქვენს თავზე მიიღოთ შრომა ამ კატალოგის შედგენისა...“ (თ. ჩხიტუნიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. 1980, გვ. 26).

ნოემბრის დასაწყისი — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ღებულობს ალ. ხახანაშვილის წერილს (31 ოქტ. თარიღით). რომლითაც ილიას აცნობებს, რომ თანახმაა შეადგინოს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის (წიგნებისა და ხელნაწერების) კატალოგი (იქვე, გვ. 26).

ნოემბრის 8 — მ. დავიდოვა უძღვნის თავის წიგნს (В. Моцарт, его жизнь и музыкальная деятельность. СПб., 1891) წარწერით: „Князью Илье Григорьевичу Чавчавадзе в знак уваженія от автора. 8-го ноября 1891 г. С. Петербург“.

ნოემბრის 10 — „ივერიის“ № 240-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 9 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „სიმინდის საქმე იმერეთში“).

ნოემბრის 17 — „ივერიის“ № 245-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“).

დეკემბერი — ქვეყნდება ილიას ლექსები: „მძინარე ყმაწვილს“, „გუთნის დედა“, „ქართვლის დედას“, ნაწყვეტები: „აჩრდილიდან“, „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“, „განდეგილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“ — წგ.-ში: ხომლი. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

დეკემბრის დასაწყისი — ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა იწყებს ილიას თხზულებათა ბეჭდვას (ივერია, 1891, № 266).

დეკემბრის 11 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ილიას ხელმოწერით რწმუნების ქაღალდს და ინსტრუქციას უგზავნის ალ. ხახანაშვილს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად.

— ქართულ თეატრში ესწრება დ. ერისთავის „სამშობლოს“ განახლებულ წარმოდგენას.

დეკემბრის 13 — „ივერიის“ № 265-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „თეატრის მატიანე“, რომელშიც განიხილავს დ. ერისთავის „სამშობლოს“ განახლებულ დადგმას.

— ვალ. გუნია უძღვნის „საქართველოს კალენდარს“ წარწერით: „თავ. ილია გრიგოლის-ძეს ჭავჭავაძეს შემდგენელისაგან. 91. XII-13“.

დეკემბრის 22, 24 — „ივერიის“ № 273, 274-ში აქვეყნებს მოწინავეებს: „ტფილისი, 21 დეკემბერი, ტფილისი, 23 დეკემბერი“ [თავადაზნაურთა ეკონომიური დაქვეითების შესახებ].

დეკემბრის 25 — „ივერიის“ № 275-ში აქვეყნებს მოწინავეს: „ტფილისი, 24 დეკემბერი“ [ჩარჩებთან ბრძოლის შესახებ].

დეკემბრის ბოლო — ქვეყნდება ცნობა მომავალი წლის იანვრის პირველ რიცხვებში ბანკის საქმეებზე ილიას პეტერბურგში გამგზავრების შესახებ (ნოვოე ობოზრენიე, 1891, № 2757).

*
* *

— პეტერბურგში გამოდის მელიტონ ბალანჩივაძის ქართული რომანსი „ნანა“ ილია ჭავჭავაძის ტექსტზე. თარგმანი ი. ივაშკევიჩის. 4 გვ.

— ილიას მეთაურობით „ივერიის“ რედაქციაში იმართება თათბირი, თუ რას უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ბაქრაძის მემკვიდრეთაგან შემოწირული თანხა. ილიას აზრით შემოწირულება უნდა მოხმარებოდა წიგნთსაცავ-მუზეუმის აშენებას და მის უკვდავსაყოფად ეწოდებინათ მისი სახელი.

— საგურამოში მასპინძლობს გერმანელ მეცნიერსა და ალპინისტს გოტფრიდ მერცბახერს.

იანვრის დასაწყისი — ილიასადმი მიძღვნილ ექსპრომტებს აქვეყნებს „ივერია“ (№ 3); „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 2761); „ტიფლისკი ლისტოკი“ (№ 1); „მწყემსი“ (№ 1).

იანვრის 9, 17, 19 — „ივერიის“ № 5, 11, 13-ში ილია აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 8 იანვარი, ტფილისი, 16 იანვარი. ტფილისი, 18 იანვარი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“).

იანვრის 26 — მონაწილეობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წლიურ კრებაში. ილიას ხმის დიდი უმრავლესობით ირჩევენ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ.

იანვრის 28 — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის პირველ სხდომაზე ილიას მონაწილეობით წარმოებს გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის, საზინადრის, მდივნის არჩევნები..

იანვრის 29 — „ივერიის“ № 21-ში აქვეყნებს მოწინავეს: „ტფილისი, 25 იანვარი“ [საზოგადო ბეღლისა და საზოგადო ზვრების გამართვის შესახებ].

იანვრის ბოლო — ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის — „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1890 წლის სექტემბრის 1-დან 1891 წ. სექტემბრის 1-მდე“. ტფ., 1892. 35 გვ.

თებერვლის 2 — „ივერიის“ № 25-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 თებერვალი“ [დასასრული წერილისა — საზოგადო ბეღლისა და ზვრების გამართვისათვის].

თებერვლის 5 — ქვეყნდება ცნობა „კაცია ადამიანის“ რუსულად თარგმნისა და დასაბეჭდად გადაცემის შესახებ (ივერია, 1892, № 27, გვ. 1).

თებერვლის 21 — „ივერიის“ № 39-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 თებერვალი“ (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“).

თებერვლის 22 — „ივერიის“ № 40-ში ილიას ხელმოწერით ქვეყნდება — „ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1892 წლისა“.

თებერვლის 27 — მონაწილეობს ლევან მელიქიშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაში.

მარტის 11 — სტუმრად არის კოლია ერისთავთან. წერილს უგზავნის გრიგოლ ყიფშიძეს და სთხოვს გაუგზავნოს „ივერიის“ ის ნომრები, სადაც დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემები.

„... გამომიგზავნეთ, საცა ვაჟა-ფშაველას აფშინაა, გოგოთური და სხვა პოემები, ერთის სიტყვით, ყველა ის ივერიები, საცა პოემებია“ (თსკ, ტ. X, გვ. 117).

მარტის დასაწყისი — ქართული წიგნების ბეჭდვის ამხანაგობა ამთავრებს ილიას თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომის ბეჭდვას.

„... ამხანაგობას უკვე გაუთავებია ბეჭდვა ბ-ნ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველის ტომისა“ (ივერია, 1892, 12 მარტი, № 54, გვ. 1).

მარტის ბოლო — გამოდის ილიას თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომი, რომელშიც შესულია ლექსები და პოემები.

„ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი... გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად“.

„ქართველებს სააღდგომო საჩუქრად. ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში იყიდება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. 2 მ. 50 კ. იგივე უყდო 2 მ. იგივე მდარე ქაღალდზე 1 მ. 20 კ.“ (ივერია, 1892, 25, 27 მარტი, № 64, 65 და ა. შ.).

აპრილის 12 — ნიკო ხიზანაშვილთან ერთად ესწრება „სამშობლოს“ წარმოდგენას. ამ დღეს მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე.

„წარმოდგენის ღამეს ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ხიზანაშვილს მოეწადინებიათ „სამშობლოზე“ მოსვლა. საზოგადოთ ილია ძალიან იშვიათად დაიარებოდა თეატრში. მოვიდნენ, გაიხადეს პალტოები და შევიდნენ ლოჟაში. როცა გაიგეს, რომ სვიმონ ლეონიძეს როლს კოტე ყიფიანის მაგივრად მე ვასრულებდი, ილიამ მაშინვე მოითხოვა პალტო და დააპირა უკან გაბრუნება. ნ. ხიზანაშვილმა შეაჩერა: „დაიცა კაცო, პირველი მოქმედება ვნახოთ და თუ არ მოგეწონა, მაშინ წაიდეთო“. აიხადა ფარდა, გამოვედი სცენაზე. დავიწყე თუ არა — ილიამ ჯერ ერთი სახელო გაიხადა, მერე მთლად გაიძრო პალტო და ბოლომდის გულმოდგინეთ მოისმინა, რაც იშვიათი იყო მის ცხოვრებაში“ (ვ. გამყრელიძე — თეატრალური მოამბე, 1969, № 2, გვ. 7).

აპრილის პირველი ნახევარი — ანონიმურად გამოდის ივ. მაჩაბლის წიგნი — თ. ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა. ტფ., 1892. 87 გვ.

„გამოვიდა და ისყიდება პატარა ბროშურა, რომელსაც სახელადა აქვს „თ. ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა". ბროშიურა დაწერილია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ უცნობის ავტორისაგან" (ივერია, 1892, 19 აპრ. № 81, გვ. 2).

აღნიშნული წიგნის გამოსვლას მოწინავეებს უძღვნიან გაზეთები „კავკას" (№ 123) და „ნოვოე ობოზრენიე" (№ 2866).

წიგნის გამოსვლიდან უახლოეს ხანში ქვეყნდება ვეტერანის [ვლ. მიქელაძის] ვრცელი რეცენზია გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე"-ში (№ 2873, 2876, 2882, 2883) ფურცლებზე სათაურით: „Сердитое безсилие." Кн. И. Чавчавадзе и его деятельность. Тифлис, 1892".

რეცენზიაში წიგნის გარჩევასთან ერთად დახასიათებულია ივანე მაჩაბლის მოღვაწეობა, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის აღშფოთების ჟამს დაწერილი წერილების გამოქვეყნება „ნოვოე ობოზრენიეში" (№ 2903, 2904).

აპრილის 15 — „ივერიის" № 77-ში ანტრონიმით (***) აქვეყნებს ეტიუდს — „ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული)".

— „ივერიის" ამავე ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში".

აპრილის 18 —მონაწილეობს წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებაში.

„კრებაზედ დაესწრო 52 წევრი 37 რწმუნების წერილით. იყვნენ გენ. კონსტანტინე მამაცაშვილი, თავ. ილია ჭავჭავაძე... და სხვანი... კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ. ილია ჭავჭავაძე, მაგრამ რადგან უარი განაცხადა, ამოირჩიეს ბ-ნი ნიკოლოზ მთვარელიშვილი" (ივერია, 1892, 23 აპრ., № 84, გვ. 2).

მაისის 11 — მონაწილეობს იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაში. განსვენებულის კუბოს ამკობს გვირგვინით.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან": „დამფუძნებელ წევრს, თ. იასე ადამის ძეს ანდრონიკაშვილს". ოლგა და ილია ჭავჭავაძეთაგან" (ივერია, 1892, 12 მაისი, № 98, გვ. 2).

მაისის 12—14, 16, 19 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაში. აქტიურ მონაწილეობას

ილებს ბანკის ოპერაციების, კრედიტორთა შეღავათების, სარგებლის განაწილების, მემამულე ჯანდიერების მამულების საქმისა და სხვათა გარშემო გამართულ კამათში (კრების სტენოგრაფიული ანგარიშები ქვეყნდება 13, 18, 20, 21, 23, 24, 27—30 მაისის „ივერიის“ № 99, 102—105, 106—110-ში. ილიას გამოსვლები იბეჭდება 20, 21, 23, 24, 27—29 მაისის ნომრებში).

მაისის 14—15 — მონაწილეობს სათავადაზნაურო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კრებაში. კრება იხილავს სკოლის შენობის შეძენის საკითხს (კავკაზ, 1892, № 130).

მაისის 17 — „ივერიის“ № 101-ში ქვეყნდება ხელმოუწერელი წერილი — სახელდახელო ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები ამბავი (წერილის ავტორი უნდა იყოს სტ. ჭრელაშვილი (?), როგორც ეს მიწერილია სტატიაზე ფანქრით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის „ივერიის“ ცალზე). წერილი ეხება ბანკის კრებებს, ილიას წინააღმდეგ უავტოროდ გამოსულ ბროშურას, მაჩაბლის მოქმედებას. წერილის ავტორი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ილია „ივერიის“ თანამშრომლებს არ აძლევს უფლებას მოათავსონ რაიმე ბანკის შესახებ, ილიას დასაცავად.

ამავე ნომერში ქვეყნდება Plebs-ის [ნ. ხიზანაშვილის] წერილი — „მასლაათი ჩვენებურ ოპოზიციის შესახებ“.

მაისის ბოლო — წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობა პეტერბურგიდან ღებულობს მისივე დაკვეთით დაბეჭდილ ილიას პორტრეტს, ილიას თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული სურათის შესაცვლელად.

„ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აუწყებს თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის მყიდველთ, რომ ამხანაგობამ უკვე მიიღო პეტერბურგში დაბეჭდილი ავტორის სურათი და, ვისაც უყიდნია ზემოხსენებული წიგნი, შეუძლიან სურათი წარმოადგინოს ახალზედ გამოსაცვლელად... (ივერია, 1892, 30 მაისი, № 110, გვ. 1).

მაისის ბოლო-ივნისის დასაწყისი — თბილისის საადგილმამულო ბანკის კრებაზე გამგეობის წევრებს შორის, განსაკუთრებით ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის, წარმოებული ბრძოლის ირგვლივ გაზეთი „ნოეოე ობოზრენიე“ აქვეყნებს პ. იაკიმოვისა (№ 2889) და ნიკო ნიკოლაძის წერილებს (№ 2893, 2898).

გაზეთ „ნოეოე ობოზრენიეს“ № 2896, 2897, 2902-ში ქვეყნდება გ. მაიაშვილის [ზდანოვიჩის] ვრცელი მიმოხილვა ილიას თხზულებათა ოთხტომეულის პირველ ტომზე — „Кн. Илья Гр. Чавчавадзе как поэт (Сочинения Ильи Чавчавадзе. Т. I. Поэтические произведения...)“

ივნისის დასაწყისი — გამოდის ილიას თხზულებათა ოთხტომეულის მეორე ტომი. ტომში შესულია მოთხრობები: მგზავრის წერილები. — გლახის ნაამბობი. — კაცია ადამიანი?!

„ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეორე ტომი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასასყიდად...“ (ივერია, 1892, 9 ივნ. № 118, გვ. 1).

— ქართველთა ამხანაგობა იწყებს ილიას თხზულებათა მესამე ტომის ბეჭდვას.

„ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველთა ამხანაგობა უკვე შესდგომია თ. ილია ჭავჭავაძის 3 ტომის ბეჭდვას“ (იქვე).

ივნისის 4 — ესწრება დრამატიული საზოგადოების საგანგებო კრებას, სადაც მონაწილეობს საზოგადოების წინა კრებაზე უკანონოდ ჩატარებული არჩევნების გამო გამართულ კამათში (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ 1892 წ. 7 ივნ., № 117, გვ. 2).

ივლისის შუა რიცხვები — ერთ-ერთ პირველს შეაქვს შეწირულება 25 მანეთის ოდენობით ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ (ივერია, 1892, 18 ივლ., № 151).

აგვისტოს 11 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საგანგებო კრებაში, რომელიც იხილავს გუბერნიის სოფლებში ხოლერის გავრცელებისა და დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენის საკითხებს. კრებაზე ილია გამოდის სიტყვით და მოითხოვს დაზარალებულთათვის თანხის გამოყოფას განუსაზღვრელი ოდენობით.

„... როგორ თუ არა აქვს ბანკს ფული? მაშ ვისა აქვს, თუ არ ბანკს! ჭარვასლის გადასაკეთებლად თხუთმეტი ათასი თუმანი დავხარჯეთ და აგერ ხუთის წლის განმავლობაში ეს ფული ერთიან დაიბრუნა ბანკმა უკანვე. თუ-კი ჭარვასლებს მაგოდენა ფულს მოვანდომებთ. ნუ თუ ხალხის ჯამრთელობა არა ღირს იმად, რომ დავხარჯოთ, რამდენიც დასჭირდება ამ საქმეს, და შემდეგ კვლავ აღვადგინოთ ეგ ფული!“ (ივერია, 1892, 15 აგვ. № 173, გვ. 2).

აგვისტოს მეორე ნახევარი — ილია ათვალიერებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის პეტერბურგიდან მიღებულ პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგს[17].

---

17 ჩვენი ვარაუდით ქვემოთ მოყვანილი სიტყვები, რომელიც გაზეთ „ივერიის“ რუბრიკა „ახალ ამბებშია“ ჩართული, ილიას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ცნობის შემდეგ „ივერიის“ 29 აგვისტოს № 183-ში ქვეყნდება შემდეგი ცნობა: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უკვე მოსვლია პეტერბურგიდან განსვენებულ პროფესორის დ. ი. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა. სულ ოთხი დიდი ხის ყუთია“.

„ჩვენ გადავათვალიერეთ კატალოგი პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისა, რომელიც შემოსწირეს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. ამ სიაში მოხსენებული არ არის წიგნები, რუსულსა და უცხო ენებზედ დაწერილ, და, მაშასადამე, არც გამოიგზავნება პეტერბურგიდგან ტფილისს. განსვენებულ პროფესორის ბიბლიოთეკაში მოიპოვება ბევრი იმისთანა წიგნი, უცხო ენაზედ დაწერილი, რომელიც ფრიად საჭიროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. განსვენებულმა და იმისმა შვილმაც მოისურვა, რომ ყველა წიგნი, რომელიც-კი საქართველოს შეეხება, დაცული იყოს ტფილისში, და ამიტომ სასურველია, რომ განსვენებულის სახლში დარჩენილი წიგნებიც მოაწოდონ ჩვენს „საზოგადოებას“ (ივერია, 1892, 21 აგვ. № 177, გვ. 1).

აგვისტოს 22 (?) — ქვეყნდება ილიას ლექსის „გავსწორდეთ ბედო“ („Давольно, перестань, жестокая судьба...“) ვ. ველიჩკოსეული თარგმანი (ნოვოე ობოზრენიე, 1892, № 2978).

სექტემბერი — თბილისისა და დუშეთის მაზრებში ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ილია ვრცელ ანგარიშს წარუდგენს თბილისის გუბერნატორს გ. შერვაშიძეს. ეს უკანასკნელი ილიას ანგარიშზე აკეთებს შემდეგ მინაწერს.

„Сердечно обрадован столь умелым выполнением Князем Ильею Григорьевичем возложенных мною на него обязанностей по борьбе с эпидемией и за настоящий отчет, достойный всем известных дарования и добросовестности почтенного автора.

Полагал бы весьма полезным напечатанние в газете „Кавказ“ извлечения из него“ (საისტ. მოამბე, ტ. 21—22, 1967, გვ. 500).

სექტემბრის 13 — ესწრება ივანე პოლტორაცკის დაკრძალვას სოფელ ოქროყანაში. ილიამ ძალზე განიცადა ივანეს გარდაცვალება (ივანე იყო ილიას ამხანაგი გიმნაზიიდან, ილიას მოთხრობების რუსულად მთარგმნელი. ილია — ივანეს შვილის ნათლია).

„ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმაც მითხრეს: „ილიას თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო“. ისინი გაკვირვებულნი იყვნენ: „ერთხელ ძლივს დავინახეთ მის თვალზე ცრემლიო“ (ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები. ტ. 1. 1968, გვ. 261).

ოქტომბრის დასაწყისი — წალკის მოსახლეობის წარმომადგენლები, სხვებთან ერთად, ილიას მადლობას უხდიან ხოლერასთან ბრძოლაში დახმარებისათვის.

„ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდა წალკიდან დეპუტაცია, რომელსაც მინდობილი აქვს, მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს თ. შერვაშიძეს, თავად-აზნაურობას და იმის ბანკს წარმომად-

გენლებს, თ. პეტრე გრუზინსკის, თ. ი. გ. ჭავჭავაძეს და აგრეთვე თავად-აზნაურთა წინამძღოლს ლ. ა. მაღალაშვილს და მაზრის წინამძღოლს თ. გ. ი. ორბელიანს, რომელთაც სამსახური მიუძღვით წალკას ხოლერასთან ბრძოლის საქმეში“ (ივერია, 1892, 7 ოქტ., № 211, გვ. 2).

ოქტომბრის 9 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ილიას თაოსნობით ღებულობს დადგენილებას ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების შესახებ (ნებართვა მიღებულ იქნა დიდი დაგვიანებით).

ოქტომბრის მეორე ნახევარი — წიგნის საგამომცემლო ქართველოა ამხანაგობა ამთავრებს ილიას თხზულებათა მეოთხე ტომის ბეჭდვას.

„ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად ქართველთა ამხანაგობა თ. ილია ჭავჭავაძის ნაწერების მეოთხე ტომს ბეჭდავს, რომელიც ორ წიგნად იქნება გაყოფილი. პირველი წიგნი უკვე დაბეჭდილია და ამ დღეებში მეორე წიგნის ბეჭდვაც გათავდება. მეოთხე ტომში მთლად მოთავსებულია რომანი „იზა“. ამავე ავტორის მესამე ტომი ზაფხულშივე იყო დაბეჭდილი, მხოლოდ როგორც შევიტყეთ, მეოთხე ტომზე გვიან გამოვა გასასყიდად“ (ივერია, 1892, 15 ოქტ. № 218, გვ. 1).

ნოემბრის 1 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი და მმართველობა მოსახსენიებელ პანაშვიდს უხდის ბანკის ყოფილ დირექტორს დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ნოემბრის დასაწყისი — გასაყიდად ვრცელდება ილიას თხზულებათა მეოთხე ტომი.

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიას გარდაეცა გასასყიდად ამხანაგობის მიერ გამოცემული ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა მე-IV ტომი. ამ ტომში მოთავსებულია „იზა“ რომანი ბუვესი. ფასი 1 მ. 60 კ., ხოლო კარგ ქაღალდზედ ყდით 2 მ. 50 კ.“ (ივერია, 1892, 10 ნოემ. № 238, გვ. 3—4).

ნოემბრის 12 — „ივერიის“ № 240-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 11 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“).

ნოემბრის 13 — „ივერიის“ № 241-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 12 ნოემბერი (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“).

ილიას აღნიშნული მოწინავეს გამო ილ. ხონელი [ბახტაძე] გაზეთ „კავკაზის“ № 310-ში აქვეყნებს წერილს „Летучие заметки“.

ნოემბრის მეორე ნახევარი — „ივერიის“ რედაქციის საშუალებით ილია შეკვეთას აძლევს თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ ორ წიგნზე.

„ჩვენის გაზეთის რედაქტორმა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ გადმოგვცა ჩვენ 6 მან ბ-ნ თ. ჟორდანიას ორის წიგნის დასაკვეთად“ (ივერია, 1892, 18 ნოემბ. № 244, გვ. 2).

— თელავის მაზრის თავადაზნაურთა კრებაზე, რომელიც მოიწვიეს ღვინის ვაჭრობის ამხანაგობის შესადგენად, გამოთქვამენ აზრს წესდების შემდგენ კომისიაში ილიას არჩევის შესახებ.

„ჩვენა გვყავს ტფილისში თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელმაც კარგად იცის ამ გვარი საქმენი და ამიტომ შეუძლიან ჩვენთვის სასარგებლო და შესაფერი წესდებ-ს შედგენა...“ (ივერია, 1892, 19 ნოემბ. № 245, გვ. 3).

ნოემბრის 26 — გაზეთ „კავკაზის“ № 310-ში გამოქვეყნებული ილ. ბახტაძის წერილის პასუხად ილია „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 3070) აქვეყნებს წერილს „Газета „Кавказ“ и ее „летучие заметки“ о конверсии“.

— ქალაქის სესხის კონვერსიის საკითხზე ი. ჭავჭავაძისა და ილ. ბახტაძის კამათს ეხმაურება გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკ“ (№ 275) „პატარა ფელეტონით“.

დეკემბრის 20 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრების საქმიანობაში. კრება, რომელიც ეხება კახეთის რკინიგზის დაფინანსების საკითხს, ილიას სთხოვს გამოსთქვას თავისი აზრი. ილია წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც აღნიშნავს, რომ თავადაზნაურობას კახეთის რკინიგზისათვის ფული არა აქვს. მისი აზრით კახეთის რკინიგზის მშენებლობის დაფინანსება უნდა მოხდეს ე. წ. ობლიგაციური გზით.

„მე, მართალია, ჩემი აზრი ამ საგანზე მოვახსენე კომისიას და სათავეც ჩემის აზრისა მივიღე ის გარემოება, რომ თავად-აზნაურობას კახეთის რკინის გზისათვის ფული არა აქვს და, ჩემის ფიქრით, არც საჭიროა, რომ ჰქონდეს. ფულის საშოვრად მე მეგულება მარტო ორი გზა, ერთი აქციონური და მეორე ობლიგაციონური... მე ვურჩიე კომისიას და თქვენც გირჩევთ დღეს ამ ობლიგაციონურს გზაზე დავდგეთ...“ (ივერია, 1892, 23 დეკ. № 273, გვ. 3).

— ირჩევენ კომისიაში, რომელსაც ევალება ფულის შოვნის საკითხის განხილვა, მაგრამ ილია უარს აცხადებს კომისიის წევრობაზე.

„... ილია ჭავჭავაძემ ჯერ სიტყვიერად და მერე წერილით გამოაცხადა უარი კომისიის წევრად ყოფნისა და ამ უარის თქმის ჭეშმარიტი მიზეზი მარშალს“ (იქვე, გვ. 3).

დეკემბრის 25 — „ნოვოე ობოზრენიეს“ № 3098-ში ბეჭდავს პასუხს მ. თამამშევისადმი ქალაქის სესხის კონვერსიის საკითხზე.

დეკემბრის 26 — ივანე კერესელიძის დაკრძალვა. განსვენებულის კუბოს ამკობს რვა გვირგვინი, აქედან ორი გვირგვინი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და „იბერიის“ რედაქციისაგან (იბერია, 1892, 29 დეკ., № 276, გვ. 1).

დეკემბრის 31 — ვალერიან გუნია უძღვნის „საქართველოს კალენდარს“ წარწერით: „თავ. ილია ჭავჭავაძეს ვალ. გუნიასაგან. 1892. XII—31“.

*
* *

ჭვეყნდება ლექსები: მძინარე ყმაწვილს. — ქართვლის დედას. — იანიჩარი. — რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა. — ლოცვა. — მას აქედ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული... — მესმის, მესმის სანატრელი... — ნანა. — ტყემ მოისხა ფოთოლი. — მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა... — ჩემო კარგო ქვეყანავ რაზედ მოგიწყენია!... — ციურნი ხმები. — მძინარე ქალი. — პოეტი. — დედა და შვილი. — გლახა ჭრიაშვილი. გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები. — ნაწყვეტი „აჩრდილიდან“. თარგმანები: ირლანდიისადმი. — ზღვათა მფლობელი... ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა... — ბედა მქადაგებელი. — ებრაული მელოდია. — წგ-ში: ჩანგი. მე-2 გამოც. შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ.

ჭვეყნდება ილიას ნაწარმოებები: ჩიტი. — ლოცვა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზე; ნაწყვეტები „გლახის ნაამბობიდან“, „აჩრდილიდან“, „განდეგილიდან“, „კაცია ადამიანიდან“, სიტყვა, თქმული სკოლის გახსნის ჟამს სოფელ წინამძღვარიანთკარში. — წგ.-ში: ბუნების კარი. მე-7 გამოც.

1893

იანვრის 1 — „იბერიის“ № 1-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 იანვარი“ (თსკ, ტ. V-ში სათაურით: „შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“).

იანვრის 8 — „იბერიის“ № 4-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 7 იანვარი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“).

იანვრის 16, 17, 19 — „ივერიელის“ ხელმოწერით აქვეყნებს წერილებს — გაზ. „Новое Обозрение“ და „კახეთის რკინის-გზა“ (ივერია, 1893, № 10, 11, 12).

იანვრის 21 — „ივერიის“ № 14-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 იანვარი“ [გლეხთა საკომლო მიწების შესახებ].

იანვარი 24 — „ივერიის“ № 17-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 23 იანვარი“ [ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ].

იანვრის მეორე ნახევარი — ჟურნალი „მწყემსი“ (№ 2) აქვეყნებს წერილს — „ფუტკრების დედო და თ. ი. გ. ჭავჭავაძე, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი“ (ხელმოწერა რ. დ. ღა-ძე); წერილი ეხება გაზეთ „ივერიის“ ურთიერთობას საქართველოს სხვა ჟურნალ-გაზეთებთან (წერილის დასასრული ქვეყნდება „მწყემსის“ № 3-ში).

— ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა 1 სექტემბრიდან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ.“ თბ., 1893. 36 გვ.

იანვრის 28, 30, 31 — „ივერიელის“ ფსევდონიმით აგრძელებს წერილების ბეჭდვას კახეთის რკინიგზის შესახებ — „მოვალეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა (ციდევ „Новое Обозрение“-სა და კახეთის რკინის-გზის გამო)“. — წერილები დაიბეჭდა „ივერიის“ № 20, 22, 23-ში. (აღნიშნული წერილების წინააღმდეგ ხომლელი [რ. ფანცხავა] „კვალში“ № 16, 17, 20, 21 — ბეჭდავს საპასუხო წერილებს სათაურით „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“).

იანვრის 31 — თავმჯდომარეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ № 25-ში).

იანვარი (?) — უკრაინული ჟურნალი „პრავდა“ აქვეყნებს ილიას ლექსს „გაზაფხულს“ (Весна. пер. О. Л.-ий).

თებერვლის 2 — „ივერიის“ № 24-ში ხელმოწერით — „თქვენი თანამშრომელი“ საკითხის დასმის წესით აქვეყნებს — „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“ (წერილი რედაქციის მიმართ).

აღნიშნული წერილის გამო კონსტანტინე მამაცაშვილი ჟურნალ „კვალის“ № 9-ში აქვეყნებს წერილს — „კიდევ სათავადაზნაურო სკოლის გამო“. წერილში გაკრიტიკებულია ილიას აზრი, რომელიც უპირატესობას სამეურნეო სკოლას ანიჭებს.

ამავე წერილს ეხმაურება „მოხუცი პედაგოგის“ ხელმოწერით ქუთაისიდან გამოგზავნილი წერილი რედაქციის მიმართ — „ხმა იმერეთიდამ“ (ივერია, 1893, № 48).

თებერვლის 9 — „ივერიის“ № 27-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 9 თებერვალი“ [საერთაშორისო პოლიტიკის საკითხზე].

თებერვლის 14 — „ივერიის“ № 32-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 13 თებერვალი“ [ისევ კახეთის რკინიგზის საკითხზე].

თებერვლის 14-16 — აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საგანგებო კრებაში. კრება იხილავს კახეთის რკინიგზის წინასწარი სამუშაოებისათვის ბანკის გასული წლის მოგებიდან თანხის გამოყოფის საკითხს. ბანკის მმართველობის კონვერსიის საკითხის გარშემო კამათის გამწვავება ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის (კრების სტენოგრაფიული ანგარიშები ქვეყნდება 16, 17, 23, 24, 26, 28 თებერვალს „ივერიის“ № 33, 34, 39, 40, 42, 43-ში და „კვალის“ № 8-ის დამატებაში).

თებერვლის 17 — ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის შედგენის მიზნით კახეთის მევენახეთა კრებაზე, თელავში, ილიას ირჩევენ ამხანაგობის წესდების შემმუშავებელ კომისიაში (ნოვოე ობოზრენიე, 1893, № 3146).

მარტის 6 — „ივერია“ აქვეყნებს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ბალანსს 1893 წ. 1 იანვრისათვის (ბალანსი ქვეყნდება ხელმოუწერლად.)

მარტის 10 — თბილისის გუბერნატორი პოლიციის დეპარტამენტს მიმართვასთან ერთად უგზავნის უწყისს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირთა შესახებ. უწყისში სხვა 76 პირს შორის აღნიშნულია ილია ჭავჭავაძე, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება, და მასზე დაწესებულია მეთვალყურეობა უვადოდ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 235).

მარტის 17 — „ივერიის“ № 56-ში ადგილს უთმობს კორესპონდენციას ხონიდან, რომელშიც გადმოცემულია ადგილობრივ სემინარიაში მოსწავლეთა გაფიცვის მსვლელობა და მისი ნამდვილი მიზეზები.

კორესპონდენცია სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობის სერიოზული უკმაყოფილების მიზეზი ხდება, განსაკუთრებით მათთვის არასასიამოვნოა იმ ფაქტის გამოაშკარავება, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე ზავადსკი დათანხმდა მოსწავლეთა მოთხოვნებს.

სასწავლო ოლქის უფროსი იანოვსკი დაუყოვნებლივ მოითხოვს ზავადსკის ჩარევის ფაქტის უარყოფას. საცენზურო კომიტეტის დადგენილებით „ივერიის“ რედაქციას ეგზავნება ზავადსკის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი „ოფიციალური უარყოფა“ და ეძლევა წინადადება

მისი უახლეს დღეებში გამოქვეყნების შესახებ. ილია არ ბეჭდავს ზავადსკის „უარყოფას“.

მარტის 28 — „ივერია“ (№ 64) აქვეყნებს განცხადებას:

„ამ დღესასწაულებისათვის ისყიდება საუკეთესო ღვინოები კნ. ი. გ. ჭავჭავაძისა და სხვა კახეთის მემამულეებისა. ვედრო 1 მ. 80 კ.-დგან ვიდრე 10 მ-დინ, ბოთლი 12 კ. ვიდრე 1 მ-დე.

პადვალი იმყოფება შუა ბაზრის თავში, წინამძღვრიშვილის სახლში. ს. თ. კურდღელოვი“.

მარტის ბოლო — ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის „ანგარიში ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მოქმედებისა 1892 წ. მეთვრამეტე წელიწადი“. ტფ., 1893. 35 გვ.

აპრილი — საცენზურო კომიტეტი შეკითხვით მიმართავს „ივერიის“ რედაქციას ზავადსკის „უარყოფის“ შესახებ. რედაქცია დუმს.

აპრილის მეორე ნახევარი — საცენზურო კომიტეტი „ივერიის“ რედაქციისაგან დაჟინებით მოითხოვს ზავადსკის „უარყოფის“ გამოქვეყნებას.

აპრილის 20 — „ივერიის“ რედაქცია საცენზურო კომიტეტს წარუდგენს გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ზავადსკის „უარყოფის“ ქართულ თარგმანს. საცენზურო კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს რუსული ტექსტის გამოქვეყნებას.

აპრილის 20-23 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაში.

აპრილის 25 — მონაწილეობს განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დიდუბეში გადმოსვენების სამგლოვიარო ცერემონიალში. ილია წარმოთქვამს სიტყვას.

„მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდაშვიდს წელიწადს შემდეგ და იქნება სთქვან გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდა შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის, არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჰკუა გახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდ-ბუნებოვან კაცისა“ (ივერია, 1893, 27 აპრ., № 86, გვ. 2).

აპრილის 26 — პირადად მიდის საცენზურო კომიტეტში და უარს აცხადებს ზავადსკის „უარყოფის“ რუსულ ენაზე გამოქვეყნების შესა-

ხებ იმ მოტივით, რომ მას უფლება არა აქვს ქართულ გაზეთში რუსული ტექსტის დაბეჭდვისა. საცენზურო კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვს „უარყოფა“ დაიბეჭდოს რუსულად.

აპრილის 27-29 — გრძელდება თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის კრება. აქტიურ მონაწილეობას იღებს კრების საქმიანობაში. ილიას და სხვათა წინადადებით კრება იღებს გადაწყვეტილებას კახეთის დამშეული სოფლებისათვის ბანკის მოგებიდან 3000 მანეთის გადადების შესახებ (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ № 81—83-ში, „ნოვოე ობოზრენიეს“ № 3204-3208, 3210-3212-ში, „კავკაზის“ № 104—108, 110—113-ში).

აპრილის 27 — „ივერიის“ № 86-ში აქვეყნებს მის მიერ ნ. ბარათაშვილის ნუშტის დიდუბეში დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვას. იგივე ქვეყნდება „კვალის“ № 18-ში.

— ამავე ნომერში საცენზურო კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნით ილია ბეჭდავს ზავადსკის „უარყოფის“ რუსულ ტექსტს (Письмо в редакцию) რედაქციის შენიშვნით ქართულ ენაზე — „იბეჭდება კავკასიის საცენზურო კომიტეტის განკარგულებით“.

აღნიშნული შენიშვნების გამო საცენზურო კომიტეტი სთხოვს კავკასიის მთავარმართებლობას სათანადო ზომების მიღებას.

აპრილის ბოლო — ჟურნალ „მოამბის“ № 4-ში ქვეყნდება ილიას მონაწილეობით შედგენილი კახეთის მევენახეთა ამხანაგობის წესდების პროექტი.

მაისის 5 — „ივერიის“ № 93-ში ქვეყნდება თბილისის ქალაქის გამგეობის ხმოსანთა საკანდიდატო სია. ხმოსანთა კანდიდატად ილია დასახელებულია 157 ხმით.

მაისის 8 — „ივერიის“ № 95-ში ქვეყნდება ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია. ილია დამტკიცებულია ქალაქის ხმოსანთა კანდიდატად.

მაისის 15 — „ივერიის“ № 100-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 14 მაისი“ [თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები].

მაისის 16 — თბილისის ხმოსანთა არჩევნები. ირჩევენ თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად 498 ხმით, 438-ის წინააღმდეგ (ტიფლისკი ლისტოკ, 1893, № 111).

(არჩევნები საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მიერ მიჩნეული იქნა უკანონოდ. ხელახალი არჩევნები ინიშნება 30 მაისისათვის).

მაისის მეორე ნახევარი — სხვა ქართველ კანდიდატებთან ერთად უარს ამბობს კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად.

„გუშინ-წინ, კვირას, 30 მაისს, მოხდა ხელ-მეორედ არჩევანები ქალაქ ტფილისის ხმოსანთა კანდიდატებისა, რადგან 16 მაისის არჩევანები უკანონოდ სცნა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ და გააუქმა... ბევრმა ასეთი ქაღალდი მიართვა ქალაქის მოურავს, რადგან 16 მაისის არჩევანებს ისეთი ხასიათი დაეტყო და ისეთი არა სასურველი ტენდენცია დაერთო, რომელიც შესაძლოა ეხლაც არ ასცდეს არჩევანებს, ამიტომ არა გვსურს კენჭი ვიყაროთო. კენჭის ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ-ნ გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა, რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთაგან“ (ივერია, 1893, 1 ივნ. № 112, გვ. 1).

მაისის 29 — „ივერიის“ № 110-ში ბეჭდავს წერილს — „ახალი არჩევანები“ — 16 მაისის არჩევნების შედეგების უკანონოდ ცნობის გამო.

ივნისის დასაწყისი — გასაყიდად გამოდის ილიას თხზულებათა მესამე ტომი. ქართველთა ამხანაგობის გამოცემა. 1982. 290 გვ. ფასი 1 მ.

ტომში შესულია ილიას ნაწერები: გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები; სარჩობელაზე; ოთარაანთ ქვრივი; ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი; ამბავად გაგონილი. თარგმანები: მუსაიფი; ბებერი დედაკაცი; ძაღლი; მთხოვარა; „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“; სულელი; ბელურა (ტურგენევისა); უკანასკნელი გასაკვეთი. ნაამბობი პატარა ალზასელისა; თურკოსი კომმუნელთა შორის (ა. დოდესი); ვაქებ და ამასაც ხომ არ დამიშლიან! (ლარასი); შვიდი მოხუცებული ჰამზასი (სერბიული მოთხრობა).

ივნისის პირველი ნახევარი—დავით მაჭელაძესა და არტურ ლაისტთან ერთად მოგზაურობს კახეთის (თელავის მაზრის) დამშეულ სოფლებში, ესაუბრება ხალხს. აინტერესებს დაზარალებულთა მდგომარეობა.

„ჩვენ თითონ გვქონდა შემთხვევა გვენახა და გველაპარაკა ხალხთან ამ საგანზედ სხვა-და-სხვა სოფლებში, გზაზედ და ქალაქ ადგილას. მაგრამ არაოდეს არ შეგვიმჩნევია, რომ მცირეოდენი უიმედობა და მწუხარება გამოხატული იყოს რომელისამე სახეზედ, ან ხმაზედ შემჩნეოდათ უსასოობა. სადაც-კი. არ ვიყავით, და ვისაც-კი არ შევხვედით, ნიადაგ ერთი და იგივე პასუხი გვესმოდა: „დიაღ, ბატონო, პურის მოსავალი ნაკლები გახლდათ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იოლად წავედით, ერთმანეთს დავეხმარენით და ეხლა ხომ ახალმა მოსავალმაც მოაწიაო“.

ორის კვირის განმავლობაში თითქმის მთელი კახეთი დავიარეთ და ერთი შემთხვევაც არ გვინახავს, რომ ვინმე დამშეული სამოწყალოდ წასულიყოს...“ (მეველე [დ. მიქელაძე] ივერია, 1893, 22 ივნ. № 130).

ივნისის 4 — დავით მიქელაძესა და არტურ ლაისტთან ერთად ჩადის თელავში.

„ 4 ივნისს თელავს ესტუმრა ჩვენი პოეტი და რედაქტორი გაზ. „ივერიისა“ ბ-ნი ილია ჭავჭავაძე. მასთან იყვნენ: თ. დავით მიქელაძე და ვეფხის-ტყაოსანის გერმანულად მთარგმნელიცა ა. ლეისტი. კვირას, 6 ივნისს, წავიდნენ ყვარელში“ (ივერია, 1893, 10 ივნ. № 120).

ივნისის 6 — თანმხლებ პირებთან ერთად თელავიდან მიემგზავრება ყვარელში.

ივნისის 11 — თავმჯდომარეობს კახეთის მევენახეთა კრებას, რომელიც გაიმართა ღვინის ვაჭრობის ამხანაგობის შესადგენად თელავის თეატრის დარბაზში. კრებაზე განხილული იქნა ილიას მონაწილეობით შედგენილი ამხანაგობის წესდების პროექტი. სიტყვას წარმოთქვამს კრებაზე.

„11 ივნისს მოწვეულნი იყვნენ კახეთიდგან ვენახის პატრონები, რომელთაც მოიყარეს თავი სათეატრო დარბაზში. აქვე შეიყარნენ თელავის თავად-აზნაურნი და სხვა ვენახის პატრონები. ყველამ ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარედ თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, და დილის 11 საათზედ თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვით მიჰმართა კრებას...“ (კრების ანგარიში და ილიას სიტყვის შინაარსი გადმოცემულია გაზეთში. ივერია, 1893, 16 ივნ. № 125; 17 ივნ. № 126; 18 ივნ. № 127; 20 ივნ. № 129-ში).

— საღამოს თელავის საზოგადოება და კრების მონაწილეები ილიას პატივსაცემად სადილს მართავენ ნადიკვარზე „ჭანდრის“ ქვეშ. სადილზე სიტყვებს წარმოთქვამენ ნ. ჩოლოყაშვილი, ი. ზურაბაშვილი და სხვ. ილია წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას.

„... საზოგადოებამ სთხოვა თ. ილია გრ. ჭავჭავაძეს სადილად და მალე ეზოში მოგროვილი ხალხი ილიასთან ერთად წამოვიდა, ესრედ წოდებულს, „ჭანდრის“ ქვეშ“ (ივერია, 1893, 18 ივნ. № 127, გვ. 2).

„სადილს დაესწრო ას ოცდაათზედ მეტი ქალი და კაცი. ვის შეჰხედავ ამათში, რომ სიამოვნების ღიმილი არ უთრთოდეს ტუჩებზედ? ყველანი მისჩერებიან სტუმარს, თითქო ჰფიქრობდნენ, ყურებაც-კი საკმარი საზრდოა ჩვენთვისაო. ვინ გინდა აქ არ არის? ღვდლები, თავად-აზნაურნი, მასწავლებელნი, მოქალაქენი, სხვა-და-სხვა უწყების მოხელენი, — ერთის სიტყვით, დღეს კახეთს ლხინი აქვს მამა-პაპური: თავდაჭერილი და დარბაისლური. აქ ურთი-ერთის მტრობა აღარავის ახ-

ხოვს, ყველა ერთის აზრით არის გამსჭვალული — პატივი სცეს სტუ-მარს“ (ივერია, 1893, 20 ივნ. № 129, გვ. 2).

ივნისის 16 — გაზეთ „ივერიის“ № 125-ში ილიას ნებართვით ქვეყნდება გ. წერეთლის წერილი 30 მაისის ქალაქის ხმოსანთა არჩევნების შესახებ. წერილი წარმოადგენს გ. წერეთლის თავის მართლებას და მიმართულია ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

„მე ძალიან მაკვირებს ბ-ნის რედაქტორის თ. ი. გ. ჭავჭავაძის კადნიერება, რომ არ მოერიდა ცხადის უსამართლოების დაბეჭდვას თავის გაზეთში. იმ დღეს ჩემს გარდა მეორე ქართველმაც, სახელდობრ. კალოუბნელმა იყარა კენჭი ხმოსნობაზედ. უარი სთქვეს კენჭის ყრაზედ არამც თუ მარტო ქართველებმა, არამედ ბევრმა რუსებმა, სომხებმა და ნემცებმა... ვეჭვობ, რომ ბ-ნს თ. ი. გ. ჭავჭავაძესთვის საქართველოს ერს არ მიუნდვია გიორგი ეფთვიმეს ძის წერეთლის ქართველთაგან განრიცხვა და არც საკადრისია მისი მხრით პირადი ღირსების შებღალვა...“.

ივნისის 18 — კახეთიდან ბრუნდება თბილისში.

„დღეს, 18 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე ჩამოვიდა კახეთიდამ თ. ილია გრ. ძე ჭავჭავაძე“ (ივერია, 1893, 19 ივნ. № 128).

ივლისის 2 —„ივერიის“ № 138-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 ივლისი“ [გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობა: სიმართლე და მიუდგომლობა].

ივლისის 18 — „ივერიის“ № 152-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 17 ივლისი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“).

ივლისის 20 — საგურამოში იხდის სახელწოდების დღეს — „ილიაობას“. ღებულობს მრავალ მისალოც დეპეშას და წერილს.

ივლისის 24 — გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის მათ, ვინც მიულოცა სახელწოდების დღე 20 ივლისი.

„დიდი მადლობა მომიხსენებია მათთვის, ვინც ღირს-მყო და მოშიკითხა 20 ივლისს დეპეშითა თუ წერილით“ (ივერია, 1893, № 156, გვ. 3).

ივლისი — უკრაინულ ჟურნალ „პრავდის“ ივლისის ნომერში ქვეყნდება ილიას ლექსების „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ (Вотчині) და „გ. აბხ...“ (Дитині) ვ. ჩაიჩენკოსეული თარგმანი.

აგვისტოს 3 — „ივერიის“ № 164-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 2 აგვისტო“ [მიწათმოქმედთა საჭიროებანი და მოკლევადიანი კრედიტი].

სექტემბრის ბოლო — ივანე მაჩაბელი ჟურნალ „მწყემსის“ № 18-ში ბეჭდავს — „წერილს რედაქციის მიმართ“, რომელშიც იძლევა განმარტებას ბროსეს სახელობის პრემიისათვის შეკრებილი თანხის შესახებ და აღნიშნავს, რომ დახარჯული თანხის ხელმეორედ შეგროვებისათვის აირჩიეს კომიტეტი ილიას მეთაურობით.

„გაზეთის [„დროების“] დახურვის უმალვე 50-მდე პირი შეიყარა ბ-ნ იოსებ მელიქიშვილის სადგომში... ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად. აქვე ჩამოვარდა ლაპარაკი „დროების“ ვალებზედ. ჩემდა დაუკითხავად, ყველამ ერთხმად სთქვა, ეგ საზოგადო ვალია და საზოგადოებამვე უნდა გადაიხადოსო...

კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა თ. ილია ჭავჭავაძემ...“ (ივ. მაჩაბელი — მწყემსი, 1893, № 18).

ოქტომბრის 8 — სტუმრად არის ნიკო ერისთავთან სოფელ ახალგორში. მასთან ერთად არიან „ივერიის“ თანამშრომლები: ალექსანდრე და გიგა ყიფშიძეები, დ. მიქელაძე, ლ. ჯანდიერი და სხვები.

„... ამ თვეში ილიამ დაიწყო მოგზაურობა ქართლში. მე ილიას ვადარებ ადმირალ აველანს და ჩვენ წვრილმანობას მის შტაბს. ვიყავით ს. ახალგორში ნ. ერისთავთან (ლექსების მკითხველთან) ილია, მეცველე [დ. მიქელაძე], ალ. ჩოლოყაშვილი, ლ. ჯანდიერი, გიგა [ყიფშიძე], ან. ღულაძე და სხვანი. დიდის ამბით მიგვიღეს. ეზოში სკოლის შეგირდებმა უმღერეს „ტყეს ესხმება ფოთოლი... და „ქართველო ხელი ხმალს იკარ“... მიგვიწიეს პატარა ტურფა კარის ეკლესიაში, სადაც ადგილობრივმა მღვდელმა... „რეჩი“ უთხრა და აკურთხა ილია და მისი შტაბი“ (ალ. ყიფშიძე — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 185).

— ილიას ვრცელი მოხსენებითი ბარათი (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით) წარედგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს — იანოვსკის სენაკის სათავადაზნაურო სკოლის გამგის სამსონ ყიფიანის შესახებ. მოხსენებით ბარათში ილია ითხოვს სამსონ ყიფიანის დატოვებას სკოლის გამგედ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 236).

ოქტომბრის 9 — „ივერიის“ № 216-ში აქვეყნებს წერილს — „მოკითხული საზოგადო ფული (თ. ივ. მაჩაბელისა და ბროსეს პრემიის გამო)“.

ოქტომბრის 15 — მიწვევით სტუმრად არის სოფელ ქვიშხეთში, ლუარსაბ ყიფიანის ოჯახში, ქორწილში. მასთან ერთად არიან დ. მიქელაძე, გ. ჟურული, პ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ნ. ერისთავი, ნ. ხიზანაშვილი, ლ. ჯანდიერი, ალ. ჩოლოყაშვილი, ს. ამირაჯები და მისი მეუღლე მაკინე.

ილია და მისის თანმხლები პირები მიიწვიეს დიმიტრი ყიფიანის ოჯახში.

— „... მეორე კვირაა წავედით ყიფიანთში ს. ქვიშხეთს... დიმიტრი ყიფიანის სახლში... ილიამ ბევრი ილაპარაკა...“ (ალ. ყიფშიძე — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 185).

ოქტომბრის 16 — „ივერიის“ № 222-ში ადგილს უთმობს გ. წერეთლის სტატიას — „თ. ი. მაჩაბლის წამების ამბავი“, რომელიც წარმოადგენს ბროსეს სახელობის ფონდის (პრემიის) გარშემო ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის წერილების გამოხმაურებას.

ოქტომბრის 21 — „ივერიის“ № 226-ში ადგილს უთმობს ივანე მაჩაბლის წერილს —„პასუხად დარბაისელ გაზეთის დარბაისელ რედაქტორს“, რომელიც გამოწვეულია ილიას წერილით „მოკითხული საზოგადო ფული (თ. ივ. მაჩაბლისა და ბროსეს პრემიის გამო“).

ი. მაჩაბელი აღნიშნული წერილით ილიას იწვევს მედიატორთა სამართალში.

„.. ორჯერ გამოვიწვიე მე იგი ბეჭდვით მედიატორეთა სამართალში, ორჯერ მოვიწადინე, რომ პირუთვნელ და საქმის მცოდნე პირთ გაერჩიათ ის დაუსრულებელი კამათობა ბანკის საქმეთა შესახებ, რომელმაც მკითხველებიც გააბეზრა და მსმენელებიც; მაგრამ თ. ჭავჭავაძემ არ ინება ამ სურვილის შესრულება... კიდევ უფრო მოხარული ვიქნები, თუ ეს საქმე გაირჩევა დიდის კრების წინაშე, რომ მოსამართლეთა გარდაწყვეტილებას სარჩულად საზოგადოების აზრი ღაედოს“.

ოქტომბრის 22 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით მისალოც დეპეშას გზავნის ვლადიკავკავში ქართული სკოლის ახალი შენობის გახსნასთან დაკავშირებით (ნოვოე ობოზრენიე, 1893, № 3389).

ოქტომბრის 31 — ბროსეს პრემიის გარშემო ივანე მაჩაბლის წერილის საპასუხოდ ილია „ივერიის“ № 234-ში ბეჭდავს წერილს — „სხვის არ მკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს?“, რომლითაც უარს ამბობს ყოველგვარ გამოწვევაზე და შემდგომ კამათზე ივ. მაჩაბელთან.

„მე თ. ივ. მაჩაბელთან არავითარი მოსარიგებელი საქმე არა მაქვს და ღვთით არც არასოდეს მექნება. თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ჰკითხეთ: ბანკის საქმეში სამედიატორო რა არის? ნუ თუ ჰგონია, რომ ბანკი ან მისი, ან ჩემი კუთვნილებაა და ვინ რამდენი წილი უნდა ჩაიდოს, ამას მედიატორები გამოგვირკვევენ?... ჩვენი მედიატორები ჩვენი კრებაა ბანკისა... თუ რამ სათქმელი აქვს თ. მაჩაბელს, იქა სთქვას და,

თუ მისი თქმული პასუხის ღირსი იქნება, პასუხს მიიღებს... მე ვთაკილობ ამისთანა ბავშვურ კამათობას და გამოწვევას".

ნოემბრის 4 —„ივერიის" № 237-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 4 ნოემბერი" (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება").

ნოემბრის 5 (?) — „ივერიის" თანამშრომლებთან ერთად სტუმრად არის სოფელ წვერში ა. კალატოზიშვილის ოჯახში.

„... იულია [ა. კალატოზიშვილის მეუღლე], რომელიც ამას წინად „განდეგილს" კრიტიკას უკეთებდა, სულ „რეჩებს" და ხოტბას ასხამდა ილიას" (ალ. ყიფშიძე — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 186).

„დღეს ჩამოვედი საღოლაშნიდამ და წვერიდამ, კვირას აქეთ აქა ვართ. წარმოიდგინე ჩემი ამ ხანებში სხვადასხვა ადგილზე ქეიფი, მაგ. ახალგორში, ქვიშხეთში, საღოლაშენში და წვერში. ვისთანაო? იკითხამ, ილია ჭავჭავაძესთან, ლევან ჯანდიერთან, ალექსანდრე ჩოლოყაშვილთან, დავით მიქელაძესთან, ძმათა ყიფშიძეებთან და სხვათა მრავალთათანა... ამ შაბათ-კვირეს ციციანთში მივდივართ, გიორგი პოსრედნიკთან".

აი ამ მწერლის ნაწყვეტიდან ცხადად სჩანს, რომ ილია თავის კამპანიით აგიტაციურის მიზნით დაიარებოდა ქართლში ვანო მაჩაბლის წინააღმდეგ" (ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, 1938. გვ. 147).

ნოემბრის 9 — „ივერიის" № 241-ში ადგილს უთმობს ივანე მაჩაბლის წერილს „უკანასკნელი პასუხი". ამ წერილით ივ. მაჩაბელი კვლავ იწვევს ილიას მედიატორთა სამართალში.

„... ვითხოვდი და დღესაც ვითხოვ მედიატორეთა სამართალს: ამ სამართალს დავუყენებდი წინ მთელს თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ბანკის საქმეში და მასვე თვალსაჩინოდ დავანახვებდი, — თ. ჭავჭავაძეს მიაჩნდა თავისა და თავის მოყვასთა კუთვნილებად ეს ბანკი, თუ მე მიმაჩნდა, მე, რომელიც ვცდილობდი შეძლებისამებრ იქ დაბუდებული ნათლიმამობა და მოყვასობა მომესპო.

ამ სამართალს მივანდობდი გარდაწყვეტას და საბუთად თვით თ. ჭავჭავაძის დაბეჭდილ სიტყვებს წარვუდგენდი იმის დასამტკიცებლად, — თ. ჭავჭავაძეს ესმოდა რამ იმ საქმისა, რომელზედაც რიხითა და გრგვინვით ქადაგებდა, თუ იმის სიტყვებში იოტის ოდენა ცოდნაც არ იყო და ამ უმეცრების გზაზედ დადგომით რაოდენი ზარალი მოუტანა ბანკს".

ნოემბრის 11, 12 — გაზეთი „კავკაზი" აქვეყნებს ილიას მოთხრობის სარჩობელაზე — ა. ახნაზაროვისეულ თარგმანს.

ნოემბრის 21 — „ივერიის“ № 252-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 21 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“).

ნოემბრის 22—24 (?) —მონაწილეობს მთავარმართებლის საბჭოს სხდომაში, სადაც განიხილავენ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის თანხის შეგროვების საკითხს (ივერია, 1893, 25 ნოემბ., № 255, გვ. 1).

ნოემბრის 30 საღამო — „ივერიის“ რედაქციაში ღებულობს მასთან რჩევა-დარიგებისათვის მისულ თბილისის სემინარიის მოსწავლეთა აჯანყების მონაწილეებს.

„ღამის შვიდ საათზე ჩვენ მიერ არჩეულ დელეგაციას ილია ჭავჭავაძის რედაქციაში უნდა წაეღო შედგენილი პეტიცია და დიდი ქართველისაგან მიეღო რჩევა-დარიგება... ათი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი დესპანები ილიასაგან დაბრუნდნენ. საერთო მიტინგის მოუწყობლად, დელეგაციის თითო წევრი შეუმჩნევლად შევიდა კლასში და გადმოგვცა ილიასთან თათბირის შინაარსი...

გავიგეთ, რომ ილიას მოუწონებია პეტიციის შინაარსი; დასაბუთებულად უცვნია ის; ძლიერ მოწონებია მოწაფეების ტაქტიკა გაფიცვის დღეების ყოფაქცევაში. რჩევა მიუცია, რომ ისეთი რამ არ ჩაედინათ, რაც პოლიციას და ჟანდარმერიას საბაბს მისცემდა მომხდარ ინციდენტში ჩარეულიყვნენ და გაფიცვისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ და გაფიცვის მეთაურები ან საერთოდ ადმინისტრაციის მიერ ათვალწუნებული მოწაფეები დაეპატიმრებინათ“ (ი. ვართაგავა. მოგონებები. 1956, გვ. 181).

დეკემბრის 3 — „ივერიის“ № 262-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ“).

დეკემბრის 19 — ესწრება ქაშვეთის ეკლესიიდან ალექსანდრე ყაზბეგის ნეშტის გამოსვენების ცერემონიალს.

„ილ. ჭავჭავაძე იქ არ იყო, რატომღაც ცოტა შეაგვიანდა, არ გაუვლია დიდ დროს, რომ ეკლესიის ეზოს კარებთან ეტლი გაჩერდა. იქიდან სასწრაფოდ გამოვიდა ილია, მივიდა იმ ჯგუფთან, სადაც დამკრძალავი კომისიის ხელმძღვანელი ანდრია ღულაძე იდგა...“ (გ. ბერძნიშვილი — საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები. წგ. 1, 1958, გვ. 94).

დეკემბრის 31 — „ივერიის“ № 283-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 31 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი. წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში“).

*
* *

ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა. I/IX 1892—1/IX 1893". 1893. 49 გვ.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (ტ. 38. 75-ე ნახევარტომში) ქვეყნდება სტატია — Чавчавадзе (Князь Илья Григорьевич).

პროფესორი ალ. ხახანაშვილი უძღვნის თავის წიგნს (Источники введению христианства в Грузии. М., 1893) წარწერით: „დიდად პატივცემულს ილია ჭავჭავაძეს. ავტორი".

ვასილ ველიჩკოს თარგმანით ქვეყნდება ილიას ლექსები: 1. გაზაფხული (Весна), 2. ლოცვა (Молитва) წგ-ში: В. Величко. Восточные мотивы. Стихотворения და 3. ჩემს ბედს „Довольно, перестань, жестокая судьба..." — წგ-ში: В. Величко. Второй сборник стихотворений.

„ჩვენ მოგვივიდა მეორე კრებული რუსეთის ახალგაზრდა პოეტის... (ივერია, 1894, 1 იანვ. № 1).

მონაწილეობს კომისიაში, რომელიც არჩევს აზნაურ მგალობლიშვილებისა და მათ მამულებზე დამკვიდრებულ თათართა დავას (ივერია, 1893, 6 ოქტ. № 213).

1894

იანვრის 1—2 — „ივერიის" რედაქციის თანამშრომლებთან ერთად სტუმრად არის ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეებთან სოფელ საღოლაშენში.

„პირველ იანვარს საღოლაშენში ვიყავით. ილიაც წამოვიდა. დარჩნენ ორი დღე და მესამე დღეს ხვედურეთში პოსრედნიკმა (ციციშვილი) გაიწვია ... მაკინემ [სარდ. ამირეჯიბის მეუღლემ] თავისი სიმღერებით ძალიან ასიამოვნა ილია, რომელმაც ფეშქაშად გამოუგზავნა თავის ნაწერების ოთხი ტომი და ზედ დააწერა: „რაც სიტყვას აკლდეს ბუნებით თქვენმა ხმამ შეასრულოსო" (ალ. ყიფშიძე — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 186—187).

იანვრის 3 — სოფელ საღოლაშენიდან ილია სტუმრად მიიწვია ხვედურეთის შუამავალმა ციციშვილმა.

„... იქიდან ხვედურეთს გავედით. ქეიფი და „რეჩობა" ძალიანი იყო. ილიამ მოახდინა იქაურ საზოგადოებაზე „Неотразимое впечатление..." (იქვე, გვ. 186).

იანვრის დასაწყისი — ჟურნალ „მოამბის“ № 1-ში ილიას ხელმოწერით იბეჭდება მოთხრობა „უცნაური ამბავი“.

— ჟურნ. „მოამბის“ № 1-ის მიმოხილვისას სტ. ჭრელაშვილი აღნიშნავს: „ბ-ნ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ ჯერ არას ვიტყვით, რადგან იგი გაუთავებელია, ვისურვებთ მხოლოდ, რომ „უცნაური ამბავი“ არ იყოს პატარა ეტიუდი...“ (ივერია, 1894, 14 იანვ., № 10, გვ. 2).

— „კვალის“ საახალწლო ნომერში ქვეყნდება სახუმარო გასართობები, საახალწლო მილოცვები მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი. „კვალი“ განსაკუთრებით მკაცრია ილიას მიმართ.

„ჩვენი პოეტი ილია,
კარგი მამულის შვილია;
დინჯი, ტკბილათ მოუბარი,
სიტყვაში ცოტა ფრთხილია“.

(კვალი, 1894, № 1, გვ. 14).

. . . . . .
. . . . . .

ბევრი კარგი შენ შეგვძინე,
მაგრამ ბოლოს დაძაბუნდი;
ბევრმა ქებამ გადაგრია,
შური გვიგე და დაჩუმდი.

. . . . . .

(კვალი, 1894, № 1, გვ. 10—11).

იანვრის 6 — „კვალის“ № 2-ში ქვეყნდება ვარდენ ღვანკითელის [ყიფიანის] საახალწლო მილოცვა გაზეთ „ივერიისადმი“.

„ახალიწელი ამას გირჩევს
„შური“ განაგდე განზეო,
თორემ ხომ ხედავ, გარს მტრები
დაგხარხარობენ თავზეო“.

იანვრის 9 — ავადმყოფობის გამო ილია ვერ ესწრება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას.

„კრება დაიწყო კვირას, 9 იანვარს, 12 საათზედ და სულ 28 წევრი დაესწრო. რადგან საზოგადოების თავმჯდომარე თ. ი. ჭავჭავაძე არ იყო კრებაზედ უქეიფობის გამო, თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი ნ. ცხვედაძე“ (ივერია, 1894, 11 იანვ. № 7, გვ. 3).

იანვრის 16—„ივერიის“№ 11-ში ილია აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 იანვარს“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ“).

იანვრის 26 — გაზეთ „ივერიის“ საშუალებით ოდესელი სტუდენტი სერგეი ჯაფარიძე ოდესის ქართველ სტუდენტთა სახელით სხვებ-

თან ერთად მადლობას უცხადებს ილია ჭავჭავაძეს ოდესის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკისათვის თავისი თხზულებების ოთხი ტომის შეწირვისათვის.

„ოდესის ქართველი სტუდენტობა გულითად მადლობას უცხადებს ბ-ნს ილია ჭავჭავაძეს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ტფილისის და ქუთაისის წიგნთ-გამომცემელ ამხანაგობათ, რომელთაც ჩვენს წიგნთ-საცავისთვის შემოსწირეს... წიგნები“ (ივერია, 1894, 26 იანვ. № 19).

— საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მ. გეკკელის მოთხოვნის თანახმად (21.1.1894 წ.) ილია ახსნა-განმარტებას აძლევს „ივერიაში“ დასასტამბად გამზადებულ ი. გოგებაშვილის სტატიის („მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“) გამო, რომელიც ცენზურამ აკრძალა 1893 წ. ოქტომბერში.

იანვრის 28, 29, 30 — „ივერიის“ № 21, 22, 23-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 8 იანვარი — ტფილისი, 30 იანვარი“ [კახეთის მევენახეთა ამხანაგობის დაარსების გამო].

თებერვალი (?) — ილია „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებთან ერთად სტუმრად არის გორში.

„... ყველიერში საშინელი კრივები იყო. მთელი გორი ფეხზე იდგა. აქ იყვნენ საცქერლად მთელი რედაქციის წევრები; ილია, მეველე, გიგო, საშა და სხვ... (ლ. ედილაშვილი — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 187).

თებერვლის 6 — „კვალის“ № 6-ში ქვეყნდება მაზაკვალის [გ. წერეთელი] რეცენზია ჟურნალ „მოამბის“ № 1-ში გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებებზე. რეცენზენტი იწუნებს ილიას ეტიუდს „უცნაური ამბავი“.

— გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ვარშავის ქართველ სტუდენტთა სახელით ნ. შენგელიას მადლობის წერილს ილიასა და სხვებისადმი ვარშავის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკისათვის წიგნების გაგზავნის გამო (ივერია, 1894, № 23, გვ. 4).

თებერვლის 10 — გამოდის ჟურნალ „მოამბის“ № 2, სადაც დაბეჭდილია ლექსი — „კითხვა-პასუხი“.

„მოამბის“ მეორე ნომერი ხვალ უნდა გამოვიდეს...“ (ივერია, 1894, 9 თებ. № 30. — ს. ჭრელაშვილის რეცენზია „მოამბის“ № 2-ზე ქვეყნდება 2 მარტს, „ივერიის“ № 46-ში).

თებერვლის 14 — ღებულობს ახალგაზრდა მხატვარ მოსე თოიძის თხოვნის წერილს. მხატვარი თხოვს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცეს მის მიერ დახატული თამარ მეფის, ერეკლე

მეორის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის და ქეთევან დედოფლის სურათები.

„... რომელიც უნდა დაიბეჭდოს ბრისტოლის კარდონზე 3000 ცალი. ამისთვის საჭირო არის ქაღალდი სულ 8 თუმნისა. მე არა მაქვს ეს რვა თუმანი, რომ გამოვცე...

მე გთხოვთ ეხლა, რომ გამიმართოთ ხელი... ხვალ გეახლებით პასუხის შესატყობად ცხრა საათიდან ათამდე“ (შ. მარკოზაშვილი — საბჭ. ხელოვნება, 1978, № 6, გვ. 24).

მარტის 17 — ილიასა და საადგილმამულო ბანკის მმართველობის წევრის ა. ვახვახოვის ხელმოწერით ქრ. მამაცაშვილს ეგზავნება თხოვნის წერილი ოთხპროცენტიანი გირავნობის ფურცლების გამოშვების ნებართვის მისაღებად (საისტ. მოამბე. ტ. 25—26, 1971, გვ. 326).

მარტის ბოლო — ოზურგეთში გამოდის კ. ოცხანელის მიერ შედგენილი ლექსების კრებული — „სოინარი“, რომელშიც ქვეყნდება ილიას ლექსები: ელეგია; გუთნის დედა; ქართვლის დედა.

აპრილი — ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის „ანგარიში ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მოქმედებისა 1893 წ. მეცხრამეტე წელიწადი“. 1894. 42 გვ.

აპრილის 24 — „კვალის“ № 18-ში იბეჭდება სილოვან [ხუნდაძის] შენიშვნები ილიას პოემაზე „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (სათაურით — „მეფე დიმიტრი თავდადებული“. თავ. ილ. ჭავჭავაძის პოემა. მკითხველის შენიშვნები). შენიშვნების დასასრული ქვეყნდება 1 მაისს „კვალის“ № 19-ში.

მაისის 1 — თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს საიდუმლოდ შეახსენებს „ქართველების სეპარატიული მოძრაობის“ შესახებ. წერილში მოხსენებულია ილია ჭავჭავაძე.

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნული თავადაზნაურობის სკოლა) და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“. „თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჰკუის და მდგომარეობის პატრონი. დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დრო და დრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს“ (რევოლუციის მატიანე, 1925, № 1, გვ. 89).

თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანგებო კრების 1 მაისის სხდომას (6 მაისის სხდომაში ილიას არ მიუღია მონაწილეობა). საზოგადოების კრების ანგარიში გამოქვეყნდა 12 და 18 მაისს „ივერიის“ № 98 და 103-ში.

მაისის 8 — ჟურნალი „კვალი“ (№ 20) იწყებს სილოვან [ხუნდაძის] „მკითხველის შენიშვნების“ ბეჭდვას ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომზე. შენიშვნების გაგრძელება ქვეყნდება 9 და 17 ივლისს № 29, 30-ში.

მაისის 12-26 — ილია მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაში, რომელიც იხილავს ბანკის მოქმედების ანგარიშს და სხვა ფინანსურ საკითხებს. კრების მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპოზიციის გამოსვლები ბანკის მმართველობის წინააღმდეგ, რამაც ასე გაახანგრძლივა კრების მსვლელობა. ილია ებმება (14—16 მაისი) ოპოზიციასთან (მიხეილ და ივანე მაჩაბლებთან) მწვავე კამათში. დაძაბულობა მხარეთა შორის კულმინაციას აღწევს (კრების სტენოგრაფიული ანგარიშები ქვეყნდება 13, 15, 17, 19, 20, 22, 23, 25, 26, 28 მაისს „ივერიის“ № 99, 101, 102, 104, 105, 107, 108, 110—112-ში).

მაისის 20 —მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კრებაში. კრებაზე ილიას ბრალს დებენ, თითქოს მას განზრახული აქვს სათავადაზნაურო სკოლის დახურვა.

ამ საკითხზე ილია ვრცლად ლაპარაკობს და უმტკიცებს კრებას, რომ მას არა თუ დახურვა სურს, პირიქით ყოველთვის მისი მომხრე, მასზედ მოღვაწე და მზრუნველი იყო და არის (კრების ანგარიში ქვეყნდება 22 მაისს „ივერიის № 107-ში).

მაისის 21 — ილიას გარდაეცვალა დისწული მარიამ ნიკოლოზის ასული აბხაზი-მაყაშვილისა. 23 მაისს გაზეთ „ივერიის“ № 108-ში ილია სხვა ნათესავებთან ერთად აქვეყნებს სამგლოვიარო განცხადებას.

მაისის 22 — ილია დისწულის გარდაცვალების გამო ვერ ესწრება სათავადაზნაურო ბანკის კრებას.

„... რადგანაც თავმჯდომარეს გამგეობისას თ. ილ. ჭავჭავაძეს გარდაეცვალა დისწული, ამისათვის ის ამ სხდომას ვეღარ დაესწრებაო...“ (ივერია, 1894, 23 მაისი, № 108, გვ. 2).

მაისის 25-26 — სათავადაზნაურო ბანკის კრება იხილავს ილიასადმი წაყენებულ ბრალდებებს. ოპოზიციონერთა მოთხოვნით ილია თანხმდება და ბანკის კრებამ გადაწყვიტა გამოეყო კომისია, რომელიც გამოარკვევდა ილიასა და მაჩაბელს შორის წარმოებული ბრძოლისა და უთანხმოების მიზეზებს.

ილია და ივ. მაჩაბელი პირობას სდებენ, ან ერთი ან მეორე, რომელსაც კომისია დამნაშავედ სცნობს, უნდა განშორდეს ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს სამუდამოდ. ასახელებენ კომისიის შემადგენლობას, მაგრამ კომისია არ გამოუყვიათ ოპოზიციონერთა ხელახალი მოთხოვნების გამო.

„აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სურვილისამებრ თავადის ილია ჭავჭავაძისა, რაზედაც დათანხმდა თავადი ივანე მაჩაბელიც, დანიშნულიყო კომისია. ამ კომისიას უნდა დაედოს ვალად გამოიკვლიოს ყოველი ბრალდება. ოპოზიციის წარმომადგენლის თავადის ივანე მაჩაბლისა, რომელსაც კი სდებს იგი თავადს ჭავჭავაძეს საბანკო საქმეთა შესახებ, და მეორეს მხრით ამ გვარივე ბრალდება თავადის ჭავჭავაძისაგან თავადის მაჩაბლის წინააღმდეგ...

... თითოეული ამათგანი პირობას სდებს, რომ სამუდამოდ განშორდეს ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს, თუ კომისიისაგან მტყუანად იქმნა ცნობილი. ამგვარი პირობა, რასაკვირველია, ძნელია და საფრთხილო, მაგრამ რაკი ორივე მხარემ ასე ისურვა, რა გაეწყობა! როდესაც ბრძოლა იმ ხარისხამდე გამწვავდება, როგორის ბრძოლის მოწამეც ჩვენ ვიყავით ამ ორი კვირის განმავლობაში, უეჭველად თითონ საქმისთვისაც უმჯობესი უნდა იყოს, რომ დასასრული მიეცეს ამ დაუბოლოვებელს შფოთსა და საზოგადოების აღელვებას“ (ივერია, 1894, 26 მაისი, № 111).

მაისის 25 — სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ილიას ირჩევენ ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ.

„ოთხშაბათს, 25 მაისს, ღამის 12 საათზედ დასრულდა კენჭის ყრა თ. ილ. გრ. ჭავჭავაძისა სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ დროს შეუდგნენ კენჭის ყრას. მთელი დარბაზი თეატრისა სავსეა. თეთრი კენჭი ამოუვიდა 989. საზოგადოებამ შავის თვლას აღარ დააცადა, ასტყდა ქუხილი ტაშისა, ლოჟებიდგან ქალები ფეხზედ წარმოდგნენ და ვარდებს აყრიდნენ თ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელიც სცენაზედ იდგა და მადლობას უხდიდა. ტაშის ცემამ თითქმის 20 წუთს გასტანა. ამის შემდეგ საზოგადოება ძლივს დაწყნარდა და ასისტენტი თ. გ. ი. ორბელიანი შეუდგა შავი კენჭის ყრას. შავი კენჭი ამოუვიდა 334. აქ კვლავ გაისმა საშინელი ტაშის ცემა, რომელმაც დიდხანს გასტანა. მაშინ თ. ილ. ჭავჭავაძემ სთქვა: „მადლობა მომიხსენებია იმათთვის, ვინც ამომირჩია და ნდობა გამომიცხადა, ხოლო ვინც არ ამომირჩია, ღმერთსა ვსთხოვ იმათთვის შემაძლებინოს, რომ იმათაც დაენახოთ ის, რაც უმრავლესობამ დაინახა“. კვლავ ასტყდა ტაშის ცემა და კვლავ მადლობა გადაუხადა თ. ჭავჭავაძემ“... (ივერია, 1894, 28 მაისი, № 112. გვ. 2).

მაისის 27 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა ილიას პატივსაცემად მართავს სადილს მისი საადგილმამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ არჩევის გამო.

„გუშინ-წინ, პარასკევს, 27 მაისს, თავად-აზნაურობამ „კინ-გრუსტის“ ბაღში, ვერაზედ სადილი გაუმართა თავად ი. გ. ჭავჭავაძეს. ამ სადილზედ 500-მდე მისი პატივისმცემელი ქალი და კაცი დაესწრო. მთელი უშველებელი მოედანი ამ ბაღისა რამდენსამე რიგად გაშლილს სუფრას ეჭირა. საუცხოო სანახავი იყო იქაურობა. რამდენმამე სიტყვა წარმოთქვეს, რომელშიაც აღნიშნეს უკანასკნელ ბანკის საზოგადო კრებაზედ მომხდარნი ამბავნი.

საზოგადოება რომ არ დაეტია, რამდენსამე ალაგას გაშალეს ცალცალკე სუფრა. ზოგან საზანდრის დასტა უკრავდა, ზოგან ზურნისა. შემდეგ გაიმართა საუცხოო ლეკური, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. ღამის თორმეტს საათზედ თ. ილია ჭავჭავაძე მისმა პატივის-მცემლებმა დიდის ამბით გამოაცილეს ბაღიდან“ (ივერია, 1894, 29 მაისი, № 113, გვ. 1—2).

მაისის 28 — გაზეთი „კავკაზი“ (№ 140) აქვეყნებს ივანე მაჩაბლის წერილს რედაქციისადმი, რომელშიც იგი მოითხოვს ილია ჭავჭავაძესა და მას შორის წარმოქმნილ უთანხმოებათა გამოსარკვევად კომისიის შექმნას, რომელშიც შევლენ მხარეთა მხრიდან თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები. იგივე წერილი 29 მაისს გადმობეჭდა გაზეთმა „ივერიამ“.

მაისის 27-30 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში. სხვა საკითხებთან ერთად კრებაზე განიხილეს სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლეების კოტე ელიოზიშვილისა და ნიკოლოზ ჯანდიერის განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ ბანკის სტიპენდიით სწავლის გაგრძელებას. ილიამ დაიცვა მათი ინტერესები.

„ეს ყმაწვილები თურმე ექიმობას აპირებენ. ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა რა სავალალო მდგომარეობაშია, განა ამაზე ლაპარაკი საჭიროა? ექიმები ყველაზე მეტად ესაჭიროება ხალხს. წინადადება შემომაქვს, ამ ყმაწვილებს დავუნიშნოთ სტიპენდია თვეში ორ-ორი თუმანი და გზის ფულიც ჩვენი იყოსო“. ილიას წინადადება ერთხმად მიიღეს და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“ (თ. ვაჩნაძე. ნიკოლოზ ჯანდიერი. 1984. გვ. 14).

მაისის 31 — გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის მიმლოცველებს ბანკის თავმჯდომარედ მისი არჩევის გამო.

„უგულითადეს მადლობას მოვახსენებ იმათ, ვინც ღირს მყო და მომილოცა ჩემი აღრჩევა დეპეშით, თუ წერილით“ (ივერია, 1894, 31 მაისი, № 114).

ივნისის 11 — „ივერიის“ № 122-ში ასტრონომით **ილია აქვეყნებს „დამაკვირდი. — ანთებული სანთელი ჩაიწვის...“.

ივნისის ბოლო — გამოდის ვახტანგ ორბელიანის ლექსების წიგნი, რომელსაც წამძღვარებული აქვს ილიას მიერ შედგენილი „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანისა“.

ივლისის 6, 10 — „ივერიის“ № 142, 146-ში ასტრონომით **ილია აქვეყნებს „დამაკვირდი... ყოველთვის უნდა გახსოვდეთ... მდიდარს უფრო ადვილად აძლევენ“...

ივლისის 15 — მონაწილეობს ქართული დრამატული საზოგადოების კრებაში. როგორც ბანკის მმართველობის თავმჯდომარეს, ილიას აძლევენ შეკითხვას, თუ როგორ დაეხმარება საზოგადოებას ბანკი.

„... ილია ჭავჭავაძეს მიჰმართეს და სთხოვეს, გვაცოდინეთ მომავალ სეზონისათვის რა მხრივ დაგვეხმარება ბანკიო. თ. ჭავჭავაძემ უპასუხა, რომ ბანკი ვგონებ თეატრის შემოსავლიდგან ასს თუმანს მოგცემთ ფულად, თანახმად ბანკის წევრთა წლიური კრების გარდაწყვეტილებისა, და თუ მოიჯარადრე გამოუჩნდა ჩვენს თეატრს, ეცდება ისე მოგიხერხოთ საქმე, რომ რვა თუმნად დაგითმოთ თეატრი ყოველ ღამეშიო“ (ივერია, 1894, 17 ივლ., № 152, გვ. 2).

ივლისის 20 — საგურამოში იხდის სახელობის დღესასწაულს.

ივლისის 29 — გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის მათ ვინც მიულოცა სახელწოდების დღე.

„გულითადი მადლობა მომიხსენიებია იმ ჩემ მიერ პატივცემულთა პირთათვის, რომელთაც ღირსეულ მყვეს და ჩემს სახელ-წოდების დღეს დეპეშით და წერილით მომიკითხეს“ (ივერია, 1894, № 161, გვ. 1).

აგვისტოს 25, 27 — „ივერიის“ № 182, 183-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 24 აგვისტო, 26 აგვისტო“ [„სამთა კავშირის“ ურთიერთ პოლიტიკის შესახებ].

აგვისტოს 28 — „ივერიის № 184-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 28 აგვისტო“ [სოფლის მეურნეთათვის სახელმწიფო ბანკიდან კრედიტის გაცემის საკითხზე].

სექტემბრის 2 — „ივერიის“ № 186-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 2 სექტემბერი“ [მიწების გამოჯვნის საქმე].

სექტემბრის 4 — „ივერიის“ № 188-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 სექტემბერი“ [მიწათმოქმედების მინისტრის ა. ერმოლო-

ვის თბილისში ჩამოსვლის მოლოდინი და ჩვენ საჭიროებათა გამოკვლევის საჭიროებანი].

სექტემბრის დასაწყისი — წერილს იღებს მარჯორი უორდროპისაგან, რომელიც ილიას თხოვს მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „განდეგილის“ გამოცემის ნებართვას.

„ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“... ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად“ (ივერია, 1894, 8 სექტ. № 191, გვ. 1).

სექტემბრის 8 — „განდეგილის“ ინგლისურ ენაზე თარგმანისა და გამოცემის გადაწყვეტილებით მოხარული ილია საპასუხო წერილს უგზავნის მარჯორი უორდროპს.

„... დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად... ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს...

... თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, როდის და რა გზით მობრძანდებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენის მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე (თსკ, ტ. X, გვ. 138—139).

სექტემბრის 18, 21 — „ივერიის“ № 198, 200-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 18 სექტემბერი, ტფილისი, 21 სექტემბერი“ (თსკ., ტ. VII-ში სათაურით: „ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“).

სექტემბრის 22 — „ივერიის“ № 201-ში აქვეყნებს — „დამაკვირდი... არაფერია ამ ქვეყნად მუდმივი ცვლილებების მეტი...“.

სექტემბრის 30 — „ივერიის № 207-ში აქვეყნებს „დამაკვირდი... მრავალ-სიტყვაობა...".

ოქტომბრის დასაწყისი — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის კრებაზე საბანკო სისტემაში ახალი კანონების შემოღებასთან დაკავშირებით ირჩევენ კომისიას ილიას, პ. გრუზინსკისა და ალ. კობიაშვილის შემადგენლობით (ივერია, 1894, 14 ოქტ., № 218, გვ. 1).

ოქტომბრის 22 — „ივერიის" № 224-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 ოქტომბერი" [ალექსანდრე III-ის გარდაცვალების გამო].

ოქტომბრის 30-31 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში. კრება იხილავს არწრუნისეული ქარვასლის ყიდვის საკითხს. წარმოებს კამათი ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის ამ საკითხის გამო. ილია მომხრეა იმისა, რომ ბანკმა შეიძინოს ქარვასლა (ქვალი, 1894, № 46, გვ. 4—6).

ნოემბრის 25 — „ივერიის" № 250-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 25 ნოემბერი" [ინგლისის პირის მობრუნება რუსეთისაკენ და ამის მიზეზები]. წერილის დასასრული ქვეყნდება დეკემბრის 2-ს, „ივერიის" № 255-ში.

ნოემბრის 26 — „ივერიის" № 251-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 26 ნოემბერი" [ქართული ენის საჭიროება სასამართლოში].

დეკემბრის 4 — „ივერიის" № 257-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 4 დეკემბერი" [ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკა].

ამ დღეს ილია მეუღლე ოლღასთან, და ელისაბედსა და ეკატერინე გაბაშვილთან ერთად მცხეთაში ხვდება საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მარჯორი უორდროპს.

„ძვირფასო ქალბატონო კატო![18].

— დღეს საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოდის ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი, რომელსაც სურს თარგმნოს ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი" და ზოგიერთი ქართული პოეზიის შედევრები.

ილია გთხოვთ ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ მცხეთის სადგურზე უორდროპის შესახვედრად. თუ ინებებთ წამოსვლას, საღამოს რვის ნახევარზე მობრძანდით ჩვენთან და იქიდან ერთად გავემგზავროთ მცხეთას" (საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები. წგ. 1. 1958, გვ. 37).

---

[18] ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე — ეკატერინე გაბაშვილს.

„საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა მცხეთაში შევედით... მცხეთაში შევხვდით რამდენიმე კეთილშობილ ქართველს, რომლებიც შემოგვხვდნენ, რომ მოგვსალმებოდნენ და თან გაგვყოლოდნენ თავის დედაქალაქისაკენ. მათ შორის იყვნენ დიდი პოეტი თავადი ილია ჭავჭავაძე მეუღლით და დით და ეკატერინე გაბაშვილი, სახელგანთქმული მწერალი ქალი“ (ლ. თაქთაქიშვილი-უორუშაძე, მარჯორი უორდროპი. 1965. გვ. 35—36).

დეკემბრის 4-ის შემდეგ — ილია და მისი ოჯახი მასპინძლობს მარჯორი უორდროპს თბილისსა და საგურამოში. მარჯორი თბილისში რჩება სამ კვირას.

„ეს ორი დღეა, რაც გვესტუმრა პატივცემული ინგლისელი მწერალი miss მარჯორი ვარდროპი დედითურთ“ (ივერია, 1894, 6 დეკ. № 258, გვ. 1).

დეკემბრის 7 — მონაწილეობს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოში მოწყობილ აგრონომთა თათბირში, სადაც იხილავენ ვენახების მეპატრონეთათვის ბანკიდან სესხის მიცემის საკითხს.

„... მეურნეობის მინისტრს მოუწერია აქ საქართველოში თავისის წარმომადგენელ მოხელისათვის ეს საგანი გამოარკვიოს და გამორკვეული აზრი წარუდგინოს სამინისტროს. შესდგომია რა ამის აღსრულებას სამეურნეო სამინისტროს წარმომადგენელს გუშინ 7 ამ თთვისას მოუწვევია აგრონომთა კრებაზე ჩვენის ბანკის წარმომადგენელნი თთ. ჭავჭავაძე, ავალოვი და უგანათლებულესი თავადი მიხეილ გრუზინსკი“ (ივერია, 1894, 9 დეკ., № 260, გვ. 1).

დეკემბრის 13 — მარჯორი უორდროპს უძღვნის თავის თხზულებების ოთხტომეულს წარწერით: „ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. ავტორი“.

დეკემბრის 15 — „ივერიის“ № 265-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის“).

*
* *

ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: ჩიტი. — ლოცვა. — ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზედ. — განდეგილი. — ნაწყვეტები: „აჩრდილიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „კაცია ადამიანიდან“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. სიტყვა, თქმული სა-

მეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელ წინამძღვრიანთკარში — წგ-ში: ბუნების კარი. მე-8 გამოც. 1894.

ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1. IX — 1893 — 1. IX. 1894. ტფ., 1894. 52 გვ.

პროფ. ალექსანდრე ცაგარელი ილიას უძღვნის თავის წიგნს (Сведения о памятниках грузинской письменности. т. I. вып. III. СПб. 1894) წარწერით: „ჩემს ძველ მევობარს თ. ილ. ჭავჭავაძეს. ალ. ცაგარელი“.

1895

იანვარი — „კვალის“ № 1, 3, 5-ში გ. წერეთელი აქვეყნებს წერილს — „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი“, სადაც დაპირისპირებულია „კვალელები“ და „ივერიელები“ ილიას მეთაურობით.

იანვრის 1, 4, 5, 6, 8 — „ივერიის“ № 1-5-ში ილია ფირუზას ხელმოწერით აქვეყნებს ლექსს „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“.

იანვრის 1 — „კვალის“ საახალწლო ნომერში იბეჭდება საახალწლო შაირები ქართველ მოღვაწეებზე, მათ შორის ილია ჭავჭავაძეზე.

ი. ჭ...

ძლიერს მორჩილობს ყოველი
იგიცა, ვინც ორგულია,
ღმერთმან ინებოს, სოფელი
არ დაგრჩეს უმადურია.

იანვრის 4 — ილიას, ი. გოგებაშვილის, ნ. ცხვედაძის, ექ. თაყაიშვილის ხელმოწერით ეგზავნება წერილი ა. ზუბალაშვილს საზღვარგარეთ თხოვნით — დაუთმოს სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს მდებარე ცარიელი ადგილი წიგნსაცავის ასაშენებლად (თ. ჩხიტუნიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. 1980. გვ. 51).

— მეუღლესთან ერთად ესწრება თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ალ. გრიბოედოვის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა ზეიმს საახალწლო ნაძვისხესთან. ილია მოსწავლეებს ურიგებს წიგნებს და ტკბილეულს (კავკაზ, 1895, 8 იანვ.).

იანვრის 13, 17 — „ივერიის“ № 9. 11-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 13 იანვარი, ტფილისი, 17 იანვარი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები“).

იანვრის შუა რიცხვები — დავით გურამიშვილი „ივერიის რედაქციაში ილიას წარუდგენს ახალგაზრდა გიორგი ლასხიშვილს და თხოვს მის მიღებას რედაქციაში სამუშაოდ.

„პატარა ოთახში, რომელშიაც ჩვენ შევედით, წიგნების მეტი ვერაფერი დავინახე: წიგნები შკაფზე, წიგნები დიდ თაროზე, დიდი მაგიდა, წიგნებით დატვირთული. ილია ხალათში, გამოწყობილი, მაგიდას უჯდა და რაღაცას სწერდა. წარმოდგა და მეტად სიმპატიურის ღიმილით მოგვესალმა. დ. ა. გურამიშვილმა წარმადგინა, გადასცა ჩემი განზრახვა და თხოვნა...“ (გ. ლასხიშვილი. მემუარები. 1934. გვ. 71).

იანვრის 19 — მონაწილეობს თბილისის გუბერნატორთან მოწყობილ თათბირში, სადაც იხილავენ სოფლის მართვის საქმეში სიახლეებს და სოფლის სასამართლოების მოწყობის საკითხს.

„ამას წინად შინაგან საქმეთა მინისტრი საზოგადოდ შეეკითხა გუბერნატორებს, შეგვატყობინეთ თქვენი აზრი, რა ცვლილებათა შემოღებაა უფრო საჭირო სოფლის მმართვის საქმეში, როგორ უნდა მოეწყოს უფრო უკეთ სოფლის სასამართლოებიო. და რამდენიმე საკითხავიც დაუგზავნა ამ საგნების შესახებ მათდა განსახილველად და პასუხი-საგებლად. 19 იანვარს ტფილისის გუბერნატორთან ამ მინისტრის მოწერილობისამებრ მოწვეულნი იყვნენ გუბერნიის სამმართველოს საგლეხო საკრებულოს წევრნი, ტფილისის გუბერნიის ზოგიერთნი მომრიგებელი შუამავალნი, მაზრის უფროსნი, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი და თ. ილია ჭავჭავაძე. კომისიამ პირველი და უმთავრესი საკითხავი განიხილა და შეუთანხმა კიდეც ერთმანეთს“ (ივერია, 1895. 21 იანვ. № 15, გვ. 2).

იანვრის ბოლო — სპეციალურად ჩადის ბათუმში ქალაქის თავის არჩევნების ორგანიზაციისათვის.

„საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზედ მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის ჩამოყვანილი თბილისიდან ილია ჭავჭავაძე“ (დ. კლდიაშვილი. მემუარები. 1932, გვ. 103).

მარტის 5 — მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაში. კრებაზე (336 ხმით 3 წინააღმდეგ) ილიას ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ. ამავე კრებაზე ილიას მეუღლეს ოლღას ირჩევენ საზოგადოების საპატიო წევრად.

„საპატიო საზოგადოების წევრებად ერთხმად იქმნენ არჩეულნი: კნ. ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა და ბ. გ. ქართველიშვილი“ (ივერია, 1895, 10 მარტი, № 53).

მარტის შუა რიცხვები — „ჟურნალი „კვალი“ (№ 11, 12) იწყებს ილიასა და „ივერიის“ წინააღმდეგ მიმართული ნ. ჟორდანიას წერილების (გაზ. „ივერია“ და ეროვნებას“) სერიის ბეჭდვას (მომდევნო წერილები ქვეყნდება „კვალის“ ივლის-აგვისტოს ნომრებში).

აპრილის 11 — „ივერიის“ (№ 74) ბეჭდავს ა. ხახანაშვილის რეცენზიას ვახტანგ ორბელიანის ლექსების წიგნზე, სადაც აღნიშნავს, რომ „ერთად-ერთი „სრული გამოცემა“ ლექსთა თ. ვახტანგ ორბელიანისა შეადგენს იმ სასიამოვნო გამოცემას, რომელსაც დართული აქვს [ილია ჭავჭავაძის მიერ] მშვენივრად შედგენილი ბიოგრაფია განსვენებულის პოეტისა“.

თუმცა რეცენზიის ავტორი აქვე შენიშნავს, რომ „უფრო თვალსაჩინო იქნებოდა ეს გამოცემა, რომ რამდენიმე ბიოგრაფიული ფაქტი, აქ დასახელებულნი, არ ეწინააღმდეგებოდდნენ წინად გამოქვეყნებულს ცნობებს“.

მაისის 7 — ილია მონაწილეობს ტფილისის თავადაზნაურთა არაჩვეულებრივ კრებაში. კრება იხილავს სათავადაზნაურო ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და არწრუნისეული ქარვასლის შეძენის საკითხებს (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ № 97-შ).

მაისის 9-17 — ილია მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიური კრების საქმიანობაში.

მაისის 18-19 — ილია მუშაობს პეტერბურგიდან მოვლინებულ რევიზორთან, რომელიც რევიზიას უკეთებს ბანკის ფინანსიურ საქმიანობას.

„მე, ბატონებო, გუშინ და გუშინ-წინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო“ (20 მაისს ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. — ივერია, 1895, 24 მაისი, № 106).

მაისის 20 — მიმდინარეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის უკანასკნელი სხდომა. თავმჯდომარე კრების მონაწილეებს აცნობს რევიზიის შედეგებს:

„რევიზიამ შეამჩნია... რომ ჩვენი ბანკის ორგანოები, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ეხელმძღვანელათ წესითა საქმის წარმოების დროს, ამ წესს გადამხდარან და დაურღვევიათ, მაგრამ რევიზიას ისეთი კი არა უპოვნიარა, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს საფინანსო საფუძვლიანობა და ნდობა ჩვენის ბანკისა“ (ივერია, 1895, 21 მაისი, № 105).

ამავე სხდომაზე ილია სიტყვას ამბობს, რომელშიც სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამს ოპოზიციონერთა გამოხდომების გამო (ილიას სიტყვა იბეჭდება „ივერიის“ № 106-ში 24 მაისს: თსკ. ტ. IX-ში ილიას სიტყვა შეტანილია სათაურით: „სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფი-

ლისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს 1895 წელს").

საათავადაზნაურო ბანკის წლიური კრების სტენოგრაფიული ანგარიში გამოქვეყნდა 11, 13, 14, 16—18, 20, 21, 24 მაისს „ივერიის" № 98—106-ში.

ივნისი — ჟურნალი „რუსკაია მისლ" (წგ. 6) ბეჭდავს ალ. ხახანაშვილის ვრცელ სტატიას ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ („Из истории современной грузинской литературы. Кн. И. Г. Чавчавадзе.").

ა. ხახანაშვილის სტატიას ეხმაურება გაზეთი „Каспий", სადაც გამოთქმულია აღშფოთება ავტორის მიმართ იმის გამო, რომ ილია ჭავჭავაძე შედარებულია პუშკინთან, ლერმონტოვთან, გოგოლთან...

ივნისის მეორე ნახევარი — ილია წერილს 11 ივნისის თარიღით იღებს გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხარდტისაგან. წერილი ფრანგულად არის ნაწერი. ავტორი წერილის ბოლოს ქართულად წერს — „ეხლა დავიწყებ კითხვასა თქვენის წერილისა „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე..." (თსკ, ტ. X, გვ. 558).

„ივერიის" რედაქტორმა მიიღო წერილი დოქტორ ჰუგო შუხარდტისა... რომელიც ითხოვს „ივერიის" იმ ნომრების გაგზავნას, რომელშიც მოთავსებულია დ. ჩუბინაშვილის წერილი „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჰანეთის მკვიდრთა მოსახლეთა" (ივერია, 1895, 9 ივნ. № 119, გვ. 1).

ივნისის 11 — მონაწილეობს თავადაზნაურთა საგახვებო კრებაში, რომელიც იხილავს ქარვასლის შესყიდვის საკითხს. კრება მიმდინარეობს კ. ი. მუხრან-ბატონის თავმჯდომარეობით, მისსავე სახლში.

ივნისის 14 — „ივერიის" № 123-ში ილია ბეჭდავს ახალგაზრდა ი. ჯუღაშვილის ლექსს „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი".

ივლისი (?) — ხელოსანთა არტელის წესდების პროექტის გასაცნობად მიხა ჩოდრიშვილი და გიორგი ლასხიშვილი ილიასთან ადიან საგურამოში.

„— მშვენიერი აზრია. დროა, კაცო, მოაშოროთ ჩარჩები მუშა-ხელოსანს და მომხმარებელსაც მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს თქვენ წესდებაში: აქ სულ ხელოსანთა უფლებაზეა ლაპარაკი, მოვალეობაზე კი არაფერია. სადაც უფლებაა, იქ მოვალეობაც უნდა იყოსო" (გ. ლასხიშვილი. მემუარები. 1934, გვ. 82).

ივლისის 11 — ილია სამძიმრის წერილს უგზავნის ბაბალე ნაკაშიძეს, მისი მეუღლის პეტრე ნაკაშიძის გარდაცვალების გამო.

„...ეს-ეს არის გიახელ სოფლიდამ და შინ დამხვდა დიდად სამწუხარო ამბავი. რომ მე დავკარგე ერთი ჩემი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი — პეტრე. მწუხარება გამიორკეცდა, რომ ამ უბედურების გვიანად შეტყობის გამო, არ მომეცა შეძლება თქვენს და თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფრქვია ჩემი ცრემლიცა...“ (თსკ, ტ. X, გვ. 140).

ივლისი-აგვისტო — „კვალი“ (№ 28—30, 32, 34, 35) აგრძელებს ილიასა და „ივერიის“ წინააღმდეგ მიმართული ნ. ჟორდანიას წერილების სერიის („მოამბე“, „ივერია“ და ეროვნება“ ბეჭდვას (ამ სერიის წერილები სათაურით — „ივერია“ და ეროვნება“ დაიბეჭდა „კვალის“ № 11, 12-ში).

აგვისტოს ბოლო — დაიბეჭდა მხატვარ მოსე თოიძის მიერ დახატული ილიას სურათი.

„რედაქციამ მიიღო მ. თოიძისაგან დახატული ლიტოგრაფიის სურათი ილია ჭავჭავაძისა იმავე ფორმატისა, როგორც შოთა რუსთაველისაა; სურათი დახატულია ორგვარს ქაღალდზედ, თხელ ქაღალდზედ. რომელიც ღირს ხუთი შაური და სქელ ქაღალდზედ — ღირს ექვსი შაური“ (ივერია, 1895, 1 სექტ. № 187).

„შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის სურათები ისყიდებიან: ყველა წიგნის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, საცა ზემოხსენებული სურათები დაიბეჭდნენ“ (ივერია, 1895, 2 სექტ. № 188 და ა. შ.).

„ილიას სურათი, რომელიც ნიკოლოზ რატიშვილისათვის მიუძღვნია, ახლაც არის ვახტანგ რატიშვილის ოჯახში. სურათი საკმაოდ მოძველებული და გაყვითლებულია, მას აწერია 1895 წელი მოსე თოიძე. თბილისი, ლითოგრაფია დემუროვისა“ (ვ. რატიშვილი — საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები. წგ. 1, 1958, გვ. 96).

სექტემბრის დასაწყისი — წერილს უგზავნის მეუღლეს საგურამოში და ატყობინებს კრწანისის ბრძოლის ასი წლისთავის აღნიშვნის თარიღს.

„პანაშვიდი აქ იქნება, კრწანისის მინდორზე 11 ამ თვეს ორშაბათს დილის ცხრა საათზე. თუ გინდა კვირას დილით ჩამოდი ეკიპაჟით“ (თსკ. ტ. X, გვ. 377—378).

სექტემბრის 11 — „ივერიის“ № 194-ში აქვეყნებს მოწინავეს „ტფილისი, 11 სექტემბერი“ [კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავის გამო].

— ილია მეუღლითურთ ესწრება კრწანისის ბრძოლის ასი წლისთავის აღსანიშნავ პანაშვიდს კრწანისის ველზე.

სექტემბრის 22 — „ივერიის“ № 203-ში აქვეყნებს ახალგაზრდა ი. ჯუღაშვილის (სოსელოს ფსევდონიმით) ლექსს „როდესაც ბადრად მნათობი მთვარე...“.

ოქტომბრის 1 — პოეტი ვასილ ველიჩკო ილიას უძღვნის თავის წიგნს (Записки духа. Нежданчик. Первая муха. СПб., 1895) წარწერით: „Высокочтимому грузинскому собрату князю Илье Григорьевичу Чавчавадзе малая дань от В. П. Величко. 1 окт. 95. Тифлис“.

ოქტომბრის 4 — სიტყვით მიმართავს პოეტ ველიჩკოს, ქართულ თეატრში მის პატივსაცემად გამართულ სადილზე.

„... შემდეგ ბატონმა ილია ჭავჭავაძემ მიმართა გრძნობიერი სიტყვით რუსის პოეტს...“ (ივერია, 1895, 10 ოქტ. № 217).

ოქტომბრის 9 — ილია მონაწილეობს რაფიელ ერისთავის საიუბილეო კომიტეტის სხდომაში, სადაც საბოლოოდ მიღებული იქნა საიუბილეო ზეიმის დაწვრილებითი პროგრამა.

ოქტომბრის 13 — იაკობ გოგებაშვილი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილობით წარუდგენს თავის მოსაზრებას — ილიასა და აკაკის საზოგადოების საპატიო წევრებად არჩევის შესახებ.

ოქტომბრის 22 — ილია როგორც საიუბილეო კომიტეტის წევრი მონაწილეობს რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილეში. ილია სიტყვით მიმართავს იუბილარს.

„შუადღე ახლოვდებოდა, რომ იუბილიარი ლანდოთი. შვენიერი წყვილი თეთრი ცხენებით შებმული, მობძანდა ქაშვეთის ეკლესიაში. მის გვერდით ისხდენ თ. ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი“ (ცვალი, 1895, № 46, გვ. 3).

„... იუბილარმა დაიჭირა ალაგი ესტრადაზე; ესტრადის ქვემოთ, იუბილარის მარჯვნით დაჯდა თავადი აკაკი, მარცხნით თავადი ილია...

წარმოდგენის შემდეგ ქართულ თავად-აზნაურთა ქარვასლის საზამთრო ბაღში გაიმართა ვახშამი, რომელსაც სამასამდე ქალი და კაცი დაესწრო. მარჯვნით იუბილარს უჯდა თავ. ილია ჭავჭავაძე, მარცხნით აკაკი: იქვე ისხდნენ ბ. ველიჩკო თავისის დით, ქბ. ეკ. გაბაშვილისა და სხვანი... პირველი სადღეგრძელო დალიეს საყვარელ იუბილარისა, შემდეგ ილიასი და აკაკისა... სიტყვები წარმოთქვეს აკაკიმ, ილიამ...“ (ივერია, 1895, 24 ოქტ. № 229, გვ. 1).

ოქტომბრის 24 — „ივერიის“ № 230-ში ქვეყნდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადრესი რაფიელ ერისთავისადმი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის-

თავის გამო. ადრესს ხელს აწერენ ილია ჭავჭავაძე, საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი და გამგეობის წევრნი.

ოქტომბრის ბოლო — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია ღებულობს საფოსტო ქაღალდებს ილიას სურათით.

„... წიგნის მაღაზიაში იყიდება მშვენიერი ფოსტის ქაღალდები თამარისა, შოთასი, რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის სურათებით“ (ივერია, 1895, 28 ოქტ. № 233).

ოქტომბრის 31 — ილია წერილს უგზავნის ალექსანდრე ნანეიშვილს, რომელსაც იწვევს გაზეთ „ივერიის“ თანარედაქტორად.

„... ავიღეთ-დავიღეთ თქვენი წინადადება და აი რაზედ დავდეგით: თქვენ უსათუოდ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად... მე და თქვენ თანასწორის უფლების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ“ (თსკ, ტ. X, გვ. 90—91).

ნოემბრის დასაწყისი — ილია წერილს (25 ოქტომბრის თარიღით) იღებს ავსტრიიდან, ქ. გოტიდან გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ ჰ. შუხარდტისაგან. ადრესატი ილიას სთხოვს საჭირო ლიტერატურის გაგზავნას.

„იქნებ კეთილ ინებოთ, გადმომიგზავნოთ ეს ორი რამ და თანაც მაუწყოთ მათი ფასი და გადმოგზავნის ხარჯი, რითაც უსაზღვროთ ვიქნები თქვენგან დავალებული.

გთხოვთ მიიღოთ, ჩემო თავადო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა“ (შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები. 1973, გვ. 37).

ნოემბრის 5—3 დეკემბერი — „ივერიის“ № 240, 243, 248, 249, 258, 262-ში აქვეყნებს მოწინავეებს — ტფილისი, 4 ნოემბერი — ტფილისი, 3 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“).

ნოემბრის 8 — მონაწილეობს თავადაზნაურთა კომისიის სხდომაში, რომელსაც მინდობილი აქვს სოფელ ოძისში ზაქარია ერისთავის მამულში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საკითხის გარკვევა.

ნოემბრის 13 — ილია თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებას, რომელიც ისმენს გამგეობის მოხსენებას დამატებითი ხარჯების შესახებ.

ნოემბრის 14 — „ივერიის“ № 247-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 14 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“).

აღნიშნული მოწინავის გამო „კვალი“ (№ 50) ბეჭდავს ხომლელის წერილს — „ზოგიერთი ფიქრი“.

ნოემბრის მეორე ნახევარი — ჟურნალი „არტისტი“ (№ 45) აქვეყნებს მ. იპოლიტოვ-ივანოვის მუსიკას ილიას ლექსზე „ელეგია“ (არსებობს ცალკე ამონაბეჭდიც სახელწოდებით — М. Ипполитов-Иванов. 12 народных грузинских песен и романсов. М., 1895).

ნოემბრის 16 — საპასუხო წერილთან (25 ოქტომბერი) ერთად წიგნებსა და ჟურნალებს უგზავნის ავსტრიელ ენათმეცნიერ ჰუგო შუხარდტს გრაცში (ავსტრია).

„Имею честь препроводить 1-ый выпуск Очерков по истории грузинской словесности и те нумера газеты „Иверия“ в коих напечатаны: „კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში“. Прошу о стоимости присылаемого не безпокоиться, либо одно удовольствие, что Вы занимаетесь грузинскою литературою, вознаграждает нас вполне.

Примите уверение в моем глубочайщем уважении.

Илья Чавчавадзе“ (ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. 1977. გვ. 278).

ნოემბრის 1 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ილიას ხელმოწერით წერილს უგზავნის ჰუგო შუხარდტს.

„ამხანად გამგეობა გიგზავნით თქვენ მიერ დაბარებულ წიგნებს... გთხოვთ უმორჩილესად ამ წიგნების მიღება გვაუწყოთ“ (შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მოღვაწენი. 1973. გვ. 39).

ნოემბრის 19 — „ივერიის“ № 251-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 19 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ოსმალეთის არეულობა და ევროპა“).

ნოემბრის 23 — „ივერიის“ № 253-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 23 ნოემბერი“ [საერთაშორისო დაძაბულობა. იქნება თუ არა ომი?].

ნოემბრის 24 — „ივერიის“ № 254-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 24 ნოემბერი“ [დამნაშავის გამოსწორების და ციხის ზეგავლენის საკითხი].

ნოემბრის 26 — „ივერიის“ № 256-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 26 ნოემბერი“ [თბილისის ელექტრონით განათების საკითხი].

დეკემბრის 16, 23 — მონაწილეობს ღარიბ მოსწავლეთა შემწე თავადაზნაურთა საზოგადოების კრებაში, სადაც განიხილავენ თბილისის სათავადაზნაურო სკოლის რეფორმის საკითხს. მონაწილეობს კამათში.

დეკემბრის მეორე ნახევარი — წერილს იღებს (8 დეკემბრის თარიღით) ჰუგო შუხარდტისაგან, ავსტრიიდან. შუხარდტი ილიას ატყობინებს მის მიერ გაგზავნილი ლიტერატურის მიღებას და მადლობას უხდის გზავნილების გამო.

დეკემბრის 19 — „ივერიის“ № 274-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 დეკემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“).

— თბილისის სასამართლო პალატა იხილავს ილიას და ვასილ თუმანიშვილის საქმეს საჩხერელი ფერშლის — მაშკინის საჩივრის გამო.

„გუშინ, 19 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ჩვენის გაზეთის რედაქტორის თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა და გაზ. „ნოვ. ობოზ.“ რედაქტორის თავ. ვ. მ. თუმანიშვილის, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ 1893 წელს თავიანთს გაზეთებში გაეკიცხათ საჩხერის ფერშალი მაშკინი... სასამართლოს პალატამ... გამოაცხადა: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და თავ. ვ. მ. თუმანიშვილი დიფამაციაში, რომელსაც ბრალად სდებდა საჩხერის ფერშალი მაშკინი, გამართლებულად იქმნენ ცნობილნიო“ (ივერია, 1895, 20 დეკ. № 275).

დეკემბრის 21 — „ივერიის“ № 276-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 21 დეკემბერი“ [სამოქალაქო სამსახურის წესების მოძველება და ახლის შედგენის საჭიროებანი].

დეკემბრის 30 — „ივერიის“ № 282-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 30 დეკემბერი“ [სათავადაზნაურო სკოლის შესანახი საშუალებების შესახებ].

დეკემბრის ბოლო — გამოდის ლექსების წიგნი — „საჩუქარი“ № 51, რომელშიც შესულია ილიას ლექსები.

„ჩვენ მივიღეთ ბ-ნ კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული წიგნები: „საჩუქარი“ — № 51, სადაც საუკეთესო ლექსებია დაბეჭდილი ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლისა, ვაჟა ფშაველასი და სხვა; ეს წიგნი შეიცავს 43 გვერდს“ (ივერია, 1896, 11 იანვ., № 7, გვ. 1).

*
* *

ლონდონში, ინგლისურ ენაზე, გამოდის მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „განდეგილი“. წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა.

ილიას, დ. ავალიშვილის, პ. გრუზინსკის ხელმოწერით გამოდის ბროშურები: 1. Объяснительная записка по предмету невыдачи Тифлисским дворянским земельным банком закладных листов заемщикам на руки. Тиф., 1895. 10 с. 2. Ревизовавшему Тифлисский дворянский земельный банк Е. Е. Добецкому членов правления сего банка. Объяснительная записка. Тиф., 1895. 22 с.

— მასპინძლობს ოლივერ უორდროპის მეგობარს ვოგან უილიამსს.

— ჟანდარმერია ჩხრეკს ილიას ბინას, ეძიებენ ანტისახელმწიფოებრივ პროკლამაციებს.

—ი. ანდრონიკაშვილი და ა. ფირალოვი ილიას ჩუქნიან თავიანთ წიგნს (О типе сельскохозяйственной школы для Тифлисской губернии. Тфл., 1895) წარწერით: „დიდად პატივცემულს ბ-ნ-ს ილიას ავტორებიდგან“.

— გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ (№ 144-ში) აქვეყნებს ცნობას, რომ ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ლეიდენი აღძრავს საქმეს ილიას წინააღმდეგ იმ ცილისწამებისათვის, რომელიც „ივერიამ“ მოათავსა თავის ფურცლებზე ლეიდენის წინააღმდეგ.

— ამთავრებს სამსართულიანი სახლის მშენებლობას საგურამოში.

1896

იანვრის 1 — „კვალის“ საახალწლო ნომერში იბეჭდება მილოცვები გაზეთებისა და დაწესებულებებისადმი, მათ შორის მილოცვა „ივერიისა“ და თბილისის სათავადაზნაურო ბანკისადმი.

„ივერიას“

„სამი წელია ირყევი,
დროა დადგე სწორ გზაზედა.
ვერც გოგლამ და ვერც დავითმა,
ვერ გაგწვრთნეს ახალ ხმაზედა“.

თ ბილისის თავადაზნაურობის ბანკს

„შენმა დიდმა წარმოებამ
ჩვენ მოგვცა კარგი ნაყოფი,

მხოლოთ გიწუნებთ იმას, რომ
გარყვენი ყველა მანდ მყოფი;

დახარბდენ ფულზე, ატეხეს
ჩხუბი და ბრძოლა საყოფი,
ერთობა ჩვენი მან დასცა,
მრავალ ჭირ-ვარმის ნაყოფი“:

იანვრის 4 — „ივერიის“ № 2-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 4 იანვარი“ (თსკ, ტ. V-ში სათაურით: „შინაური მიმოხილვა 1895 წლისა“).

იანვრის 6 — „კვალის“ № 2-ში გ. წერეთელი მაზაკვალის ფსევდონიმით ბეჭდავს „ივერიისა“ და ილიას საწინააღმდეგო წერილს — „ძველი მტრობა ახალ ქერქში“, რომელიც გამოწვეულია სათავადაზნაურო სკოლის გიმნაზიად გადაკეთებისა და მისი დაფინანსების საკითხებზე ილიას მოსაზრებათა გამო.

„... ივერია“ ... ერთგულათ შეუდგებოდა იმ ნივთიერ საშუალების გამოძებნას, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა დიდი ღვაწლი შკოლის გამგე კომიტეტისა. და რა ვიხილეთ? ბოლოს დეკემბრის 30-ს წარსულის წლისა დაიჭუხა მრისხანეთ „ივერიის“ მეთაურმა: „ეშმაკები ტიკს ალბობდნენ და ღვინო არსად იყოვო“ (კვალი, 1896, № 2, გვ. 18).

იანვრის 26—28 — „ივერიის“ № 20—22-ში ილია ჯიბრიელის ფსევდონიმით აქვეყნებს წერილებს გ. წერეთლისა და ივ. მაჩაბლის წინააღმდეგ სათაურით — „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (თსკ, ტ. III).

იანვრის 28 — „ივერიის“ № 22-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 28 იანვარი“ [„მოსკოვსკია ვედომოსტის“ № 20-ში გამოქვეყნებული მოწინავე წერილის — („სანაციონალო საქმე და ქართველები“) გამო].

იანვარი — ქვეყნდება ივ. თხორჟევსკისეული რუსული თარგმანი ნაწყვეტისა პოემა „აჩრდილიდან“ — „არაგვს“ („კავკაზსკაია ჟიზნ“. 1896. წგ. 1. ცენზ. ნებართვა 16 იანვ.).

თებერვალი (?) — ივ. ჯავახიშვილი და იოს. ჩარექიშვილი საიდუმლოდ ატყობინებენ ნიკო ნიკოლაძეს, ილიას და გ. ზდანოვიჩს სახელმწიფო საბჭოში შავი ზღვის სანაპიროების დასახლების საკითხის განხილვის მოლოდინს და თხოვენ გამოთქვან თავიანთი აზრი.

„აჰ ახლო ხანში სახელმწიფო საბჭოში განხილული იქმნება... შავი

ზღვის ნაპირების დასახლების საკითხი...“ (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1. 1954, გვ. 47).

თებერვლის 3 — ილიას თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდს უხდის საზოგადოების საპატიო წევრს გაბრიელ ეპისკოპოსს.

თებერვლის 6 — „ივერიის“ № 27-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 6 თებერვალი“ [გაზ. „კავკაზის“ გამოლაშქრება (ილია ხონელი-ბახტაძის სახით) ქართველების წინააღმდეგ].

თებერვლის 8 — „ივერიის“ № 29-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 8 თებერვალი“ [ბერძნების მიერ ათონის მონასტრის მამულების დასაკუთრება და ქართველებისათვის მისი დაბრუნების საკითხი].

თებერვლის 9 — „ივერიის“ № 30-ში ილია ხელმოუწერლად აქვეყნებს ჟურნალ „მოამბის“ პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას, რომელშიც აღტაცებას ვერ მალავს ივ. მაჩაბლის მიერ შექსპირის „იულიუს კეისრის“ თარგმნის გამო.

„ჩვენ დიდის სიამოვნებით შევხვდით ამ ახალს თარგმანს და დიდ განძადაც მიგვაჩნია ჩვენის ლიტერატურისათვის თ. მაჩაბლის თარგმანები... იმედი გვაქვს აგრეთვე თ. მაჩაბელი გადაგვითარგმნის კიდევ რამდენსამე საუკეთესო დრამას შექსპირისას. დრამა ინგლისურიდამ არის პირდაპირ თარგმნილი და ამით კიდევ უფრო საყურადღებოა“.

თებერვლის 18 — „კვალი“ № 8-ში ილია ხონელი (ბახტაძე) ბეჭდავს საპასუხო წერილს — „ღია წერილი ბ. ილია ჭავჭავაძისადმი“.

თებერვლის 26 — „განდეგილის“ ინგლისურ ენაზე გამოცემით გახარებული ილია ვრცელ წერილს უგზავნის მარჯორი უორდროპს ინგლისში.

„მოხარული ვარ, რომ თქვენი განათლებული მეცადინეობით ინგლისის დიდი ერი ნაწილობრივ მაინც გაიგებს, რომ დედამიწის ზურგზე არსებობს ერთი პატარა და მივიწყებული ქართველი ხალხი, რომელსაც მოეპოვება თავისი საკუთარი პატარა მწერლობა, სადაც იგი ინახავს თავისი გრძნობისა და გონების საუნჯეს“ (ცისკარი, 1957, № 4, გვ. 146. — ილიას წერილის ავტოგრაფი დაცულია ოქსფორდში ბოდლის ბიბლიოთეკის მ. უორდროპისეულ ფონდში).

მარტი (?) — „ივერიის“ რედაქციის თანამშრომელთა (დ. მიქელაძე და გ. ლასხიშვილი) შორის შექმნილ უთანხმოებათა გამო ილიასთან, ოჯახში მიდიან მოსალაპარაკებლად გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ილია ნაკაშიძე, რომლებიც ილიას მიმართავენ წინადადებით —

გადაეცა მათთვის „ივერია“ და ერთ-ერთი მათგანი დაემტკიცებინა რედაქტორად.

„ილიამ ყურადღებით მოისმინა ჩვენი წინადადება და გაკვირვებით შეგვეკითხა: — რაშია საქმე? გაზეთი ისედაც თქვენ ხელშია. რისთვისღა გინდათ ასეთი ტვირთის აღებაო.

ჩვენ ავუხსენით, რომ დავითთან უკმაყოფილება გვაქვს. გარდა ამისა, გაზეთი არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს...

საუბრის დასასრულს ილიამ ჩვენ წინადადებაზე ისევ გვითხრა:

— ჩემი რჩევაა, ამ ტვირთს ნუ აიკიდებთ ზურგზე. ნეტაც როგორმე მოაწესრიგოთ ურთიერთობა მიქელაძესთან. ყოველ შემთხვევაში ამ დღეებში პასუხს გეტყვითო“ (ვ. ლასხიშვილი. მემუარები. 1934, გვ. 103, 105).

მარტის 8 — ილია მიემგზავრება ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად.

„პარასკევს, მარტის 8-ს, ღამის მატარებლით თბილისიდანაც გაემგზავრნენ სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლები...“ (კვალი, 1896, № 12).

„თბილისიდან წინა დღით ჩამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი, აკაკი და მრავალი წარჩინებული მოღვაწეები“ (დ. კლდიაშვილი. მემუარები. 1932. გვ. 110).

მარტის 10 — ილია სიტყვას ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვისას გელათში.

„წირვის შემდეგ წარმოთქმულ იყო გამოსათხოვარი სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა... მღვ. ერმალოზ კანდელაკმა, ამის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმერმა და ეპისკოპოსმა ბესარიონმა... თავ. დ. ნიჟარაძემ, კნეინა ფაღავასამ, თეოფინე ხუსკივაძემ, თავ. ილია ჭავჭავაძემ... (ივერია, 1896, 13 მარტი, № 58, გვ. 2—3).

„... ცხედარი, რა თქმა უნდა, გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული ... იყო გაუთავებელი სიტყვები... საღამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ და მერე კი წავიდეთო“. ბოლოს მანვე გვითხრა, „მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო“. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენადმე გავთიშე იგი და ხმა-მაღლა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონს ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა მეთქი“. ერთი სიტყვით, „პროვოკაცია“ მოვუწყე ილიას! ხალხი მაშინვე გაიშალა, ილიაც წამოდგა და წარმოსთქვა სიტყვა. მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა დიდძალმა ხალხმა, რომელსაც გაეჭედა ეკლესია“ (ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. 1. 1968, გვ. 254).

მარტის 19 — „ივერიის“ № 63-ში აქვეყნებს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვას — „სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძის მიერ გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“. იგივე სიტყვა დაიბეჭდა „მოამბის“ მესამე ნომერში (თსკ, ტ. IV).

მარტის 31 — ჟურნალი „კვალი“ (№ 14-ში, რედაქციის შენიშვნით) ბეჭდავს კირილე შევარდნაძის წერილს ილიას (ჯიბრიელის ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილების) საპასუხოდ — „ესეც „უცნაურია“?! (ვუძღვნი ახალ ლექტორს „ჯიბრიელს“ და მისიანებს).

„როგორც ჩანს „დავიწყებული მწერლისა“ და ჯიბრიელის ფელეტონებს, „ივერიაში“ დასტამბულს სამართლიანი გულისწყრომა გამოუწვევია ჩვენს საზოგადოებაში...“ (კვალი, 1896, № 14, გვ. 241).

მარტის ბოლო-აპრილი (?) — ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის — „ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1896 წლ. მეჩვიდმეტე წელიწადი.“ ტფ., 1896. 64 გვ.

აპრილის 2 — საცენზურო კომიტეტის მიწვევით ილია ესწრება სხდომას, რომელიც იხილავს თებერვლის თვეში გაზეთ „ივერიის“ № 39, 40, 41-ში თომაანთ კობას [ი. ცინცაძის] ხელმოწერით გამოქვეყნებული ფელეტონის „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ“ საკითხს. აღნიშნული ფელეტონის გამოქვეყნების ნებართვის მიცემისათვის ცენზორს ეძლევა მკაცრი საყვედური, ხოლო ილიას, როგორც რედაქტორი-გამომცემელს, — შენიშვნა (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 242).

აპრილის 17 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს საიდუმლოდ ატყობინებს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე (№ 39—41) დაბეჭდილი ტენდენციური ფელეტონის შესახებ. მოითხოვს გაზეთ „ივერიის“ მიმართ ადმინისტრაციული წესის გამოყენებას (იქვე, გვ. 241—242).

აპრილის 20-28, მაისის 9-21 — აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წლიური კრების საქმიანობაში.

აპრილის 27 — სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე წარმოთქვამს სიტყვას ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი წერილისა და რევიზიის შედეგების განხილვის გამო (სიტყვა ქვეყნდება 1, 2, 4, 5, 8 მაისის „ივერიის“ № 93—97-ში).

აპრილის 30 — მთავარმართებლის კანცელარია თავის მხრივ წერილობით ატყობინებს მთავარმართებლის საბჭოს გაზეთ „ივერიის“ მავნე მიმართულების შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 241).

მაისის 9-21 — მუშაობას აგრძელებს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიური კრება, რომლის საქმიანობაშიც მონაწილეობს ილია.

მაისის 10 — მთავარმართებლის საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება გაზეთ „ივერიის“ რვა თვით დახურვის შესახებ.

„Обсуждая такое направление газеты „Иверия“, Совет нашел. что оно настолько вредно, что издание этой газеты следовало бы совершенно прекратить, но, принимая во внимание. что эта газета является единственным ежедневным органом на грузинском языке... Совет единогласно постановил.. прекратить издание выходящей в Тифлисе на грузинском языке, под редакцией кн. И. Чавчавадзе, газеты „Иверия“ на восемь месяцев“ (საისტ. მოამბე, ტ. 3. 1947, გვ. 246).

იმავე დღეს, მთავარმართებლის თანაშემწე ტატიშჩევი მოსკოვში მყოფ მთავარმართებელ შერემეტიევს დეპეშით აცნობებს საბჭოს გადაწყვეტილებას და სთხოვს მის დამტკიცებას.

მაისის 11 — მთავარმართებელი შერემეტიევი მოსკოვიდან დეპეშით ამტკიცებს მთავარმართებლის საბჭოს გადაწყვეტილებას გაზეთ „ივერიის“ რვა თვით დახურვის შესახებ.

„Вследствие телеграммы вашей... относительно газеты „Иверия“ утверждаю. Ген-адъют. Шереметьев“.

მაისის 13 — საღამოს ცხრა საათზე ილია ხსნის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას. კრება იხილავს საზოგადოების წიგნთსაცავისა და სოფლად სამკითხველოების გახსნის საკითხებს.

შეუძლობის გამო ილია ბოდიშს იხდის და ტოვებს კრებას.

„გათავდა თუ არა ყველა მორიგი კითხვების გარჩევა, თ. ჭავჭავაძემ ბოდიში მოითხოვა, ავადმყოფობის გამო აღარ შემიძლია დავრჩეო. მისი ადგილი დაიჭირა ბ. ნ. ცხვედაძემ“ (ივერია, 1896, 16 მაისი, № 102 გვ. 2).

ამავე კრებაზე ი. გოგებაშვილის წინადადებით ილიას და აკაკის ერთხმად ირჩევენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრებად „ნიშნად პატივის ცემისა იმ მოღვაწეობისათვის, რომელიც მიუძღვით მათ ქართულის მწერლობიხ და კერძოდ, ჩვენის სა-

ზოგადოების წინაშე“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. 10, 1965, გვ. 342).

მარისის 17 — გამოდის გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელი, 103-ე ნომერი. მთავარმართებლის საბჭოს გადაწყვეტილებით „ივერიის“ გამოცემა შეწყდა რვა თვით.

მაისის 20 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე, გვიან ღამით, ილიას ხმის უმრავლესობით ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ.

მაისის 21 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების უკანასკნელ სხდომაზე ცხადდება არჩევნების შედეგები. ივანე მაჩაბელს ხმის უმრავლესობით კვლავ ირჩევენ ბანკის დირექტორად. ილია და მისი მომხრეები — ბანკის მეორე დირექტორი და ზედამხედველი კომიტეტის წევრები უარს აცხადებენ ბანკში მაჩაბელთან ერთად მუშაობაზე.

(ბანკის კრების ანგარიშები ქვეყნდება „ივერიის“ № 87—103-ში გაზეთ „კავკაზის“, „ნოვოე ობოზრენიეს“ და „ტიფლისკი ლისტოკის“ აპრილ-მაისის ნომრებში).

მაისის ბოლო (?) — ილიას ოჯახი თბილისსა და საგურამოში მასპინძლობს საქართველოში მეორედ ჩამოსულ მარჯორი უორდროპს დედ-მამით და უმცროსი ძმით.

ივნისის 19-20 — ილია მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის საგანგებო კრებაში. საგანგებო კრებამ უსამართლოდ სცნო წინა (აპრილ-მაისის) კრების დადგენილება და არჩევნები. კრებამ მოითხოვა ხელახალი არჩევნები. მაჩაბელი უარს აცხადებს ხელმეორე არჩევნებზე. კენჭისყრაზე უარს ამბობენ ილია და ზედამხედველი კომიტეტის წევრები, მაგრამ კრება იძულებულს ხდის კენჭი იყარონ. ილიას ხელმეორედ ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ.

„როგორც დანიშნული იყო 19 ამ თვეს მოხდა: სათავად-აზნაურო ბანკის არაჩვეულებრივი, საგანგებო კრება, რომელიც გაგრძელდა 3 დღეს. ეს კრება გამოიწვია იმან, რომ წინა კრებაზე ზედამხედველმა კომიტეტმა და ზოგიერთ მართველობის წევრებმა უარი განაცხადეს თავიანთ თანამდებობაზე. — ამ საგანგებო კრებამ კანონიერათ არ იცნო უკანასკნელი საზოგადო კრება და ხმის უმეტესობით 747 წინააღმდეგ 40-ისა (ოპოზიციას არ მიუღია კენჭის მიცემაში მონაწილეობა) დაარღვია ის კრება და ხელახლათ მოხდა არჩევნები... რაც შეეხება ბანკის მართველობის თავმჯდომარეს და მთელ ზედამხედველ კომიტეტს, საზოგადოებამ თხოვა დარჩენილიყვნენ. იმათ თუმცა რამდენჯერმე განაცხადეს უარი, მაგრამ საზოგადოებამ არ შეიწყნარა და იძულებული ჰყო დარჩენილიყვნენ“ (ცვალი, 1896, № 27, გვ. 470).

ივნისის ბოლო — თელავში ამგზავრებს მარჯორი და ოლივერ უორდროპებს და ამასთან დაკავშირებით ივანე როსტომაშვილს წერილით სთხოვს ღირსეულ მეგზურობას.

„ძმაო ვანო! ვამგზავრებთ კახეთს სასიქადულო მეგობრებს დაძმას მარჯორ და ოლივერ უორდროპებს შენთან და აბა შენ იცი, როგორ შენებურად დაათვალიერებინებ და გააცნობ ჩვენი მშვენიერი კახეთის ძველ ისტორიულ ნაშთებს, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას, სანახაობას და სხვას“ (ელ. როსტომაშვილი — ახალგაზრდა კომუნისტი, 1956, 23 ივნ. № 75).

ივნისის 21 — წერილს უგზავნის რაფიელ ერისთავს მისი იგავ-არაკების გამოცემის თაობაზე.

„მე იმედი მქონდა ქართულთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფული მომეხმარა თქვენის იგავ-არაკთათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წინათ გადაჰსწყვიტა, რაც ფულია სულ ალექ. ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარა გახდა რა, მე ვეცდები სიით ფული მოვაგროვო და მაგით ხელი გაუმართო ჭიჭინაძეს“ (თსკ, ტ. X, გვ. 87).

ივლისი — ისტამბება ილიას ლექსზე — „ნანა“ შექმნილი სიმღერა — წიგნში: „სალამური. ხალხური სიმღერები გადაღებულნი ნოტებზე ზ. ი. ჩხიკვაძის მიერ“.

ივლისის პირველი ნახევარი — წერილს იღებს (1 ივლისის თარიღით) ჰ. შუხარდტისაგან, რომელიც, ატყობინებს რა მის მიერ გაგზავნილი წიგნების მიღებას, მადლობას უხდის გზავნილებისათვის.

ივლისის 20 — საგურამოში იხდის სახელობის დღესასწაულს — „ილიაობას“. დღესასწაულს სხვა მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად ესწრება ინგლისელი სტუმარი მარჯორი უორდროპი. ცხენებზე ამხედრებულმა ორმოცამდე ვაჟკაცმა ილიას გადასცა ყაგანგებოდ მისთვის დამზადებული დროშა, რომელზეც ამოქარგული იყო ილიას სიტყვები: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათვიდეს“.

„... ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასის იარაღით ასხმულნი, მშვენიერ დარახტულ ცხენებზედ, წყვილ-წყვილათ, ნელა, ნელა მიდიოდნენ და „მგზავრულს“ მწყობრათ მღეროდნენ. მალე მოუახლოვდნენ იმ გორას, რომელზედაც ილიას სახლი იყო აშენებული... წინ მოუძღოდათ გრიშა აბაშიძე თეთრ ტანისამოსში, თეთრ ცხენზე მჯდომი და ხელში ეპირა უშველებელი ბაირაღი ალისფერი ატლასისა ოქრომკედის ბაბთითმოვლებული და ზედ ამოკერილის ილიას ლექ-

სით... [ილია] გადაეხვია აბაშიძეს, ჩამოართვა ბაირაღი და დიდის მადლობით რამდენიმე სიტყვა უთხრა მოსულებს“ (ეკ. გაბაშვილი — ლიტერატურის მატიანე, 1940, წგ. 1—2, გვ. 106).

ივლისის 28 — მონაწილეობს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგანგებო კრებაში, რომელიც იხილავს კახეთის რკინიგზის საკითხს. თავადაზნაურობის ნაწილი მოითხოვს რკინიგზის მშენებლობის განხორციელებას სახელმწიფო ხარჯებით, ხოლო ნაწილი, მათ შორის ილია, მოითხოვდა, რომ თავადაზნაურობას მისცემოდა რკინიგზის გაყვანის ნება.

— ილიას ირჩევენ კომისიაში, რომელსაც უნდა შეედგინა დადგენილების პროექტი. პროექტი წინასწარვე შედგენილი იყო ილიას მიერ. ამ დადგენილების ძალით გზათა მინისტრს დეპეშით ეცნობა თავადაზნაურთა სურვილი რკინიგზის მშენებლობის შესახებ.

„უმეტესობა ამ აზრის წინააღმდეგი იყო და იმათ შორის მეთაურობდა თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელსაც წინდაწინვე შეედგინა კრების დადგინების პროექტი. ეს დადგინება იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა... აახლებს თავის შუამდგომლობას, სადაც ჯერ-არს, რათა ხსენებულ თავად-აზნაურობას მიეცეს ამ გზის კეთების ნება“ (ცვალი, 1896, 4 აგვ., № 33, გვ. 58).

აღნიშნული კრება უკანონოდ იქნა გამოცხადებული 3 ოქტომბერს შემდგარი თავადაზნაურთა კრების მიერ. ამ კრებას ილია არ დასწრებია.

აგვისტოს 7 — თბილისის საოლქო სასამართლოს გამოაქვს განაჩენი „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის შესახებ კერძო მომჩივან თედო სახოკიას საქმეზე. სახოკია გაზეთის რედაქტორს — ილია ჭავჭავაძეს უჩივის 1895 წ. „ივერიის“ № 79-ში დაბეჭდილ ა. ახნაზაროვის წერილში მისი შეურაცხმყოფელი მოხსენიების გამო.

ილია სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა უდანაშაულოდ.

აგვისტოს 14 — საგურამოში მასპინძლობს დეკანოზ ნიკოლოზ ნათიძეს (მწერლობაში მელანიას).

„1896 წელს, მარიამისთვის 14-ში გორიდამ წამოვედი ილიასთან საგურამოში... მე მასთან კერძო საქმე მქონდა — მინდოდა მომელაპარაკნა ბანკში სახლის დაგირავებაზედ“ (ნ. ნათიძე — ლიტ. მემკვიდრეობა, 1935, გვ. 572).

ოქტომბერი—ჟურნალი „რუსკაია მისლი“ (№ 10) აქვეყნებს ვ. ველიჩკოს მიერ თარგმნილი „აჩრდილის“ ნაწყვეტს და ლექსს „იანიჩარს“.

ოქტომბრის 5 — „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 4386) ბეჭდავს მოთხრობა „კაცია ადამიანის“ ერთი თავის ა. ნიკიტინისეულ თარგმანს.

ოქტომბრის 20 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1) ბეჭდავს ინგლისური პრესის შეფასებას „განდეგილის“ მარჯორი უორდროპისეულ თარგმანზე.

Scotsman (თებერვლის 24, 1896 წ.) ამბობს: „ეს პოემა თარგმნია ქართულ ენიდგან, დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო ქვეყნის მწერლისა, თავ. ჭავჭავაძე უეჭველია, უნდა იყოს საუკეთესო პოეტი თავისს ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიადი ნიჭი და აღმაფრენელი ძლიერება პოეტურის ფანტაზიისა. ჟურ. Academy (აპრილის 4, 1896 წ.) არჩევს აგრეთვე თარგმანის ენას, მოსწონს იგი და მეტადრე დიდად აქებს წინასიტყვაობას ქბ-ნ. უორდროპისას, რომელიც სრულს სამუალებას გვაძლევსო ქართველთ ნიჭიერი პოეტი, როგორც არის თავ. ჭავჭავაძე, სავსებით გავითვალისწინოო და პატივი ვსცეთ მის ღირს შესანიშნავ მოღვაწეობასაო“.

*

* *

ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: ჩიტი; ლოცვა; ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზედ: სიტყვა, თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელს წინამძღვარიანთკარში, ნაწყვეტები: „აჩრდილიდან“, „განდეგილიდან“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „კაცია ადამიანიდან“ — წგ-ში: ბუნების კარი. მე-9 გამოცემა.

ილიასა და თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელთა ხელმოწერით გამოდის ბროშურა — „В особенную канцелярию министерства финансов по кредитной части, Правления Тифлисского дворянского земельного банка. Объяснение по поводу жалоба кн. Джамбакура-Орбелиани.“ Тиф., 1896. 65 с.

ა. არღუთაშვილ-მხარგრძელი ილიას უძღვნის მის მიერ შედგენილ წიგნს (Аргутинский-Долгорукий А. История сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги за 25 лет ея существования 1871—1896 гг. Тфл., 1896) წარწერით: „Глубокоуважаемому кн. И. Г. Чавчавадзе от составителя“.

ივ. როსტომაშვილი „ივერიის“ რედაქციას უძღვნის წიგნს („ქართველთა ტომი“ ტფ., 1896) წარწერით: „პატივცემულ „ივერიის“ რედაქციას გამომცემლისაგან“.

იანვრის 1 — „ქვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ნოვოე ობოზრენიე“ ბეჭდავენ საახალწლო ლექსებს ქართველი მოღვაწეებისადმი, მათ შორის ილიასადმი.

ი. ჭ-ძეს

„ოთხმოც-და-თოთხმეტს დაიწყო
„უცნაური ამბის“ წერა;
ორი წელია ვუყურებთ,
მგონი, რომ ვეღარ დაწერა!“ (ქვალი, 1897, № 1, გვ. 17).

— ა. ფირალოვი უძღვნის თავის წიგნს (თანაავტორი ს. შავერდო-(ვი) (Очерк виноградарства и виноделия Кахетии. Тфл., 1896) წარწერით: „Глубокоуважаемому князю Илье Григорьевичу Чавчавадзе от А. С. Пиралова. 1 января 1897 года“.

იანვრის 12 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 4476) ბეჭდავს ილიას ლექსის — „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“-ს „С тех пор, как полюбил я Грузию родную...“) თხორეევსკისეულ თარგმანს.

იანვრის 15 — „კავკაზი“ (№ 13) აქვეყნებს ილიას ლექსის — „მწუხარებას“ („Печаль“) ვ. ველიჩკოსეულ თარგმანს.

იანვრის 17 — გაზეთ „ივერიის“ შეწყვეტიდან რვა თვის გასვლის შემდეგ გამოდის მისი პირველი ნომერი (1896 წ. მთავარმართებლის გადაწყვეტილებით გაზეთის გამოცემა შეწყდა რვა თვით: გაზეთის ბოლო № 103 გამოვიდა 17 მაისს).

ამ ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „პოლიტიკური მიმოხილვა“ 1896 წლისა.

იანვრის 18 — „ივერიის“ № 2-ში აქვეყნებს მოწინავეს — ტფილისი, 17 იანვარი“ [არწრუნის ქარვასლის თავადაზნაურთა ხელში გადასვლის და მათი დაუდევრობის შესახებ].

იანვრის 19 — „ივერიის“ № 3-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 18 იანვარი“ [ქართველთა ზნეობრივი დაცემა].

იანვრის 20, 22 — „ივერიის“ № 4, 5-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 20 იანვარი — ტფილისი, 21 იანვარი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე“).

იანვრის 21 — „ქვალი“ (№ 4) და „ცნობის ფურცელი“ (№ 91) ბეჭდავენ ინფორმაციას ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს თაობაზე.

„ამ იანვრის გასულს სრულდება ორმოცი წელიწადი სალიტერატურო მოღვაწეობისა არა თუ მთელ საქართველოში, ევროპაშიაც ცნობილი პოეტისა და ბელეტრისტის, თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა. იმედია ჩვენი საზოგადოება ღირსეულად დაუხვდება ამ დღესასწაულს“ (ცვალი, 1897, № 4, გვ. 95).

იანვრის 23 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა არაჩვეულებრივი კრების საქმიანობაში. კრება იხილავს სოფელ ოძისში, ზაქარია ერისთავისეულ მამულში, სამეურნეო სკოლის დაარსების საკითხს. კრებაზე ილია გამოდის სიტყვით (კრების ანგარიში და ადგილები ილიას სიტყვებიდან ქვეყნდება „ივერიის“ 1897 წ. № 7, 8, 9-ში, აგრეთვე „ცნობის ფურცლის“ № 94-ში და „ნოვოე ობოზრენიეს“ № 4488-ში).

თებერვალი — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სისტემატურად ბეჭდავს წერილებსა და წინადადებებს ილიას იუბილეს ორგანიზაციისა და პროგრამის შესახებ (ცნობის ფურცელი, 2 თებ. № 103; 8 თებ. № 109; 9 თებ. № 110; 10 თებ. № 111; 18 თებ. № 119; 20 თებ. № 121; 23 თებ. № 124).

თებერვლის 2 — „ივერიის“ № 15-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 თებერვალი“ [ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების გამო].

— გაზეთი „კავკაზი“ (№ 31) ბეჭდავს ილიას ლექსის „ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“ („Перо мое, не льстим мы людям...“) ლებედევისეულ თარგმანს.

თებერვლის 5 — ილიასა და ა. ვახვახოვის ხელმოწერით თბილისის სათავადაზნაურო ბანკი ანასტასია მაჩაბელს (ივანე მაჩაბლის მეუღლეს) უგზავნის წერილს ბანკის სესხის დაფარვის ვადაზე (საისტ. მოამბე. ტ. 25—26, 1971, გვ. 336).

თებერვლის 9 — „ივერიის“ № 21-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 8 თებერვალი“ [მთავრობის თანხმობა საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნაზე და გუბერნიის მარშლის მოქმედება].

თებერვლის 11 — „ივერიის“ № 22-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 10 თებერვალი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი“).

თებერვლის 16 — „ივერიის“ № 27-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 თებერვალი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო“).

თებერვლის 20 — „ივერიის“ № 30-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 თებერვალი“ [მოღვაწის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე].

თებერვლის 21, 25 — ქვეყნდება გრ. ვოლსკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ნაწყვეტები „კაცია ადამიანიდან“ („ნოვოე ობოზრენიე“, 1897, № 4515, 4518).

თებერვლის 23 — „ივერიის“ № 32-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 თებერვალი“ [ერთმანეთის გაუტანლობა და საზოგადოებრივი საქმის ჩამორჩენა].

მარტის 2 — „ივერიის“ № 38-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 1 მარტი“ [თავადაზნაურთა მოვალეობა მომავალი კრების გამო და ამ კრებაზე განსახილველი საკითხები].

„ივერიის“ ამავე ნომერში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს თავადაზნაურთა ბანკისა და ქართველი საზოგადოების გარშემო — სათაურით „პატარა საუბარი“.

— გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 130) ბეჭდავს გ. თოიძის წერილს, რომელშიც დაყენებულია ილიას სახელობის ფონდის დაარსების საკითხი.

მარტის 6 — ქვეყნდება ცნობა მოჭანდაკე თარხნიშვილის მიერ ილიას ბიუსტის დამზადების განზრახვის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1897, № 134).

მარტის 9 — ქვეყნდება ცნობა ილიას ავადმყოფობის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1897, № 137).

მარტის 11 — „ივერიის“ № 45-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს ნეკროლოგს — თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე.

მარტის 14 — „ივერიის“ № 48-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 13 მარტი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი“).

მარტის 15 — „ივერიის“ № 49-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 14 მარტი“ [კავკასიის მართვა-გამგეობისა და მთავარმართველ გ. გოლიცინის ჩამოსვლის შესახებ].

მარტის 20, 23 — „ივერიის“ № 53, 56-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 19 მარტი, ტფილისი, 22 მარტი“ [თბილისის ქალაქის გამგეობაში მოკალათებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ].

მარტის 23 — „ცნობის ფურცელი“ (№ 151) აქვეყნებს სტუდენტ გიორგი ღოღობერიძის მოწოდებას ამხანაგების მიმართ ილია ჭავჭავაძის იუბილის გამო.

მონაწილეობს ტფილისის სამეურნეო ბანკის წევრთა წლიურ კრებაში. კრებაზე ილია გამოდის სიტყვით (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1897, №№ 58—60; ცნობის ფურცელი, 1897, № 152, 153).

მარტის 28 — „ივერიის“ № 59-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს გ. თუმანიშვილისა და გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ მიერ ვ. გუნიას აბუჩად აგდებისა და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების კრების შესახებ გამოთქმული აზრის გამო, სათაურით — „პატარა საუბარი“.

მარტის 30 — „ივერიის“ № 61-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს სათაურით — „პატარა საუბარი“ [რომელიც გამოწვეულია ქართულ სამრევლო სკოლებში სომხური სახარების დარიგების გამო].

მარტის ბოლო — პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან იღებს წერილს (22 მარტის თარიღით), რომლითაც ატყობინებენ თავიანთ წადილს, გამოეხმაურონ ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, და სთხოვენ რჩევას თუ რა სახით იქნება უმჯობესი მათი გამოხმაურება.

აპრილის დასაწყისი — ვრცელ საპასუხო წერილს უგზავნის პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას. წერილით ილია მადლობას უხდის სტუდენტობას პატივდებისათვის, იწონებს მათ განზრახვას — ჩაგრულთადმი თანაგრძნობის გამო, მაგრამ იქვე აფრთხილებს, ქართველებს საკუთარი საქმე გვაქვს და თავი ამისათვის უნდა დაზოგოთო.

„... მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არ დამსახურებულ პატივისცემისათვის. ხოლო ის-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრივ ყოველად პატიოსანი გულთა-ძგერა თქვენი დამიდგა თვალ წინ, გულთა-ძგერა საქვეყნო, გულთა-ძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა... მაგრამ რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან... არ მოგახსენოთ გულახდილად... იქნება დამძრახოთ და მაინც ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს, ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ... უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდგან მაგ პატიოსან გულთა-თქმას... გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი. „სადაც არა

სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან"... ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა" (თსკ. ტ. X, გვ. 141—144).

აპრილის 6 — „ივერიის" № 67-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 5 აპრილი" [ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ].

აპრილის 13 — „ცნობის ფურცელი" (№ 169) აქვეყნებს წერილს — „თვალსაჩინო ატესტაციები", რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ უარყოფითად არის დახასიათებული გ. წერეთლის მიერ ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი.

— ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობები ილიას იუბილის გამო.

აპრილის 17 — „ივერიის" № 72-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 აპრილი" [გიორგი წერეთლის წერილის წინააღმდეგ].

„ივერიის" ამავე ნომერში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „პატარა საუბარი", რომელშიც დახასიათებულია გ. წერეთელი, მოყვანილია ფრანგი კორესპონდენტის აზრი ქართველებისა და სომხების შესახებ.

აპრილის 20 — „ივერიის" № 75-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 აპრილი" [ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ].

— ქვეყნდება გ. წერეთლის — „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს" (კვალი, № 17), რომელიც გამოწვეულია „ივერიის" 17 აპრილის მოწინავით.

„თქვენი მოწინავე წერილი „ივერიისა" № 72-ში დასტამბული, სავსე უმართებულო ლანძღვა-გინებითა და ბეზღაობითა, ჩემდამო მომართული, ახალი ამბავი არ არის".

აპრილის 25 — „ივერიის" № 78-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „პატარა საუბარი", რომელიც წარმოადგენს პასუხს კორესპონდენტისადმი, რომელიც ქართველებს „ჰუმანურობას" და თავისი ნაკლის გამეღავნებას ცოდვად უთვლის.

აპრილის ბოლო — ქვეყნდება „სახმოსნო კანდიდატთა ნუსხა, შედგენილი ეგრეთწოდებულ „სასახლის ნომრების" დასის მიერ...", რომელშიც კანდიდატად დასახელებულია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (ივერია, 1897, № 80).

აპრილის 27, 29 — „ივერიის" № 80, 81-ში აქვეყნებს მოწინავეს „ტფილისი, 26 აპრილი — ტფილისი, 28 აპრილი" [თბილისის სასაკლაოზე მომხდარი ბოროტმოქმედების შესახებ].

მაისი — ლაიპციგელი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიას სთხოვს ილია ჭავ-

ჭავაძისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ნიმუშების გაგზავნას.

მაისის 1 — „ივერიაში“ (№ 83) ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს შაუმოვის მაღაზიაში გაფუჭებული თევზის აღმოჩენის შესახებ („პატარა საუბარი“).

მაისის 3, 4, 8, 9, 11, 16 — „ივერიის“ № 85, 86, 88—90, 93-ში აგრძელებს მოწინავეების ბეჭდვას („ტფილისი, 2 მაისი — ტფილისი, 15 მაისი“) თბილისის სასაკლაოზე მომხდარი ბოროტმოქმედების შესახებ.

„ილია ჭავჭავაძემ 1897 წლის „ივერიაში“ № 85, 86, 88, 89 და 90 თითოეული გაზეთის ცალგვერდიანი მეთაური უძღვნა ქალაქის სასაკლაოზე მომხდარ საქმეს, სააშკარაოზე გამოიტანა ქალაქის გამგეობის მელაძუობა, ყოველი მათი დასაგმობი საქციელი და ამ საქმეში მონაწილეობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მისი უკანასკნელი მეთაური ხომ პირდაპირ საბრალდებულო ოქმი იყო მთელი თბილისის პლუტოკრატიისადმი...“ (თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. 1984, გვ. 181).

მაისის 4 — „ცნობის ფურცელი“ (№ 187) „ქართველი დედა“-ს ხელმოწერით აქვეყნებს წერილს ილიას მომავალი იუბილეს შესახებ.

მაისის 8 — ქვეყნდება საზოგადოებაში გავრცელებული ხმები, თითქოს ილია თავს ანებებს ბანკში მუშაობას (ცნობის ფურცელი, 1897, № 191).

მაისის 12 — ქვეყნდება მ. ბაქრაძის წერილი ილიას მომავალი იუბილეს გამო (ცნობის ფურცელი, 1897, № 195).

მაისის 17 — „ივერიის“ № 94-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 მაისი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“).

მაისის 20-27 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების საქმიანობაში. კრება იხილავს წლიურ ანგარიშს, რევიზორის შენიშვნებს... ხარჯთაღრიცხვას... ილია მონაწილეობს მთელ რიგ საკითხთა განხილვაში (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1897, № 97—102; ცნობის ფურცელი, 1897, № 204—208, 210; კვალი, 1897, № 22, 23; ნოვოე ობოზრენიე, 1897, № 4599—4605).

მაისის 24 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ წლიურ კრებაში. კრება იხილავს წარსული წლის ანგარიშსა და მიმდინარე

წლის ხარჯთაღრიცხვას. ილია მონაწილეობს კამათში (ცნობის ფურცელი, 1897, 24 მაისი, № 206, გვ. 4).

მაისის 27 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ილიას ხმათა დიდი უმრავლესობით (433 ხმით, 22-ის წინააღმდეგ) ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ (ცნობის ფურცელი, 1897, 28 მაისი, № 210, გვ. 4).

— თბილისის ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში ილია (მიიღო 504 ხმა, წინააღმდეგი — 559 ხმა) არ იქნა არჩეული ხმოსნად (ცნობის ფურცელი, 1897, № 205, 209; ივერია, 1897, № 96).

მაისის 28 — ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის გამო ქართველი საზოგადოება ილიას უმართავს ნადიმს (კავკაზ., 1897, № 141).

მაისის ბოლო — უარს აცხადებს ქალაქის საბჭოს ხმოსნად ხელმეორედ კენჭის ყრაზე.

„მომავალ დამატებითი არჩევანზე სახმოსნო ყუთის დადგმის უარი განუცხადეს ქალაქის მოურავის დროებით აღმასრულებელს კიდევ: თ. ი. ა. ანდრონიკაშვილმა, ა. ი. ოდნოსუმოვმა... ი. მ. ქართველიშვილმა... თ. ი. გ. ჰავჰავაძემ...“ (ივერია, 1897, 31 მაისი, № 105).

მაისის 29—31, ივნისის 1—3 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში. კრება იხილავს არწრუნისეული ქარვასლის მოწყობის, ოძისის სამეურნეო სკოლის გახსნის, კახეთის რკინიგზის გაყვანისა და სხვა საკითხებს. ილია აქტიურად ებმება აღნიშნული საკითხების განხილვაში. განსაკუთრებით მწვავე კამათი იმართება არწრუნისეული ქარვასლის მოწყობის პროექტის გამო თავადაზნაურობის წინამძღოლ კ. მუხრან-ბატონსა და ილიას შორის.

თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოში ილიას ირჩევენ დეპუტატად თელავის მაზრიდან (23 ხმით), აგრეთვე ქარვასლის საკითხის მომწესრიგებელი კომისიის წევრად.

„მაისის 30-ს მოხდა სათავად-აზნაურო სხდომა, რომელზედაც ცხადათ გამოირკვა ორი მოწინააღმდეგე პარტიის ერთმანეთში გამწვავება. ერთია მომხრე თფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. კ. მუხრანბატონისა, მეორეს თაოსნობს თ. ი. ჰავჰავაძე, რომელსაც არ მოწონს თ. კ. მუხრანბატონის მოქმედება და ცდილობს მის გამოცვლას.

ამ ორ პარტიას მოუხდა შეტაკება არწრუნისსეული თავად-აზნაურობის ქარვასლის ანგარიშების შესახებ... ამ საგანზე განაგრძეს ბაასი და ბოლოს ასე დააბოლოვეს: მიენდოს ქარვასლის მმართველ კომისიას და ბანკის გამგეობას მორიგდნენ ერთმანეთში, საერთოდ გადა-

წყვიტონ ეს საქმე და წარუდგინონ თავისი გადაწყვეტილება მომავალ სათავად-აზნაურო კრებას“ (კვალი, 1897, № 23, გვ. 440).

(კრების ანგარიში დაიბეჭდა: ივერია, 1897, № 105—108; კვალი, 1897, № 23, 24; ნოვოე ობოზრენიე, 1897, № 4607—4609, 4611; კავკაზ, 1897, № 142, 143, 145).

ივნისის 1 — თავმჯდომარეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას (კრების ანგარიში ქვეყნდება „ცნობის ფურცლის“ 1897, № 216-ში).

— „კვალი“ (№ 23) ბეჭდავს იუმორისტული ხასიათის წერილს „წრევანდელი ბანკის კრების ბიოგრაფია“ (ხელმოწერა „არავინ“).

ივნისის 26 — ილიას და ეგორ გურგენოვს თბილისის საოლქო სასამართლო პალატაში შეაქვთ თხოვნა საგურამო-წიწამურის აგარაკის მიწის ნაკვეთის გაყოფაზე შეთანხმების დამტკიცების შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 25—26, 1971, გვ. 336—337).

ივლისი — ჟურნალ „მოამბის“ № 7-ში ქვეყნდება კიტა აბაშიძის პუბლიცისტური სტატიის „ცხოვრება და ხელოვნებას“ დასაწყისი (დასასრული იბეჭდება „მოამბის“ №. 10-ში). ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ახალ ხანას, რომელიც 1861 წლიდან იწყება ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ივლისის მეორე ნახევარი — საგურამოში მასპინძლობს იმხანად საქართველოში მყოფ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორსა და მოგზაურ-მკვლევარ ჟაკ ბერტელიონს, რომაელ პროფესორ ბოსკოს, მწერალ ვასილ ველიჩკოს და არტურ ლაისტს...

„1897 წლის ივლისში საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ექიმი-პროფესორი ბერტელიონი პარიზიდან, პროფესორი ბოსკო რომიდან და რუსი მწერალი ვასილ ველიჩკო. სტუმრებისათვის რომ ესიამოვნებინა, ილიამ მოაწყო ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტერში, სადაც ხის ქვეშ მწვანეზე ვისადილეთ“ (ა. ლაისტი. საქართველოს გული. 1963, გვ. 40).

ივლისის 20 — „ცნობის ფურცელი“ (№ 260) აქვეყნებს მიხეილ ნასიძის („ძველი ეკალის“ ხელმოწერით) წინადადებას ილიას საიუბილეო ზეიმის ჩატარების შესახებ („თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეი და სრულიად საქართველოს „ცენტრალური დეპო“ ქ. ტფილისში“).

ივლისის 30 — „ცნობის ფურცელი“ (№ 269) აქვეყნებს მ. ჩოდრიშვილის გამოხმაურებას მ. ნასიძის წინადადებაზე ი. ჭავჭავაძის სახელობის „ცენტრალური დეპოს“ დაარსების საჭიროების შესახებ.

აგვისტო — მეორე გამოცემად გამოდის წიგნი „Грузинские поэты в образцах“, თარგმანი ივან-და-მარიასი [თხორჟევსკები].

წიგნში შესულია ილიას ნაწარმოებთა თარგმანები: „განდეგილი“, „გაზაფხული“, „არაგვი“ („აჩრდილიდან“), „იანიჩარი“, „პოეტი“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“.

აგვისტოს 10 — ქვეყნდება თ. მთავრიშვილის გამოხმაურება ილიას სახელობის „ცენტრალური დეპოს“ დაარსების შესახებ.

აგვისტოს 14 — გაზეთი „კავკაზი“ (№ 215) ბეჭდავს ი. ზურაბიშვილის მიერ თარგმნილ ნაწყვეტს „გლახის ნაამბობიდან“.

აგვისტოს ბოლო — ჟურნალი „ნივა“ (№ 35) აქვეყნებს ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილ სტატიას პორტრეტებით.

სტატიაში, რომლის ავტორია ვ. ველიჩკო, ილია დახასიათებულია როგორც დიდი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც რუსი მკითხველისადმი ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ცნობილი. სტატიაში მიმოხილულია ნაწარმოებები: „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“. წერილის ავტორი ილიას უწოდებს გლეხთა განთავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლსა და ენამზიან პიონერს.

სექტემბრის პირველი ნახევარი — ილია წერილს (3 სექტემბრის თარიღით) იღებს ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების პრეზიდენტის ე. კაზალეტისაგან, რომელიც ილიას სთხოვს გაუგზავნოს ცნობები თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, აგრეთვე თანხმობას ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრად არჩევის შესახებ.

„თქვენო ბრწყინვალებავ! წავიკითხე რა „ნივაში“ ვ. ველიჩკოს ხელმოწერით სტატია თქვენზე და თავად რ. დ. ერისთავზე, ვბედავ მოგმართოთ თქვენ ორივეს თხოვნით, უარი არ გვითხრათ, მოგვაწოდოთ ცნობები თქვენს ცხოვრებაზე და ლექსებზე.

ჩვენი სურვილია დავბეჭდოთ ისინი ინგლისურ ენაზე ჩვენს მომავალ ბროშურაში.

სექტემბრის 13, 14, 19, 21, 26, 28 — „ივერიის“ № 189, 190, 194, 196, 200, 201-ში აქვეყნებს მოწინავეების სერიას — „ტფილისი, 12 სექტემბერი — ტფილისი, 27 სექტემბერი“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“).

სექტემბრის მეორე ნახევარი — ქვეყნდება ცნობა ბანკის საქმეებზე ილიას პეტერბურგში გამგზავრების განზრახვის შესახებ (ნოვოე ობოზრენიე, 1897, № 4712; ცნობის ფურცელი, 1897, 20 სექტ. № 317).

„ახალი მიმოხილვის“ სიტყვით თავმჯდომარე ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე აპირებს იმ თვეში პეტერბურგს წასვლას ბანკის საქმეების გამო (ცვალი, 1897, 21 სექტ., № 40, გვ. 721).

ოქტომბრის დასაწყისი — „კავკაზსკაია ჟიზნ“-ის №-2 წიგნში ქვეყნდება ლექსის „ვიხილე სატრფოს...“ (Из глаз красавицы текли струею слезы...) ვ. ველიჩკოსეული თარგმანი და ა. ნატრომვილის მიერ თარგმნილი ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“.

ოქტომბრის 5 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ბეჭდავს ცნობას იმის შესახებ, რომ მხატვარმა ა. ეისნერმა დახატა ილიას და ნიკო ცხვედაძის სურათები.

ოქტომბრის 12 — „ცნობის ფურცელი“ (№ 338) ბეჭდავს შავიზღვისპირელის [თ. სახოკიას] შეკითხვას რედაქციის მიმართ. რატომ მიჩუმდა საზოგადოება და არ იხდიან ილიას მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილეს. აქვე ქვეყნდება რედაქციის პასუხი.

ოქტომბრის 13, 16 — ქვეყნდება ცნობები ილიას იუბილის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1897, № 339, 342).

ოქტომბრის მეორე ნახევარი (?) — სამადლობელ წერილს (9 ოქტომბრის თარიღით) ღებულობს პარიზიდან პროფესორ ჟაკ პერტელიონისაგან.

„ჩემო ძვირფასო თავადო! ორი დღე, რომელიც ჩვენ გავატარეთ თქვენს გვერდით, დარჩება ჩემს ხსოვნაში ჩემი ცხოვრების ყველაზე მომხიბლავ დღეთა შორის. ისინი არიან აგრეთვე ყველაზე ჭკუის მასწავლებელ დღეთაგანნი... მე უკვე მრავალჯერ გადამიკითხავს თქვენი პოეზიის ზოგიერთი თარგმანი... ეს კამეჩების ურმით მთაში გასეირნება, ეს ეგზომ სადა და მიმზიდველი რელიგიური ცერემონია ძველს მონასტერში, საუცხოო დღე, რომლის მსგავსს ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ და, რომელიც მარად დარჩება ჩემს მეხსიერებაში!

რა მომხიბლავია პრინცესა! რაოდენ კეთილი იყო იგი ჩვენს მიმართ!... მე ძალიან გთხოვთ გადასცეთ, თუ რაოდენ მადლიერი ვარ მისი მომხიბვლელი სტუმართმოყვარეობის.

მას და თქვენ, ჩემო ძვირფასო თავადო, გიგზავნით ჩემს უგულითადეს სურვილებს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენდამი ჩემს გულწრფელობასა და ერთგულებაში“ (შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები. 1973, გვ. 80—81).

ოქტომბრის 16, 19 — „ივერიის“ № 215, 217-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 15 ოქტომბერი, ტფილისი, 18 ოქტომბერი“

(თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“).

ოქტომბრის 17 — ქართველი ინტელიგენციის კრებაზე ირჩევენ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტს ქრისტეფორე მამაცაშვილის თავმჯდომარეობით.

ოქტომბრის 28 — „ივერიის“ № 222-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 27 ოქტომბერი“ [ევროპის ორ ბანაკად გაყოფა. ინგლისის გაძლიერება].

ოქტომბრის ბოლო-ნოემბრის დასაწყისი — ქვეყნდება ცნობები ილიას საიუბილეო კომიტეტის მოქმედებისა და იუბილის მზადების გარშემო (ცნობის ფურცელი, 1897, № 354, 357, 359, 360; კვალი, 1897, № 46).

ნოემბერი — ილიას ირჩევენ თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხის შემსწავლელ კომისიაში.

„იმ კომისიამ, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმის გამოკვლევა აქვს მინდობილი, თავისს წევრთა შორის მცირე კომისია აირჩია ამ საქმის პირველდაწყებით საქმეთა შესასრულებლად. არჩეულ იქნენ: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. გ. ი. ორბელიანი, ა. ი. კობიაშვილი, გ. დ. ჟურული და თავ. გ. მ. თუმანოვი“ (ივერია, 1897, № 244; იხ. აგრეთვე: ცნობის ფურცელი, 1897, 25 ნოემბ. № 381, გვ. 2).

ნოემბრის 1 — „ივერიის“ № 226-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 31 ოქტომბერი“ (თსკ, ტ. VI-ში სათაურით: „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“).

ნოემბრის 2 — დანიშნულია ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის კრება, რომელზეც უნდა გადაწყდეს იუბილის გადახდის თარიღი, კრება არ შედგა.

„კვირას, ორ ნოემბერს არის დანიშნული თ. ი. გ. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტისაგან საზოგადო კრება თავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში. კომიტეტმა დაახლოვებით შეადგინა შემდეგი პროგრამა: იუბილეი უნდა იყოს გამართული გაზაფხულზე, მაისში (თუმცა ზოგიერთი კომიტეტის წევრნი იმ აზრს ადგიან, რომ ახლავე, ამ ზამთარში გადავიხადოთო). დიდუბის ეკლესიაში წირვისა და პარაკლისს შემდეგ ქართულ თეატრის დარბაზში იქნება მილოცვა და საღამოზე გაიმართება ან ქართული წარმოდგენა, ან სალიტერატურო საღამო, რომლის შემოსავალი დაინიშნება იუბილიარის სახელზე სტიპენდიანტის შესანახად“ (კვალი, 1897, № 46, გვ. 818).

ნოემბრის 2, 7, 9 — „ივერიის“ № 227, 231, 233-ში ბეჭდავს მოწინავეებს — „ტფილისი, 1 ნოემბერი, ტფილისი, 6, 8 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა-ზღვის გზების საკითხი“).

ნოემბრის დასაწყისი (?) — ილიას აჯილდოებენ ვერცხლის დიდი მედლით, როგორც ბოსტნეულ-ბაღეულობის კავკასიის პირველი გამოფენის მონაწილეს (გამოფენა მოეწყო 15/X—2/XI).

„კომისიებმა სხვათა შორის ჯილდოები მიუსაჯეს: დიდი ვერცხლის მენდალი ნ. ქიქოძისას, ისაია ფურცელაძეს, ი. სულხანოვს, ი. ჭავჭავაძეს, ვუჩინოს, ალექსანდრეს სასწავლებელს და ამ სკოლის მასწავლებელს ადამიას“ (კვალი, 1897, № 47, გვ. 840).

ნოემბრის 12 — ქვეყნდება ი. გომელაურის (ხელმოწერა ი. გ-რი) წინადადება ილიას საიუბილეოდ მისი ნაწარმოებების გამოცემის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1897, 12 ნოემბ. № 369, გვ. 1—2).

ნოემბრის 19 — ქვეყნდება „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ განზრახვა საიუბილეოდ საზოგადოებას მიაწოდოს ილიას თხზულებების იაფფასიანი გამოცემები.

ნოემბრის 23 — „ივერიის“ № 243-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 22 ნოემბერი“ [კ. ბლიუმერის წერილის (კავკასიაში ავაზაკობის შესახებ — „ნოვოე ვრემიას“ № 3803-ში) კრიტიკა].

დეკემბერი — ქვეყნდება ცნობები ილიას საიუბილეო კომიტეტის მუშაობის, გადაწყვეტილებების, იუბილის მომავალი წლისათვის გადატანის შესახებ; საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ქრ. მამაცაშვილის განცხადება იუბილის მზადებისა და წინადადებების მიღების შესახებ (ცნობის ფურცელი, 1897, № 390, 391, 395, 396, 406; კვალი, 1897, № 51; ნოვოე ობოზრენიე, 1897, № 4756, 4759, 4783).

დეკემბრის 3 — მონაწილეობს სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებულ კრებაში, რომელიც იხილავს ექსტრაორდინარული თანხის შემწეობის სახით გაცემის საკითხს. ილია ესწრება ამავე საკითხზე 17 დეკემბერს გამართულ კრებას.

დეკემბრის 14 — „ივერიის“ № 259-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 13 დეკემბერი“ [თბილისში გაბატონებული ბურჟუაზია და გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ პოზიცია].

დეკემბრის 21 — „ივერიის“ № 265-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 20 დეკემბერი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“).

— ამავე ნომერში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს გ. თუმანიშვილის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ წინააღმდეგ სათაურით — „პატარა საუბარი“.

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ვ. ველიჩკო კითხულობს ილიას ლექსების თავისეულ რუსულ თარგმანებს. ია კარგარეთელი ასრულებს ნ. კლენოვსკის მიერ ილიას სიტყვებზე დაწერილ რომანსებს.

დეკემბრის 28 — „ივერიის“ № 269-ში ილია ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს სათაურით — „პატარა საუბარი“ [„კვალში“ დაბეჭდილი ლალის (გ. ლასხიშვილის) წერილის გამო].

*

* *

გამოდის ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი — თ. ილია ჭავჭავაძე როგორც ქართველთა ერობის მღაღადებელი. ტფ., 1897. 77 გვ.

უკრაინული ჟურნალი „Зоря“ აქვეყნებს ილიას ლექსების (პოეტი. — ელეგია. — გუთნის დედა. — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან...“ (Вотчині) „გაზაფხული“ პ. გრაბოვსკისეულ თარგმანს.

ფრეიბურგში (გერმანია) გამოდის ბაუმჰანტნერის წიგნი — „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი, რომელშიც სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძე.

„ყველაზე თვალსაჩინო და წარჩინებული პოეტები არიან გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, რაზიკაშვილი და გურიელი“ (ივერია, 1898, 11 თებერ. № 31).

იური კაზი-ბეკი ილიას უძღვნის თავის წიგნს (Всего понемногу. Очерки и рассказы. М., 1897) წარწერით: „Земляку—коллеге князю Илье Чавчавадзе на добрую память от автора. Конст. 26... 1897 г.“.

ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის — ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოქმედებისა: 1896 წელი. წელიწადი მეთვრამეტე. ტფ., 1897. 53 გვ.

1898

იანვრის 1 — „ივერიის“ № 1-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 31 დეკემბერი“ (თსკ, ტ. V-ში სათაურით: „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“).

იანვრის 3 — გვირგვინით ამკობს ილია ოქრომჭედლიშვილის ცხედარს — „ჩემს გულითადს მეგობარს და დაუვიწყარ ამხანაგს. ილია ჭავჭავაძე. 3 იანვარი 1898 წ." (ივერია, 1898, 6 იანვ. № 3, გვ. 1).

იანვრის 5 — მონაწილეობს ილია ოქრომჭედლიშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესში (იქვე, გვ. 1).

იანვრის 8 — „ივერიის" № 4-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „პატარა საუბარი" [ქართველი ქალის შესახებ].

იანვრის 9 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელიც იხილავს მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლისთავისათვის მოსახსენიებელი პანაშვიდის ვადახდის საკითხს.

იანვრის 11 — ესწრება ერეკლე მეორის მოსახსენიებელ წირვასა და პანაშვიდს სიონის საკათედრო ტაძარში.

პანაშვიდის შემდეგ ხდება ამ დღეს დაარსებულ „სასულიერო განმანათლებელ ძმობის" წევრი.

„იმავე დღეს ექსარხოსის ვლადიმირის კურთხევით დაარსებულ „სასულიერო განმანათლებელ ძმობის" წევრად ჩაეწერნენ კნეინანი ქ. ი. ამილახვარი და მ. ზ. ერისთავი, გენერალ-მაიორი თავ. ნ. ბ. ერისთავი, ი. ვ. საგინაშვილი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, დ. ზ. სარაჯოვი, ნ. ზ. ცხვედაძე და მრავალნი სხვანი" (ივერია, 1898, 13 იანვ., № 8, გვ. 2).

იანვრის 13 — „ივერიის" № 8-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 12 იანვარი" (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან").

იანვრის 14 — „ივერიის" № 9-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 13 იანვარი" [სასოფლო წვრილი კრედიტის მნიშვნელობა].

— ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობა სომხურ ჟურნალ „მურჭში" ილიას შესახებ გამოქვეყნებული წერილის შესახებ.

იანვრის 18, 20 — „ივერიის" № 12, 13-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 17 იანვარი, ტფილისი, 19 იანვარი" (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „გიორგი თუმანოვისა და მის ამქარის აზრები").

იანვრის 20-22 (?) — როგორც თელავის მაზრის წარმომადგენელი, მონაწილეობს თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შემმუშავებელი კომისიის სხდომაში.

„ჯუშინ-წინ, 21 იანვარს უკანასკნელადა ჰქონდა კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა იმ კომისიას, რომელსაც ტფილისის გუ-

ბერნიაში ერობის შემოღების საქმის შემუშავება აქვს ჩაბარებული“ (ივერია, 1898, 24 იანვ. № 17, გვ. 1).

„... 22 იანვარს კრება ჰქონდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა იმ კომისიას, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმის შემუშავება აქვს ჩაბარებული... დაესწრნენ კომისიის წევრები გორის მაზრიდგან — გენ.-მაიორ. ქ. ი. მამაცაშვილი და გ. დ. ჟურული, თელავისა — თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. სიღნაღისა — თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი...“ (ივერია, 1898, 25 იანვ. № 18).

იანვრის 22 — „ივერიის“ № 15-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „პატარა საუბარი“ [ქალაქის წყლის მილის საკითხი და ხმოსანი გ. თუმანოვი].

იანვრის 25 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების საქმიანობაში. კრება იხილავს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძისათვის გასაგზავნ ადრესს და ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლისთავის აღნიშვნის საკითხს.

„ივერიის“ № 18. 24-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 24 იანვარი, ტფილისი, 31 იანვარი (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“).

იანვრის ბოლო-თებერვლის დასაწყისი — ილიას ავადმყოფობა და გამოჯანმრთელება. ამის შესახებ მკითხველს ატყობინებს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 446) „ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერთი კვირის წინათ ავად გახდა, უკეთ არის“.

თებერვლის 5 — „ივერიის“ № 26-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 4 თებერვალი“ [პოლიტექნიკუმის დაარსების საკითხი თბილისის ქალაქის საბჭოში. ნ. ხუდადოვის და გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ აზრი ამის შესახებ].

თებერვლის 6 — „ივერიის“ № 27-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს „პატარა საუბარი“ [აკ. წერეთლის მიერ „ხანის ვეზირის“ და „ნაკვესების“ ავტორობის უარყოფის გამო].

თებერვლის 8 — „ივერიის“ № 29-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 7 თებერვალი“ [ქართული ლიტერატურული კრიტიკის უქონლობის შესახებ].

თებერვლის 18, 20 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებულ კრებაში. კრება იხილავს და ამტკიცებს წესდებულებას დამგირავებელთა შეღავათების შესახებ.

თებერვლის 19 — „ივერიის“ № 36-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 18 თებერვალი“ [ქართველი ახალგაზრდობის მიერ სამეურნეო ცოდნის შეძენის საჭიროება].

თებერვლის 20 — ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ქრ. მამაცაშვილი გაზ. „ცნობის ფურცლის“ № 460-ში აქვეყნებს წერილს ილიას იუბილის გამო (მიხეილ ბაქრაძის წერილის შესახებ).

თებერვლის 22 — მცხეთაში, სვეტიცხოველში ესწრება მეფე ერეკლე მეორის დაკრძალვის ასი წლისთავის გამო გადახდილ წირვასა და პანაშვიდს.

ამავე დღეს „ივერიის“ № 39-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 21 თებერვალი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“).

თებერვლის 24 — თბილისის სასამართლო პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება ილიასა და ე. გურგენოვის შესახებ საგურამოს მიწის ნაკვეთის გაყოფის დამტკიცების შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 25—26, 1971, გვ. 337).

მარტის 1, 3 — „ივერიის“ № 45, 46-ში ილია ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „ოინბაზობაა თუ სულელობა?“ [თბილისში პოლიტექნიკუმის გახსნის საკითხის გ. თუმანიშვილისეული აზრების გამო].

ილიას ამ წერილების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ წერილებს აქვეყნებს „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 4866, 4868). ილიასა და გ. თუმანიშვილს შორის უთანხმოებას მიეძღვნა დ. კეზელის (Novus) წერილი, გამოქვეყნებული „ტიფლისკი ლისტოკის“ № 55-ში.

მარტის 3 — „ივერიის“ № 46-ში ხელმოუწერლად აქვეყნებს წერილს — „პატარა საუბარი“, რომელშიც განხილულია ს. ქიშმიშოვის წიგნი „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“ და პროფ. ორლოვის და გ. თუმანიშვილის აზრი ამ წიგნის შესახებ.

— ილიას საიუბილეო კომიტეტი აქვეყნებს („ცნობის ფურცელი“. 1898, № 470) განცხადებებს: 1. იუბილის დღის (9 აპრილის) დანიშვნის, დიდუბის ეკლესიაში პარაკლისის გადახდისა და ქართულ თეატრში სადღესასწაულო სალამოს გადახდის შესახებ: 2. კონკურსს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიულ-კრიტიკული წერილის შედგენისა და პრემირების შესახებ.

— საიუბილეო კომიტეტი თხოვნით მიმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ასესხოს საიუბილეო კომიტეტს 30 თუმანი.

„თ. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი უმორჩილესად თხოვს გამგეობას დროებით ასესხოს ხსენებულ კომიტეტს ოცდაათი თუმანი სალიტერატურო ფონდიდან. კომიტეტის წევრნი ვალდებულნი იქნებიან მოხსენებული ფული დაუბრუნონ გამგეობას იუბილის გამართვის შემდეგ. თავმჯდომარე კომიტეტისა ქრ. მამაცაშვილი. მდივანი ი. ზურაბიშვილი. წევრნი: ეკ. გაბაშვილისა, პეტრე ყიფიანი, კ. მესხი, ივ. (კიტა) აბაშიძე, ვალერ. გუნია“ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 255).

მარტის 4 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ბეჭდავს ცნობას მხატვარ გიგო გაბაშვილის განზრახვის შესახებ: ილიას საიუბილეოდ დადგას ცოცხალი სურათები „განდეგილიდან“, „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, აგრეთვე დახატოს ილიას პორტრეტი.

მარტის 5 — „ივერიის“ № 48-ში ხელმოუწერლად ბეჭდავს წერილს — „პატარა საუბარი“ [თბილისში პოლიტექნიკუმის გახსნისა და ამ საკითხზე გ. თუმანიშვილის მიერ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 4866, 4868) გამოქვეყნებული წერილების გამო].

მარტის 5—6 (?) —იუბილესთან დაკავშირებით ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა იღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის მიერ გამოცემული ილიას ოთხტომეულის გაიაფების შესახებ.

„თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი თ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი წინანდელ ფასად გაიყიდება“ (ივერია, 1898, 10 მარტი, № 52 და შემდეგ ნომრებში).

მარტის 12-მდე — ილია წერილით ატყობინებს კავკავში ლუარსაბ ბოცვაძეს მის მიერ გამოგზავნილი მიმოხილვის დაბეჭდვის შესახებ.

„ბატონო ლუარსაბ! დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ ჯეჯილზედა. ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის“ (თსკ, ტ. X, გვ. 148). ლ. ბოცვაძის მიმოხილვა ილიამ დაბეჭდა „ივერიის“ 12 მარტის № 54-ში.

მარტის 17 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი კრძალავს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოსაქვეყნებელ განცხადებას — ილია ჭავჭავაძის იუბილის გადადების შესახებ („თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გადადება. ჩვენი პოეტის ილია ჭავჭავაძის იუბილეი, რომელიც დანი-

შნული იყო 9 აპრილისათვის, სხვა და სხვა მიზეზების გამო გადადებულ იქმნა").

ცენზურა ღებულობს გადაწყვეტილებას — განსაკუთრებული განკარგულების გამო დაბეჭდვა აიკრძალოს (საისტ. მოამბე, ტ. 3. 1961, გვ. 255).

მარტის 20-22 — იბეჭდება ცნობები ილიას იუბილის მზადების შესახებ (ცნობის ფურცელი, 1898, № 487, 488, 489).

მარტის 22 — თავმჯდომარეობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრებას. კრება იხილავს საზოგადოების მოქმედებისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, საზოგადოების საქმეთა მდგომარეობას.

„კვირას, 22 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში კრება იყო ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა. თავმჯდომარეობდა თავ. ი. გ. ჭავჭავაძე (ივერია, 1898, 24 მარტი, № 64, გვ. 1).

მარტის 23 — ილიასა და ა. ვახვახოვის ხელმოწერით თბილისის სათავადაზნაურო ბანკი ქრ. მამაცაშვილს 19 მარტის დეპეშის პასუხად უგზავნის ბანკის მოქმედების ანგარიშებს (საისტ. მოამბე. ტ. 25—26, 1971, გვ. 338).

მარტის 5 — ქვეყნდება ცნობები ილიას იუბილეს გადადებისა და მისი მიზის თვეში გამართვის შესახებ.

„ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ თავ. ილია ჭავჭავაძის პატივის მცემელთ გადაუწყვეტიათ მიულოცონ პატივცემულს თავადს ორმოცის წლის მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე 9 აპრილს კი არა, როგორც აქამდე ჰფიქრობდნენ, არამედ 24 მაისსო" (ცნობის ფურცელი, 1898, 5 მარტი, № 492, გვ. 2).

„თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეი გადაიდვა 23 მაისისათვის" (კვალი, 1898, № 14, გვ. 239).

მარტის 26-27 (?) — ილია სხვებთან ერთად მცხეთაში ხვდება საქართველოს ეგზარხოს ფლავიანეს (კავკაზ. 1898, № 83).

მარტის 28 — სოფრომ მგალობლიშვილი ნიკო ნიკოლაძეს წერილობით აცნობებს ილიას იუბილის შეფერხებას.

„ილიას იუბილეს საქმე შეფერხდა. გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთ თქვენი დეეგმირი ილიაო. ახლა ვუცდით გიცინის [გოლიცინის] მოსვლას. მაინც და მაინც ვაპირობთ კერძოთ გამართვასა, უკეთუ ოფიციალურად ვერ მოხერხდა".

აპრილი — ქვეყნდება ილიას მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის გამო მის პატივდებასა და იუბილესთან დაკავშირებული სხვადასხვა ცნობები (ცნობის ფურცელი, 1898, № 503, 504, 506—517; მწყემსი, 1898, № 9).

აპრილის 5 — ქვეყნდება ნადიკვრელის [ილია ზარაფიშვილი] მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ნარკვევი — „თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის იუბილეის გამო. წერილი მდაბიო ხალხისათვის" (ცნობის ფურცელი, 1898, № 500).

— ნარკვევი გამოდის ცალკე წიგნადაც — ნადიკვარელი. თავ. ილ. ჭავჭავაძე (წერილი ხალხისათვის). ტფ., „ცნობის ფურცლის" გამოცემა № 2, 1898. 24 გვ. 2 კ.

აპრილის 14 — თელავში, თავადაზნაურთა სამაზრო ურთიერთდამხმარე სალაროს დაარსების მიზნით მოწვეულ კრებაზე ილიას ირჩევენ წესდების შემმუშავებულ კომისიაში (კავკაზ, 1898, № 105).

აპრილის მეორე ნახევარი (?) — იღებს მისალოც ადრესებს კიეველ და ოდესელ ქართველთაგან.

კიეველი ქართველების ადრესს ხელს აწერს 37 მოქალაქე. ადრესს ამშვენებს წარწერა: „Маститому поэту кн. И. Г. Чавчавадзе в день юбилея 1-го сорокалетней литературной деятельности. От грузин проживающих в г. Киеве. 1898 года 9 апреля".

ოდესელ ქართველების ადრესს ხელს აწერს 22 ქართველი.

აპრილის 19-22 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა საზოგადო კრების საქმიანობაში [კრების ანგარიშები ქვეყნდება: ივერია, 1898, № 84—87; ცნობის ფურცელი, 1898, № 512—515; ნოვოე ობოზრენიე, 1898, № 4910—4914].

აპრილის 21, 22 (?) — ქალაქის თავის მიერ მოწყობილ თათბირზე, რომელიც იხილავს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხს, ილია შეჰყავთ თბილისის ისტორიის შემდგენი კომისიის შემადგენლობაში (ივერია, 1898, № 86; ცნობის ფურცელი, 1898, № 514).

აპრილის 22—23 — მონაწილეობს შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების კრებაში. მოითხოვს მოსწავლეთა სწავლის ქირისაგან განთავისუფლებას. ილიას წინადადებით კრება მადლობას უხდის ნ. ცხვედაძეს იმ ღვაწლისათვის, რაც მან გასწია სათავადაზნაურო სკოლის (ახლანდელი უნივერსიტეტის) ადგილის შესაძენი ფულის შეგროვებისათვის (ივერია, 1898, 25—26 აპრ., № 87, 88).

აპრილის 26 — „კვალი“ (№ 18) აქვეყნებს ნ. ჟორდანიას წერილს თბილისისა და ქუთაისის ბანკების შესახებ სათაურით — „ჩვენებური საქმიანობა. ბანკები.“ წერილში კრიტიკულად არის განხილული ბანკის ხელმძღვანელთა, მათ შორის ილიას საბანკო საქმიანობა.

მაისი — ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის — ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მოქმედებისა 1897 წელს“. წელიწადი მეცხრამეტე. თბ., 1898. 87 გვ.

მაისის 2 — ქვეყნდება ცნობა ილიას იუბილის გაურკვეველი ვადით გადადების შესახებ (ცნობის ფურცელი, 1898, № 523).

მაისის 3 — „კვალი“ № 19 აქვეყნებს ნ. ჟორდანიას წერილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის სკოლის შესახებ სათაურით — „ჩვენებური საქმიანობა. სენაკის სკოლა“. წერილის ავტორი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და მის გამგეობას ადანაშაულებს სენაკის სკოლაში შექმნილი მდგომარეობის გამო.

მაისის 5 — გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ხელისმომწერლებს გაზეთთან (№ 525-თან) ერთად უსასყიდლოდ ურიგდებათ ნადიკვრელის [ი. ზარაფიშვილი] მიერ შედგენილი წიგნი „თავ. ილია ჭავჭავაძე“ (ცნობის ფურცელი, 1898, № 525).

მაისის 9 — მკითხველთა მოთხოვნილების გამო „ცნობის ფურცლის“ რედაქცია აღნიშნულ წიგნს განმეორებით ბეჭდავს.

„პატარა ბროშურა თავ. ილია ჭავჭავაძეზე ამ ჟამად არა გვაქვს. იბეჭდება მეორე გამოცემა და ამ დღეებში გამოვა კიდეც“ [ცნობის ფურცელი, 1898, № 529, გვ. 3].

მაისის 10 — „კვალი“ (№ 20) ბეჭდავს ნ. ჟორდანიას კრიტიკულ წერილს — „ჩვენებური საქმიანობა. წერა-კითხვის საზ. გამგეობა“.

მაისის 15 — მონაწილეობს ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილის დაკრძალვის პროცესიაში.

„... ეს არ ითქმის იმაზე, ვის საფლავის წინ 15 მაისს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიდეგით, რომ უკანასკნელად და საუკუნოდ გამოვთხოვებოდით...“ (ივერია, 1898, 17 მაისი, № 102).

მაისის 17 — „ივერიის“ № 102-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 16 მაისი“ (თსკ, ტ. IV-ში სათაურით: „ალექსანდრე როინაშვილი. ნეკროლოგი“).

— სიტყვას წარმოთქვამს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს თბილისიდან ფოთში გადაყვანის გამო გამართულ ნადიმზე სიონის ტაძარში.

მაისის 19—20 — „ივერია“ (№ 103) და „ცნობის ფურცელი“ (№ 537) აქვეყნებენ ილიას სიტყვას ეპისკოპოს ალექსანდრესადმი მიმართულს — „თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ!“.

მაისის 24 — სახლში ღებულობს ჩერნიგოველ უკრაინელებს მწერალთა და მოღვაწეთა დელეგაციას, რომელიც პირადად გადასცემს ადრესს. ადრესს სხვებთან ერთად ხელს აწერს მიხაილო კოცუბინსკი. სამადლობელი სიტყვით მიმართავს სტუმრებს (ა. კალანდაძე. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი ყვარელში. 1958, გვ. 39).

მაისის 30 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას. კრება იხილავს ქუთაისისა და სენაკის სკოლების საკითხს და „კვალში“ (№ 19) დაბეჭდილ წერილს სენაკის სკოლის შესახებ. კრებაზე ილიას ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ 29 ხმით, ერთის წინააღმდეგ (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1898, № 115, 116; ცნობის ფურცელი, 1898, № 547).

მაისის 31 — ქვეყნდება ცნობა ილიას მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვების ცალკე წიგნად გამოცემის განზრახვის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1898, № 546, გვ. 3).

ივნისის 7 — „კვალი“ (№ 24) ბეჭდავს კრიტიკულ წერილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 30 მაისს გამართული წლიური კრებისა და, საერთოდ, საზოგადოების გამგეობის და მისი თავმჯდომარის — ილიას შესახებ.

ივნისის 13 — „ივერია“ (№ 124) აქვეყნებს ცნობას მარია გლეზერის განზრახვის შესახებ — გერმანულ ენაზე თარგმნოს „განდეგილი“.

ივნისის შუა რიცხვები — გამოდის წიგნი — „თ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი. წერილი პირველი მეგახლავარისა. [მიხეილ ნასიძე] (დამზადებულია 24 მაისისათვის, როდესაც ქართველებს უნდა გადაეხადა თ. ი. ჭავჭავაძის. ორმოცი წლის მოღვაწეობის იუბილე)“. ტფ., 1898, 48 გვ. 20 კ.,

„იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასაყიდად ახალი წიგნი თ. ილია ჭავჭავაძე... (ივერია, 1898, 4 ივნ. № 116 და ა. შ.).

„დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასაყიდად ახალი წიგნი: თ. ილია ჭავჭავაძე...“ (ივერია, 16 ივნ. № 126 და ა. შ.).

ივნისის 28 — „კვალი“ (№ 27) ბეჭდავს ვ. ახვლედიანის წერილს „სენაკის სკოლის საქმე“, რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა და მისი თავმჯდომარე — ილია ჭავჭავაძე.

ივლისის დასაწყისი — ილია ღებს შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები ქართველებისაგან შემოწირულებას საქველმოქმედო მიზნით.

„ჩვენმა რედაქტორმა თ. ილია ჭავჭავაძემ მიიღო ივანე ორახელაშვილისაგან ბაიკალის იქითა მხარის სადგურ კაიდალოვოდვან (ჩინეთის რკინის გზის შტო) 30 მან. შემდეგის წერილით: „მოგართმევთ თქვენდა მომართ უღრმესის პატივის ცემის ნიშნად და გთხოვთ, სადაც საჭირო იყოს, იქ გადასცეთ ქართულს საქველ-მოქმედო საქმეს“. მადლობას უხდის რა ბ-ნი რედაქტორი, ამითი აცხადებს, რომ ეს ფული გარდაეცა სათავადაზნაურო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ“ (ივერია, 8 ივლ., № 144, გვ. 4).

ივლისის 26 — „კვალი“ (№ 31) ბეჭდავს ფ. მახარაძის კრიტიკულ რეცენზიას — „საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მე გახლავარის წიგნაკის გამო) (თ. ილ. ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი)“.

ივლისის 31 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 596) აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ილია მუშაობს ახალ დრამატულ ნაწარმოებზე — ტრაგედიაზე.

აგვისტოს პირველი დეკადა — გამოდის ნადიკვრელის წიგნის („თავ. ილია ჭავჭავაძე“) მეორე გამოცემა. პირველი გამოცემა დაურიგდა „ცნობის ფურცლის“ ხელისმომწერლებს.

„იყიდება „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში იაფ-ფასიანი სახალხო გამოცემანი: თავ. ილია ჭავჭავაძე, 2 კ...“ (ცნობის ფურცელი, 1898, № 603 და ა. შ.).

აგვისტო-სექტემბერი — ჟურნალი „მოამბე“ (№ 8 და 9-ში) ბეჭდავს კიტა აბაშიძის წერილს — „ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან. წერილი მეოთხე. თავადი ილია ჭავჭავაძე“.

სექტემბრის 20 — ა. წურინოვი ილიას უძღვნის თავის წიგნს (Природные богатства Тифлиса. Проект переустройства горячих серно-щелочных источников в видах их правильной эксплоатации. Тфл., 1898) წარწერით: „Его сиятельству князю И. Г. Чавчавадзе“. „Глубокоуважаемому князю Илье Григорьевичу Чавчавадзе от душевно преданого А. Цуринова. 20 сент. 98 г.“.

სექტემბრის 26 — ივანე მესხი ბათუმიდან ფოთში ნიკო ნიკოლაძეს წერილით ატყობინებს ქალაქის ხმოსანთა არჩევნების დღეს და ამ დღეს ილიასა და სხვათა მოლოდინს თბილისიდან.

„ქალაქის არჩევნებისათვის, რომელიც 2-ს ოქტომბერს არის დანიშნული, მოგელით...“ [ელიან ილ. ჭავჭავაძეს, ი. გოგებაშვილს და სხვ.] (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 48).

ოქტომბრის 19 — „ივერიის“ № 224-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 19 ოქტომბერი“ [ცვლილებები თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წესდებაში].

ოქტომბრის 23 — წერილით სთხოვს ექვთიმე თაყაიშვილს ათხოვოს დ. ბაქრაძის წიგნი — „Памятники христианства на Кавказе“.

„... უმორჩილესად გთხოვთ მათხოვოთ დ. ბაქრაძის თხზულება... ძალიან საჭიროა საერთო საქმისათვის“ (თსკ. ტ. X, გვ. 147).

ნოემბერი — თბილისის სათავადაზნაურო ბანკი აქვეყნებს განცხადებას ვალში დარჩენილი მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ. განცხადებაში მოხსენებულია ი. ჭავჭავაძე, რომლის დავალიანება შეადგენს 7834 მანეთს (კავკაზ, 1899, № 299).

ნოემბრის 11 — „ივერიის“ № 242-ში აქვეყნებს მოწინავეს „ტფილისი, 10 ნოემბერი“ (საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ).

ნოემბრის 14, 17, 18 — „ივერიის“ № 245—247-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 13 ნოემბერი, ტფილისი, 16, 17 ნოემბერი“ (თსკ, ტ. IX-ში სათაურით: „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“).

ნოემბრის 19, 20 — „ივერიის“ № 248, 249-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 18 ნოემბერი — ტფილისი, 19 ნოემბერი“ (თსკ, ტ. VIII-ში სათაურით: „უკანონოდ-შობილთა უფლება“).

ნოემბრის 26, 29 — „ივერიის“ № 253, 255-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 25 ნოემბერი, ტფილისი, 28 ნოემბერი“ (თსკ. ტ. IV-ში სათაურით: „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“).

ნოემბრის 28 — თბილისის სამოსამართლო პალატა იხილავს ილია ჭავჭავაძის საქმეს. ილიას, როგორც „ივერიის“ რედაქტორს, უჩივის თედო სახოკია 1895 წლის „ივერიის“ № 79-ში დაბეჭდილ წერილში გაკიცხვის გამო. სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით ილია გამართლებული იქნა (საისტ. მოამბე, ტ. 25—26, 1971, გვ. 339—340).

„გუშინ, 28 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემლის თავ. ი. ჭავჭავაძისა და თ. სახოკიასი. თ. სახოკია თავ. ი. ჭავჭავაძეს „სასჯელთა დებულების“ მე-1040 მუხ. ბრალსა სდებდა. ვითარება ამ საქმისა შემდეგია:

1895 წ. მღვდლის შვილმა თევდორე სახოკიამ გამოსცა პატარა წიგნაკად თავის მიერ შეკრებილი „აკაკის ნაკვესები“ აკაკისვე სურათით... „ივერიის“ იმავე წლის მე-79 №-ში დაიბეჭდა ამ გაზეთის თანამშრომლის „ჩიორას“ ფელეტონი: „საბიბლიოგრაფიო შენიშვნა“. ამ ფელეტონში „აკაკის“ ნაკვესების შესახებ იყო ნათქვამი, რომ იგი აკაკისა კი არა „თ. სახოკიას შინაგან ბუნების ნაყოფია“, „იმისთანა ლექსიკონით არის შეზავებული, რომ იმის ბაგიდგან ამოშვებას კინტოც იუკადრისებს“, იგი ნაკვესები-კი არა, „უწმაწური შაირებია“-ო. „ჩიორას“ ამ რეცენზიის გამო სახოკიამ უჩივლა გაზეთის რედაქტორს — ილიას. 1896 წ. ილია გაამართლეს, ამჯერადაც „სასამართლომ დაადგინა: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე მართლად იქმნას ცნობილი, ხოლო თ. სახოკიას სააპელაციო საჩივარი უყურადღებოდ დატოვებულიო“ (ივერია, 1898, 29 ნოემბ. № 255, გვ. 3—4).

ნოემბრის ბოლო — გამოდის მ. ლალიძის გამოცემით „პოემების კრებული“, რომელიც იხსნება ილიას პოემა „აჩრდილით“.

დეკემბრის 13 — „ივერიის“ № 267-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 12 დეკემბერი“ [ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო ბანკების დამფუძნებელთა თავნი ფულის საკითხისათვის].

დეკემბრის პირველი ნახევარი — გამოდის „სიტყვიერების თეორია“ შედგენილი კირიონ არქიმანდრიტისა და გრ. ყიფშიძის მიერ, რომელშიც შესულია ილიას მხატვრული შემოქმედების ნიმუშები — ლექსები და ნაწყვეტები მოთხრობებიდან და პოემებიდან.

„დაიბეჭდა და ისყიდება ახალი ქართული წიგნი სიტყვიერების თეორია...“ (ივერია, 1898, 15 დეკ. № 268, გვ. 4).

დეკემბრის 30, 31 (?) — წერს საახალწლო მოწინავეს.

*

* *

— სომხურ ენაზე გამოდის ტ. ფირუმიანის მიერ თარგმნილი ილიას „კაცია ადამიანი“.

— საგურამოში ილია მასპინძლობს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს კარლ ლემან ჰაუპტს (ზაფხული).

— პოეტი ვასილ ველიჩკო უძღვნის გ. ა. ეზოვის წიგნს („Сношения Петра Великого с армянским народом. СПб., 1898) წარწერით: „Столпу народа грузинского, князю Илье Григорьевичу Чавчавадзе, да будет укором это „научное" исследование лояльного Г. А. Эзова, истинного представителя грузино-армянской солидарности. Руси мегобари".

— გალობის მასწავლებელი. მღვდელი ვასილ კარბელაშვილი უძღვნის წიგნს (ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი „ცისკარი" ნოტებზე გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი თბილისის სასულ. სემინ. ქართ. გალობის მასწავლებლის მღ. ვასილ გრიგ-ძის კარბელოვის მიერ. ნაწ. II. თბ., 1898) წარწერით: „მისს ბრწყინვალებას თ. ი. ჰავჰავაძეს ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი" მეორე ნაწილი „ცისკარი".

— ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში ე. თაყაიშვილის ინიციატივით ეწყობა ილიასადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, რომელზეც იწვევენ ილიას.

„რომ ჩემთვის წინდაწინ გაგემხილათ საღამოს მიზანი და პროგრამა, მე არ დავესწრებოდი, რადგანაც შეიძლება ჩემი დასწრებით რაიმე ხიფათი მოსვლოდა ჩვენს გიმნაზიას, რომელზედაც, კარგად ვიცი, მთავრობა კბილებს ილესავს" (ე. თაყაიშვილი — ლიტერატურის მატიანე, 1956, № 6, ნაკ. 1, გვ. 34).

1899

იანვრის 1 — „ივერიის" № 1-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 31 დეკემბერი" (თსკ, ტ. III-ში სათაურით: „საახალწლოდ").

ამავე დღეს „კვალი" № 1 ბეჭდავს „საახალწლო ნობათს" (ხელმოწერა: გ). ნობათი განსაკუთრებით კრიტიკულია „ივერიის" და მისი თანამშრომლის „ჩიორას" [არტემ ახნაზაროვი] მიმართ.

„ივერიას"

„ნუ შეგვრისხავთ მართალ საქმისთვის,
თუ რომ გკადროთ ცოტა ძვირი,

. . . . . .

მეთაურათ აირჩიე
„ჩიორა" და „ფარნაოზი"

იანვარი — მუშაობს ვრცელ კრიტიკულ წერილზე — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი".

იანვრის 17 — „კვალი" (№ 3) იწყებს ნ. ჟორდანიას წერილების სერიის — („ადგილობრივი პრესსა წარსულ წელს") გამოქვეყნებას.

პირველი წერილი მთლიანად ეძღვნება გაზეთ „ივერიას“ და, როგორც წერილის ავტორი შენიშნავს, ეხება „მხოლოთ ივერიის ხელმძღვანელის წერილებს და არა თანამშრომლებისას, რადგანაც ესენი უფრო წვრილ და კერძო კითხვებზე წერენ და გაზეთის საზოგადო მიმართულებას ვერ აღბეჭდავენ“.

გამომდინარე აქედან, წერილის ავტორი ყოველგვარი შეფარვის გარეშე ებრძვის არა საერთოდ „ივერიას“, არამედ მხოლოდ მის რედაქტორს — ილია ჭავჭავაძეს.

იანვრის 27 — „ივერიის“ № 19-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 26 იანვარი“ [ქალაქის თვითმართველობის დებულების შესახებ ნ. ნიკოლაძის წერილების განხილვა].

იანვრის 31 — „კვალი“ (№ 5) ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს — „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“. წერილი დაწერილია „ივერიის“ № 17-ში გამოქვეყნებული ფელეტონის („ბაზრობა კვალისტების — რიხიანობა — ამპარტავნობა — ფანატიკოსობისა“) გამო.

თებერვალი — აგრძელებს მუშაობას წერილზე — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.

თებერვლის 3 — ილიასა და დ. კარიჭაშვილის ხელმოწერით წერაკითხვის საზოგადოება წერილს უგზავნის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს სკოლის შესახებ სხვადასხვა ცნობების გასაგზავნად (ვ. ხაბურძანია — გაზ. „ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, № 90, გვ. 3).

თებერვლის 16 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც იხილავს ამიერკავკასიაში ეროვნების შემოღების საკითხს. კრებაზე ილიას ირჩევენ ამ საკითხზე შუამდგომლობის შემმუშავებელ კომისიაში (ტიფლისკი ლისტოკ, 1899, № 38).

თებერვლის 19 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის შეერთებულ სხდომაში (ცნობის ფურცელი, 1899, № 756).

მარტის 2-4 (?) —მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრების სხდომებში, რომელზეც გრძელდება კამათი ეროვნების შემოღების საკითხზე (ტიფლისკი ლისტოკ, 1899, № 51, 52, 54).

მარტის 5 — თავადაზნაურთა საგანგებო კრება ილიას ირჩევს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საკითხის დამმუშავებელ კომისიაში.

მარტის 14 — თავმჯდომარეობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების კრებას (ივერია, 1899, № 57).

მარტის მეორე დეკადის ბოლო (?) — ამთავრებს წერილის — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ წერას. დაბეჭდვამდე წერილს კითხულობს დავით სარაჯიშვილის ოჯახში, დამსწრეთა შორის.

„... მოსასმენად, ჩემს გარდა, მიწვეულნი იყვნენ: ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანაშვილი-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძე, ბანკის დირექტორი გრუზინსკი (სახელად, მგონი, მიშა) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაასრულა ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია. ამან მე დიდად გამაკვირვა...“ (ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. 1, 1968, გვ. 269).

მარტის 24 — ილიას ხელმოწერით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება საცენზურო კომიტეტს თხოვს ა. პუშკინის თხზულებათა აწყობის ნებართვას.

— იწყებს წერილის — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ გამოქვეყნებას (ივერია, 1899, № 64).

მარტის 25, 28, 30, 31 — „ივერიის“ № 65, 67—69-ში აქვეყნებს „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ გაგრძელებას.

მარტის 26 — ცენზურა ნებას რთავს ილიას ცალკე წიგნად გამოსცეს „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.

მარტის 28 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის პირველი თანრიგის მსესხებელთა კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო რწმუნებულთა ასარჩევად, ილიას ირჩევენ რწმუნებულად (ნოვოე ობოზრენიე, 1899, № 5229).

აპრილი — წიგნად გამოდის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. წერილი ილია ჭავჭავაძისა“. ტფ., „ივერიის“ რედაქციის გამოცემა, 1899, 264 გვ. 20 კ.

აპრილის დასაწყისი — ქვეყნდება გამოხმაურებანი ილიას წერილის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ გამო, ამ წერილის სომხურ ენაზე თარგმანისა და გამოქვეყნების განზრახვის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1899, № 789, 790, 791; ივერია, 1899, № 73).

„სახალხო წიგნის“ სერიით გამოდის „მეფე დიმიტრი თავდადებული. პოემა ილია ჭავჭავაძისა“. ტფ., 1899. 38 გვ. 5 კ. (ნოვოე ობოზრენიე, 1899, № 5240).

აპრილის 1-8 — „ივერიის“ № 70-76-ში ბეჭდავს „...ქვათა ღაღადის“ გაგრძელებას.

აპრილის 4 — „კვალი“ (№ 14) ბეჭდავს სტუდენტ ს. გ-ძე [ს. გორგაძე] „ღია წერილს ბ. „ვარ“ — ისადმი (ყაზანიდან)“ [ვართა-გავასადმი], ამ უკანასკნელის მიერ „ივერიაში“ № 53, 54 გამოქვეყნებული პოლემიკური წერილების გამო. ს. გორგაძის წერილს რედაქცია უკეთებს შენიშვნას, რომელიც მიმართულია ილიას წინააღმდეგ.

„ვბეჭდავთ ამ წერილს იმიტომ, რომ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიგოს თუ რა საზიზღარი გრძნობებით არიან გაჟღენთილი ჩვენი მლანძღველნი და ხალხის შურის ძიების ორგანოთ გადაუქცევია „ივერიის“ რედაქტორს თავისი გაზეთი. მზგავსი იმისა, რაც ამ წერილშია მოთხრობილი არავითარ მწერლობაში არ შეგვხვედრია და მერმისშიაც ღმერთმა ნუ შეგვახვედროს“.

აპრილის 9-10 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრების საქმიანობაში. კრება იხილავს მიწების გამიჯვნის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების, ერეკლე მეორის სახელობის სტიპენდიის, ქართული თეატრისა და სხვა საკითხებს (ივერია, 1899, 10—11 აპრ., № 78, 79).

აპრილის 11 — „კვალი“ (№ 15) ბეჭდავს გამოხმაურებას ილიას წერილის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდვის დასრულების გამო.

„წერილების მთავარი ნაკლულევანება ის არის, რომ ისინი მხოლოთ რუსულათ დაწერილ „სომეხთა“ ნაწერებს შეეხებიან (გარდა ერთ მაგალითისა) და, რადგანაც რუსულ ენაზე ამ საგანზე ისინი წერას რაოდენიმეთ ერიდებიან, ავტორსაც სულ ორი სომეხი შერჩენია ხელში, პატკანოვი და ეზოვი და ესენიც ქართულ მწერლობაში გარჩეული და ნაცნობი. პატკანოვის შესახებ დ. ბაქრაძემ წიგნაკიც კი დაბეჭდა, ხოლო ეზოვზე „მოამბეში“ იყო ვრცელი სტატია“.

აპრილის 13—თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კერძო თათბირზე ილიას თავმჯდომარეობით ირჩევენ კომისიას, რომელსაც ავალებენ თბილისის გუბერნიის ერთ-ერთ სამაზრო ქალაქში ვაჟთა გიმნაზიის გახსნისათვის შუამდგომლობის აღძვრას.

აპრილის 25 — ილია საპასუხო წერილს უგზავნის ანთიმოზ ჯუღელს სოხუმში, სოხუმის ქალაქის მოურავად ალექსანდრე სარაჯიშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით.

„... ჩემის ფიქრით, უკეთესს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან ჰეშმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე გამრჯელი. ხოლო უნდა ეცადნეთ, რომ უსათუოდ ამორჩეული იქმნას და ტყუილ-უბრალოდ არ გააბიაბრუონ პატიოსანი

კაცი. მე სწორედ დღევანდელს დღეს მჭონდა იმასთან ლაპარაკი და ძალიან გამიხარდა, რომ არ უარობს და თანახმაა სიტყვს ემსახუროს...“ (თსკ. ტ. X, გვ. 149).

მაისის დასაწყისი — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემით გამოდის ალ. პუშკინის თხზულებანი, რომელშიც შეტანილია ილიას მიერ თარგმნილი ლექსები „წინასწარმეტყველი“ და „ჰეშმარიტება“.

მაისის 26 — „ივერიის“ № 109-ში აქვეყნებს ა. პუშკინის ლექსების „წინასწარმეტყველის“ და „ჰეშმარიტების“ მისეულ თარგმანს.

მაისის 29 — ესწრება ალ. პუშკინის საიუბილეო საღამოს თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში. საღამოზე კითხულობენ პუშკინის „წინასწარმეტყველის“ ილიასეულ თარგმანს (ცნობის ფურცელი, 1899, № 830).

მაისის 30, 31 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაში, რომელიც იხილავს ბანკის მოქმედების ანგარიშს, მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას, ბანკის დაარსების 25 წლისთავის გამო გამგეობის თავმჯდომარისათვის ხელფასის მომატების საკითხს და სხვ. (ივერია, 1899, № 113, 114; ცნობის ფურცელი, 1899, № 831—833).

ივნისის 7 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას (ივერია, 1899, № 120).

— ამ კრების შესახებ „კვალი“ (№ 25) ბეჭდავს ნ. ჟორდანიას და კ. გოგოლაძის კრიტიკულ წერილებს.

ივლისის დასაწყისი — „ვესტნიკ ინოსტრანნოი ლიტერატურის“ ივლისის ნომერში იბეჭდება ილიას ლექსის — „პოეტის“ ვ. ლებედევისეული თარგმანი.

ივლისის 4 — ქვეყნდება ცნობა ილიას მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ერეკლე მეორის ფულის შეწირვის შესახებ (ცნობის ფურცელი, 1899, № 858).

აგვისტო — მეორე გამოცემად გამოდის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. წერილი ილია ჭავჭავაძისა“. ტფ., „ივერიის“ რედაქცია, 1899. 202 გვ. 30 კ.

აგვისტოს 9 — საგურამოში ღებულობს ნ. ცხვედაძის დეპეშას, რომლითაც ილიას იბარებენ თბილისში სენაკის სკოლის ინსპექტორის სამსონ ყიფიანის საქმის თაობაზე.

იმავე დღეს საგურამოდან სამსონ ყიფიანის საქმის თაობაზე წერილს უგზავნის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანს დავით კარიჭაშვილს.

„მე ვერ ჩამოვალ, რადგანაც შეუძლოდა ვარ. ხოლო, თუ საჭიროა, აი ჩემი აზრი: რადგანაც მთავრიშვილმა უარი განაცხადა და ჩვენ სახეში სხვა არავინა გვყავს კანდიდატად, და რადგანაც იქაურ თავადაზნაურობას და საზოგადოებას, როგორც თქვენ იწერებით, უთხოვნია ყიფიანის ინსპექტორად დატოვება სენაკის სკოლაში, მე მგონია, სხვა გზა არ არის, წინანდელი განაჩენი ჩვენი შესახებ ყიფიანისა და მარტო ყიფიანისა უნდა გაუქმდეს, ყიფიანი დარჩეს ინსპექტორად: ხოლო რომ ასეთი ჩვენი გადაწყვეტილება ყიფიანმა ჯილდოსავით არ მიიღოს, допустить его в качестве исправляющаго должность инспектора. ეს ასე თუ ისე, ერთის მუხლით დაქვეითება იქნება მისთვის და არა უმნიშვნელო საგრძნობელიცა“ (თსკ, ტ. X, გვ. 145—146).

სექტემბრის 1 — ფრანგ ტურისტ-ჟურნალისტთა ჯგუფის თბილისში მოლოდინის გამო ილიას თხოვნით ნ. ნიკოლაძის ცოლისძმა მხატვარი დავით გურამიშვილი წერილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს ფოთში და ილიას სახელით სთხოვს თბილისში სასწრაფოდ ჩამოსვლას. დ. გურამიშვილის წერილზე ილია აკეთებს მინაწერს და სთხოვს ადრესატს უსათუოდ ჩამოვიდეს.

„შენი ჭირიმე, ნიკო უსათუოდ ჩამოდი, მეტი არის განგიმარტო რა მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რომ ამ უცხო კაცებმა ჩვენგან შეიტყონ აქაური ავი და კარგი. ეს შენ ჩემზე უფრო უკეთ იცი. აბა თუ კაცი ხარ და არ დაიზარებ აქ ჩამოსვლას, ვიდრე ისინი აქ დარჩებიან“ (საგურამოს ილიი ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები. წგ. 1, 1958, გვ. 17).

სექტემბრის დასაწყისი — ილია ხვდება (?) საქართველოში მყოფ ფრანგ მოგზაურ-ჟურნალისტთა ჯგუფს (ივერია, 1899, № 190, 194).

ოქტომბრის 10 — „ივერიის“ № 218-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 9 ოქტომბერი“ [განათლების სისტემაში ცვლილებების შესახებ].

ოქტომბრის 19 — „ივერიის“ № 225-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 18 ოქტომბერი [ქართული დრამატული საზოგადოებისათვის მთავარმართებელ გოლიცინის მიერ 200 თუმნის შეწირვა].

ოქტომბრის 24-მონაწილეობს ფრანგი მოგზაურ-არქეოლოგის ბარონ დე ბაისა და რუსი მწერლის ევგენი მარკოვის საპატივცემლოდ „ფანტაზიის“ ბაღში გამართულ ნადიმში. ნადიმს თამადობს ვასილ

ველიჩკო, დამსწრეთა შორის არიან: დავით სარაჯიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, არტემ ახნაზაროვი... ნადიმზე ილია სიტყვით მიმართავს ევგენი მარკოვს. ბარონი დე ბაი სიტყვით მიმართავს ილიას.

ილია თავის პორტრეტს წარწერით მიართმევს დე ბაის. „ბარონ დე ბაის, ტფილისი, 1899. ილია ჭავჭავაძე“ (ცნობის ფურცელი, 1899, № 948; ივერია, 1899, № 230).

ოქტომბრის 28 — ქვეყნდება ილიას სიტყვა მიმართული ევგენი მარკოვისადმი (ცნობის ფურცელი, 1899, № 949; სიტყვის შემოკლებული ტექსტი გამოქვეყნდა 27 ოქტომბერს „ივერიის“ № 230-ში).

ოქტომბრის 29 — გაზეთი „კავკაზი“ (№ 284) აქვეყნებს განცხადებას ახალი ჟურნალის — „კავკაზსკიი ვესტნიკის“ გამოცემის შესახებ. განცხადებაში ჟურნალის თანამშრომლებად დასახელებულია ი. მენდელეევი, ნ. კონდაკოვი, ნ. დუბროვინი, ი. თხორჟევსკი, ბარონ დე ბაი, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი, ქ. ვერმიშევი, ა. გრენი. თანამშრომელთა შორის არის ი. ჭავჭავაძეც.

იმავე დღეს ილია წერილს უგზავნის ჟურნალ „კავკაზსკიი ვესტნიკის“ რედაქტორს თხოვნით ამოიღონ ამ ჟურნალის თანამშრომელთა სიიდან, ეს გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზით: „Познакомившись с перечнем почетных лиц, принимающих участие в новом журнале „Кавказский вестник“ я нашел, что между ними названы и такие, с которыми я диаметрально расхожусь во взглядах, по самым существенным и дорогим для меня вопросам. Ввиду этого я счел для себя неудобным, участвовать в деле, более всего требующем единства направления и мировоззрения“ (საისტ. ძთამბე. ტ. 37—38, 1978, გვ. 329).

—აღნიშნული წერილი (Письмо в редакцию...) ქვეყნდება 31 ოქტომბერს „კავკაზის“ № 286-ში.

ნოემბერი — ქუთაისის ბანკის შესახებ ილიას წერილების გამო „აკაკის კრებულში“ (№ 10) იბეჭდება — „აკაკის წერილი თ. ილია ჭავჭავაძესთან“. იგივე გამოდის ცალკე წიგნად.

ნოემბრის 3 — „ივერიის“ № 236-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 ნოემბერი“ [რუსული გაზეთები ევ. მარკოვისა და ბარონ დე ბაის პატივსაცემად გამართული ნადიმის წინააღმდეგ].

ნოემბრის 10 — ილიასა და სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრის მ. ანდრონიკაშვილის ხელმოწერით საპროტესტო განცხადება-წერილი იგზავნება გაზეთ „კავკაზში“ გამოსაქვეყნებლად გაზეთ „ტიფ-

ლისკი ლისტოკის“ 6 ნოემბრის № 255-ში დაბეჭდილი არასწორი ინ-ფორმაციის, თითქოსდა ბანკის ბაქოს განყოფილებაში 50 ათასი მანე-თის გაფლანგვის გამო (საისტ. მოამბე, ტ. 37—38, 1978, გვ. 329—330).

ნოემბრის 12 — ფრანგი დე ბაი უძღვნის თავის წიგნს (Au nord de la chaine du Caucase souvenirs d'une mission. Paris, 1899) წარწე-რით: „Au pete, au patriote au fils de si beau pays ou le soleil sou-rit toujours. Тифлис. 12 nov. 1899 Сосико де Бай''.

ნოემბრის 26 — „ივერიის“ № 255-ში ილია აქვეყნებს წერილს — „ასის წლის წინად (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში“); (თსკ, ტ. IV-ში).

დეკემბერი — ჟურნალი „მოამბე“ (№ 12) აქვეყნებს კიტა აბაში-ძის წერილს — „თ-დი აკაკი წერეთელი და მისი თავის მართლება“, რომელიც ეხება ქუთაისის ბანკის საქმეების გამო გამართულ პოლემი-კას და ამ საქმეში აკაკისა და ილიას დამოკიდებულებას.

— ფრანგული ჟურნალი “Le Caucase illustré'' 1899, № 2 ბეჭ-დავს დ. კარიჭაშვილის წერილს — „ქართველი პუბლიცისტები და ილია ჭავჭავაძე“. ამავე ნომერში ქვეყნდება საფრანგეთის ელჩის მეი-ერის მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. მოგონებაში ჩართულია ილიას სიტ-ყვა, წარმოთქმული 1884 წ. 30 ნოემბერს საფრანგეთის დღესასწაულის აღსანიშნავ ნადიმზე.

დეკემბრის 2 — „ივერიის“ № 260-ში ბეჭდავს მოწინავეს — „ტფილისი, 1 დეკემბერი“ [ინგლის-ტრანსვაალის ომი. გერმანიის იმ-პერიალისტური პოლიტიკა მცირე აზიაში].

დეკემბრის 16 — „ივერიის“ № 271-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 15 დეკემბერი“ [ინგლის — ტრანსვაალის ომის შესახებ].

დეკემბრის 27 — ილია, როგორც გაზეთ „ივერიის“ წარმომადგე-ნელი, მონაწილეობს თბილისის გუბერნატორის მიერ მოწყობილ თათ-ბირში. თათბირი იხილავს ახალქალაქის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზა-რალებულთა შემწეობის საკითხს. თათბირზე ილიას ირჩევენ დაზარა-ლებულთა დამხმარე კომიტეტის შემადგენლობაში.

დეკემბრის ბოლო — „ივერიის“ მომავალი წლის პირველი ნომ-რისათვის წერს მოწინავეს — „ტფილისი, 31 დეკემბერი“ (თსკ, ტ. V-ში. სათაურით — „მეცხრამეტე საუკუნე“).

*
* *

ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის — ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მოქმედების 1898 წელს. წელიწადი მეოცე. ტფ., 1899, 84 გვ.

ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: ლექსები, ნაწყვეტები მოთხრობებიდან და პოემებიდან — წიგნში: ბუნების კარი. მე-10 გამოცემა.

ქვეყნდება ილიას ლექსების ი. თხორჟევსკისეული თარგმანები Поет. Родина. Весна, Арагви (из поэмы „Ачрдили")—წიგნში: Настольный календарь. 1899 г.

1900

იანვრის 1 — „ივერიის" საახალწლო დამატებაში (№ 1) აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 31 დეკემბერი" (თსკ, ტ. V-ში სათაურით: „მეცხრამეტე საუკუნე").

— მოწინავეს გამოეხმაურა „კვალი", რომელიც მოწინავის დიდ ნაწილს ბეჭდავს თავის ფურცლებზე (№ 2).

იანვრის 2 — ქართული თეატრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დრამატიული საზოგადოების წევრთა სადღესასწაულო კრებაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით კითხულობს მისასალმებელ ადრესს.

„შემდეგ წაიკითხა ადრესი ილ. ჭავჭავაძემ, როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თავმჯდომარემ" (კვალი, 1900, № 2, გვ. 27).

— ამ დღეს „კვალი" (№ 1) აქვეყნებს ივ. გომართელის წერილს — „ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა", რომელშიც აღნიშნულია ილიას ღვაწლი ქართული დრამატიული დასის დაარსებაში.

„როდესაც საზოგადოებამ, იმდენათ გამოიღვიძა, რომ თეატრის საჭიროება თვით ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია, შეადგინეს ამხანაგობა: დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავმა, ნ. ავალიშვილმა, იოს. ბაქრაძემ, ალ. სარაჯიშვილმა, ილ. ჭავჭავაძემ და განიზრახეს სამუდამო სცენის დაარსება. მათ შეაგროვეს ფული, დააარსეს დრამატიული კომიტეტი, გამოიკვლიეს ამხანაგობის წესდება და 1879 წ. 5 სექტემბერს ჩაჰყარეს საძირკველი სამუდამო სცენისა".

ქართული თეატრის დაარსების საქმეში ილიას ღვაწლის, აგრეთვე ილიას ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის შესახებ გადმოგვცემს

პეტრე უმიკაშვილი თავის წერილში — „ქართული თეატრი და ლიტერატურა“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბის“ იანვრის ნომერში (№ 1, გვ. 1—30).

იანვრის მეორე დეკადის დასაწყისი (?) — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ბაქოს სააგენტოს საქმიანობის რევიზიისათვის ილია მიემგზავრება ბაქოში (ცნობის ფურცელი, 1900, № 1016).

იანვრის 16 — ესწრება გიორგი წერეთლის პანაშვიდს ბაქოში, რომელიც გადაიხადეს ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა მისი დაკრძალვის დღეს (ივერია, 1900, № 12).

იანვრის 22 (?) — სათავადაზნაურო ბანკის ბაქოს სააგენტოს რევიზიის შემდეგ ბაქოდან ბრუნდება თბილისში.

იანვრის 30 — „კვალი“ (№ 5) იწყებს ნ. ჟორდანიას წერილების ბეჭდვას სახელწოდებით — „პრესა“, რომელიც მთლიანად მიმართულია გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის ილიას წინააღმდეგ. წერილებში ილია დახასიათებულია როგორც რეაქციონური მოძრაობის მეთაური და სულისჩამდგმელი.

იანვრის 31 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ირჩევენ საადგილმამულო გადასახადების შემცირებისათვის შუამდგომლობის შემმუშავებელ კომისიაში (ცნობის ფურცელი, 1900, № 1032).

იანვრის ბოლო (?) — ილია მასპინძლობს საქართველოში მყოფ იტალიელ მეცნიერ-მოგზაურს გულიელმო პასილის.

„... ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელთანაც არაერთხელ მქონია შესაძლებლობა დიდხანს მესაუბრა... როდესაც მე თბილისი დავტოვე, რათა გადამელახა მთები და მიმეღწია ვლადიკავკასისათვის საქართველოს სამხედრო გზის გავლით, ილია ჭავჭავაძემ მითხრა: „თქვენ ნახავთ იმ დათოვლილ კლდეებს, მთებს, ჩანჩქერებს...“ (შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები. 1973, გვ. 93—96).

თებერვალი — ფრანგული ჟურნალი “Le Caucase illustré” (თბილისი) იწყებს პოემა „განდეგილის“ ი. მურიეს პროზაული თარგმანის გამოქვეყნებას (პოემის მთლიანი თარგმანი გამოქვეყნდა „ლე კაუკაზე ილიუსტრეს“ 1900 წ. № 2—5-ში) (ცნობის ფურცელი, 1900, № 1045).

თებერვლის დასაწყისი — ჟურნალი „მოამბე“ (№ 2) აქვეყნებს კიტა აბაშიძის მიმოხილვით წერილს — „1899 წლის ქართული სიტყვა-

კაზმული მწერლობა", რომელშიც შედარებულია ძველი და ახალი თაობის მწერლობა, მათ შორის ილია და ახალი თაობა.

მარტი — ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი თავის უფლებებს — მონაწილეობა მიიღოს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საქმიანობასა და არჩევნებში დუშეთის მაზრიდან — გადასცემს თავის მეუღლეს ილია ჭავჭავაძეს. აღნიშნულის შესახებ ოლღა გურამიშვილი წერილობით აცნობებს დუშეთის თავადაზნაურობის წინამძღოლს (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 256).

მარტის 1 ან 2 (?) — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ილია დეპეშით ულოცავს მეცნიერული მოღვაწეობის 30 წლისთავს აკადემიკოს ივანე თარხნიშვილს (ივერია, 1900, № 46).

მარტის 9, 12, 16 — „ივერიის" № 51, 54, 58-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 8 მარტი, ტფილისი, 11, 15 მარტი" (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „საადგილმამულო გადასახადის საქმე").

მარტის 18, 19, 20 — „ივერიის" № 60—62-ში „ახალმოსულის" ფსევდონიმით აქვეყნებს პოლემიკური ხასიათის წერილს — „უმეცრობის ფართი-ფურთი", რომელიც გამოწვეულია ნ. ჟორღანიას წერილებით — „პრესა" (კვალი, 1900, № 5, 7, 11).

მარტის 19 — „კვალი" (№ 12) ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების მიმოხილვისას ყურადღებას ამახვილებს „სევერნი კურიერის" № 119-ში დაბეჭდილ პ. გ-ლის წერილზე — „სომეხ-ქართველთა განხეთქილება" და ვრცლად მოჰყავს ადგილები ამ წერილიდან. წერილში მოხსენებულია ილია ჭავჭავაძეც.

მარტის 21-24 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში. კრება იხილავს ქარვასლისა და თეატრის შეკეთების, საბალახო ადგილებით სარგებლობის საკითხებს. ილია განმარტებას იძლევა ბანკის დამფუძნებელთათვის ფულის დაბრუნების შესახებ (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის" 1900 წ. № 64, 66—68-ში; „ცნობის ფურცლის" 1900 წ. 1079—1083-ში).

მარტის 23 — „ივერიის" № 65-ში „ახალმოსულის" ფსევდონიმით აქვეყნებს პოლემიკურ წერილს „პატარა საუბარი" „კვალის" თანამშრომელების ნ. ჟორდანიას და ვ. კირვალიძის წერილების გამო.

მარტის 25 (?) — მონაწილეობს ტფილისის სამეურნეო ბანკის კრების საქმიანობაში (ცნობის ფურცელი, 1900, № 1084).

მარტის 26 — „კვალი" (№ 13) იწყებს ნ. ჟორდანიას წერილების — „გზა და გზა" ბეჭდვას, რომლებიც მიმართულია ილიას პოლემი-

კური წერილის — „უმეცრების ფართი-ფურთის წინააღმდეგ“ (ნ. ჟორდანიას წერილების — „გზა და გზას“ ბეჭდვა გაგრძელდა „კვალის“ 1900 წ. № 15, 17, 18-ში).

მარტის 29 — ბორის ესაძე ილიას უძღვნის მის მიერ გამოცემულ წიგნს („Боевые подвиги кавказских войск. Альбом картинной галлерей Кавказского военно-историч. музея. Изд. Б. С. Эсадзе. Тфл., 1899) წარწერით: „Глубокоуважаемому Илье Григорьевичу князю Чавчавадзе от издателя Бориса Эсадзе. 29 марта 1900 г. г. Тифлис“.

აპრილი — გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ილია ბეჭდავს პოლემიკური წერილების სერიას „კვალში“ დაბეჭდილი ნ. ჟორდანიას წერილების გამო.

ჟურნალი „მოამბე“ (№ 4) აქვეყნებს ლალის [გ. ლასხიშვილი] შინაურ მიმოხილვას, რომელიც მთლიანად ეხება თბილისის სათავადაზნაურო ბანკს და მისი თავმჯდომარის — ილიას როლს ბანკის საქმიანობაში.

აპრილის 2 — „ივერიის“ № 73-ში „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ბეჭდავს წერილს — „ახალი უმეცრებანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“.

აპრილის 4 — „ივერიის № 74-ში აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 3 აპრილი“ (თსკ, ტ. VII-ში სათაურით: „ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში“).

აპრილის 6 — „ივერიის“ № 76-ში „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ბეჭდავს პოლემიკურ წერილს („პატარა საუბარი“) ნ. ჟორდანიას მიერ „კვალის“ № 13-ში გამოქვეყნებული წერილის „გზა და გზას“ პასუხად.

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ილიას თხოვს ინფორმაციას დიდუბის ეკლესიის გალავანში ნ. ბარათაშვილის საფლავზე ძეგლის დადგმის შესახებ, რომლის ორგანიზაციაც მას ჰქონდა დავალებული.

„... გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ... აცნობოთ მას, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ბარათაშვილის საფლავზე ძეგლის დადგმის საქმე, როდის და ან როგორი ძეგლის აგებას აპირებთ განსვენებულის საფლავზე“ (საისტ. მოამბე, ტ. 37—38, 1978, გვ. 99).

აპრილის 8 — მასპინძლობს ალექსანდრე ყიფშიძეს.

„შაბათს საღამოს ილიასთან წაველი აღდგომის მისაგებებლად ძველის ჩვეულებისამებრ, კარგა ხანია ეს ბედნიერი დღე მასთან არ გა-

მიტარებია, მინდოდა უკანასკნელად დავმტკბარიყავ დიდებული მოხუცის ცქერით“ (ალ. ყიფშიძე — ლიტერატურის მატიანე, 1940, წგ. 1—2, გვ. 188).

აპრილის 13 — „ივერიის“ № 78-ში „ახალმოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს წერილს „პატარა საუბარი“, რომელიც მიმართულია ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ.

აპრილს. 16 — „ივერიის“ № 81-ში ნ. ჟორდანიას საწინააღმდეგოდ „ახალმოსულის“ ხელმოწერით ბეჭდავს წერილს — „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ოპპირობა უმეცარისა“.

აპრილის 20 — „ივერიის“ № 84-ში „ახალმოსულის“ ხელმოწერით აქვეყნებს წერილს — „პატარა საუბარი“ ნ. ჟორდანიას საწინააღმდეგოდ.

— „ივერიის“ ამავე ნომერში ადგილს უთმობს ნ. ჟორდანიას პასუხს (წერილი „ივერიის“ რედაქციის მიმართ) „ახალმოსულის“ წერილებზე.

აპრილის 23 — „ივერიის“ № 87-ში „ახალმოსულის“ ხელმოწერით ბეჭდავს წერილს — „ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი“.

აპრილის ბოლო-მაისის დასაწყისი — ილიასა და ნ. ჟორდანიას შორის წარმოებული პოლემიკის გამო „კვალი“ აქვეყნებს საპროტესტო წერილებს სათაურით — „წერილები რედაქციის მიმართ“: გ. წულუკიძის, მოსკოველი სტუდენტის ი. ჭ-სი (№ 17), სევ. ჯუღელის, ვინმე „ქართველი ექიმის“ (№ 18), სტუდენტ კ. ჯაფარიძის და სამ კოლექტიურ წერილს (№ 19). საპროტესტო წერილებს აქვეყნებს აგრეთვე ჟურნალი „მწყემსი“ (№ 8, 9—10).

აპრილის 26-მაისის 2 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებაში. კრება იხილავს გასული წლის ბანკის მოქმედების ანგარიშს, მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას, სკოლების საკითხს, ბაქოს სააგენტოში პ. ყიფიანის მოქმედებას. ამ საკითხზე ილია მონაწილეობს კამათში. კრების სხდომები მიმდინარეობს დაძაბულად, ოპოზიციონერობენ სამეურნეო ბანკის დირექტორი ვლ. მიქელაძე, ვასილ მაჩაბელი, ნ. ხუდადოვი და სხვ.

„გამგეობის თავი და ბოლო თ. ჭავჭავაძეა. ის არის პასუხისმგებელიც და ამიტომ წლევანდელ კრებაზე ასე უფერულათ და დაღონებულათ გამოიყურება. ლაპარაკობს ძალიან იშვიათათ და მაშინაც ნელა და სუსტათ. ხან და ხან ახლო მჯდომსაც არ ესმის მისი სიტყვა. ასე

წელმოწყვეტილათ ჯერ ის არ გვინახავს კრებებზე, უეჭველია რაღაც ის არ არის, როგორც უნდა იყოს...“ (კვალი, 1900, № 18, გვ. 276).

„ეს ორი კვირაა თავ. ილია ჭავჭავაძე ავად არის. ეხლა თუმცა უკეთ შეიქმნა, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ექიმებმა აუკრძალეს მეშაობა და ურჩიეს რამდენიმე თვით სოფლად წასვლა და დასვენება“ (ცნობის ფურცელი, 1900, 15 მაისი, № 1125).

მაისი — „კავკაზსკი ვესტნიკის“ № 5-ში ქვეყნდება ა. ხახანაშვილის ბიბლიოგრაფიული სტატია „Грузинские поэты на малороссийском языке“, რომელშიც ჩართულია ილიას ლექსების უკრაინული თარგმანები: გაზაფხული (მთარგმ. ო. ლ-ი), „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან...“ (Вотчині, მთარგმ. ვ. ჩაიჩენკო), გ. აბჯ. (Дитині, მთარგმ. ვ. ჩაიჩენკო), პოეტი, ელეგია, გუთნის დედა (Пахарь, მთარგმ. პ. გრაბოვსკი).

მაისის დასაწყისი — ავად ხდება — „გულის ხუთვითა და სულის შეგუბებით“.

მაისის 2 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ირჩევენ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ 120 ხმით 30-ის წინააღმდეგ (ივერია, 1900, № 95).

— ჟურნალი „მოამბე“ (№ 4) აქვეყნებს ლალის [გ. ლასხიშვილი] შინაურ მიმოხილვას თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების, უწინდელი და ეხლანდელი ოპოზიციის, ბანკის 25 წლის მოღვაწეობის შესახებ.

მაისის 7 — „კვალი“ (№ 19) აქვეყნებს ნ. ჟორდანიას წერილს — „პალ. ყიფიანის საქმე“, რომელიც ეხება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორისა და ბაქოს სააგენტოს მმართველის — პალიკო ყიფიანის მიერ ფულის გატაცებას, რასაც ხსნის ილიას უყურადღებობითა და დაუდევრობით.

პ. ყიფიანის მიერ ფულის გატაცებას გამოეხმაურა აგრეთვე გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ (№ 99—101).

მაისის 14 — „კვალი“ (№ 20) ბეჭდავს გამომცემელ კ. თავართქილაძის წერილს რედაქციის მიმართ, რომლითაც მოითხოვს ნება დართოს „ახალმოსულმა“ ცალკე წიგნად დაბეჭდოს მისი საპოლემიკო წერილები ნ. ჟორდანიას წერილებთან („პრესა“, „გზა და გზა“) ერთად.

კ. თავართქილაძის წერილი ქვეყნდება ნ. ჟორდანიას შენიშვნით— „რადგანაც ბ. ახალმოსულის პოლემიკა სრულებით არ ეხება ჩვენი „პრესის“ საგანს, ამისათვის „პრესის“ იმ წერილებთან გამოცემას საჭიროთ არა ვთვლი. ხოლო ჩვენი „გზა და გზა“ შეუძლია ბ. თავართქილაძეს გამოსცეს ბ. ახალმოსულის წერილებთან ერთად...“.

მაისის ბოლო — ილიას ჯანმრთელობა უარესდება. ნიკო ცხვედაძეს საგურამოში ილიასთან მიჰყავს ახალგაზრდა ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი, რომელიც რამდენიმე ხანს რჩება საგურამოში და ილიას მკურნალობს.

„გუშინწინ ტფილისში გავრცელდა სამწუხარო ხმა, რომ თავ. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამჟამად, ექიმების რჩევით, სოფ. საგურამოშია, ძალიან ცუდად შეიქმნაო. საგურამოს მაშინვე წავიდნენ ექიმები და ბევრი პატივისმცემელი ილიასი. გუშინ საგურამოდან ცნობა მოვიდა, რომ ილია ისევ კარგად შექმნილა“ (ცნობის ფურცელი, 1900, 31 მაისი, № 1139).

„თბილისის გუბერნიის ექიმმა ტიტე სიმონის ძე ქიქოძემ სოფელ ველისციხეში დამნიშნა. თბილისში უნდა შემეძინა საექიმო იარაღები; შევიარე ტიტე ქიქოძესთან. საუბრისას კაბინეტში შემოვიდა ნიკოლოზ ცხვედაძე და შეშფოთებით უთხრა ქიქოძეს, რომ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ავად გამხდარა, საგურამოშია, ექიმი კი ვერ ვიპოვე, ქალაქიდან ყველანი გასულან, ვისაც მე ვიცნობო“ (ძალიან ცხელი ზაფხული იყო).

ძალიან შევწუხდი და სურვილი გამოვთქვი:

— მზად ვარ წამოვიდე და ილია ჭავჭავაძეს ყოველგვარი საექიმო დახმარება აღმოვუჩინო!..

ძალიან გაუხარდათ. გადაწყდა, დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავით საგურამოში...

ილია იწვა თავის კაბინეტში, მასთან სტუმრად იყვნენ არტურ ლაისტი და გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო დითურთ.

ნიკო მიესალმა ილიას და მოახსენა:

—აი, ბატონო ილია, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფე, ახლა კი ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი...

... დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი, გავსინჯე; მის გულს გადატვირთვა და დაღლილობა ეტყობოდა: გულის სისხლის მილებს სკლეროზი შეჰპარვოდა, გულის კუნთების ანთების ნიშნებითურთ. აშკარა იყო, ილიას ავადმყოფობა ამ ცვლილებებით იყო გამოწვეული.

გამოვუწერე წამალი, ავუხსენი, რომ ფიზიკურად და გონებრივად დაღლილია და ვურჩიე რამდენიმე ხნით დაენებებინა თავი გონებრივი მუშაობისათვის. ავუკრძალე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა და მოვითხოვე მტკიცე რეჟიმის დაცვა.

ილიამ მითხრა:

.. მითხარი, რად ან რისთვის უნდა მოვიქცე ასე თუ ისე, და თუ ჩემი გონება ჩაწვდება, მაშინ ბაშუსტა. თორემ ექიმების ბრძანება ზოგჯერ ძნელი გასაგებია.

დაწვრილებით ავუხსენი, რაც აინტერესებდა...
ილია ყოველ ჩემს მოთხოვნას ასრულებდა.
ხელახალმა გასინჯვამ დამარწმუნა, რომ ავადმყოფობამ უკან დაიხია“ (თ. ვაჩნაძე. ნიკოლოზ ჯანდიერი. 1978, გვ. 24—27).

მაისის 18 — ილია გაზეთის საშუალებით (ივერია, 1900, № 106. „წერილი რედაქციის მიმართ“) მადლობას უხდის ყველას, ვინც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას კითხულობდა.

მაისის ბოლო-ივნისის დასაწყისი — ილია საგურამოდან ჩამოჰყავთ თბილისში და მისი ჯანმრთელობის გამოსარკვევად იწვევენ კონსილიუმს, რომელშიც მონაწილეობს კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ვაგნერი. მისივე რჩევით ილია ღებულობს გადაწყვეტილებას სამკურნალოდ გაემგზავროს ბერლინში პროფესორ ლეიდენთან (ცნობის ფურცელი. 1900, № 1142, 1143).

„ერთ დღეს დილით გაზეთები და ფოსტა მოგვივიდა. ახალ ამბებში ამოვიკითხე, თბილისში ამ ორ დღეში უნდა ჩამოსულიყო დოქტორი ვაგნერი — კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი. გადავწყვიტე მესარგებლა ამ შემთხვევით და ჩემი ძვირფასი ავადმყოფი მეჩვენებინა... პროფესორმა ვაგნერმა ილია გასინჯა და ჩემს დიაგნოზს სრულიად დაეთანხმა. ... მან ილიას ურჩია საზღვარგარეთ, ბერლინში, პროფესორ ლეიდენთან სამკურნალოდ წასვლა.
ილია მალე შეუდგა საზღვარგარეთ გამგზავრების სამზადისს...
მე წინადადება მომცა გავყოლოდი, მაგრამ ვერ შევპირდი...
ეს საქმე ასე მოგვარდა: ილიას ერთ-ერთი ნათესავი სტუდენტი რიგის სადგურში დახვდებოდა ავადმყოფს და ის გაჰყვებოდა ბერლინშიც და შემდეგ, სადაც საჭირო იქნებოდა, ან სადაც მოისურვებდა თვით ილია ჭავჭავაძე.
გამგზავრებისათვის სამზადისში თითქმის ოცმა დღემ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში დილა-საღამოს ილიასთან დავდიოდი და მკურნალობას განვაგრძობდი (თ. ვაჩნაძე. ნიკოლოზ ჯანდიერი. 1978, გვ. 27—28).

ივნისის 4 — ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას.

ივნისის 5 — საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების გადაწყვეტილების გამო განცხადებას აძლევს კავკასიის საცენზურო კომიტეტს „ივერიის“ დროებით რედაქტორად ვასილ სულხანიშვილის დამტკიცების შესახებ.

„Уезжая с 15-го числа июня месяца 1900 г. на четыре месяца за границу, имею честь покорнейше просить на время мо его отсут-

ствия утвердить дворянина Василия Александровича Сулханова временным редактором“ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 256).— ვ. სულხანიშვილის რედაქტორობით 25 ივნისიდან 14 ნოემბრამდე გამოდიოდა „ივერიის“ № 136-248.

„ეს კარგა ხანია ავათ იმყოფება თ. ი. ჭავჭავაძე და, თუმცა, ექიმების სიტყვით, საშიში არა აქვს-რა, მაგრამ მაინც საზღვარ-გარეთ ურჩევიათ წასვლა და იქ მორჩენა. როგორც გავიგეთ... კიდევაც აპირებს გამგზავრებას გერმანიაში. ვუსურვებთ სრულიად გაჯანსაღებული ადრე დაბრუნებულიყოს სამშობლოში“ (კვალი, 1900, № 24, გვ. 375).

ივნისის 20 — მეუღლესთან ერთად რიგის გავლით სამკურნალოდ მიემგზავრება საზღვარგარეთ, ბერლინსა და ვისბადენში (ცნობის ფურცელი, 1900, № 1157).

„გამგზავრების დღეს მრავალი მნახველი მოუვიდა. მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოება სადგურზე ყვავილებით დაუხვდა. საერთაშორისო ვაგონამდის მიაცილეს. ილია შევიდა ვაგონში და ღია ფანჯრიდან ხალხს ესაუბრებოდა და მადლობას უხდიდა“ (თ. ვაჩნაძე. ნიკოლოზ ჯანდიერი. 1978, გვ. 28).

„თ-დი ი. ჭავჭავაძე უკვე გაემგზავრა საზღვარგარეთ. პირველათ მივა ბერლინში და მერე წყლებზე წავა ვისბადენში. „ივერიის“ დროებით რედაქტორათ წარდგენილია ბ. ვ. სულხანიშვილი“ (კვალი, 1900, № 26, გვ. 410).

ივნისის 26 — ბერლინში გზად მიმავალი ილია და ოლღა ერთი დღით ჩერდებიან ვარშავაში (გ. შარაძე — ჭოროხი, 1982, № 2, გვ. 85).

ივნისის 27 — ილია ჩადის ბერლინში და მკურნალობას იწყებს პროფესორ ერნსტ ლეიდენთან.

ბერლინში ყოფნის დროს ხვდება ლემან ჰაუპტს.

„ილია რიგიდან ჩავიდა ბერლინში პროფესორ ლეიდენთან, რომელმაც ცოტა ხნის წამლობის შემდეგ ავადმყოფი ნიუჰეიმში გაგზავნა“ (თ. ვაჩნაძე. ნიკოლოზ ჯანდიერი. 1978, გვ. 28).

ივლისის 1 — თბილისის სამოსამართლო პალატა ირჩევს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ სამი წლის ვადით (ცნობის ფურცელი, 1900, № 1259).

ივლისის 14 — ბერლინიდან წერილს უგზავნის ნიკო ცხვედაძეს, ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მკურნალობის რეჟიმს. ამასთან თხოვს ბაღისმფლობელთა ამხანაგობა „კახეთიდამ“ მისი კუთვნილი თანხა გამოართვას და გადასცეს ქრისტეფორე მამაცაშვილს.

„ძმაო ნიკო! აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის მესამე კვირაა რაც ბერლინში ვარ ლეიდენთან“ (თსკ. ტ. X, გვ. 154).

ივლისის 20 — მისი სახელობის დღის „ილიაობის“ აღსანიშნავად ბერლინში საქართველოდან ღებულობს მისალოც დეპეშებს.

ივლისის 21-22 (?) — ბერლინიდან სამადლობელ დეპეშას აგზავნის გაზეთ „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად. დეპეშით ილია მადლობას უხდის მისი დღეობის მიმლოცველებს (ივერია, 1900, № 159).

ივლისის 25-26 — „ივერია“ (№ 159, 160) აქვეყნებს ილიას სამადლობელ დეპეშას და ცნობებს ილიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

აგვისტოს 19 — კარლსბადიდან (კარლოვი ვარი) წერილს უგზავნის ნიკო ცხვედაძეს, დაწვრილებით ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას და ლეიდენისაგან მიცემულ რჩევა-დარიგებებს.

სექტემბრის დასაწყისი — კარლსბადიდან საქართველოსაკენ მომავალი ილია ერთ კვირას ჩერდება ვენაში (გ. შარაძე — ჰოროხი, 1982, № 2, გვ. 85—86).

სექტემბრის 15 — საზღვარგარეთ (ბერლინი, კარლსბადი) ორი თვის მკურნალობის შემდეგ ბრუნდება თბილისში.

„გუშინ საღამოთი, 15 სექტემბერს, საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ტფილისში ილია ჭავჭავაძე“ (ცნობის ფურცელი, 1900, № 1240).

სექტემბრის მეორე ნახევარი — რომიდან იღებს წერილს (9 სექტემბრის თარიღით) დოქტორ გულიელმო პასილისაგან, რომელიც ილიას ატყობინებს, რომ მან (16 აგვისტოს) გამოაქვეყნა რომში ჟურნალ „ლა ნუოვა ანტოლოჯიაში“ წერილი კავკასიაში მოგზაურობის შესახებ და რომ მასში მოთავსებულია ილიას სურათი ავტოგრაფით.

„მიმომხილველის“ 16 აგვისტოს ნომერში ქართველი მწერლებიდან მოხსენიებულნი არიან აკაკი და ილია.

„ჩვენი საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებებია: აკაკი წერეთლის, რომელიც ახლაც ცოცხალია, და ლირიკული პოეზია და რომანები ილია ჭავჭავაძისა. მის წიგნთაგან „კაცია ადამიანი“... არის, რომელსაც ხვდა წილად უფრო დიდი წარმატება.... მან დააარსა დიდი ყოველდღიური გაზეთი „ივერია“, რომლის გამოცემას აგრძელებს დღესაც, იგი თავს უყრის თავის სახლში საქართველოს ყველაზე რჩეულ ინტელექტებს და აფხიზლებს მათ სიყვარულს მწერლობისა და ხელოვნებისადმი და კავკასიის მომავლადოებელ პეიზაჟისადმი“ (შ. გო-

ზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მოღვაწენი. 1973, გვ. 95—96).

ოქტომბრის დასაწყისი — თელავის თავადაზნაურთა კრება დეპეშით ულოცავს საზღვარგარეთიდან გამოჯანმრთელებით დაბრუნებას.

„... კრებამ დაავალა თავ. ჩოლოყაშვილს ტელეგრამით თავად-აზნაურთა სახელით მიელოცა თავ. ი. გ. ჭავჭავაძისათვის ავათმყოფობისაგან მორჩენა“ (კვალი, 1900, № 42, გვ. 664).

ოქტომბრის 7 — რაფიელ ისარლიშვილი უძღვნის წიგნს (Khakhanoff A. Histoire de Géorgie, pybliée sous la direction de M. Raphael Isarloff... Paris-Tiflis, 1900) წარწერით: „ღრმად პატივცემულს ბატონს ილია კნ. ჭავჭავაძეს რ. ისარ... პარიჟი 20/7 ოკტომბერს 1900 წ.“

ოქტომბრის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 221) ბეჭდავს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის უ. მორფილის წერილს (გამოქვეყნდა ამავე წელს ინგლისურ „სამეფო სააზიო საზოგადოების“ ჟურნალში) ქართულ თარგმანს. ქართული ლიტერატურის მიმოხილვისას მორფილი ილიას ასე ახასიათებს: „უველაზე უშესანიშნავესი, მგონია, აწინდელი დროის პოეტთაგანი თავადი ილია ჭავჭავაძეა, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგში. იგი — ერთი სახელგანთქმულთაგანი მოქალაქეა ტფილისისა, ფრიად სტუმრის მოყვარე კაცი.. იგი ჰბეჭდავს ჟურნალ „ივერიას“, რომლის ფურცლებზეც ხშირად წაიკითხავთ ვრცელს ცნობებს ქართველთა ტომის ზნე-ჩვეულებების შესახებ“.

ოქტომბრის 14 — მონაწილეობს ქართული გიმნაზიის შენობის (ეხლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის) საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალში.

„კარგად მახსოვს ის დღე, როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება მიიწვია საძირკვლის ჩაყრაზე და კურთხევაზე. სხვათა შორის ვიყავით რედაქციის წარმომადგენელნიც. იმ დღის გაზეთების ნომრები მოვათავსეთ ბოთლებში და ეს ბოთლები ჩავუშვით საძირკვლისათვის ღრმად ამოთხრილ მიწაში...“ (გ. ლასხიშვილი. მემუარები. 1934. გვ. 150).

„... 14 ოქტომბერს, ვერაზედ, თფილისის სათავად აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის მიერ შეძენილს ადგილზედ, ამ სკოლის ახალი შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და აკურთხეს“ (ივერია ,1900, 15 ოქტ., № 225, გვ. 2).

ოქტომბრის მეორე ნახევარი (?) — ილიას და რაფიელ ერისთავს ირჩევენ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ბუნებათმეცნიერების,

ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის საზოგადოების წევრებად (ცნობის ფურცელი, 1900, № 1277; ივერია, 1900, № 231).

ოქტომბრის ბოლო (?) — ქვეყნდება ოდესის ქართველ სტუდენტთა გადაწყვეტილება, გამოსცენ ილიასა და სხვა ქართველ მოღვაწეთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

„ოდესის ქართველ სტუდენტებს გადაუწყვეტიათ შეჰკრიფონ და სერიებათ გამოსცენ პუბლიცისტური ნაწარმოები გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძისა“ (კვალი, 1900, № 45, გვ. 713).

ნოემბრის 12 — ოთხთვიანი შვებულების (საზღვარგარეთ მკურნალობის) შემდეგ ილია შეუდგა „ივერიის“ რედაქტორის მოვალეობის შესრულებას (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 256).

ნოემბრის 21 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ილიას ირჩევენ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის სადღესასწაულო პროექტის აღმასრულებელი კომისიის შემადგენლობაში.

„... კრებამ, წინააღმდეგ ერთი ხმისა, მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული მთელი პროექტი. ამ პროექტის სისრულეში მოყვანა, სადღესასწაულო ხარჯებისათვის ფულის მოკრება და სხ. მიანდო კომისიას, რომლის წევრებათ ამოირჩიეს შემდეგნი პირნი: თ. ილია ჭავჭავაძე, ინფანტერის გენერალი თ. ი. გ. ამილახვარი, გენერალ-ადიუტანტი თ. ზ. ჭავჭავაძე, გენერალ-ლეიტენანტი თ. მ. ამირეჯიბი, გენერალ-მაიორი თ. ი. ს. ჭავჭავაძე, გენერალ-მაიორი თ. ბ. ჩოლოყაშვილი, გენერალ-მაიორი ქრ. მამაცაშვილი... თფილისის გუბერნიის და მაზრების თავად აზნაურთა წინამძღოლნი“ (კვალი, 1900, № 48, გვ. 763; ცნობის ფურცელი, 1900, № 1307).

ნოემბრის 24 — კავკასიის საცენზურო კომიტეტი მთავარმართებლის კანცელარიას წერილობით აცნობებს „ივერიის“ რედაქტორის — ილია ჭავჭავაძის ოთხთვიანი შვებულებიდან დაბრუნების შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 256).

დეკემბრის პირველი ნახევარი (?) — ვენიდან ღებულობს წერილს (28 ნოემბრის თარიღით) იტალიელი მეცნიერის ე. მადალენასაგან, რომელიც ილიას თხოვს მიაწოდოს ცნობები კარლო გოლდონის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ ბიბლიოგრაფიული შრომისათვის — „გოლდონი იტალიის გარეთ“.

დეკემბრის 30 — სახალხო თეატრში გამართულ კონცერტზე კიტა აბაშიძე კითხულობს ილიას ლექსს — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“.

*
* *

— ქვეყნდება ილიას ნაწარმოებები: ლექსები, ნაწყვეტები მოთხრობებიდან და პოემებიდან წიგნში: ი. გოგებაშვილი. ბუნების კარი. მე-11 გამოცემა (ცენზ. ნებართვა 24 სექტემბერი).

— ქვეყნდება ილიას ლექსები კრებულში: ჩანგი. შემდგენელი ვ. აბაშიძე. მე-4 გამოცემა (ცენზ. ნებართვა 1 მარტი).

— ილიას ხელმოწერით გამოდის — ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა". 1899. წელიწადი მეოცდაერთე. ტფ., 1900. 105 გვ. (ცენზ. ნებართვა 27 მაისი და 3 ივნ).

— ბარონ დე ბაი საფრანგეთში ბეჭდავს პატარა წიგნაკს „Tiflis souvenirs d'une mission", სადაც ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან შარტო ილიას აღწერს:

„ქართველებს მეომრების გარდა პოეტებიცა ჰყავთ. ერთი მათგანი ტფილისში სცხოვრობს. მისი ვინაობა და მისნი ფრანკოფილურნი გრძნობანი მაბედვინებს აგიწეროთ ეს კაცი: ქართველი თავადიშვილი ილია ჭავჭავაძე ნაციონალური და სახალხო პოეტია, მისს ლექსებს გაიგონებთ როგორც ქუჩებში, ისე ქოხებსა და სასახლეებში. ეს განათლებული პირი უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის; ყოველთ უწინარეს კი — თანამედროვე კაცია და ეს მცირე ღირსება კი არ გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ იმ წრეს, რომელშიაც ისა სცხოვრობს. ილია ჭავჭავაძემ დაარსა სათავად-აზნაურო ბანკი და იმისავე მმართველია, ამასთან რედაქტორია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე გავლენიან გაზეთის „ივერიისა", თავმჯდომარეა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ხელოვნობის გამავრცელებელ (?) და საქველ მოქმედო საზოგადოებათა. ილია ჭავჭავაძემ პროზად დასწერა იუმორისტული მოთხრობანი და ქართველთათვის იგივეა, რაც რუსთათვის გოგოლი იყო. მისნი პოეტურნი ნაწარმოებნი ღრმად ქრისტიანული, პატრიოტული და ფილოსოფიურია. ბევრით ადრე გამოსთქვა ჭავჭავაძემ ბევრ საგნის შესახებ ის აზრები, რასაც ეხლა ტოლსტოი ჰქადაგებს. ერთს თავის ნაწერში სატირის სახით გამოააშკარავა ქართველთა ნიშანდობლივი ნაკლულოვანება. მისის პოეზიის სტილი ძველთა სპარსელ პოეტთა სტილს უახლოვდება, რაიც ატავიზმით აიხსნება: ჭავჭავაძის ოჯახში უწინ ნათესაური კავშირი არსებობდა სპარსეთის წარჩინებულ ოჯახებთან" (ცნობის ფურცელი, 1901, 30 იანვ. № 1369, გვ. 3).

იანვრის 1 — გაზეთი „ივერია“ (№ 1) ბეჭდავს ს-ნელის წერილს — „ჩვენი მწერლობა მე-19 საუკუნეში ერთი თვალის გადავლებით“. წერილის ავტორი, რომელიც ქართული მწერლობის მიმოხილვას ამთავრებს 60-იანი წლებით, გამოჰყოფს ილიას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას.

— „ცნობის ფურცელი“ (№ 1343) ბეჭდავს საახალწლო ეპიგრამას „ივერიისადმი“.

„ივერიას“

„არ გვწყინს, სუქნად რომ ბერდები
თეთრის წვერით, „ივერია“!
მხოლოდ... შენი მკითხველები
ჯანდაკი და მშიერიან.

„კვალი“ (№ 1) აქვეყნებს რიგოლეტოს [ირ. ევდოშვილი] „საახალწლო ნაპერწკლებს“. ავტორი ილიას და მის გაზეთს პაროდიას უწერს:

„მიდის მიკოჭლობს უგზო უკვლოთ ილოს გაზეთი,
უკან მისჩხავის აბლაკატი მას შტატ-გარეთი,
გასწი, გაზეთო, შენს კოჭლობას არ აქვს სამძღვარი,
ვინც რა უნდა სთქვას, როგორც ღმერთი, ერთი გვაქვს მხარი.
მირბის მიკოჭლობს უგზო-უკვლოთ ილოს გაზეთი,
ირგელივ სიჩუმე, თანამშრომლებს ჩამოდით ზეთი“.

იანვრის 3 — მოულოდნელად გარდაეცვალა ცოლისდა — ეკატერინე თადეოზის ასული გურამიშვილი-სტაროსელსკისა.

იანვრის 6 — „ცნობის ფურცელი“ (№ 1347) ბეჭდავს კიტა აბაშიძის წერილს — „ცხოვრება და ხელოვნება“. ქართული მწერლობის საერთო მიმოხილვისას ავტორი ეხება ილიას პესიმისტურ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია მის ნაწარმოებებში — „აჩრდილი“, „განდეგილი“, „მეცხრამეტე საუკუნე“.

იანვრის 8 — მონაწილეობს ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკის დაკრძალვის ცერემონიალში.

იანვრის 28 — ილია საპასუხო წერილს უგზავნის იტალიელ გოლდონისტს ედგარდო მადალენას და აწვდის ცნობებს ქართულ ენაზე ქ. გოლდონის თარგმანების შესახებ.

„დიდად პატივცემულო ბატონო, მოწყალებით მაპატიეთ, რომ თქვენს თავაზიანად მოწერილ წერილზე პასუხი დაგიგვიანეთ. ნაწილობრივ ამაში ხელი შემიშალა ჩემმა მოგზაურობაში ყოფნამ და შემ-

დეგ კი მსურდა რაც შეიძლება ზუსტი ცნობები მომეწოდებინა თქვენთვის. ქართულ ენაზე გოლდონიდან გვაქვს მხოლოდ ერთი თარგმანი. რადგან ეტყობა, რომ ამ პიესის სათაური შეცვლილია, მთარმნელი კი უკვე ცოცხლებს შორის აღარ არის... ქართული თარგმანის სათაური ასეთია: „ბუზღუნა კეთილისმყოფელი, ან როგორც ჰქუხს ისე არა წვიმს“. მთავარ მოქმედ პირს ჰქვია ვალერია, მეორეს — პიკარდა.

გულითადად მოგესალმებით ძველი კოლხეთიდან.

პატივისცემით

თქვენი ერთგული ილია ჭავჭავაძე“ (ზ. სტურუა — ლიტერატურული საქართველო, 1986, 4 ივლ., გვ. 12).

თებერვლის 21 — რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით სამძიმრის დეპეშას უგზავნის თელავში რაფიელის სიძეს — ვასილ კახიძეს.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ გადასცეთ რაფიელ ერისთავის ქალიშვილებს ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა იმ მწუხარების გამო, რომელიც დაატყდა თავზე მათ და მთელ სამშობლო მხარეს“ (თსკ, ტ. X, გვ. 159).

— მონაწილეობს ქართველი საზოგადოების თათბირში, რომელიც იხილავს განსვენებულ რაფიელ ერისთავის ხსოვნისა და უკვდავყოფის საკითხს. თათბირის შემდეგ ილია მეორე დეპეშას უგზავნის თელავში რაფიელ ერისთავის ოჯახს, რომლითაც ატყობინებს ქართველი საზოგადოების სურვილს — რაფიელ ერისთავის ნეშტის თბილისში დაკრძალვის შესახებ.

„საერთო სურვილია დავასაფლავოთ ძვირფასი პოეტი თბილისში. ჩვენი საზოგადოება ღებულობს თავის თავზე ყველა ხარჯებს. თქვენი პასუხისაგან არის დამოკიდებული შემდგომი ზომების მიღება“ (იქვე, გვ. 392).

თებერვლის 22 — საპასუხო დეპეშას იღებს თელავიდან რაფიელ ერისთავის სიძის — ვასილ კახიძისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ განსვენებულის სურვილისამებრ პოეტის დაკრძალვა მოხდება მშობლიურ სოფელ ქისტაურში, კვირას, 25 თებერვალს.

— მონაწილეობს რაფიელ ერისთავის სახელისა და პატივდების შესახებ ბანკის შენობაში გამართულ კრებაში. კრებამ გადაწყვიტა განსვენებულის პატივსაცემად გვირგვინების ღირებულება მოხმარდეს რომელსამე სამადლო საქმეს განსვენებულის საუკუნო სახსენებლად (ივერია, 1901, № 42; კვალი, 1901, № 11, გვ. 174).

თებერვლის 23 — ილია დეპეშით ატყობინებს თელავში რაფიელ ერისთავის ოჯახს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მიღებული ღონისძიებების შესახებ.

„თქვენი პირველი კატეგორიული უარის გამო საზოგადოებამ უკვე გადასწყვიტა სხვა სახით პატივი სცეს აქ (თბილისში) განსვენებულის ხსოვნას, რის გამო გაცემულია სათანადო განკარგულებანი (თსკ, ტ. X, გვ. 392).

თებერვლის 24 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სათავადაზნაურო ბანკის გამგეობები გაზეთებში აქვეყნებენ განცხადებებს ქაშვეთის ეკლესიაში რაფიელ ერისთავის პანაშვიდის გადახდის შესახებ.

თებერვლის 25 — ილია ესწრება ქაშვეთის ეკლესიაში რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს (ივერია, 1901, № 45; ცნობის ფურცელი, 1901, № 1393).

თებერვლის ბოლო — ილიას ამტკიცებენ „აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოების „ახლად დაარსებულ თბილისის განყოფილების წევრად. საზოგადოების მიზანია რუსეთს გააცნოს და დაუკავშიროს აღმოსავლეთის ქვეყნები ვაჭრობა-მრეწველობის სახით (ცნობის ფურცელი, 1901, 1 მარტი, № 1396, გვ. 2).

აპრილის 3 — ავჭალის სახალხო თეატრში ნ. ლომოური კითხულობს ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულს“.

აპრილის 21 — ილიას ხელმოწერით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თბილისის გუბერნატორს მიმართავს თხოვნით, ნება დართონ ნაძალადევში სამკითხველოს მოწყობის შესახებ.

„... საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ ნება მისცეთ მას მოაწყოს თბილისში „ნაძალადევში“ სამკითხველო... მარიამ ივანეს ასული დემურიას პასუხისმგებლობით“ (თ. ჩხიტუნიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. 1980, გვ. 90).

აპრილის 30 — ქართველ მოღვაწეებთან ერთად ილია მიწვეულია სადილზე იაკობ გოგებაშვილთან.

„დღეს სადილად ვიყავით მიწვეულნი იაკობ გოგებაშვილთან. სადილზე იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე, ვახტანგ თულაევი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და მე...“ (ი. მეუნარგია. ნანახი და გაგონილი ილიას შესახებ. 1937, გვ. 46).

მაისის 19 — მონაწილეობს აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი საზოგადოების თბილისის განყოფილების კრებაში.

მაისის 22—27 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებაში. 22, 23 და 26 მაისს ილია სიტყვით გამო-

დის მოკლევადიანი სესხისა და დრამატიული საზოგადოებისათვის თანხით დახმარების საკითხებზე (ცრების ანგარიშები ქვეყნდება: ივერია, 1901, № 109, 110, 112; ცნობის ფურცელი, 1901, № 1472, 1473, 1475—1477).

ივნისი — ჟურნალი „მოამბე“ (№ 6) აქვეყნებს არჩილ ჯორჯაძის ნარკვევს — „ძველი თაობა. ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“ (დასაწყისი .ნარკვევის ბეჭდვა გაგრძელდა „მოამბის“ № (7—10-ში).

ივნისის 24 — ილია ესწრება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნას ნაძალადევში და ოქროს თუმნიანი შეაქვს ბიბლიოთეკის ფონდში.

„ბიბლიოთეკისათვის როგორც ფულის, ისე წიგნების შეგროვებაში მთავარი როლი ეკუთვნის... მარიამ დემურიას, რომელიც ბიბლიოთეკას განაგებს...

დემურიამ შესძლო ამ საქმეში ჩაება სხვადასხვა ბანაკის პირები, მათ შორის თავადი ილია ჭავჭავაძე და ლევან ფურცელაძე... რომლებიც, მიიჩნევდნენ რა ბიბლიოთეკას „ეროვნულად“, მის გახსნაზეც გამოცხადდნენ იმ ანგარიშით, რომ სათანადო სიტყვა წარმოეთქვათ...“ (თ. ჩხიტუნიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. 1980, გვ. 94).

ივნისის ბოლო-ივლისის დასაწყისი (?) — ილია მეუღლესთან ერთად სამკურნალოდ მიემგზავრება ბერლინში პროფესორ ერნსტ ლეიდენთან. მათთან ერთად ევროპაში სამკურნალოდ მიემგზავრებიან ნიკო ხიზანაშვილი მეუღლით და ანტონ ფურცელაძე.

ივლისის 22 — „კვალის“ № 30-ში ფ. მახარაძე „მოსაუბრის“ ხელმოწერით ბეჭდავს წერილს — „საუბარი სხვადასხვა საგანზე“, რომელშიც ძირითადად მიმოიხილავს არჩ. ჯორჯაძის წერილს „ძველი თაობა. ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“ (მოამბე № 6) და საერთოდ იწუნებს ილია ჭავჭავაძის ეროვნულ შეხედულებებს და ამასთან მის ჯორჯაძისეულ შეფასებას.

ივლისის 25 — ბერლინში სამკურნალოდ მყოფი ილია დეპეშას გზავნის „ივერიის“ რედაქციაში და გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის კეთილისმსურველთ.

„გულითადის პატივის-ცემით მადლობას მოვახსენებ ყოველ იმათ, ვინც ღირს მყო და ჩემის სახელწოდების დღე მომილოცა დეპეშით თუ წერილებითა“. ილია ჭავჭავაძე“ (ივერია, 1901, 28 ივლ., № 164, გვ. 4).

სექტემბერი — ჟურნალი „კავკაზსკი ვესტნიკი“ (№ 9) აქვეყნებს ალ. ხახანაშვილის წერილს ქართულ ლიტერატურაზე, რომელშიც მი-

მოხილულია ქართული რეალისტური სკოლა და მისი წარმომადგენლების, მათ შორის ილიას შემოქმედება.

— წერილს კრიტიკულად გამოეხმაურა ჟურ. „კვალი“ (№ 38, გვ. 832).

„ვერ გაგვიგია აგრეთვე, თუ რა სკოლაა ის, რომელიც შეუქმნიათ ქართულ მწერლობაში თავ. ილ. ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს და რომელსაც, ბ. ხახანაშვილის აზრით, ეკუთვნიან: გ. წერეთელი, ეკ. გაბაშვილისა, ჭალადიდელი, ნ. ლომოური, მ. გურიელი, გრ. აბაშიძე, ევდოშვილი, ნინოწმინდელი, დუტუ მეგრელი, განდეგილი! პატივცემულ პროფესორს არ მიეტევება ყველა აქ ჩამოთვლილ მწერლების ერთ დარჯაში მოთავსება“.

საზღვარგარეთ ორი თვის მკურნალობისა და მოგზაურობის შემდეგ (ბერლინი, კარლსბადი) ილია მეუღლითურთ ბრუნდება საქართველოში.

სექტემბრის შუა რიცხვები — გრიგოლ ყიფშიძე „ივერიაში“ (№ 193, 197, 199, 200, 201, 203) ბეჭდავს ვრცელ მიმოხილვით წერილს — „ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მე-19 საუკუნეში“. წერილის ავტორი მიმოიხილავს ილიას თანამშრომლობას „ცისკარსა“ და „დროებაში“, ვრცლად ეხება ილიას როგორც რედაქტორ-გამომცემლის მოღვაწეობას „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“.

სექტემბრის 22—ა. ნატროშვილი „ივერიის“ რედაქციას უგზავნის თავის წიგნს (Мцхет и его собор' Свети-Цховели. Историко-археологическое описание. Тфл., 1901) წარწერით „В редакцию газеты „Иверия“ от автора. 22 сентября 1901 г.“

ოქტომბრის 21 — „კვალის“ № 43-ში ფ. მახარაძე „მოსაუბრის“ ხელმოწერით აქვეყნებს წერილს — „საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე“, რომელშიც ეხება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მის თავმჯდომარეს — ილია ჭავჭავაძეს უსაყვედურებს, რომ საზოგადოების სხდომებს არ ესწრება.

ოქტომბრის 24 — გაზეთ „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობის სხდომაზე იხილავენ ილიას მიერ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემლის უფლების ალ. სარაჯიშვილისათვის გადაცემის საკითხს (ლ. ფერაძე. ალექსანდრე სარაჯიშვილი. 1983, გვ. 16).

ოქტომბრის ბოლო — ნოემბრის დასაწყისი (?) — ჯანმრთელობა შერყეული ილია გრძნობს, რომ ძალა აღარ მოსდევს გაზეთის გასაძღოლად, მაგრამ ეძნელება ხელი აიღოს „ივერიაზე“ და ცდილობს მასთან განშორება მცირე ხნით მაინც გადასდოს.

„ამ იანვრამდე როგორმე გვეტოტიალებინა საქმე კარგი იქმნება და მერე კი მეც თვითონ ხელს ვიღებ“ — წერდა ილია გრიგოლ ყიფშიძეს (თსკ. ტ. X, გვ. 120).

ნოემბრის 4, 11 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების მეორე და მესამე სხდომებს (პირველ სხდომას — 28 ოქტომბერს ილია არ დასწრებია). ილია აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვისა და ბათუმის სკოლის საკითხის განხილვაში. 4 ნოემბრის სხდომაზე ილიას ირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარედ 79 ხმით 39-ის წინააღმდეგ (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1901, 242, 248-ში; ცნობის ფურცელი, 1901, № 1633, 1640).

ნოემბრის 10 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და მდივანი პ. მირიანაშვილი წერილით შეახსენებენ ალ. ყიფშიძეს საზოგადოების საწევროს გადახდას.

ნოემბრის 16 — ექიმების რჩევით, ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივი დასვენებისათვის, ილიას განცხადება შეაქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტში გაზეთ „ივერიის“ დროებით რედაქტორად ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის დამტკიცების შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 256).

ნოემბრის ბოლო-დეკემბრის დასაწყისი — ილია რჩევას აძლევს ბათუმიდან სპეციალურად მასთან ჩამოსულ ივანე მესხსა და მიხეილ ბეთანელს ბათუმის ქალაქის თავის კანდიდატურაზე. ილია მხარს უჭერს ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურას.

„დიდი ძებნის შემდეგ ილია ჭავჭავაძის რჩევით შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილზედ. ილიამ ურჩია ივანე მესხს და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში იყვნენ გამოგზავნილნი მოსალაპარაკებლად... ანდრონიკაშვილზედ შეჩერებულიყვნენ და დააიმედა რომ იგი სასურველი კანდიდატი იქნებოდა ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობისათვის“ (დ. კლდიაშვილი. მემუარები. 1932, გვ. 141).

დეკემბრის 5 — ილიას რედაქტორობით უკანასკნელად გამოდის გაზეთ „ივერიის“ № 263. 6 დეკემბრიდან „ივერიის“ დროებითი რედაქტორია ალ. სარაჯიშვილი, ხოლო გამომცემლად ისევ ილია რჩება[19].

დეკემბრის 8, 9, 10 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში. კრება იხილავს კახეთში არყის აქ-

---

19 „ივერია“ ილიას რედაქტორობით გამოდიოდა 1877—1901 წლებში. სულ 24 წლის მანძილზე გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთის 91 ნომერი (1877—1878 წწ.), ჟურნალის 74 ნომერი (1879—1885 წწ.), გაზეთის 3151 ნომერი (1886—1901 წწ.).

ციზის შემოღების, თბილისში კადეტთა კორპუსის დაარსების, მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის თავადაზნაურთა შვილების განათლებისათვის მოხმარების და სხვა საკითხებს. ილია თავის მოსაზრებებს გამოთქვამს აღნიშნული საკითხების გარშემო (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1901, № 267-269; ცნობის ფურცელი, 1901, № 1666—1668-ში).

დეკემბრის 16 — „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება № 19 ბეჭდავს ო. შმერლინგის კარიკატურას („ეს რა გვემართება...“) ილია ჭავჭავაძეზე, ან ფურცელაძეზე და სხვ. აღნიშნული კარიკატურის გამო „ივერიაში“ 1902 წ. 14 თებ., № 36, მოთავსებულია ქაიხოსრო გელოვანის გულისწყრომის წერილი — „შეუწყნარებელი უმადურობა“.

*
* *

— ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის—ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა. 1900 წელი. წელიწადი მეოცდაორე“. ტფ., 1901, 116 გვ.

— ზ. ავალიშვილი ილიას უძღვნის თავის წიგნს (Присоединение Грузии к России. СПб., 1901). წარწერით: „Князю Илье Григорьевичу Чавчавадзе почтительное приношение автора.“

— ილია მინაწერს აკეთებს წიგნზე: „რა ქართველია, რომ ქართულს წყაროებს ფრანციცულიდამ იღებს“.

— ილია ათვალიერებს თავადაზნაურთა მიერ დიდუბეში გამართულ გამოფენას.

„რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების 100 წლის თავის შესრულების გამო თავადაზნაურობას დიდუბეში გამოფენა გაემართა და მეც იმის სანახავად მივედი. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი... უცებ ორ ილიას — ჭავჭავაძეს და წინამძღვრიშვილს წავაწყდი“ (მ. ჯავახიშვილი — განთიადი, 1978, № 3, გვ. 137).

1902

იანვრის 1 — „ცნობის ფურცელი“ (№ 1686) ბეჭდავს საახალწლო მილოცვებს „ივერიისა“ და ილიასადმი.

ამავე დღეს „კვალი“ (№ 1) აქვეყნებს საახალწლო „ვიზიტებს“ — „ივერიაზე“ და მის თანამშრომელ ჩიორაზე [არ. ახნაზაროვი].

„კვალის“ ამავე ნომერში ფ. მახარაძე („მოსაუბრის“ ხელმოწერით) აქვეყნებს წერილს — „გასული წელი“, რომელშიც კრიტიკუ-

ლად არის მოხსენიებული გაზეთი „ივერია“, მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე და წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა.

„ამ ორგანოს იმ დროს სახელი აქვს შერჩენილი, როცა ჩვენში, კარგი იყო თუ ავი, მხოლოთ ერთათერთი ყოველდღიური გამოცემა არსებობდა. შეეჩვია რა ასეთ მონოპოლიას, „ივერიის“ რედაქტორმა სრულებით მიანება თავი გაზეთის წაყვანის საქმეს, რასაც ის შედეგი მოყვა, რომ ეს ორგანო ცხოვრებას სრულიად დაშორდა. დღეს მისი განახლებული რედაქცია იწყებს, რომ დროთა ვითარების გამო „ივერიას“ პროგრესიული ელფერი დაედებაო“.

იანვრის 6 — „ცნობის ფურცელი“ (№ 1690) აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ სტამბოლში სასწავლებლად მყოფი ახალგაზრდა ივ. გ. გველესიანი დახმარებას უწევს ნეაპოლელ მღვდელს ავრელიო ასომპსიონისტს ილიას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ ფრანგულად თარგმნაში.

იანვრის პირველი ნახევარი — „კავკაზსკი ვესტნიკი“ (№ 1) ბეჭდავს ილიას დრამის „დედა და შვილის“ სოფიო ამირეჯიბისეულ რუსულ თარგმანს.

იანვრის 27 — „ივერიის“ № 21-ში „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს წერილს — „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“ (თსკ, ტ. III).

იანვრის 30 — თბილისის საოლქო სასამართლო არჩევს ზაალ გურამიშვილის საჩივარს ილია ჭავჭავაძის მიმართ — წისქვილის თაობაზე. სასამართლო არ აკმაყოფილებს მომჩივანის მოთხოვნას მისი უსაფუძვლობის გამო (საისტ. მოამბე. ტ. 25-26, 1971, გვ. 348).

თებერვლის 8, 9 — „ცნობის ფურცელი“ (№ 1720, 1721) აქვეყნებს არ. ჯორჯაძის წერილს — „ძველი წესის“ სულთ-ბრძოლა“, რომელიც მიმართულია ნ. ხიზანაშვილის და ილია ჭავჭავაძის წერილების წინააღმდეგ.

თებერვლის 10 — „ივერიის“ № 34-ში „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს პოლემიკურ წერილს (არჩილ ჯორჯაძის წერილების გამო) სათაურით — „პატარა საუბარი“.

თებერვლის 22 — „ივერია“ (№ 44) ბეჭდავს ილიას პოლემიკურ წერილს („ახალ-მოსულის“ ხელმოწერით) — „არა-პატარა საუბარი“, რომელშიც მოცემულია არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა კრიტიკა.

თებერვლის ბოლო-მარტის დასაწყისი (?) — მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის გამო მისი ხსოვნის უკვდავსაყოფლად წერა-კით-

ხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ილია ქალაქის თვითმართველობას თხოვს ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი.

„ქალაქის თვითმართველობისათვის უცნობი არ არის, თუ რა ფასდაუდებელი ამაგი დასდო განსვენებულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა მ. ბროსემ კავკასიისმცოდნეობას თავისი ვრცელი გამოკვლევებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ცხოვრებიდან, რომლის ლიტერატურული ძეგლები, „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი, ისტორიული ქრონიკები და ბატონიშვილი ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ მთლიანად თარგმნა ფრანგულ ენაზე და აღჭურვა ისინი მნიშვნელოვანი კომენტარებით. მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვაწლის ყურადსაღებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას პატივი აქვს სთხოვოს ქალაქის გამგეობას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი“.

მარტის 2 — ილიას თაოსნობით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში პანაშვიდს უხდის მარი ბროსეს.

„გუშინ, 2 მარტს, ქართველ კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში ქ. შ. წერა-კითხვის საზ. თაოსნობით, დიდს ამბით გარდაიხადეს საქართველოს ისტორიკოს-არქეოლოგის მარი ბროსეს სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დიდ-ძალი ქართველობა დაესწრო, ქალი თუ კაცი. სხვათა შორის, წირვა-პანაშვიდს დაესწრნენ: ყოვლად სამღვდელო კირიონი, საფრანგეთის კონსული, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი სულთან-კრიმ-გირეი, ჩვენი მოღვაწენი — ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე...“ (ცნობის ფურცელი, 1902, 3 მარტი, № 1741, გვ. 2).

ამ დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით დეპეშას უგზავნის საფრანგეთის საერო განათლების მინისტრს ჟორეს ლეგის, რომლითაც ატყობინებს მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

„დღეს, მრავალ ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანდასწრებით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში დაბადების ასის წლის თავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგის ბროსესი, პარიზის აზიურ საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა. საქართველოს უწარჩინებულესის ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებელისა მსოფლიო ფრანგულის ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათ-

ვის. სალამი საფრანგეთს“ (ივერია, 1902, 3 მარტი, № 48, გვ. 2; ცნობის ფურცელი 1902, 4 მარტი, № 1742, გვ. 1).

— ასეთივე დეპეშას უგზავნის მარი ბროსეს შვილს — რუსეთის კონსულს პარიზელონაში ლორან ბროსეს.

მარტი 10-11 (?) — ილია საპასუხო სამადლობელ დეპეშას იღებს საფრანგეთის საერო განათლების მინისტრის ჟორჟ ლეგისა და მარი ბროსეს შვილის ლორან ბროსესაგან მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის გამო.

„მე მოწამე ვიყავი, იმ უსაზღვრო ერთგულებისა, რომელიც ხელშეძღვანელობდა ჩემს მშობელს ქართველი ხალხის სიძველეთა ძეგლების შესწავლის დროს. მან მთელი არსებით შეიყვარა საქართველო და ქართველები, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუკავშირა თავისი გონებრივი მისწრაფებანი და მეცნიერული მოღვაწეობა. საქართველოსადმი სიყვარული მან მე გადმომცა და მიანდერძა“ (რ. დოდაშვილი. მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი. 1962, გვ. 122).

მარტის ბოლო-აპრილის დასაწყისი ?) — ილია შუამდგომლობისათვის მიმართავს კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს, ნება დართონ გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლება გადასცეს ალექსანდრე სარაჯიშვილს (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 257).

აპრილის 4 — პირადად და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ილია ფოთში დეპეშით ულოცავს მღვდელმსახურების ორმოცი წლისთავს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს.

„... Считаю прятным долгом поздравит Вас искренно любимый и глубокоуважаемый пастыр днем сороколетия Вашего славного подвижничества и плодотворной деятельности в ползу дорогой Вам церкви и Родины“ (საისტ. მოამბე. ტ. 37-38, 1974, გვ. 332).

აპრილის 9 — მთავარმართებლის კანცელარია წერილობით მიმართავს თბილისის გუბერნატორს ილია ჭავჭავაძის თხოვნის გამო — გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლების ალექსანდრე სარაჯიშვილზე გადაცემის ნებართვის შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 257).

აპრილის 25—26 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებაში (კრების ანგარიში ქვეყნდება „ივერიის“ (1902, 27—28 აპრ. № 88, 89-ში).

მაისის 3 — „ივერია“ № 93 აქვეყნებს ცნობას: „როგორც შევიტყვეთ, თავ. ილია ჭავჭავაძეს განუზრახავს ლიტერატურულ კრებულის გამოცემა“.

მაისის 12 — „ივერია“ (№ 99) ბეჭდავს ცნობას იმის შესახებ, რომ გაზეთ „ივერიის“ გამოცემის უფლება ი. ჭავჭავაძიდან გადადის ამხანაგობის ხელში.

„გაზეთი „ივერია“, რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე, გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში“.

მაისის 19, 25 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების სხდომებს (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1902, № 105, 106, 109; ცნობის ფურცელი, 1902, № 1814, 1815, 1820).

— „კვალი“ აღნიშნულ კრებაზე აქვეყნებს სატირულ (№ 22) და კრიტიკულ (№ 23) წერილებს.

მაისის 31 — პოეტი ვასილ ველიჩკო ილიას უძღვნის წიგნს (Владимир Соловьев. Жизнь и творения. СПб., 1902) წარწერით „Неизменно любимому хоть и неизменно Безмолвному другу, высокочтимому князю Илье Григорьевичу Чавчавадзе на добрую память от неунывающего В. Л. Величко. 31 мая 1902 г. СПб.“

ივნისის ბოლო — ილია ესწრება წინამძღვარიანთკარის სკოლის ეკლესიის კურთხევას (ივერია, 1902, № 137).

ივლისის 7, 11, 12 — „ივერიის“ № 142, 145, 146-ში აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 7 ივლისს — ტფილისი, 11, 12 ივლისს“ [ქართველთა მამულების გაყიდვისა და სხვის ხელში ჩავარდნის სამწუხარო მოვლენა].

ივლისის 10 — ილიას თხოვნის საფუძველზე ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო „ივერიის“ გამოცემის უფლებას უმტკიცებს ალექსანდრე სარაჯიშვილს.

ივლისის 20 — „ივერიის“ № 153-დან გამოცემის უფლებები გადადის „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.

„ხოლო რაც შეეხება გაზეთ „ივერიას“ ილიამ ამ ორ წელიწადში სხვას გადასცა და თვითონ აღარ ითვლება რედაქტორათა, რადგან ავადმყოფობის შემდეგ დიდ ჯაფას ვერ იტანდა და თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ყოველდღიური გაზეთი რა ჯაფასა და ტვირთს ითხოვს, ეს ვერ შეძლო და სხვას გადასცა. სარაჯოვია გამომცემელი და რედაქტორი...“ (ოლღა ჭავჭავაძის წერილიდან ო. უორდროპისადმი).

ივლისის 30 — „ცნობის ფურცელი“ (№ 1882) ბეჭდავს ალ. მდივნის მოწოდებას — „ჩვენ მოღვაწეთა მიმართ“, გამოსცენ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო კრებული.

აგვისტოს ბოლო — სექტემბრის დასაწყისი — „კვალი“ (№ 35, 36) ბეჭდავს ივ. გომართელის წერილს — „თ. ი. ჭავჭავაძე და მისი პოეზია“ (წერილის დასასრული არ დაბეჭდილა).

სექტემბრის 13 — „ივერია“ № 195-ში ბეჭდავს სანოს (სტ. ჭრელაშვილი) წერილს — „შინაურთა შორის. ილია ჭავჭავაძე და ბ-ნი გომართელი...“.

სექტემბრის 27—29 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში. კრება იხილავს ბანკის მოგებათა განაწილების, სათავადაზნაურო სკოლების დახმარების საკითხებს, ახალციხის საქალებო სკოლისათვის თანხის მიცემის შესახებ. ილიას ირჩევენ იმ კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა სათავადაზნაურო სკოლის შენობის ასაგები თანხების გამოძებნა (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1902, № 206—208-ში.)

სექტემბრის 28 — მონაწილეობს თბილისის საგუბერნიო კომიტეტის სხდომაში, როგორც თბილისის კომიტეტის წევრი. სხდომა იხილავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხს.

ოქტომბრის 10 — ილია მეუღლითურთ სტუმრად არის წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. სტუმრებს შორის არიან თბილისის გუბერნიის მარშალი დავით მელიქიშვილი, გრ. დიასამიძე, ალ. კავსაძე და სხვ. (ივერია, 1902, № 217).

ოქტომბრის შუა რიცხვები — მონაწილეობს კომისიის სხდომაში, რომელიც იხილავს წარმოდგენილ პიესებს.

ოქტომბრის 27 — „ივერია“ (№ 229) აქვეყნებს მოწინავეს — „ტფილისი, 27 ოქტომბერი“ [სოფლისათვის ფულადი დახმარების საჭიროება და სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების საკითხი].

ნოემბრის 3, 10, 14,17 — „ივერია“ (№ 235, 241, 244, 247-ში) აქვეყნებს მოწინავეებს — „ტფილისი, 3 ნოემბერი — ტფილისი, 15 ნოემბერი“ [სოფლისათვის ფულადი დახმარების საჭიროება და სასოფლო-სამეურნეო საკითხი].

დეკემბრის 10, 11 — მონაწილეობს სამეურნეო საზოგადოების კრებაში. კრებაზე ილია მცირე კრედიტის ორგანიზაციის საკითხის განხილვისას გამოდის სიტყვით (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1902, № 266, 267-ში).

დეკემბრის 12 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2011) ბეჭდავს ილიას სიტყვას მცირე კრედიტის ორგანიზაციის საკითხზე, რომელიც წარმოთქვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე 10 დეკემბერს.

დეკემბრის 17 — გაზეთის საშუალებით (ივერია, 1902, № 270) ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლისადმი დახმარებისათვის მადლობას უცხადებენ ეკ. სარაჯიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ნიკ. ღოღობერიძეს, იაკობ გოგებაშვილს, მარ. ზუბალაშვილს.

*
* *

— ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1901 წელს. წელიწადი მეოცდასამე". ტფ., 1902. 150 გვ. (ცენზ. ნებართვა 29 მარტი).

— რუსულ ენაზე გამოდის „Армянские ученые и вопиющие камни. Перевел с груз. Н. И. Алексеев-Месхиев. Тиф., 1902. 123 с. (ცენზ. ნებართვა 13 სექტ.)

— იბეჭდება დ. არაყიშვილის მუსიკა ილიას ლექსზე „ტყემ მოისხა ფოთოლი" [რუსულ ენაზე]. თარგმ. ივან და მარიასი [თხორჟევსკები]. ტფ.; 1902. 4 გვ.

— ქვეყნდება ილიას ლექსები და ნაწყვეტები პოემებიდან და მოთხრობებიდან წიგნში: ბუნების კარი. მე-12 გამოცემა (ცენზ. ნებართვა 22 ივნ.).

— ი. გოგებაშვილი უძღვნის თავის წიგნს (Правда о Тифлисе. Тфл., 1902.) წარწერით: „ილია გრიგოლის ძეს თავადს ჭავჭავაძეს. ავტორისაგან".

1903

იანვრის 1 — „ივერიის" № 1-ში ქვეყნდება დუტუ მეგრელის საახალწლო ნობათები საზოგადო მოღვაწეებისადმი, მათ შორის ილია ჭავჭავაძისადმი.

— „კვალის" № 1-ში იბეჭდება რიგოლეტოს [ირ. ევდოშვილი] სადღეისო ვიზიტები. ერთ-ერთი ვიზიტი ეძღვნება ილიას.

იანვრის 15 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საერთო კრებაზე ილიას ირჩევენ ბანკის რწმუნებულად (ნოვოე ობოზრენიე, 1903, № 6282).

იანვრის მეორე ნახევარი — თებერვალი — მარტი — ქართული, რუსული, სომხური ჟურნალ-გაზეთები (ივერია, № 30, 33, 54, 56, 58, 61; ცნობის ფურცელი, № 2092, 2107; ისტორიჩესკი ვესტნიკ, № 2; ნოვოე ობოზრენიე, № 6336, 6339, 6346, 6348, 6352; მშაკი, № 30, 45)

აქვეყნებს: ლ. ყიფიანის, ნ. ალექსი-მესხიშვილის, ვ. ჯაფარიძის, ს. მგალობლიშვილის, ს. ავეტიკიანცის და სხვათა პოლემიკურ წერილებსა და ინფორმაციებს ილია ჭავჭავაძის ნაშრომის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ გამო.

მარტის ბოლო — თბილისის სამეურნეო ბანკის წლიურ კრებაზე ილიას ირჩევენ სამეურნეო საზოგადოების წესდების 34-ე მუხლის ზელახალი შემუშავებისათვის შემდგარ კომისიაში.

მარტის 30 — „ივერიის“ № 72-ში ქვეყნდება სია თელავის მაზრის თავადაზნაურთა, რომელთაც აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ თავადაზნაურთა კრებაში — სიაში ილია შეტანილია 51 ნომრით.

აპრილის 2 — „ივერიის“ № 74-ში ქვეყნდება სია დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა, რომელთაც აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ თავადაზნაურთა კრებაში. — სიაში ილია შეტანილია 29 ნომრით.

აპრილის 20 — „კვალი“ (№ 17) ბეჭდავს ყვირილელი [ირაკლი წერეთელი] წერილს — „აკაკანებული მამულიშვილები“, რომელიც მიმართულია სამოციანი წლების მოღვაწეების — ილიას, აკაკის და სხვათა შეხედულებების წინააღმდეგ.

— „ივერია“ (№ 91) აქვეყნებს პლებსის [ნ. ხიზანაშვილი] წერილს — „მასლაათი მამებისა და შვილების გამო“. წერილში სხვა საკითხებთან ერთად საუბარია „ქვათა ღაღადით“ გამოწვეული ქართველებსა და სომხებს შორის წარმოქმნილ განხეთქილებაზე.

აპრილის ბოლო (?) — ილია გიორგი ორბელიანისაგან გაგრიდან ღებულობს შეტყობინებას, პრინც ოლდენბურგელის მიერ გაგრის ახლად გახსნილ რეალურ სასწავლებლებში ქართველებისათვის რამდენიმე ადგილის გამოყოფისა და პრინცის მიერ ილიას მიპატიჟების შესახებ.

აპრილის ბოლო — მაისის დასაწყისი (?) — ილია საპასუხო დეპეშას უგზავნის გიორგი ორბელიანს გაგრაში პრინც ოლდენბურგელის მიერ მისი მიპატიჟების გამო.

„... დიდად ვწუხვარ, რომ არა მაქვს შესაძლებლობა ვისარგებლო მისი უმაღლესობის კეთილგანწყობილი და ჩემთვის საპატიო ყურადღებით. ჩვენ გვეწყება საერთო კრებები, რომლებიც 15 მაისისათვის დამთავრდება. კრებების შემდეგ სიამოვნებით გადავცემ ჩემს თავს მისი უმაღლესობის განკარგულებაში“ (თსკ, ტ. X, გვ. 160).

აპრილის 30 — მაისის 2 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა წლიურ კრებაში. კრება იხილავს გამგეობის მოხსენებას. ილია მონაწილეობს კამათში, გამოთქვამს აზრს ბანკის მამულების მოვლა-პატრონობის შესახებ.

მაისის 2 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრება ილიას ირჩევს ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ (კრების ანგარიშს აქვეყნებს: ივერია, 1903, № 94, 95; ცნობის ფურცელი, 1903, № 2138, 2139, 2141).

მაისის პირველი დეკადა (?) — ესწრება ტირასპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოსს ედუარდო როპპის მიერ თბილისში გამართულ დარბაზობას (ივერია, 1903, № 102).

— ილიას ირჩევენ თელავის მაზრის თავადაზნაურთა რწმუნებულად, ხოლო დუშეთის მაზრიდან თავადაზნაურთა დეპუტატად.

მაისის 3—13 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში. კრება იხილავს სათავადაზნაურო ბანკის შენობის აგების, კახეთის რკინიგზის მშენებლობის, სკოლების დაარსების, ბანკის დამფუძნებელთა თანხის განაწილების, ქართული დრამატიული საზოგადოების დახმარებისა და სხვა საკითხებს.

კრებაზე ილიას ირჩევენ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის საორგანიზაციო კომისიაში; გაგრის რეალური სასწავლებლის დაარსებასთან დაკავშირებით პრინც პ. ოლდენბურგელთან დეპუტაციას თავმჯდომარეობს.

თბილისის სათავადაზნაურო ბანკში ოცდაათი წლის განუწყვეტელი მუშაობისათვის კრება ილიას უცხადებს მადლობას. კრების დასასრულს ილია მადლობას უხდის კრების მონაწილეებს პატივისცემისათვის და აღნიშნავს, რომ ეს მადლობა ეკუთვნის ბანკის ყველა მოსამსახურეს (კრების ანგარიშს აქვეყნებს: ივერია, 1903, № 97—99, 101—103; ცნობის ფურცელი, 1903, № 2140, 2143, 2145, 2147—2152).

ილიას სამადლობელი სიტყვა ქვეყნდება 11 მაისს „ცნობის ფურცლის“ № 2150-ში.

მაისის 4 — „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება (№ 115) ბეჭდავს ო. შმერლინგის კარიკატურებს სათავადაზნაურო ბანკის შესახებ. ერთი მათგანი უშუალოდ ეხება ილიას — „რა ვუყო ღმერთმანი, ამ ხალხს, გული მემდუღრება, გული!...“.

მაისის 11 — „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება (№ 117) აქვეყნებს ო. შმერლინგის კარიკატურას ილიაზე — „მამონას და პოეზიას — ორივეს ვუკმევ გუნდრუკსა!...“.

მაისის შუა რიცხვები — სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა ერთობლივი მოქმედებისათვის ილია დეპეშას უგზავნის ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას. ილიას დეპეშას კითხულობენ კრებაზე (ცნობის ფურცელი, 1903, № 2153).

მაისის 19 — ქვეყნდება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის განცხადება გადასახადის შეუტანლობისათვის დაგირავებული მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ. განცხადებაში დასახელებულთა შორის არიან ილია და ოლღა ჭავჭავაძეები.

— თბილისის თავადაზნაურთა მიერ არჩეული დელეგაცია (ალ. ორბელიანი — თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, დიმ. ჩოლოყაშვილი — სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი) ილიას მეთაურობით მიემგზავრება გაგრაში პრინც პეტრე ოლდენბურგელისათვის მადლობის მოსახსენებლად, მის მიერ კურორტ გაგრის დაარსების, იქ რეალური სასწავლებლის გახსნის და მასში ქართველთა შვილებისათვის ადგილის გამოყოფის გამო.

მაისის 20-21 — გაგრაში მიმავალი ილია ორი დღით ჩერდება ქუთაისში და ესწრება ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას (ივერია, 1903, № 102).

მაისის 22-23 — ილია და მისი თანმხლები პირები სტუმრად არიან გაგრაში პრინც ოლდენბურგელთან.

მაისის 24 — ილია და მისი თანმხლები პირები გაგრიდან სოხუმში მოდიან, სადაც მათ შერვაშიძეების სასახლის ვრცელ ეზოში უმართავენ ნადიმს. ნადიმზე იწვევენ იმ დროს სოხუმში მყოფ ქართული დრამატიული დასის მსახიობებს. ილია ნადიმზე წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას.

„ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა... საათის ოთხზე მობრძანდნენ სტუმრები, რომელთაც სუფრის თავში დააჭერინეს ადგილი. ილიას გვერდით მოუსვეს ღრმად მოხუცებული გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე აღათი დადიანის ასული. ძვირფასი სტუმარი რომ ყველასათვის დასანახი ყოფილიყო, მოსუფრალნი ორ რკალად შემოურიგდნენ სუფრას. თამადად არჩეული იქნა აქაური მოქალაქე თეიმურაზ გაბუნია, ცნობილი თავისი ჭკუითა და სიდარბაისლით.

თამადამ პირველად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძე.. .სამადლობელი სიტყვის სათქმელად ილია ზეზე წამოდგა. მთელი საზოგადოებაც ფეხზე მდგარი მოემზადა მის მოსასმენად“ (თ. საბოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. 1984, გვ. 24—25). (ილიას სიტყვა ჩართულია „ივერიის“ № 118-ში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში — „თ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში“).

მაისის 25 — თანმხლებ პირებთან ერთად ილია გაემგზავრა სოხუმიდან თბილისში.

„მეორე დღეს მთელმა ქალაქმა გააცილა ილია ჭავჭავაძე. ეს გაცილება ერთ მთლიან ზეიმად იყო ქცეული (იქვე, გვ. 27).

ივნისის 1; 8 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებას.

ივნისის 17 — შემფასებელი კომისიის წევრი ლევან ჩერქეზიშვილი ადგენს ილიას უძრავი ქონების შეფასების აქტს. ქონების ღირებულებამ შეადგინა 22.800 მანეთი.

ივნისის ბოლო-ივლისი-აგვისტო — გრძელდება პოლემიკა ილიას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის“ გარშემო (თ. ტვირთმძიმელის — ივერია, 1903, № 139; ვ. გაბიანცისა და მ. ჯანაშვილის — ნოვოე ობოზრენიე, 1903, № 6436, 6440, 6443, 6454, 6464).

ივლისის 25 — გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის სახელწოდების დღის მიმლოცველებს.

„უღრმესი მადლობა მომიხსენებია მათთვის, ვინც ჩემს სახელწოდების დღეს წერილით თუ დეპეშით მომიკითხა“ (ივერია, 1903, 25 ივლ., № 157, გვ. 1).

ივლისი — აგვისტო? — საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით ილიასთან საგურამოში სტუმრად მიდიან: ვალ. გუნია, პეტრე ყიფიანი, თედო სახოკია, მოციქულნი ილიას თხოვენ ეშუამდგომლა დავით სარაჯიშვილთან მატერიალურად დახმარებოდა ფედერალისტთა პარტიას.

„ილიამ გულდასმით მოგვისმინა, მოიწონა საქართველოს ავტონომიის აზრიცა, საკუთარი ორგანოს გამოცემის საჭიროებაც აღიარა. შხოლოდაო, — გვითხრა, — კაცი დამისახელეთ, კაცი, ვინც შესძლებს ასეთს მძიმე საქმეს გაუძღვესო. თუ შესაფერი კაცი გეყოლებათ ქონებრივად, უზრუნველგყოფთო“ (თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. 1984, გვ. 27-28).

აგვისტოს 12 — ქვეყნდება ცნობა ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის განზრახვის — ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების გამოცემის შესახებ.

აგვისტოს 24 — დურგალთა ამხანაგობა „შრომის“ წევრთა საერთო კრებაზე ირჩევენ ამხანაგობის წევრად (ცნობის ფურცელი, 1903, 27 აგვ., № 2248).

სექტემბრის ბოლო-ოქტომბერი (?) — ქართული საწარმოო ფირმა „ანკარა“ საგურამოში, ილიას ბაღში ამზადებს კონსერვებსა და ხმელ ხილს (ცნობის ფურცელი, 1903, № 2292).

ოქტომბერი — ილია მიწვეულია დავით სარაჯიშვილთან ბარონ დე-ბაის პატივსაცემად გამართულ სადილზე.

„1903 წლის შემოდგომაა. საქართველოში პარიზიდან ჩამოსულია ცნობილი მოგზაური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამწერი ბარონ დე-ბაი. დავით სარაჯიშვილმა ფრანგი სტუმარი სადილად დაპატიჟა თავის სახლში... სადილად მოწვეული ჰყავდა: ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და მე. დავით სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ქალაქიდან გასული იყო. ასე რომ, სუფრას მარტო მამაკაცები ვუსხედით“ (თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. 1984, გვ. 28).

— ილიას ნიშნავენ თბილისის ოლქის საპატიო მოსამართლედ. (ცნობის ფურცელი, 1903, № 2302).

ნოემბრის 27 — ბორის ესაძე უძღვნის კრებულს („Весь Кавказ“. Иллюстрированный справочно-литературный сборник. Тфл., 1903) წარწერით: „Глубокоуважаемому И. Г. Чавчавадзе от редактора — издателя Бориса Эсадзе. 27 ноября 1903 г. г. Тифлис“.

დეკემბრის 6 — ქვეყნდება ცნობა (კ. აბაშიძის წერილში) იმის შესახებ, რომ ილიას განზრახული ჰქონია, გადმოექართულებინა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“.

*
* *

— ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიისათვის წერს „ავტობიოგრაფიას“.

— წერილს იღებს ბათუმიდან უცნობი გრიგოლ საყვარელიძისაგან, რომელიც ილიასაგან მოითხოვს ბათუმში ადრესატის სასარგებლოდ განზრახული ლიტერატურული საღამოს ორი ბილეთის საფასურს.

„ეს იყო 1903 წ. მე მაშინ რკინის-გზაზე ვმუშაობდი ბათომში... ჩემს წერილში ილიასადმი შემდეგი აღგილი იყო: მე დიდი ხანია, რაც თქვენი მოტრფიალე ვარ, როგორც დიდი პიროვნებისა „და ახლა შემთხვევა მეძლევა ბადალი მოგთხოვოთ პატარა ხარკის დადებით“ (2 ბილეთის საფასური) (გრ. საყვარელიძე. მოგონება. წგ-ში: ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. 1939, გვ. 404—405).

— საპასუხო წერილს უგზავნის ბათუმში გრიგოლ საყვარელიძეს. წერილის ტექსტიდან შეიმჩნევა, რომ ილია მიღებულ წერილს ძალზე აუღელვებია.

„... წერილის კილოს და ნამეტნავად ფასიან ბილეთებს ისე აუღელვებია ილია, როგორც შეეფერებოდა მის სიმკაცრეს. ეს სიმკაცრე —

მღელვარება მან გამოხატა ჩემდამი წარმოგზავნილ წერილში“ (იქვე, გვ. 405).

— ქვეყნდება ილიას ლექსები: კითხვა-პასუხი. — „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში...“ — წგ-ში: პატარა ჩანგი. მე-2 გამოც. ტფ., 1903.

— ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის სიტყვა, მიმართული ეპისკოპოს ალექსანდრესადმი — წგ-ში: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. ტფ., 1903.

— კრებულ „Весь Кавказ“-ში ქვეყნდება ილიას ლექსების „არაგვს“ („აჩრდილიდან“) და „მას აქეთ რაკი...“ (С тех пор...) რუსული თარგმანები.

— დრეზდენში გამოდის არტურ ლაისტის წიგნი „საქართველოს გული“ (Das Georgische Volk), რომელშიც მოცემულია ილიას ცხოვრებისა და შემოქმედება-მოღვაწეობის მოკლე დახასიათება. ამავე წიგნში იბეჭდება ილიას პოეტური შემოქმედების რამდენიმე ნიმუშის გერმანული თარგმანი: „გაზაფხული“, „პოეტი“, „კითხვა-პასუხი“, „არაგვს“, „მყინვარს“, „შემოღამება ალაზანზე“.

— ილიას ხელმოწერით ცალკე წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების მოქმედებისა 1902 წ. წელიწადი მეოცდაოთხე“. ტფ., 1903. 119 გვ.

— იაკობ გოგებაშვილი უძღვნის თავის წიგნს (Как улучшить кавказскую народную школу. Тфл., 1903) წარწერით: „ილია გრიგოლის ძეს თავადს ჭავჭავაძეს სახლობითურთ. ავტორისაგან“.

— ფილიპე გოგიჩაიშვილი უძღვნის თავის წიგნს (Малоземелье среди крестьян Закавказья. Доклад, читанный на заседании Имп. Кавказ. О-ва сель-хоз. 11 февр. 1903 г.) წარწერით: „დიდად პატივცემულს თ-ს ილია ჭავჭავაძეს. ავტორისაგან.“

— ვალერიან გუნია უძღვნის „საქართველოს კალენდარს“ წარწერით: „დიად ილიას პატარა ვალერიან გუნიასაგან“.

— ზაქარია ჭიჭინაძე უძღვნის თავის წიგნს (მღვთის-მშობლის კათოლიკეთა ეკკლესია ბათუმში. თფ., 1903) წარწერით: „დიდათ პატივცემულს ილია გრიგორის-ძე ჭავჭავაძეს პატივისცემით ეძღვნის დამწერისაგან“.

1904

იანვრის 1 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2368) ბეჭდავს იუმორისტულ საახალწლო მილოცვებს წერა-კითხვის საზოგადოებისადმი, ილიასა და სხვა ქართველ მოღვაწეებისადმი.

იანვრის დასაწყისი — ილია ესწრება ვასილ ველიჩკოს მოსახსენიებელ პანაშვიდს თბილისში (ივერია, 1904, № 4).

— კავკასიის ქართველი სცენისმოყვარენი წარმოადგენენ ილიას „დედა და შვილს“.

მარტის 21 — მონაწილეობს თბილისის სამეურნეო ბანკის კრებაში.

ილიას წინადადებით ბანკის ხართჯთაღრიცხვაში შეაქვთ თანხა „იმის დასაჯილდოვებლად, ვინც შეადგენს საუკეთესო წიგნაკს მცირე სახალხო კრედიტის შესახებ. კრებამ მოიწონა ეს წინადადება, მაგრამ იცოტავა ჯილდოს რაოდენობა და ხარჯთაღრიცხვაში 300 მან. შეიტანა“ (ცნობის ფურცელი, 1904, 23 მარტი, № 2447, გვ. 2).

მარტის 31 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ № 2452 იწყებს სამსონ ფირცხალავას ნარკვევის ბეჭდვას — „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 25 წლის განმავლობაში“ (წერილის გაგრძელება ქვეყნდება № 2475, 2480, 2499, 2513, 2526).

აპრილის დასაწყისი — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების დამტკიცების 25 წლისთავის გამო მისალოცი დეპეშებისა და შემოწირულებების მიღება საზოგადოების გამგეობის მიერ.

მაისის 1 — თბილისის სასამართლო პალატა იხილავს ზაალ გურამიშვილის მეურვის სააპელაციო საჩივარს ილია ჭავჭავაძის მიმართ წისქვილის თაობაზე. სასამართლო პალატა ძალაში ტოვებს სარლო სასამართლოს 1902 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებას (საისტ. მოამბე, ტ. 25—26, 1971, გვ. 349).

მაისის 15—16 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას. კრება იხილავს საზოგადოების წინა წლის მოქმედების ანგარიშს. კრებაზე ილიას ირჩევენ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1904, № 116; ცნობის ფურცელი, 1904, № 2498).

მაისის 16 — ესწრება ანჩისხატის ეკლესიაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გარდაცვლილ წევრთა მოსახსენიებელ პანაშვიდს (ივერია, 1904, № 116).

— მონაწილეობს მწერალ იოსებ ბაქრაძის დაკრძალვის ცერემონიალში (ივერია, 1904, № 116).

მაისის 18 — თხოვნით მიმართავს ოლქის სასამართლო პალატას ზაალ გურამიშვილის საჩივრის გამო აღმასრულებელი ფურცლის გაცემის შესახებ. აღნიშნულის მიღებას ანდობს გაბრიელ ბეჟანის ძე საყვარელიძეს (საისტ. მოამბე, ტ. 25—26, 1971, გვ. 350).

მაისის 18-22 — მონაწილეობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაში (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1904, № 121; ცნობის ფურცელი, 1904, № 2498—2502, 2504).

მაისის 28 — მონაწილეობს პეტრე უმიკაშვილის დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიალში.

„გუშინ, 28 მაისს, დაჰკრძალეს გვამი ახლად გადაცვალებულის საზოგადო მოღვაწისა და მწერლის პეტრე იოსების ძის უმიკაშვილისა. დილის 10 საათზე განსვენებულის ბინაზე შეიკრიბა განსვენებულის ნათესავები, ნაცნობები, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარე და წევრნი...“ (ცნობის ფურცელი, 29 მაისი, № 2508, გვ. 2—3).

ივნისი (?) — იმის გამო, რომ გუბერნატორის ბრძანებით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკებიდან უნდა ამოეღოთ ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემები, ილია ნიკო ცხვედაძესთან ერთად პირადად ორჯერ მიდის გუბერნატორთან ნებართვის მისაღებად (თ. ჩხიტუნიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. 1980, გვ. 90).

ივნისის 4 — სოფელ წინარეხის საზოგადოების მინდობილობით გლეხები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 25 წლისთავს ულოცავენ ილიას და საზოგადოების გამგეობის სხვა წევრებს (ცნობის ფურცელი, 5 ივნ., № 2515, გვ. 2).

ივნისის 10 (?) — მონაწილეობს თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში. კრება იხილავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის თანხის მიცემის საკითხს (ივერია, 1904, № 136).

ივნისის ბოლო (?) — პეტერბურგში გამოდის ქრ. ვერმიშევის წიგნი „Материалы для истории грузино-армянских отношении. Ответ на книжку кн. И. Г. Чавчавадзе, „Армянские ученые и вопющие камни“ (რეცენზია აღნიშნულ წიგნზე ქვეყნდება: ივერია, 1904, № 189, 190; ნოვოე ობოზრენიე, 1904, № 6755).

ივლისის 15 — თხოვნა შეაქვს თბილისის ქალაქის გამგეობაში სახლის პროექტის დამტკიცების შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 265).

სექტემბრის 30 — ილიას თაოსნობითა და მონაწილეობით მოსახსენიებელ პანაშვიდს უხდიან განსვენებულ სტეფანე ზუბალაშვილს.

„გუშინ, 30 სექტემბერს, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ და „დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობათა მეთაურობით გადახდილი იქნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სტეფანე ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად“ (ცნობის ფურცელი, 1904, 1 ოქტ., № 2627, გვ. 3).

ოქტომბრის 1 — „ივერია“ № 226 ბეჭდავს ირტიმიდის ხელმოწერით [დ. ჯაში] წერილს — „გაკვრით. ნარევ-ნაკვეს გასართობი“, რომელიც ეხება ქრ. ვერმიშევის წიგნს „... Ответ на книжку кн. И. Г. Чавчавадзе...“

ნოემბერი — წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემით გამოდის „ლექსები ილია ჭავჭავაძისა“. ტფ., 1904, 64 გვ.

წიგნში ქვეყნდება: ჩემო კარგო ქვეყანავ. — (ნაწყვეტები აჩრდილიდან): ლოცვა; არაგვი; მარად და ყველგან საქართველოვ! — ბაზალეთის ტბა. — ქართვლის დედას. — გ. აბხ... — ნანა. — პოეტი. — დედა და შვილი. — კითხვა-პასუხი. — მამულს. — ჩემო კალამო. — გაზაფხული. — ირლანდიისადმი. — მესმის მესმის... — იანიჩარი. — ელეგია. — სტიროდეთ! თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ. — გუთნის დედა. — მუშა. — ხმა სამარიდამ. — ბედნიერი ერი. — რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით. — ლოცვა. — ნაწყვეტი დიმიტრი თავდადებულიდან. — დამაკვირდი.

ნოემბრის 18, 21 — „ივერიის“ № 264, 267-ში ქვეყნდება ილიას შეგონებანი სახელწოდებით — „ქართული სიბრძნე“.

დეკემბრის 3, 5 — „ივერიის“ № 277, 279-ში იბეჭდება ილიას შეგონებანი სახელწოდებით — „ქართული სიბრძნე“.

დეკემბრის 13 — მინდობილობას აძლევს ბეჟან იოსების ძე მჭედლიშვილს ქალაქის გამგეობიდან თავისი სახლის პროექტის მისაღებად (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 265).

*

* *

— ბათუმში, სპ. ჭელიძის გამოცემით გამოდის წიგნი სახელწოდებით — ორი პოემა. I. ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან ილ. ჭავჭავაძისა. — II. უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა ი. ევდოშვილისა.

— ილიას ლექსები იბეჭდება სპ. ჭელიძის მიერ შედგენილ კრებულებში: 1. „ჩანგური“. ბათუმი, 1904; 2. „ქნარი“. ბათუმი, 1904; 3. „სალამური“. ბათუმი, 1904.

— ქვეყნდება ილიას ლექსები და ნაწყვეტები მოთხრობებიდან წგ-ში: „ბუნების კარი". მე-13 გამოცემა. 1904.

— პეტერბურგში გამოდის ვ. ველიჩკოს წიგნი სახელწოდებით — Арабески[20], რომელშიც შესულია ილიას ლექსების ველიჩკოსეული თარგმანები: Стансы (უსულდგმულო ცხოვრება); Яничар, Печаль, Пахарь.

ამავე წიგნში შესულია ველიჩკოს მიერ ილიასადმი მიძღვნილი ლექსი — Князю И. Г. Чавчавадзе.

—ილიას ხელმოწერით წიგნად გამოდის „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1903 წელი. წელიწადი XXV." ტფ., 1904, 124 გვ.

— იაკობ გოგებაშვილი ილიას უძღვნის თავის წიგნს (К вопросу о мингрельской начальной школе. СПб., 1904) წარწერით: „ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს მეუღლითურთ. ავტორისაგან."

— ანონიმი გამომცემელი ილიას უძღვნის წიგნს (აკ. წერეთელი. წმინდა გიორგის რაზმი. 1904), წარწერით: „ჩვენს დიდებულს და ძვირფასს მამულიშვილს ბატ. ილია ჭავჭავაძეს გამომცემლობისაგან".

1905

იანვრის 24 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თხოვნით მიმართავს ილიას, აზრი გამოთქვას შილერის „ორლეანელი ქალის" ვაჟა-ფშაველასეულ თარგმანზე.

„.. გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ განიხილოთ ბ. ვაჟა-ფშაველას მიერ ნათარგმნი „ორლეანელი ქალი" და წარმოადგინოთ ორი კვირის განმავლობაში თარგმანის შესახებ თქვენი აზრი" (ს. ხუციშვილი. მანათობელი. 1980, გვ. 104).

თებერვლის ბოლო — ილია სიტყვით გამოდის თავადაზნაურთა საკრებულოში, სადაც ბჭობენ, თუ როგორ ააღებინონ ხელი აჯანყებული გურულების წინააღმდეგ დამსჯელი რაზმის გაგზავნას.

---

20 ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგში შესული ვ. ველიჩკოს წიგნი — „Арабески", როგორც ეს წიგნზეა აღნიშნული, გამოიცა პეტერბურგში 1904 წელს. ცენზურის ნებართვა დაბეჭდვაზე, როგორც ასევე წიგნზეა აღნიშნული, მიეცა 1903 წ. 12 ოქტომბერს. სავარაუდოა, რომ წიგნი გამოიცა იმავე წლის ნოემბერში. ამას გვაფიქრებინებს ავტორის — ვ. ველიჩკოს ნაჩუქრობის წარწერა: „Славному грузинскому собрату и дорогому другу, искренно-уважаемому князю Илье Григорьевичу Чавчавадзе на добрую память от В. Величко. 2 дек. 1904."

საფიქრებელია, რომ წიგნზე ნაჩუქრობის წარწერა ავტორმა გააკეთა 2 დეკემბერს, მაგრამ არა 1904 წელს, როგორც ეს წიგნზეა აღნიშნული, არამედ 1903 წელს.

„... დარბაზში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. მთელი დარბაზი შეირხა და ყველანი ახალმოსულს მიაჩერდნენ. თითქმის დაბალი, მაგრამ სრული, თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი შუაგარღვეულ ხალხში დინჯად მოდიოდა და თან მოჰქონდა თავისი სანაქებო დარბაისლობა, ჟამთა ცვალებადობაში უკვე მინელებული დიდება... კარგა ხანია რაც ეს კბილგაცვეთილი ბებერი ლომი თითქო სამუდამოდ შეიხიზნა ბუნაგში. აღარც მისი ბუხუნი ისმოდა, აღარც მისი კლანჭი ჩანდა... გურიის ასაკლებად მძვინვარე გენერალ ალიხანოვს ჰგზავნიდნენ. ჯარი უკვე სადგურზე იყო გასული. მაშინ განაცხადა ილიამ ამავე დარბაზში: ალიხანოვის გაგზავნაზე ხელი უნდა ავაღებინოთო, თუ არა და — ყველამ თავი უნდა დავდოთო. ვარანცოვ-დაშკოვს ეთქვა, თუ ჭავჭავაძეც კი აჯანყებას გვემუქრებაო, ჩანს მართლა საერთო აჯანყება მოგველისო, და დასარბევად გასული ჯარი უკანვე დააბრუნა“ (მ. ჯავახიშვილი. რჩეული თხზულებანი. ტ. V, 1962, გვ. 298).

მარტის 6 — ილია მონაწილეობს თავადაზნაურთა კერძო თათბირში, სადაც განიხილავენ გლეხთა მოძრაობის საკითხს. ილია მონაწილეობს კამათში და აშკარად იცავს გლეხთა ინტერესებს (ილიას სიტყვის შინაარსი ქვეყნდება: ივერია, 1905, 8 მარტი, № 20, გვ. 2—3).

მარტის 6-7(?) — ღებულობს მოურავ მოსე მემარნიშვილის წერილს საგურამოდან, რომელიც ატყობინებს ადგილობრივ ამბებს საგურამოს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების შესახებ.

მარტის 8 — საპასუხო წერილს უგზავნის საგურამოში თავის მოურავს მოსე მემარნიშვილს.

„ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები, დღეს ყველგან არის: გლეხკაცები ყველგან მაგ ამბავში არიან დღეს. მეცოდებიან საწყლები: დღესხვალ მთავრობა თურმე აპირობს ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულს გლეხ-კაცობას და ნაცარტუტა აადინონ. თავად-აზნაურობა ჰცდილობს ეს ჯარების მისევა როგორმე ააცდინოს გლეხ-კაცობას და ღმერთმა ჰქნას მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე... შენ მხოლოდ ეცადე, რომ მშვიდობიანად მოელაპარაკო და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ რომ მაგისთანა ამბავს ბოლო მოეღება, ნებით იქნება თუ ძალით“ (თსკ, ტ. X, გვ. 162).

მარტის 9 — „ივერიის“ № 21-ში ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით იბეჭდება — „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც გამოწვეულია მის მიერ სათავადაზნაურო კერძო თათბირზე გლეხების მიწებით დაკმაყოფილების შესახებ წარმოთქმული სიტყვის შინაარსის გაზეთში არასწორად გადმოცემით.

„ბატონო რედაქტორო! გუშინდელს „ივერია"-ში (№ 20) დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე და, სწორედ მოგახსენოთ, ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი".

მარტის 13 — ჟურნალი „მოგზაური" (№ 9) აქვეყნებს შალვა შარაშიძის (თაგუნას ფსევდონიმით) პამფლეტს სახელწოდებით — „იდუმალი ხმა", რომელიც მიმართულია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

„სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია შვენიერი წიგნი, რომელსაც „გლახის ნაამბობი" ქვია? ვისი მეთქი, გეკითხები. რატომ აწერე ისე ხელოვნურათ „ბატონების" სიმხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზათ ყაჩაღი კაკოს ნაამბობი? ვინ მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა?

ნუ თუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს", „გაბროს" და „თამროს" დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი!

დადგა დრო განკითხვისა" (გვ. 132).

მარტის შუა რიცხვები (?) — საპასუხო წერილს უგზავნის საგურამოში მოსე მემარნიშვილს. რჩევა-დარიგებას აძლევს გლეხთა გამოსვლებით შეშინებულ მოურავს.

„... თუ მანდ გარეშე სოფლებში იშოვი მოჯამაგირეებს, ძალიან კარგს იზამ. იწერები, მეეპატრონეთ აქაობასაო. მე შეუძლოდ ვარ და იქნება ხვალ თუ ხვალზევით გარედ გამოვიდე და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ. ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინადაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელს საქართველოშია მოდებული. მანდ კიდევ, მადლობა ღმერთს, მარტო ტყეს მიესივნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღეს თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდიდამ პატარამდე დააწიოკებენ. შენ, როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს შეგშინებია. მაგოდენად ჰკუიდამ როგორ შეიშლებიან ეგ უბედურები, რომ შენ შეგამთხვიონ რამე... შენ მანდ დამშვიდებით იყავ, მაგათის მუქარისა ნურა გეფიქრება-რა, და თუ მაინც და მაინც საქმე გაგიჭირონ, მაშინ შენი ნებაა, რაც გიჯობდეს, ისა ქენი, ოღონდ მანდაურობა კი ჩააბარე ვისმე, რომ არაფერი დამეკარგოს ჩვენის დაუდევრობით" (თსკ, ტ. X, გვ. 162—163).

მარტის 20 — ჟურნალი „მოგზაური" (№ 10) ბეჭდავს ცნობებს გლეხთა მოძრაობასთან ილია ჭავჭავაძისა და გივი სტაროსელსკის დამოკიდებულების შესახებ.

მარტის 21 — ილია წერილობით აცნობებს თავის აზრს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილ შილერის „ორლეანელი ქალწულის" შესახებ.

„... თარგმანი „ორლიანელის ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივ-საცემი მწერალია, რომ მისი ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება“ (თსკ, ტ. X, გვ. 393).

აპრილის 1 — ილია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც იხილავს საქართველოს ავტონომიის საკითხს. კრება წერილით ულოცავს რუსეთის იმპერატორს მეორე ვაჟის შეძენას და საუკუნო ერთგულებას ეფიცება, იმპერატორს შესთხოვს — „თავად-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლების და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნება ყოფლობით იმასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა“ (კრების ანგარიში ქვეყნდება: ცნობის ფურცელი, 1905, 2 აპრ., № 2787; ივერია 1907, 2 აპრ., № 43).

აპრილის 10 — ჟურნალი „მოგზაური“ (№ 13) აქვეყნებს ვ. ნ.— ხელმოწერით [ვანო ნაცვლიშვილი] წერილს — „საგურამოს და ჰოპორტის საზოგადოება“, რომელიც მიმართულია ილიას, გივი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილის წინააღმდეგ. ილიას ბრალს დებენ გლეხების შევიწროებაში.

აპრილის 15 — „ივერია“ (№ 54) მიმოიხილავს ჟურნალ „მოგზაურის“ № 13-ში დაბეჭდილ წერილს და ციტირებით გადმოაქვს გლეხებთან ილიას დამოკიდებულების ცილისმწამებლური „ფაქტები“ და დასძენს: „ნუ თუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუ თუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ-დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“.

აპრილის 17 — „ივერიის“ № 55-ში ბეჭდავს ჟურნალ „მოგზაურ-ში“ (№ 13) გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ კორესპონდენციაზე მოკლე პასუხს — „ბატონო რედაქტორო“.

აპრილის 22 — ილიას დავალებით (უეჭველია კონსპირაციის მიზნით) სპ. ვირსალაძე ფოთში ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებს, რომ ილია ჭავჭავაძე გთხოვთ თბილისში ჩამოსვლას 26 აპრილისათვის. უნდა განიხილონ საკითხები, რომელზეც ბოლო ხანებში ჰქონდა მასთან საუ-

ბარი. აუცილებელია ადრესატის დასწრება (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 51).

აპრილის 27 — ქვეყნდება ილიას ლექსის „ლოცვა“ (Молитва) ტ. ბეკხანოვასეული თარგმანი ყოველკვირეულ „კავკაზ'სკი კრაის“ № 6-ში.

აპრილის ბოლო — მაისის დასაწყისი (?) — ილიას მზადა აქვს ჟურნალ „მოგზაურის“ (№ 13) კორესპონდენციაზე ვრცელი პასუხი, მაგრამ „ივერია“ უარს ეუბნება დაბეჭდვაზე.

„1905—1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დასწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში“ დასაბეჭდათ. „ივერიის“ თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაიბეჭდოს. ... რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთო.

ერთად-ერთი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ არ დამებეჭდა ილიას პასუხი. თუ მისი სურვილის წინააღმდეგ წერილი დაიბეჭდებოდა, მაშინ მე მემუქრებოდა ყველა მუშების საერთო გაფიცვით.

ვერ მოვახერხე ილიას პასუხის დაბეჭდვა „ივერიაში“... მივმართე სხვა საშუალებებს, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდევი „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა.

ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ შემენელებია ყურადღება ილიას მოწინააღმდეგეებისა. ამ შენიშვნას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონებია“ (ფ. გოგიჩაიშვილის მოგონება. წგ-ში: პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. 1938. გვ. 29).

მაისის დასაწყისი (?) — მონაწილეობს ქართულ გიმნაზიაში მოწვეული კრების საქმიანობაში; კრება შედგა სასწავლებელში შექმნილი მდგომარეობის გამო. მოსწავლეთა არეულობაში ბრალს დებენ მასწავლებლებს და მოითხოვენ მათ დასჯას. ილია გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტთან ერთად იცავს აზრს, რომ მასწავლებლებს მოსწავლეთა მოძრაობის გაღვივებაში არავითარი ბრალი არ მიუძღვით (ვ. ქაჯაია. ნიკო ცხვედაძე. 1946, გვ. 51).

მაისის 5 — თავისი ხარჯებით ბეჭდავს და „ივერიის“ № 68-ის ცალკე დამატების სახით ავრცელებს წერილს — „ნუ თუ? (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციასა)“.

— ქვეყნდება ილიას ლექსის „სანთელი“ (Свеча) ტ. ბეკხანოვასეული თარგმანი ყოველკვირეულ „კავკაზსკი კრაის“ № 7-ში.

მაისის 15 — ჟურნალი „მოგზაური“ (№ 18) ილიას წერილის „ნუ თუ?“ საპასუხოდ ერთდროულად ბეჭდავს სამ წერილს: ფ. მახარაძის „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“; ვ. ნ. [ვ. ნაცვლიშვილი] — „პასუხათ ილია ჭავჭავაძეს“ და ვინმე ასოთ-ამწყობის „მცირე შენიშვნა“-ს.

„თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულის-კვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი შინაგანი „მე“ ისე, როგორც „ივერიის“ № 68-ში დაბეჭდილ წერილში“.

ფ. მახარაძის წერილის დასასრული ქვეყნდება 22 მაისს „მოგზაურის“ № 19-ში.

მაისის 28-ივნისის 4 — ქვეყნდება ილიას წერილის — „ნუ თუ?“ რუსული თარგმანი — Неужели? (Ответ кн. Ильи Чавчавадзе на корреспонденцию „Могзаури“. Перев. статьи из „Приложения к газ. „Иверия“ № 68) — Кавказский край, 1905, № 10, 11.

მაისის 31 — ივნისის 12—14, 16, 17 — აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრების საქმიანობაში (კრების ანგარიში ქვეყნდება: ივერია, 1905, № 89, 100—104; ცნობის ფურცელი, 1905, № 2832, 2843, 2845, 2847—2849).

ივნისის 19 — სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე 18 ივნისს მომხდარი ინცინდენტის გამო ილია დუელში იწვევს სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულს თავად მ. ვეზირიშვილს. ილია სეკუნდანტებად ირჩევს მიხეილ გრუზინსკის და დავით ჯორჯაძეს. ვეზირიშვილი ღებულობს ილიას გამოწვევას და თავის მხრივ სეკუნდანტებად ნიშნავს კობიაშვილს და დიასამიძეს.

„უკანასკნელი დუელი მას უნდა ჰქონოდა 1905 წელს, სიკვდილამდე ორი წლის წინ, მაგრამ ეს დუელი არ შემდგარა, რაკი მოწინააღმდეგეს ბოდიში მოუხდია... დუელის მიზეზი ასეთი ყოფილა: 1905 წელს ბანკის კრებაზე ილია კითხულობს „საგანგებო სარევიზიო კომისის“ მოხსენებას, მაგრამ მას ერთ-ერთი „ოპოზიციონერი და წევრი კომისიისა“ კითხვას აწყვეტინებს — „... სხვამ წაიკითხოსო...“ ილიას გული მოსვლია ამ უნდობლობის გამო და უთქვამს: „— კარგი, აი, გადამიცია, სხვამ წაიკითხოს, ხოლო თქვენ მე მომცემთ პასუხს მაგისათვის...“.

მეორე დღეს ოპოზიციონერს და წევრს კომისიისას ეწვივნენ სეკუნდანტები. საქმე ბოდიშის მოხდით გათავდა“ (ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 1. 1914, გვ. LXXIV).

ივნისის 23 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ილია უარს აცხადებს ბანკის თავმჯდომარეობაზე და საერთოდ ბანკში მუშაობაზე (ტიფლისკი ლისტოკ, 1905, № 127).

ივლისის 3 — ჟურნალი „მოგზაური“ (№ 24) (ნარის ფსევდონიმით) ბეჭდავს ნოე ჟორდანიას წერილს „ქართველ მოღვაწეებში“, რომელიც ეხება ილიას სათავადაზნაურო ბანკიდან წასვლას.

ივლისის 5 — ილია ადგენს და ნოტარიალურად ამოწმებინებს ანდერძს სიყრმის მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს.

ანდერძით ილია სიკვდილის შემდეგ მთელ თავის უძრავ და მოძრავ ქონებას უტოვებს მეუღლეს — ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძეს, ხოლო ოლღას სიკვდილის შემდეგ საგვარეულო ქონება მემკვიდრეობით გადაეცემოდა კანონიერ მემკვიდრეებს, ხოლო მის მიერ შეძენილი მთელი უძრავი და მოძრავი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 265—266).

ივლისის 16 — მონაწილეობს კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის გამოსარკვევად კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს სხდომაში (ივერია, 1905, № 121, გვ. 3).

სექტემბრის 18 — ქვეყნდება ცნობა საგურამოში ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის შესახებ.

„— როგორც პეტერბურგის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, ვიღაც შეიარაღებული კაცები საგურამოში თავს დასცემიან თავ. ილია ჭავჭავაძეს. თავდამსხმელთ წაუღიათ იარაღი“ (ქურ. „მოგზაური“, 1905, № 34, გვ. 527).

სექტემბრის 24 — ილიასა და სხვათა ხელმოწერით ნ. ნიკოლაძეს ფოთში წერილით ატყობინებენ კავკასიის მეფინაცვალთან ავტოკეფალიის საკითხზე დეპუტაციის გაგზავნის შესახებ და სთხოვენ ჩამოვიდეს ამ დღისთვის (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1, 1954, გვ. 296).

სექტემბრის 28 — თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თბილისის ოხრანკის უფროსს საიდუმლოდ აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძეზე დაწესებული მეთვალყურეობის (1884 წ. 25. IV—1900 წ. 18. IV) პერიოდში არავითარი ცნობა არ შემოსულა (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 266).

ოქტომბრის 11 — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე კავკასიის მეფისნაცვალი დღის ორ საათზე ღებულობს საქართველოს დეპუტაციას, რომლის შემადგენლობაში შედის ილია ჭავჭავაძე (ცნობისფერი ფურცელი, 1905, № 5).

— თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ილიას მაგვარად ირჩევენ ბანკის ახალ მმართველს.

ოქტომბრის მეორე ნახევარი (?) — ილია ესწრება სამღვდელოების კრებას ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას.

„შუა ლაპარაკში რომ იყო ბ. სამსონ ფირცხალავა, სწორედ ამ დროს კრების დარბაზის კარი გაიღო და ფეხი შემოსდგა ილიამ... კრებამ ერთხმად მიმართა დიდ ილიას და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა. ილიამ ნელის ხმით განაცხადა: — ექიმიდან აკრძალული მაქვს ლაპარაკი გულის ტკივილის გამო, ამიტომ ვერ ვილაპარაკებო... მაინც დამსწრეთა დაჟინებით მუდარას ანგარიში გაუწია და რამდენიმე სახელმძღვანელო აზრი წარმოსთქვა. ჯდომელამ ილაპარაკა...“ (გ. შარაძე. საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე. 1986, გვ. 153).

ოქტომბრის ბოლო — გაზეთი „კავკაზი“ (№ 307) ბეჭდავს ილიას — „გაზაფხულს“ და ნაწყვეტებს ლექსიდან „ელეგია“ (Ночь, Родина). მთარგმნელი პ. ოპოჩინინი.

ნოემბერი (?) — ილია ესწრება სიონის ტაძარში საბა კლდიაშვილის წირვასა და პანაშვიდს, სადაც ილია ამბობს... „რა კარგი და ნიჭიერი ახალგაზრდა დავკარგეთ, სწორედ რომ უბედური ხალხი ვართ“ (შ. სალუქვაძე. ვანიკო აბაშიძე. 1962, გვ. 9).

ნოემბერი (?)-დეკემბერი (?) — კავკასიის მეფისნაცვლის დავალებით ილია და გ. ჟურული მიემგზავრებიან პეტერბურგში გრაფ სოლსკის კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. სოლსკის კომისია ადგენდა დებულებას კავკასიისათვის სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატების ასარჩევად.

*
* *

— ილიას ხელმოწერით ქვეყნდება „ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მოქმედებისა. 1904 წელი. წელიწადი XXVI“. ტფ., 1905, 127, 38 გვ.

— ქვეყნდება ნინო ორბელიანის ლექსი — ი. ჭავჭავაძეს — წგ-ში: ნ. ორბელიანი. ლექსების რვეული. ტფ., 1905, გვ. 3—4.

იანვრის დასაწყისი — ილია პეტერბურგშია და მონაწილეობს გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში.

იანვრის 4 — მოემგზავრება პეტერბურგიდან თბილისში.

„როგორც პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინებიან, იქიდან უკვე გამოსულან... თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და გ. დ. ყურული, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ გრაფ სოლსკის კომისიაში“ (ცნობის ფურცელი, 1906, 6 იანვ., № 2974, გვ. 3).

იანვრის პირველი დეკადა — ილია პეტერბურგიდან ბრუნდება თბილისში.

თებერვლის 2 — წერილს უგზავნის მოურავს მოსე მემარნიშვილს.

„... პრისტავს აცნობე, რომ მე ნახევარი ვაპატივე და ნახევარი კი უსათუოდ აზღვევინოს და შენის თანდასწრებით ღარიბსა და ობოლ-ქვრივს დაურიგოს. სთხოვე პრისტავს, რომ ვისაც რას დაურიგებს, იმისი სახელი და გვარები შემატყობინოს“ (თსკ, ტ. X, გვ. 163).

თებერვლის 20 — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა კრებაზე ილიას ირჩევენ ბანკის პირველი ჯგუფის რწმუნებულად სამი წლის ვადით.

„კვირას, 20 თებერვალს, კრება ჰქონიათ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრებს, რომელზედაც არჩეულ იქნა პირველი ჯგუფის 35 რწმუნებული სამის წლით, მათი გვარები... ი. გ. ჭავჭავაძე...“ (პატარა გაზეთი, 1906, № 6).

მარტის 4 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სახელმწიფო საბჭოში ამომრჩეველთა კანდიდატების შერჩევა, დაადგინა ილია ჭავჭავაძისა და მიხ. გედევანიშვილის გაგზავნა.

„... გუშინ წინ შეიყარნენ ჩვენი თავად-აზნაურთა კომისია, რომელსაც მიანდეს გამოარკვიონ, — ვინ გაგზავნონ „на съезд дворян для выбора, а из их среды членов Государственном Совета“ და ვინ არის სასურველი, რომ წევრად ამ „Совет“-ისა ჩვენგანი ამორჩეული იქმნას. კომისიის დადგენილებას ხვალ, 7-ს მარტს გაარჩევს კერძო კრება. კომისიამ დაადგინა: ამომრჩევლებლად გაიგზავნოს ილია ჭავჭავაძე და დოქტორი გედევანიშვილი. მე უარი გამოუცხადე გადაჭრილად და მაინც არ მეშვებიან“ (თსკ, ტ. X, გვ. 166).

მარტის 6 — ილია საპასუხო წერილს უგზავნის გიორგი ჟურულს. „... ყოვლთ უწინარეს ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. სწორედ და გადაწყვეტილი ვერა შევიტყე რა იმ საქმის შესახებ, რომელსაც მე მეკითხებით. იგი თანამდებობა, რომელსაც თქვენ იხსენიებთ, ძალიან კარგი თანამდებობაა როგორც ჩვენის ქვეყნისთვის, ისეც საკუთრივ თქვენთვის. კარგი ჯამაგირია და მშვიდობიანი სამსახური. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და თქვენისთანა კაცი ამისთანა სამსახურში ბევრს კარგს შესძენს ჩვენ ქვეყანას“ (იქვე, გვ. 165).

მარტის 8 — ილია თანხმობას აცხადებს კენჭი იყაროს სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად (საისტ. მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 267).

მარტის 9 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ილიას ირჩევენ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად (ილია კრებას არ დასწრებია). ილიასთან ერთად აირჩიეს ექიმი მიხეილ გედევანიშვილი. ილიას ხმა მისცა 40 ამომრჩეველმა, წინააღმდეგი იყო ერთი — ვასილ მაჩაბელი, რომელმაც წინასწარ უარი განაცხადა ი. ჭავჭავაძისათვის ხმის მიცემაზე, რაც სპეციალურად აღინიშნა კრების ოქმში. მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილმა მიიღო 35 ხმა. წინააღმდეგი იყო 6 (იქვე, გვ. 267—268).

მარტის 23 — „ივერიელის“ ხელმოწერით ილია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 3034) აქვეყნებს წერილს — „იმერეთის თავად-აზნაურობის სულ-მოკლეობა“. წერილს წაუმძღვარა ჰამლეტის ცნობილი სიტყვები — „ჯერეთ ერთი თვე ძლივს გასულა არ გასცვეთია ჯერ ფეხსაცმელი, რომლით იგი ცრემლის მფრქვეველი მისდევდა კუბოს უბედურიხ მამიჩემისას! და ეხლა კი, დაჭორწილდა — ოჰ, ზეცის მადლო!“ [შექსპირი].

წერილი გამოწვეულია მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის საპასუხოდ თავადაზნაურთა ერთი ნაწილის მიერ მეფისათვის სამადლობელი ადრესების მირთმევის გამო.

მარტის 25 — ილია ცნობას იღებს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველისა და დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა დეპუტატის თანამდებობაზე სამსახურის შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3. 1947, გვ. 268).

მარტის 28 (?) — 30 (?) — ილია მიხეილ გედევანიშვილთან ერთად მატარებლით მიემგზავრება თბილისიდან პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობისათვის.

„... 1906 წ. 30 მარტს ილია და ჩემი ქმარი, როგორც თბილისის გუბერნიის ამომრჩევლები და მათთან აგრეთვე ვლადიმერ მიქელაძე

ჩასხდნენ ერთ ვაგონში და თბილისიდან პეტერბურგში გაემგზავრნენ“ (გ. ხვედელიძე. მიხეილ გედევანიშვილი. 1960, გვ. 144; იხ. აგრეთვე: ცნობის ფურცელი, 1906, № 3034; პატარა გაზეთი, 1906, № 22, 25).

აპრილის 2 — ილია, მიხეილ გედევანიშვილი და ვლადიმერ მიქელაძე პეტერბურგში ჩადიან. ილია ცხოვრობს მოიკაზე, № 61 სახლში.

„მოსკოვში დავიგვიანე... ბოლოს როგორც იყო მოვახერხეთ ცალკე მატარებლით წასვლა პეტერბურგში, ასე რომ შაბათს ხუთ საათზე კიდეც მივედით დანიშნულებისამებრ; ძვირად კი დაჯდა. ხვალ ვაპირებთ... მისვლას გუდოვიჩთან და ნოლდესთან...“ (გ. ხვედელიძე. მიხეილ გედევანიშვილი. 1960, გვ. 146).

„პეტერბურგში მიხეილი დასახლდა ჩვენს ნათესავებთან, ილია კი ცალკე ცხოვრობდა. იმასთან იკრიბებოდნენ ქართველი ამომრჩევლები... ერთ-ერთ ჩვენს სხდომაზე ილიამ გამოგვიცხადა, — იგონებს ანასტასია გედევანიშვილი — მიხეილმა მიამბოო—რომ იმას სურს, რომ საბჭოში შეიტანოს მოთხოვნილება, რომ საქართველოს მიეცეს სრული ავტონომია, მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდა ნიკო ნიკოლაძე... ნიკოლაძეს ეთქვა, რომ ბევრს საბჭოს წევრს ველაპარაკე, ვიცნობ კარგად რაც არიანო და არავინ არ დაგიჭერს იქ მხარსაო, და მაგ გამოსვლით კი საქართველოს მხოლოდ ზიანს მიაყენებო“ (იქვე, გვ. 151).

აპრილის 6-8 — ილია მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში. აქ მას ირჩევენ სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად.

აპრილის 7 — ილია პეტერბურგიდან დეპეშით აცნობებს თავისი არჩევის შესახებ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანს: „Я избран большинством 61 против семнадцати“ (სისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 268).

აპრილის 7-8(?) — ილია ინტერვიუს აძლევს რუსული გაზეთების კორესპონდენტებს. მათთან საუბარში ილია აცხადებს: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავად აზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“ (მ. ბოლქვაძე — ჟურ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 108).

აპრილის 8 — თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი დეპეშით ულოცავს ილიას სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას („ნა პოვოროტე“, 1906, № 4).

აპრილის 8-ის შემდეგ — ნიკო ნიკოლაძე დეპეშით ულოცავს პეტერბურგში ილიას სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას.

„უსაზღვროდ გამახარა შენმა ამორჩევამ. გულითადად გილოცავ. მოგელით ფოთში“ (ა. კალანდაძე. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი ყვარელში. 1958, გვ. 41).

აპრილის 10 — ილია პეტერბურგიდან მოემგზავრება თბილისში.

„... ილია ამოვირჩიეთ და დღესვე მოდის ქალაქში. ვრჩები მარტო“ (გ. ხვედელიძე. მიხეილ გედევანიშვილი. 1960, გვ. 147).

აპრილის შუა რიცხვები — პეტერბურგიდან ილია ბრუნდება თბილისში.

აპრილის 28 — წერილს უგზავნის საგურამოში მოსე მემარნიშვილს, აფრთხილებს გლეხებთან ზომიერ დამოკიდებულებაზე.

„... თუ ჩვენი მემცხვარე უნდილაშვილი აურ-ზაურობს, ცხვარი ჩამოართვი და ან საკუთარი მწყემსი დაიჭირე, ან გააბარე, როგორც უნდილაშვილი იყო, იმ წესით. მე და კნეინა იმ კვირია მივდივართ რუსეთს ორის თვით, ორ თვეს შემდეგ ისევ დავბრუნდებით თუ მშვიდობაა.

გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუჭებინებ-კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არ ვხედავდეთ. რა თქმა უნდა, არც აღვირის მიშვება უნდა ყველაფერში და არც უბრალო რასმეზე გამოკიდება“ (ი. ჭავჭავაძე. თსკ. ტ. X, 1961, გვ. 164).

აპრილის ბოლო (?) — პეტერბურგში გამგზავრების წინ ილია აუდენციას უკეთებს კავკასიის მეფისნაცვალს და საუბარი აქვს მასთან (კავკაზ, 1906, № 100).

მაისის 2 — ილია, მეუღლესთან ერთად, მიემგზავრება პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაში მონაწილეობის მისაღებად. ილიასთან ერთად პეტერბურგში მიემგზავრება ეპისკოპოსი კირიონი (შრომა, 1906, № 24).

მაისის 6 — ილია ჩადის პეტერბურგში.

„ხვალ დილით აქ ჩამოვა ილია, სადგურზე შევხვდები... პეტერბურგში“ (ალ. ყიფშიძე — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 190).

მაისის 7-ივლისის 12 — ილია მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომებში.

ივნისის პირველი ნახევარი (?) — ილია პარიზიდან პეტერბურგში ღებულობს ღია ბარათს (3 ივნისის თარიღით) ბარონ დე ბაისაგან.

„წილად მხვდა ბედნიერება ვიყო ჩემს მეგობარ დავით სარაჯიშვილთან, ვუერთდები მას და გიგზავნით სალამს ჩემი საუკეთესო მოგონებებით“ (შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები. 1973, გვ. 85).

ივნისის 22 — ილია სიტყვით გამოდის სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომაზე განაწესის პროექტის შესახებ და მოითხოვს ზოგიერთი მუხლის ამოღებას და შესწორებას.

ივნისის ბოლო — ილია პეტერბურგში ღებულობს ქართველი სამღვდელოების დეპეშებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გამო.

„27 ივნისს სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დ ილია ჭავჭავაძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ქართველმა სამღვდელოებამ...“ (მწყემსი, 1906, № 11—12, გვ. 21).

ილია ხვდება და საუბარი აქვს ჟურნალისტ მალაქია ბოლქვაძესთან პეტერბურგელი ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის ფუქსავატურ ცხოვრებაზე, პეტერბურგელ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების უნიათობაზე (მ. ბოლქვაძე — ჟურ. „განათლება“, 1908, № 2—4, გვ. 108).

ივლისის დასაწყისი — ილია ესწრება თბილისში ვერაგულად მოკლული შიო ჩიტაძის პანაშვიდს, რომელსაც იხდიან პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში, დილის 11 საათზე. პანაშვიდს ესწრებიან ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდი, პროფ. ალ. ცაგარელი.

„პანაშვიდი დანიშნული იყო დილის 11 საათზე. სამწუხაროდ პეტერბურგელ ქართველთაგან ორიოდე კაცი დაესწრო. ამათ შორის პროფ. ცაგარელიც.

ილიას არ მოველოდი. მიზეზი: ავადმყოფობა და პანაშვიდის ადრე დანიშვნა. შევცდი. ილია ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც მოვიდა — როგორც მახსოვს — ყველაზე უფრო ადრე.

— რად დაიზარეს პანაშვიდზე დასწრება, — საყვედურის კილოთი ჩაილაპარაკა გაჯავრებულმა ილიამ. რა სუსტნი ვართ!..“ (მ. ბოლქვაძე — „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 134).

ივლისის პირველი ნახევარი — გაზეთი „მუშა“ (№ 31) აქვეყნებს „ჩერნომორსკი ვესტნიკიდან“ გადმობეჭდილ ცნობას ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში დაპატიმრების შესახებ.

გაზეთი „ოტგოლოსკი“ (№ 3) ბეჭდავს ცნობას ილია ჭავჭავაძის დაპატიმრების მცდარობის შესახებ.

ივლისის მეორე ნახევარი — ილია პეტერბურგიდან ბრუნდება თბილისში (შრომა, 1906, № 89; მუშა, 1906, № 43; ოტგოლოსკი, 1906 № 5).

აგვისტოს 16 — იმხანად პეტერბურგში მყოფი მარჯორი უორდროპი, დარწმუნებული, რომ ილია პეტერბურგში იმყოფება, წერილით ულოცავს სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევას და ეპატიჟება სადილზე.

„ღრმათ პატივცემულო თავადო ილიავ,

დიდ სიამოვნით გავიგეთ რომ თქვენ აქ მობრძანებულხართ. მოგვილოცავს გულით თქვენი ამორჩებაზე.

ფრიად მოხარულნი ვიქმნებით თქვენი ნახვით. თუ შეიძლება, გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან სადილათ პარასკევს საღამოთ რვის ნახევარზე.

ჩემმა ძმამ უგულითადესი მოკითხვა გიძღვნათ.

თქვენი ღრმათ პატივსმცემელი

მარჯორი უორდროპი“ (ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე. მარჯორი უორდროპი. 1965, გვ. 124).

აგვისტოს 25 — მარჯორი და ოლივერ უორდროპები დარწმუნებულნი იმაში, რომ ილია იმხანად პეტერბურგში იმყოფება, მის სანახავად მიდიან როჟდესტვენსკაიას ქუჩაზე, იქ, სადაც ილია ცხოვრობდა პეტერბურგში ყოფნის დროს.

„ამ ნაშუადღევს მე და ჩემი ძმა ვეწვიეთ როჟდესტვენსკაიას იმ იმედით რომ ვნახავდით თავ. ილია ჭავჭავაძესა და ქ-ნ ოლღას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თბილისში დაბრუნებულან“ (იქვე, გვ. 176).

სექტემბერი — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელობა უგზავნის უწყებას, რომლითაც აფრთხილებენ, რომ მისი მამული ყვარელში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით, თუ არ გადაიხდის ბანკის ვალს (ალ. კალანდაძე. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი ყვარელში. 1958, გვ. 77).

სექტემბრის 19 — სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელობა ილიას წერილობით ატყობინებს, რომ ბანკის ვალის გადაუხდელობის გამო შეუჩერეს პენსიის მიცემა.

„პენსია მაქვს და თვეში ოცდაათს თუმანს ჩვენს ბანკში მიჭერენ თავნსა და სარგებელში. თუ არა გჯერა, ბანკში იკითხე. მე მარტო თვეში ხუთმეტის თუმნით-ღა ვცხოვრობ, და რადგანაც ეს არა მყოფნის, ვალს ვიღებ“ (თსკ, ტ. X, გვ. 73).

ოქტომბერი — ნოემბერი (?) — ილია ანგარიშს უდგენს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს სახელმწიფო საბჭოს განვლილი 1906 და მომავალი 1907 წლის სესიების დროს მისაღები თანხის შესახებ (საისტ. მოამბე. ტ. 3, 1947, გვ. 269).

ნოემბრის 29 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება იხილავს ილიას მიერ წარდგენილ ანგარიშს კუთვნილი თანხის მიღების შესახებ. და უარს ეუბნება 1907 წლის სესიის დამთავრებამდე წინასწარ თანხის მიცემაზე.

დეკემბრის 7 — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი წერილით აცნობებს ილიას თავადაზნაურთა კრების გადაწყვეტილებას თანხის მიცემის შესახებ.

დეკემბრის 17 — თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას. ილიას წინადადებით პატივს მიაგებენ შიო ჩიტაძესა და ნიკო ხიზანაშვილს. ამის შემდეგ კრება გრძელდება ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით. კრება ისმენს 1904 და 1905 წლების მუშაობის ანგარიშს.

•
• •

— ქვეყნდება ილიას მხატვრული ნაწარმოებები წიგნში: 1. პუნების კარი. მე-15 გამოცემა. ტფ., 1906: 2. გომელაური ივ. ქართველი მწერლები. წგ. 1. ტფ., 1906.

— ესწრება ივანე ჯავახიშვილის ლექციას — საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან (ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. 1981, გვ. 85).

„...პროფესორ ივ. ჯავახიშვილმა ჩვენს დედაქალაქ ტფილისში, ყოფილ არტისტულ თეატრის დიდ დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ლექციას მრავალი ხალხი დაესწრო; დაესწრო აგრეთვე ჩვენი დიდი ილიაც“ (გ. შარაძე. საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე. 1986, გვ. 150).

— ილიას აწუხებს გლეხთა გამოსვლების გამო საგურამოში დამსჯელი ჯარის შეყვანის მოლოდინი, იგი წერილით აფრთხილებს მოურავს — „...თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და

მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ“ (თსკ, ტ. X, გვ. 164).

— ილიას გულთან მიაქვს ყვარელში წყალდიდობით გამოწვეული უბედურება და დიდ ამაგს სდებს სოფელს მდინარე დურუჯზე ჯებირების აგებით.

„1906 წ., როდესაც სოფ. ყვარელში წყალი მოვარდა და ნახევარი სოფელი წაიღო და სამოცი ადამიანი წყალმა დაახრჩო, მაშინ ილიამ ბევრი ამაგი დასდო სოფელს, იმით, რომ მთავრობის დახმარება მოახერხა და სოფლის თავში გააკეთებინა ჯებირები მდინარე დურუჯზედ“ (ნ. ჯაფარიძე — ლიტერატურის მატიანე, წგ. 1—2, 1940, გვ. 153).

1907

იანვრის 1 — გაზეთი „შუამავალი“ (№ 1) ბეჭდავს სატირულ პაროდიას — „სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძისა მიერ ს. საგურამიანთ-კარში ეკზეკუციის მინიჭების დროს (მიბაძვა სიტყვისა წინამძღვარიანთ-კარში თქმულისა)“. პაროდია, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით — „ეშმაკი“, ეკუთვნის ნესტორ კალანდაძეს.

იანვრის 3 — „შუამავალი“ (№ 3) (ირეთელის ხელმოწერით) ბეჭდავს პ. კალანდაძის სატირას — „უცხო სიტყვათა ახსნა... „ივერია“— ილიას ნაშთი... მერე კიდევ ფილიპეს ნაშთი... სამშობლოსათვის თავდადებული გაზეთი...“.

თებერვალი — გაზეთი „ზაკავკაზიე“ (№ 31) აქვეყნებს ცნობას თბილისის თავადაზნაურთა კრების მოწვევის შესახებ, რომელზეც განსახილველ საკითხებს შორის მოხსენიებულია ილიას, როგორც სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თავადაზნაურთა წარმომადგენლის, ფულით დაჯილდოების საკითხი.

ასეთივე ცნობას აქვეყნებს „ზაკავკაზიე“ (№ 37).

თებერვალი — „ზაკავკაზიე“ (№ 40) აქვეყნებს ცნობას, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დღევანდელ საგანგებო კრებაზე პეტერბურგში ილიას გამგზავრების გამო ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხი მოხსნილია.

თებერვლის მეორე ნახევარი — მეუღლესთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე მონაწილეობის მისაღებად.

თებერვლის 20-ივნისის 5 — მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიის სხდომებში,

აპრილის დასაწყისი (?) — სახელმწიფო საბჭოს სესიაზე წასაკითხად ილია მუშაობას იწყებს მოხსენებაზე სიკვდილით დასჯის შესახებ.

აპრილის შუა რიცხვები (?) — ილია ამთავრებს მოხსენებას სიკვდილის დასჯის შესახებ.

„— გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს, მერმე-კი სახელმწიფო საბჭოს“ (მ. ბოლქვაძე — ჟურ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 111).

აპრილის 16 — სამადლობელ წერილს უგზავნის სამხედრო ისტორიკოს სიმონ ესაძეს მის მიერ შედგენილი წიგნის მიძღვნისათვის.

„... Примите мою сердечную благодарность за Вашу „Историческую записку“, присилкой которой Вы меня почтили“ (საისტ. მოამბე, ტ. 37—38, გვ. 332).

აპრილის 17 (?) — ილია სიტყვას წარმოთქვამს სახელმწიფო საბჭოს სესიაზე სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ[21].

ივნისის დასაწყისი — მოკლეს ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი.

ივნისის 5 — მუშაობას ამთავრებს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესია.

ივნისის ბოლო (?) — ილია პეტერბურგიდან ბრუნდება თბილისში.

ივნისის ბოლო-ივლისის დასაწყისი (?) — ილია იმყოფება საგურამოში. თავისი დის — ელისაბედ საგინაშვილის რეკომენდაციით ილიას საგურამოს მოურავად აჰყავს დიმიტრი ჯაში.

ივლისის 7 — იონა მეუნარგია წერილს უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს, რომელშიც გამოთქვამს აზრს ილიას საღამოს მოწყობაზე (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. 1954, გვ. 233).

ივლისის შუა რიცხვები (?) — საგურამოდან თბილისში წერილს უგზავნის მეუღლეს.

---

21 ილიას სიტყვა სახელმწიფო საბჭოს სხდომების სტენოგრაფიულ ანგარიშებში არ გამოქვეყნებულა. სესიის 17 და 19 აპრილის სხდომების ანგარიშები გამოქვეყნდა ხარვეზებით, რადგან ზოგიერთი, მთავრობისათვის მიუღებელი, სიტყვა დაბეჭდვა აიკრძალა, ამდენად სავარაუდოა, რომ ილიამ სიტყვა წარმოთქვა სწორედ 17 ან 19 აპრილს.

„Я помню, что в числе писем моего мужа было одно написанное мне в июле этого года из Сагурамо, в котором он сообщает, что управляющий Джаши оказался лгуном и не добросовестным и что он, князь приедет, когда найдет нового управляющего. В июле муж мой недели две жил в Сагурамо без меня, я же была в Тифлисе“ (ოლღა ჭავჭავაძის დაკითხვის ოქმი — წგ-ში: პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. 1938, გვ. 65—66).

აგვისტოს დასაწყისი — საგურამოში ილიას ესტუმრა მისი ბიძაშვილი ზაალ ჭავჭავაძე.

„Это лето, вернувшись из Петербурга, он проводил и себя в деревне, в Сагурамо, туда в начале августа приехал и я“ (ზაალ ჭავჭავაძის დაკითხვის ოქმი. იქვე, გვ. 42).

აგვისტოს 12 — გრიგოლ ვოლსკის დაჭრის გამო ილია თბილისიდან ბათუმში დეპეშას აგზავნის გიორგი ჟურულის სახელზე.

„... გადაეცი ვოლსკის ჩემი ღრმა მწუხარება უბედურების გამო, რომელიც მას ეწია, და გულწრფელი სიხარული მისი ბედნიერად გადარჩენის გამო“ (თსკ, ტ. X, გვ. 166).

აგვისტოს 21 — საგურამოში ილიას ესტუმრა არტურ ლაისტი.

აგვისტოს 27 — ილია მეუღლესთან, არტურ ლაისტსა და მსახურ იაკობთან ერთად მოემგზავრება საგურამოდან თბილისში.

„27 აგვისტოს, დილით, ილია, მისი მეუღლე ოლღა და მე ეტლით თბილისში წამოვედით. ღრუბლიანი დილა იყო, ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმაც წამოვიდა. ეტლს ჩარდახი არა ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალიან შეგვაწუხა... დიღმის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. ილია აქ ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მიეცა“ (არ. ლაისტი. საქართველოს გული. 1963, გვ. 60).

„В понедельник 27 августа князь Илья собрался поехать в Тифлис вместе с женою и взял с собою также свсего лакея Якова... Поехали они в собственном экипаже... с князем Ильей выехал из Сагурамо немец Лейст гостивший у него дня четыре...“ (ზაალ ჭავჭავაძის დაკითხვის ოქმი. წგ-ში: პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. 1938, გვ. 42).

აგვისტოს 29, საღამო — საქმიანი ვიზიტით სტუმრად არის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალთან ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანთან.

აგვისტოს 30.

— დილის 10 საათი — თბილისიდან საგურამოს ეტლით მიემგზავრება ილია. მასთან ერთად არიან მეუღლე ოღლა, მოსამსახურე იაკობ ბითარიშვილი; მეეტლეა თედო ლაბაური.

— შუადღე, 1 საათი და 30 წუთი — საგურამომდე 4 ვერსიის დაშორებით, წიწამურთან ილიას და მის თანმხლებთ თავს ესხმის შეიარაღებული ბანდა. ილია მოკლეს...

თავდასხმის დროს მოკლეს ილიას მსახური იაკობ ბითარიშვილი. ოლღა მძიმედ დაშავდა (ათამდე ჭრილობა თავში, სახეზე, ტანზე). შემთხვევის ადგილზე პირველად მისულებმა უგრძნობ მდგომარეობაში იპოვნეს იგი.

მკვლელებმა გაძარცვეს ყველანი, გარდა მეეტლე ლაბაურისა.

ამავე დღეს, დაახლოებით მკვლელობის დროს, ძარცვავენ ილიას ბინას თბილისში, საიდანაც წაიღეს საოჯახო ნივთები, საქმიანი ქაღალდები, მიმოწერა.

— ილიას ნეშტი წაასვენეს საგურამოში.

სექტემბრის 1-8 — თბილისში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, საქართველოს გარეთ იმართება პანაშვიდები.

სექტემბრის 7 — ილიას ნეშტი საგურამოდან გადმოასვენეს თბილისში.

სექტემბრის 8 — პანაშვიდი.

სექტემბრის 9 — ილიას ცხედარი დასვენებულია სიონის ტაძარში. წირვა და პანაშვიდი.

— გამოსვენება. ცხედარი სიონის ტაძრიდან გამოაქვეთ ნ. ცხვედაძეს, ან. ფურცელაძეს, ი. გოგებაშვილს, არ. ლაისტს...

— დაკრძალვა მამა დავითის მთაზე.

— დაკრძალვის დღეს ხალხს უფასოდ ურიგდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული „ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით“.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე გ. დ. 263, 264, 315
აბაშიძე ვანიკო 340
აბაშიძე ვასო 109, 112, 161, 171, 173, 179, 224, 310
აბაშიძე ივანე 127, 129
აბაშიძე კიტა 258, 273, 282, 287, 297 299, 310, 328
აბაშიძე ნიკოლოზ 42
აბაშიძე სამსონ 31, 32
აბდუშელიშვილი დ. 116
აბხაზი გიგო 11, 39
აბხაზი კოხტა 9, 13, 15, 17, 19, 22, 23, 29
აბხაზი ნიკოლოზ 10, 139
აბხაზი ნინო იხ. ჭავჭავაძე ნინო გრიგოლის ასული
აბხაზი — მაყაშვილი მარიამ 240
ადამია (მასწ.) 277
ავალიშვილი დ. 83, 85, 92, 103, 133, 184, 191, 246, 256
ავალიშვილი ზ. 317
ავალიშვილი ნ. 103, 108, 298
ავეტიქიანცი ც. 324
ალექსანდრე ეპისკოპოსი 168, 285, 286, 320, 329
ალექსეევ-მესხიევი სარდიონ 14, 28
ალექსი-მესხიშვილი ნ. 324
ალისუბნელი იხ. ჩიკვაიძე რაჟდენ
ამატუნი ნ. 145.
ამილახვარი ივანე 138, 309
ამილახვარი კ. ი. 279
ამირეჯიბი მაკინე 232, 236
ამირეჯიბი სარდიონ 232
ამირეჯიბი სოფიო 318
ანდრონიკაშვილი (მაზრის უფროსი) 11
ანდრონიკაშვილი (გუბერნატორი) 11
ანდრონიკაშვილი გ. 64
ანდრონიკაშვილი იასე 56, 138, 175—177, 218
ანდრონიკაშვილი ივანე 256, 272, 316
ანდრონიკაშვილი მ. 76, 296
ანდრონიკაშვილი ნ. დ. 280
ანდრონიკაშვილი ნენე 18
ანდრონიკაშვილი რევაზ 53—55, 60, 70, 71, 78, 192
არაგველი იხ. კეზელი დავით
არაყიშვილი დიმიტრი 323
არდაზიანი ლავრენტი 38, 39
არენდი ნ. 21
არღუთაშვილი-მხარგრძელი ა. 265
არჩილ მეფე 184
ასათიანი (ქუთაისის თავი) 157
ასომპსიონისტი ავრელიო 318
აფხაზი იხ. აბხაზი
აქსაკოვი ი. 161
აშორდია თ. 178
ახვლედიანი დარია იხ. განდეგილი
ახვლედიანი ვ. 286
ახნაზაროვი არტემ 234, 264, 289, 290, 296, 317

ბ

ბაგრატიონი ნინო 173
ბაირონი 16, 22, 26
ბალანჩივაძე მელიტონ 215
ბალახაშვილი იაკობ 10—12, 23
ბარათაშვილი გ. 28
ბარათაშვილი ნიკოლოზ 17, 25, 36, 37, 39, 46, 50, 51, 61, 62, 64, 66 80, 82, 126, 218, 222, 228, 301
ბარათაშვილი სულხან 37
ბარათოვი გ. იხ. ბარათაშვილი გ.
ბარკალაია (ბერი) იხ. ბენედიქტე ბერი
ბარონ ნიკოლაი იხ. ნიკოლაი ალ.

ბასტია 40
ბაუმჰანტნერი ალ. 278
ბაქარ ქართლელი იხ. ყიფიანი დიმიტრი
ბაქრაძე დიმიტრი 18, 81, 88, 92, 157, 169, 193, 202, 203, 215, 288, 293
ბაქრაძე იოსებ 103, 108, 298, 330
ბაქრაძე მ. 271, 281
ბაშინჯაღიანი 177
ბახტაძე (გიმნაზიელი) 111
ბახტაძე ილია 132, 157, 160, 165, 169, 222, 223, 258
ბებუთაშვილი მაგდან იხ. ბებურიშვილი მარიამ
ბებუთოვი მ. 84, 85, 108, 109
ბებუთოვი კ. 76
ბებურიშვილი ატატო 75
ბებურიშვილი მარიამ 5, 6, 8
ბეთანიშვილი მიხეილ 49, 51, 316
ბელინსკი ბ. 39
ბენედიქტე ბერი 152
ბერიძე ა. 150, 161
ბერიძე ი. 30
ბერტილონი ჟაკ 273, 275
ბერძენიშვილი ნიკოლოზ 77
ბერძნიშვილი გ. 235
ბესარიონ ეპისკოპოსი 259
ბითარიშვილი იაკობ 351
ბისმარკი 163
ბიძია თონიკე იხ. არდაზიანი ლავრენტი
ბლიუმერი კ. 277
ბობრინსკი 199
ბოდენშტეტი ფრიდრიხ 198
ბოლქვაძე მალაქია 343, 345, 349
ბოსკო 273
ბოსლეველი იხ. მშედლიძე ესტატე
ბოცვაძე იოსებ 96
ბოცვაძე ლუარსაბი 282
ბროსე ლორან 320
ბროსე მარი 87, 113, 232, 233, 318—320
ბუვიე 101, 104, 105, 110, 115, 116, 222
ბულანჟე 168

გ

გ-ლი პ. 300
გაბაშვილი გიგო 158, 282
გაბაშვილი ეკატერინე 145, 151, 167, 245, 246, 252, 264, 282, 315
გაბიანცი ვ. 327
გაბრიელ ეპისკოპოსი 193, 208, 209, 258—260
გაბუნია თეიმურაზი 326
გაბუნია ნატო 118, 119, 129, 131, 149
გამალეი ნ. 193
გამყრელიძე ვიქტორ 217, 218
განდეგილი 315
გარიბალდი ჯუზეპე 9, 158
გაუხარაშვილი 22, 23
გედევანიშვილი მიხეილ 341—344
გეკკელი მ. 238
გელოვანი ქაიხოსრო 317
გველესიანი ივ. 318
გიორგი IV 158
გიორგი XII 98
გლადსტონი 163
გლეზერი მარია 286
გოგებაშვილი იაკობ 48, 72, 91, 95, 103, 124, 138, 145, 151, 162, 179, 190, 197, 201, 215, 238, 247, 252, 262, 270, 288, 310, 313, 323, 329, 333
გოგიჩაიშვილი ფილიპე 328, 329, 337
გოგოლაძე კ. 294
გოგოლი ნ. 165, 250
გოეთე 16, 20, 152
გოზალიშვილი შ. 124, 129, 141, 193, 253, 254, 275, 299, 307, 345
გოლდონი 309, 311
გოლიცინი გ. 268, 283
გომართელი ივანე 103, 298, 318, 322
გომელაური ივანე 277
გორგასალი 158
გორგაძე სერგი 293
გრაბოვსკი პ. 278, 303
გრენი ა. 296
გრიბოედოვი ალ. 247
გრიქუროვი ზ. 161, 167
გრიშაშვილი ი. 162
გრუზინსკი მიხეილ 246, 292, 338
გრუზინსკი პეტრე 222, 245, 256
გუგუშვილი პაატა 337, 350
გულაკი ნ. 209
გულისაშვილი შალვა 88

გუნია ვალერიან 184, 207, 215, 224, 269, 282, 327, 329
გურამიშვილი დავით 139, 144
გურამიშვილი დავით ალექსანდრეს ძე 110, 248, 295
გურამიშვილი ეკატერინე 79, 311
გურამიშვილი ზაალ 330
გურამიშვილი თადეოზ 82
გურამიშვილი ოლღა იხ. ჯაჯავაძე ოლღა
გურგენოვი ე. 273, 281
გურიელი მამია 51, 278, 315

დ

დადიანი აღათი 326
დადიანი ნიკოლოზ დავითის ძე 149, 150
დადიანი სალომე 17
დავიდოვა მ. 214
დავით აღმაშენებელი 104, 158, 187, 239
დავითაშვილი იოსებ 177
დავითაშვილი ნ. 100
დავითაშვილი შიო 188
დამსწრე იხ. წერეთელი გიორგი
დე ბაი 295—297, 310, 327, 328, 345
დემურია მარიამ 314
დემუროვი მ. 251
დიასამიძე გრიგოლ 322, 338
დიმიტრი II 158
დიმიტრიძე ნიკ. იხ. ყიფიანი ნიკოლოზ
დინგელშტეტი 178
დობროლიუბოვი ალ. 36, 37
დოდაევი სფრ. 15
დოდაშვილი რ. 320
დოდაშვილი სოლომონ 81
დოდე ალფონს 91, 97, 100, 229
დონ-იაგო იხ. მანსვეტაშვილი იაკობ
დუბროვინი ნ. 296

ე

ებერსი გეორგ 96, 98, 149
ედილაშვილი ლ. 238
ევდოშვილი იროდიონ 311, 315, 323, 332
ეზოვი გ. 290, 293
ეისნერი ა. 275
ეკალაძე გოგილა 51
ელბაყიძე ა. იხ. არდაზიანი ლავრენტი
ელიოზიშვილი კ. 242
ელისეევი გ. 209
ემინი ნიკიტა 164
ენფიანჯიანცი (სტამბის მეპატრონე) 33
ერეკლე II 158, 193, 238, 279—281, 293, 294
ერისთავი გ. რ. 92
ერისთავი გიორგი დ. 37, 50, 51
ერისთავი დავით 55, 58, 59, 62, 80, 92, 103, 108, 113, 122, 123, 145, 146, 149, 156, 157, 159, 188, 189, 207, 215, 217, 298
ერისთავი ზაქარია 253, 267
ერისთავი ივანე 8
ერისთავი მ. ზ. 279
ერისთავი ნ. ბ. 110, 217, 232, 279
ერისთავი რაფიელ 15, 80, 81, 103, 107, 109, 144, 145, 156, 157, 159, 164, 173, 175, 185, 252, 253, 263, 274, 278, 308, 312, 313
ერისთავი რევაზ 26—28
ერისთავი სანდრო 77
ერმოლოვი ა. 243
ესაძე ბორის 301, 328
ესაძე სიმონ 349
ესებუა ნესტორ 164
ეშმაკი იხ. კალანდაძე ნესტორ

ვ

ვაგნერი (ექიმი) 305
ვაჟა-ფშაველა 217, 255, 278, 333, 335, 336
ვართაგავა იპოლიტე 235, 293
ვახნაძე თ. 242, 305, 306
ვახნაძე ლ. 204
ვაწაძე ს. 211, 212
ვახვახოვი ა. 239, 267, 283
ვახუშტი ბატონიშვილი 319
ვეზირიშვილი მ. 338
ველიჩკო ვასილ 208, 221, 236, 252, 264, 266, 273—275, 278, 290, 296, 304, 321, 330, 333
ვერმიშევი ქრ. 296, 331, 332
ვეტერანი იხ. მიქელაძე ვლადიმერ

ვირსალაძე სპ. 336
ვლადიმერ ექსარხოსი 259, 279
ვოლსკი გრიგოლ 99, 100, 185, 268, 350

ზ

ზადიკაშვილი მარტინ იხ. ერისთავი დავით
ზავადსკი 226—228
ზარაფიშვილი ილია 284, 285, 287
ზახარინი გრიგორ 213
ზდანოვიჩი გიორგი 219, 257, 258
ზოილი იხ. კეზელი დავით
ზუბალაშვილი ა. 247
ზუბალაშვილი მარიამ 323
ზუბალაშვილი სტეფანე 331, 332
ზურაბიშვილი ი. 274, 282

თ

თაგუნა იხ. შარაშიძე შალვა
თავართქილაძე ქ. 255, 303
თამამშევი 224
თამარ მეფე 238
თარხნიშვილი (ჭოჭანდაკე) 268
თარხნიშვილი ივანე 55, 300
თარხნიშვილი იოსებ 54
თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ. 246, 346
თაყაიშვილი ეკვთიმე 142, 201, 247, 259, 288, 290, 292, 296
თეიმურაზ I 184
თოიძე მ. 238, 251
თოიძე გ. 268
თომაანთ კობა იხ. ცინცაძე ი.
თომაშვილი ნ. 122
თულაშვილი ვახტანგ 30, 37, 54, 313
თუმანიშვილი გიორგი 81, 98—100, 103, 108, 144, 145, 181, 269, 276, 278—282, 298
თუმანიშვილი ვასილ 255
თუმანიშვილი მიხეილ 54, 55, 164
თხორქევსკი 132, 143, 144, 189, 199, 257, 273, 298, 323

ი

იაკიმოვი პ. 219
იაკშიჩი ჯურა 94
იანოვსკი 115, 116
იგნატიევი (გუბერნატორი) 29
ივანოვი (ბიბლიოთეკის მეპატრონე) 66
ივაშკევიჩი ი. 215
ინანაშვილი ვ. 177
ინგოროყვა პავლე 17, 23, 30, 46, 123
იოვიძე ა. 31
იოსელიანი გიორგი 151, 202
იოსელიანი ეგნატე 156
იოსელიანი ესტატე 111, 143
იოსელიანი პლატონი 54, 67, 98
იპოლიტოვ-ივანოვი მ. 254
ირეთელი იხ. კალანდაძე პოლიო
ისარლიშვილი რაფიელ 308

კ

კავთელი იხ. ცხვედაძე ნიკო
კავსაძე ლ. 322
კაზალეტი ე. 274
კაზიბეკი იური 278
კაკაბაძე თეიმურაზ 150
კალანდაძე ალ. 37, 39, 45, 93, 98, 205, 286, 344, 346
კალანდაძე ნესტორ 348
კალანდაძე პოლიო 348
კალატოზიშვილი ა. 234
კალატოზიშვილი იულია 234
კალინოვსკი ა. 152
კანდელაკი ერ. 259
კანდიანო კოლონა 154
კარბელაშვილი ვასილ 290
კარგარეთელი ია 278
კარიჭაშვილი დავითი 156, 291, 295, 297
კატკოვი 122—124
კახიძე ვასილ 312
კეზელი დავით 127, 133, 135, 136, 162, 163, 188, 198, 281
კენჭოშვილი ა. 37
კენჭოშვილი ირ. 16
კერესელიძე ივანე 14, 15, 27, 32, 33, 224
კვალიაშვილი ალექსი 168, 170

კინწურაშვილი კ. 84, 95, 199, 205
კირვალიძე ვასილ 200
კირიონი 289, 319, 345
კლდიაშვილი დავით 248, 259, 316
კლდიაშვილი საბა 340
კლენოვსკი ნ. 278
კლიმიაშვილი ი. 50
კობიაშვილი ალ. 245, 276, 338
კოზლოვი ი. 26, 27
კოლხიდელი გ. 15
კოლჩინა 15
კონდაკოვი 296
კოციუბინსკი მ. 286
კოპლავაშვილი ალ. 143
კრიმ-გირეი 319
კრინიცკი 167
კურდღელაშვილი ს. 227

ლ

ლაბაური თედო 351
ლაისტი არტურ 130, 131, 139, 144—146, 152, 186, 192, 199, 229, 230, 273, 304, 329, 350, 351
ლარა 104, 105, 229
ლასხიშვილი გიორგი 248, 250, 258, 259, 278, 301, 303, 308
ლაღიძე მიტროფანე 289
ლებედევი ვ. 294
ლეგი ჟ. 319, 320
ლეიდენი ე. 256, 305, 307, 314
ლელო იხ. მეუნარგია იონა
ლენცი ემილ 15, 30
ლეონიდ ეპისკოპოსი 345
ლერმონტოვი მ. 21, 25, 26, 250
ლესინგი 58
ლიხელი გობრონ იხ. ჭრელაშვილი გ.
ლოლაძე სალომე 6
ლომოური ნიკო 156, 313, 315
ლორთქიფანიძე ანტონ 88
ლორთქიფანიძე კირილე 29, 31, 32, 38, 43, 44, 46, 48, 49, 55, 61—64 66, 80, 82, 111, 148, 179
ლორის-მელიქოვი მიხეილ 54
ლუარსაბ II 158, 167

მ

მადალენა ე. 309, 311
მაზაკვალი იხ. წერეთელი გიორგი
მაიაშვილი გ. იხ. ზდანოვიჩი გიორგი
მალცევი 71
მამაცაშვილი ილია 33
მამაცაშვილი კონსტანტინე 92, 198, 218, 225, 296
მამაცაშვილი ქრისტეფორე 45, 239, 276, 277, 280—283, 306, 309
მანი 194
მანსვეტაშვილი იაკობ 190, 194, 202
მარკოვი ევგენი 295, 296
მარკოზაშვილი შალვა 239
მარქსი კ. 130
მაქსიმიძე 171
მაღალაშვილი ლევან 109, 126, 198, 204, 222
მაყაშვილი ა. 181
მაშკინი 255
მაჩაბელი ანასტასია 267
მაჩაბელი დავით 15
მაჩაბელი ვასილ 75, 76, 79, 89, 90, 92, 149, 150, 302, 342
მაჩაბელი ივანე 71, 73, 74, 76, 88—90 98, 103, 108, 115, 117, 121, 122, 129, 130, 145, 152—154, 157, 162, 172
185, 191, 193, 204, 210, 212, 213, 218, 219, 226, 232—234, 240—242, 245, 257—259, 262, 266, 267
მაჩაბელი მიხეილ 156, 169, 240
მაჩაბელი სოლიკო 169
მაჩხანელი დ. იხ. ნადირაძე დიმიტრი
მაჩუტი 194
მაშავარიანი თომა 32
მაშავარიანი მ. 98
მაშახელიძე იხ. ჭყონია ა.
მახარაძე ფილიპე 287, 314, 315, 317, 338
მგალობლიშვილი სოფრომ 156, 181, 182, 234, 283, 324
მგალობელოვი დ. 15
მეგახლავარ იხ. ნასიძე მიხეილ
მეგრელი დუტუ 315, 323
მეველე იხ. მიქელაძე დავით
მეიერი 148, 297

მეისნერი 130
მელიქიშვილი დავით 322
მელიქიშვილი იოსებ 153, 154, 232
მელიქიშვილი ლევან 54, 217
მელიქიშვილი სტეფანე 65, 82, 106
მელიქოვი (მესტამბე) 65
მელქუმიანი (სტამბის მეპატრონე) 33
მემარნიშვილი მოსე 334, 341, 344, 349
მენდელეევი ი. 296
მერცბახერი გოტფრიდ 215
მესხი დავით 154
მესხი ეკ. 136
მესხი ივანე 288, 316
მესხი კ. 57, 109, 129, 161, 282
მესხი ნ. 136
მესხი ს. 55, 64, 65, 81—83, 85, 86, 105, 107, 109, 110, 114, 115, 121, 122, 127, 129, 132, 136
მესხიშვილი ი. 80
მესხიშვილი ნ. 324
მეუნარგია იონა 7, 8, 116, 132, 136, 137, 148—150, 156, 158, 189, 313, 349
მეღვინოვი გრ. 124
მთავრიშვილი თომა 274
მთვარელიშვილი ნიკო 218
მთიული 161, 164
მირიანაშვილი ალექსი 151
მირიანაშვილი პეტრე 316
მიტჩელი 37
მიქელაძე დავით 145, 229, 230, 232, 234, 238, 258, 259, 292
მიქელაძე ვლადიმერ 132, 135, 218, 302, 342, 343
მიხელიძე გ. 205
მოენიძე იხ. ფურცელაძე ანტონ
მოლაყბე იხ. სულხანიშვილი გ.
მოპასანი 3
მორფილი ვ. 190, 192, 193, 308
მოსაუბრე იხ. მახარაძე ფილიპე
მოჩხუბარიძე ალ. იხ. ყაზბეგი ალ.
მოხუცი პედაგოგი 225
მური ტომას 57
მურიე ი. 299
მურიელიო 158
მუსხელოვი ანა 120
მუხრანბატონი გ. 54, 56, 58
მუხრანბატონი ივანე 32, 45, 54, 79, 92, 127, 151, 192
მუხრანბატონი კ. 56, 250, 272
მჭედლიშვილი ბეჟან 332
მჭედლიშვილი ლევან 130
მჭედლიძე ესტატე 122, 126, 127, 135

ნ

ნადიკვრელი იხ. ზარაფიშვილი ილია
ნადირაძე დიმიტრი 180—182
ნაეროცკი ა. 209
ნათიევი ფ. 88, 91, 92
ნათიძე ნ. 9, 135, 264
ნაკაშიძე ბაბალე 250
ნაკაშიძე ილია 258
ნაკაშიძე პეტრე 30, 52, 53, 82, 250
ნანეიშვილი ალექსანდრე 113, 114, 117, 138, 139, 206, 207, 253
ნარი იხ. ჟორდანია ნოე
ნასიძე მიხეილ 149, 273, 286, 287
ნატროშვილი ა. 275, 315
ნაცვალაძე დ. 89
ნაცვლიშვილი ვანო 336, 338
ნებიერიძე ა. 208
ნიკიტინი ა. 265
ნიკოლაი ალ. 55
ნიკოლაძე ნიკო 13, 29, 36, 52, 55, 56, 63, 65, 70, 73, 76, 77, 83—86, 89, 94, 95, 109—111, 131, 132, 136, 144, 146, 155, 159, 161, 162, 185, 198, 199, 257, 258, 283, 288, 291, 295, 309, 319, 336, 337, 339, 343, 344
ნინოშვილი ეგნატე 108
ნინოწმინდელი 158, 315
ნიჟარაძე ბესარიონ 94, 95, 214
ნიჟარაძე დავით 259
ნიჟარაძე კონსტანტინე 150

ო

ოდნოუსოვი ა. 272
ოლდენბურგელი პ. 324, 325
ოპოჩინინი პ. 340

ორახელაშვილი ივანე 287
ორბელიანი ა. ი. 15, 126
ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე 28, 40, 326, 343, 350
ორბელიანი გიორგი 222, 276, 324
ორბელიანი გრიგოლ 31, 37, 54—56, 58, 76, 80, 89, 91, 94, 98, 102—104, 106, 113, 116, 133, 134, 189, 241, 278
ორბელიანი ვახტანგ 15, 130, 207, 243, 249 278
ორბელიანი ივ. 138
ორბელიანი მაიკო 66
ორბელიანი ნინო 340
ორლოვი (პროფესორი) 281
ოსკარი (შვეციის მეფე) 199
ოსტროვსკი (მინისტრი) 210
ოქრომჭედლიშვილი ილია 120, 121, 123, 124, 129, 140, 141, 169, 182, 183, 192, 194, 197, 279
ოქროპირიძე ალექსანდრე იხ. ალექსანდრე ეპისკოპოსი
ოცხანელი კ. 239

პ

პავლიევი 107
პაპიაშვილი ტ. 45
პასილი გულიელმო 299, 307
პატკანოვი 293
პეკარსკი (პოლკოვნიკი) 146
პეტრიძე მ. იხ. უმიკაშვილი პეტრე
პლებსი იხ. ხიზანაშვილი ნიკო
პოლონსკი ი. 16
პოლტორაცკი ივანე 30, 167, 221
პრუდონი 40
პუშკინი ა. 18, 26, 250, 292, 294

ჟ

ჟორდანია თედო 223
ჟორდანია ნოე 249, 251, 285, 290, 294, 299—303, 339
ჟურული გიორგი 232, 276, 280, 340—342, 350

რ

რაევსკი 8
რაზიკაშვილი ლ. იხ. ეაჟა-ფშაველა
რატიანი პროკოფი 42
რატიშვილი (გომნაზიელი) 111
რატიშვილი ვახტანგ 251
რატიშვილი ნიკოლოზ 251
რიგოლეტო იხ. ევდოშვილი იროდიონ
რიუკერტი 20, 22, 23
რიშ-ბაბა იხ. სარაჯიშვილი ალ.
როინაშვილი ალექსანდრე 285
როპპი ე. 325
როსი ერნესტო 205
როსტომაშვილი ელ. 263
როსტომაშვილი ივანე 263, 265
რუსთაველი შოთა 6, 65, 113, 114, 116, 117, 121, 129, 139, 144, 147, 158, 178, 181, 190, 199, 239, 251, 253
რჩეულიშვილი გ. 15, 51

ს

ს-ნელი 311
საბინინი 106
საგინაშვილი ალექსანდრე 61, 66, 70, 138, 178
საგინაშვილი ელისაბედ იხ. ჭაქვავაძე ელისაბედ
საგინაშვილი ი. 279
სავანელი ალექსანდრე 15, 30, 67
სალუქვაძე შ. 340
სანდალა იხ. ჭიჭინაძე ზაქარია
სანინელი იხ. ყიფიანი კოტე
სანო იხ. ჭრელაშვილი სტეფანე
სარაჯიშვილი ალექსანდრე 99—101, 103, 139, 146, 293, 298, 315, 316, 320, 321, 328
სარაჯიშვილი დავით 108, 131, 185, 279, 292, 296, 327, 328, 345
სარაჯიშვილი ეკატერინე 323, 328
საფაროვა მაკო 161, 173, 175
საფაროვი ა. 104
საყვარელიძე გ. 328
სახოკია თედო 264, 271, 275, 289, 326—328

სერებრიაკოვი ივანე 32
სერჟპუტოვსკი 127, 129
სეფაშვილი ნიკოლოზ 6, 7
სიმბორსკი (პოეტი) 110
სკანდელი იხ. ნიკოლაძე ნიკო
სკოტი ვალტერ 16
სოლსკი (გრაფი) 340, 341
სოსლანი დავით იხ. კეზელი დავით
სტაროსელსკი გივი 335, 336
სტაროსელსკი დიმიტრი 62, 96, 106, 137
სტაროსელსკი სიმონ 167
სტრუვე პ. 98
სტურუა ზ. 312
სულხანიშვილი ტ. 17
სულხანიშვილი ვ. 305, 306
სულხანოვი ი. 277
სუმბათაშვილი ალექსანდრე 328
სუმბათაშვილი დავითი 151
სუნდუკიანცი გ. 173, 196
სურგულაძე აკაკი 201
სუტნერი 147

ტ

ტაიროვი ვ. 196
ტატიშვილი 125
ტატიშჩევი 261
ტიხიევი 160
ტვირთმძიმელი თ. 327
ტოლსტოი ლ. 310
ტრუბაჩოვი 213
ტურგენევი ი. 140, 229

უ

უთურგაული გ. 103
უილიამსი ვ. 256
უმიკაშვილი პეტრე 22, 57—59, 73, 74, 80, 81, 88, 140, 145, 146, 157, 162, 169, 174, 185, 204, 206, 214, 299, 313, 328, 330, 331
უმწიფარიძე გ. იხ. ვოლსკი გრიგოლ
უნდილაშვილი (მეცხვარე) 344
უორდროპი მარჯორი 244—246, 256, 258, 262, 263, 265, 321, 346
უორდროპი ოლივერ 185, 187, 193, 244, 256, 263, 346
ურბნელი იხ. ხიზანაშვილი ნიკო
უსპენსკაია მარინე 88, 89

ფ

ფალავანდიშვილი დ. 204
ფანცხავა რ. 225, 254
ფაღავა (კნეინა) 259
ფაღავა მექი 150
ფერაძე ლ. 315
ფითუაშვილი ი. 109
ფირალოვი არტემ 189, 256, 266
ფირუმიანი ტ. 209, 289
ფირცხალავა სამსონ 340
ფლავიანე ექსარხოსი 283
ფლოროვი ი. 172
ფრონელი ა. იხ. ყიფშიძე ალ.
ფრონელი გრ. იხ. ყიფშიძე გრ.
ფურცელაძე ანტონ 37, 39, 60, 151, 188, 313, 314, 317, 351
ფურცელაძე ისაია 277
ფურცელაძე ლევანი 314

ქ

ქ. ი. 302
ქანანოვი ნ. 103, 133
ქართველი ექიმი 302
ქართველიშვილი გიორგი 147, 151, 169, 199, 248
ქართველიშვილი ი. 272
ქაჯაია ვარლამ 337
ქეთევან დედოფალი 239
ქიქოძე გაბრიელი იხ. გაბრიელ ეპისკოპოსი
ქიქოძე ნ. 277
ქიქოძე ტიტე 304
ქიშმიშევი (გენერალი) 189, 190
ქიშმიშევი ს. 281
ქუთათელაძე არისტო 164
ქუთათელი 207
ქუჩუკაშვილი შიო 194

ღ

ღა-ძე რ. 225
ღვანკითელი ვარდენ იხ. ყიფიანი ვ.
ღვიმელი 45, 46
ღოღობერიძე ბესარიონ 29, 54, 55, 81, 82, 85—87, 91, 94—96, 100, 101
ღოღობერიძე გიორგი 33, 42, 269
ღოღობერიძე ნიკოლოზ 32, 157, 323
ღოღობერიძე სიმონ 149
ღუდუშაური გ. 209
ღულაძე ანდრო 179, 232, 235

უ

უაზბეგი ალექსანდრე 156, 161, 235
უაზბეგი გიორგი 30
უაზბეგი დიმიტრი 52, 53, 61, 67, 71, 80, 91, 94
უაზბეგი ნიკოლოზ 47
ყიფიანი დავით 30, 32, 61, 71, 79, 222
ყიფიანი დიმიტრი 54, 68, 79, 80, 96, 101—103, 105, 107—109, 118, 153, 165—169, 178, 179, 184, 185, 209, 233, 298
ყიფიანი ვ. 151, 237
ყიფიანი კოტე 109, 112, 133, 134, 161, 197, 217
ყიფიანი ლ. 324
ყიფიანი მიხეილ 30, 208
ყიფიანი ნიკოლოზ 52, 57
ყიფიანი ნინო 184
ყიფიანი პალიკო 232, 302, 303
ყიფიანი პეტრე 282, 327
ყიფიანი სამსონ 149, 232, 294, 295
ყიფშიძე ალექსანდრე 232—234, 236, 238, 301, 302, 316, 344
ყიფშიძე გრიგოლ 38, 110, 128, 142, 149, 150, 157, 169, 217, 232, 234, 236, 238, 289, 315, 316
ყლურწი 120

შ

შავერდოვი ს. 266
შავიზღვისპირელი იხ. საბოკია თ.
შალიკაშვილი ი. 110, 113
შარაშიძე შალვა 335
შარაძე გურამ 202, 306, 307, 340, 347
შაუმოვი (შაღაზიის მეპატრონე) 271
შელგუნოვი ნ. ვ. 188, 189, 209
შელგუნოვი ნ. ნ. 188, 189
შენგელია ნ. 238
შენიე ანდრე 39
შერემეტიევი 261
შერვაშიძე გ. 73, 221
შექსპირი უ. 22, 65, 71, 73—75, 79, 88, 89, 98, 105, 158, 161, 176, 205, 258, 342
შვანი ა. 117
შილერი ფ. 16, 20, 333, 335
შმერლინგი ო. 317, 325
შოშიევი სოლომონ 168
შუხარდტი ჰუგო 250, 253—255, 263

ჩ

ჩაიკოვსკაია სოფიო 19, 25
ჩაიჩენკო ვ. 231, 303
ჩარკვიანი გრ. 113, 114, 128, 132
ჩარექიშვილი იოსებ 257
ჩერნიგოვეცი 189
ჩერქეზიშვილი ელისაბედ 171, 314
ჩიკვაიძე მიხაილ 30
ჩიკვაიძე რაჟდენ 164
ჩიორა იხ. ახნაზაროვი არ.
ჩიტაური ნ. 93, 94
ჩიტაძე შიო 345, 347
ჩიქოვანი ა. 15
ჩიქოვანი გიორგი 30, 80
ჩოდრიშვილი მ. 250
ჩოლოყაშვილი ბ. 309
ჩოლოყაშვილი ა. 85, 92, 151, 184, 232, 234
ჩოლოყაშვილი დიმიტრი 326
ჩოლოყაშვილი ელენე 35

ჩოლოყაშვილი ერასტი 138
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ 138
ჩოლოყაშვილი სანდრო 77
ჩუბინაშვილი დავით 45, 71, 89, 90, 92, 120, 183, 194, 204—206, 212—215, 220, 221, 250
ჩუბინაშვილი ეკატერინე 212
ჩხოტუა დ. 82
ჩხიკვაძე ზ. 263
ჩხიტუნიძე თ. 247, 313, 314, 330, 331

ც

ცაგარელი ავქსენტი 109, 115, 174
ცაგარელი ალექსანდრე 45, 50, 51, 71, 84, 89, 90, 94, 95, 120, 199, 212, 247, 345
ცინცაძე ი. 260
ციციშვილი გ. 234, 236
ციციშვილი ტატო 336
ცხვედაძე ნიკო 91, 103, 145, 151, 157, 237, 247, 261, 279, 284, 292, 294, 296, 304, 307, 313, 330, 337, 351

ძ

ძამსაშვილი რ. 141
ძველი ეკალი იხ. ნასიძე მიხეილ

წ

წერეთელი აკაკი 31, 45, 46, 51, 55, 57, 76, 80, 82, 83, 85, 86, 99, 107, 109, 115, 120, 128, 145, 151, 156, 159, 161, 164, 166, 170, 175, 176, 178, 179, 181, 188, 252, 255, 261, 278, 280, 289, 296, 297, 307, 315, 324, 333
წერეთელი ალექსი ნიკოლოზის ძე 88, 89
წერეთელი გიორგი 29, 30, 39, 41, 108, 229, 231, 238, 257, 270, 291, 299, 309, 315
წერეთელი ეფთვიმე 31
წერეთელი ირაკლი 324
წერეთელი ს. 192
წინამძღვრიშვილი ილია 30, 169, 317, 339
წულაშვილი გიო 50
წულუკიძე გ. 302
წურწუმია ა. 287

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 25, 27, 51, 54, 90, 263
ჭავჭავაძე გრიგოლ 5—9, 11
ჭავჭავაძე ეკატერინე 17
ჭავჭავაძე ელისაბედ გრიგოლის ასული 5—9, 11, 12, 70, 72, 73, 139, 148, 149, 158, 245, 246, 349
ჭავჭავაძე ელისაბედ სოლომონის ასული 15
ჭავჭავაძე ზაალ 46, 350
ჭავჭავაძე ზაქარია 309
ჭავჭავაძე თეიმურაზ 6, 11, 24
ჭავჭავაძე ი. ს. 309
ჭავჭავაძე იასე 54, 81, 97, 138, 309
ჭავჭავაძე კონსტანტინე 6, 7, 12
ჭავჭავაძე მაკრინე 8, 9, 11, 15, 23, 24
ჭავჭავაძე მიხეილ 48—50
ჭავჭავაძე ნიკოლოზ 42
ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე 268
ჭავჭავაძე ნინო გრიგოლის ასული 10, 11, 14, 20, 21, 69, 139, 202
ჭავჭავაძე ოლღა თადეოზის ასული 33—35, 37, 38, 42, 44, 62, 64, 65, 67—73, 77—79, 104, 140—142, 148, 149, 167, 181, 218, 245, 246, 248, 251, 300, 306, 314, 315, 321, 322, 339, 346, 348, 350, 351
ჭავჭავაძე სოლომონ 23
ჭალადიდელი 315

შელიძე სპირიდონ 332
ჩილაძე ე. 147, 161
ჩიჩინაძე ა. 125, 128
ჩიჩინაძე ზაქარია 96, 128, 132, 193, 253, 278, 329
ჩრელაშვილი სტეფანე 125, 127, 190, 193, 198, 219, 237, 238, 322
ჩყონია ა. 99, 145, 151, 155, 162, 169, 205
ჩყონია ილია 88

ხ

ხაბურძანია ე. 203, 291
ხახანაშვილი ალექსანდრე 214, 215, 236, 249, 250, 296, 303, 315
ხატისოვი ი. 208
ხელაძე ე. 88, 89, 104, 159, 182
ხელთუფლიშვილი მიხეილ 189
ხვედელიძე გ. 343, 344
ხიზანაშვილი დავით 182, 192
ხიზანაშვილი ნიკო 135, 137, 144, 177, 217, 219, 232, 314, 318, 324, 347
ხომლელი იხ. ფანცხავა რ.
ხონელი ილია იხ. ბახტაძე ილია
ხუდადოვი ნიკოლოზ 119, 129, 177, 210, 280, 302
ხუნდაძე სილოვან 163, 239, 240
ხუნდაძე სიმონ 56
ხუნდაძე ტროფიმე 11, 135, 150
ხუსკივაძე თეოფილე 259
ხუციშვილი (გიმნაზიელი) 111
ხუციშვილი სოლომონ 130

ჯ

ჯაბადარი ივანე 198
ჯავახიშვილი ივანე 257, 347
ჯავახიშვილი მიხეილ 317, 334
ჯამბაკურ ორბელიანი იხ. ორბელიანი ჯ
ჯანაშვილი დიმიტრი 46
ჯანაშვილი მოსე 88, 327
ჯანდიერი ლ. 208, 232, 234
ჯანდიერი ნიკოლოზ 242, 304—306
ჯანდიერი ტ. 184
ჯაფარიძე ბესარიონ 81, 82
ჯაფარიძე ვ. 324
ჯაფარიძე კ. 302
ჯაფარიძე ნ. 348
ჯაფარიძე ს. 237
ჯაში დიმიტრი 332, 337, 349
ჯიბლაძე გიორგი 3, 161
ჯიოკომეტი 134
ჯორბენაძე ს. 347
ჯორჯაძე არჩილ 314, 318
ჯორჯაძე ბარბალე 28, 105, 172
ჯორჯაძე დავითი 338
ჯორჯაძე დიმიტრი 54—56
ჯუღაშვილი სოსო 250, 252
ჯუღელი ანთიმოზ 293
ჯუღელი სევერიან 302

ჰ

ჰაინე ჰ. 19, 20, 53
ჰაკკე 8
ჰაუპტი კ. 289, 306
ჰიუგო ვ. 37, 39
ჰომეროსი 137

Алексеев-Месхиев Н. И. 323.

Г-зон В. 40.
Гольцев В. 53.

Джорбенадзе Дим. 54.
Добецкий Е. 256.

Л-ий О. 225, 303.

Моцарт В. 214.

Тарханов Иосиф 53.
Туманишвили Мих. 54.
Туманов Г. 36.

Чавчавадзе Нико 62.

Эристави Р. 119.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა 5

1837 5

1838—1847 (ბავშვობის წლები სოფელ ყვარელში) 5

1841 6

1844 6

1845 6

1846 7

1847 7

1848—1851 (მოსწავლეობის წლები ჰაკკეს პანსიონში) 8

1848 8

1851 10

1852—1856 (მოსწავლეობის წლები თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში) 10

1852 10

1853 11

1854 12

1857—1861 (სტუდენტობის წლები პეტერბურგის უნივერსიტეტში) 13

1857 14

1858 16


1859 20

1860 24

1861 26

1862 31

1863 33


1864 40
1865 45
1866 46
1867 47
1868 48
1869 49
1870 51
1871 52
1872 56
1873 62
1874 73
1875 78
1876 82
1877 88
1878 93
1879 98
1880 107
1881 115
1882 122
1883 130
1884 140
1885 149
1886 158
1887 175
1888 187
1889 195
1890 202
1891 208
1892 216
1893 224

1894 236
1895 247
1896 256
1897 266
1898 278
1899 290
1900 298
1901 311
1902 317
1903 323
1904 329
1905 333
1906 341
1907 348

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ელ. ჩხარტიშვილი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 19.VIII.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.XI.1987;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 23.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,3;
პირ. საღ-გატ. 23,0;
უე 01066; ტირაჟი 15000; შეკვეთა № 2844;

ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19